

114
1927/2




აბგმნო

№ 4

1927

პრინციპით ყველა ძველსა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვარგარეთო
კავშირების
სამდივნოს
სამდივნოს



6983 54927

№ 4

წელიწადი მეოთხე

სოციალ-დემოკრატიული სალიბერალური, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი

აკრილი

თბილისი. სახელგამი. 1927.

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვარგარეთო
კავშირების
სამდივნოს





ქართული
ზღაპრთა

ს. მ. ჯ. ს.
პოლიგრაფიულ
ტრესტის მი-მ
სტამბა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო

რუსეთი

დასავლეთი

საკირველგაისოთ

მოვსულვართ უთვალავ გუნდებათ, და მიწას ვესევით ყოველ მხრივ!
მშრომელი კუნთი ვერ დუნდება; ვერ გვნახავთ ხალისით მოტეხილს.

რამდენი გული ვართ, — მარტოდენ საკუთარ მკლავებს რომ ვენდობით;
დღევანდელ სიხარულს მართავენ მსოფლიო მუშები ერთობილ!..

მოხედეთ ჩაჟანგულ სახეებს, რამხელა ხალისი რგებიათ! —
ქუჩები რომ მოჰყავთ სიმღერებს, — გალხობილ ლანქერის გზებია.

ეს, ყოველ ქვეყნებში ჩვენა ვართ, რომ ვსკედავთ ჩვენივე ბორკილებს,
ვინ სთქვას თუ, სული სად გველევა, — მშობლიურ ბუდიდან ლტოლვილებს!

ეს ჩვენ ვართ, შუქ-ველურ მზის ფეხრთით ძალისძალ მოხრილი ზანგები,
მაგრამ ვით მწუხარება ჩინეთის, — ბრძოლების წყურვილით აღვსდგებით! —

ხომ არის გამარჯვების რგუნება, თუ სურვილს გულშივე აინთებ,
სადაც ამ სიცოცხლის უფლება, — სისხლის შეჯახებით ავიღეთ...

მოხედეთ ჩაჟანგულ სახეებს, — რამხელა ხალისი რგებიათ, —
ნომდინარობენ, ქუჩები გალხობილ ლანქერის გზებია!

და გადაკდობილმა ხელიხელ, — დავსძახოთ სიმღერა მსურვალი!
რომ სისხლის დენა არ დაგვიშრეს, რომ დავრჩეთ სიცოცხლის მსურველი.

ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს

მე არ ვწერ ლექსებს—ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.
მე დავიბადე აპრილის თვეში
გაშლილ ვაშლების ყვავილებიდან.
მაწვიმს სითეთრე—და წვიმის თქეში—
კრემლი მგონია ზემ თვალეზიდან.
აქედან ვიცი მე რომ მოვკვდები,
ეხლა რომ ლექსს ვწერ—ესეც დარჩება.
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს ეყოფა გამოსარჩლებათ.
იტყვიან ასე: იყო საწყალი,
ორპირის ფშანხე გაზრდილი ბიჭი;
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი...
და აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა;
ბედნიერებას მას უმაღლავდენ,
ბედნიერება მან ლექსებს ნისცა.
მე არ ვწერ ლექსებს—ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

თუ შავიკლია

(მუშუაკელების საერთო საცხოვრებელ სახლს)

თუ შეგიძლია განიცადო

ადამიანთა,

ქართველივით

გულ-მზარავი ამტუხარება;

თუ შეგიძლია

განიცადო დასაბამიდან,

მშრომელთა

ყველა ტკივილები და მწუხარება,

თუ შეგიძლია

განიცადო ჩვენი ომები

და გუშინდელი,

ნოურჩენი მწარე იარა!

თუ შეგიძლია

შეიყვარო მილიონები,

და ყველაფერი,

რამაც თვალწინ გადაიარა,

თუ გრძნობ როდესაც

სასეირნოთ ქუჩებს გადიარ,

რომ ეს ქუჩები

ჩვენი ძვლებით მოკირწყლულია...

იმდენი თერგი

არ შეუსვამს გულ-ხარბ დარიალს,—

რამდენი სისხლიც დაგვდენია

ჩვენ აქ წყლულიდან...

თუ ამ დღეების

შინაარსი გულამდე გაღწევს

და ძველი ქვეყნის

არაფერი არ დაგრჩენია,

მაშინ გამიგებ,

რომ ევროპის კოშკებს და ცამწვდენს,

მე ეს უბრალო,

ჩვენი სახლი რად მირჩენია.

1927 წ.

ტფილისი.



პოეზიდან „ნასსაპირაღი“

I

მე ეხლაც მესმის ის სიმღერები
რომ გავიგონე გურიის მთებში,
წორეულ ხსოვნებს მოვეფერები,
ამოკრებილებს აჯანყებებში.
აღელვებებით გული ენთება,
მესმის სიტყვები როგორც ხარები:
— „თავისუფლება, ძმობა, ერთობა!
დავლენოთ ბნელი ციხის კარები!..“
ბათომში გაწვრთნილ მკლავმაგარ მუშებს
ვხედავ გამოსულთ შავი ბლუზებით,—
და უსაფრდება გზებზე ინგუშებს
მაჭახელაით მარდი „ხუნხუზი“.
თავადიწვილმა გამოიარა,
ის მარტოდ მიდის დანალონები,
გოგო და ბიჭი შინ გაიპარა,
წხარეულობენ ქალბატონები.
კნეინა ნინომ დაიწვა ხელი,
ჯერ ვერ ისწავლა კეცის გადმოდგმა:
— „ოჰ, კაძახების გაწყდეს სახელი,
მოისპოს მათი მურტალი მოდგმა.
ამ ჯარისმანამც რომ გვიღალატა,
მოჯანაგირე იყო ერთგული...
ვარდოფინაიც ისევ აქ მოვა,
ოჰ, მისი ცემით ვიჯერო გული!..“ —
ასე წუწუნებს კნეინა ნინო
და ეცინება აზნაურ ესეს,
ბიჭის მაგიერ მას მოაქვს ღვინო,
ბუნტების შემდეგ ეს დააწესეს.
ესეს სრულებით არ ეწვის გული,
აჯანყებაა თუ მიწის ძვრები,
კარტში წააგო შარშან მამული,
არც სათიბი აქვს და აღარც ზვრები.
ამბობს: „მომხრე ვარ თანასწორობის!“
მაგრამ არ უყვარს ბრძოლა და შრომა,
მან ამორჩევა იცის ქორების

(დღეს ეგ სპეცები დასჩაგრა დრომა).
 უბნის ბოქაულს, ხუცებს და ბერებს
 დასცინის იგი, მით არღვევს წესებს
 და ჩონგურზედაც ხშირად ამღერებს
 ახალთაობის გამოთქმულ ლექსებს.
 მაგრამ გაფხეკილ, ღარიბ ახნაურს,
 ჩონგურს დაუკრავს ის თუ გიტარას,
 თავადი უცქერს ვით მტერს შინაურს,
 გლები—ვით მავნეს და ვიგინდარას.



VII

„ჰაუ“!.. გაპკივის აღბად რაზმელი,
 დილა ადრიან აღვიძებს ყველას,
 გურული ვაჟი მაღალი, ხმელი,
 ჩიტვიით მღერის ტკბილ „დელი-დელას“.
 ნაბდებით, მოკლე კარაბინებით,
 ვიწრო ბილიკზე სჩანან ბიჭები,
 ოჰ, ჯაშუსებო! ნუ იკბინებით!
 იმათ იციან თქვენი ბიჯები...
 მთების იჭიდან მზე ამოგორდა
 და გადმოსტყორცნა სხივი ისრულად,
 ღორს რომ უღლავენ ჭყვირილი მორთო,—
 იღვიძებს, დგება სოფელი სრულად.
 ეგ ჯოხიანი ათისთავია,
 დაურბენია მთელი სოფელი,
 კრებაა, რაღა საკითხავია,
 განკარგულება არის ფიცხელი.
 „უუუ!.. პეტრიავე, სიო, მიხელა,
 კრებაა, კრება ბულუხაურზე,
 თქვენი თოყებით გამოდით ხელათ,
 ეი, ბიჭებო! ნუ გძინავთ ყურზე!
 — დღეს ნოქადაგე ილაპარაკებს,
 ცეცხლია სწორედ, ვითხრა ნართალი,
 მთელი ბათომი იმის ნიქს აქებს,
 მოდით სულ ყველა კაცი და ქალი!..“

VIII

რაზმი მწყობრებათ გამოჩნდა გზებზე,
 წითელი დროზა მე დავინახე,
 ამწვანებულ ტყეს არხედდა მთებზე
 „მრისხანე ქარი“ ნებრძოლი, მჭახე.
 შეხედეთ ქალებს ჭრელი ქოლგებით,
 ჩითის კაბებს და თვალებს ღამაზებს,
 აქეთ მოდიან ყველა ორღობით
 და სიხარული გაზაფხულს ავსებს.
 წვერ-შემჭვარტლული ბერიკაცები
 მიაბოლებენ გაქვლ ყალიონებს:
 — „ჩვენი ბატონი ჰგავდა მტაცებელს!..“
 ერთი ნათვანი ძველ დროს იგონებს...



პოეზიიდან „ნასაპირაღი“

I

მე ეხლაც მესმის ის სიმღერები
რომ გავიგონე გურიის მთებში,
შორეულ ხსოვნებს მოვეფერები,
ამოკრებილებს აჯანყებებში.
აღელვებებით გული ენთება,
მესმის სიტყვები როგორც ზარები:
— „თავისუფლება, ძმობა, ერთობა!
დავლენოთ ბნელი ციხის კარები!...“
ბათომში გაწვრთნილ მკლავმაგარ მუშებს
ვხედავ განოსულთ შავი ბლუზებით, —
და უსაფრდება გზებზე ინგუშებს
მაჭახელაით მარდი „ხუნხუნი“.
თავადიშვილმა გამოიარა,
ის მარტოდ მიდის დანაღონები,
გოგო და ბიჭი შინ გაიპარა,
მხარეულობენ ქალბატონები.
კნეინა ნინომ დაიწვა ხელი,
ჯერ ვერ ისწავლა კეცის გადმოღვმა:
— „ოჰ, კაძახების გაწყდეს სახელი,
მოისპოს მათი მურტალი მოღვმა.
ამ ჯარისმანამც რომ გვიღალატა,
მოჯამაგარე იყო ერთგული...
ვარდოფინაიც ისევ აქ მოყა,
ოჰ, მისი ცემით ვიჯერო გული!...“
ასე წუწუნებს კნეინა ნინო
და ეცინება აზნაურ ესეს,
ბიჭის მაგიერ მას მოაქვს ღვინო,
ბუნტების შემდეგ ეს დააწესეს.
ესეს სრულებით არ ეწვის გული,
აჯანყებაა თუ მიწის ძვრები,
კარტში წააგო შარშან მამული,
არც სათიბი აქვს და აღარც ზვრები.
ამბობს: „მომხრე ვარ თანასწორობის!“
მაგრამ არ უყვარს ბრძოლა და შრომა,
მან ამორჩევა იცის ქორების

(დღეს ეგ სპეცები დასჩაგრა დრომა).
 უბნის ბოქაულს, ხუცებს და ბერებს
 დასცინის იგი, მით არღვევს წესებს
 და ჩონგურზედაც ხშირად ამღერებს
 ახალთაობის გამოთქმულ ლექსებს.
 მაგრამ გაფხეკილ, ღარიბ ახნაურს,
 ჩონგურს დაუკრავს ის თუ გიტარას,
 თავადი უცქერს ვით მტერს შინაურს,
 გლეხი—ვით მავნეს და ვიგინდარას.



VII

„ჰაუ“!.. გაჰკივის ალბად რაზმელი,
 დილა ადრიან ალვიძებს ყველას,
 გურული ვაჟი მაღალი, ხმელი,
 ჩიტვიით მღერის ტკბილ „დელი-დელას“.
 ნაბდებით, მოკლე კარაბინებით,
 ვიწრო ბილიკზე სჩანან ბიჭები,
 ოჰ, ჯაშუშებო! ნუ იკბინებით!
 იმათ იციან თქვენი ბიჯები...
 მთების იქიდან მხე ამოგორდა
 და გადმოსტყორცნა სხივი ისრულად,
 ღორს რომ უღლავენ ჭკვირილი მორთო,—
 ილვიძებს, დგება სოფელი სრულად.
 ეგ ჯოხიანი ათისთავია,
 დაურბენია მთელი სოფელი,
 კრებაა, რალა საკითხავია,
 განკარგულება არის ფიცხელი.
 „უუუ!.. პეტრიავ, სიო, მიხელა,
 კრებაა, კრება ბულუხაურზე,
 თქვენი თოფებით გამოდით ხელათ,
 ეი, ბიჭებო! ნუ გძინავთ ყურზე!
 — დღეს მოქადაგე ილაპარაკებს,
 ცეცხლია სწორედ, გითხრა მართალი,
 მთელი ბათომი იმის ნიქს აქებს,
 მოდით სულ ყველა კაცი და ქალი!..“

VIII

რაზმი მწყობრებათ გამოჩნდა გზებზე,
 წითელი დროშა მე დავინახე,
 ამწვანებულ ტყეს არხევდა მთებზე
 „მრისხანე ქარი“ მებრძოლი, მჭახე.
 შეხედეთ ქალებს კრელი ქოლგებით,
 ჩითის კაბებს და თვალებს ღამაზებს,
 აქეთ მოდიან ყველა ორლობით
 და სიხარული გაზაფხულს ავსებს.
 წვერ-შემქვარტლული ბერიკაცები
 მიაბოლებენ გძელ ყალიონებს:
 — „ჩვენი ბატონი ჰგავდა მტაცებელს!..“
 ერთი მათგანი ძველ დროს იგონებს...

მწუხრი ტფილისაგდა

სოფელში ვარ. მოწყენაა. მიმძიმდება გული.
 მარტობას შევეჩვიე მწუხრით დადაგული.
 ვინ რა იცის, რა ნაპრაღში ვიჩეხები ქარად, —
 მთა—მყვირალი ირემივით გადმოჭრილი ბარად?!
 ვინ რა იცის, რა ობლობის ტკივილშია რგული,
 ტფილისიდან გაქცეული ყრმა პოეტის გული?!
 ვინ რა იცის, გრიგალის წინ რა სტრიქონებს ვწლიდა,
 ცხოვრების და ლექსის შუა რომ გამედგა ხიდი?!
 მაგრამ ეხლა: ფიჭვი სხვაა მდუმარეა არე;
 ციდან დაჭრილ შამილივით იბედება მთვარე.
 თვალს გადაღმა ბინდია და არ ვიცი რას ველი,
 სად ხარ, სადა, მეგობარო, რომ ჩაგკიდო ხელი?
 რა უყო თუ მოგონებამ მწუხრი დამათოვა,
 რა უყო თუ გულს ასკდება მწველ სიტყვების გროვა.
 რა უყო თუ სამშობლოში მთას ღრუბელი აწევს,
 გარედ ცივა, ღამეა და ქარი ხეებს არწევს.
 სადაც ღელე მიღუღუნებს ქვების შესაბრალი,
 წისქვილის ქვეშ იკეცება ჩამტვრეული წყალი...
 ვეღარ ვხედავ იმ ავლაბრელს გულის განსაკურნად,
 ღამე მაღალ მეფისტოში, რომ დაჰყეფდა ზურნას:
 — ვის შევჩივლო, ვის ვამხილო ღამთა სატკივარი,
 როცა ძველი ტფილისივით გულს არტყია მტკვარი.
 როცა ნანგრევ-ნარიყალა სდგას მერცხლების ბუდედ,
 როცა გამქრალ დროთა შორის წაშლილია ზღუდე,
 როცა ქარში იკარგება საიათნოვას ხმები,
 როცა გულის დასარბევად ცხოვრების წინ დგები,
 როცა მტკვარი და თვალები ღვრიან ცრემლთა ნამებს,
 მეტეხიდან ირაკლივით ღმუის ბნელი ღამე...
 მაგრამ რაა, თუ ტკივილით ხავსდებიან გულნი,

ან რა არის სამშობლოში, თუ მგზავრობენ კრულნი,
 თუ პოეტის დიდებისთვის ვერც გრიგალი ანთებს,
 მთაწმინდიდან ამოვარდნილ ლექსთა კორიანტელს
 მაინც რაა, ამ ფიქრებით რომ მოვშორდი ქალაქს,
 ხმალ-ბედითი რაინდების სისხლით გადანალახს,
 მაინც რაა ქუხილის წინ ბრძოლებიდან დაღლა,
 როცა გულზე მომსკდარია ბნელ ცხოვრების ტალღა,
 როცა გული მოგონებით დაცმულია ეკალს,
 ჰყუფს ღამე და თებერვალი მზის კარამდე რეკავს.
 რაა ღამე, რომ დამეცა ძველ ცოდვების ტვირთად,
 ჟნდა მოესკდე გურიიდან ამ სიტყვების ზვირთად:
 — კმარა. კმარა, რაც გაეყევი იმ გზით გადახრილებს,
 დროა ტფილისს დაუბრუნდე და ქარხნების მილებს,
 დროა გულში გადავკეტო შორ წარსულის კარი,
 და ეს ლექსიც ტრიუმფობდეს, როგორც კრემლის ქარი.

ვივი შადური



I. მსკანური სისხლი

—ქართველ მწერლებს ჩემი სალამი და უფლრმესი პატივი! გთხოვთ მიცნობდეთ: ნაკაცარი გახლავართ, ვინმე გივი შადური. ნუ შესწუხდით: მეტი რა უნდა გივისა გარდა კახური ღვინისა. ხე-ხე! ნუ შეშინდით მეტქი, ყმაწვილებო: მეტოქეობას არ გაგიწევთ: ჩემი პოეტური მარაგი ამ ერთი სტრიქონით იწყება და ამითვე თავდება. თუმცა...

თუმცა ვინ იცის, რა იმარხება ამ გულში. ვინ იცის! ვინ მეტყვის! ვერავინ, არავინ. ჩემი გზა რომ სხვა გეზით წასულიყო, ან მე თვითონ სხვა გზას გავყოლოდი...

არა, თავს არ მოგაწყენთ. ეშმაკსაც წაუღია ყველა გზები! ტყუილად ხარჯავთ მათთვის, მეგობრებო, დროსა და რითმებს, აზრებსა და სიტყვებს, რადგან გზებს არც აზრი აქვთ, არც გეზი, არც სათავე და არც დასასრული. თუმცა, მაპატიეთ, ყმაწვილებო, შევცდი. ეხლაც შევცდი, რადგან მე თვითონ თავით ფეხებამდე, ან როგორც უწინ ამბობდნენ, თხემით ფერხთამდე მარტო შეცდომებისაგან და კახურისაგან გახლავართ ნაკეთები.

ყოველ გზას აუცილებელი დასასრული აქვს. უწინ ამბობდნენ: ყველა გზები რომისკენ მიდინაო. მე კი მოგახსენებთ: ტყუილია, ჭორია! ყველა გზები და ბილიკები იმედების ნანგრევებზე იყრიან თავს. რაო? რა ბრძანეთ? დავბრძანდე? ეგ სიტყვა მაკვირვებს. გადავეჩვიე. ახლა იტყვიან—დაეგდე, ან გაეთრიეო. თუმცა თქვენგან თავაზიანობა არც იმდენად საოცარია: ჰმვენის მწერალს ზრდილობის გუშავობა.

მადლობას მოგახსენებთ, ბატონებო. ერთხელ კიდევ ინებეთ საწყალ გივი შადურისაგან თბილი სალამი და უფმძიმესი პატივი. დაუჯერეთ, მეტი აღარაფერი გააჩნია. ღვინის მარკა? „პრიმა-კარდანახია?“ მომწონს თქვენი გემოვნება. ერთ ჭიქას გეახლებით, მეტს არა.

დიად, ყმაწვილებო, ვინმე გივი შადური გახლავართ—ერთ დროს კაცი კაცური, თავმომწონე, ამაყი და ქედფიცხელი. ერთ დროს მეც მივოდა—ძველი სიტყვა ვიხნარე, უნდა მეტქვა: მყავდა—ერთ დროს მეც მივოდა ოჯახი და მეგობრები. ახლა კი... ეჰ, დავანებოთ თავი ჩემს ახლანდელს: შავია ვითარცა ჩემი მომავალი და მძიმეა როგორც ჩემივე სული. ისიც მეყოფა, რომ ახლა თქვენისთანა პატივცემულ გვამთა შორის ვზივარ—ისევ ძველი სიტყვა წამომცდა!—და ამისთანა სუფთა ღვინოს ვსრუტავ.

თუ გნებავთ, ერთსაც გეახლებით. დამისხით. გმადლობთ, ბატონო სანდრო, დიდათ გმადლობთ.

რა მიბრძანეთ? საიდან გიცნობთ? ხე-ხე! ხალხისაგან არც მე ვიყავ გამო-

კლებული. ქართველი მწერლების ერთგული ყმა და მუდმივი მუშტარი გახლდით. ვცდილობ არც ახლა ჩამოვრჩე.

მაშ ასე, ბატონო... — აირია მონასტერი, აღარ ვიცი რა ვინძარო — ბატონო, მოქალაქევე თუ ამხანაგო სანდრო... მაშ ისევ სიტყვა „მეგობარი“ გიორჩევნიათ? ინტიმურია. მეც ვამჯობინებ. დიად, იმას მოგახსენებდით: თქვენი „დალი“ ამ კახურზე მეტად სურნელია და სუფთა, ხოლო „კახეთის დედოფალი“ ამ სუფრა-სავით მსუყე და მადლიანი. ღმერთმანი მიკვირს თქვენი ამბავი: როგორ მიაწყობთ ხოლმე ერთმანეთზე სიტყვებს, მერე რომ ვერცხლის ხარებივით აქლერდებიან და ჩვენც სისხლს აგვიჩქროლებენ? მაგალითად „დალი“-დან:

რქიანი დევი ბუტბუტებს იქ საცა დიდი ხეგია,
როკაპს ჯაგებზე ხტომისგან კაბა მთლად შემოჰხეგია.

ან კიდევ, ვობია რომ ჰპატიუობს ღმერთებს:

ერთს უთხრა, ნისლას სახელად, თეთრპერანგ შესამოსიანს:
„წადი მომგვარე კურატი, მწყემსს რო დაუდის ქოსიანს“.
ჯანლოს კი უთხრა შავშუბლას ლაშებდაწვებულს მებორგეს:
„ფრთები შეისხი, ისწრაფე, შეატყობინე მეგობრებს:
ანთარსა-მინდერის ნეველეს, საქონლის მფარველს ჯოგისას,
ამრაზ და აბზას — მეომრებს, თვით შენც იაზრებ ზოგისას“.

წარმართია ჩვენი სანდრო. ზოგი ღმერთი თუ კერპი თვითონ შექქმნა, ზოგიც გააცოცხლა. დალი, ბობლია, ბერიკა, როკაპი, ვობია და ბობლია, გუდან და ინყუხა, კოპალე და აგუნა. მაგონდება: დალის ქორწილი და ინყუხას სიკვდილი ქარიშხალივით არის დატრიალებული:

ინყუხა ბრაზით აივსო, ლახტი ესროლა გრეხილი.
„გიჩვენებ ჩემსა ურჩობას, გარბოდე კისერტეხილი“.
ზათქით ეკვეთნენ ერთმანეთს, იძროდა ქვა და ხეხილი.
კოპალე მისდგა მაყრიონს, ეშველებოდა ანთარი.
აგუნა იჭაჭებოდა: „ღვინოს არ სვამენ, დაჭკარი!“

„კახეთის დედოფალი“ კი... არა, არა, თავს ვანებებ. მეშინიან, გონჯას ბედმა მეც არ ამატიროს.

რა ბრძანეთ, ბატონო იოსებ? ზეპირად როგორ დაისწავლეთო? რაც მიყვარს, ვიზებირებ. ასიოდე მაინც მეცოდინება. კარგ პროზასაც რამდენჯერმე ვკითხულობ. თქვენც გიცნობთ:

ვიცი, ბორჩალოში ნავალმა, რომ ქართველმა ქვემო ქართლისა აღარაფერი არ იცის. თქვენლა გაგვახსენეთ. „მტერთა სასძლოც“ „დედაკაცის ბედია“, ორივე კი ცოცხალი ელია — ბორჩ-ელი, რომელსაც ქართველზე უფრო ხშირად უერთგულნია საქართველოსთვის.

მეგობრებო! ეს სუფრა საიდუმლო სერობას მომაგონებს. მხოლოდ ქრისტე და იუდა თუ გაკლიათ. ღმერთმა თუ ბედმა, ან ღმერთმაც და ბედმაც აგაცდინოთ ორივენი: სადაც ერთია, მეორეც თან ახლავს. მადლი კი გაგიმრავლდეთ ვითარცა ვარსკვლავნი ცათა ზედა და ქვიშანი ზღვათა შინა (ისევ ძველებურ-მა გამკრა!).

ქრისტე ღმერთი ცაში აფრინდა, ყმაწვილებო, ნულარ ელით, აღარ დაგვი-
ბრუნდება. აფრინდა და თვისი მძიმე ჯვარი ჩვენ, საბრალო კაცუნებს, დაგვიტოვა
საზიდავად. სანუგეშოდ ისღა დაგვრჩა, რომ ერთგულად ვხედოთ ეს ჯვარი ჩვენი
„და შრომის ოფლი მიწას ვადინოთ“.

მაგრამ, მეგობრებო, უმადლოდ ჯვრის ზიდვა ქვის ადამიანსაც არ შეუ-
ძლიან. მადლი შრომის ოფლის მოსაწმენდი პირსახოცია, ჯვრის საზიდავი ურე-
მია, რომელსაც კამეჩის ნაცვლად ადამიანი მიაგორებს, რბილი ნოხია გოლგო-
თის გზაზე დაფენილი. ანიტომ გისურვებთ ადამიანური მადლი, თორემ მე...
კარგა ხანია რაც მე თვითონ ეს პირსახოციც დამეფხრიწა და ნოხიც გამომეცა-
ლა. ალბად ამიტომ დამემსხვრა შრომის ურემიც. აღარ ვეზიდები მას კამეჩი-
ვით. ამ ჟამად მე, ჩემო მასპინძლებო, უფრო სირსა ვგეგარ—უდარდელს და
უზრუნველსა. არცა ვხნავ, არც ვთესავ, მაგრამ თქვენისთანა მადლიანი ხალხის
წყალობით თითქმის მუდამ მაძლარი გახლავართ. ნასუფრალი—აი ჩემი ულუფა.
მეტიც არ მინდა.

კმარა! სამოციქულო წიგნად გადავიქეცი. მეც არ მესნის, როგორ გკა-
დრებთ დარიგებას, თვითონვე ვარ დასარიგებელი. ჩემი საქციელი ჩემს კადნიე-
რებას მიაწერეთ და მაპატიეთ.

ჰეი, ამხანაგო გარსონ! ერთი ბოთლი კიდევ მოართვი ბატონებს. ხე-ხე!
ყმაწვილებო! დიაკვანს რომ ღვინო გამოელევა, დაიძაბებს: „მღვდელს მოართვით,
მღვდელსაო!“ მეც ასე დამემართა.

ძმაო ილა, ნუ დამცინით, თორემ ვიტყვებ, რადგან თქვენსავით მოშლი-
ლი ბუდე—სოფელი მაგონდება.

„დედი, ხომ ატყობ სახეს დასერილს,

ტყეზე ქარიშხალს გადაუვლია“.

მეც მქონდა ჩემი ვენახი. ქარიშხალმა ფესვიანად ამონიგდო და სახე და-
მისერა. მეც მყავდა მშობელი ბებრუცანა—დიდედა. ამას წინათ გავეძეცი ჩემი-
ვე თავს და მივადექი იმის ქოსს.

„აბა, ვინა მყავს, რომ მომგებოს,—

ისე დავტოვე ჩემი მამული.

აღარც ბებერი დედა მეგება

ფეხქვეშ, ცრემლებით თვალმონამული“.

ნუ გგონიათ ვითომ ვსტიროდებ, მეგობრებო. დედისა და დიდებას ხსენე-
ბაზე ორად-ორი ცრემლი ჩამივარდა ქიქაში.

კმარა! აილაგმე თავი, გივი შადურო! ნუ დაივიწყე, რომ რკინის ხანაში
ორი კურცხალიც ნიშანია შენი დედლობის და ჩამორჩენის.

მართლა ყველა და ყოველივე შეცვლილიყო სოფელში.

„მარტო საღამო ძველებურია,

ცაში ელავენ საცეცხლურები.

ეზოში გაბმით ღმუის მურია

და მისქრიალებს სადღაც ურემი“.

ეს ილას სხვის ურემზე უთქვამს, ჩემი კი დაიმსხვრა. მას აქეთ ნასუფრა-
ლით ვცხოვრობ „და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი“.

ყმაწვილებო, წელან სამოციქულოთი მოგაბეზრეთ თავი, ახლა კი ს/ც/რემ-ლოში ჩაგყარეთ. ნუ მემდურებით. მეპატიება. თქვენ კი მოგახსენებთ, ძმანო ქიზიყელნო: თქვენ მომაგონებთ გრიგალისაგან წაქცეულ ქიკელის, შუნას—სანდროს მუხას. კენწერო ქალაქში ჩაუვარდა, ძირი კი იმავე მიწაში შერჩა. ერთი ფესვი წისქვილშიც კი წვიჭრა. მოსჭრეს და გადმოაგდეს. ახლა თქვენი თავი დაგლეჯილ ფესვებს დასტირის ქალაქში, ფესვები კი მოჭრილ თავს ჰგლოვობენ.

სხვებსაც გიცნობთ. ბევრი მაქვს სათქმელი. მაგრამ თქვენ მერე გაგიხსენებთ. ახლა კი... რაო, რა მითხარით? გნებავთ ჩემი ვინაობა გაიგოთ? მესმის. თქვენ ნამდვილად სხვა რამ გინდათ შეიტყოთ— „как дошла ты до жизни такой“. გაგონდებათ ნეკრასოვი, განა! კეთილი. აგრე იყოს. გიამბობთ. საამბობი კი ბევრი მაქვს, ძალიან ბევრი. ვიცხოვრე, ვიარე, ვნახე და გავიგე. მეც მრავალი გადაამბდა. მადლობას ამბებით თუ გადაგიხდით. მეტი არაფერი გამაჩნია. ინებეთ, „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“.

მაგრამ, მეგობრებო, მოთხრობის წესს უნდა ვუღალატო—დასასრულიდან უნდა დავიწყო, ჩემი ცხოვრების დასასრულიდან. მიზეზსაც მოგახსენებთ: თავი და თავი სათხრობელი ეს არის—რამ დამწია, ვინ ჩამაგდო ამ ორმოში? დანარჩენი მერე იყოს. თუ კიდევ მიმიშვით თქვენს სერობაზე, არიფიონზე, ანუ რიგის პურზე, თუ ჩემი ამბები მოსმენის ღირსი გამოდგა, ხოლო თქვენ მოთმინება აღმოგაჩნდათ, მიმსახურეთ, à votre plaisir, monsieur.

თუმცა ესეც სათქმელია, მეგობრებო: მსმენელის მოთმინება რა სახსენებელია! თუ მოთხრობელი უშნოდ იცოხნება, ბავშვებსაც ყურები დაუჭკნებათ. მაგრამ თუ მოამბე ოსტატობს, მკედრებიც კი წამოიწევენ მოსასმენად.

ისიც ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ მოთხრობაში თავდაპირველად მთლიანი, შეკუმშული ამბავი უნდა იყოს ჩასხმული. ყოველივე დანარჩენი უბრალო სამკაულია, როგორც კობტა კაბა მასზე უფრო მშვენიერ სხეულზე ჩაცმული.

ვარდა ამისა, მოთხრობა ისარივით პირდაპირ მიზანისკენ უნდა მიდიოდეს. ისიც გეცოდინებათ, რომ მოთხრობის დასაწყისი, დასასრული და სათაური ნახევარ გამარჯვებას უდრის, ამიტომ, თუ ვინმემ გამოიყენოთ ჩემი ნათხრობი, გთხოვთ შესაფერი სათაურიც გამოუძებნოთ, მაგალითად... აი, თუნდაც ჩემი გვარი და სახელი—გივი შადური.

ამ სათაურში შინაარსი არ არის, სამაგიეროდ, თქვენივე ტერმინი რომ ვიხმარო, ფონეტიკურად მაინც გამართულია.

ესეც რომ არ იყოს, გივი შადურს მთელი საქართველო იცნობს. დანარჩენს როგორ მოვერევი—დასაწყისს, დასასრულს, ნაშენობას და ორნამენტს—ეს თქვენი სამსჯავრო იქნება.

მაშ აგრე, მეგობრებო, ვიწყებ. სილანს—სმენა და გაგონება!

* * *

— მეტად კერპი ადამიანი ჰყოფილხართ, გივი შადურო, —მეუბნება ანტონ აფთარიძე და უფრო მეტად იკუნჭება ბნელ კუთხეში, კედლისა და სარკმელის შუა—ალბად იმისთვის, რომ მისი პირისახის თამაში ვერ გავარჩიო.

მე მაინც ვხედავ მას—ჩემს გამომძიებელს, უკვე სამი თვის ნაცნობს.

შაეი, ტალღოვანი თმა, მაღალი და განიერი შუბლი, ყოვანი / ცხვირი, ხშირი წარბები და შაეი სათვალეებით აფარებული თვალები. იმ თვალებს ვერა ვხედავ, თანაც ვხედავ, რადგან ვიცნობ — მოუსვენარი, დარცხვენნილი და უბედლო. მუდამ სხვასაც გაურბიან და საკუთარ თავსაც, თითქო მარად მანდილით იბურბიან, რომ არც თვითონ დაინახონ ვინმე, არც სხვას მოაჩვენონ თავიანთი სახე და ზრახვა.

აი, ახლაც: ეს თვალები ხაფანგში გაბმულ თავგებივით დაჰხტიან და გასაქცევ ხვრელს ეძებენ, თითქოს ანტონ აფთარიძეს კი არ დავეჭირე ბოროტ საქმეში, არამედ მე თვითონ ჩამეკიდნოს მის კისერში ხელი.

— მეტად კერპი და ურჩი ვინმე ჰყოფილხართ, გივი შადურო. — იმეორებს და კალმის ტარს ჰღრღნის თეთრი და მსხვილი კბილებით.

სამი თვეა საზარელ ბრალდებას რკინის მარგილივით მივათრევ ნამუსის კისრით: ვითომ ვითაღლითე, ვიჯიბგირე, სხვის სალაროში ჩავდე ხელი; ახლა კი თითქოს ის ხელი — ჩემი მარჯვენა, შერცხვენნილ-შეთხუპნილი — ანტონ აფთარიძეს უჭირავს მარწუხით და მოკვეთას უპირებს.

მესმის მისი კილოც, მაგრამ ბრალდებისა მაინც ვერაფერი გამიგია.

— გამოტყდით, ამხანაგო შადურო, — მირჩევს ერთხელ კიდევ და პირისახე ისევ კედლისაკენ ნიაქვს, თანაც იმუქრება: — თორე-ე-ემ...

მუქარისა არა მჯერა. მართალი ვარ თუშურ ბატკანივით, ამიტომ ვიღიმები და დაბალის ხმით ვეუბნები:

— თქვენ თვითონვე მოიფიქრეთ: საიდან სჩანს, რომ მე მოლარესთან წილი მედო? ფული გაიტაცა და გაიქცა. რომ გავიგე ეს ამბავი, უმაღლესი შეგატყობინეთ. ვარდა ამისა...

— ვარდა ამისა, გივი შადურო, მუდამ ძველს იმეორებთ. ათჯერ გავიგე ეს საბუთი.

— მართალია, მაგრამ თქვენც ხომ ძველს იმეორებთ. ახალი საბუთი არც თქვენ გიპოვნიათ.

— თქვენ ვერ დაამტკიცეთ თქვენი ალიბი. დამარწმუნეთ, რომ წილი არ გედოთ იმ საქმეში.

თავს ველარ ვიმაგრებ და ვიძახი, თითქმის ვკივი:

— აღარ გათავდება ეს ამბავი?! სამი თვეა მეუბნებით: დამიმტკიცეთ, დამაჯერეთ, რომ სხვის ჯიბეში ხელი არ ჩაგიყვიათო. მიკვირს, ღმერთმანი, მიკვირს! ჯერ თქვენ თვითონ უნდა დამახვედროთ თუნდაც ფრჩხილის ოდენა საბუთი, რომ შემდეგ მე გაგიქარწყლოთ იგი. თორემ სადაური სამართალია!

— ნუ ღელავთ, გივი შადურო!

— როგორ თუ ნუ ვღელავ! — და მართლა ავღელდი. — მე ავად გავხდი, დავილიე.

— არაფერი გეტყობათ.

— სამსახურიც დამეკარგა.

— გამოტყდით და ახალს გიშოვით.

— ნუ დამცინით. ცოლშვილი მშიერი დამირჩა.

— თქვენი ცოლი... დღესაც იყო ჩემთან.

გული და ხმაც უცებ დამიდნა, თითქო თოვლის გუნდას ცეცხლე შეუკეთესო.



ეროვნული

— მართლა?.. ნახეთ?..
— როგორ არა, დღესაც ვნახე. — ლბილად მიშლის და მტრულად მტრის.

— დღესაც ვნახე... ნისი სახელი?

— რუსიკო... რუსუდან. — შივაწოდე.

— რუსუდან... რუსუდან.

და გრუხა თავი ჩაჰლუნა.

— მერე, რა გითხრათ, რა უთხარით?

— ყველა ცოლები ერთსა და იმავეს ამბობენ: ჩემს ქმარს ბრალი არა

აქვს, უმანკოა, ანგელოზიაო. ჩვენც გეშეიან და გვცივაო, ამიტომ...

— ვიცი. თქვენი პასუხი?

— ვერაფერი სანუგეშო — და შავმა სათვალეებმა სარკველში გაიხედეს. —

ჯერ-ჯერობით ვერაფერი, რადგან... იმ დროს მე თვითონაც არ ვიცოდი, რომ...

და თითქმის მაგიდის ფიცარი ააქაკუნა. არ ვიცი, დამცინის თუ მცდის.

მე ველარ ვითმენ და ვკვნესი:

— რა ამბავია, რად მაწვალებთ! დროა გავიგო რამე ჩემის ბედისა.

— კარგი, კარგი, ვივი შადურო, დამშვიდდით. ხვალ ან ზეგ დაუბრუნ-

დებით თქვენს ცოლშვილს.

— მართლა? — წამოვდექი. — არა ხუმრობთ?

— აქ, ამ ოთახში, არასოდეს არა ვხუმრობ. — მითხრა ცივად და თვი-

თონაც წამოდგა.

— მაშ იმედი მექნება, რომ...

— ხვალ ან ზეგ ნეთქი. ყოველივე გათავებულია. უბრალო ფორმლობადა

დარჩა.

— ხელის მოწერა?

— დიალ, ხელის მოწერა. მშვიდობით იყავით.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ. — და ფრცხლად ჩამოვართვი დუნედ გა-

მოწვდენილი ხელი. — გმადლობთ, დიდათ გმადლობთ.

კარები რომ გაეიხურე, ერთხელ კიდევ შევხედე. სათვალეები მოეხსნა.

იდგა და მიმზერდა, მაგრამ თითქო ვერც კი მხედავდა. შუბლს ისრესავდა,

თითქო რაღაცას ჰფიქრობდა, თითქო დაკარგულს ეძებდა თუ დაწვეტილ-

დაბნეულს ჰკრეფავდა.

* * *

საბრალოა, ვინც არ იცის, როდის გაუღებენ საპრობილის კარებს. სასა-

ცილოა და სავალალოც, ვინც იცის და ელოდება. თითქო ქკუიანი გიჟდებაო:

საათობით ეტყობა აწლა და ფორიაქი. ზოგი ჯოხნაკრავ ინდაურივით დაბო-

რიალებს, ზოგი ვაცივით დააბოტებს, ზოგიც ყირამალა დადის და ანცი ბავ-

შვივით აქოთებს იქაურობას.

პირველ დამეს მეც მთვრალ ინდაურივით ვასკდები ტუხალესა და კედ-

ლებს. მეორე დამეს შეკრულ ლოგინზე ვხივარ და ვუცდი

ქუჩისკენ.

ქუჩისკენ „მნათობი“ № 4.

საქართველოს
პარლამენტის
მედიის
ბიბლიოთეკა



57927

6983

— ვერ მოასწრეს. — ვფიქრობ და საათის ათზე ხელახლად ვწავი შეკრულ ბოხჩას, თან გულს ვიმშვიდებ: — რა თქმა უნდა, ვერ მოასწრეს. ერთი ღამე თუნდ აქეთ იყოს, თუნდ იქით.

და მამლის მეორე ყივილზე ძლივს ვატყუებ თვალს (მეც მამლისაა) გუშინაც მომიტანეს სანოვაგე, მისი სია და ოთხი ახალი სიტყვა — „დღეს ან ხვალ გნახავ“, მებუთე და შეექვსე — „გკოცნი, რუსიკო“ — ყოველ დღე მეორდება.

იმევე ქალაქის მეორე გვერდზე მეც მივაწერე — „დღეს ან ხვალ გაკოცებთ. ეხლაც გკოცნით. გივი“. და უკანვე დაფუბრუნე.

იმ დღეს — უკანასკნელ დღეს — კიდევ მომივიდა — „დღეს“. და მეც მივაწერე, თითქო საკნიდან თავი დავეუქნიეო — „დღეს“.

ღამე ნოდის — ღამეც უკანასკნელი. ტუსალებს გვთვლიან. ისევ შეკრულ ლოგინზე ვზივარ, კარების გვერდით.

— აქ რა გინდათ? — მეკითხება ზედაშხედველი.

— დღეს მივდივარ. — და სიამით ვიღიმები.

— მართლა? ძალიან კარგი. უნახოთ.

და გადიან.

მერე იწყება ტუსალების აღდგომა. ზოგი ტუსალის. წევს პატიმარი გასუდრულ ლაზარესავით და მიბნედილ გულით ელოდება — ზოგჯერ კი არაფერსაც არ ელოდება.

— ლაზარე გორაშვილი! — უცებ დაიძახებენ შუა ეზოში.

და კლდის გამოძახილივით ათიოდე კაციც გაჰკივის:

— ლაზარე გორაშვილი!

ლაზარე გაცოცხლდება, დაფეხდება. თვითონაც აღარ ესმის, ვინ რას აბარებს ან ვის რას ჰპირდება, გუდა-ნაბადს მოიკიდებს და მირბის.

მეც მკიდია ჩემი ხუბაკი. კარებთან ვდგევარ და ვიცი. სხვისი გვარი და სახელი ოცჯერ მეორდება. პავლე პეტრეს მისდევს, ვანო სარდიონს მიერეკება. ჩემი გვარი კი არ ისმის. გული მეკუმშება, მერე თვალთ მიბნელდება. ღამის წავიქცე. კარებს ვეჭიდები და ისევ ელოდები.

ტყუილადღა ველოდები. ეზო გაჩუმდა. მიმავალთა ფეხის ფრატუნნი და ალაყაფის კარის კრაჭუნიღა ისმის.

კუთხეში ვილაც ფრუტუნებს. მე თუ დამცინის.

— ალბად ხვალ მოვა თქვენნი ჯერი. — მეუბნება მამასახლისი და მხარზე ხელს მადებს. — დაწეკით.

ხმას ვერ ვიღებ — ბოლმას უჭირავს ყელში და ახრჩობს. ძლივსღა მოვბრუნდი, ლოგინი იქვე კარებთან გავშალე და მივწექი. ჩემი ალაგი — რკინის საწოლი — წელანვე დაფუთმე ახალმოსულს.

ისევ ვწუგეშობ:

— ვერ მოასწრეს. ხვალისთვის გადასდეს.

მეორე დღეს ისეთ გუნებაზე ვარ, თითქო მიცვალებული მყავდეს, ან მე თვითონ ვიყო მკვდარი. ყველანი მერიდებიან და მეც ვერიდები ყველას.



მოდის 'შუადღე და სანოვაგე. თან ბარათი მოსდევს, და რომ ბარათს სამი ახალი სიტყვა აწერია: „ახალი გარემოება. ნოითმინე. რუსიკო“.

სადილს მეზობლებს ვურიგებ და განცხადებას ვწერ ამხრომს ნაშრომის სახელზე—აბნეულს, ნერვიულს, ეინიანს. მოვითხოვ ხელახალ დაკითხვას, უკვე დაკითხულ მოწმეთა დაბარებას და დანაპირევის შესრულებას—ჩემს განთავისუფლებას—დღესვე, ხვალ, ან ზევ მაინც.

მერე ვცდილობ წიგნით გავიფანტო დარდი და ბოღმა. მაგრამ ამოდ: სტრიკონები დაპხტიან, სიტყვები აღარ მესმის და ერთმანეთში იხლართება ყოველივე: რომანის გამირები და ჩემი რუსუდან, გაპარული მოლარე და აფთარიძე, პატიმართა ყრიანული და ჩემი გულის ჩუმი კენესა.

მერე მაგონდება: რუსიკოს დღევანდელ ბარათში აღარ ეწერა ყოველდღიური „გკოცნი“. ნეტა რატომ? რა ნოხდა?

ერთი შვილი ნყავს, ერთად-ერთი—ათი წლის სარდი—სარდიონი. იქნებ ავად გახდა, ან ფეხი მოიტყუა, ან ავტოს ქვეშ მოხვდა?

საზარელ ლანდებს ნივდევ და ჩემივე შიშს მევე მივერეკები. ცხადია, რაღაც ნოხდა, უეჭველად ნოხდა, თორემ რუსიკოს „გკოცნი“ არ დაავიწყდებოდა.

კარგად რომ გავლახე ჩემივე თავი, ნელნელა დაემშვიდდი. შემდეგ გულშიც გავიციინე, თავი ავილაგძე, კამათული გავაგორე და ახალი დარდიც და ექვიც ნარდის თამაშში დავმარხე.

ზღაპარი, ამბები, წიგნი, ნარდი და დომინო დარდის დამფანტველია საპატიმროში. ვინც ვერ ატყუება და გაითიშება, სჯობია თავი ჩამოიხრჩოს, თორემ სულ ერთია, სევდის ჟანგი შესქამს განდევილს.

დღისით დარდს ატყუებენ, ღამით კი მოტყუებული თხოულობს საზღაურს. ვეუბა და უჩინარ მაჯლაჯუნასავით ჩამოწვება, საცნებს გასტენავს და ტუსალებს ჩაიხვევს, ჩაეხუტება. უემური აწვალებს პატიმრებს. ხშირად ისმის უცნაური ბოღვა, შეძახილი და ბორგვა.

არც ნე მასვენება. ხელი დამრია, დანიჩენა. ღამ-ღამობით ჩემს ოჯახში გადავყვევარ. ცხადად ვხედავ ჯალაბებს.

ჩემი ცოლი რუსიკო ჩემს სარდიონზე ოდნავ სრული და მაღალი თუ გამოვა. გულჩვილია ობოლივით. ზოგჯერ ვხედავ: ნაცემივით ზის და უმწეო ხელებს, მუხლებზე რომ დაუწყვია, თბილი ცრემლით ისველებს. დედა ჩემი თინათინ ოთახში ტრიალებს და ბუზლუნებს. როცა დედა იცრემლება, სარდიონი ვეღარ ნუშაობს. ერთ საათს დასცქერის წიგნს და გადაფურცვლაც ავიწყდება.

ზოგჯერ მათი ხმებიც მესმის. კუთხეში ტუსალები ჩაფჩიფებენ, მე კი ეს ჩუმი ხმაური ცოლშვილის სლუკუნ-წუწუნად მელანდება.

ქალაქში ნათესავი არავინა მყავს. მარტონი არიან ჩემები. იქნებ დაილივნენ, ეგებ ვეღარ სძლებენ, გასაყიდიც აღარაფერი აქვთ.

უემურს ვებრძვი, ვერეკები, მაგრამ—თითქოს ათი კარ-სარკმელი მქონდესო—ისევ მიბრუნდება და მძიძგის, მთენთავს, მთელავს.

ასე მიმართევს დღე-და-ღამე, მაგრამ მეც მივათრევ მას. ერთმანეთი ჩავბლუჯეთ, ჩავხლართეთ და მივგორავო თავდაღმა, მივხტით ორ ნებრძოლ ნადირივით, ურთერთი რომ შესაჭმელად დაიჭირეს და მთის წვერიდან დაგორდნენ.

ყნაწვილებო, ოდნავე მომეკიდა ღვინო. მაგარია. სიფრთხილუე შმართებს, მეშინიან არ ამრიოს. ეს თამბაქოც მაგარი ყოფილა. მძიმეა, აქვს უსუნო, ამას კი მოვწევ. დიდათ გმადლობთ.

მემძიმება ლაპარაკიც. მაგრამ მეტი რა ჩარაა. რაკი შევტოპე, უნდა კიდევაც გავიდე გაღმა და თქვენც სამშვიდობოს გაგიყვანოთ.

ერთ განცხადებას მეორე მივაყოლე, მეოთხეს მეხუთე. მაგრამ არც ერთი არა სჭრის. ალბად დამივიწყეს. ან იქნებ ანტონ აფთარიძეს დაემართა რამე? თუ აგრეა, ასე ადვილად ველარ გამიხსენებენ. სანამ იმის სკამზე ახალი ვინმე დაჯდება და ჩემს უმანკო საქმეს გაეცნობა, დიდი ღრო გავა.

ასეც მოხდა. ხმა მოვიდა, აფთარიძის ნაცვლად ახალი გამომძიებელი დანიშნესო. სად გადავიდა აფთარიძე? რა ჩვენი საქმეა! არც ვიცით, არც ვეძებთ.

ერთხელ ჩემი ღროც მოვიდა. წითელარმიელი მომიყენეს და გამისტუმრეს. ბარგიანად დამიბარეს — „ნა სლაბოდას“ ნიშანია.

მივცუტულებ მხიარულად. ჩემი შვილის ფეხები თუ ვამომება, არმიელს ვემცნაურები და ვპატივობ:

— ჩვენი მზრისა ყოფილხარ. ხვალ ან ზეგ მნახე. ცოტა ღვინო დაელიოთ და ვიბაასოთ.

და მისამართიც მივეცი.

ორი საათის შემდეგ ახალი გამომძიებელი ჩემს დაკითხვას ათავენს და მეუბნება:

— მჯერა თქვენი სიმართლე. ადრევე იყავით გასაშვები, მაგრამ აფთარიძე... აფთარიძემ...

და უცნაურად აირია, თითქო რაღაც გაახსენდაო: ენა უცებ მოიკენიტა და შემკრთალი თვალები ქალაღდებში ჩამალა.

— მაშ... ალბად...

— დღეს ველარ მოვასწრებ, ხვალ კი სახლში იქნებით. მომილოცავს. კარგად იყავით.

და წრფელის გულით ჩამომართვა ხელი.

ის ღამე იქვე გავატარე. მარტო ვწევარ საკანში და უძილობას ვებრძვი, თან არც ვებრძვი. სულ ერთია, თუნდაც თეთრად გამითენდეს. გაზაფხულია ჩემს გულში. ხვალ დილით დაეუბრუნდება ჩემს ჯალაბობას. უმწიკვლოდ გავალ: სახელიც შემრჩება და ოჯახიც. ლუკმა პურს კი ყოველთვის ვაშოვი.

შუალამე გადასულია. ბურანში ვარ შესული. თითქო მძინავს, თანაც არ მძინავს. ბინდ-ბუნდად მესმის ფეხის ხმა. ბევრნი არიან, ოთხნი თუ ხუთნი იქნებიან. ყრუ ტალანში დადიან და ჩუმის ხმით ლაპარაკობენ—ნერვიულად, დაფლეთილად, სუსხითა და სიმკაცრით, თითქო რკინის ზოდებს ისვრიანო.

ღითონის ხმაურს მხოლოდ ერთი ხმა არღვევს—წვრილი, ცრემლნარევი, ხვეწნიანი. წამოვხტი და კარებს ვეცი. ნახვრეტი აქვს ამოკრილი. გარედან კარდონი აქვს აფარებული. ავწიე და გავიხედე. ერთის თვალით, ერთის წამით ერთი სურათი დავინახე: ვიღაც შუაში ჩაუყენებიათ და მიჰყავთ.

და ის ვილაც თითქო მემცნაურა—ესეც ერთის წუთით, გონების ერთის კუნჭულით.

— გაანთავისუფლეს—გავიფიქრე—ან სხვა საკანში გადამხვეს... აგრე იქნება... ხშირად ხდება.

ლამე ტყდება. ბინდი თოვლივით იღვევა, და შენობაც იღვიძებს. ორი საათი თუ მეძინა, მაგრამ ძილი ვილას ახსოვს: კარი დღეს გამეღება.

გარეთაც გაზაფხულია. ალბად შინ მელიან. ალბად აღრევე იციან, რა თქმა უნდა, იციან!

მეგობრებო, თქვენი არ ვიცი, მე კი გამოვცადე: ადამიანის სიცოცხლეში რამდენიმე დღე ან საათია დიდი სიხარულისათვის გადადებული. ქორწილის ღამე, მემკვიდრის დაბადება და საპატიმროდან გამოსვლა. ყოველივე დანარჩენ-უბრალო ღიმილია, დინჯი კმაყოფილება. სხვებს სხვა სიხარულიც ექნებათ: ბევრი ფულის მოგება, უკვდავი პოემის ან რომანის დასრულება, ათას გვერდიან ლექსიკონის დამთავრება, თუნდაც ნამდვილი „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთას ბიოგრაფიის პოვნა, ან კიდევ ასპროცენტთან სოციალიზმის დამკვიდრება. მე კი, ყმაწვილებო, მხოლოდ სამჯერ ვიგეძე ასპროცენტთან სიხარული. და მესამეს იმ დღეს ვსვამდი ხარბად, როცა შინისკენ მივბოდდი—სწორედ ისეთივე ნაბიჯით ან ხტუნაობით, როგორც ჩემი დაგვიანებული სარდიონი მირბის ხოლმე სკოლისაკენ.

ბალღივით ავრბივარ კიბეზე და ჩემს კარებს ვაკაკუნებ, ვაბრაახუნებ, თითქმის ვამტვრევ. და ერთი წამის შემდეგ ოთხივენი ვაზებევით ვეხვევით ერთმანეთს: ბიჭიკო მუხლებზე მყავს მოსალტული, დედა თინათინ ჩემს მარჯვენა მკლავზე იცინის, რუსიკო კი მარცხენა მკერდს მისველებს და მეოცეჯერ მოსცოცავს საკოცნელად.

დაკითხვა და მოკითხვა დიდხანს გრძელდება. დაკარგულებივით დაედინვართ სამს ოთახში. აქ პიანინო აკლია, იქ კარადა, კედელზე გუდიანწვილი აღარ ჰკიდია, აღარც გაბაშვილი მოსჩანს. მაგრამ არაფერს ვამბობ, თითქოს არც კი ვამჩნევ.

სადაც ჩანოფჯდები, სარდი და რუსიკოც იქვე არიან. შვილი მუხლზე დამაჯდება და კისერზე სუროსავით მეხვევა, ცოლიც გვერდზე მომეკვრის და კისერს იღლიაში გამომიყოფს, თანაც სტირის, ისევ სტირის, მუდამ სტირის და კოცნი-სათვის მოიწვეს.

— რა დაგემართა, რუსიკო—ვეკითხები—ველარ დამწვიდდი?

— ვე...ვერა.—სლუკუნებს და ცრემლს უმატებს.

— დაიტანჯებოდდი.

— დავიტანჯე...ანჯე.

— დაწყნარდი. ახლა ყველაყური გათავდა.

— გა...გათავდა...ათავდა.

გათავდა, მაგრამ რუსუდანმა ცრემლის სათავე მაინც ვერ მოსჭრა.

— აქ რაღაც ამბავია—ვეფიქრობ და გამოკითხვას ვაპირებ.

— ვიცი, არაფერს დანიშალავს. არ სჩვევია ტყუილი. ძალიანაც რომ მოინ-



ვერცხულის
გინგლირთქა

დომოს, ვერ მოახერხებს. ერთხელ რომ ჩავხედოთ თუალებში, საკმარისია: სუფთა გული უმაღლეს კოლოფივით გაეხსნება.

ნასადილვე ვართ. კვირა დღეა.

— დედი, სარდი გაატარე.

— ეხლავე, შვილო.

კარები რომ მივუკეტე, მოვბრუნდი და საწოლ ოთახში შევედი. რუსიკო ტახტზე ზის, თავი ხელებში ჩაუფლავს და ჰბორგავს.

გვერდით მივუჯექი. აღარ დამაცადა, მომეზვია და ატირდა—ხმამაღლა, ბავშურად, სწორედ ისე როგორც ნაწყენი ხუთი წლის სარდიონი ატირდებოდა ხოლმე.

დავაცადე, დავაშვიდე. მერე ვკითხე:

— რა მოხდა, რუსი? რა იყო, რა დაგემართა? ყველაფერი მიაშბე.

და მიაშბო, სიმართლე მიაშბო, მაგრამ...

* * *

მაგრამ, ყმაწვილებო, სიმართლეს მარტო წინასწარმეტყველები, სტუდენტები, ქადაგები და პოეტები დასდევენ. ჰგონიათ, სადაც სიმართლეა, ბედნიერებაც იქ არისო. მე კი მოგახსენებთ: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. კეშმარიტება ხანდახან და ზოგთათვის ნამდვილი შნამია: შესვამს, გაიგებს, გათავდება: ადამიანი იღუპება ზოგჯერ დროებით, ხან კიდევ სამუდამოდ — ეს ხომ სულ ერთია.

რუსიკოს სიმართლემ მეც სამუდამოდ დამღუპა. ოჰ, ნეტა არ ეთქვა! ნეტა გული არ ჰქონოდა გაღელვებული! მუდამ ამაყობდა ჩემს გულს სიყალბე არ მოეკარებო. მეც თავი მომქონდა ცოლის სიმართლით. ახლა კი ვნანობ: ნეტა გულის დახშობა და გაჩუმება შესძლებოდა იმ საწყალსა და უბედურ დედაკაცს. ყველანი მოგებაში ვაქნებოდით მეც და ჩემი ოჯახიც.

მაგრამ მაპატიეთ, მეგობრებო: წესი დაფარღვიე. წინ გადავბტი. ვუბრუნდები რუსიკოს.

მიაშბო მეთქი — ქეითინით, ფორხილით და ბორგვით.

* * *

ასეა: ქმარს რომ დაუტუსაღებენ, ცოლი კვირაში ერთ წყვილ ფეხსაცმელს გასცვეთავს.

რუსიკოც შეუდგა სიარულს. დადას, დარბის, სტირის და ებვეწება. აფთარიძე კი არა სჩქარობს:

— დაიღუპა თქვენი ქმარი — ეუბნება — მამა ღმერთიც ველარ უშველის.

აირია და დაფეთდა ქალი. აღარ იცის, ვისა საბოვოს, რას ახალოს თავი. ისევ დარბის, მაგრამ ყველა გზები ისევ აფთარიძის კაბინეტში მადიან.

შეაჩვია იქ დგომას და ლოდინს.

— ერთხელ ვდგევარ და ვუცდი. —

მეუბნება რუსიკო. — დიდხანს მაცდევინა. ქალაღებში იქეჭებოდა. მერე შემომხედა და სთქვა: „სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. ჯერ ბევრი მაქვს გამოსარკვევი“.



რუსუდანს ვილაცამ თუ რალაცამ წაპკრა. და ზოგჯერ ეს ერთი კიბუნჯი, ერთად-ერთი წუთიც გადასჭრის ხოლმე კაცის ან ადამიანთა ბედსაც და მომავალსაც.

„როგორც გატყობთ, აქ არა გცალიათ.—ჩამოპკრა მაშინ ჩვენი ბედის ზარი ჩემმა ცოლმა.—ხება მიბოძეთ ბინაზე გეახლოთ და იქ მოგელაპარაკოთ“. აფთარიძემ სათვალეები მოიხსნა. შესცქერის, სინჯავს და კბილებით იღიმება: „მობრძანდით, ვიბაასოთ“.—„როდის“?

— „სალამოს ცხრა საათზე მოგელოდებით“.

და მისამართიც მისცა.

რუსუდანი მოდის—გაბრუებული, ალენილი, გულშეხუთული. არ იცის, სწორ გზას დაადგა თუ კლდეზე გადავარდება.

უკვე მივხვდი: ცხვარი მგლის ბუნაგში მიდის. ვეკითხები:

— რუსუდან, იცოდი თუ არა, სად ან რისთვის მიდიოდი?

რუსიკო ყოყმანობს, ჩაჭრილ პავშვივით ირევა. მერე ქვითინებს და ლულ-ლულებს:

— ვი... ვიცოდი... არც ვიცოდი.

— უფრო იცოდი.

— ვი... ვიცოდი.

— რამ, ან ვინ წაგიყვანა?

ელომ წაიყვანა. ერთხელ რუსიკოს უთხრა:

— იმ გამომძიებელს ვიცნობ. ორი გზა მიდის მასთან—ფული და ლანაზი ქალი. შენ ფული არა გაქვს, სამაგიეროდ...

და რუსიკონაც გაპბედა. რა თქმა უნდა, იცოდა—ვისთან და რისთვისაც მიდიოდა.

უკვე ვიხრჩობი. გონება მეზხარება, სისხლი მიჯანყდება.

— სოქვი, სოქვი მეთქი! რალას გაჩუნებულხარ!

— ვიტყვი, მაგრამ... ხელი გამიშვი... მიწვი... მტკივა.—კენესის ჩემი ცოლი თუ ნაცოლარი, თან აღმოადებული და სველი პირისახე განზე მიაქვს და აგრძელებს.

პირველად ცხრა საათზე მივიდა. თორმეტზელა დაბრუნდა.

აღარ მახსოვს, როგორ ავდექი, როგორ ჩავიდე რევოლვერი ჯიბეში. მართო წვრილმანილა მაგონდება: რუსიკო ნაცემ კატასავით მიკუნჭულა და იმავე კატასავით მიმზერს,—გაოცებით და უსიტყვოდ. პირისახეს ვერ ვხედავ—თათქოს დაეღია და შეუკუმშდა. სამაგიეროდ ორი თვალი იზრდება, ფუქდება, შუბლზედ ადის, ნიკაპამდე ჩანოდის. შიგ შიშია ჩალვრილი—მეტე არათერი—შიში პირუტყვის, რომელსაც ყელში ხანჯალი გაუყარეს.

თავთ დავადექი. დედაკაცი ორ თვალად გადაიქცა. ერთ ხელსაც ვხედავ—ტიტველსა და ჩემსკენ ამოწვდენილს, რომელსაც, თუ რომელიც... იმ ღამეს... აფთარიძეს...

— რუსიკო!—აღარ ვიცი, ნე ვეუბნები, თუ სხვა ვილაც ხრიალებს ჩემს მაგიერ.—რუსუდან... მეშინიან, გონებამ არ მილაღატოს. ერთხელ კიდევ გამაგებინე: მკონი ჩემთვის ჩაიღიანე ეგ საქმე, არა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშ ვისთვის! მაშ ვისთვის!—კენესის თვალად გადაქცეული.
და მისი ხმა თითქო გრძელ მილიდან ისმისო.

— მერე რა მოხდა?... სოქვი, სოქვი ნეთქი!

— მეორე დღესაც...

— მეორე დღესაც! მერე შეეჩვიე ან შეგიჩვია და ყოველ დღე... ყოველ
ღამე.

— მემუჭრებოდა, დავლუბავო... მეც რა მექნა, რა?

მაშ რა ექნა! რაკი დაიწყო, უნდა დაემთავრებინა.

მაგონდება ის ერთი დღეც, ბარათზე რომ აღარ ეწერა—გკოცნიო. მაშინ
თუ გავახსენდი. წერცხვა. კოცნა ვეღარ გაპბედა.

ელვასავით გამკრა მესამე დღის ბარათშიც: „საქმე გართულდაო“.

— რად მწერდი, —ვეკითხები, თუ სხვა ვიღაც ეკითხება—რად მწერდი,
საქმე გართულდაო?

— იმ დღეს იქ აღარ დამიხვდა. მითხრეს, წავიდა თუ გადაიყვანესო.

— მაშ, რუსუდან...—ვბორგავ და კბილებში გაჩხირული სიტყვები ძლივ-
სლა გამომაქვს.—მაშ... ჩემთვის, არა?

და მარჯვენა უნებურად მიმაქვს ჯიბისაკენ.

ოდნავ გამოჩენილი დედაკაცი ისევ ორ თვალად გარდაიქმნა და მისი
მკლავი (შიშველი მკლავი, რომელიც... თუ რომელსაც... იმ ღამეს...) ის მკლავი
ისევ ჩემსკენ წამოვიდა.

უცებ მოვბრუნდი და წამოვედა. კარებიდან ერთხელ კიდევ მოვიხედე.
მეორე კარები ისევ იმ თვალებს გაუყვსიათ. რალაც მესმის, თანაც არ მესმის. ეხ-
ლა ორ მკლავს ვხედავ, ჩემსკენ რომ მოდიან, და ის თვალებიც მომდევნ.

აღარ ვუცდი. კარებს ვაჯახუნებ და მივდივარ თუ მივრბივარ. ხან ვის
წავკრავ მხარს, ხან რას წავაწყდები.

— გივი, გამარჯვება!

— გივი, მოგილოცავ! მესმის აქეთ-იქიდან.

რალაცას ვბუზღუნებ, ზოგჯერ პასუხსაც არ ვაძლევ და ცოლიან ბულა-
სავით მივანგრევ ქუჩას

ვიცი საცა სცხოვრობს—წელან მითხრა რუსიკომ.

კარებს ვიღაც დედაკაცი მიღებს.

— აფთარიძე? აქ სცხოვრობდა, მაგრამ...

— ამ ოთახში?

— მაგ ოთახში, მაგრამ...

დანარჩენი აღარ მესმის. უკვე იმ ოთახში ვდგევარ და გაოცებით შევცქე-
რი გამომძიებულს—ჩემს ახალ გამომძიებულს, რომელმაც დღეს განანთავისუფლა

— აფთარიძე?

— აფთარიძე მინდა—ეხრიალებ.

და ისიც გაკვირვებით მიმზერს, ხან თვალებში და ხანაც დაწვებულ
ხელში.

— ღიად, ანტონ აფთარაძე მინდა.



ქართული
საბავშვო ლიტერატურა

— მესმის, ყველაფერი ვიცი, მაგრამ...
 — ყველაფერი? მაშ... თქვენც იცით?
 — ვიცი, როგორ არ ვიცი. მაგრამ... ჯერ ვე მომეცრთ. დაგჭირდებათ.

და მაჯაში წამწვდა. მაშინლა შევნიშნე, რომ ჩემს მარჯვენაში რევოლვე-
 რი კრიალებდა.

— დიად, აღარ დაგჭირდებათ. აქ დასდეთ და თქვენც დაბრძანდით.

— სულ ერთია, ვერსად წამივა.— ჩემივე თავს ვეუბნები და იარაღს ჯიბე-
 ში ვიდებ.

— უკვე წაგივიდათ.

— წამივიდა?! სად? როდის?

დამსვა, მომიჯდა, თვალი თვალში გამიყარა და ერთად-ერთი სიტყვა
 მითხრა:

— წუხელის.

— წუხელ? სად, სად წავიდა?

ჯერ ისევ მიმზერს, თითქოს უნდა თვალით მიპასუხოსო. მერე მეუბნება:

— ალბად მაგრად გეძინათ. ვერ გაიგეთ.

და უცებ გამახსენდა, თითქო ბნელ ოთახში სარკმელის დარაბა გააღესო:
 ხვეწნა, ბურტყუნა, ლასლასით მიმავალი კაცი და ოთხი თუ ხუთი დარაჯი.
 მაშინ თითქო ნემცნაურა, ახლა კი... ახლა ყოველივე ცხადია.

— მაშ... დავიჯერო ის იყო?

— ის იყო.

— მაშ... გათავდა!

— გათავდა.

აღარაფერი მესმის. მგონი ნეუბნება— მაგისტანა და მაგაზე უარესიც
 მრავალი ჩაიდინაო, მგონი მამშვიდებს, მანუგეშებს, კარებამდე მომდევს.

ახლა სხვანაირად მოვდივარ სახლისკენ— მოთელილი, ნაცემი და შერც-
 ხვენილი.

მართლა გათავდა. ტალახს ველარ ჩამოვირეცხავ— სხვამ ჩამომწმინდა. მაგ-
 რამ რალაც დამრჩა— გარეთაც და შიგნითაც. ზოგმა უკვე იცის რუსიკოს ამ-
 ბავი, მაშ მთელი ქვეყანაც გაიგებს. გარდა ამისა, აფთარიძეს სხვამ მიუძღვნა
 სახლაური, მე კი— მე ხელცარიელი დავრჩი.

რალაც მაკლია, და ეს „რალაც“— ჩემი ვალი— სხვამ გადაიხადა, ხოლო მე
 იმ ვალს ველარ მოვიშორებ— ვერასოდეს, არასოდეს!

მესმის, მეგობრებო, ყოველივე მესმის: ჩვენს ბუნებაში ჯერ კიდევ სთვლემს
 ველური, პირუტყვი თუ მხეცი, დაჰკრავს ქამი და ჩვენი კულტურის ზედაფერიც
 მტვერივით ჩაირეცხება, ხოლო მხეცი— კაპასი და კბილა-ალესილი— უმაღ ყალ-
 სზე წანოდგება. წამოიწევს და თავისას ითხოვს, ეძებს და ვერ მშვიდდება, სა-
 ნამ არ იპოვის და არ გაძლება.

მე კი ვერც ვიპოვნე და ვერც გავძელი. კანონი გაძლა ჩემს მაგიერ, მე კი
 მშიერი დავრჩი და— თუ გნებავთ, გამკიცხეთ, დამძრაბეთ— ეხლაც მშიერი ვარ.

რომ დაებრუნდი, თითქო სხვის ბინაში შევედიო, სიღაც მკვლარი ასვენია და პანაშვიდს იხდიან: დედა ჩემი თინათინ ყარყუმით ზის და ნანტირალი თვალებით კედელს ჰბურღავს; თვალებზე ვატყობ სარდქონს — რა საბათში ათი წლით გახრდილა; ოთახებში შემოდგონის ყვავებივით ჩანობს და რაბან ნათესავეები და უსიტყვოთ მომჩერებიან; რუსიკო წელანდელ ალაგზე ზის და ისევ თვალეზად არის გადაქცეული, და ის თვალები ხარბად მჭამენ, მხრავენ, მეკითხებიან.

ოთხი თვეა არავის უნახივარ. მაინც არავინ მაძლევს სალამს — პირველ სიტყვას ჩემგან ელიან. და მეც ვამბობ სწორედ იმ სათქმელს, რომელსაც წყურვილით მოვლიან: ვიპოვნე? დავაბჩე? დაეხვრატე?

— წუხელ გაუთავებიათ.

და ვუამბობ ყოველივეს. აღარაფერს ვუმალივ. სულ ერთია, ყველაფერი სცოდნიათ გარდა ერთისა — „წუხელ გაუთავებიათ“.

ამ ორმა სიტყვამ — „წუხელ გაუთავებიათ“ — უმალ გარდაჰქმნა ჩემი ოჯახი: მაჯლაჯუნა კედლებში გაიფონა და მის ნაცვლად კეთილი სული შემოიჭრა. აყაყანდნენ, ნომეხვივნენ, მომაყარეს:

— გივი, გამარჯვება!

— კაცო, როგორა ხარ?

— მოგილოცავ!.. მოგვილოცავს!

მარტო რუსიკომ არ იცის რა ჰქმნას და როგორ მოიქცეს — იტიროს თუ ილხინოს, მომილოცოს თუ ივლოვოს. ხან ქალად მეღანდება, ხან ორ თვალად. ცხადად ვატყობ მხოლოდ — უტყუარი სარკეა ჩემის ამღვრეული სულის: თუ კობი გაიჭიმა ჩემს შუბლზე, მის შუბლზედაც იგივე კობი გაიბმება. რომელი კუნთიც შემენძრევა, რუსიკოსაც ის კუნთი აუთამაშდება. ხან კბილებით იღიმება, თვალები კი მწუხრით ევსება; ხან შუბლი გაეხსნება, ხოლო პირზე შიში მოერკალება. რთულად და უცნაურად ჩაეხლართნენ ჩვენი თვალები და განცდანი.

ჩემი აღლო და სული კი ფართხალებს და ჰბორგავს. დაბმულივით მიიწევს რუსიკოსკენ. სცდილობს ბუდიდან ამოვარდეს, გადაფრინდეს, სულში ჩაესხას, შიგ ჩაუდნეს და ყოველივე გაიგოს — ყოველივე, ყველაფერი, უკლებლივ ყველაფერი!

ვგრძნობ და ვბედავ: მისი სული იკეტება, თრთის, ძრწის და იბრძვის — ბრაჩით, გაშმაგებით, თავგანწირვით.

მაჯობა, მეგობრებო, რა საბრალო ქმნილებაა ადამიანი: უცხო, ჩაკეტილი, შეუცნობელი!

წელან გითხარით: ჩემს რუსიკოს ერთბეღ რომ შეეხედავდი, გული კოლოფივით გაეხსნებოდა მეთქი. ტყუილია, ჭორია! გახსნა, გამიღო, მაგრამ ნახევარი თუ მეთათედი დამიმალა, და სწორედ ეს მეთათედია ყველაფერი.

სხვებიც, ყველანიც ასეთები ვყოფილვართ ურთერთათვის. როცა საჭირო არ არის, მუდამ ღია ვვაქვს გონებისა და სულის ყველა კარები და სარკმელი. მაგრამ მაშინ, სწორედ მაშინ, როცა ერთმანეთის ყოფნა თუ არ ყოფნა უნდა გადაიჭრას, სწორედ მაშინ ვიკეტავთ ცხრაკლიტურით ყოველ ხვრელსა და

ჭუჭრუტანას. ასეთ დროს ადამიანი თვალის ერთ დახამხამებაზე რკინის მურ-
თად გადაიქცევა ხოლმე. ველარაფერს გაუგებ, ვერც მიხვდები. ხოლო ვინც გონება
გიშველის, ვერც ალღო გაგიჭრის, ვერც მანქანა, ვერც ჯაღო ^{ეროვნული}
არ ვიცი, ან ვინ იცის, ეშმაკმა მოგვცა საწამებლად ეს თვისება, თუ
ღმერთმა სასიხარულოდ. მაინც მკონია: ბრძენთა ბრძენია ბუნება. ურთერთის
სულში რომ შეგეძლებოდა ჩასახლება, ან ერთმანეთს დაეჭამდით, ან თავებს დავი-
ხოცავდით.

დღე გათავდა. სტუმრები წავიდნენ. ჩვენც დავწექით.

თურმე წელან სამოთხეში ვიყავით, ახლა კი გოლგოთას შევეუდექით.

ვწევართ ორივენი ურთიერთისაგან ერთის ადლის მანძილზე და ცალ-
ცალკე რკინის ჯვრებს მივათრევთ.

არ ძალმიძს ადვილიდან დაძვრა. ვხვწვით, ებორკავთ, ვიკლაკნებით.
უსიტყვოდ შეძახის, მაგრამ ვერ მიედივარ, თანაც მეშინიან—თვითონ არ მოვი-
დეს მეთქი ჩემთან.

შუაში ვილაც ჩავვიდგა თუ ჩავვიწვა. ვიცი, რა თქმა უნდა ვიცი, რომ
ის ვილაც ახლა სხვაგან წევს—წავს მიწაში. მაგრამ ალბად ორნი გახდნენ, და
შეორე ამ ფამად აქ არის, აი აქ... ჩემს გვერდით... და რუსიკოს გვერდითაც.

სლუკუნი მესმის. ჩემი ცოლი სტირის. სხვა დროს კოცნით შევეუშრობდი
მლაშე ცრემლს, ახლა კი... ახლა ველარ ვიძვრი. რკინის სალტებით თუ დამაბა
„იმან“.

მამლები შეორედ ჰყვიან. და ჩვენც ჩვენის ოხვრითა და კვნესით იმ მამ-
ლებივით ვყვივით.

უცებ სიბნელეში თბილი მკლავი მომეხვია, თბილმა ცრემლმა ლოყა და-
მისველა და ჩემმა ქეთინმა ყურში ჩამისხა:

— შენთვის... მხოლოდ შენთვის... მარტო შენთვის.

მესმის, მეც მესმის: ჩემთვის, მოხდა, მარტო ჩემთვის. მაგრამ...

ბნელს ოთახში მაინც თვალწინ ნიღვას აფთარიძე: თითქმის ჰაბუკი, ახო-
ვანი, ძლიერი, ლამაზი. ისიც ვიცი, რომ რუსიკომ მრავალი ღამე უძღვნა მას.

— მხოლოდ ჩემთვის? მარტო ჩემთვის?—მირახუნებს საფეთქლებში.

რა თქმა უნდა, მარტო ჩემთვის მიდიოდა. თუმცა...

და უცბად ვილაცამ თუ რაღამაც ელვასავით გაუხრიწა წარსულის ერთი
კუნჭული.

* * *

პაწაწინა ანბავს აეხადა ფარდა. სამი წლის წინათ კინოში ვართ მე და
რუსიკო. ჩემმა ცოლმა მანიშნა: მე კისერი გაღვიღრიცე, მან კი დასჭიმა,
ძლივს მომწვდა და ყურში ჩამიფაჩუნა:

— აგერ, კაცი რომ მოგვეჩერებია, მაღალი და შავქუდა, არ მასვენებს, მუ-
დამ დანიდევს. მაგრამ—და მაჯაში მტაცა ხელი—ხმა არ გასცე, თორემ...

არც გავეცი. ოღონდ თვალი თვალში გავუყარე და დიდხანს აღარ მოვა-
სვენე. ივრანო, გავაგებინე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იქნებ შენც მოგწონს, რუსიკო, გამოტყდი.
შემომხედა, გაიციინა და ისევ ყურში ჩამიღვენთა:

— შენ კი გჯობია...

და ჩაიხიბხითა.

ეს კი მართალია. მე მჯობდა, აფთარიძე მჯობდა.

იქ, დაკითხვის დროს მეხსიერებას ვიღვსავდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი —
სად ან როდის ვნახე მეთქი ეს კაცი. მაგრამ ველარ მივაგენი. კინოში გაკვრიოთ
ნანახი უკვე დამვიწყებოდა. ახლა კი უცებ წამოდგა და შხამად ჩამეწვეთა.

თქმა არ უნდა, აფთარიძე მჯობდა. ცხადია, რუსიკომაც ამჯობინა ჩემს
თავს.

— ჩემთვის წავიდა, ნხოლოდ ჩემთვის, — არ მშორდება ოთხი სიტყვა, —
მაგრამ შემდეგ?

თვალის აქვს, გემოვნებაც. სასხლიც უღულს. და შემდეგაც ცხადია: მამ-
ჯობინა, მილალატა და გამცვალა.

ალარ ვიცი, ვისთვის სტირის: მკვდარსა ჰგლოვობს თუ თავის თავს?

არ ვიცი და ვიტანჯები. ეს კი ვიცი — ვერ გავიგებ: შეკუმშული ბურთია.
ბოდმა მახრჩობს, და მეც ვახრჩობ რუსუდანს: ყელში ვწვდები და ვახრიალებ.

ძლივს განისხლტა, სკამს წააწყდა, წააქცია და წაიქცა.

წამოვხტი და ვიცვამ. მეშინიან ჩემივ თავის. ვიცვამ და ნივრბივარ. საით,
ვისთან — მეც არ ვიცი.

რომ თვინდება, სადგურზე ვბოულობ ჩემს თავს. სალამოზე ბუხრის წინ აღ-
მოვჩნდი. მე და სოლო არაყს ვსევამთ, ხობობს ვახრამუნებთ და ნადირობაზე
ვლაპარაკობთ.

იმ კუთხეში ნაცნობ-ნათესავი ბევრი მყავს. რიგრიგად მპატივობენ, მას-
მევენ და მიელიან.

ერთი თვე გადის. რუსიკო მეღის. წერილი წერილზე მომდის. მეც მივეცი
პასუხი:

„ალარ შამიძლიან. დამივიწყე. შენს თავს უბატრონე. მე დაღუპულად ჩამ-
თვალე. რასაც ვიშოვნე, მოგაწოდებთ. ვიცი რომ სარდიონი საიმედო ხელშია.
დედა ჩემიც მანდ არის და შენც ხომ დედა ხარ. ვიცი რომ ჩემთვის ნობდა,
მარტო ჩემთვის, მაგრამ... დამივიწყე. ალარ გკოცნი“.

მერე დავბრუნდი, სხვაგან დავსახლდი და ნელ-ნელა თავდაღმა დავეშვი.
ახლა რაცა ვარ, თქვენცა მხედავთ. არცა ვხნავ, არცა ვთესავ, მაგრამ თქვენის-
თანა ხალხის წყალობით, მეგობრებო, მუდამ მაძლარი გახლავართ.

მას აქვთ წელიწადი გავიდა. რამდენჯერმე ვცადე: თავს დავლუნაე, თვალს
დავხუჭავ და ჩემს ოჯახს მივადგები. მსურს შევიდე, დავივიწყო და ხელახლად
დავიბადო. მაგრამ კარებთან „იმის“ ლანდი მეტუხება. აწეული ხელი ძირს მი-
ვარდება, მოდრეკილი კისერი მისწორდება, თვალბიცი მეხილება და წყველა-
კრულვით მოვრბივარ.

მერე ოჯახიც დაინგრა. დედა ჩემი ძმას შეაგედლა. რუსიკო თავის მანას
დაუბრუნდა, სარდიონიც წაიყვანა. ზრდის და სცხოვრობს, სცხოვრობს და

ცხოვრებას ლოდვიით მიათრევს, ან ცხოვრება მიათრევს რუსიკოს, ან კიდევ —
ორივენი დაათრევენ და სძიძნიან ერთმანეთს.

ზოგჯერ მიპოვნის. შოვა, დაჯდება და სტორის. აღარ მპატივობს უწყულის-
კენ. იცის, დაღუბული კაცი ვარ. ქვა ვიყავ და ქვიშად დავიშალე, — მარტო ქვი-
შისაგან ოჯახი აღარ აშენდება.

ახლა თვითონაც შეჩვია და მეც მომასვენა. აღარ დადის. მგონი დამი-
ჯერა — შაიძლება გათხოვდეს.

ყმაწვილებო! ესპანურმა სისხლმა დამლუბა: ქედფიცხელი, თავგოროზა,
ამპარტავეანი, ცამდის ალესილი — აი თქვენი გივი შადური. სხვა ჩემს ნაცვ-
ლად ყველაფერს მოინელებდა.

რთული ვარ, უცნაური: ჩემი ბინის კიბიდან სიამაყე ავი სული მებრუ-
ნებდა. გოროზობამ ჩამიშალა ოჯახიც და მეც ჩამძირა. არ ვიკადრე სხვისი ნა-
თელავი. ახლა კი... უცხო ხალხთან ვხივარ და ნასუფრალს მივირთმევ. სიბრ-
ძნე თან დაგდევთ და წინაც მიგიძღვით ყველას. გაიგეთ და გამაგებინეთ: რო-
გორ, ან რად მოხდა ეს ამბავი? სთქვით რამე, მითხარით, ან გამკიცხეთ, ან
განმიკითხეთ.

ყველანი სდუმხართ. ძნელი ყოფილა პასუხი. თქვენზე არ ყოფილა ნათ-
ქვამი — სხვა სხვის ონში ბრძენიაო.

მეგობრებო, თავი მოგაბეზრეთ. მაინც, ოდნავ თუ გაგართოთ ამ ამბავმა,
ეს ერთი იყოს და სხვა ათასი. კიდევ შეგხვდებით და გიამბობთ. რიგის პური
არ დაველევათ. ბატონ ნიხეილსაც მასალა მიეცემა. აი, ახლაც გაიკრა ხელი
უბის წიგნაკზე. ჩაწერავს. ვილუბები.

ნახვამდის, ყმაწვილებო! კეთილი და პატიოსანი, იყოს ნება თქვენი, ერთ-
საც გეახლებით. ორი ჭიქა მუბევრება, მუხლი არ მომჭრას. კურთხეულ იყოს
თქვენი სუფრა და ჩემი შემოსწრება!..

აგრუნც მტერი დაგეცალოთ. რაც უნდა სთქვან, კარგი ღვინო ყოფილა.
მშვიდობით, მეგობრებო, მშვიდობით თუ ნახვამდის! არ დაივიწყოთ გივი
შადური. აღაპებსა თქვენსა წინა მუდამ კეთილად მოიხსენეთ. ხე-ხე, ისევ ძველმა
გამკრა!

მაშ მავდივარ. დღევრძელობით და გამარჯვებით!

ეპროკა

I

სასახლეები, შანტანები, დვას სართულები;
აგერ ქარხნების აბოლებენ ბოლსადენები;
დვანდვარებს ქუჩა, რკინის ენები;
მორბის ტრამვაი, ფორდი ულევი
და თვალსაჩინო...
არის ურიცხვი ხროვა, არავა,
თითქოს იშლება გიგანტური ქუჩა-მარაო,
თითქოს იშლება თეთრ ზეწარზე ლენტები—კინო!
ო, როგორ მინდა შევაჩერო ყველა გამვლელი:
გონებით სავსე, უგუნური და უსწავლელი,
ვულს შეკითხვების ჩაუსვა ყინვა:
მიდიხარ საით—
ქვაფენილების ჭადრაკებზე მოხეტიალევი?
ჰგინაეს მაშინა,
ბოლთაქშენა ცაში ციალებს;
თვალწინ იხრდება ინდოეთი—
მაგარაჯი თავს რიდედგმული ვინმე ბენსაიდ
და მე გულცივი ქალაქები მიჩენს იარებს!
ისმის ყბის ძვლებით,
როგორც გარუჯული ქვაბების გმინვა:
„უაიტ...“
„ოლ რაიტ!“

II

უცქერის ქალაქს შუალამის ცა, ვარსკვლავები,
როგორც მკითხავის გადაშლილი ცეცხლის კარტები.
მიმაქვს ფიქრები მოძმეთათვის განსამარტები;
დადუნებული დამიცვინდა ტანზე მკლავები.

III

მიმქონდა გემით საქართველოში
გული გაქურდული.

ანაოთ დაუშვი კაიუტის ურდული
და უკანასკნელიც გადაყარე ჯიბიდან გროში,—
რადგან ევროპას ეცინება წრფელი ზრახვების...

ვიდექი პალუბაზე შლიაპით, ყელსახვევით,
როგორც დაპლომატა, გაიძვერა აღრინდელი
და აღარ მახარებდა დღე ხვალინდელი.

წყეულამც იყოს ღნერთი მონობის
და სასწაული კაცთ მაწვალები;
ვიცი არ არის ქვეყნად სიმართლე:
ცა, შემომქნედი, მისი შვიდი დღე;
მიტომ ვიტყვი შე
და ძმებს მივმართავ:
დღე, ვიხილო თქვენი ხელები
სინათლის შუბთა მხნე გახულებით.
გნირადენ ავსა გველეშაპ-ლამეს—
გადაუსროლეთ საუკუნეს ძლეული კუნტი!
მაშინ მივალწევთ ღროსა უამესს:
სიკვდილის შიში ვერ დაჰხურავს—
ტვინს, როგორც ჭურის სარქველი—ორგო!
არ დაიდგმება აზრისა და გრძნობისთვის ყუთი,
სადაც სცვივოდა გამყიდველი ფული და ოქრო!

IV

შე ასე, ახალ სამყაროს ქებით
'ხღვის შორი გზები გავიადვილე;
ეს იყო ფიქრი, ნაპირებს გემით
მაახლოვებდა კვლავ სინამდვილე.

V

აბოლებს გემი ჩიბუხივით ბოლსა გულუხვი
ახალშენიდან დატვირთული ლალა-კულუხით...
ნე ვნახე დიდი რიტმიული ქალაქი სოფლის,
ქიშპობა, მტრობა დასახული ცნებად ცხოვრების.
აქ, სასახლენი აღმართული სისხლის მორევით,—
სწურავენ მაჯებს დაძარღვულებს შრომით და ოფლით!
და შემეშინდა ამდენი სისხლის!
შეგეშინდება გადასროლილ ათას გვაშების!
განა ისინი ტომრებია სავსე ბანბებით?



განა მათ გულში არ იძროდა
 ალისფერი სისხლის ბგერანი?
 მე ეს კითხვები შუალამის მიმაქვს ვერანი,
 მსურ საბყრობილის დაიღწოს ყველა ურდული
 და გულში ბოღნით დაგუბული ამოცება,
 მინდა სურვილი გადაფრინდეს, როგორც შურდული,
 თორემ მოკვდება—
 „მოკვდება ეჭვქვე“ მაცხოვარი, თვით-სასოება!“

VI

მაგრამ რას გვარგებს დღეს ესენინ სისხლდაწრეტილი?!
 ეხლა ჩვენ გვინდა ვერხარენის სასტიკი ქარი,—
 როგორც ბიგელის მიკარება, ერთი წერტილი,
 სად ელექტრონი გადაირბენს ელვისებო ჩქარი
 და რონოდები მოძრაობენ ათასი ქუჩით...
 საყვირათ—ყრონტი! რუბორათ—ტუჩი!

VII

ჩემი შეხვედრა ევროპასთან უკვე დასრულდა
 თაყისუფლების ბასრი მახვილით.
 მე აღარ მსურდა
 მეოცნება ნიანორივით,
 გაიბო გული ცულზე მორივით,
 გული აღსავსე აღშფოთების ზოხი ძახილით!

VIII

მაღაგასკარზე გადადიან შენაოსნები.
 და უვითელ ზღვიდან სურთ გამართონ ჩინელთა ხოცვა.
 მე მინდა ჩავდგე რიგში მგოსნებით
 ისევე ახლოს, ვით სისხლთან, ხორცთან!

IX

უკვე გადატყდა საუკუნე ფულის—მორგანის,
 მილიონთ ხელმა შეაბრუნა ქვეყნის ბორბალი:
 იბრძვის აბალი პრომეთეოსი,—
 აღმო-დასავლით ჩანს ჩირაღდანი,
 გადაისროლა ყველგან შანდალი,
 ჩინ-მაჩინეთში დგას ვით ქორესი!

სისხლი*)

რომანი

XV

ვასოს მიერ დანიშნულ საათისათვის ამხანაგმა კოტემ ანდრო ციხის კართან მიიყვანა.

ნაშუადღევადან წვიმას გადაელო, და საზოგადოებასაც ციხესთან ბლომად მოეყარა თავი.—ესენი იყვნენ მორიგე კვირა დღეს სანახავად მოსული დაპატიმრებულთა ჭირისუფლები:—დედები, დები, მამები, ძმები და სხ.

უმრავლესობა ჩამოსული გლეხობა იყო. ამათში, კიდევ დედაკაცები სჭარბობდნენ.

ბჭისა და კედლის გასწვრივ ჩარიგებულიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად.

დაბალი, დუღუნისებური ხმაურობა იდგა, ჯგუფებ შორის კილოებათ დანაწილებული.

მეტწილად გურული კილო ისმოდა, სხარტი და გამყივანი. საერთო ხმაურობას მეგრელების გაუბედავი ქართულიც შეჰპაროდა.

ციხის კარისა და კედლის შეღრმავებულ კუთხეში ორი უცხო ქალი მოთავსებულიყვნენ.—ერთი, ხანდაზმული, კუთხეში მიდგმულ ზანდუკისებურ მოდილო კალათაზე ჩამომჯდარიყო, შალმოხვეული, ქანდაკებასავით უძრავი, და წმიდა-სანთელივით ჩამოქნილი სახე, შიგნით ჩაკეტილი შეურაცხების ნიშნებით მოუთმენლად მოფუსფუსე ხალხისაგან გაერიდებია.

მეორე, დაბალი, სოფლურად ჩაცმული მის გვერდით იდგა. ამას მარჯვენა ხელში გაუშლელი ქოლგა ეჭირა, მარცხენაში — ხელსახოც-გადაფარებული ხელის მოზრდილი კალათა. პირი შეღრეჯით დაელო და სახესა და თვალებში შიში და დიდი გაოცება ჩასდგომოდა. ხამივით დაურბოდნენ თვალები.

ორივე სდუმდა.

კოტე და ანდრო, ციხის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა ჩაყოლებული ქვაფენილით მოვიდნენ. ამ მხარეზე ინტელიგენტების ჯგუფი მიმოსეირნობდა, ნახვის დაწყების მოლოდინში, და ციხის ზედასართულის დარკინულ ფანჯრებზე მომდგარ ტუსაღებს საიდუმლო ნიშნებს აძლევდა, ჯარისკაცის საყარაულოზე მიმოსვლასთან შეფარდებით.

*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ №№—2—3.

ჟურნალი „მნათობი“ № 4.

ქვაფენილიდან კოტემ ანდრო ციხის შესავალთან შეჯვრულ ხალხისაკენ გამოისტუმრა.

— ხომ იცნობ იმ პატარა კაცს, ამ დილას რომ აქ მოსვლას დაგვირდა... ის იქ მოვა... უთვალთვალე. არ გამოგეპაროს. მე კი შექვიყნებამს ციხისა და თვითონ ქვაფენილზე მოსეირნეთ შეუერთდა.

რამდენადაც უახლოვდებოდა ციხეს ანდრო, იმდენად მისი ისედაც გულჩათხრობილი სახე უფრო და უფრო შეუვალი, დახურული ხდებოდა და უსულო ნიღაბს ემსგავსებოდა.

სულ ძირს იშვირებოდა. ხანდახან თუ გარშემო მიმოიხედავდა, უთუოდ თვალებს ქვეშიდან, თითქოს იმისი ეშინოდა, ვისმე მის ფარულ განცდისათვის თვალი არ მოეკრა და უსაიდუმლოესი აზრები არ გამომჟღავნებოდა.

ქუჩაზე რომ გადმოვიდა, შექუჩებულ ხალხიდან, რამდენადაც შეიძლებოდა, თავი მოშორებით დაიჭირა. ქუჩის პირად მდგარ ფარნის სვეტს მიეყრდნო და გახედა.

ექვმიუტანელი ამბავი იყო, რომ ანდრო ქარივაძე ქუთაისის ციხის შესავალთან იდგა.

ანდროს გონებაც ფარული შეკვირვებით სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავდა ახლა.

„ქუთაისის ციხის შესავალთან!“

იმ ციხის, რომლის უფროსად ანდროს მელიტონ აბლანდია ეგულებოდა და რომლის შორი-ახლოს, თუ არა სადმე, ამ დიდ გალავანს შიგნით, ვარდოს სამყოფელიც უნდა ყოფილიყო.

სად მოიყვანა ბედმა ანდრო!

მას ხომ ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ოდესმე ამ ციხეს ეწვეოდა!

ვითომ ასეა: მართლაც არ უფიქრნია?

თუ სოფლიდან წამოსვლის წამიდან, გული იღუმალ სულ აქეთკენ ჰქონდა, და ამ გარემოებას როგორც სხვას, ისე თავის თავსაც უმაღავდა?

შესაძლებელია ასეც იყოს.

მაგრამ ვინ მიხვდება, ამ საიდუმლოებაზე შეყვარებული ბიჭის ნიღაბს ქვეშ რა აზრები და გრძნობები იმალება?

აი, ახლა, ამ საათში ის ჯალათი აბლანდია, ალბად ციხის იმ რკინის კარებს იქით იმყოფება, აქეთ კი—ანდრო ქარივაძე: იქნება სულ ოციოდე ნაბიჯი ჰყოფს მათ... სულ მხოლოდ ოციოდე ნაბიჯი!

გული აუტოკდება ანდროს.

მკლავის კუნთები დაეკიმებიან და ხელის გული და თითები ისე მოხაზავენ ჰაერს მალულად, თითქოს რევოლვერის ტარი მოემარჯვნათ და ჩახმახი გასასროლად შეეყენებიათ...

ანაზღეულად ციხის კარისა და კედლის კუთხეში კალათაზე ჩამომჯდარი, შალმოხვეული ქალი შენიშნავს ანდროს და უძრავი სახე უცბად შეუკრთება. უალრესი შეკვირვებით დააკვირდება. მერე მის გვერდით მდგომ ქალს ასე მიმართავს:

— მაიკო, მოიწიე აქეთ... ხომ არ მეჩვენება: ის ბიჭი, ^{ფარანთან} რომ
სდგას, ჩვენი ანდრო ხომ არ არის, ქარივაძე?... შეხედე კარგად.

მაიკო თვალებს ჯერ შორს გაისერის. მერე დაბნულად ^{ქვემო-ქვემო-გზით}
რებით მიმოაუღებს. მაგრამ ვერავის ვერ იცნობს.

— საით იმხირები, გოგო? აგერ ფარანთან მეთქი.

ახლა კი დაინახავს მაიკო ანდროს.

— დედაია!—წამოიკივლებს. მარჯვენა ხელიდან ქოლგას გააგდებს და ზე-
დიხედ სამჯერ პიჯვარს დაიწერს.

— ჯვარი აქაურობას!... ანდროა, ქალბატონო... რა უნდოდა აქ შეჩვენე-
ბულს? ღმერთო, შეგვიწყალე!

— შიდი, აბა, ერთი... და ჩემი აქ ყოფნა უთხრი.

მაიკო კალათიანად ნიიჭრება ანდროსთან.

— ანდრო, შენ ხარ, შე წყეულო?... სიზმარში ხომ არ ვარ... მოიხედე აქეთ!
ანდრო ნაკბენივით შეკრთება ნაცნობი ხმის გაგონებაზე. მოტრიალდება.
შეხედავს. შიშისაგან სახე მოექცევა.

— ვერ მიცანი? მაიკო ვარ, ბიჭო!

— შენ? მაიკო?... საიდან, ქალო?

მიუახლოვდება ანდრო, ხელს მკლავზე მოჰკიდებს გასინჯავს, შეამოწმებს.

— ქალბატონს ჩამოვყუევი... გეცოდინება, არჩილი რომ დაიჭირეს.

— ქალბატონს? მერე სად არის ქალბატონი?

— აი, აგერ ზის,—და მაიკო თავის ქალბატონისაკენ მიიხედავს.—დილი-
დან აქა ვართ... იცი, არჩილის ნახვის ნება არ მოგვცეს.

როგორც კი შეხედა ანდრომ არჩილის დედას, სალომეს, მყისვე მისკენ
გაეშურა.

— მართლა შენ ყოფილხარ... აქ რა გინდა, შვილო ანდრო?—ჰკითხა სა-
ლომემ სახელეწილ ანდროს მოახლოვებისთანავე და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

— არჩილის სანახავად მოვედი, ქალბატონო...

— არჩილს რომ არავის ვანახებთო... ხომ ხედავ: დავიღუპე, ანდრო...
ჩემი არჩილი დაიჭირეს.—დამკლრეული ხმით განაგრძო სალომემ.—ამ სიშორი-
დან ჩამოვედი დედა შვილის სანახავად... და აქ მითხრეს, ნახვის უფლება არა
გაქვსო... გუშინდელს აქეთ მისი საჭმე განსაკუთრებულ განომძიებელს გადაეცაო
და სანამ გამოძიება იწარმოებს, არავის ანახებენო... ახლა რა ექნა, არ ვიცი...
ვის მივმართო... ნეტავი, რა დააშავა ჩემმა შვილმა ამოტელა, სხვას რომ არ
დაუშავებია...

გაუკვირდა ანდროს ეს ცნობა. აკი მას ამ დილას უთხრეს ამხანაგებმა, რომ
არჩილის ნახვის ნება არისო.

— უარი ვინ გითხრა, ქალბატონო, ნახვა არ შეიძლებაო.

— თანდარმების სამმართველოში მითხრეს... შეიძლებაოდაო, მაგრამ ახლა
არაო... გარემოება გამოიცვალაო... ამდილას მითხრეს... ბევრი ვეშუდარე ცრე-
მლებს ქვეშ, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა... მითხარი, ანდრო, შენ გეცოდინება,

რა ამბავია ჩემი შვილის თავს?... სანახავად მოვედიო, რომ მითხარი, ნებართვა საიდან გაქვს?

— მე მიხერხებენ... ისე... ამხანაგები...

— მერე, უთხარი მეც მომიხერხონ... ისე როგორ დავბოუბნდე, არჩილი ვერ ვნახო...

— კი... ამას ახლავე გავიგებ... მოხერხდება უთუოდ... ნუ იჯავრებ... — უპასუხებს ანდრო და ქუჩის მეორე მხარეს მიმოავლებს მიმინოს თვალებს. კოტეს რომ დაინახავს, მისკენ გაქცევას დააპირებს.

— მოიცა, ანდრო... ასე უთხარი: დედა არის თქვა, ამ დილით ჩამოვიდა-თქვა... გესმის... შვილის ნახვა უნდა თქვა... — ხელს წაავლებს ანდროს სალომე, შეაჩერებს და დარიგებას მისცემს.

— ამას თუ რამე შეუძლია, რომ არ გააკეთოს, არ მოვკლავ უბედურს?... ამას გარედ რა უნდა, შეჩვენებულს, როცა არჩილი ციხეშია... — ჩაერია თამამად მაიკო.

— შენ გაჩუმდი, მაი... — შეაჩერა იგი სალომემ და ისევ ანდროს მიუბრუნდა. — მერე კიდევ, აი, რა გითხრა: ვარდის ქალი, ვარდო, ამ ციხის უფროსზე არის გათხოვილი... იქნება, ისიც დაგვეხმაროს, და ნახვაც მოხერხდეს.

ანდროს ამის გაგონებაზე სახე მოელუშა.

— საჭირო არ არის... გამიშვი ქალბატონო... გავიგებ ახლავე... აქვე.

ანდრომ გაიწია. გაინთავისუფლა თავი, და ქვაფენილზე მოსეირნე ამხანაგ კოტესკენ გაიქცა.

— იქნება, მართლა გამომადგეს ეს ბიჭი... — სთქვა სალომემ. მერე ნალვლიანად ჩაილაპარაკა: — ვაი, ამ დროს... ღმერთო, რას შევესწარი...

ანდრომ კოტეს გადასცა სალომეს გასაჭირი და არჩილის გამომძიებელზე გადარიცხვის ამბავი, არჩილის დედას რომ გაეგო უანდართა სამმართველოში. კოტემ ამ უკანასკნელ ცნობაში ექვი შეიტანა.

საათი ამოიღო და დახედა. პირველი სრულდებოდა.

— აი, ამხანაგი ვასოც გამოჩნდება სადაც არის: მართალ ამბავს ის მოგვიტანს. — უთხრა მან ანდროს. — დადიშინის დედა აქ არისო სთქვი? — ჰკითხა მერე.

— აქ არის... — მიუგო ანდრომ. — ციხის კართან ზის... — და სალომეზე ანიშნა.

კოტეც ნელი ნაბიჯით მისკენ გაემართა. ანდროც გაჰყვა.

სანამ ქუჩას გადაჭრიდენ, წინ ეტლმა ჩაუარათ, რომელიც ციხის კარებთან დადგა. ეტლიდან ცაცა და შალვა რამაძეები ჩამოხტენ. ცაცას მოდიდო ქალაღდის შეკვრა მოჰქონდა ფრთხილად.

კოტე შესდგა და მათ სალამი მისცა.

შალვამ ჯერ შეათვალიერა იქაურობა. მერე ცაცასთან ერთად კოტესაკენ წამოვიდა.

— უკაცრავად... ამხანაგი ვასო აქ ხომ არ არის? — ჰკითხა მან კოტეს და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— ჯერ არ მოსულა...—უბასუხა კოტემ ხელის ჩამორთმევით.— ჩვენც მას ველოდებით.—მერე ცაცასთან მივიდა.—ახალი ხომ არაფერი გაგიგიათ არჩილის შესახებ?

შალვამ უცნობ ანდროს უნდობლად გადახედა. მერე კოტე ცაცა განზე გაიხმო და საიდუმლოდ ლაპარაკი დაუწყო.

ცაცა და ანდრო პირი-პირს შერჩენ ერთმანეთს.

ცაცამ თვალების ერთი მოსმით შეათვალიერა ანდრო უცხო რომ იყო და დაჟინებით უცქეროდა, არ მოეწონა. რისხვით შეაჩერა მის სახეზე თვალები და შეტევით ჰკითხა:

— თქვენ ვისთან ხართ?

— არჩილთან.—მოკლედ მოუჭრა ანდრომ.

— არჩილთან?—გაიკვირვა ცაცამ.—რა ხართ მისი?..

— ძიძისშვილი.—დაუყოვნებლივ მიუგო ანდრომ.

— სოფლიდან ჩამოდით?

— დიალ...

მაგრამ ანდროს უცბად სახე გამოეცვალა. რაღაც გაუკვირდა მოულოდნელად და ეჭვის მიტანით დააცქერდა ცაცას.

ისე მისჩერებოდა, თითქოს იგონებდა, სად ენახა იგი, და კი ვერ მოეგონებინა.

ცაცამ კი მისგან პირი მიიბრუნა.

ამ დროს ფართე და ნათელმა ღიმილმა გაუნათა უცებ სახე ანდროს, თითქოს რაღაც უდიდესად გახარებოდეს.

„ის არის!“ დაეკრა ტუჩებზე.

მოაგონდა:

როცა ცხრაასხუთის აჯანყებას მოყოლილმა რეაქციამ სურამის ქედი გადმოლახა და ადგილობრივად მომუშავე რევოლუციონერები გაერიდნენ მის ცეცხლსა და მახვილს, ანდრო არჩილის დედას იმის გადამალვაში ეხმარებოდა, ჯრაც არჩილს სახლში პროკლამაცია და აკრძალული წიგნები ჰქონდა.—ქალაქლებისა და წერილების გადარჩევის დროს სალომე უცხო ფოტოგრაფიულ სურათს წააწყდა, მაგიდის ყუთის უკანა კუთხეში მიჩქმალულს.

— „ვინ არის, ბიჭო, ეს ელამი გოგო? იქნება, შენ იცნობ?“—ჰკითხა მაშინ სალომემ ანდროს და სურათი აჩვენა.

ანდრო დააკვირდა... დააკვირდა...

და, აი, მხოლოდ ამ წამში მიხვდა, თუ ვინ იყო იმ სურათზე დახატული.

„ის არის“, დაიდასტურა მეორედ მიხვედრა.

კიდევ უნდოდა დაკვირვებოდა ცაცას და გულში მაინც, მალულად, თაყვანი ეცა საყვარელი არჩილის სატრფოსთვის, მაგრამ ამასობაში შალვამ და კოტემ მოათავეს საიდუმლო თათბირი და უკან დაბრუნდნენ.

ამათ ახლა ძალზე შეფიქრიანებული სახე ჰქონდათ.

ცაცამ ერთი თვალით გადახედა კოტეს და რაღაც განსაკუთრებული მწუხარებით ჰკითხა შალვას:

— შალვა, მართალი ყოფილა?



მაგრამ ანდროს ვასოც გამოჩნდა ათობარიკებით მომავალი და ყველანი მისკენ გაემართენ.

ცხვირზე ოფლი უკამკამებდა ვასოს და შეკავებული ჰქონდა მისი პირი.

— ხომ არ დამგვიანებია?— იკითხა მან პირველადვე და თვალების ჩქარი შევლებით ციხის კარზე მიზღვავებული ხალხი შეათვალიერა. მერე სათითაოდ ხელი ჩამოართვა მასთან მისულ ამხანაგებს, ცაცადან დაწყებული. ანდროს ჰკითხა წელიმებულად:

— თქვენ ხართ არჩილის ძიძის შვილი, ამ დილით ჩემთან რომ იყავით?... გერგაძე... სანდრო...!

— დიალ...

ცაცა ახლა ერთხელ კიდევ დააკვირდა ანდროს. მათი თვალები ერთნაირი ინტერესის გამოაშკარავებით მოკლე წამით კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს.

„გერგაძე?“— გაიფიქრა ცაცამ. პირველად ესმის ეს გვარი. თუ ასეთი ძიძის შვილი ჰყავდა არჩილს, რატომ ერთხელაც არ უთხრა ეს მას?

— საქმე ახლა შენდევშია, ამხანაგებო...— დაიწყო დაბალ ხმაზე ვასომ.— ამხანაგი არჩილი საგანგებო საქმეთა გამომძიებელზე გადაურიცხავთ. მისი ნახვა აკრძალულია... ცალკე „სექრეტში“ მოუთავსებიათ... როგორც გავიგე, ფოთთან მომხდარ ამბავს უნდათ დაუკავშირონ... მაგრამ, შეიძლება ეს ნამდვილი არ გამოდგეს...

ყურები სცქვიტა ამის გაგონებაზე ანდრომ. უცნაურად წაიღესა სახე და კისერი წაიგრძელა, სმენად გადაიქცა, ჩუმად, გულჩათხრობილად. თითქოს სუნთქვაც შეჩერებოდეს.

— ეს ხომ საძაგლობაა!— ვერ მოითმინა ცაცამ და სახეზე სისხლ-ავარდნილმა გააწყვეტინა სიტყვა ვასოს.

შალვამ კი პენსნე ცხვირზე შეისწორა და განზე მიიხედა შენაღვლებით.

— ჯერ კიდევ დანამდვილებით არაფერი ვიცით...— განაგრძო ვასომ.— ყოველ შემთხვევაში, საქმე გართულებულია... მაგრამ ჩვენ მაინც დღეს ვნახავთ არჩილს... ნებართვის ქაღალდები მოვიმარაგე... აი, გადმომიცია...— დასთვალა და ისე ჩამოარიგა.— არჩილის მნახველთ მეტი აღარ ერგოთ... მაშ, ასე: პირველ რიგში თქვენ შედით... მეორეში— მე. ნებართვაში აღნიშნული გვარები დაიმახსოვრეთ ყოველ შემთხვევისათვის.. არჩილი გაფრთხილებულია და „ძირს“ იქნება...

— ეს ყველაფერი კარგი, ამხანაგო ვასო... მაგრამ აქ სხვა საქმეც სჭირს... დადიშანიის დედაა ჩამოსული... და ნახვის ნება მისთვისაც არ მიუციათ...— განაცხადა კოტემ.

— დედა? სად არის?— იკითხა გაკვირვებით ცაცამ.

— აქ არის, ბატონო...— ჩაერია ანდრო და ამხანაგებს იქეთკენ მიახედვინა, სადაც სალომე იმყოფებოდა.

ყველამ ერთდროულად შეხედა არჩილის დედას.

სალომე თავიდანვე აღევნებდა თვალებს ანდროს. ახლა, როცა დაინახა, რომ სამმა უცნობმა ახალგაზრდამ მისკენ ერთდროულად მოატრიალეს თავი

და დიდი ყურადღებით ცქერა დაუწყეს, წამოდგა თავის ადგილიდან და მათკენ გადმოდგა ნაბიჯი.

პირველი ვასო მივიდა მასთან.

— არჩილ დადიანიანის დედა ბრძანდებით? სასიამოვნოა... რა თქმა უნდა, თქვენ შვილის სანახავად ჩამობრძანდებოდით...—დაიწყო ვასომ სალამის მიცემისთანავე.

ცაცა, შალვა და კოტეც მიუახლოვდნენ სალომეს და თავი დაუკრეს. ანდრო კი შორი-ახლო დადგა.

— არჩილის მეგობრები ვართ... ჩვენც მის სანახავად მოვედით.—დაასრულა ვასომ და მოახლოვებულ ამხანაგებს განზე გადგომით ადგილი დაუთმო, თითქოს გააცნო ისინი სალომეს.

— მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი არჩილის მეგობრებს ვხვდავ, რომლებიც მას უყურადღებოდ არ სტოვებენ და მისთვის სწუხან...—თავის დაბლა დაკვრით მიმართა ყველას ერთად სალომემ. მერე ვასოს მიუბრუნდა.—დიად, შვილო, არჩილის დედა გახლავარ... ჩემი უბედურება ის არის, რომ შორიდან ჩამოვედი და ერთა შვილას ნახვის საშუალება კი არა მაქვს... ალბად, დიდ დამნაშავეთ სთელიან ჩემს შვილს, რომ დედას ნახვა ამიკრძალებს. მე მაინც რა დახმარების აღმოჩენა შემიძლია... მაგრამ ღმერთს ალბად არ გაუწირავს არჩილი, რომ თქვენისთანა ამხანაგები და მეგობრები ჭირისუფლებათ მიუცია მისთვის...—სთქვა და აცრემლებული თვალები ძირს დაჰხარა. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა.—ღმერთმა თქვენც არ მოგაკლოსთ, შვილებო, თავისი ამაგი და მზრუნველობა.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა არჩილის მეგობრებზე სალომემ.

ცაცას თვალებში ცრემლის მარგალიტი გაკიაფდა.

— ვინ დაუთმობს ნებართვას?—მცირე პაუზის შემდეგ მიმართა ამხანაგებს რუსულად ვასომ.—მე სიამოვნებით, მაგრამ საქმე ისე მოითხოვს, რომ უთუოდ უნდა ვნახო არჩილი...

წინ წამოდგა ცაცა. ნებართვის ქალაღი გაუწოდა სალომეს და უთხრა:

— ქალბატონო, ამ ქალაღით თქვენ შევიძლიათ დღეს ნახოთ არჩილი...

სალომემ დაკვირვებით შეხედა ახლა ცაცას. უფრო სახე ეოცა მისი, ვიდრე თავაზიანი წინადადება.

— დიდი მადლობელი ვარ... შვილო, თქვენი...—უთხრა პასუხად, მაგრამ მისდაუნებურად რაღაც გრძლად გამოუვიდა, თითქოს სიტყვებს მექანიკურად ამბობდა, ხოლო ფიქრში კი ამ დროს რაღაცას იგონებდა მისთვის დიდად საინტერესოს.—მადლობელი ვარ...—გაიმეორა და ქალაღი მეტისმეტად ფრთხილად და გაუბედავად ჩამოართვა. მერე მალულად აქეთ-იქით გაიხედა და ანდროს რომ თვალი მოჰკრა, საიდუმლო კითხვის გამოხატვით დააცქერდა, თითქოს ეკითხებოდა:

„არ გახსოვს, ანდრო, ამ ქალის სახე?“

— ამ ქალაღზე, ქალბატონო, სხვისი სახელი და გვარი სწერია... ვითომ თქვენ მის სანახავად შედიხართ ციხეში...—გააწყვეტინა სალომეს იღუმალის

ფიქრები ვასომ.—მაგრამ იქ კი... არჩილიც იქნება... და შეგიძლიათ/გამოელა-
პარაკოთ.

— მეც ამათთან ვიქნები... ერთად ვნახავთ არჩილს. ~~მაგრამ მაგრამ~~ შალვამ.
—მე მიბოძეთ თქვენი ქალაღდი!

— კი... მაგრამ...—ცაცასადმი მიმართვით დაიწყო სალომემ—იქნება, სა-
შური რამ საქმე გქონდეთ არჩილთან და ჩემი მიზეზით...—კიდევ დააკვირდა
ფარული შეოცებით, დიდი ცნობისმოყვარეობით.

— რას ბრძანებთ... მე სხვა დროსაც შემიძლია მისი ნახვა...—გააწყვეტინა
ცაცამ და თვალები აარიდა პირის მიბრუნებით.

სალომეს თვალთა გამომეტყველობას იგი, ცოტა არ იყოს, შეეკრთო.

— ჰო... დედა ვარ...—ორაზროვანი ოდნავი გაღიმებით წარმოსთქვა
სალომემ.—დედა...

ამასობაში ნახვის დაწყების საათმაც დარეკა.

ყველანი ციხის კარებისკენ გაეშურენ.

— მაიკო, ხომ ხედავ... მეც ძლივს შევდივარ... შენ აქ დაიცადე.—უთხრა
სალომემ—მთავის მოახლეს.

— ჩემი თავი მის სანაცვალოდ, ქალბატონო... შენ ნახე... ოღონდ ბარგს
ვინ შეიტანს... ან ამ კალათასაც.—უპასუხა მაიკომ და ვაჟებს გადახედა.—ესენი
არ გაირჯებიან? როგორ ვკადრო... მაგრამ...

ანდრომ სალომეს დიდ კალათს წაატანა ხელი.

შალვა რამაძემ მაიკოს ხელის კალათა ჩამოართვა.

— ესეც გადაეცი არჩილს.—უთხრა ცაცამ შალვას და თავისი შეკრული
გადასცა.


— მაშ, ასე: პირველ რიგში დედა, ძიძისშვილი და შალვა...—დაიჭირა
თავდარიგი ვასომ.—კოტე, შენ მოიცდი, თუ ახლა შეხვალ?..

— ვასო, ხომ იცი, მე სხვებიც უნდა ვნახო... მომელიან ალბად... სჯობია,
ამ რიგში შევიდე.—უპასუხა კოტემ ჩუმად.—თუ მოვახერხე, მეორეხედაც
დავრჩები...

— კეთილი...—უთხრა ვასომ და მერე ხმას დაუწია.—ჰო, რა უნდა მეთქვა
შენთვის, კოტე... თუმცა ამხანაგ თონას უთუოდ ვნახავ და ის შესძლებს საქმის
მოწესრიგებას, მაგრამ, იქნება, რა იცი, რა შემთხვევამ დამაბრკოლოს... შეეცადე:
მიხელა-იმერელი შენც გააფრთხილებინე, რომ არამც-და-არამც არჩილს არ
იცნობს... პირის-პირ რომ დაუყენონ, ვითომ პირველად ხედავდეს...—ჩაუჩურ-
ჩულა ვასომ კოტეს და თვალებითაც მიახვედრა, თუ რა მიზნისთვის ეუბნე-
ბოდა.

— მესმის...

— მეორე რიგში კი...—განაგრძო ახლა ხმამაღლა ვასომ:—მე და...—
მიმოიხედა, გვერდზე გამდგარი ცაცას ნაღვლიან სახეს მოჰკრა თვალი. თანა-
გრძნობით შეხედა და დაასრულა:—რა გაეწყობა, მხოლოდ მე... ამხანაგო ცაცა,
ჩემი შესვლა რომ აუცილებელი არ იყოს, უთუოდ დაგიბოძებდით...—მაგრამ აქ
ხალხის რევამ „დიდი ვასო“ სადღაც ნაფოტივით მიჩქმალა.

— მე მომყევით, ქალბატონო... აქეთ. რიდი ნუ გაქვთ.  წინ
სალომეს შალვა რამაძე.

XVI

წარმართული
ბიზანტიუმი

პირველ რიგში მოქცეული მნახველები მეკარემ სათითაოდ დასთვალა და ციხის ეზოში ასე გამოატარა

აქ მათ ზედამხედველებმა ალყა შემოარტყეს და კარებს უკან, საყარაულოსთან, მოაქუჩეს.

გასინჯეს. გაჩხრიკეს.

მერე რიგ-რიგობით ციხის მთავარი კორპუსის შესავლისკენ გამოისტუმრეს. არჩილ დადიანიანის დედა შალვას გვერდში ამოსდგომოდა, სახე შიშისა და პირველად განცდილ გრძნობისაგან შეფოროიაქებოდა. მაგრამ გარეგნული წონასწორობა—დარბაისლური თავდაქერილობა—მაინც შეენარჩუნებია.

ამათ უკან დიდი კალათით ხელში ანდრო დამდგარიყო...—კოტეს კი ზედ შესავალთან, ყველაზე წინ, დაეჭირა ადგილი.

ანდროს დიდად დაბნეული სახე ჰქონდა. თითქოს სადღაც სხვაგან იმყოფებოდა და უმიზნოდ ატრიალებდა ირგვლივ თვალებს.

ეტყობოდა რაღაც მაწუხებელი აზრისათვის თავი ვერ გაერთმია.

თითქოს სრულიად უინტერესოდ, შემთხვევით შემოსულ კაცივით ათვალეობდა ციხის კედლებს, ეზოს და გალავანს.

მარცხნით, მთავარ კორპუსსა და გალავანს შუა, ეზოს სიღრმეში, დაბალი ფლიგელი იდგა, რკინის მოაჯირით განცალკევებული, რომელშიაც ციხის უფროსების სახაზინო ბინა იყო მოთავსებული.

როდესაც ანდრომ ამ ფლიგელს შეაელო თვალები, უცნაური რამ დაემართა: სახე მოულოდნელობისაგან დაეღრავა და მთელი ტანით ისე შებარბაცდა ადგილზე, თითქოს მის თებებტვეშ დედამიწა საშინლად დაძრულიყოს.—

ფლიგელის ერთ-ერთ ღია ფანჯარასთან ვარდო იდგა და ციხის ეზოში შემოსულებს დაკვირვებით ათვალეობდა.

ანდრო ჯერ გაშტერებით მიაჩერდა მას, თითქოს კიდევ ეჭვი შეჰქონდა, რომ მის პირდაპირ, დაბალი სახლის ფანჯარასთან, მისკენ მომზირალი ვარდო იდგა და არა ვინმე სხვა ქალი.

სხვა ყოველივე ცნობა დაჰკარგოდა: მისი შეგნება მხოლოდ სარკმლის ჩარჩოში მოქცეულ ვარდოს სახეს მოეცვა.

როცა შენიშნა, რომ ახლა ვარდომაც იცნო იგი და ნიშნად ამისა დაფეთებული სახე შიშისაგან გაფართოვებული თვალებით ფანჯრის გარედ გამოიტანა, ვედარ გაუძლო სანახაობას:—თითქოს სალომეს კალათს ძირს დაეწონოს, მთელი ტანი წელზე გადაუტყდა და მიწაზე დაცემულ კალათს ღონემიხდილივით გადაეკონა.

მის წინ მდგარნი სალომე და შალვა ამასობაში სხვებთან ერთად ციხის შესავლისკენ გამართულიყვნენ.

მერე უკანა რიგში მდგარნიც დაწინაურებულიყვნენ და ანდროსთვის გვერდი აეველოთ.

სალომემ მხოლოდ მაშინ მოიხედა უკან, ანდროსკენ და ჩაიხრჩო. უცხის გარეკიბეზე ავიდა და კარებში ფეხი შესდგა შალვასთან ერთად.

— ანდრო სად არის?—იკითხა შეშინებულმა, როცა ანდრო იქ ვერ დაინახა, სადაც უნდა ყოფილიყო.

პირველმა შალვამ შენიშნა კალათთან უცნაურად შებრკოლებული არჩილის ძიძისშვილი.

აღბად კალათი მძიმეა და ვერ ჰზიდა, გაიფიქრა. მაგრამ თვითონაც ვერ იყო მომარჯვებული: მაიკოს ხელის კალათასა და ცაცას შეკრულს მისთვის ორივე ხელი გაეკავებინა. პენსნეც ძლივს უმაგრდებოდა ცხვირზე გამოვლილ აკადაკისაგან.

სანამ ხელებს გაინთავასუფლებდა და ანდროსთან საშველად მიიბრუნდა, სალომემაც შეამჩნია ანდრო და ხმა მალლა დაუძახა:

— ანდრო, რად შეჩერდი? ჩქარა წამოდი!

სალომეს ხმამ გონს მოიყვანა ანდრო: გაიმართა წელში და ახალ გამოღვიძებულივით მიმოიხედა.

მიხედა, რაც მოუვიდა.

ახლა აღარ დაუყოვნებია: დასტაცა ხელი კალათს და სალომესა და შალვასკენ გამოიქცა. კიბეზე აირბინა.

მკვდრის ფერი გადაჰკრაედა. თითქოს არც კი სუნთქავდა.

— რა მოგივიდა, ანდრო? დასდგი ძირს კალათი.... კაცის ფერი არ გადევს!.. ხომ არ შეშინდი, შვილო?—მოეფერა სალომე.—რატომ ჩანოგვრჩი? ავად ხომ არ ხარ?

— გადმომეცით მე თქვენი კალათი... ეს კი... თქვენ დაიჭირეთ... მსუბუქია.—მიმართა ანდროს შალვამაც თანაგრძნობით, როცა მისი ფერავარდნილი სახე დაინახა.

— არა... არაფერია...—შეუღიმა ორსავე ანდრომ.—არა მიშავს... ცოტა შემაგვიანდა...

და თითქოს ზებუნებრივი რამ ძალისათვის მიემართოს და მისი შენძლეობა გამოეყენებინოს, თვალეში სიცოცხლე ჩაინთო და სახეზე ფერი აიყვავილა...

მეტე აღარ შეუგვიანებიათ: სამნივე აჩქარებით დერეფნის მსგავს „სანახავ“ ოთახში შევიდნენ.

ნახევრად ბნელ „სანახავში“ ისეთი ხრიანცელი და აურ-ზაური იდგა, რომ მისგან ყურთასმენა არ იყო.

ოთახს მთელ სიგრძეზე შუა ჰყოფდა საცრის მსგავსი რკინის დიდი ბადე. ბადის ერთი მხრით ტუსალები იდგნენ, მეორე მხრით—მნახველები.

„ნახვა“ უკვე დაწყებულიყო.

ყველა ერთად ლაპარაკობდა და, რადგანაც ერთი-მეორის გაგონება სჭირდა, თითოეული იმის ცდაში იყო, რომ სხვებზე უფრო მალლა ეყვირა.

რკინის ბადეს ვიწრო სარკმელი ჰქონდა შუა ადგილას ჩატანებული. ამ სარკმლით „გადაცემ-გადმოცემა“ სწარმოებდა, დარაჯების სასტიკ კანტროლ ქვეშ.

აქ ისეთი ჯიბრი გაემართათ მოსულებს, რომ ერთი მეორეს არ ზოგავდა. იყო ჩხუბი და გინება. არ აცლიდენ ერთმანეთს.

— ღმერთო, სადა ვარ? ნუ თუ არჩილიც აქ არის?—ჩაილაპარაკა გულის დათუთქვით სალომემ. მას მართლა მოეჩვენა, რომ საგიყეთში მოხვდა.

შალვა კი წინ წამდგარიყო და ბადეზე მომდგარ ტუსალების მკრთალ სახეებში არჩილისას ეძებდა, თვალების ჭირვეული ბეცებით.

არჩილი და თომა ამ დროს რკინის ბადისა და კედლის კუთხეში მალვით მიკრუნჩხულიყვნენ, რომ ციხის ადმინისტრაციას თვალში არ სცემოდენ. გარშემო ტუსალები ეხვეოდენ. მათ წინ კიდევ, ბადის გარედ, მნახველები ყაყანიო ირეოდენ.

პირველმა თომამ დაინახა ჯერ კოტე და მერე შალვა.

— არჩილ, რამაძე გეწვია...—ჩასჩურჩულა თომამ არჩილს და შალვასკენ გაახედვინა. თვითონ კი კოტეს დაუძახა, მასთან ნისულიყო.

კოტემ ანიშნა, ახლავე მანდ ვიქნებო, და სხვა ნაცნობ ამხანაგებისაკენ გაემშურა.

შალვასთან ერთად არჩილმა დედაც დაინახა. მერე—ანდროც.

ამათ კი არ მოელოდა.

ანდროს დანახვამ სასწაულივით იმოქმედა მასზე.

ძალზე შენკრთალებული და განაწამები სახე გაკვირვებისა და სიხარულისაგან აელეწა.

მაგრამ შალვას კიდევ ვერ დაენახა მეგობარი.

— შალვა!—მოუთმენლად დაუყვირა ბოლოს არჩილმა.

როგორც კი შენიშნა იგი შალვამ, დატრიალდა. მოჰკიდა სალომეს ხელი და არჩილისკენ გზა გაუკაფა.

— დედაშენია, არჩილ... ხომ იცანი...—დინჯად ჩაულაპარაკა თომამ არჩილს. მერე თავისთვის:—ჩემთან კი არავინ სჩანს! ნუ თუ ვასოც არ იქნება?

— ვხედავ... რამ ჩანოიყვანა...—თითქოს იწყინა არჩილმა დედის მოულოდნელი სტუმრობა.

სანამ სალომე ბადეს მიუახლოვდებოდა, დედაშვილმა უკვე შორითვე შეავლეს ერთმანეთს თვალები, და იმ გზებითა და ბილიკებით, რომლებზედაც მხოლოდ დედაშვილურ გრძობას შეუძლია ამ ქვეყანაზე გავლა, ერთიმეორის სულსა და გულში შეიჭვრიტეს.

— არჩილ... შვილო... შვილო.—თვალების მოუცილებლად მიმართა არჩილს სალომემ, მაგრამ ვეღარ განაგრძო. ხმა ჩაუწყდა.

მის თვალებს ცრემლის რგოლები შემოვლებოდა.

— რატომ ჩამოდი... რატომ შეწუხდი, დედავ?—ასე მიესალმა არჩილი დედას. მერე თითქოს მისთვის თვალები ვერ გაესწორებოდა, თავი ძირს დაჰხარა. იგრძნო, რომ მასაც ცრემლი ერეოდა და აჩვილებული გულის დაწყნარება უძნელდებოდა.

მიუხედავად დედა. ძალა დაატანა თავს: სახე და ხმა გამოიცივდა.

— არაფერია, შეილო... მხნედ იყავი... რა ვქნათ, გაურიდებელ ჭირსა და უბედურებას გაძლება უნდა... — უთხრა გასამხნეებლად. — შენ უნდა იქნები...

მაგრამ არჩილმა არ გაათავებია დედას. უცებ მალლა შეისროლა თავი და მოახლოვებულ ანდროს გიჟური მოუთმენლობით მიმართა:

— ანდრო, შენ აქ როგორ მოხვდი? მოიწიე აქეთ... ჩქარა მითხარი, რაც იცი!

მაგრამ ის, რაც ანდრომ იცოდა, გამოუთქმელი რამ იყო ამ პირობებში. ანდროც გაუჩუმდა არჩილს. მუნჯურად შეხედა და ასე მიესალმა.

— სამსონა მოჰკლეს? — იმავე ხმაზე ჰკითხა არჩილმა.

ახლაც ვერ დასძრა სიტყვა ანდრომ. თავით კი ანიშნა, ისიც მალულად, კიო...

— ერასტო სად არის?

— ფოთში დავტოვე.

— კი, მაგრამ შენ როგორ ჩამოდი? ვის ჩამოჰყევი?

არ ეშვებოდა არჩილი, მიუხედავად იმისა, რომ ანდროს შელურჯებულ სახეზე იმდენი ვაება, შიში, უმწეობა და მოკრძალება გამოხატოდა, რომ ცხადი იყო, იგი ხმას ვერ ამოიღებდა.

არჩილი ახლა ისე ჩასცქეროდა მას თვალებში, თითქოს მისი გულის საჯაროდ გაჩხრეკას ლამობდა.

— რა ეთქვა, ან როგორ ეთქვა ანდროს არჩილისათვის ის, რაც მას ახლა ასე ფიცხლად აინტერესებდა?

— რაც არჩილის ფოთიდან წამოსვლის შემდეგ თავს დაატყდა ანდროს, ეს ხომ უბრალო ამბავი არ იყო?

ანდრო არ ფიქრობდა არჩილისათვის რაიმე დაენალა. მაგრამ როგორ გადაეცა ამდენ ხალხში, რაც სათქმელი ჰქონდა?

ესეც არ იყოს, მას შემდეგ, რაც ვასოსაგან გაიგო, ამ რამდენიმე წუთის წინად, რომ არჩილს მატარებელზე თავდასხმის დაბრალებას უპირობდენ, თითქოს ყოველნაირი მოსაზრების უნარი დაჰკარგა და ენა წაერთვა.

სულ იმაზე ფიქრობდა, რომ არჩილს დასჯიდენ ნიკოს მიერ ჩადენილ დანაშაულობისთვის, რომლის მონაწილედ ახლა მას თავის თავიც მოჰქონდა.

თავში ის აზრი უტრიალებდა, თუ როგორ შეიძლებოდა არჩილის დახსნა ამ სასჯელისაგან.

საკუთარი თავის გაწირვა არაფრად არ მიაჩნია. ამაზე არც კი დაფიქრებოდა. მაგრამ თუ არჩილის სიცოცხლე მისგან მოითხოვდა სიმართლის აღდგენას და იმათ განწირვას, რომელთაც ნამდვილად მოაწყვეს ის საშინელი საქმე, მაშინ?

ცეცხლივით შენთებოდა ტვინში ეს „მაშინ“ და სხვა აზრი, ფიქრი, გრძნობა სრულიად ამოეფხრა მისი არსებიდან...

ამას კიდევ ვარდოს უნებლიე, მოულოდნელი დანახვა დაერთო... და... რკინა ხომ არ იყო...

აღარ ეყო ღონე.—

ეს საშინელი დღეები, ფოთიდან ვიდრე ამ მტარვალ ციხის „სანახავ“ ოთახამდის, მოსვენება არ ჰქონებია და ერთიმეორეზე უსაშინელეს მშინებე-
ვების ქარიშხლის იერიშები უხმოდ, უსიტყვოდ და უმეგობრად თხევს გადა-
უტარებია...

რა უნდა ეთქვა აქ არჩილისათვის? რომელ სიტყვას უნდა გამოეხატა, რა-
საც გრძნობდა და რაც აწვალებდა?

თვალები გაუყარა თვალებში არჩილს. ისე შეხედა, თითქოს შებრალება
და პატიება სთხოვა, და მერე სახის ზედ ბადესთან მიტანით უთხრა:

— არჩილ... ნუ მკითხავ...

და თავი ველარ შეიკავა.—

თავაშვებულმა, კისრის დაქიბულ ძარღვებით უცებად მოვარდნილმა ნერ-
ვიულმა აკანკალებამ სახე აკუწ-დაკუწვით მოუქცია, და ცრემლმა თვალები
აუფსო.

ნახვის დრო თავდებოდა. პირველი გაფრთხილების ნიშნის ხმა გაისმა.
შეიქმნა ციორი.

სალომეს აღარ დააცალეს გული მოეჯერებინა არჩილთან გამოლაპარაკებით.
ისიც კი ვერ აცნობა დედამ შვილს დაღაგებით, თუ რა ჩამოუტანა და ვერ
გამოკითხა, კიდევ რა ესაჭიროებოდა ციხეში არჩილს.

ნახვის მიწურულში არჩილსა და თომასთან კიდევ კოტეც გაჩნდა.

ამათ ახლა საქმეზე დაიწყეს ლაპარაკი.

თომა ცხარობდა. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა კოტესთან ერთად
შალვამაც დაარწმუნა, რომ ვასო მეორე რიგში უთუოდ შემოვიდოდა.

არჩილმა უკვე იცოდა, რომ მისი საქმე განსაკუთრებულ გამომძიებელს
ჰქონდა გადაცემული.

საერთო კამერიდან ცალკე „სეკრეტში“ გადაყვანამ, მიხელა იმერელის
ჩამოყვანის მეორე დღესვე, ჯერ არჩილს და მერე თომასაც ის ექვი დაუბადა,
რომ შესაძლებელი იყო, საქმეს ძალიან სახიფათო მიმართულება მიეღო და
არჩილი ნიკოს მიერ მოწყობილ „ექსპროპრიაციაში“ გაერიათ.

მთავრობისათვის აღვილი საქმე იყო ასეთი „გარვეისათვის“ ფორმალური
საფუძვლის გამონახვა:

ცნობილი იყო, რომ არჩილი ფოთის არალეგალურ ორგანიზაციას ხელ-
მძღვანელობდა. ამ ორგანიზაციის ჩაურევლად კი, ფოთიდან რამდენიმე ვერსტის
მანძილზე, ექსპროპრიაციის მოხდენას მთავრობა, რა თქმა უნდა, არ დაიჯე-
რებდა და ვერც წარმოიდგენდა.

მიხელა-იმერელიც, ფოთის რევოლუციონერი, რომელიც დღეს მთავრო-
ბას ხელთ ჰყავდა,—ცოცხალ ურყეველ საბუთს წარმოადგენდა ამისთვის.

ამ საშიშროებას ნათლად გრძნობდა არჩილი.

მაგრამ რალაც ფატალისტივით ექირა თავი და საკუთარი თავის ამბავი
თითქოს ძალიან ნაკლებად აინტერესებდა.

ამიტომ, როცა ჯერ შალვამ და მერე კოტემაც დაარიგეს, თუ როგორი ჩვენება უნდა მიეცა, ვინძლოა ფოთის ექსპრობრიაციის შესახებ დაჭკითხავდენ, დარწმუნდა, რომ მისი მიხვედრა მართალი იყო.

ბოლომდის მოუსმინა ამხანაგებს, მერე გაუცინა და უცხადი!

— ტყუილა კი არა ხარ იურისტი, შალვა. Alibi-ს ძალა გწამს... ერთი რამ კი გავიწყდება: რუსეთში ვცხოვრობთ და რეაქცია მძვინვარებს. არ მოგვერიდებიან, „ალიბიანადაც“ კარგად ჩამოგვახრჩობენ...

თითქოს იხუმრა. მაგრამ დაეტყო მაინც, რომ ამხანაგების მოტანილ ცნობას ნერვებზე ემოქმედნა.

— თქვენ თუ მართლა ჩვენი გადარჩენა გინდათ,—ჩაერია ლაპარაკში თომა,—გავიყვანეთ აქედან... ეს უფრო ნამდვილი საშუალებაა. „ალიბი—მალიბი“-თ ჩვენც ნუ გვატყუილებთ, და თავსაც ნუ იტყუილებთ!

— ეს ხომ უებარი რამ არის, თომა... მაგრამ... მაგარი ის არის, რომ „როგორ“ და „რა გზით“... ვფიქრობთ, მაგრამ ვერაფერი ვერ მოგვიფიქრებდა.— უპასუხა კოტემ.

— რომ ვითხრათ „როგორ“ და „რა გზით“, იზამთ, გააკეთებთ?—შეტყუით ჰკითხა თომამ, თითქოს უკვე მოფიქრებულიც ჰქონოდა ეს „როგორ“ და „რა გზით.“

— მაშა! შენ ოღონდ გვითხარი!—არ დაუთმო კოტემ.

— ამასაც ვნახავთ!

თომამ ჩუმიად მუჯლუგუნი ჰკრა არჩილს. მერე გადახედა და თვალითაც რალაცა საიდუმლოდ ანიშნა.

არჩილს გაახსენდა: თომა გაქცევის დიდ „გეგმაზე“ ელაპარაკებოდა არჩილს ორიოდე დღის წინად. მაგრამ არ ეგონა, თუ ამას იგი აქ განმოიტანდა.

— არც ისეა საქმე, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ.—ისევ არჩილის საქმეს დაუბრუნდა ახლა შალვა.—ასე ადვილი როდია ჩამოხრჩობა. ყოველ შემთხვევისათვის ვითხარი, არჩილ... თუ დაგკითხეს მეთქი, მთელი ჩვენი ოჯახი დაიმოწმე, რომ ამა და ამ რიცხვიდან ჩვენსა იყავი... ამაზე ვასოც მოგელაპარაკება... მაგრამ დანამდვილებით, არაფერი ვიცით... მაინც სჯობია, მზად იყო... იქნება, ნამდვილად საქმე სულ უბრალოა და ტყუილა ვწუხვართი..

სალომე ამ დროს ცოტა განზე იდგა. არჩილს შესცქეროდა შორიდან. თუმცა ყური კი მოჰკრა ამხანაგების საუბარს, რომ არჩილის საქმეზე ლაპარაკობდენ, მაგრამ შინაარს ვერ მიმხვდარიყო.

როცა არჩილის სახეზე ფარული შეკრთომა შეამჩნია, ისევ ბადისკენ მიიწია და სმენა გაიმახვილა.

— ვნახოთ... ვნახოთ.—გულგრილად უპასუხა არჩილმა შალვას. მერე, თითქოს უნებურად, დედას გადახედა. მისი მწუხარე სახე რომ ნახა, შეეცოდა.

— ამას კი ნუ გააგებინებთ ამ ამბავს... ცოდვია.—გადისროლა ამხანაგებისკენ რუსულად, და სალომეს მიმართა:

— შენ ნულარ მოიცდი, დედა, ქუთაისში... ახლა ჩამოსვლაც მეტი იყო... მე არა მიშავს... დღესვე დაბრუნდი და ჩემზე ნუ იჯავრებ...

— რა გქნა, შვილო... გეცოდებოდე. შენს მეტი ვინ გამაჩნია ქვეყანაზე?...
ჰე... ჩვენი ბედი ასეთი არ უნდა ყოფილიყო... მაგრამ ასე ისურვე და...

— კარგი, დედა... გვეყოფა ახლა... გარწმუნებ, თუ სანჯაროვნიქნიმ, წე-
რილს მოგწერ და დაგიბარებ.

მაგრამ აქ შედამხედველებმა უკანასკნელად გააფრთხილეს მნახველები, რომ წასვლის დრო იყო.

უარესად აირია ხალხი. ყვირილს უმატეს.

— შვილო, ფული ჩამოგიტანე ცოტაოდენი... და როგორ გადმოგცე?...
აკრძალული ხომ არ არის.— ჰკითხა საჩქაროდ სალომემ შვილს.— მერე ბარგიც
ჩაიბარე... ანდრო გადმოგცემს... ე იმ სარკმელთან მოგელის...

ბადის შიგნით ტუსალებიც არეულიყვნენ: გაყრა დაწყებულიყო. ემშვიდე-
ბოდენ, ეთხოვებოდენ თავისიანებს. ქსელის გასწვრივ შეშლილებივით გარბოდენ
და გამორბოდენ. ზოგი დაცალიერებულ კალათს უკან აბრუნებდა. ზოგი სავსეს
იღებდა.

უსაშინელესი განგაში იყო ატეხილი.

ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლებოდა.

არჩილმა სალომეს ანიშნა, ფული შალვასთვის გადაეცა. მერე სარკმელთან
მიირბინა.

აქ ჰირველ რიგში ანდრო დამდგარიყო კალათებიანათ. მიუხედავად დაუ-
ზოგველი იერიშებისა, რომლებიც მის წინააღმდეგ მოჰქონდათ ყოველმხრიდან,
იგი ადილიდან ვერავის ვერ დაეძრა.

მის დანახვაზე არჩილი უცებ ისევ შალვასკენ მოტრიალდა, თითქოს რაღაც
მნიშვნელოვანი დავიწყებოდეს.

თომას დაუძახა. სთხოვა დახმარებოდა და ანდროსგან ბარგი მის მაგიერ
ჩაეზარებინა.

თვითონ შალვასთან მიირბინა და ბადის სხვა მხარეს გაიხმო, სადაც წე-
რილების საიდუმლო გადასაცემი იყო რკინის ქსელს ქვეშ გამოჰკრილი.

შალვა მიუხვდა, თუ რატომ გაიხმო აქეთკენ მეგობარმა. მესამედ იყო არ-
ჩილთან, და ტუსალების საიდუმლოება იცოდა.

წერილების გადაცემ-გადმოცემის ხერხიც შეეთვისებინა.

ცალი ყურით ბადეს მიეკრა. ერთი ხელი კი ისე დაიკიდა, რომ მისი გუ-
ლი ბადის ქვემოდ დაყოლებულ ფიცარში ამოჰკრილ ჭრუჭუტანას მიაფარა.

— ერთი რამ უნდა შეთქვა, შალვა, და გადამავიწყდა... რომც ძალიან შე-
გაწუხოს, მაინც ამისრულე სათხოვარი...

და არჩილმა ანდროს თავი ჩააბარა მეგობარს. მოკლედ აუხსნა თუ რა იყო
მისი, რა გასაჭირი ჰქნოდა ამ ქამად ანდროს. დაბინავება სთხოვა მისი საიმედოდ
და ყოველნაირი დახმარების გაწევა.

ბოლოს უთხრა:

— ახლა ცაცასთან წერილს გადმოგცემ... დღესვე მიეცი... შენც ურჩიე,
თუ ძმა ხარ, წავიდეს, სადაც მიდის... ჩემი ამბავი კი სიზმარივით დაივიწყოს...
გესმის: სიზმარივით... ძალიან გთხოვ, შალვა, დააჯერო...— გულის უცნაური

აკივლებით დაასრულა არჩილმა და თან საიდუმლო კრუქებიდან რამდენიმე ფად დაკეცილი წერილი გამოაწვდინა.

— მესმის ყველაფერი... — უპასუხა შალვამ და მისგან სხვა რაღაცეები, ოსტატური მოხერხებით გამოართვა წერილი. ჩაიგდო თუ არა ხელში, უძალვე შექუქმნა და დამალა.

ამ დროს სალომე ერთხელ კიდევ მოუახლოიდა არჩილს დიდი გაჭირვებით.

— შვილო არჩილ... დამავიწყდა მაიკოს მოკითხვა ვადმომეცა შენთვის... აქ არის კარებთან და დამაბარა... არ შემოუშვეს საცოდავი... ხაქაპური გამოგიცხო საგანგებოდ... კალათაშია... — ძლივს გააგონა.

— ჩვენი მაიკო!! — უდიდესად გაიკვირვა არჩილმა და სახეზე რაღაც უსათუთესმა გრძნობამ გადაურბინა.

მაგრამ დედა და შვილი მეტი აღარ დააღაპარაკეს.

ბადის წინ ზედანხედველები ჩამოდგნენ ჯარისკაცებითურთ და გაშლილი ხელების მოსმით ხალხი გარედ გამოორეკეს...

XVII

როდესაც არჩილის ჰირისუფლები ციხიდან ქუჩაში გამოვიდნენ, სალომემ დიდი მადლობა გადაუხადა შალვას და კოტეს. სთხოვა კვლავადაც უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ მისი შვილი. შალვას, არჩილის ჩვენებისამებრ ჩამოტანილი ფული გადასცა და შერე დაემშვიდობა.

გამომშვიდობების დროს სალომეს ცაცა და ვასო თვალში დააკლდნენ. — განსაკუთრებით ის „ელამი გოგო“, რომელმაც ციხეში შესასვლელი ნებართვა დაუთმო და იმით გააკვირვა, რომ ეცნაურა.

მაგრამ ცაცა არსად სჩანდა. აღარ დაეცადა მათთვის.

პატარა კაცი კი — ვასო — მნახველთა შორის ახალ რიგში ჩამდგარიყო აუარება ხალხში, და მასთან ახლოს არ მიისვლებოდა.

სალომემ მათთვის მადლობა და გამოსათხოვარი სალამი შალვას დაუბარა. ანდრომ სალომეს გაცილება მოინდომა. ამისთვის კოტეს შეუთანხმდა, დაბრუნებულს სად უდა ენახა იგი.

— თქვენს შესახებ მე არჩილი მელაპარაკა, ამხანაგო. — შეაჩერა ანდრო შალვამ, — რამდენადაც გავიგე, თქვენ ქუთაისში რჩებით...: გთხოვ, ბინა ჩემთან იგულევოთ.

გაწითლდა ანდრო. ვერ მიუხედა შალვას. კოტეს გადახედა,

— ამას, შალვა, ჩემთან აქვს ბინა. — მიუგო ანდროს მაგიერ კოტემ.

— კი, ბატონო... თქვენ აღარ შეგაწუხებთ. — უთხრა ანდრომაც.

შალვამ მაინც საჭიროდ დაინახა წინადადება მიეცა ანდროსთვის, რომ იგი არ მორიდებოდა მას და თუ რამე დასჭირდებოდა, დაუყოვნებლივ მისთვის ეცნობებია.

ამის შემდეგ სალომე, ანდროსა და მაიკოს თანხლებით, თავის გზას გაუდგა. კოტა რომ გაიარეს, არჩილის დედამ ანდრო ახლოს მოიხმო და საიდუმლოდ ჰკითხა:

— ანდრო... მითხარი, არ დამიმალო: მე რომ ყმაწვილმა ქალმა შესახველელი ქალაქი დამითმო, ვინ არის? შენ გეცოდინება... არ იცნობ?

— არ ვიცნობ.— უბასუხა ანდრომ, მაგრამ ისე შეხედა კაცს, რომ ნახევარი მიახვედრა.

მოჰკრა თუ არა ყური სალომეს სიტყვებს, მაიკომ ერთი მოკლედ შეჰკივლა და თავის ქალბატონთან მოურიდებლად მიიჭრა:

— მათქმევინე, ქალბატონო... თვალები რატომ არ დამევესება... ის არის... ის...— საიდუმლოების გამომჟღავნების უნით დამთვრალივით მიმართა მან სალომეს.— ის... არჩილს რომ პორტრეტი ჰქონდა... დედაია, დედაია!— და ჯერ ბარძაყვზე დაიკრა ხელი, მერე კიდევ ლოყაზე გაიტკაცუნა.

— ღმერთო ჩემო... სწორეა! მომაგონდა! ნამდვილად ის არის.— მოაგონდა ახლა სალომესაც. მაგრამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სიამე სახეზე დიღხანს არ შერჩენია. მოულოდნელად დანალვლიანდა.— კი, მაგრამ... რომ... არ ვარგა... რომ არ არის არჩილის შესაფერი...—

მაიკოსაც სალომესებურად გამოეცვალა სახე, თითქოს კვერი დაეკრას ქალბატონის აზრისათვის.

— შავია... ელამიც... ტანით პატარა... განაგრძო წუნისდება სალომემ.— არ მიმწონს...

— ეშხიანი კი არის, ქალბატონო... მაგრამ ანგელოზს რომ არ ჰგავს, არც მე მომწონს, როგორც ვსთქვა თუ არა...— გულდაწყვეტილად ჩაილაპარაკა მაიკომ.

ქალებს მხოლოდ ანდრო არ ეთანხმებოდა. მაგრამ უადგილოდ სცნო მათ შეცილებოდა და გაჩუმებულიყო.

ასე გაიარეს ქუჩის პირველ კუთხემდის.

აქ შესდგა სალომე და გულჩათხრობილად მიიხედ-მოიხედა გარშემო.

ეტყობოდა, რომ ახლა კიდევ სხვა საგონებელი გაჩენოდა.

დაკვირვებით ათვალიერებდა უცნობ ქუჩას და ციხეს მიყოლებულ შენობებს თითქოს ნიშანში იღებდა.

მას ერთი საიდუმლო გეგმა ჰქონდა ასასრულებელი, რომელიც როგორც არჩილს, ისე მის მეგობრებს დაუმალა.— სოფლიდან რომ წამოვიდა, მთავარ იმედს ამ გეგმაზე ამყარებდა.—

ეს იყო ვარდოს მონახულება და მისი გავლენის მოხმარება, როგორც ციხის უფროსის ცოლისა, არჩილის მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ეს საშუალება მოკეთებდაც ურჩიეს სოფლიდან წამოსვლისას.

სოფლიდან მელიტონ აბლანდიას მისამართი წამოეღო. ვარდოს დედასთვის გამოერთმია წამოსვლის წინ და მისგან წერილიც წამოეღო შვილთან.

სალომეს ფიქრით, ვარდოს ნახვა საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო, რომ მის ქმარს ამით არაფერი დაშავებოდა სამსახურში.

— ანდრო, — მიმართა ბოლოს მან ანდროს, როცა დარწმუნდა, რომ დაუხმარებლად გზას ვერ გაიკვლევდა.— იმით კიდევ წამოგიყოლიე აქეთ... და

ამხანაგებს აგაცდინე, რომ შენთვის მეკითხნა... ჰმ... შენ უთუოდ გეცოდინება, ვარდო რომელ სახლში სდგას აქ... უნდა მიმასწავლო.

— არ ვიცი, ქალბატონო!—სწრაფად მიუგო ანდროსი, ხელები აარიდა. უნებურად გაწითლდა.

სალომემ ეჭვით შეხედა მას.

— შენც უკარდისობ, ალბად... პოლიციელის ცოლი რომ არის... ა? ნუ თუ მართლა არ იცი, ბიჭო?..

— არა... ქალბატონო.—იმავე სახით გაუმეორა ანდროსი.

— ასე ამიხსნა დედამისმა... სადღაც აქ ახლოს უნდა ჰქონდეს ბინა... ციხის გვერდით არისო... აქ ალბად ყველას ეცოდინება...—თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, ისე განაგრძო სალომემ.

— ანდრო, რამ გაგაჩერა ასე, ბიჭო... ჰკითხე ვისმე გამვლელს...—ხელის კვრით მიმართა ახლა მაიკომ ანდროსს.

მაგრამ სალომემ აღარ დაუცადა ანდროსს. ვიღაც გამვლელ ქალს გადაელობა წინ. გააჩერა და წინასწარი ბოდიშის ნიშნით ჰკითხა:

— ამ ციხის უფროსის, მელიტონ აბლანდიას ბინა ხომ არ გეცოდინებათ, ბატონო?

უცნობმა ქალმა შესახვევისაკენ მიუთითა.

— ამ ქუჩას რომ გაჰყვებით, მარჯვნივ არის, ციხის გაყოლებაზე... პირველი კარი მისია.

სალომე დაუყოვნებლივ გაემართა ნაჩვენები მიმართულებით.

ანდროსს კი ფეხები დაუმძიმდენ. ჩამორჩა.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.—გაყოლა არ შეეძლო. ხოლო ვერც თავი დაენებებია სალომესათვის.

როცა სალომემ მისკენ მოიხედა, ანდროსი ისარგებლა ამით, მიიბრინა მასთან და ძალზე შეჭირვებულად უთხრა:

— მე ამ კუთხეში მოგიცდით, ქალბატონო...

— კი, შვილო... განა არ ვიცი: იმალები და ვერ ეჩვენები... თუმცა აწი წასვლაც შეგიძლია... საჭირო აღარ ხარ... ამხანაგები არ დაკარგო... არ დაიბნე ამ უცხო ქალაქში...

— არა... მოგიცდი...

სალომეს არ ეცალა მაინცა-და-მაინც ანდროსათვის.

— როგორც გინდოდესო, დაუბარა და მაიკოთურთ აბლანდიას ბინისკენ გზა განაგრძო.

სალომეს კარი თვითონ ვარდომ გაუღო.

როგორც კი იცნო მოულოდნელი სტუმრები, სიხარულისაგან შეჭკივლა. ჯერ სალომეს გადაეხვია და გადააკოცნა. მერე მაიკოს.

— როგორ დავიჯერო! ნუ თუ სალომე ქალბატონი ბრძანდები?... ღმერთო ჩემო, ეს რა ბედნიერება მეწვია!.. ციხეში შემოსული კი დავინახე... მინდოდა მოსვლა, მაგრამ... მე თვითონ ტყვე ვარ... უფლება არ მქონდა მოვსუ-

ლიყავი. ქმარი მომკლავდა... როცა წარმოვიდგენ, რომ არჩილი ამ დასაქცევ ციხეშია, და მე კი...—ველარ განაგრძო. ცრემლები მოერია და სალომეს ბავშვივით ჩაეხუტა.—ჩემო კეთილ ქალბატონო... ჩემო საყვარელ ქალბატონო... რა ბედნიერი ვარ, რომ გხედავ...

— დედისაგან წერილი ჩამოგიტანე, შვილო... მეც დიდი სათხოვარი საქმე მაქვს... გაგახაროს. შვილო, ღმერთმა, რომ ჩემი უბედური თავის ნახვა გაგახარდა... კარგი ბედი ჰქონებია, ვარდო... ღირსიც იყავი: ჩვენი სოფლის გოგონებში შენისთანა მეორე არავინ იყო... მშობლებიც გაახარე... მე კი, ხომ ხედავ, არჩილმა სიბერე როგორ წამიმწარა! ციხეშია, შვილო, ჩემი არჩილი... და ვინ იცის, რა მოვლის.

ღერეფნიდან ოთახში შევიდნენ.

აქ ვარდომ ცრემლი შეიმშრალა. მერე გამასპინძლება მოინდომა.

მაგრამ სალომემ არ დაანება.— დედის წერილი გადასცა და მოსვლის მიზანი გააცნო.

— ბევრს კი არათერს გახოვ, შვილო... რა კი ასე ახლოს ხარ და ქმარიც დიდი კაცი გყავს. მთელი ციხის უფროსი, მიხედვით ხანდახან არჩილს. ხომ იცი, როგორ მყავს გაზრდილი... მოიკითხე დრო გამოსვებით. საკმელი მიაწოდე. შეშინია, ციხის საკმელმა არ მომიკლას... კვირაში ერთხელ-ორხელ რომ ექნეს შესარგი სადილი, ესეც დიდი საქმეა... ქმარსაც სთხოვე, ყურადღება მიმიქციოს... შეუმსუბუქოს ციხის ატანა. ღმერთი სამაგიეროს გადაუხდის... კარგი იყავი ყოველთვის, მოსიყვარულე... ამიტომ გახოვ... ვიცი: შენც გიყვარდა, შვილო, არჩილი... მისთვის გარჯა არ დაგეხარება.

— რა ბრძანებაა... რაც კი შემეძლება, არჩილისათვის როგორ დავზოგავ. ჯავრი ნუ გაქვს, ქალბატონო. საკმელს ყოველ დღეს შეეუფხავნი. მოვიკითხავ. ქმრისათვის კი ნურასფერს ნუ მათხოვინებ... სასტიკია, შენი ქირიმე, და გულქვა ადამიანი...—და ვარდოს თვალებზე კვლავ ცრემლი მოადგა.—კი არ უნდა ვსთვვა, მაგრამ რა ვქნა?... ჩემს მშობლებს ჩემთვის ლუკმა გაუწყდათ და... მე ასე დამლუპეს.

— რას ამბობ, შვილო ვარდო... ღმერთმა დაგიფაროს!

— უინე, თვალები რატომ არ დამიდგება.—ჩაერია გაკვირვებით ახლა მაიკოც.—მეგუე ქმარი გყოლია და დედოფალივით სცნოვრობ აქ. ქალაქში... მეტი რა გინდა?

— სასტიკი რომ არის, უფროსიც ამიტომ არის, შვილო...

— ჰე, ქალბატონო... რა უფლება მაქვს თავი შეგაწყინოთ ჩემი უკიდურობით... ნაპატიე... ვერ დაგიფარეთ, ჩემიანი რომ ხართ ამისთვის.

მერე თავი შეიკავა. კილო გამოიცივალა. თითქოს შერცხვა, რომ ასე გაამხილა გულის დარდი.

ახლა სხვა რასმეზე ესაუბრა.

ისე ეფერებოდა, როგორც საყვარელ დედას, დიდიხნის უნახავს.

სადილად დარჩენაც სთხოვა.

მაგრამ სალომე ერთიხნის საუბრის შემდეგ წამოდგა. ერთხელ კიდევ მოავონა არჩილი. სათხოვარი გაუმეორა და წამოვიდა.

— არჩილისათვის, რაც მიბრძანეთ, ყოველივეს შევსრულწავს. — ჯავრი ნუ გექნება, ქალბატონო. ჩემი ცხოვრება სულ რაღა იქნება, თუ ამ პირობებში არჩილსაც კი პატივი ვერ ვეცი. — ამ სიტყვებით ვარდომ ქუჩამდის გამოაცილა სტუმრები.

მაგრამ აქაც თავი ვერ გაანება.

— ცოტას კიდევ გაგაცილებ, ქალბატონო... აი, კუთხემდის... ისე მეჩვენება, თითქოს ჩვენს სოფელში ვიყუე... და ეს ნიხარია... მაპატიე... თქვენთან რომ ვარ, თავი ისევ პატარა მგონია და ბედნიერი... — მერე მაიკოს მიუბრუნდა. — ჩემო მაიკო... პატივი ვერ ვეცი... მითხარი, ხომ არ დავავიწყდით მეზობლებს?... ჩემი ლიზიკო როგორ არის... უთხარი ჩემ მაგიერ, არ გათხოვდნ თქო... მე სულ მაგონდებიან ყველანი... ცხადშიც... სიზმარშიც.

ასე გაჰყვა ქუჩაში.

კუთხეში სალომეს ანდრო ელოდებოდა.

მოჰკრა თუ არა მან თვალი მომავალთ ლანდივით სახლის კედელს მიეფარა. მაგრამ მაიკომ მაინც შეასწრო თვალები.

— ანდრო არ წასულა, ქალბატონო. — უთხრა მან სალომეს, მაგრამ შეკრთა და თქმის უმაღლე ხელის გული პირზე აიფარა. შიშით გადახედა ვარდოს.

— ვარდოსაგან რა დასამალავია, მაი! კი არ გასცემს, შე სულელო. — შენიშნა სალომემ. მერე ვარდოს აცნობა: — ჩვენი ანდრო ქარივაძეა... არჩილის სანახავად ჩამოვიდა. ხომ იცი, როგორ მეგობრობენ ერთმანეთს... მასაც დასაქერად დაეძებენ უბედურს...

უცებ შესდგა ვარდო.

სახე შიშისაგან შეუმკრთალდა და დამფრთხალივით მიმოიხედა.

— ახლა კი... მშვიდობით, ქალბატონო... — უთხრა გაუბედავად და განოსამშვიდობებლად მოემზადა.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს ღვთისმშობელმა, შვილო... დაბრუნდი, შორს ნუ წამოხვალ...

ერთხელ კიდევ გამოეთხოვეს ერთმანეთს. გადაკოცნეს და დაშორდნ.

ვარდო რომ მიიმალა, მაიკო დაუახლოვდა სალომეს და კბილების გადმოყრით დაბალ ხმაზე ჰკითხა:

— ვარდო რომ გვშორდებოდა, არაფერი შეგიძინევია, ქალბატონო?

— რა უნდა შემეძინია, გოგო? რას ამბობ?

— იმას, რომ რასაც სოფელში იტყვიან, ყველაფერი მართალია... ვარდოს, ქალბატონო, ის ბიჭი... წყეული ანდრო... უნდა უყვარდეს... კინაღამ გული წაუვიდა, რომ უთხარ, აქ არისო... ვერ შეატყვე: ისედაც დალეულა... ჩამომდნარა. ქმართაც უკნაყოფილოა...

— რას სულელობ... არსად წამოგცდეს...

...

შალვა რამაძემ არჩილის წერილი მხოლოდ გვიან ~~საღამოს~~ გადასცა ცაცას.

იმ დღეს ცაცა სახლში შეღამებისას დაბრუნდა, ორი მეგობარის თანხლებით, რომლებსაც ცაცასთან ერთად რუსეთში გამგზავრება ჰქონდათ გადაწყვეტილი.

მოწყენილები იყვნენ ქალები და რაღაც დარდიანები.

უხმოდ შემოვიდნენ ბაღში და რიონის გადასახედზე ფანჯატურის წინ სკამებზე ჩამოსხდნენ.

ცაცას მეგობრებისთვის არჩილის საშინაო მდგომარეობის ამბავი ეცნობებოდა და ეჭვი განოეთქვა იმის შესახებ, რომ მათთან ერთად წელს მოსკოვში გამგზავრებას შესძლებდა, არჩილის საქმის გამორკვევამდის.

ან ამბავს დაელონებოდათ.

მდუმარებით უცხადებდნენ ცაცას თანაგრძნობას.

თითოეული თავის ფიქრში წასულიყო.

სევდა რამ შესწოლოდათ.

ჩუმად, რაღაც პარკით ბინდებოდა.

ღამაში იყო მეგობრების მოწყენა შებინდებისას.

თვითონაც გრძნობდნენ ამას და ხმის ამოღებას უფრთხოდნენ, ვინძლოა საერთო განწყობილების ტონი ვერ აეღოთ.

ასე იყვენ კარგა დიდხანს.

— იცი, ბავშვო, დღეს მე ვინ ვნახე და ვინ გავიცანი? — წარმოსთქვა ბოლოს ოცნება-შეფრქვეულ ხმაზე ცაცამ.

— ვინ, ცაცა? — ხმის შეწყობით ჰკითხეს მეგობრებმა.

— არჩილის დედა...

— სად?

— ციხესთან... — და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო — უცნაურია: არასოდეს არ მინახავს, მაგრამ რომ შევხედე, ასე მომეჩვენა, თითქოს სულ ვიცნობდი... კი არ განკვირვებია მაშინ... ვითომ ასეც უნდა ყოფილიყო. ახლა კი მიკვირს. ცოტა... უცნაურია, არა?

— არჩილი რომ გიყვარს, იმის ბრალია...

— ღამაცა... სწორედ ისეთი იყო, როგორც წარმოდგენილი მყავდა. ჩემი აზრით, სხვანაირი არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო... ძალიან კარგი ქალია. ნამდვილი ქალბატონი... იმანაც ისე შემომხედა... რაღაც სხვანაირად... თითქოს მიცნო. იქნება, იმასაც ასე მოეჩვენა: ეს ქალი უთუოდ არჩილის საცოლოა... შეიძლება ხომ, იმასაც ასე ეფიქრა? თუ მე ვიცანი... რატომ არ შეიძლება, იმასაც ვეცენე?.. ერთი კი ვერ გამოვარკვეე: მოვეწონე, თუ არა?.. მეგონია, ჩემს ელამ ოვალს დააკვირდა... მე არ მგონია, რომ ძალიან ელამი ვიყო... თქვენ როგორ ფიქრობთ?

— გიხდება კიდევაც, ცაცა, რომ ცოტა ელამი ხარ...

— ხომ? ქალბატონმა არჩილის დედამ კი: „როგორ იქნება? ელამი ქალი რა საკადრისია? ნაკლი ჰქონებია და მაგას ჩემს არჩილს ვერ შევრთაო“... ვიცი,

ასე თქვა გულში. იცით, როგორ დამალონა ამან?... გავჯავრდი! ნებაოთვის ქალაქი რომ მიცემული არ მქონოდა, არ დაუთმობდი... კინაღამ აქტიური და მაშინვე სახლში წავედი. ჰო, ის არ მითქვამს: არჩილის დედას-ლიხეში შესვლის ნება არ ჰქონდა... მე მივეცი ჩემი... მე რე ერთი ყმაწვილიც გავიცანი კიდევ: არჩილის ძიძის შვილი ვარო... ალბად ქ-ნ დადიშანს ჩამოჰყვა სოფლიდან... წარმოიდგინეთ, ისიც ისე შემომაცქერდა, თითქოს მიცნო. ეს მეგრელები, ნეტავი, გულთმისნები ხომ არ არიან... იმ ბიჭს კი მოვეწონე ნამდვილად...

— მაშ, შენ არჩილი არ გინახავს დღეს, ცაცა?

— არ მინახავს... მაგრამ არ ვნაღვლობ: ჩემ მაგიერ დედამ ნახა... დედას ხომ მეტი უფლება აქვს... ეს მსხვერპლი იყო ჩემი მხრით... მაგრამ, როგორც ვითხარით, მგონია, ვერ მიშველა ვერც ამ მსხვერპლმა: მაინც არ მოვეწონე... რა უბედური ვარ!..

უცებ გაჩუმდა. მე რე ხმა გამოიცვალა და გადიხარხარა:

— ხა-ხა-ხა... რა სულელი ვარ, ღმერთო ჩემო!... ვითომ რა?... ვითომ მგონია, რომ დედის მუცელში ვუყვარდი არჩილს და ეს ამბავი დედა მისმა მაშინაც კი იცოდა! ასე გამოდის! ხა-ხა... რა სისულელეა!!

ისევ დუმული დაამკვიდრა.

მე რე წამოდგა. უახლოეს მეგობართან შესდგა და თითქოს საიდუმლო გაენდოს, ისე ჰკითხა:

— ნატა, ნეტავი რატომ ვარ დღეს ასეთი?

— იმიტომ, რომ არჩილი გიყვარს...

— შენ ვინ გიყვარს, ნატა?

— ნატას არაფინ... მე კი შეყვარებული ვარ!—უპასუხა ნატას მაგიერ მეორემ.

— ჰო, და, მაშ შენ მითხარი, ნუცა: საიდან იცი, რომ შეყვარებული ხარ?

— როგორ ვითხრა, გენაცვალე... ისე ვიცი...

— ნამდვილად იცი... სულ... უეჭველად... თუ ნახევრად ჰგონია, რომ გიყვარს, ნახევრად კი—რომ არ გიყვარს...

— ნამდვილად... სულ, ცაცა!

— მე კი—არა... მე ეხლა ამ წამში, მგონია, მაგალითად, რო დადიშანის არ მიყვარს...

— დაგიჯერეთ და ეს არის!—ერთად გაეხმაურენ ნატა და ნუცა.

— ღმერთმანი, მართალს ვამბობ... მგონია, კი არა, ნამდვილად არ მიყვარს! აი, ვამბობ!

— მაშ, ლევან პატაშვილს გაუტაცნიხარ!—უთხრა ნუცამ.

— ლევანს? რატომ გგონია? არა... თუმცა...—თითქოს არჩილის დაეჭვიანება მონდომოდეს, ისე სთქვა ცაცამ და გაიღიმა.

— თუ ეს მართალია, აბა, დასტოვე აქ, ციხეში არჩილი, და შენ კი კვირას ჩვენთან ერთად წამოდი მოსკოვში... აი, მაშინ დაგიჯერებთ.—შეემბა ახლა ნატა

— წასვლას თუ წაუსვლელობას რა მნიშვნელობა აქვს, ქალი?

— აქვს.

— ეს მე არ მესმის: შეიძლება ძალიან მიყვარდეს და მაინც წავიდე... შეიძლება, სულ არ მიყვარდეს და არ წავიდე... ეს რა საზომია სიყვარულის?

— არ გეთანხმები... როგორ შეიძლება: შენი საყვარელი ადამიანი ციხეში იტანჯებოდეს, შენ კი ამ დროს...

— ჰეე, ნატა... ეს ხომ უაზრო სანტიმენტალობაა.

— თვითონ სიყვარულიც ხომ სანტიმენტალობაა.

— ვის როგორ ესმის? მე კი სხვა რამ მგონია... შენ, ნატა, რომელიმე დეკაბრისტის ცოლობა შეგეფერებოდა. ციმბირში გაპყვებოდი ქმარს და... მის ტანჯვას გაინაწილებდი... ყოველ საღამოს, დაბალჭერიან ოთახში რომ ლამბას აანთებდენ, მოუჯდებოდი მაგიდას და დღიურის წერას შეუდგებოდი. პატიოსნურად აღნიშნავდი, თუ შენმა ქმარმა დღის განმავლობაში რა გააკეთა... მის დიდ ფიქრებს და აზრებს ჩასწერდი... მერე იმასაც, თუ შენც როგორ უვლიდი მას და მდგომარეობას უმსუბუქებდი... და ყოველივე ამით, ჩემო ნატა, ძალიან ბედნიერი იქნებოდი. გეგონებოდა, რომ ქვეყანაზე შენისთანა კარგი მეორე ქალი არ არის... დარწმუნებულიც იქნებოდი, როცა ეს შენი დღიური გამოქვეყნდებოდა, მთელი კაცობრიობა აღფრთოვანებით იკითხავდა მას ყოველ დღეს... მაგრამ... აი, დაუკვირდი: მაგრამ ნამდვილად კი ქვეყანა თავის ცხოვრებას განაგრძობდა და შენი დღიური ვინმე ბებერ ისტორიკოსის ან არქეოლოგის... სწორედ არქეოლოგის... სასინჯი გახდებოდა... მორჩა და გათავდა... ფი, ეს რა როლია? რა ცხოვრებაა!

შეკამათდენ ამაზე.

მაგრამ კამათის გაგრძელება ცაცამ აღარ ისურვა.

— იცით, რა გითხრათ: კამათი სისულელეა. ყოველი აზრი მართალიცაა და ტყუილიც, გააჩნია როდის ამბობ და რისთვის... დეკაბრისტის ცოლობაზე რომ გითხარი, ეს იმიტომ რომ სწორედ ამ დილას შემთხვევით რომელღაც წიგნი ჩამივარდა ხელში დეკაბრისტებზე... აი, ის რომ არ წამეკითხა, ეს აზრიც თავში არ მომივიდოდა... ყველაფერი შემთხვევაა... მხოლოდ მართალი და მუდმივი ამ ქვეყნად მარტოოდენ მუსიკაა... ამიტომ წამოდით ოთახში: ძალიან მინდა, ახლა დაუკრა... ოღონდ ამ გუნებაზე სინათლეს კი ნუ ავანთებთ, იცოდეთ. თქვენც ჩუმად, თქვენ, თქვენთვის მისმინეთ და იოცნებეთ... ნახავთ, რა გამოვიდეს. მე კი დაუკრავ... რაზე გამოსათხოვარს, ჩემი ამბავის შესაფერს: თქვენ რომ მიდიხართ, და მე რომ კი ვრჩები!.. აი, ამისთანა რასმე... გინდათ?

დასთანხმდენ მეგობრები. აიშალნენ, სახლისაკენ გაემართენ.

ამ დროს ბაღში კიდევ სხვა სტუმრებიც შემოვიდნენ. ესენიც ცაცასთან მოსულიყვნენ, იმ კამპანიას ეკუთვნოდნენ, რომელსაც გადაეწყვიტა დღეის სწორს, კვირას, რუსეთს ერთად გამგზავრება.

მოსულენ შორის ლევან პატაშვილიც იყო.

მიეგებენ ერთმანეთს.



ქართული
საბჭოთაო

ნატამ და ნუცამ ამხანაგებს ცაცას გადაწყვეტილებებს ამხანაგ მაშინვე ყუ-
რში ჩასჩურჩულეს.—

— იცი, ცაცა აღარ მოდის. რჩება.
იწყინეს.

ყველა მიხვდა მიზეზს.

— მართალია, ცაცა? მართლა აღარ მოდიხარ?

— მართალია!

შეთანხმებულივით დადუმდნენ.

მაგრამ ცაცამ უმაღლვე დაარღვია უადგილო სიჩუმე.

— ნუ მოგიწყენიათ: არაფერია... ახლა ლევან პატაშვილი „მხოლოდ შენ
ერთს“ გვიმღერებს... წამოდით, ხალხო!— მისცა მან სტუმრებს წინადადება და
ყველანი სახლში შეიწვია. წინ წავიდა. აივანზე აირბინა.

მოუწონეს, მიყვნენ.

მაგრამ ლევან პატაშვილი განზე გადგა.

— შე ამ წამიდან მგლოვიარეთ ვარ... არ ვიმღერებ.— ორაზროვანი ინტო-
ნაციით განაცხადა მან და ხელების ძკერდზე დაკრფვით აივნის ქვედა სვეტს
მიეყუდა.

შესდგენ. გადახედეს.

— როგორ თუ მგლოვიარეთ?!

— ისე... — და პატაშვილმა ისეთი ნაღვლიანი თვალეზით ახედა აივანზე
გადმომდგარ ცაცას, რომ დაინტერესებული მეგობრები თავის ორაზროვანი გა-
ნცხადების აზრს მიახვედრა.

— ჰაა... ეს ფანდი აქ ვერ გასჭრის, ბატონო ლევან!.. ციც!.. ცაცას შენ-
თვის არ სცალია! — უთხრა ნატამ ლევანს.

ახმაურდნენ.

— ამას შეხედეთ ერთი: თურმე გულში რა უდევს?

შემოეხვივნენ. დასტაცეს ხელი და გაიყოლიეს.

ასე შევიდნენ დარბაზში დიდი ხმაურობით.

მაგრამ ცაცა მაშინვე როიალს მიუჯდა, და იმ დროინდელი მოდის რო-
მანსის „მხოლოდ შენ ერთს“-ის მუსიკამ შემოსულებს შორის მყისვე სიჩუმე და-
ამკვიდრა.

ლევან პატაშვილს საამო ბარიტონი ჰქონდა. გრძნობით იცოდა სიმღერა,
ქუთაისის ქალაქში მღერობს ძალიან მოსწონდათ.

რომანსის შესრულებაში ყველამ მიიღო მონაწილეობა. ვისაც ხმა ნებას
არ აძლევდა, ნაჩუმათევად ან გუნებაში მაინც მღეროდა.

ქალების ხმაში ყველაზე გამოჩინებით ცაცას ხმა გაისმოდა. — პატარა, ოქ-
როს ეყვანისებრ წკრიალა.

ის-იყო, გაათავეს სიმღერა თუ არა, დარბაზში შალვა რამაძე შემოვიდა.

ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ცაცას კონცერტი არ
მოსწონდა.

საერთო სალამი მისცა სტუმრებს. მერე სინიდისის მხილებასავით მიუახლოვდა ცაცას და გარედ გაიხმო.

ცოტა შეიკვირვა ცაცამ. მაგრამ უნალვე გაჰყვა.

შალვა შეუჩერებლად შევიდა თავის ოთახში და აქ, ანთებული ლამპის წინ, ცაცას არჩილის წერილი გადასცა უხმოდ.

ცაცამ იქვე გაშალა ბარათი, ლამპასთან ახლოს მიიტანა და კითხვას შეუდგა.

როცა წაიკითხა, ქალღმერთად ხელის გულში შეკუმშა და თითქოს სასიკვდილო რამ ტკივილი ეგრძნოს გულში, ისე გადახედა შალვას.

— შალვა... — თითქოს შველა ეთხოვოს, ისე მიმართა. —

შალვა კი თავჩალუნული იჯდა თავის სკამზე და სდუმდა. მხოლოდ კარგახნის სიჩუმის შემდეგ ხმა ამოიღო და საშინელი გულგრილობით წარმოსთქვა:

— მე არ ვერვინ ამ თქვენს საქმეში, ჩენო დაო...

მაგრამ გვიან იყო: ცაცას შალვას ეს ცივი სიტყვები არც გაუგონია: იგი უკვე ფანჯრიდან გარედ სივრცეში იმზირებოდა და შეუვალად გულჩათხრობილი, თითქოს ძალიან შორიდან მომავალ საიდუმლო ხმას უსმენდა გარინდებით.

ასე იყო დიდხანს.

მერე თვალები უცებ მოსწყვიტა გარე სივრცეს და ძირს დახარა.

სახეზე მტკიცე დამშვიდება აღიბეჭდა, სრული უწყინარობა, და თითქოს სრულიად უბრალო და ბუნებრივი გამოსავალი ეპოვოს, ჩვეულებრივი ხმით წარმოსთქვა:

— მაშ, ასე...

ხელში შეტკმუნილი წერილი მარცხენა ხელის სახელოში დამალა ცხვირსახოცთან.

თავი მაღლა ასწია და შალვასთვის არც შეუხედავს, ისე გავიდა ოთახიდან.

დარბაზის კარებთან კი შეჩერდა. თვალებსა და სახეზე ხელი შეისვა და თმა გაისწორა.

— მაშ, ასე... — გაიმეორა ჩუმად, მაგრამ მტკიცედ. თავი შეიბერტყა და მერე კარების ერთბაშად გაღებით დარბაზში შეჭრით შევიდა.

მეგობრებმა ყველამ ერთდროულად მიაპყრეს ცაცას თვალები.

შესდგა ცაცა.

მისი თვალები ელვის ღრაკნილ ხაზად შემოევლო მკრთალად განათებულ ოთახს და სტუმრების სახეზე დაიშალა.

— მეგობრებო მეც თქვენთან ერთად მოვდივარ... მომილოცეთ! — გაისმა ცაცას ხმა.

გახარებისა და გაკვირვების ხმები ერთმანეთში აირივნენ.

რომელიღაც როიალს მიუჯდა სასწრაფოდ და მოულოდნელმა, მაღლად აღებული ვალსის ხმამ საერთო ხმაურობა დაჰფარა.

თითქოს უცაბედად მოვარდნილ ქარს დაეტრიალებიოს, ისე დატრიალდნენ წვეილ-წყილად ცაცას სტუმრები.

ცაცამაც ტანი სავალსოდ მოიმარჯვა, ხელები შესაფერისად გაშალა და ასე, ერთმა დაიწყო ცეკვა პას ნელი, გრაციული მოხაზვით, მერე იმ ადგილისკენ გასრიალდა, სადაც ლევან პატარა მყოფი იდგა. მიუახლოვდა. თვალების დახრით შეუღიმა და მომარჯვებული, მალლა აწეული მარჯვენა ხელი მარცხენა მხარზე დაადვა.—ასე საცეკვად გამოიწვია...
— ჩქარი! ჩქარი, ლევან!.. ქარივით... სულ ქარივით... ძალიან!

XVIII

დაუჯერებელი, ფანტასტიური, მაგრამ მაინც მოსააზრებელი რამ უთხრა ციხეში, ნახვის დროს, ამხანაგმა თომამ „დიდ ვასოს“

წერილიც გადმოსცა ჭრუჭუტანიდან და გააფრთხილა:

— რომ წაიკითხავ, უთუოდ დასწვი. კარგად დაიმახსოვრე კი, რაც შიგ სწერია.

ვასომ იცოდა, რომ ციხე უსაქმოდ მყოფ ტუსალებს ფანტაზიას უშლიდა. თომა კი უციხოდაც ცოტა ფანტაზიორი კაცი იყო.

მოსმენით კი მოუსმინა ყველაფერი და წერილიც გამოართვა ვასომ, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ძალაუნებურად გაეცინა, როცა თომამ რალაც დიდ აღმოჩენაზე დაუწყო ქარაგმით ლაპარაკი და თავი ნიუტონს შეადარა. მერე კიდევ სერიოზულად მოსთხოვა წერილში აღნიშნული საიდუმლო გეგმის შესრულება.

ციხიდან რომ გამოვიდა, იმ გაცინების ბეჭედი სახეზე ისევ აჯდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ციხის წინ ქუჩა და გარშემო მდგარი სახლები ვასომ ისეთნაირად შეათვალიერა, თითქოს მათ პირველად ხედავდა.

უთუოდ ძალიან ბეჯითად ელაპარაკა თომამ და ვასოზე გავლენა იქონია. „ვნახოთ ის პატარა სახლიც“. სთქვა გუნებაში და ქუჩას ქვევით დაჰყვა.

მარცხენა მხრით ციხეს ვიწრო ქუჩა ჩაუდიოდა. მის გადაღმა, ციხის პირდაპირ, კუთხეში, ზედ ქუჩის პირზე, პატარა ერთსართულიანი დაბალი თეთრი სახლი იდგა.

მის დანახვაზე ვასოს უცებ ჩამოსცილდა „გაცინების“ ბეჭედი, ციხიდან რომ გამოჰყვა, და შეკვირვებით შესდგა.

მალე ძალიან სერიოზული გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე.

თითქოს მშვილდ-ისარი მოემართოს, ისე დაუნძინა თვალები ამ პატარა სახლს.

მერე სახლის წინ, ციხის მხრით, ჩამავალ ქუჩის განს გახედა. გაზომა.

აქედან ციხის გაღავანს ქვემოდან მალლა ააყოლა თვალები და მის ზემოდან ეზოში გადასრიალებით იქვე ახლოს ამართულ ციხის კედელზე შეაჩერა.

შეფიქრდა.

თითქოს რალაც ჭკუაში დაუჯდაო.

— ა?—ჰკითხა თავისავე თავს გაკვირვებით,—ეს არც ისე ფანტაზიაა...

და უცებ შუბლი შეეკრა დიდი და გაბედული აზრის გაელვებისაგან.

მერე გაუხარდა რალაც.



მალულად გაიღიმა.
 ამ სახით აღგილიდანვე გამალებულ თოხარიკზე გადავიდა და უკუიქოს უჩინ-მაჩინის ქული დაეხუროს, გაჰქრა, მიიმალა.

შევიდა თუ არა თავის ოთახში, კარი ჩაიკეტა და ქულიან-პალტოიან მაგიდას მიუჯდა.

ჯიბიდან ათასნაირად დაკეცილი თომას წერილი ამოაძვრინა და ფრთხილად გაშალა.

წერილი ძალიან წვრილი ხელით იყო დაწერილი. ტექსტში რალაც საიდუმლო, მოისრებულნი ხაზები იყო ჩართული.

ვასო დაუყოვნებლივ შეუდგა მის კითხვას.

ახირებულად იყო შედგენილი. მოკლე თქმას ზოგჯერ ირონიაც ჰქონდა ჩართული.

მისი პირველი სტრიქონი ასეთი იყო:

„ჩვენ სიკვდილი მოგველის. ხსნა—ციხიდან წასვლაა. სხვა იმედი ყველა ტყუილია. ნუ მიედ-მოედებით, ხალხო. დროს ნუ კარგავთ“.

საკუთრივ წერილი ამის შემდეგ იწყებოდა.

„წელიწადზე მეტია, ამ საქმეზე ვფიქრობ. ნამდვილი გზა სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე.

„აღბად ყველა დიდ აღმოჩენას ერთი გზა აქვს: შემთხვევა.“

„აბლანდიას თვალები აქ ისე ანათებენ, რომ შიგნიდან არაფერი არ მოხერხდება: სამ ტუსალში ერთი მისი აგენტია. ოთხ კედელში ორს მისი ყურები ასხია. ფაქტი: რამდენჯერ დავიწყეთ ციხის გამოქრა, იმდენჯერ აღმოაჩინეს. ხალხი ტყუილა დაიღუპა. (სხვათა შორის: აბლანდია უთუოდ თავიდან მოსაშორებელია).

„ჩვენი ციხე სხვა ციხეს არ ჰგავს.—იგი გარედან უნდა გატყდეს. დეე მოხდეს ანდაზებშიაც რევოლუცია.

„სმენა:

„მარცხნით დაბალი სახლი სდგას. პირდაპირ. ზედ ქუჩის პირად. ციხესა და ამ სახლ შუა ვიწრო ქუჩაა. ამ მხრით ციხის კედელიც თითქმის გალავანს ეკვრის.

„მანძილი ამ პატარა სახლამდის ციხის კედლიდან—დიდია 10—15 საენი. (ამდენივე სახარების მადლი ამ პატარა სახლის ამშენებელს!).

„იგი დამქირავებლებს უჭირავსო. ერთი ოჯახია. შემთხვევით გავიგე:

„ამ დღეებში სხვაგან გადადიან.

„თავისთავად ეს ამბავი ძალიან უმნიშვნელოა. ასეთივეა—ვაშლი ხიდან ჩამოვარდა. რამდენი ხალხი გადადის ერთი სახლიდან მეორეში. რამდენი ვაშლი ვარდება ხიდან.

„მაგრამ მოიგონეთ ნიუტონის აღმოჩენაში, ვაშლის ხიდან ჩამოვარდნამ რა როლი ითამაშა.

მალულად გაიღიმა.

ამ სახით აღგილიდანვე გამალებულ თოხარკზე გადავიდა უჩინ-მაჩინის ქუდი დაეხუროს, გაჰქრა, მიიმალა.



შევიდა თუ არა თავის ოთახში, კარი ჩაიკეტა და ქუდიან-პალტოიან მაგიდას მიუჯდა.

ჯიბიდან ათასნაირად დაკეცილი თომას წერილი ამოაძვრინა და ფრთხილად გაშალა.

წერილი ძალიან წვრილი ხელით იყო დაწერილი. ტექსტში რალაც საიდუმლო, მოისრებული ხაზები იყო ჩართული.

ვასო დაუყოვნებლივ შეუდგა მის კითხვას.

ახირებულად იყო შედგენილი. მოკლე თქმას ზოგჯერ ირონიაც ჰქონდა ჩართული.

მისი პირველი სტრიქონი ასეთი იყო:

„ჩვენ სიკვდილი მოგველის. ხსნა—ციხიდან წასვლაა. სხვა იმედი ყველა ტყუილია. ნუ მიედ-მოედებით, ხალხო. დროს ნუ კარგავთ“.

საკუთრივ წერილი ამის შემდეგ იწყებოდა.

„წელიწადზე მეტია, ამ საქმეზე ვფიქრობ. ნამდვილი გზა სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე.

„ალბად ყველა დიდ აღმოჩენას ერთი გზა აქვს: შემთხვევა.—

„აბლანდიას თვალები აქ ისე ანათებენ, რომ შიგნიდან არაფერი არ მოხერხდება: სამ ტუსალში ერთი მისი აგენტია. ოთხ კედელში ორს მისი ყურები ასხია. ფაქტი: რამდენჯერ დავიწყეთ ციხის გამოქრა, იმდენჯერ აღმოაჩინეს. ხალხი ტყუილა დაიღუპა. (სხვათა შორის: აბლანდია უთუოდ თავიდან მოსაშორებელია).

„ჩვენი ციხე სხვა ციხეს არ ჰგავს.—იგი გარედან უნდა გატყდეს. დღე, მოხდეს ანდაზებშიაც რევოლიუცია.

„სმენა:

„მარცხნით დაბალი სახლი სდგას. პირდაპირ. ზედ ქუჩის პირად. ციხესა და ამ სახლ შუა ვიწრო ქუჩაა. ამ მხრით ციხის კედელიც თითქმის გალავანს ეკვრის.

„მანძილი ამ პატარა სახლამდის ციხის კედლიდან—დიდია 10—15 საყენი. (ამდენივე სახარების მაღლი ამ პატარა სახლის ამშენებელს!).

„იგი დამჭირავებლებს უჭირავსთ. ერთი ოჯახია. შემთხვევით გავიგე:

„ამ დღეებში სხვაგან გადადიან.

„თავისთავად ეს ამბავი ძალიან უმნიშვნელოა. ასეთივეა—ვაშლი ხიდან ჩამოვარდა. რამდენი ხალხი გადადის ერთი სახლიდან მეორეში. რამდენი ვაშლი ვარდება ხიდან.

„ნაგრამ მოიგონეთ ნიუტონის აღმოჩენაში, ვაშლის ხიდან ჩამოვარდნამ რა როლი ითამაშა.

„სწორედ სრულიად ამისთანა როლი ითამაშა ჩემს ალმოჩენაში შემთხვევით გაგებულმა ამბავმა: ამ დღეებში მდგმურები სხვაგან გადადიანო.

„უეჭველია, ნიუტონისა და ჩემი აზრის გაქანება სრულიად ერთნაირი იყო, როცა ნიუტონის ყურადღება ვაშლის ჩამოვარდნამ მიიპყრო, ხოლო ჩემი კი— აღნიშნულმა ამბავმა.

„ამას გაგება უნდა სხვანაირი და გამოყენება. ხალხია სათანადო საჭირო. თქვენ კი არ დაგაინტერესებთ. მე სემინარიელი ვარ: ცოტა მეტაფიზიკა მიყვარს. რაც ამ ამბის შემთხვევით გაგებას მოჰყვა, ამას მაინც გულდასმით უგდეთ ყური.

„შედგვი ასეთია და ამას ხელი არ გაუშვათ, იცოდეთ:

„ეს სახლი პატრონისაგან ახლავე დაიჭირავეთ. სხვებზე მეტი მიეცით. (სულწასულობა კი არ დაიმჩნიოთ).

„სახლში საიმედო ამხანაგი ჩააყენეთ.—ოჯახიანი, მაგრამ უბავშო, უკეთესია.

„სახლს სარდაფი აქვს, აქედანაც შეიხედება.

„ამ სარდაფიდან უნდა დაჰკრათ „პოდკობი“. განვლოთ ქვეშ-ქვეშ ქუჩა და ციხის გალავნისა და კედლის საძირკვლების ქვეშიდანვე შემოვლით საპყრობილის ქვემო-სართულის პირველი ოთახის იატაკზე დააკაკუნოთ (იხილეთ ხაზების ისრები).

„ასეთია გეგმა. ზოგს ეს ხაზებიც მიგახვედრებთ.

„დეტალებიც ბევრია. ამაზე მაშინ, როცა გეგმას მიიღებთ.

„აზრი ნათელია. მარტივიც. საქმის მოწყობას კი დიდი ორგანიზაცია სჭირია. აქ რევოლუციონერობის გარდა, ნიქიცაა საჭირო.

„შემთხვევითი ხალხი ახლოსაც არ გაიკაროთ.

„ისე კი ნამდვილია. უეჭველი რამ.

„შეიძლება ცოტა სისხლიც დაიღვაროს მერე, გაქცევის დროს, მაგრამ არაფერია: ისტორიას სისხლი უყვარს.

„წაიკითხე კიდევ ერთხელ ეს წერილი.

„წაიკითხე? კარგად მიმიხვდი?

„მაშ, ახლა დაწვა არ დაგაფიწყდეს, იცოდეთ.

„პასუხის ვადა: ორი დღე“.

ერთხელ რომ წაიკითხა ეს წერილი ვასომ, არ შეუსვენებია, ისე ხელმეორედ თავიდან დაიწყო.

ახლა უფრო დაკვირვებით წაიკითხა. ზოგ ადგილზე შეჩერდა. გაიაზრა.

— კარგია!—სთქვა გადაჭრით, როცა გაათავა.

მოეწონა.

აღვა. შეიშმუშნა. გაიარ-გამოიარა მოკლედ.

მერე მაგიდასთან შესდგა. წერილი აიღო. შეატრიალ-შემოატრიალა. დაათვალიერა: სადმე რამე მინაწერი ხომ არ არისო. მერე საფერფლებზე დააგდო და ცეცხლი წაუკიდა.

— ყოჩაღ, თომა!.. გეთანხმები, ფანტაზია კარგი რამეა მიხვედრისათვის! — ჩაილაპარაკა და კიდევ გაიარ-გამოიარა. შალერის ჯიბეში უნდოდა ხელის ჩადება, — ასეთი ჩვეულება ჰქონდა. მაგრამ პალტომ ხელი შეუშალდა. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება, რომ პალტო ეცვა და სწრაფად გაიხადა.

ლოგინზე წამოწვა პირადმა.

ახლა გულში რაღაცას გულმოდგინედ ანგარიშობდა.

ხანდახან თითებზედაც ითვლიდა... ეტყობოდა რაღაცა ვერ დაეთვალა. სულ თავიდან იწყებდა: მარცხენა ხელის თითების სათითაოდ გადმოკეციო. ყველაზე მეტი ჯაფა ნექს ადგა.

სახე ეცვლებოდა. ზოგჯერ წამოწითლდებოდა.

უცებ არ მოეწონა, რომ წამოწოლილი იყო. წამოხტა. მაგიდას მოუჯდა. რამდენიმე სახელი ჩამოსწერა ქაღალდზე. მერე წაიკითხა ჩამოწერილი. ზოგი ამოშალა. სხვა ჩაურთო.

კიდევ წაიკითხა.

შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად დახია ქაღალდი.

თითქოს გაჯავრდა.

რაღაც არ მოსწონდა და აწუხებდა.

— ასე თუ ისე... — სთქვა ბოლოს. — უნიკოდ ეს საქმე არ მოხერხდება. ენახო ერთი, რას იტყვის...

ისევ ჩაიკვა პალტო. ქუდი დაიხურა და ოთახიდან ფიცხლად გავიდა.

(გავრძელება იძნება).



ს ა ლ ი *)

(რომანი)

* * *

გათენდა მზიანი დილა. ბავშვები აღრიან მოცვივდნენ. თვითუღს ხელში სხვა და სხვა ფერი პარკუჭანები ეჭირათ, კმაყოფილები ტიტინებდნენ. ზეთ-დალეული, წვალებით ღამე-ნათევი სალი უგულოდ ყურს უგდებდა გუშინდელ შობის ხეზე მოყოლილ ამბებს. უნახავი დარჩა უთვალავ ვარსკვლავებით გაბრწყინებული ნაძვის ხე, ბამბაჯიის კაბაც. მაგიერად მოხუცებულეებთან დარჩა, ეს კი სალისთვის ბევრს ნიშნავდა. ეშინოდა გულის საიდუმლოება არავის გაეგო, თვით მარიამსაც. ამ დროს ცაცქანამ ფოჩიანი კამფეტი შესთავაზა, უნდოდა უარი ეთქვა, წეხედა ცაცქანას გაყვითლებულ სახეს, შეეცოდა და ჩამოართვა.

თუმცა სამივე ბავშვს გუშინდელი ვარდისფერი კაბები ეცვათ, მაგრამ ნატოს თინა მაინც არ წაეყვანა შობის ხეზე, რათა ცაცქანასთან დარჩენილიყო. ახალი კაბა კი მიუცა. ძველ კაბაში მარტო ცაცქანა იყო.

სალი რომ წაჰყოლოდა, მაშინ თინაც ძველში იქნებოდა. სალის თვალში ვარდისფერ კაბებთან ცაცქანას კაბა საგრძნობად წინ იჭრებოდა, ბავშვი უგულოდ იხედებოდა თვით იმ შეხვეულ ბოხჩისკენ, რომელიც ამ დილით მკერავს გამოეგზავნა. ბავშვებს აკრძალული ჰქონდათ არამც თუ მისი ხელის ხლება, ახლო მიკარებაც.

— ეგ ვერიკოს და ბაბუცას კაბებია. თვითონაც დღეს მოვლენ. — უთხრა ლიზიკამ.

ბავშვები მაგიდას წემოუსხდნენ. ნამარხულევი, წირვამოსმენილი მოხუცებულები ჩაის სვამდნენ.

— რა გახარო, დედა ჩემო: სამი საათის მატარებლით ჩემი ვერიკო და ბაბუცა მომივლენ. ოთარისგან დეპეშა მომივიდა. აბა, კაბები დავათვალიერო! — ამ სიტყვებით ოთახში შემოსრიალდა შინდისფერ ფარჩის კაბაში გამოწყობილი ნატო და მაშინვე შეკრულ ბოხჩისკენ გასწია.

— აი, ეს მესმის! მაღამ კაროს გემოვნება შესანიშნავია! შესძახა ალტა-

*) იხ. ჟურნ. „მნათობი“ № 3.

ცებით ნატომ, როდესაც ხელით ასწია საგანგებოდ შეკერილი ორი კაბა სალის თვალში დანარჩენი ბავშვების სადღესასწაულო კაბები დამცირებულნი იატაკზე გაინარცხნენ და რჩეულთ თაყვანი სცეს. ნატომ ტანისამოსი შეახვიდა პლექსას დაუბარა, ეხლავე გადაეტანა მათ ბინაზე. ამასთანავე დიდათ ეხუტებოდა, თითქო დავიწყებოდა არამც თუ სალისგან მიყენებული უსიამოვნება, არამედ თვითონ სალიც.

— მეთორმეტე საათია, მალე უნდა წავიდე. საცაა ჩვენთან სტუმრებიც მოვლენ. ბარემ დღეს კარზე გამოსასვლელი არ ვიყავი, მაგრამ გულმა არ მომი-
თმინა. მინდოდა შენთვის შემეტყობინებინა ბავშვების მოსვლა, დედაჩემო!

ნატომ ბრილიანტებით შემკული პაწია საათი კაბის ნაკეცებში შემალა, გულზე სამ ტოტად დაშვებული ოქროს ძეწკვი შემხედვარეს მაინც თვალეხსა სჭრიდა.

— ქალს ოღონდ ჩააცვი, ეფერე და სხვა რაღა უნდა! ბედნიერია! — წარ-
მოსთქვა კიაზონ, როდესაც ნატომ კარი გაიხურა.

— ჰო-ჰო-ჰო! ვერა და ვერ მორჩა შენს საყვედურებს. რა დაგემართა, ბეჩა? სწორედ მაგაზე იტყვიან: ავი კაცი აღდგომასაც ავიაო. დღეს მაინც შეი-
მაგრე თავი, რომ შენგან ნატოზე სამღურავი არ მესმოდეს! ეგლა გვაკლდა, რომ შემკვიდრე ქალიშვილი ქვეყანაში შესარცხვენად შიშველი გამოგვეშვა! —
უპასუხა უკმაყოფილოდ მარიამმა.

— მართალია, რაკი ნატო ერთად ერთი შვილი იყო, იმიტომაც ერგო
შემკვიდრეობა, ნებიერობა რე ფარჩა-ფურჩებში შრიალი, რომლის დროც ჩაბარდა
პატრონს. გაიხსენე, ეხლა ვინ არი? რვა შვილის დედა, ოჯახის დიასახლისი.
ჩვენ რო მაგას ვანებიერებდით, სახლში გასანებიერებელი არავინ გვრჩებოდა,
მაგას კი, ორი თითის ტოლა გოგოს კაბის დანახვაზე თხუთმეტი წლის ბავშვი-
ვით ფეთება მოსდის და ავიწყდება, რომ აქ კიდევ ოთხი თავისას თხოულობს.

კიაზომ თვალით ანიშნა ცაცკანაზე, რომელსაც ქადით პირი მოზუზნოდა.

— ფიქრი არ არი! ამათაც დრო მოუვათ და ღმერთი უშველით. ჯერ
დაიზარდნენ, ორი ხელით პირი დაიბანონ და ნახავ ესენიც რა იქნებიან! — უპა-
სუხა მარიამმა, მაგრამ როგორც სალისთვის, ისე სხვა ბავშვებისთვის დიდი
ხნის საანბანო კეწმარიტება იყო, რომ ვერიკოსა და ბაბუცასთან ფეხს ვერ
წადგამდნენ.

სალის გაახსენდა ნატოს გუშინდელი შერისხული წარბები, თვალების
მწველი ნაპერწკლები, რომელნიც ემუქრებოდნენ.

— წავიყვან! მაინც წავიყვან!

შეშინებულმა გაიხედა კიაზოსკენ, რომელიც სუფრის თავში იჯდა და
ხმადაბლა ღიღინებდა.

ოთახში შემოვიდნენ სტუმრები — ცისკარა, ანუშკა. ცოტახანს უკან ფერიე-
ბსავით შემოცქრილდნენ ორი თმა-გაკრეჭილი — ათი და თორმეტი წლის გო-
გონები. კიაზოს და მარიამს ხვევნა-კოცნა დაუწყეს, ნატოც უკან მოსდევდათ.

ვერიკო და ბაბუცა სააღერსო ყვავილებად ხელი-ხელში გადადიოდნენ,
რუსულ-ფრანგულის ელურტულით მსმენელნი ალტაცებაში მოჰყავდათ. ეხლა

ქართულადაც უნდა ელაპარაკნათ, რადგან ბებია-პაპას უცხო ენა არ ესმოდიო. ბავშვები კი ამაზე ლაპარაკს თითქმის გადაჩვეულიყვნენ, რადგან სასწავლებელში აკრძალული ჰქონდათ ქართული, მარტო საპირისფარეო ენაზე უნდა გახედებოდნენ რისიმე თქმას. ვერიკოს და ბაბუცას საოცარისკ ხასწორებით მიღწეული განათლება თავისებურ იერს იღებდა, ღირსებას უმაღლებდა. ნატოც განაბული ყურს უგდებდა შვილების ერთმანეთში უცხო ენაზე ტიტინს, ალტაცებაში მოდიოდა, რომ მისი შვილები იმ სიმაღლემდე აწეულიყვნენ, რომ ნატო მათ ველარ სწვდებოდა და ეს მიუწვდომლობა ახარებდა, ფიქრობდა:

— აბა ვნახოთ თუ ეს უსწავლელი ქალი რა თითით საჩვენებელ შვილებს გამოზრდის! კიდევაც აქ არის უმაღლესი მიღწევა, რომ მაგათი არა მესმისრა, და მაგათ ჩემი, თორემ თუ ესენიც ჩემისთანად დაიწყებენ ქართულად ჯლიყინს, მე დამემგვანებიან, და მაშინ რა შვილები იქნებიან!

ნატოს თვალეში ნალველი გამოუკრთებოდა როდესაც გადახედავდა სხვა ბავშვებსაც, რომელნიც შემკრთალნი იყურებოდნენ.

— ოოხ, რა მძიმე ტვირთი ყოფილა შვილი! რა ვქნა მე თვითონ უცოდინარმა, ამდენ ბავშვებს როგორ მოუვარო? ღმერთო ჩემო, ასე სასტიკად რაღა ვარ დასჯილი, რომ არ მასწავლეს! ჩემ უბედურ მშობლებს ჩემს მეტი ვილა ებადათ ცხოვრებაში, ასეთი რად გამომიყვანეს? სხვა კიდევ ჯანდაბას, რუსული მაინც მცოდნოდა!

ნატოს თვალეში სალიზე გაჩერდნენ. ბავშვი განზე იდგა, გაბლვერილი იყურებოდა.

— ამას ხომ ცოცხალსვე აქვს ანდერძი აგებული! სწორედ სოროდან გამომყურე ნადირია. რავდენადაც ვერიკო და ბაბუცა სხვებზე წინ არიან, ეს ყველას უკან რჩება. ჯერ შვიდი წლისა არ არი, ქართულ წიგნის კითხვაში ლამის დიაკვანს გაუსწროს; ჯერ თვითონ თავი და თავი მცოდნენი ქართულისა რა არაფერი შვილები არიან, ეს რაღა უნდა იყვეს? ნუ თუ ამ უბედურს მთელი სიცოცხლე სოსიკაანთ ბოსელში უნდა ამოულამდეს? არა, უნდა წავიყვანო?

ამ გარდაწყვეტილების შემდეგ ნატომ გულის დასაამებლად გახედა საიმედო ცქრიალა შვილებს, რომელთ შორის მშობლის გრძნობის უპირატესობა ვერიკოსკენ იხრებოდა. თუმცა ბავშვებმა ერთმანეთი დაკოცნეს, მაგრამ მაინც გულში ურთიერთისადმი დიდ უცხოობას გრძნობდნენ. რაღაც ხმა განუწყვეტლად ჩასძახოდათ, რომ სხვადასხვა არსებანი იყვნენ.

სალის ვერიკო და ბაბუცა ბავშვებთან ერთად ბუნდად ახსოვდა, მალე ავიწყდებოდა, მეტადრე მას აქეთ, რაც სასწავლებელში მიებარებინათ, ზაფხულობითაც არ მოჰყავდათ, რათა სასწავლებლის გამგისგან შენიშვნა არ განმეორებულიყო იმის შესახებ, თუ ბავშვებს ზაფხულში, დედ-მამასთან ყოფნის დროს დავიწყებოდათ თავის დაქერა, მიხვრა-მოხვრა და სოფლურ სიტყვა-პასუხზე გადასულიყვნენ. როდესაც სალი უყურებდა ვერიკოს და ბაბუცას, თვალწინ უდგებოდნენ მარიამისგან ხშირად ნაამბობი ზღაპრები არაბეთის, ან ჩინეთის მთავრის ქალებზე, რომელთ ქვეყანა სხვა ჰაერით და დედა-მიწით შეზავებული-

ყო, რომ მათ სალი ვერ საიდან მიწვდებოდა, მაგრამ დღეს საზღაპრო მთაერის ასულების ცა სალის თვალწინ დაბინდულიყო, ბავშვი თვალს არიდებდა.

დღე მიიპარებოდა, სტუმარი სტუმარსა სცვლიდა. კისკის-ხეცოლესუ დროსაც კი კიაზოს ოჯახში დაკრთოდა ჩრდილი, რასაც თვითვეულონ წვეკრი ქრმანტბდა. ეს ჩრდილი თვით უუმცროსეს ცაცკანასაც აფიქრებდა:

— ამ სახლს იქით სახლია, იქ მამაა, არჩილა ძიძით, სარიდანა, მენიკა და მიხა. ისინი აქ ვერ მოვლენ, მამა ხომ პაპასთან წაჩხუბებულია.

ცაცკანას სახეზე ნაღველი უჩნდებოდა. ვერაკოსა და ბაბუცას სასწავლებელსა და თანამოსწავლე ამხანაგებთან შესადარად ორი პაწია ოთახი სულის შემხუთავად გჩვენებოდათ; ბავშვებიც სრულიად განზე დარჩენილები, თუმცა ამავე დროსვე გრძნობდნენ, რომ ყველანი ერთი დედ-მამის შვილები იყვნენ, მაინც დაუკმაყოფილებელი ქუჩისკენ იყურებოდნენ.

პაპა, ეხლა ჩვენთან წამობრძანდით! განახებით უთხრა ვერიკომ, როდესაც ოთახში მარტო შინაურები დარჩნენ. პატარა ქალმა შავი, გრძელი წამწამებით შემორაზმული მწვანე დიდი თვალები კატასავით შეანათა კიაზოს. ნიდაყვამდის ტიტველი ხელი მოხუცს კისერზე შემოაჭლო, თეთრი ლამაზი კბილები წითელ ტუჩებ შორის გამოუკრთნენ.

— უსათუოდ წამობრძანდით. ჩვენ გვინდა ნამას'და თქვენ ერთად გიყუროთ. ორივენი ერთნაირად გვიყვარხართ, ერთად კი არას დროს არ გვინახებხართ, აქეთ-იქით როდემდის ვირბინოთ?..

კიაზოს მარჯვენა ხელი შუბლზე შემოედო, ნიდაყვით მუხლს დაბჯენოდა, ვერიკოს მარმარილოსავით ნაკვეთი თლილი ზუშა თითები ღია ვარდისფერ ფრჩხილებით თავდებოდა, კიაზოს ქალარა სახეზე ცურავდა. ხელი სუნნელით იყო ნაპკური, მოხუცის გონებას ათრობდა.

— წამობრძანდით, პაპა!— ელრიჭებოდა აგრეთვე ბაბუცაც. ბაბუცა ვერიკოზე უმცროსი იყო, უფრო მოსული, შავგვრემანი. ნატოსათვის ბავშვების ასეთი გაბედვა მოულოდნელი იყო, გაოცებით შეჭყურებდა. სხვა ბავშვებიც თხოვნის ნიშნად უღიმოდნენ კიაზოს. სალის სახე შეცვლოდა, ხელის გამხდარი თითები კორის კლანჭებივით გულთან მოეკრუნჩხა, აფხორილიყო, თვალების გადიდებული ბაიები ჩამუჭოდნენ, იქ მყოფთ ვეღარ ამჩნევდა. ეჩვენებოდა, თითქო ოთახს სახურავი ახლოდა, შავი ღრუბლებიდან ალქაჯები ჩამოშვებულყვნენ და თვითო-თვითოდ მიჰყავდათ ჯერ კიაზო, შემდეგ მარიამი, მერე სალი. ბავშვს სიმწარის ოფლმა გადააჰკრა სახეზე. გრძნობდა, რომ ეკარგებოდნენ მოხუცებულები, მათ თან მისდევდათ საყვარელი სოფელი, სადაც ჩარჩებოდა სალის უსხეულო სული. სხეულს ალქაჯები წაიღებდნენ, ნუდამ ზიშსა და წამებაში ეყოლებოდათ მაშინ, როდესაც ბავშვის არსებაში მარიამი, კიაზო და სალი ერთად იყვნენ შედუღებულნი.

— არ წაჰყვე! არ წაჰყვე!

უხმოდ ჩურჩულებდნენ მისი ტუჩები, თან კიაზოს თვალს არ ამორებდა. კიაზომ უხერხულობა რგრძნო, თავი მალა აიღო და დაინახა შეშლილი სახე ბავშვისა.

— არ წაპყვე!.. არ წაპყვე!—შელაპარაკობდნენ შეშინებული თვალები, ვერიკო კი კაბის შრიალით გარს უხტოდა კიაზოს, ხელთა სწევდა, მაგრამ პაპამ უცბად შუბლი შეიკრა.

— ნუ თუ მაგ გომბიოს ღიჭინს უნდა აპყვე? თბერ ღმირს და შენს დამლუპველს ეახლო? ჩასძახოდა მოხუცს გამოფხიხლებული გონება.

— კარგია, ცელქობა გეყოფა, დაწუნარდი!.. იქ წამოსასვლელად სადამცალიან! ათასი საქმეები მაქვს... წადით ბავშვებში ითამაშეთ! უთხრა კიაზომ და გაიზმორა, თითქო ეს არის ეხლა ძილისაგან გამოერკვაო. ვერიკოს და ბაბუცას უცბად, თითქო ცივი წყალი გადაესხათ, ერთ ადგილს გაშრნენ. კიაზომ მათ აღარ უყურებდა, ქუდს იბერტყდა, ტანისამოსს ისწორებდა. ნატომ მამას გაბღვირა, ბავშვებს ანიშნა ყველანი გაპყოლოდნენ. სალი სკამზე ჩამოჯდა და წამსვლელებს ბღვერა დაუწყო. როდესაც ყველანი წავიდნენ, კიაზო მივიდა სალისთან, თვალებში ჩახედა.

— რა დაგემართა შეილო? შენც კი ხარ მარიაშ. როდესაც ქალაქში ჩამოდიხარ ეს ბავშვი აღარ გაგონდება. შეხედე ამის ფერს, წლის ნაცრებსა ჰგავს.— უსაყვედურა კიაზომ ცოლს, რომელიც ბუხართან იჯდა, ხმას არ იღებდა.

— სახლში შემომტანი კაცები, რომ ერთმანეთს ასე გაბღვერიან, ჩვენ, დედაკაცებს, ის ლა დაგვრჩენია აქეთ-იქით მივაწყდ-მოვაწყდეთ, ხან ერთი მხარე ვამშვიდოთ, ხან მეორე. ამათი ჩხუბი რა ბავშვების გადასახადია? სოფელში ნალე მაინც წავიდოდეთ, აქ შიშისგან გული მისკდება, ასე მგონია საცაა ერთმანეთს ეცემიან მეთქი. მეტის-მეტია, დათმობას არც ერთისგან ველი, საერთო საქმე კი ფუჭდება და იჩაგრება.—ფიქრობდა დაღონებული მარიაში.

— მარიაშ! გჯეროდეს ჩემი სიტყვები. ამ ბავშვს სული დაბერე, თორემ ხომ გაგიგონია, ფურმა იწველა, იწველაო, ჰკრა წახლი და დააქციაო, ისე არ მოგვივიდეს.

მარიაშმა ნალელიანად გაიღიმა. ცხადად ხედავდა—კიაზოს სალი უყვარდა. ნატოს კი მისი წაყვანა განეზრახა. მარიაშის გონება შავ ღრუბლებში გაეხვია. სალი ამ დროს თუმცა ჩუმად იყო, მისი მახვილი ყური თვითეულ ნათქვამს მარცვლებსავეთ ჰკრეფდა.

— სოფელში როდის წავალთ?—გაუბედავად შეეკითხა კიაზოს სალი, როდესაც მარიაშმა ლოვინთან მიიყვანა.

— რა დროს სოფელია, ვერა ხედავ შუა ზამთარია! სოფლად ეხლა უფრო მეტი სიცივე იქნება.

— იქ ბევრი შეშაა, დიდი ცეცხლი... ხვალ წავიდეთ, პაპა!—შეხვეწა ბავშვი და ძარღვიანი ხელი მაგრა დაუჭირა.

— ნუ გეშინიან, სოფელი არსად გაგექცევა. რით ვერ მოგწყინდა?! აქ უფრო ბევრია შენთვის სასარგებლო და კარგი. ნათესავები, დედ-მამა, დები, ძმა. ხედავდი, ვერიკო და ბაბუცა როგორ ასხაპუნებდნენ ფრანგულს! შენც მაგათგან ბევრ რამეს ისწავლი. იქ კი გლეხების მეტი ვინ არის?

— მე სოფელში მინდა!—გარკვევით და უინიანად გაისმა ბავშვის თავშემავრებულ სლუკუნში. კიაზო იქვე საწოლზე ჩამოჯდა და ჩაეკითხა:



ქართული

— შითხარი მაინც, აქ რა არ მოგწონს?
 — ყველაფერი... ღამე... როცა მძინავს, თვალ-ბრიალა კატა მოდის / და
 მიტაცებს...

— თუ გეშლება და მელიაა? ხუმრობაში გაუტარა კიახომ?

— იქნება... არ ვიცი... საშიშრად მოდის... წავიდეთ სოფელში! — კვლავ
 სლუკუნებდა სალი.

— მაშ კარგი, ეგრე იყვეს. ჩამოთბება თუ არა, წავიდეთ. როცა კიდევ
 მაგისთანა სიზმარი ნახო, ჩემსკენ გამოიქე და ის წუწკი მოგშორდება. — უთხრა
 ალერსით კიახომ და ბავშვს მოშორდა. სალიმ თვალი გააყოლა დამედებულმა,
 რომ ხვალ-ზეგ პაპა სოფელში წაიყვანდა.

* * *

ოთარი როდესაც ცოლ-შვილში რჩებოდა, ხანდისხან არჩილასთან თავს
 თუ ირთობდა, თორემ დანარჩენ ბავშვებისთვის ველარ იცლიდა. ათასნაირ აწე-
 წილ-დაწეწილ საქმეებით თავგაბრუებული ოთახში შეკეტილიყო, რომელიმე ვე-
 ქილთან საუბრობდა, ურფო მეტ ნაწილად უგუნებოდ იყო. ოთარის ლალი, ზო-
 შიერებას მოკლებული ბუნება ცოლ-შვილს ძნელად ეგუებოდა, თუმცა თავისე-
 ბურად უყვარდა, რაგდენადაც მის პიროვნებას ხალხის წინაშე აცხოველებდა.
 ოთარს ცოლის შერთვის შენდევ, თუმცა ბევრში მისი მისწრაფება გაყრუვდა
 და გაქარწყლდა, მაგრამ გულში მაინც დარჩა რწმენა: რომ გაჭირვებული ხალ-
 ხი არ შეეწუხებინა, მიმართავდა სხვა და სხვა მოსაზრებათ, როგორც პრიკაზს,
 კერძოდ ფულიან ხალხს, მამულებს უგირავებდა, თამასუქებს არიგებდა, მიწებს
 ჰყიდდა, მოიჯარადრებთან სხვა და სხვა საქმეებს იჭერდა, მათ პატიოსან სიტ-
 ყვას ჯერდებოდა, თვითონ კი ფეხს არ ადგმევინებდნენ, თუ ხელწერილს არ
 მისცემდა. სასამართლო, ვექილი, ჩარჩ-ვაჭარი, მოიჯარადრე, ქალაქის სათამა-
 შო მწვანე მაგიდა, წვრილი ცოლ-შვილი — ყველა ეს საგრძნობად თვალს უჭრი-
 ალებდა, მოსახოვდა დროზე პასუხის გებას. ოთარიც უსწორდებოდა სხვა და
 სხვა საშუალებებით, რაც კი თავში მოუვიდოდა, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა.
 ნატოს სიმშვენიერეს შეჩვეოდა. დარწმუნებულიყო, ქალს ბუნებისგან არ ქონდა
 მინიჭებული მამაკაცთან გათანასწორების ძალა, როგორც გონებრივად, ისე
 ფიზიკურად, რომ ქალი მარტო ვნების დასაკმაყოფილებლად იყო, შვილე-
 ბის საჩენად, საფერაო-საკეკლუცოდ და, რასაკვირველია, ნატოსაც შეუძლებელს
 ვერ მოსთხოვდა.

ნატო შემკვიდრე იყო, მაგრამ მის შემკვიდრეობაზე უფლობდნენ ჯერ კი-
 დევ ცოცხალი ძველი მფლობელნი, რომელთანაც აგრეთვე საერთოს ვერას ბე-
 დავდა. მათი სიძე, მათთან ვერა რიგდებოდა. ბევრჯერ პირშიაც შებშია კიახო
 საჯაროდ სუფრაზე, როდესაც ოთარს ტოლუმბაშობის დროს ღვინო მეტი
 მოსვლია, ქალაქშიაც მომეტებული ფული წაუგია, სიმამრს უმართებლო სი-
 ტყვიით შეურაცხობაც მიუყენებია.

ოთარი უთმენდა, ამავე დროს თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა მასთან
 ახლო ყოფილიყო, ბავშვსავით მოესმინა წყრომა და რომ ერთხელ და სამედა-

მოდ თავიდან მოეშორებინა სიმამრისგან უსიამოვნო მზრუნველობა, წვეულობაში უბრალო მიზეზის გამო შეუხირდა. დამსწრე საზოგადოება რომ არ ჩარეოდა, შეიძლებოდა ამ უსიამოვნო შემთხვევას ცუდი მსჯელობა გამოეყო. მას დღეს აქეთ სიძე-სიმამრი ერთმანეთს ერიდებოდნენ როგორც დღე და ღამე. ნატო ქმარს ესარჩლებოდა, მამას ამტყუნებდა, ექვი შეჭქონდა — კიაზოს თვალში არ უჯდა, იქნება კიდევაც ენანებოდა მისთვის თავისი ქონება.

— ვის ემდურება?! პირველშივე რატომ არ იფიქრა, რომ ოთარი მისი შესაფერი არ იყო? ჩემ შერთვამდე, ვითომ არც ერთხელ გაეგონოს ოთარის ქალღმრთის თამაში, ან ლვინის დაღევა? მაგალითი მარტო ოთარია?.. თითქო თვითონ კი არ მენახოს ხელში ლვინით სავსე ჯიხვით, ან ასუნაში?.. ქვეყანა თურმე ასე მომდინარეობს, ოთარისა კი გაუკვირდა?.. მე ხომ სულ მიბღვერის, არ მოეწონვარ. ჩემი ბრალია, რომ ის არა ვარ, რაც უნდა ვიყვე?.. გამჩენი მშობლები ესენი არიან, როგორც დავბადებულვარ და გავუზღვივარ, ისეთი ვარ... გათხოვება იყო და როდისა მკითხეს? სულიც კი არ მომაბრუნებინეს, ჩემი თავი საჩქაროდ, ორივე ხელით მიაჩეჩეს!

აქ ნატოს მრავალი ექვეები უჩნდებოდნენ გულში და ამ მრავალ ექვეებიდან ერთი მათგანი წილადა ზედა სალის, რომელიც კიაზოს უყვარდა.

— ჰე! განა ჩემის ბედისგან გასაკვირველია, იმ ღლაპს გადასცეს მთელი თავისი მამული და მე კი ბედოვლათ ქმარის ხელში დავრჩე წვრილშვილთან ერთად გულხელ-დაკრეფილი?! თუ ასეა, სერს ვაყურებიან იმ ცინდალს. რად მინდა თავი ცოცხალი, არამც თუ მოზიარედ, სულის ამონხდელ დად გამიხდებოდეს?!.. წამოვიყვან!.. მე იმას, უსათუოდ წამოვიყვან! ამ ექვეების ზეგავლენით ნატოს სალისადმი სიძულელი თანდათან უძლიერდებოდა..

* * *

როდესაც ნატო და ბავშვები დაბრუნდნენ სახლში, დიდი ქრიამული შეუღვათ, ვერიკოს და ბაბუკას სწვევოდნენ ამხანაგები, რომელნიც იმავე სასწავლებელში სწავლობდნენ. ნატო გამხიარულდა, დიდის პატივისცემით მიეგება მათ მშობლებსაც, გულიდან გადიყარა კიაზოსგან გამოყოლილი ბოღნები იმ გარდაწვეტილების გამო, რომ ამ ორ დღეში დედ-მამას სალის მოაშორებდა. დანარჩენი ბავშვები არჩილას ძიძას შეეყარნა ერთ ოთახში, რომ სტუმრებს თვალეში უხეიროდ არ წაჩხიროდნენ. ოთარიც სტუმრებთან იყო, მაგრამ ახრებით სხვაგან. ფხიზლდებოდა, თუ ვინმე შეგნებული შემოაღებდა კარსა, გულის პასუხს მიუხვდებოდა. ესეც მოზღვავებულ სიტყვებით უამბობდა, თუ როგორ იკვლევდა მთაში ოქროს ზოდებს, საჭონლის ჯოგზე, საუკეთესო ჯიშის ცხენებზე, ცხვარზე, მოიჯარადრეებზე, რომლებთანაც აწყობდა ფერნას. ეს ფერმა კი დიდ სარგებლობას მოუტანდა არამც თუ ოთარს, მთელ ხეობასაც. მსჯელობდა აგრეთვე, საქართველოში როგორ შეფერხებულიყო ეკონომიური მდგომარეობა, ბუნებით მდიდარი ხალხი მცონარობას მისცემოდა, სხვის ხელში შემყურენი თაოსნობას მოკლებოდნენ. მსმენელნი სიამოვნებით ყურს უგდებდნენ, ხელშიაც ფულს უხე-



დავდნენ, თუმცა ხშირად ცოლშვილს ნაკლებობას ამჩნევდნენ. ოთარი სიმამრის სიძულვილს გულგრილად უყურებდა, ხელის ჩაქნევით იტყოდა:

— ეჰ, ქვემძრონი ჯინჯველა ცაში მერინაეის გამლილ ფურცებს იწმინჯავ დაინახავსო!

ვერიკომ და ბაბუცამ უამბეს — პაპა როგორ უარზე დადგა და არ წამოჰყვა. ოთარმა შენიშვნა გაუკეთა და გაათრთხილა, რომ შემდეგისთვის მოხუცი აღარ შეეწუხებინათ და ისევ საამო ფიქრებს მიეცა. სიამოვნებით იგონებდა მთას, სადაც მეცხვარეები ცხვარსა რევდნენ ერთმანეთში, საქონლის ბლავილი, მათი ჩხვილი შვილების გამოხმაურება — ყველა ერთმანეთში ჩახლართული იყო. აგერა, ცხვრებიდან გამოირჩინენ აბრეწუმივით მბზინავი მატყლის მქონე თხები ლამაზის, დაგრეხილის რქებით. ჯიშისთვის რავდენიმე წყვილი ანგორიდან ჩამოეყვანა. მათში გასაცემი ფული არ დაუზოგავს. ნაზი საქონელი განსაკუთრებულ პირობებში ჩაუყენებია, თხებიც უპირატესობას გრძნობდენ, მოხდენილის ტანის რხევით ამაყად თავაღებულები ზვიადად მოდიოდნენ. ამ დროს ოთარს თვალწინ უდგებოდა ნატო, მაგრამ... აქ სახე შეეკუმუხენა, თვალი მოავლო მრავალრიცხოვან შვილებს... რავდენადაც იქ ყველაფერი ხელის გულისავეით ცხადი და ნათელი იყო, მადლიანი, გამოსადეგი, იმდენად აქ საქმე რთულდებოდა, აზრები იბინდებოდნენ, გამოუსავალ ხვევულებში იფანტებოდნენ. ოთარს გუნება უხდებოდა, დღე-დღესა სთვლიდა, საპატიო მიზეზებს ეძებდა, რომ დროზე აქაურობას მოშორებოდა, შვილები სიდედრ-სიმამრისთვის მიეტოვებინა და თვითონ კი ისევ მიემართა მწველელ ფურებისთვის, რომელნიც ნოყიერ რძეს ოქროებად უქცევდნენ.

* * *

ნატოსთან მარიამი ორჯერ იყო. ოთარი დიდის პატივისცემით დაუხვდა, ხელზე აკოცა, სიმამრი მოიკითხა. მარიამმაც მადლობა გადაუხადა. — ავია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო!. ახირებულა კიაზო, ახირებული! — ფიქრობდა გულში მარიამი. ეტყობოდა ოთარი უყვარდა, სალი კი თავის ტკივილს იგონებდა, მუცლის გვრემას და დიდედას აღარ მისდევდა, პაპასთან რჩებოდა. ნატო ამჩნევდა, ყველა ამას თითზე იხვევდა.

— მეც რაღას ვუყურებ? ხომ უნდა ასრულდეს დღეს იქნება თუ ხვალ? — ეკითხებოდა თავს ნატო და, როდესაც შესასრულებლად ნაბიჯს გადადგამდა, რაღაც ძალა უკანა სწევდა, აჩერებდა.

— ეს ხასიათის სისუსტეა და სხვა არაფერი. უნდა შესრულდეს!..

ამ გარდაწყვეტილებით ნატო ერთხელ დილით ადრე მივიდა სწორედ იმ დროს, როდესაც სალი მარიამთან ერთად ჩაისა სვამდა. კიაზოც კარზე გასულიყო. ნატო დელავდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, დამშვიდებით ყოფილიყო.

— მე დღეს სალი უნდა წავიყვანო, დედა ჩემო! — წარმოსთქვა და სკამზე ჩამოჯდა.

სალის ხელიდან კოვზი გაუვარდა, ოთახის კუთხეს ^{თვალი მოხვლო.} ვისაც ეძებდა, ვერ იპოვა.

ნატოს გულში ლახვრად მოხვდა მარიამის სახის ^{ცეცხლი} ცეცხლი.

— დედა ჩემს გული სალი არა აქვს, არც მე... ჩემს მდგომარეობასაც არ არგებს.

მაგრამ როდესაც გაითვალისწინა, როგორ განსაცდელში ვარდებოდა მისი შემკვიდრეობა, ყოველი დაბრკოლება გაფრთხა, ბავშვს მოხედა.

სალი უნდა წავიყვანო. ორი თვის შემდეგ სოფელში ავალთ, ესეც ბავშვებში იქნება, ისწავლის რუსულს, ფრანგულს.—მორბილებულის ხმით სთქვა ნატომ და ბავშვს გაუღიმა.

სალი სკამზე გასწორდა, ხელი მაგრა ჩასჭიდა, თვალით ერთ წერტილს მიაჩერდა.

— რას გაჩუმებულხარ, დედა ჩემო?—შეეკითხა ნატო მარიამს, რომელიც ცდილობდა, თავი ღირსეულად სჭეროდა.

— რა გითხრა?... როგორც შენა ხარ ჩემი შვილი, ისე ეგ შენი... ამის შემდეგ რაღა ძალა და ნება მაჭვს დედას შვილი წავართვა?... მაგრამ...—აქ უცბად სიტყვა გაუწყდა მარიამს, თვლები ძირს დახარა. არ უნდოდა მომდგარი ცრემლი ნატოს დაენახა.

— ოოხ, კიდევ ეგ მალონებს, ღამეებს ოეთრის თვალით მათენებინებს... შენ თვითონ ხედავ, სალი პაწაწა არ არი, შეეკითხე... თუ უნდა...—აქ ისევ შედგა მარიამი.

— მე აქ უნდა დავრჩე!—შესძახა თანამად სალიმ და გაბუდვით შეხედა ნატოს.

— შენ ვინა გკითხავს?..

— მე არ წამოვალ!.. მოისმა კვალად ბავშვის ცივი პასუხი.

ნატო ზეზე წამოვარდა. ოთახში კივილი გაისმა. კივილზე ანუშკა და ცისკარა შემოცვივდნენ.. მარიამსა და ნატოს შუა სალი იდგა. ნატო მას გამეტებით თავისკენ სწევდა, ბავშვი მარიამის კამის კალთას ჩაფრენოდა, სასოწარკვეთილებაში შესული იხლაკნებოდა, უკანასკნელ ღონემდე იბრძოდა, ეჩვენებოდა სიკვდილი მოსულიყო, საფლავისკენ ცოცხალს დასამარხავად მიათრევდა.

— მოითმინეთ!. ბავშვი არ შემოიკლათ!.. ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ?—გაიძახოდა ფერწასული ცისკარა, მაგრამ ამ დროს ბავშვი მოეშვა. გულშელონებულს ცისკარამ ხელები შეაშველა და სალი მის მკლავებზე გადასვენდა. ანუშკამ ავრეთვე სახეშეშლილი ნატო სკამზე ჩამოსვა. მარიამი ქვითინებდა.

— ხედავთ რა კერპი ყოფილა!. ხომ იცოდა დედას მიჰყავდა, რაღა აკივლებდა... მთელ უბანს გული გადმოგვიბრუნა...

— ამის შემდეგ დედამ კიდევ შვილი ინატროს?

— ჯერ სად არი, ჩემო დაო, ჯერ კიდევ რავდენ გულის ხეთქას გამოივლის ეგ საწყალი ქალი მაგ ნწივანებისგან!

— გულს დაუხმდით, ქალებო, როცა ცალმხრივ ლაპარაკობთ, სინამდვილეს

სცილდებით. ზოგი თხისკენაო, ზოგიც მგლისკენაო. ნუ გავიწყდებათ, რომ ვგ ბავშვი აკვნიდანვე მაგ მოხუცებულებს უშვილებიათ, შემკვლელებული ჰყავთ და დედას ველარა სცნობს.

— როგორ თუ ველარა სცნობს? შვილმა მაშ ვინ ეშმაკი სცნა? —
 თუ დედა არა? მაგოდენა ქალია, იმდენი არ უნდა ესმოდეს, დედის გაჩენილია თუ ბებია-პაპისა?..

— რით ვერ მიხვდი ჯამინო, მეორეთ მოსვლის ნიშნებია!.. ქვეყანა აიროა, შვილი დედას ველარა სცნობს!..

ერთმანეთს აღარ აცლიდნენ მეზობლები, თავ-თავიანთ კარებზე შექურულიყვნენ, მომხდარ ამბავზე მსჯელობდნენ. ცისკარა გაჩუმებული დაჰყურებდა სალის, რომელიც ლოგინზე იდო. ჯერ გონზე ვერ მოსულიყო. მარიაში შეშინებული ნიჩვრებოდა ნატოს, სალი დაევიწყებოდა. ნოისმა ხველა. სახლში მყოფნი მიხვდნენ: კიაზო გუნებაზე არ იყო. მოხუცმა შემოსვლის უმაღლეს თვალი მოაფლო, რადენჯერმე ჩაახველა, მარიამს შუბლ ქვეშ გახედა, უნდოდა ეთქვა რაზე, მაგრამ ამ დროს ოთახში გაისმა შემზარავი კივილი. კიაზო მივიდა ბავშვთან, შუბლზე ხელი დაადო. სალის თვალები დაეკეცა, აქეთ-იქით იხედებოდა, ცისკარა უყვავებდა, ცხვირის ნესტოებს ძმარ-წყალით უსველებდა.

კიაზო თვალებში ჩააჩერდა, ბავშვმა წამოიწია, სწვდა საყულოში, მისი სახე თვალებთან ახლო მიიტანა. ამღვრეულ თვალებს არა სჯეროდათ წინ ვინც უდგა. ის იყო... კიაზომ აკოცა, სალიმ დაიკვნესა, თავი ბალიშზე მისდო. თვალების მეტყველება აზროვნობის ხაზს უახლოვდებოდა, თვალები სუსტდებოდნენ, იხუჭებოდნენ, ხელი კიაზოს ხელში ორთოდა...

— ეს რა ამბავია, მარიამ? ცალკე ბავშვი გადარეულია, ცალკე ნატოს სიკვდილის ფერი დასდებია, შენც ცოცხალს აღარა გეცხარ... რაშია საქმე? —
 იკითხა კიაზომ.

ოთახში ყველას ენა ჩავარდნოდა. ისევ ცისკარამ უამბო, რაც მომხდარიყო.

ის იყო კიაზოს თავისი წყრომა უნდა გადმოეღვარა პირიდან, რომ თვალი შეასწრო მარიამს. ის ანიშნებდა, რომ გაჩუმებულიყო. კიაზომ დააპირა ისევ სახლიდგან წასვლა, მაგრამ მოისაზრა, რომ ეს შემთხვევა უფრო გამწვავდებოდა, ოჯახის შემარცხვენელი რამ დატროილდებოდა და დარჩა..

— მაინც და მაინც ასე მუნჯებად როდემდის ვიყოთ?.. ვიმსჯელოთ მაზე, რაც მოხდა. — დაიწყო დინჯად კიაზომ კარგა ფიქრის შემდეგ.

— დალოცვილებო, ისე მოქცეულხართ, თითქო ამ ბავშვის იქით ქვეყანა აღარ არსებობდეს. ნუ თუ ამ ბავშვის ჩემთან ყოფნა გაკლებთ რასმეს?! მე კი მეგონა წერილშვილ ნატოს ერთი გამოეცლებოდა, ცოტა შვებით ამოისუნთქავდა, მეც მოხუცებულობაში მით თავს შევიქცევდი. თუ კი ასე აუცილებელი საჭიროება ყოფილა თქვენთვის ეს ბავშვი და ვერ შეეღოდიო, რიდასთვის მიაწიალებდით ჯერ კიდევ მოუშუშავს ვილაც უცნობ დედაკაცთან, აღელვებულ წყალსა და ღორს ჩასანთქავად პირში აძლევდით?.. ასე მოხდებოდა, ჩემს წერილს რომ არ მოესწრო, და დღეს შარშანდელ თოვლსავით დაევიწყებული გეყოლებოდათ.

მართალს ამბობთ, მამა ჩემო, ევ უბედური სწორედ მაშინ დაიღუპა. — წ. რომოსთქვა ნატომ და თვალეზში სინანული გამოუკრთა.

— შორჩა და გათავდა! ჰა! დღესაც დაღუპულად ჩემსვე წვეთომ აღარ აოი. მოკვდა, მდინარის ტალღებს გაჰყვა... მერე, თუ შემთხვევით ნე გადამიჩენია, როგორც ნაპოვარი მე მეკუთვნის და ჩემთანვე დარჩება. მარია! სახლშიაც რომ არ ვიყვე, ამ ბავშვის ჩემი სახლიდან წაყვანა არავინ გაბედოს, თორემ შენ ნოგკითხავ! შესძახა კიაზომ და აღელვებულმა თავზე ხელი გადაისვა.. მარიამმა თავი ძირს დაღუნა, რომ მისი კმაყოფილი სახე არავის შეენიშნა, ნატომ მძიმედ ანოიოხრა.

თვალეზში ეხატებოდა ნდურეა-საყვედური. სალიმაც თვალეზი გაახილა, შეხედა კიაზოს, რომლის წყალობით თვალეზ-ბრიალა კატა გამფრთხალიყო. განსაცდელიდან გადარჩენილი ბავშვი ჯერ კიდევ შიშისგან სრულიად ვერ განთავისუფლებულიყო, რადგან უკვე შორს მყოფ გამტაცებელს მაინც კუდის წვერი უჩანდა.

XX

ბრძოლა-გადახდილი სალი გადახალისდა, იგრძნო დღემდე უცნობი ძალა, რომელზედაც დაყრდნობას ჯიუტი რწმენა უბრძანებდა.

— სალი გადააგდეს... სალი ლორსა და მდინარეს ნისცეს...

შთაგონდა მარიამი როგორ ტიროდა, როცა ნატოს მიჰყავდა, ტირილი სალის არა შევლოდა... ამ შემთხვევაში ბავშვის თვალში რამდენადაც კიაზოსადმი ნდობა-მოწიწება მთის მწვერვალამდი აღიოდა, იმდენად მარიამის ნების სისუსტე ძირს ეშვებოდა. ბაბუცასა და ვერიკოს წასვლის დღემდე ნატო აღარ მოსულა. სალიმ შენიშნა: ნატო გამხდარიყო, სახე გაყვითლებოდა, მუცელი გაზრდოდა. ნოქანცული, თვალეზ-მორღვეული სახე სალისკენ აღარ იხედებოდა. ამის გამო ბავშვი დიდით კმაყოფილი იყო. სალი უნდობლად უყურებდა მთავრის ქალებს, როდესაც პაპა-ბებიას ეთხოვებოდნენ. უხაროდა რომ თვალიდან ცილდებოდნენ.. ბზობა დღე გათენდა. ცისკარზე მლოცველები მეტადრე ბავშვები ზეთის ცხებას და ბზას ელოდენ. სალიც დებთან ერთად მამა ბესარიონს წინ უდგა.

— შეხე პაპას რანხელა ბზა უჭირავს! — წასჩურჩულა სალიმ დარიკოს. სალის ეჩქარებოდა დახუნხლული ბზა მარიამისათვის დროზე მიეტანა. გაეგონა: ბზის ტოტში რამდენი ზინზილიც იქნებოდა, შემოდგომისთვის იმდენი ორმო უნდა მოემზადებინათ მოსავლის ჩასაყრელად.

— შარშან ჩემ ბზაში ოცი ზინზილი იყო.

— ჩემსაში არც ერთი. — ჩურჩულებდნენ ბავშვები. როგორც კი დაინახა ნათლია დვდელმა დარიკო და სალი, დიდი ტოტები აარჩია, დაურიგა, შუბლზე ზეთი სცხო, დალოცა.

სალი დაწინაურდა, დიდუდასთან ქოშინით შევარდა.

— შეხე ამასა, რამდენი ზინზილები მოვიტანე!.. წრეულს უსათუოდ ბევრ პუროს ჩავეყრით ორმოში... შესძახა მხიარულად სალიმ. ბავშვი დღესასწაულის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.



აგრე იტყვიან ხოლმე, მაგრამ ეგ ნათქვამი ხშირად ^{კრუცდება.}

მოსავალი ამინდმა და კარგმა თესლმა იცის შეილო. ^{რა დიკსებისასაც}
დათესავს გლეხი ჩვენ მამულში, მოსავალიც შესაფერი მოვა. ^{ეჩიქნეუქი}
სალის თვალებმა გაიელვეს, მაგრამ არა სთქვა რა.

— მოსავალი გლეხებს მოჰყავთ მერე, ალექსა მიდის მათთან ტომრებით, ჩანახით. იქიდან დატვირთული ურმები მოაქვთ, ორმოებში ჰყრიან. — ფიქრობდა გულში სალი. სალის უნახავს რა გაქირვებაში არიან იმდროს გლეხება. ხან სათესლესაც თვითონვე ყიდულობენ. აგონდება, როდესაც ბესომ ალექსას ჩაუყარა ტომრებში პურის მარცვალი. რაც ვადარჩა, დაგლეჯილი ნამჯა დააფარა, ცოლს უთხრა:

— დედაკაცო, ამ გოდორზე თვალი გექიროს. წვრილ ფეხი არ მიუშვა, ფოსტის ფულისთვის მინდა.

სალის გუნება შეეცვალა. მოტრიალდა კუთხისკენ, სადაც ხატი ესვენა და თვალები ვედრებით მიაბყრო:

— ღმერთო, რა არის ასე: როდესაც პაპას პურის ორმო ივსება, ბესოს გოდორი იცლება?... არ ჯობიან, ბესოს გოდორიც სავსე იყოს და პაპას ორმოც?... ვიცი, ყველაფერი შეგიძლიან, გააკეთე ასე!.. — ლოცულობდა გულში სალი, და ლოცვის შემდეგაც დიდხანს არ შორდებოდნენ გულის დამამძიმებელი ფიქრები.

ვერიკო და ბაბუცა, იმათი მდიდრული ტანსაცმელი. სალიმ იცის, ეს ყველაფერი ფულით საყიდელია, იცის ფულიც საიდან მოდის: სწორედ იმ პურის მარცვლებიდან, რომლებიც პაპას გაბერილ კაცებისთვის მიუყიდია, ეს კაცები ორმოს თავგებივით ყოველთვის კალოობაზე ჩნდებიან, ტომრებს ცხენებით დაარბეინებენ, ფულს არიგებენ. კიაზოც მათგან იღებს ხოლმე ფულებს, რომ „ოჯახი და შვილიშვილები აცხოვროს“, როგორც იტყვის ხოლმე პაპა. და აი, ვერიკო და ბაბუცაც იმ ფულებით ლამაზ კაბებს იკვამენ, ტკბილეულობით პირს იგემრიელებენ...

სალი ფიქრებიდან გამოიყვანეს ბავშვებმა.

კიაზოს უკანასკნელ გადაწყვეტილ განცხადების შემდეგ სალის დებისა აღარ ეშინოდა. პირიქით, იამა მათი მოსვლა.

— პაპამ მართალი მითხრა, რომ არ მაწყენს მაგათგან ვისწავლო რამე, რაც არ ვიცი. თუნდ რუსულიც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, უსათუოდ მაგათთან გადავიდე. შენი დები არიანო, ჩამციებიან. იყვნენ, რა მენალვლება! მაგათ გულისთვის კი მაინც სოფლის ბავშვებს არ ჩამოვშორდები. თუ ეგენი დები არიან, ისინი ამხანაგები, მაგათზე ღონივრებიც. შემოდგომაზე, როცა წყალი ცივია, მაშინაც ბატებსავით შიგ ფართხალებენ. კარგები არიან ბატები, როდესაც წყლიდან უცბად ამოცვივდებიან, ფრთების რხევით და სისინით, თითქო ვიდასაც შეუტიესო. ვათენება არ გამოეპარებათ, მათი ძახილი სალის ბევჯერ ღრმა ძილშიაც შესწენია. გაჯავრებაც იციან, აი ასე: „სსსს“!..

სალიმ ორივე ხელი გააშვირა. თავი ძირს დაილო, გაეშვა და პირდაპირ ლიზიკას დაეჯახა.

ბავშვებმა კისკისი ასტეხეს. სალის შერცხვა და უცბად შეჩერდა:

— ახ, უკაცრავად! — დაიჩურჩულა. თვალები ძირს დახარა.

ბეერი, ბეერი ამისთანეები ასწავლეს სოფლელებმა! საღის, რომელსაც უიმათოდ დღე არ ახსოვს, ესენი კი, თუმცა დები არიან, ^{მეჩხინებენ} თავისუფლად არა გრძნობს თავს, როგორც იქ. თუნდ ეხლა, ^{საღის რომ სოფლის ბავშვებთან} ყოფილიყო, დაცინვის მაგივრად აპყვებოდნენ და მხიარულებით ჭალამინდვრებს გააყრუებდნენ... ეხლა კი... სალი დალონდა.

— დღეს ბზობაა, მერე აღდგომა იქნება!.. სააღდგომოდ მამა სოფლიდან ბევრს რამეებს ჩამოგზავნის...

— დედას ილუშა ჰყავს. კარგი ბიჭუნაა, არჩილასა გავს.. დედას უხარია ვაჟის გაჩენა: — ლაპარაკობდნენ ბავშვები. სალისაც უხაროდა ნატოს ლოგინში ჩაწოლა, უნდოდა სულ ისე წოლილიყო.

— ეხლა კი ჩამომეცლება... რილასთვის ვუნდივარ: როდესაც კიდევ ვაჟი გასჩენია! ფიქრობდა გულში და, შეტად კმაყოფილი, ბავშვებს ღიმილით უსმენდა. ბზობამ ჩვეულებრივად არ ჩაიარა. ნატოს მოვლით დაღლილი მარიაში ნუთაქაზე სთვლემდა, მაგრამ უცბად გარშემო ატეხილმა ჩურჩულმა გამოათხიზლა.

— ალექსი, მაშ ძია მოწამლულა? — ხმადაბლა ეკითხებოდა მოსამსახურეს სალი, რომ მარიამს არ გაეგონა. ალექსიც თავს უქნევდა.

— როგორ თუ ძია მოწამლულა?.. რომელ ძიაზე ლაპარაკობთ? — შესძახა უცბად მარიამმა, ზეზე წამოჯდა, მიიხედ-მოიხედა. ბავშვები წასულიყვნენ, ოთახში მარტო სალი, ბაბედა და ალექსა შემკრთალები იყურებოდნენ.

— დახ, ქალბატონო, დღეს სადილზე დიდი კნიახი რამაში უცბად ცუდად გამხდარა. თევზს უწყენია. ექიმს უთქვამს, უიმედოაო.

მარიამმა ლოყაზე ხელი შემოირტყა.

— სახლი მარტოდ არ დასტოვოთ, კიასოც სახლში არ არი... ალექსი, შენ მიმაცილე! — ჩქარ-ჩქარა ამბობდა მარიამი. ქვედა კბა უთრთოდა, ტანისამოსს ძლივს ისწორებდა. სახეს დაღრეჯილი სალი შეჰყურებდა მარიამს და მის წუხილზე ბეერი აღარა უკლდარა, ბლავილი არ დაეწყო. ბავშვი დიდხანს იყო გაურკვეველ მდგომარეობაში მარიამის წასვლის შემდეგაც. რამაში სალის ორნაირად ახლო ნათესავად მოხედებოდა დიდედას მსრივ და მამის მხრივ, მაგრამ ამავე დროს ბავშვი გულისაგან არავითარ პასუხს არ იღებდა, გაყრუებულიყო.

— ბაბედა, ვასილა რუსმა რო გაიგოს რას იტყვის? შეგეკითხა სალი დედაკაცს, რომელიც ოთახში ფუსფუსებდა.

რას იტყვის და გლოვის კარავს დაიდგავს... ეჰ, ვასილაზე ნაკლებ არც იმისი საყმო გაიხარებს, თუ მართლა ღმერთმა ქნა და ეშმაკს ქოხი წამოეჭვა. — უბასუხა ბაბედამ სალის, რომელიც გაშტერებული მიჩერებოდა. რაც დღეში სალიმ ვასილა რუსი ნახა, ბაბედას სიტყვები სჯეროდა.

— ნახე, ი პირქუში რა დიდებით დაიმარხოს! მოდი და დღეს იქით კიდევ ნუ დავიჯერებთ: თუ ადამიანი გაწირული არ არი, მთელი მიღეთიც რომ მიესიოს, მაინც ბეწვსაც ვერავინ შეუხრის. ცოტახანია, რაც საყმო ემუქრებოდა, საიდან არ უვლიდა წინ დახვედროდა, მოესპო, მაგრამ ა-ბა-ბა-ბა! საშველს ვერ ეწია. დღეს ერთმა ჭიჭყინა თევზმა კი ხემწიფის ტოლი კაცი ძირს დასცა, მე-

რე ისიც ბზობა დღეს, ისიც დიდი მლოცველი და ღვთის მოყვარე! იდიდოს, უფალო, საკვირველებათი წენი! თუ იმან ვერ მოგიმადლიერა, მე ქაიღუნდა მოგიმადლიერო!

ბებედამ ხელიდან ცოცხი დააგდო, თვალები ამართა მალლა და ორივე ხელი გულზე მიიკრა.

* * *

— ჩემო ბაბედო, წამიყვანე, გენაცვალე, და მიჩვენე ძია კუბოში როგორა წევს.

— დაგავიწყდა ქალბატონის დაბარებული? ხომ გითხრა ფეხი არ მოიცვალავო? ესეც რომ არ იყვეს, იმოდენა ზღვა ხალხში ქიასავით გაისრისები.

— შე ზღვა ხალხისა არ მეშინიან. ბაბედო, ჩემო კარგო, სულ შენთან ვიქნები, შენ კაბას ხელს არ მოვაშორებ. ოღონდ წამიყვანე და დიდედას შენთვის ქიშპირის მოსახვევს ვაყიდვინებ.— ეღრიჯებოდა სალი დედაკაცს ოთხი დღის შემდეგ, როდესაც რამაზის სიკვდილის გამო სახლიდან ყველანი გახვეტილიყვნენ. ბაბედას კვინიხში შეცვივნული თვალები გაუცოცხლდნენ, მომბალმა ბავშვს ღიმილით გამოხედა:

— ცისკარა მაინც რომ შინ ჯოფილიყო, სახლს ჩავაბარებდი. იმათი კარიც განოკეტილია და, აბა, რა ვიყო?

— შე ეგეები არ ვიცი. უნდა ვნახო. მაშ მარტო წავიდე? შესძახა სალიმ, რომელსაც მოთმინება დაეკარგა. მარტო წასვლაც ვერ გაებედა.

ბაბედამ სახლი დაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და ბავშვს ხელი მოკიდა. მალე დედაკაცი და სალი ქუჩაში გაჩნდნენ. ბავშვი თვალებად და სმენად გარდაიქცა. მიიწვედა იქით, საითაც ხიშტები ეღვარებდნენ. ჯარის კაცები ქუჩას ორ წყებად კედელივით გაკროდნენ, გვერდში თოფებ-ამოკრულები გაშეშებულყვნენ. წინ, აქა-იქ, აფიცრებს ხმლები ეშიშვლათ, წვერები შუბლთან მიეტანათ. რკინებთან ერთად თვითონაც გაციებულყვნენ. პოლიციელები წესებს ამყარებდნენ ხალხში, რომელსაც ზიმშიმი ვაჭკონდა. სახლების აივან-სარკმლებში მაყურებლებს თავი თავთან მიედოთ, მაინც ვერ დატეულიყვნენ. დიდი ხუთშაბათი იყო, ნაზიანი დღე. სალი ჯარის კაცებს ათვალაიერებდა. ყველანი რუსენი იყვნენ. მოისმა ვალობა. ხალხმა გზა დაუთმო სახლიდან გამომავალ ვენერლებს. სააღლუმოდ გამოწყობილნი, თითო-თითოდ მოდიოდნენ, ამაყად თვალეზულებს ხელში ეჭირათ ოქრო-მკერდ მოვლებული წითელი ხავერდის ბალიშები. თვითვეულ ბალიშზე მოსჩანდა სხვადასხვა ხარისხის ორდენი. ბალიში თორმეტამდე იყო. ორდენებს გვირგვინები წინ უძლოდნენ. ხალხმა რყევა იწყო. ექვალეზულნი იყურებოდნენ, თან მოუსვენრად ელოდნენ მიცვალეზულს, რათა დროზე დარწმუნებულიყვნენ, რომ ამ ორდენების მიმღები მართლა მომკვდარიყო. ორდენების შემდეგ გამოჩნდა შევერცხლილი კუბოს თავი ფრთებშესხმულ ანგელოზებით. თუმცა რამაზის წითელი ქუდი ანგელოზთა შორის მოთავსებულიყო, მაგრამ მაინც ძველი იერი შერჩენოდა.

მის დანახვაზე სალის გული ზედიზედ საგრძნობად აძვრდა, ბაბუდას ხელი მაკრა მოუჭირა.

— ნართლა მომკვდარა, კაცო.

— სანამ კუბოში არ დავინახავ, არ დავიჯერებ. პო-პო-პო! შე რომ მაგისი ოინები მინახავს! ადამიანი კი არა, რაღაც საშიშროება იყო, მხეცზე უმხეცესი. ნათესავებსა და ცოლშვილში კი ცხვარსავით მორჩილი.

— მაგისი საყმო აქ არი?

— აქ გახლავართ! მაგისთანა ქელებში დასწრება ღმერთმა ნუ მოგვიშალოს. თითო ცხელ ლავაშს გავხევთ, თითო ყანწ ღვინოს გადავკრავთ და მეტიც არ გვინდა!

სალის ესმოდა გარშემო ასეთი ლაპარაკი ნიცივლებულის შესახებ. გამოჩნდა არქიელი მიტრით. ღვდლები, მგალობლები. ქუჩაში გაიშალნენ, ნიცივლებულს „წმინდაო ღმერთო“ გალობით წინ წაუძღვნენ. მაგრამ გამოსავალ კარებთან კუბო გაჩერდა, ვიწრო კარი ცხედარს არ უშვებდა.

— როგორ თუ!.. გამიშვით, ერთი მუშტის დაკვრით მთლად ჩამოვლენო ვგ მუდრეგი! — შესძახა ვილაშაც.


ხალხში ფრუტუნის გაისმა. კარები ჩამოიღეს. კიბეზე ნელ-ნელა დაეშვა შევერცხლილი შავი კუბო. სადღესასწაულოდ გამოწყობილი, მხარზე კისფერ ლენტ-გადაშვებული, გულხელ დაკრეფილი რამაზე ზედალ დახუჭული იწვა; თეთრ ულვაშებ-გადაგრესილ, შუბლ-შეკრულ გენერალს გონება ძველ აზრებზე გაჰყინოდა. სამხედრო მუსიკა სამგლოვიაროს უკრავდა. კუბოს მოასვენებდნენ გენერლები და მოგვარეები, რომელთა შორის ოთარიც იყო. სალიმ ოთარის გარდა კიაზო და ბევრი ნათესავ-ნაცნობი დაინახა. დათალხული ჭირისუფლები ფებ-და-ფებ მოსდევდნენ. ციცინოს გული უღონდებოდა. მხრებში ქალები შესხდომოდნენ... მოთქმით მოტირალნი ცხედარს აპატიოსნებდნენ. გამპატიოსნებელთა შორის მარიამიც შენიშნა.

— აქედან კარგად ვერა ვხედავ, ბაბუდო, შორსა ვართ საყდარში წავიდეთ.. იქ სულ წინ დავდგები, ყველაფერს გავიგონებ, ყველაფერს დავინახავ.

ამ სიტყვებით სალი ბაბუდას მიათრევდა. ბაბუდაც არ უძალიანდებოდა. საყდრამდის სალის ბევრი ახალახალი სანახავეები ხედებოდნენ წინ. დიდ-ტუჩა ჩაშაფებული ზარბაზნები და... აქ ბავშვი ერთ ადგილს გაშეშდა. ორი აფიცერი მშვენიერ თეთრ ბედაურს ძლივს იმაგრებდა. ლამაზად შეკმაზული ცხენი ბორგავდა. მიწას ტორავდა, ბრიალა თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა. ფრუტუნ-ჭიხვინით გამწარებული ლავაშს ღრღნიდა, პირში ქაფ-მორეული, ნესტოებიდან ოხშივარს უშვებდა, დრო და დრო გავა შეუთრთოლდებოდა, მუსიკის ხმაზე წინა ტოტებს ზევით მართავდა: გახელვებულს უნდოდა გადაფრენილიყო მზის სხივებისგან მოპრიალე ხიშტებისკენ, მტრისთვის შეეჭია, მაგრამ რა იგრძნობდა, რომ ტყვე იყო, ბორგვას უმატებდა, მაღალის ჭიხვინით პატრონს უხმობდა. პატრონს კი მისი ძახილი არ ესმოდა.

სალის ცხენის ბრძოლა მეტად მოსწონდა, თვალის მოშორება ეხარებოდა.

როდესაც საყდართან მივიდა, უკვე ხალხით ავსილიყო, მაგრამ მაინც წადგა ცხედრის დასასვენებელთან.

— ბაბელო, შენც ჩემთან იყავი. ერთად ვუყუროთ.  სალი დედაკაცს.

— ჩემი თავის მტერი ვარ გვერდით მოვიდგე? შე გასახარელო, ეს საყდარი დიდ კაცობასაც ვერ დაიტევს, თორემ მე მანდ ვინ გამაჩერებს.

— მე კი აქედგან არ წავალ.—შესძახა სალიმ.

— ბრძანდებოდე. შენ ვინ გაგაგდებს, როდესაც მაგათი სისხლი და ხორცი ხარ. ჩვენ, საწყლებს კი, ვინ მოგვეცემს ადგილს იქ, საცა დიდკაცობაა.

სალიმ ბაბედას სიტყვებში ცხადად ამოიკითხა ბატონებისადმი სამღურავი.

— შენ აქ დარჩი, მე კი წავალ. ნუ გეშინიან მარტო არა ხარ, აქ ყველა შენიანები არიან.—ყურში წასჩურჩულა ბავშვს ბაბედამ და მსწრაფლ თვალ წინ გაუქრა. სალი მიცვალებულის დასასვენებელთან ახლო მარტოდ ყოფნამ შეაშინა. ამ დროს წამოეხახუნა ახლად ფეხადგმული ბავშვი, ტანსაცმელზე ხელი წაავლო, დაუწყო ჯღმურტული. ბავშვს სახეზე გამხმარი მუწუკები მოსდებოდა, ხელებიც შეხორხლოდა.

— ერთი თვეა რაც ამ ჩემი ბიჭის გადაშკიდე კარზე არ გამომიხედია. დღეს კი გულმა აღარ მომიტმინა და წამოვედი.

— მერე, შებრუნებისა არ გეშინიან? ბატონებმა გაჯავრება იციან.

— ვიცო, მაგრამ მაინც სულმა წამძლია. მინდოდა სეირისთვის მეცქირა. თლონდ ეხლა გადაურჩე და მერე აღარ გამოვიყვან.—უპასუხა ბავშვის დედამ მეორე ქალს.

ბავშვი სალის აღარ შორდებოდა. სალიც უაღერსებდა, ლოყაზე ხელს ასმეინებდა, უცინოდა, ეფერებოდა. გვირგვინები შემოიტანეს, ეკლესიის ზარებმა მოუხშირეს. ბავშვი დედამ გაიტაცა. ახლად მოსულნი წინანდელებს უკანა სწევდნენ. სალი ახლებისკენ მიიწევდა და ისევ თავის ადგილზე რჩებოდა. მოლოდინს ბოლო მოეღო, ეკლესია დიდ-კაცობით გაივსო. ცხედარი დაასვენეს. არქიელი საკურთხეველში შევიდა. გენერლებს რჩეული თავადები უკან დაუდგნენ. ჭირისუფლები ანგარიშს არ უწევდნენ, რომ წირვა უკვე დაწყებულიყო და მოსთქვანდნენ. სალი რამაზს სულ ახლო უყურებდა. მის გაყინულ სახის დანახვაზე სხეულში ქრუანტელი უვლიდა. ამ დროს თვალწინ დაუდგა ნათლია გიორგი, ამ სახითვე კუბოში ჩაწვენილი, მაგრამ ამ ორ მიცვალებულთ შორის დიდ განსხვავებას ხედავდა. რამაზი ბრწყინავდა ტანისამოსით, ჭირისუფლებით, ჯარით, არქიელ-ღვდლებით, გიორგი კი უბრალო კუბოში მიღეულ-ჩაფერფლილიყო. მას ერთი ღვდელი ადვა თავს, ცოლი დასტიროდა, გლებები შემოხვეოდნენ. მოეჩვენა: საცაა რამაზი თვალს გაახელდა, ღიმილით მოხედავდა, შეეკითხებოდა:

— შენა ხარ, გოგონავ? .

— ვერ მიცანი, ცუცუნნი?.

სალი ორივეს კარგადა სცნობდა. მის გონებაში ორი კუბო ერთმანეთს აოშორდებოდა. ბავშვის გრძნობა გონება რაღაზედაც კამათობდნენ, თითქო ვერ რიგდებოდნენ, რომ ეს ორი მიცვალებული ერთ ფარგალში მოექციათ. სალის

ქორთა არსება დიდ ხანს ვერ იტყვდა, ვერ უძლებდა საკიბს და მოკამათეთა შორის უცბად ნძიმე ფარდა ეშვებოდა.

სალი დიდხან დგომით მოიქანცა, მუხლებში ძალა წაერიფებულა, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. წირვა რუსულ ენაზე იყო, გაქმანურებულს არაფერი ესმოდა. რაც უფრო დიდ ხანს უყურებდა რამაზს, თანდათან აზრს ურიგდებოდა, რომ უნდა დამარხულიყო. ეჩქარებოდა, ყველაფერს დროზე ბოლო მოღებოდა. კიდევაც მოშივნოდა.

არქიელი ცხედარს თავთ უდგა. სალიმ იცოდა — ეს ქრისტეს მოციქულის მოციქული იყო. კინალამ ხმა-მალლა გადაიკისკისა, როდესაც შენიშნა, რომ ეს მოციქული ქრისტეზე უფრო ჩასუქებული იყო. თვალზე ჩაწითლებულს, სახე ჩაჯიგრებოდა. ბავშვს ხელში სანთელი მიაჩჩეს, მიცვალებულს ღვდლები შემოეხვივნენ, ანდერძის ასრულება ქართულად დაიწყეს. ხმა შეწყობილი „სულთა თანა“ ღაღადებდა უფლისა წინაშე, რათა აღსრულებულს ნწვანილოვანსა შინა განესვენა. ქირისუფლები, რომელთაც ესმოდათ ეს სიტყვები, უფრო მეტად ქვითინებდნენ. სალის სხეულმაც თითქო იგრძნო ეს განსასვენებელი. თავი დაენანა, ატირდა, მაგრამ ამ დროს რაღაც ძალამ კარებისკენ მიახედა. ხალხს გასასვლელისკენ პირი ებრუნა და ესეც თან გაჰყვა. ბავშვმა აღარ მოხედა არც ჯარს, არც ცხენს, რომელიც წინანდებურადვე ტყვეობას ებრძოდა, და სიკვდილისგან შეშინებული, დამძიმებულის გულით სახლისკენ წავიდა.

* * *

რაც რამაზი დაიმარხა, მას აქეთ სალიმ მოსვენება ვეღარა ნახა. მოწუწუნე ქირისუფლები მობეზრდნენ, პატარა დებიც ძველის ჰაერით გაუღენთილიყვნენ. ხშირად ეჩურჩულებოდნენ, თუ რამაზი სიკვდილის დღეს როგორ წვალობდა. ივანე ექიმი მთვრალი შესწრებოდა, წამალი შეშლოდა და ძიაც იმიტომ ისე უცბად მომკვდარიყო, თორემ დღესაც ცოცხალი იქნებოდა. ძალუა ციკინო ტიროდა, ნატო ლოგინიდან ამდგარიყო. ბევრი ამისთანეები შეესმოდა ბავშვს. თვით ბრწყინვალე აღდგომამაც მკრთალად ჩაიარა, რაკი მარიაში თავის მამიდაშვილს გლოვობდა.

— რატომ სოფელში არ მივდივართ, პაპა? ხომ დამპირდი, სააღდგომოდ წავალთო? აღდგომაც გავიდა, ჩვენ კი ისევ აქა ვართ. — უთხრა დაღონებულმა სალიმ ერთ სალამოს კიაზოს, რომელიც მაგიდას მიჯდომოდა, ლამპარის შუქზე გაშლილ ქალაღს გულმოდგინებით დაჩერებოდა, მაგრამ ეშმაკად ჯვარის შვიდიანი ამოფარებოდა ხენწიფეს და უშლიდა ბანქო აეკრიფა.

— ფიფე! შეგარცხვინა ღმერთმა აჰაანდე! ვეფო, ვერ უყურებ ამ ოხერმა როგორ მაჯობა. — დაუმატა გულმოსულმა, ერთმანეთში შერია ქალაღდი, კედელს ზურგი მიჰკუდა, შეხედა სალის, რომელსაც სახე შეწითლებოდა, თვალები ამღვრეოდა და დაღონებული მიჩერებოდა.

— მგონი წელან რაღასაც მეკითხებოდდი, შვილო. ხეირიანად ვერ გავიგონე. თუ გინდა რამე, ეხლა მითხარი. — წარმოსთქვა მოხუცმა და უკმაყოფილო სა-

ზე მსწრაფლ ვაგწავლა. სალიც მივიდა. კიაზომ თავზე ხელი დაადო. ხელი შებლს მოხვდა, შუბლი ცხელი ეჩვენა.

— როდის წავალთ სოფელში? — გაიმეორა ბავშვმა, თან ^{მშხრ-მშხრად} სუნთქავდა.

— ამ კვირის სწორისთვის. აქამდისაც წავიდოდით, მაგრამ დედი შენის ლოგინობამ და ბიძა შენის სიკვდილმა დაგვიშალა. მაინც და მაინც არა გაფუქებულარა. საკუთრად მოხნულ-მოთესილი არა მაქვსრა. მიწები გლეხებზე გადაკვეთით გაცემულია. მოვა, არ მოვა მოსავალი, სულერთია, დღიურზე კოდი მაინც უნდა მომცენ, თავიანთის ტომრით და ურმით კარებზე მომიტანონ.

— თუ არ მოვა, მაშინ რალად უნდა მოიტანონ? — მოისმა ბავშვის უკმაყოფილო ხმა.

— ჩვენი მიწები, შვილო, ნოყიერებია. ისე არ მოცდებიან, ვალი არ გადამიხადონ. არც მაგნაირი შეძთხვევა დამვიწყებია, იმიტომაც არი, რომ მოსავლიანი წელიწადი გვალვიანს შეუფარდე და იმის და კვალად შესაფერი გადასადიკ გადავწყვიტე, თორემ ისე დღიურზე კოდს ვინ დაჯერდება? — უფრო თავისთვის ამბობდა კიაზო და ვერ ამჩნევდა, რომ ამ დროს სალის სიცხისგან ტუჩები უფიცბდებოდნენ.

— შეკრაწითელი, ასი ათასი, პირმა მზემ პირმამთვარემა! — დაილილინა კიაზომ, რაკი იცოდა მარიაში ნატოსთან წასულიყო მაგრამ, როდესაც გაახსენდა მარიამის მგლოვიარობა, დილინი უხერხულად ჩათვალა და ჩახველებით შეწყვიტა.

— მაშინ კვირია ბალში ჩავიბენ, მწვანე მოლზე გავივლი, ჩვენ აივანზე ეხლა ალბად მოშაები სტვენენ, მინდორზე ყანა შეყვითლდებოდა, შიგა და შიგ ვვავილები. ჩურჩულებდა სალი და კიაზოს ლაპარაკს ყურს აღარ უგდებდა.

უცბად მუხლებში მოეშვა, კიაზოს კალთაში ჩაუვარდა. ბავშვი მოხუცს ხელებს უწევდა.

— ესეც შენი სოფელი! კიდევ დაიჩივლებთ. რატომ არ მივდივართო, როდესაც ახალ-ახალის შემთხვევით გვიმასპიძლდებიო? — ჩაილაპარაკა შეშინებულმა მოხუცმა.

— განა არა, ერთი კვირეა, რაც ეს ბავშვი გუნებაზე ვერ არი. მოლრეშილია, წუწუნით აქეთ-იოთით აწუდება. — ბურტყუნებდა ბაბედა, როდესაც სალი საწოლთან მიიყვანა და ტანისამოსი გახადა, ამასთანავე მოავონდა; ბავშვი იმ დღეს მიცვალებულთან ისე ახლო იდგა. როდესაც ჩაფიქრებული კიაზო მოშორდა, გული მტკაველით სამჯერ გამოუხომა, შემდეგ თავთ დაუჯდა, ნახშირით შეულოცა. კარგა ღამე იყო გასული, რომ მარიაში მოვიდა. ლოგინში სალი სიცხიანი დახვდა და იმანაც ავადმყოფის თავით გაათენა. დილით აღრე ივანე მკურნალი მოიყვანეს. მკურნალმა ქინაქანი გამოუწერა, საჭმელში გააფრთხილა.

— რა გაშინებს, ქალო? ნახე ექიმმა რა სუბუქად შეხედა ავადმყოფობას, ქინაქინის მეტი არა გამოუწერა რა. ქინაქინისთვის მაგისი შეწუხება კი არა ღირდა, ჩვენ აფთიაქარ კარლ ივანიჩსაც გამოვართმევდი. — უთხრა კიაზომ ცრლს. ბაბედამ ამ დროს სალის შუბლზე სველი ტილო შეუცვალა. ბავშვმა ჩაწითლებული თვალები გაახილა, ერთ წერტალს მიაჩერდა და შეპკივლა:

— ცხენი!.. ცხენი მოდის! აგერა, თევზის ჭიჭყინა... უი... უი... მოდის...
ბავშვმა ტუჩები მაგრა მოკუმა, თითქო ეწინოდა, პირში ცოცხალი თევზი
არ ჩავარდნოდა! მარიამმა და კიაზომ ერთმანეთს შეხედეს, გვერდს გაუგეს რა...

— აბა სად არი, შვილო, ცხენი?.. ან თევზი?.. სხვა რაღა ჩაეკითხა მარიამი.

— აგერა, საწოლ ქვეშა ძვრება, ჭახვინებს!.. უი! უი!..

ბავშვი ჰაერში ხელებს იქნევდა, თითქო უნდოდა ამ საშიშარ ცხოველები-
დან როგორმე თავი დაეღწია, განძრევიაზე თავბრუ დაესსა, გული აერია, მა-
რიამმა, როგორც იყო, მიფერებით დაამშვიდა. ბავშვები ხშირად მოდიოდნენ,
იანდისხან კიდევაც კოცნიდნენ. სალი მათ კოცნას გრძნობდა, ხელს უშვერდა,
რათა წითელი ყვავილი გამოერთმია...

— ექიმმა დედას უთხრა, ამ დღეებში მორჩები, მეც ყოველ დღით ამ ლა-
მას ყვავილს მოგიტან ხოლმეო. — გტიტინებოდა ცაცკანა. სალი კარგად არჩევდა
ბავშვის გაყვითლებულ სახეს.

— მეც გვირილას მოგიტან. — უმატებდა თინა.

ჩვენ დედა აღარ გვიშლის წენტან მოვიდეთ ხოლმე. — ამშვიდებდა ლიზიკა.

ბავშვის მდგომარეობას სამს დღეს ცვლილება არ დასტყობია. მეოთხეზე, რო-
ცა ექიმმა გაამიშვლა, ტანი და სახე წითლად შეხორხლოდა, წითელ ძიძიბებს
თავები შეთეთრებოდათ.

— ყვივილია, არ შეაციოთ. წანლობა არ უნდა. — განუცხადა მკურნალმა
და მალე წავიდა. ბავშვები სალისთან აღარ მიუშვეს. მარიამმა სამკლოვიარო ტა-
ნისამოსი მხიარულით შეიცვალა, თავზე წითელი ქალაღია მოიხვია, ბაბედაშტუ
წითელი ჩვარი წაიკრა, თამამად შეხედა ქალბატონს, თითქო ამ წუთში ესენი გა-
თანასწორებულყვნენ, ამათ შუა საერთო სალოცავი კერპი ჩამდგარიყო და ორ
არსებას ერთის რწმენით აკავშირებდა. ბავშვი თანდათან ცუდად ხდებოდა, სიყ-
დებოდა, გონება დაჰკარგოდა. მომვლელები ზეწრით სწევდნენ გონიანყსავით
გართხმულ სხეულს, გვერდს უბრუნებდნენ — არ გახრწნილიყო. ბავშვები დალონე-
ბულები წავიდნენ, სახლში. ხედავდნენ, სალი ავადმყოფობის დროს ბევრით უმ-
ჯობესს გარემოებაში იყო, ვირდე ესენი დედმანასთან. მონატრებოდათ სითბო
მთურვალე გრძნობისა, რომლითაც გაფუებულიყო კიაზოსა და მარიამის გული.

სალის ზედ დაჰკანკალებდნენ, ესენი კი მენიკასა და ძიძასთან მიყრილი-
ყვნენ. ბავშვებს ავად გახდომა მოუნდათ, რათა სალის გვერდით, დიდუდას ალერსში
გამოშუშულიყვნენ, სისალეში კი არ ეღირსებოდათ. ცაცკანას სურვილი აუხდა,
თვალეები აეწღვრა, სიცხე მისცა, მარიამთან მოიყვანეს. მისი საწოლი სალის
გვერდით დადგეს, მაგრამ ბავშვის იმედი, რომ მარიამთან ინებივრებდა, მალე
მწვავე სიცხისგან გამოშრა. ცაცკანამ დიდუდას სიანლოვე ველარ იგრძნო, ცნობა
დაკარგა. ყვავილი ტანზე ნაკლებ ეყარა, მაგიერად სიცხემ მალლა აიწია, ისედაც
სწეულ გულს აგზნებულ კოცონად მოევილინა. გამოსაწვავედ მოემზადა და სა-
სიკვდილოდ გასწირა.

გონება-დაკარგული ბავშვი ერთ დღეს თითქო მობრუნდა. თვალეებ დაჰყე-
ტილი, ხარბად შეჰყურებდა დიდუდას, მთრთოლვარე ხელები ეპოტინებოდნენ



მშობლის ალერსს დანატრულებულნი, დაფიცებულ-დამსკდარ ტურებით მარიამის სახისკენ მიიწევდა.

— დიდება, შენა ხარ?... სადა ხარ?... ველარა გხედავ!.. — მოისმობოდა ჩურჩულად. მონაკვდავი ხელებს ატეოთურებდა, სულთამხუთავი პირთან მოსდგომოდა, თვალთახედვას უხშობდა. მარიამმა თვალები დახუჭა.

შეორე დღეს დაქირავებულმა მუშებმა და ღვდელმა კიაზოს სახლიდან ბავშვის კუბო გაიტანეს. ტირილი არ ისმოდა. შინ მყოფები ფეხაკრეფით ლანდესავით მიდი-მოდიოდნენ, ფრთხილად ხურავდნენ ყურამდე ღია კარებებს, თითქო ეს არის ავეჯი გაეტანათ, როგორც ხშირად ხდებოდა მდგმურებისაგან ერთის ბინიდან მეორეზე გადასვლის დროს.

ნატოს რჩებოდა კიდევ ხუთი ქალიშვილი და ორი ვაჟი. სალის კუბოსაც ასე წაიღებენ, მისი ლოგინი კარზე გაიყრება, ადგილი დაიცვლება, ნაცვლად დარჩება შანდალზე მოპრიალე თაფლის სანთელი, ჯანით წყალი ჰმ!..

ამ გახსენებით კიაზომ მიიხედა სალისკენ, მოეჩვენა: მონაკვდავი სანთელს გარდა კიდევ უტოვებდა თავის წარსულ მოკლე სიცოხლის ნოგონებას. მოგონება სუსტ ხმაზე შემდეგს აბარებდა:

— პაპა, ჩემს გვერდით მაგიდაზე ყვავილებია... ყვავილები მინდვრისაა... საცა სოფლის ბავშვები არიან, ესენი იმათ მიუტანე და უთხარი, სალი ყოველთვის თქვენთან არის თქო... სანამ ეგ ყვავილები იმათთან არ მივლენ, არ დატკნებიან. ძირები ნედლი აქვთ და სველი. წყლის ცვარები მათკენ არ გაუშვებენ იმ სიციხეს, რომელიც შრეტს ჩემს თვალებს..

— ვაგლახ მე, წყვდიადში დარჩენილ მოხუცს, რალად მინდა სიცოცხლე უმიზნო და გამოფიტული! — ქვითინებდა კიაზოს გული და თვალებზე მიფარებულ ცხვირსახოცს ცრემლით ალბობდა.

მარიამიც სალის სიკვდილს წუთიწუთს მოელოდა. გულის მწვავე ცრას ახალი აღარ ემატებოდა რა.

თუ კიაზოს სახლში მწუხარება გულშივე ბრუნდებოდა, ნატოსას ლიზიკა, დარიკო და თინა, თითქო ოლოლისგან დაქროლილნი, ერთმანეთს მიჰკროდნენ, აბუზულ-ხმაგაკმენდილები შესცქეროდნენ ნატოს და მენიკას.

ნატო საწოლზე გულაღმა იწვა, თავიდან ჩიხტი და ლეჩატი მოეგლიჯა, ხელები გულზე დაეწყო, თითქო უნდოდა მისი მწარე ტკივილი შეეჩერებინა. დრო და დრო თავს გადმოსწევდა, თვალს მოაფლებდა შვილებს, გაიხედავდა სივრცისკენ, სადაც თითქო კუბო-კუბოზე კრთებოდა... ეჩვენებოდა: ყველა შვილები დახოცოდნენ და მათ საფლავეებს წარდგომოდა. ქალმა შეჰკივლა, გონება დაჰკარგა.

— თქვენ დალოცვილო, როგორ გინდათ ქვეყანაზე იცხოვროთ? ყველა ადამიანის დღევგრძელობასთან სიცოხელეს ბედნიერება და უბედურება ერთნაირად მოაქვს. თქვენ ხომ არა ხართ მაგალითი? თქვენ გარდა სიკვდილისგან განა სხვა დედა არ ატირებულა?... ეს დღე თუ სხვასაც გადახდია, თქვენ რალად გიკვირთ? — ჩალაპარაკობდა მენიკა გონებაზე მოსულ ნატოს და თან თვალებს

იწმენდავდა. ამ დროს ოთახის კარი გაიღო, შემოვიდა შავ ჩოხაში მალაღლი კაცი და ნატოს მიუსამძიმრა.

— სენი წირიმე, ქალბატონო, სენ უფრო მოგეხსენება სიკვდილის საქმეი, როგორი არი... სვილები ბლომადა გეყანან, ღმერთმა გრცოცნლოთ, თორემ ვინც მოკდება, მოკდეს!.. იმას რა ესეელება!.. — შესწუწუნა თომამ, ახალოხის ჯიბიდან ფული და წერილი ამოიღო და გადასცა ნატოს. წერილი ოთარისა იყო.

„ჩემო სიცოცხლევ, ნატოჯან! ვიღებ კალამს შენთან წერილის მოსაწერად, მაგრამ ხელის თითები მითრთიან, სტრიქონებს მაშლეინებენ. არ მინდა მივუმატო მუგუხალი ცეცხლს, რომელიც ანთია ეხლა შენს გულში ჩვენი შვილების დაკარგვის გამო. უფრო მეტად ვიტანჯები, რომ ამ მძიმე წუთებში გვერდით არ გყვეარ, მწუხარება გაგინახევრო, ჩვენი უბედურობაც იმაშია, რომ ცრემლით და თავში ხელების ცემით ვერას ვავხდებით. მეც ეხლა ლოგინში ვწევარ, უცაბედად ფეხზე ხე დამეცა, მეღრძო, ტკივილებისგან ვერ ვინძრევი. თურმანიძე მწამლობს და, როგორც კი ფეხზე შევდგები, ჩამოვალ. არც მე ვარ აქ მოსვენებული. ემხნეობ, ვცდილობ როგორც თქვენს წინაშე, ისე ქვეყნის ვალი მოვიხადო. გიგზავნი ას თუმანს. რა მოგწერო, ჩემო მშვენიერო, ისეთი, რამაც განუგეშოს, თუ ისევ შენვე შენს არსებაში არ გამოძებნი მაშველ ძალას. აქ დიდი მოვლია. იყო ზამთარი სასტიკო, საქონელსა და ცხვარში დიდი ზარალი დაატრიალა, დოლობის დროს დიდძალი ბატკანი გაწყდა, მაგრამ მაინც გულს არ ვიტეხ. ვიცი, განგებას წინ ვერ დაუდგება კაცი. დაე მოხდეს, რაც მოსახდენია. მაშ გამაგრდი, ჩემო კარგო. სიზმარში თუ ცხადად, თვალიდან ნუ მოიშორებ შენს ოთარს, რომელიც მოგეხვევა, დაგიკოცნის სახეს, მთელ სხეულს და გაგივებულის სიყვარულით შენთან ერთად შეპქმნის ლამაზ სიცოცხლეს.“

ნატომ რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი, შემდეგ ბეჭები მიჰყუდა ბალიშს, თვალები მიაბყრო პირდაპირ კედელზე დიდ ჩარჩოში ჩასმულ სურათს. სურათი ოთარისა იყო, იმ წელიწადში აღებული, როდესაც ნატოზე ჯვარი დაიწერა. ქალი ისევ აქვითინდა.

* * *

მსხვერპლის მიღების შემდეგ სიკვდილის აჩრდილი გაქრა.

სალის შესიებული სხეული დაცხრა, ნუწუკები შეაბმა, სიცხე ჩამოვარდა, თვალები გაახილა, თვალებში შედედებული სისხლი ჩაწოლოდა. მარტო შავი ბაიები არ უკარგავდნენ მაყურებელს იმედს, რომ ავადმყოფს სინათლე შერჩენოდა. ბავშვი მაგიდასკენ იხედებოდა, დამქნარ ყვავილებს უყურებდა, ხელები სახისკენ მიჰქონდა, განხმარ მუწუკებს იგლეჯდა.

— ახალი ყვავილები სად არიან?.. აკი ცაცკანა და თინა დამპირდნენ, ყოველ დღე მოგიტანთო? — იკითხა ბავშვმა ერთ დღეს, როდესაც შეიძლო ლოგინში ჯდომა. მარიამი მეორე ოთახში გავიდა. ბავშვს მწუხარე სახე არ შეემჩნია.

— სად არიან ახალი ყვავილები?.. სად არიან ბავშვები? — ჟინიანად იმეორებდა სალი და სატირლად სახე ეპრანჭებოდა.

— შე კაი, ქალო, რა ვარდის კონა შენა გჭირდა, ბავშვები გარს შემო-

გხვეოდნენ... ღმერთს მადლობა შესწირე, - რო გადაურჩი მაგისტანა გაჯავრებულ
ნატონებს. - მოესმა ბაბედას პასუხი. დედაკაცი ლოგინს უსწორებდა სალიმ
ხელებზე დაიხედა, მარტო ეხლა შენიშნა, ხელები გაშავებული ჰქონდა.

— სანამ სოფლიდან მეორედ არ ჩამოხვალ, შენ ბავშვებს ველარა ნახავ...
ყვავილი გჭირდა და ყვავილი კი გადასადებია. — უთხრა კიაზომ. სალიმ ჩასი-
სხლიანებული თვალები მიმართა კიაზოს, რომელსაც მოეჩვენა ლოგინიდან ჯოჯო
ინედებოდა, თვალი მოარიდა.

— ნაშ ეხლა ვინმემ რომ ხელი მომკიდოს, შეხვდება? — იკითხა ფიქრიანად
სალიმ.

— უსათუოდ.

სალის მოაგონდა საყდარი, მუწუკებიანი ბავშვი, მისი ხელის გლასუნი და
დამძიმებულის გულით დაუწყო სინჯვა ფაიფურის დედოფალას, რომელიც
მარიამს მოეტანა.

— სანამ სოფლიდან არ ჩამოვალთ, ბავშვებს ველარ ვნახავ! აღარც ნატო
მოვა. — სალის რამდენადაც პირველი გახსენება ემწვავა, მეორე იამა. რამდენიმე
ღღის შემდეგ ოთხად მოკაკული ჯოხით ხელში ოთახში ძლივს დადიოდა, ეტა-
ნებოდა სარკმელს, რომელიც სახლების აყუდებულ კედლებს გაჰყურებდა. ეზოში
დიდი ხე იდგა, მისი ფოთლების შრიალი სალის სმენას შეტად იზიდავდა, და-
სუსტებული თვალები დიდ ხანს ცქერას ვერა სძლებდნენ... ხის ტოტებიდან
ბელურეები თითქო ჭყრიპინით ულოცავდნენ მორჩენას. სარკმელში შემომდგარი
შე სალის სხეულს უთბობდა. ზვიად შენობების ზემოდ ცის ლავეარდი უფრო
დიდებულად გაშლილიყო, მოკრიალეებულ სახეზე აჭა-იქ წერტილად ფრინველი
თუ აღუჩნდებოდა, იმასაც მალე იცილებდა, ეზოს მესერს იქით ჭანდარი ამარ-
თულიყო, დედამიწაზე სულ პაწია ადგილი დაეჭირა, შტო-მკლავები გამძლე
ტანზე მიეწყო, თითქო ერიდებოდა შეხებით არავინ შეეწუხებინა, მაგივრად
ჰაერში დაუზოგავად აჭრილიყო. ბავშვს გარკვევით მოესმა:

— რკაა! რკაა!..

სალიმ ყორანი იცნო, ჭანდარზე იჯდა, გარშემო მრისხანედ თვალს
აულებდა. მის გაღონიერებულ ფილტვებს ხარბად შეესუნთქა მაცოცხლებელი
წმინდა ჰაერი, ლალი გული აჰყოლოდა, ეშხში მოსულს ენა სასაში გამოეკრა,
დიად ბუნების წინაშე დაეღვარა თაყვანების გამომხატველი ჰიმნი, რომელიც
ნიწყნარებულ ნაზ ჰაერს, ცოტა არაა, მკვანედ ჰკვეთდა. ცოტა ხანი კიდევ და
ეზოში მდგარ უბრალო ხიდან ჩამოვარდა გამხმარი შტო. შტოს შტო მოჰყვა,
სალის ეგონა მალეიდან ვიღაც ეხუმრებოდა და შეხედა.

ყორანი ჭანდრიდან შეუმჩნევლად ხეზე გადმოსულიყო, რაღაზედაც მო-
უსვენრად ღელავდა, ხან ძირს იხედებოდა, ხან სარკმლისკენ, უფრო და უფრო
ხელდებოდა, უზომო სიბრაზეს ნისკარტით შტოების მტვრევაში აჭარვებდა.
სალიმ ეზოში შენიშნა ნზის გულზე გაშვებული კრუხ-წიწილები. კრუხი კრია-
ხობდა, იფხორებოდა, უკრუტუნებდა წვრილ შვილებს, რომ დროზე ფრთების
ქვეშ შეემალა. გამწარებულ დედას შვილების სიმრავლე სატემს უძნელებდა.
ზევიდან ნდომი აწლილი ყორანი კი სარკმლისკენ იბღვირებოდა. სალიმაც მო-

იხედა. მეორე ღია სარკმლის მზისგან გამობარ ფიცარზე დიდი ხედი კატა გაწოლილიყო, შეხედვით სთვლენდა. მაგრამ დრო და დრო ცვლდა და ხარ-მაცად ოდნავ გაახელდა, ყორანს გახედავდა და ისევ მძლავრად დაიჩხა, ფოთლებმა გაიშრიალეს...

— რკააა! — უფრო მძლავრად გაისმა ჰაერში. ფრინველმა მალლა აიწია, კატამ მოსვენებულ ძილს მისცა თავი, კრუხმა ფრთების კარავი დაკცვა, წიწილები გაიშალნენ ეზოში. ყორანის ხმა შორიდანაც კარგა ხანს ისმოდა, მაგრამ წინანდებურად აღტაცებული აღარ იყო, პირიქით მის ხმაში იხატებოდა სამდურავე ბუნების მიმართ. სალიმ მადლობის ნიშნად, რომ წიწილები საფრთხე გადურჩნენ, კატას ხელი დაუსვა, მაგრამ ამ დროს შენიშნა, თვითონ წიწილები როგორ წიწქნაღენ ქვა-ლორღში წვალებით ამოპარულ ნორჩ ბალახს და ეზო ისევ უფერული რჩებოდა. სალიმ ფიქრიანად ხელი უშვა კატას, გულნატკენი გამობრუნდა.

— ეს ბავშვი აღარ უნდა გაიყვანოთ კარზე? წმინდა ჰაერი უფრო მალე მოიყვანს ჯანზე. — წარმოსთქვა ამ დროს მხიარულად ცისკარამ, უჩვეულოდ მორთული ოთახში შემოვიდა, მაგრამ, როდესაც ოთახში სალის ნეტი ვერავინ ნახა, უკანვე გაბრუნდა. სალიმ იცოდა ცისკარას კმაყოფილების მიზეზი. ამის ავადმყოფობის დროს დიდი ცვლილება მომხდარიყო. კიაზოს მანიღაშვილი ზურაბი ანუშკას ირთაედა, სალისაც უხაროდა, ანუშკა ძალუა გაუხდებოდა, ზურაბი კიაზოს სოფელთან სულ ახლო ცხოვრობდა.

სალიმ დაღალვა იგრძნო. ლოგინისკენ წავიდა.

ორი კვირის შემდეგ ცისკარას სახლში დუდუკის ხმა გაისმა. სალი ეზოში იჯდა, მზის გულზე თბებოდა, ქორწილს შორიდან უყურებდა. უკვარდა, ცისკარამ მორიდებით რათა სთხოვა მარიამსა და კიაზოს ქალი და სიძე დაელოცათ, კიაზომ თხოვნა აუსრულა, მარიამმა კი ქორწილის შემდეგ იაგუნდის ბეჭედი გაუკეთა რძალს ხელზე. სალი ქორწილში არ გაუშვეს, არც თვითონ უნდოდა. რაც ლოგინიდან ამდგარიყო სალი, სარკეს ეჭებდა უნდოდა სახე დაენახა, მაგრამ მარიამი სარკის ყუთს უკეტავდა. არამც თუ სარკეში ჩაბედება, პირის დაბანაც კი აკრძალული ჰქონდა. სალის უფრო მოენატრა სარკე, რამდენჯერმე სთხოვა ანუშკას და ცისკარას, მაგრამ მათგანაც ცივი უარი მიიღო და ოთახშიაც უთავისოდ აღარ უშვებდენ, კედლის დიდ სარკესე რაღაც ჩამოეფარებინათ.

— როდემდის? ერთხელაც იქნება გავიგებ... სულ ერთია! — ფიქრობდა დაღონებული ბავშვი. ცოტა ხანს უკან თვალებში ცრემლიც გაუჩნდა.

— შენ კიდევ მადლობა შესწირე უფალს, რომ ბატონებმა არ დაგაბრძავეს. — უპასუხა ბაბედამ, როდესაც ბავშვი შეეკითხა თვალების აცრემლების მიზეზს.

— მაშ აღარ მომირჩება ბაბე? ასე უნდა დავრჩე? — აღარ ეშვებოდა სალი!

— აბა რა ვიცი. რა გულთმისანი მე მნახე, რომ წინდაწინ გითხრა რაც მოხდება. ეგ ისევ ბატონებს უნდა მოებოდიშო, წმინდა სანთლისგან ჩამოსხმული კაკლები შესწირო, შეუთქვა, შეესვეწო, იქნება შეგიბრალონ და მოგარჩინონ. ამ პასუხზე სალი უფრო შეშინდა.

— მაგრამ, ხვალ დილით ბარგი უნდა სოფელში გავგზავნო, ~~ზეგ ჩვენ წავალთ.~~ — უთხრა ცოლს კიაზომ ერთ დილას. სალი ზეზე წამოვარდა, მთლად გაცოცხლდა. მარიამმა დალონებით გამოხედა. მის გამოხედვაზე შეაშფოთდა მწყინა, რადგან ამ წუთებში ბედნიერი იყო. მარიამი სარკეში თავს იხილავდა, სარკეში სარკეს თვალი შეასწრო უცბად, მოხუცებულს ხურგს უკან მოექცა, სარკეში ჩაიხედა და გულშეღონებული იქვე სკამზე მიეშვა. მარიამი მიხვდა მიხეზს, ბავშვი ჯერ გონზე მოიყვანა, მერე დატუქსა.

— როდემდის უნდა იყვე ეგრეთი თავისნება? მოგისვენა გულმა, რომ ჩაიხედე? იცანი შენი თავი?

მარიამს შეეცოდა ელდანაცემი სალი და გაჩუმდა. სალი ხმაგაკენდილი უყურებდა მარიამს, კიაზოს, ბაბედას... შემდეგ ოთახს თვალი მოაფლო, მაგრამ სალი ვეღარ ნახა, მის მაგივრად სარკიდან ვილაც გონჯმა გამოიხედა.

— დიდედა, სად არის ჩემი სახე?... ჩემი თვალები?... ეს მე არა ვარ, არც მინდა ვიყვე. ვინ წამართვა?..

— ბატონებმა. — მოესმა მეორე კუთხიდან ბაბედას ნალვლიანი ხმა. დედა-კაცი მაგიდაზე მტკერსა სწმენდავდა. ბავშვმა ორივე ხელი სახეში შემოირტყა, უნდოდა ვილასგანაც ძალით აფარებული ნიღაბი ჩაემტვრია, ჩაეყეჟა. კიაზომ ხელი სტაცა, კალთაში ჩაისვა და დაუწყო დამშვიდება, ჩაგონება, ცაცკანას სიკვდილი დაუმალა!

მესამე დღეს ორ მოხუცებულ შუა ჩამჯდარი სალი ეტლით მიჰქროდა გაჭიმულ მინდვრებზე. აყვავებული ბუნება მიმავალ მგზავრს ისევ ძველებურად გულუხვად საამო სანახავეებით გზას უფერადებდა, არ დასდევდა გონჯი იყო თუ ლამაზი. სალიც იხსნიდა სახეზე ჩამოფარებულ შალს, ბუნების წინაშე თამამად აჩნდა გონჯ სახეს, გულში ეწვეთებოდა სასოება რომ იქ... იქ... სადაც მიდიოდა, იპოვიდა სამკურნალო ნაკადს, პირს დაიბანდა, სახე შეშლილი ბავშვი დაიბრუნებდა იმ საუნჯეს, რომლის დაკარგვაზედაც დღეს ასე უნუგეშოდ ტიროდა, თან გაფაციცებით თვალს არ აშორებდა გზას, რომელიც ხვეულებით მწვერვალს იქით იხედებოდა, შემდეგ იკარგებოდა. ეტლი კი ნება-ნებისად მიიწევდა.

— ძინ! ძინ! სალი, ისევ წავიდეთ წინ! — განუწყვეტლად შექლარუნობდნენ უურში ხარები.

(გაგრძელება იქნება).



ც ე მ ე ნ ტ ი

რომანი

(გაგრძელება*)

V

არაღებულური ემიგრანტი

1

ფაკული ოთახი

მუხის მსხვილჩარჩოიანი ფანჯრები არ იღებოდა და ქვის სატეხიდან წამოსული ნაცრისფერი მტვერი შემოდინოდა ღრეჩოებში და ორმაგ ჩარჩოებს შუა ფანჯარის დასტანდაზზე ხავერდის ფიფქივით წვებოდა. ყოველ დილით მზე ირიბულად ანათებდა შიგ და ამ ორმაგ შუშებს შუა მტვერი თავშესაქცევად თამაშობდა. ტექნიკურ ხელმძღვანელ, ინჟინერ კლეისტს უყვარდა ფანჯარასთან დგომა და ცქერა ამ ათამაშებულ მტვერისა და თან ყურს უგდებდა ოთახის სამარისებურ მყუდროებას.

და თუ ეს ოთახი მოწყვეტილი იყო ირგვლივ გარემოს და მიგდებული სადღაც მიხვეულ-მოხვეულ ყრუ დერეფნების ბოლოში, სადაც დღე სლამოს ძილის მომრევ საჩუმეში რინდდებოდა და ღამე კი ბნელ სიცარიელეებში და დაძონძილ ლანდებში,—სამაგიეროდ ინჟინერ კლეისტის ეს სამუშაო ოთახი ისე სასიხარულოდ მიუდგომელი იყო და შორეული, როგორც აი ის ქვის სატეხი ხეობაში ასკილის ჯაგნარით რომ შეფენილა.

ახლა, როცა ქარხანა განადგურებულია და განოგლეჯილ კარებისა და სარკმლების სიცარიელე უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით შესცქერის კითხვითი ნიშნად ცად აქნეულ მთის ვულკანურ კალთებს, ქვის სატეხებიდან ტერრასებზე ჩამოცვივნილ ღორღში და ხრეშში დანგრეულ და დაჟანგებულ ბრემსბერგებით,—სიცოცხლე დრკება და იშლება შემმდგენელ ნაწილებად—ქაოსად და მყუდროებად. რათ არ შეიძლება რომ ის ტექნიკური ხელმძღვანელი იყოს ამ მკვდარ ქარხანაში, როცა ეს მას სრულიად არაფერს არ ავალებს და მხოლოდ დროის წონასწორობის სიმტკიცეს ანიჭებს.

აქ მთავარი მხოლოდ ის არის, რომ არ გამოაღო ეს მუხის ჩარჩოები და ისე მიუხვდე უდიდეს აზრს ამ ორ ბინათა შორის მომწყვდეულ ბობორიკების

*) იხ. „მნათობი“ №№ 1, 2 და 3, 1927 წ.



აღმშენებლობითი მუშაობას. საზღვრიდან, რომელიც ასე ჰყოფდა წარსულს აწმყოსაგან, ინჟინერმა კლემენტმა უეცრად იგრძნო უდიდესი სილამაზე და ხნიშენელობა ამ ობობას ქსელების არქიტექტურულ ნაშენობათა, რომელთაგანაც მათ ჩარჩოთა შორის იყო ჰაერში გადმოკიდული. ის დიდხნობის რღვევის შემდეგ ფანჯარასთან, მხრებში მოხრილი, აყლაყუდა, შევერცხლილი თმებით და უცქეროდა მარგალიტის მძივებივით აბრწყინებულ ქსელს—აურაცხელ აფურულ სიბრტყეებს ათას გადახრებით და განკვეთებით, უამარ კიბეთა რადიუსებით და უშტის უშტ ყდებითა და მკიდებით, რომელნიც აღსავსე იყო ძალთა უდიდეს დაჭიმულობით.

მის სამუშაო ოთახში არაფერს შედიოდა: ვის რათ უნდოდა ტექნიკური ხელმძღვანელი, როცა ქარხანა გატრამული იყო, გავერანებული და ნოტიო საალაფოებში ჩაყრილი ცემენტი საუკუნოდ გაქვავებულიყო, როცა ბრემსბერგები დაქცეულია, ბაგირები დაწყვეტილი და პატარა რონოდები ჰყრია ლიანდაგის ფერდობებზე ღორღში და შამბნარში ასე უპატრონოდ დაგანგებული წვიმებისაგან? ვის რაში ესაჭიროებოდა ტექნიკური ხელმძღვანელი მაშინ, როცა კვალიფიციური მუშები უსაქმოდ დაწანწალობენ ქარხნის მიდამოებში შარავზებზე და ბილიკებზე, დაძრწიან ცარიელ კორპუსებში და ეზოებში,—ეზიდებიან სახლში მკიდებებსა და კასრის ხის სალტეებს დასაწვავად და მიაქვთ მანქანათა სპილენძის ნაწილები კაჟის ასანთების საკეთებლად და ტრანსმისიების ღვედებბსაც არ სტოვებენ?..

იქ, ძირს, ნახევარ სარდაფის სართულში, უკაცრიელ ჯურღმულების ბინდებში, გუგუნებს და ჰყვირის ქარხკომი და ინჟინერ კლემენტს ეჩვენება, რომ ეს ტავერნაა და კაჩაღთა და მუამბოხეთა საბუღარი. და თავის ოთახის ფანჯრიდან, დამტვრეულ შინაში, ის ხედავს მუშებს, სახე მოღუშულნი და დამტვერილნი რომ დაძრწიან სიმშილითა და უსაქმურობით შეძრძუნებულნი ტინობის ბილიკებზე. ისინი გართულნი არიან თავის საშინელ და გაუგებარ თამაშით და სრულებით არ ეკითხებათ, რას აკეთებს ან რითი არის ახლა გართული ინჟინერი კლემენტი.

ყველაფერი მის სასარგებლოდ იქმნებოდა მისი ჭკვიანური სიფრთხილისა და მათემათიკური ამოცანის მეტად უბრალოდ და მოხერხებულად დაყენების გამო. თავის განკერძოებულ კუთხიდან იცქირება ის დამცინავ ზიზლითა და გაბოროტებით. ამ სიმშილითა და უსაქმურ დღეებით დაქანცულმა ხალხმა ამბოხებასთან ერთად მოიტანა რღვევა და დიდი განუზომელი ტრალეღია—რევოლიუცია. ეს—ამ ხალხმა გასრისა მთელი მისი მომავალი, დასწვა მსოფლიო ისე, როგორც ძველი ძონძი და წარსულის ნაგლეჯები სულ დაავიწყდათ, ახლა რომ აქარის მიმალულ ოთახში მომწყვდეული.

ტინობის ვიწრო ბაქანი და ძირს ჩამოსასვლელი კიბე ორთქლავს და დნება მზის ქვეშ მისი ფანჯარის წინ სასიამოვნოდ. ხანდახან ჰკონია, რომ ის თეთრად გავარვარებული სდულს და შიშინებს ცეცხლში. ეს—ლოკოკინას ნიჟარები და აცვევნილი ცემენტი წივის და ხმაურობს მუშების ფეხებ ქვეშ. ისინი ჭიანჭველებივით ირევიან ძირს, გადიან კარებიდან კარებში და ერთი ქარხკომიდან მეორე ქარხკომში.

რა საჭიროა ახლა ეს ქარხნოში, როცა ის უწინ არ იყო და ქარხანა მაინც აზანზარებდა ქვეყნიერებას? რა საქმე უნდა ჰქონდეს ახლა ამ უსაქმურ მუშებს, როცა ირგვლივ ყველაფერი დატყეულია და მარტო ასწორებული? რა საჭიროა ახლა ეს აჩქარებული სიარული იქით-აქეთ, თუ ხვალინდელი დღე ისევ ისეთი იქნება, როგორც დღევანდელი და შემდეგ კიდევ ასეთი უაზრო დღეთა რიგი, ისე როგორც ორ სარკეში რიგრაგად გამწკრივებული ანარეკლი?

შიკრიკი იაკობი ყოველ დღე სწორედ პირველ საათზე შემოდის მის ოთახში თითბრის ლანგარით. ის შოდის მუდამ ხმისამოუღებლად და კუშტად. დარბაისელი სიარულით, ქაღარა ულვაშები სადგისებოვით აქვს გაწკვერტილი და მოცისფერო ლიბრი ძალიან წითელ თავის ქალაზე ნინასავით იმსკვირვალე-ბა. მაგიდაზე ჩაის სდგანს და იქვე ქალაღლით სახარინის რამდენიმე აბს სდებს, მერე ორი ნაბიჯით უკან იწევა, წელში იხრება და იღებს იატაკზე დაცვივნილ ნაფშხვენებს და მავთულის კალათაში ჰყრის დიდის მზრუნველობით, საწერ მაგიდის ქვეშ რომ დგას. კედლები სუფთად არის შეთეთრებული და არქიტექტურული ნახაზები ისევ ისე წესიერად არის ჩასმული მუხის ჩარჩოებში, როგორც უწინ.

— პირველია არა, იაკობ?

— სწორედ პირველია, გერმან გერმანოვიჩ.

— კეთილი. შეგიძლია წახვიდე. ჩემთან არავინ შემოუშვა.

— მესმის, ბატონო!

— მხოლოდ ფანჯარაზე მტვერი წამოწმინდე, იაკობ, ისე რომ ჩარჩოები არ განოალი.

— მესმის, ბატონო!

ინჟინერი კლვისტი დგას ფანჯარასთან და ზურგი იაკობისაკენ აქვს ნოქცეული.

სადღაც შორს, დერეფნებს იქით გუგუნობენ კანტორის ცარიელი ოთახები და საანგარიშოებს აჩნაკუნებენ. იქ უკვე ახალი ხალხი იყო, — სამეურნეო საბჭოს მიერ გამოგზავნილი. ვინ არიან ისინი, ან რას აკეთებენ, — ეს არ იცოდა ინჟინერ კლვისტმა და არც უნდოდა, რომ სცოდნოდა. მას დარჩა მხოლოდ მუშების მიერ დავიწყებული ერთადერთი ოთახი, რომელსაც ასე კარგად იკავდა იაკობი და, სადაც მხოლოდ წარსული არის მოთავსებული. სინამდვილე კი მიჰქრის წარაზე ავტომობილებით, ტელეგებიტა და ხალხით, ჯაჯგურობს მუშათა არტელებში, თავი რომ აიშვეს და ყვირილსა და უაზრო გინებას რომ მიეჩვივნენ (უწინ ეს სასტიკად იყო აკრძალული დირექტორის მიერ).

ის გასცქერის მთის დაქანებულსა და დაღარულ კალთას, ჯაგებით რომ არის შეფენილი. სულ ძალდა, მთის წვერზე უხარმაზარი ლოდებით აგებული და მზის სხივებით ოქროსფრად შეფერილი ციხე-დარბაზი დგას გერმანულ კირკასავით უხარმაზარ კამარებითა და კოშკებით პურიტანულ სიმკაცრით გამომცქირალი.

— რა არის ახლა ამ ციხე-დარბაზში მოთავსებული, იაკობ? რა ჰქვია ახლა იმას?



— მუშათა კლუბი და კომუჯრედი, გერმან გერმანოვიჩი.

— მათ რაღაც გაუგებარი და ახალი ენა შემოიტანეს. მათ სიტყვაში არის რაღაც აუტანელი ისევე, როგორც რევოლიუციაში. არაფერს მსმენენ მათ ღმერთი გწამს, ამ ოთახში და არაფითარ შემთხრევაში არ გნადრის სიტყვები. შეგიძლია წახვიდე.

ის უცქერის დირექტორის სახლს (კომუჯრედი!). სტკება მისი განუზომლობითა და დიადობით. ეს სახლი მისი, ინჟინერ კლეისტის, აშენებულია.

მთის მარცხნივ მწვანე ბუჩქებში და ლორღში ქარხნის რკინატინობის მაღალი ბუხრები ცაღ ავარდნილა (ფანჯრიდან ისინი მთაზე მაღალი მოსჩანან) ბაგირის გზა, ბუხრებს ქვემოდ, ბაგირის გზის გადაღმა, — საქარხნო კორპუსების გუმბათები და კამარები. ისიც ინჟინერ კლეისტის აშენებულია. მან ვერ შესძლო ემიგრაციაში წასვლა ამ ქარხნების დაუნგრეველად. მისივე ქმნილება გადაუდგა მას წინ და გზა გადუღობა გაცილებით უფრო შეუღრეველად, ვიდრე დრო: ის მათი პატიმარი იყო.

ეს ქაშანურ იატაკით მოფენილი ოთახი ატარებს ისევე იმავე სურნელებას სამუშაო ლაბორატორიის: კედლებზე ნახაზები, ნახაზები მუხის მძიმე სამუშაო მაგიდაზე და კეთილშობილი სიღარბაისლე გოტიკურ სტილის მოხარატებულ დგამისა. აქ შეჩერდა დრო და განვლილი ცხოვრება ისე შედეღდა, რომ ხელს ნოკიდებდღი.

2

მ ბ რ ე ბ ი

დაშვებულ იქმნა თუ არა რაიმე შეცღომა ინჟინერ კლეისტის ლოგიურ მსჯეღობებში და ახრთა აღნაგობაში, ეს მან არ იცღოღა, ან-ღა, იქნებ, ოღესმე მოხღღა ისე რომ (რაც მან ვერ შეამჩნღა) ცხოვრება ვერ დაემორჩიღღა აღამიანის გონების კანონებს და ასე ის დაბშული ორბიტი განკერძღებულ სანყაროსი, რომელიც ინჟინერ კლეისტმა იცღოღა, გაირღღვა და ისე დაცვიღღდა, როგორც დაფანგული მავთული.

ჯერ კიდევ ერთი საათით აღრე, როცა იაკობი თავისი ჩვეუღებრივი შემოსეღღით ოთახში ამტკიცებღღა დროის მსუღღეღობის ჩვეუღებრივ უცვღღეღობას, მთელი წარმოდგენა ცხოვრებისა ინჟინერ კლეისტს ისე მკაფიოდ ეხატებღღდა, როგორც გრაფიკული სქემა — წრე და მხები. თავის ნეტარ განსუენების წუთებში, როცა ის თავის ჩაკეტიღღ ოთახში საწერ მაგიდასთან უშიშრად იჯღღა ქარხნის შენობათა წინ გადაშღღიღი ძვეღღ პროექტებით, თავის სანუშაო კაბინეტში ტრადიციულს სიწყნარესა და წესიერებას იცავღღა, იჯღღა ისევე ისე და ფანქარით ინგღღისურ ბლოკნოტზე ერთსა და იმავე ნახაზს ხატავღღა შეუგნებღღად: წრე და მხები — აქსიომა, სწორი ყოვეღღ კომბინაციებში.

ღა აი, უეცრად ყვეღღაფერი აფეთქღღა, დაიმსხვრა. უეცრად აღმოჩნღღა, რომ აქსიომა სრული წეღღსაბამობაა: და მხრები გაღღიქღღა იმ ლოღღად, რომელმაც ნაცარტუტად აქცია ეს ნიჯარა. ღა იმის გამო, რომ ყოვეღღივე ეს მოხღღა წყნარად და უბრალოდ, ინჟინერ კლეისტს სული შეეხუთა.

ის ფეხისადგილში შევიდა და ჩვეულებრივზე დიდხანს დაიგვიანდა. უვარგის საქმლის გამო კუჭი ვერ მუშაობდა კარგად. და, როცა დერეფანში მოდიოდა, ოთახის კარი ღიად დახვდა, რაც ყოველდღე დაუშვებელი ამბავი იყო.

მუშები კიბის ბაქანზე იდგნენ და ქვის სატებს ვასცქეროდნენ, ხანდახან მისი ოთახისკენაც იცქირებოდნენ. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა იაკობი სახლში არ იყო. და მან იგრძნო, როგორ გაიელვა მის გულში შეკუმშულმა ელექტრონ. ერთი პირობა შემფოთდა, მაგრამ მალე დამშვიდდა. ახლა—განივრად გაღებული კარები და—ელექტროს განწლა. რაღაცა სწვავს იქ შიგნით და შემფოთებისაგან გული უღამდება.

ცივი უკარებლობითა და დიდკაცურ წონასწორობის დაცვით შევიდა იგი თავის ოთახში. ერთი პირობა კარების ხლურბლზე შეჩერდა და ერთბაშად ვერ მიხვდა თუ რა მოხდა. ერთი რამ უეჭველი იყო: მის განკერძოებულ სამყაროში მოხდა რაღაც დიდი დაძვრა ადგილიდან. ფანჯარა გაღებული იყო და მტვერი ბოლივით ასდიოდა მის მაგიდასა და დასტანდაზს.

ფანჯარასთან, პირში ყალიონით ვილაც პირგაპარსული კაცი იდგა ჩაჩქანის ქუდით, ტანთ სამხედრო ხალათი ეცვა და წვივებზე ლურჯი ტოლადები ჰქონდა დახვეული. ყბის ძვლები ყურებ ქვეშ გამოზრდილად მოსჩანდა და ყვრი-მალის ძვლებს ქვემოდ ლოყა ჩავარდნილი ჰქონდა.

— ეს რა ობი და სოკო მოსდებია თქვენს ბინას, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო?..

ამბობდა ის და ქუდით ჰბერტყდა ობობას ქსელს ფანჯარის ჩარჩოებიდან და ბობორიკებს ხოცავდა.

— ძაან საიმიედო ბარრიკადა კი გქონიათ, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო! მაგრამ უნდა ვითხრათ, რომ ნამეტანი მიყრუებული სოროა,—ჩიხია და არა ბინა.

შეშლილი ნაბიჯებით მივიდა თავის საწერ მაგიდასთან ინჟინერ კლეისტი. იყო ისეთი დრო, როცა ეს ადამიანი ნაცემ-ნაგვები და სიკვდილისათვის განწირული უცქეროდა მას სისხლიან სახით. ახლა კი ის სრულიად მოულოდნელად გაჩნდა აქ და ასე მშვიდად არის.

— დიახ... მე სრულებით არ ვალეზ ფანჯარას...

— მართალია, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო: ჩვენში ახლა საშინელი ჰაერის მომწამლავე ორჭოლი ქარი უბერავს... ბოლშევიკებმა ყველაფერი ძირბუდიანათ ამოაბრუნეს და თავდაღმა დაჰკიდეს. წყეული ხალხია ეს ბოლშევიკები!..

— რატომ იაკობმა არ გამაფრბილა, თუ მოდიოდით?

— თქვენ იაკობს ჩვენ საკასრე ამქარში გაგვზავნით შეშის საკრელად: მონები არ შეიძლება რომ იყვნენ ჩვენს ყოფაში. თქვენ მე უნდა გახსოვდეთ, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო...

— დიახ, მახსოვხართ... იყოს ვგრე, მერე რა გნებავთ?..

— აი რა. როგორც გინდათ ისე ილაპარაკეთ: ჩვენ ხელში არის პროლეტარიატის დიქტატურა და ჩვენ შიშველი ხელებით ვებრძვით მეურნეობის

რღვევას. მუშები, ქარხანა, ტრანსპორტი—ბრემსბერგში დაქცეულია, საითხობი მასალა არ არის, ქარხანა მიწასთან გასწორებული, სპეცხელმძღვანელები კი ვირთხებივით შემძვრალან თავიანთ სოროებში. რა საჭიროა ეს რბოლა? თქვენცა და ქარხანაც ობობას ქსელში ხართ გაბურღული. აი როგორ უნდა იქმნას საკითხი დასმული, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო...

— დაუშვათ რომ მე დავსვი ეს საკითხი და გადავწყვიტე კიდევ. რა გნებავთ მერე თქვენ ჩემგან?

— აი... წავაწყდი ამ თქვენ ბარრიკადას, აი სწორედ ამ ჩიხს... მოდი ერთი შევალ მასთან, ვიფიქრე მე... საძაგელი ჩვეულებაა, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო, მაგრამ რას იზამ...

— მე არასოდეს ფუჭად არ მილაპარაკია და არც მიყვარს ასეთი ლაპარაკი. და ის, რასაც თქვენ შელაპარაკებით, სრულებით არ მესმის და არც მინდა რომ გავიგო. გთხოვთ ჩემთვის დამაყენოთ.

გლებმა მაგიდისაკენ ნაბიჯი წარსდგა და ქვედა ყბით ოდნავ დაიღრიტა. პირში ყალიონი გამოიღო და ინჟინერ კლეისტს თვალეებში ჩააცივდა. იქნებ ობობები განოჩნდა მის თვალეებში, ან და საშინელი მოჩვენებები ახრჩოლდნენ მის ირგვლივ,—ინჟინერ კლეისტის სახეს უეცრად ტალი გადაეკრა.

— ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო, თქვენ გახსოვთ, ალბათ, ის მშვენიერი საღამო, როცა მე თქვენ შესანიშნავად მიცანიით და მშვენივრადაც მცხეთ მირონი? თქვენი აბანო შესანიშნავი იყო... მაგრამ ასეთი აბანო, თუ ეშმაკების არ არის იგი, მე ვერაფერს მიზამს... მაშ აი... მოველ თქვენთან სტუმრად, ძველი ამბები რომ მოვიგონოთ... მიყვარს, ეს ოხერი, ძველ მეგობრებთან საუბარი, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო...

ყალიონი დაღეჭა, მხრები შეიბერტყა, რომ კუნთები გაეშალა, და გაიცინა.

— ახლა მე თქვენ ერთი გამოცანა მინდა გითხრათ, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო. სულ პატარაა, ერთი ბეწვაა ეს გამოცანა, მაგრამ დიდათ საინტერესო. ერთ გაზაფხულზე იყო ოთხი სულელი. დაიჭირეს წყეულმა თეთრებმა ეს ოთხი სულელი და ამ ოთახში შემოათრიეს. მათი სახეები სახეებს კი არ ჰგავდა, ძველს დაგლეჯილ კალოშებს. საკითხი: რისთვის მოათრევდნენ ისინი ამ დაგლეჯილ კალოშებს აქ და როგორ მოხდა, რომ ეს ოთხი სულელი მკვდარი უეცრად ერთ ცოცხლად გადიქცა? მართალია, ეს გამოცანა ეერაა კარგი გამოცანა, მაგრამ პასუხი კი მხამიანი აქვს; არა, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო?..

და ისევ მხიარულად გაიცინა.

— ეს ისე, უფრო მხიარულებისათვის, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო: დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და იმიტომ...

სარკმელთან მივიდა, დასტანდაზზე გადაეკიდა და დაუძახა:

— ჰეი, ძმებო!.. მოიცადეთ—მოვდივარ... ერთი გამოცანა მივეცი ამხანაგ ტექნიკურ ხელმძღვანელს...

და მისი ხმა გუგუნობდა სადღაც შორიდან და ძლიერად სთრთოდა მთელ

ტანში. მუშების ყვირილი ყაყანივით მოისმოდა. გლები ისევ მაგიდას მიუახლოვდა და ინჟინერ კლეისტს ღიმილით შეხედა: ელოდა პასუხს. მერე არ მოუცადა, შეტრიალდა და უკან მუობედავად, სამხედრო, განიერ ნაბიჯებით წაიჭრა.

ინჟინერი კლეისტი დიდხანს იჯდა ერთ ადგილას. ის დაბნელებული იყო. მისი დაბნელება იყო ფანჯარა ჰგავდა ვულკანიურ კრატერის ყელს. კარები გაღებულია და მოსჩანს ჩაბნელებული დერეფანი. რაღაცა სტკივა შიგნით და გულს ეცრება. ისევ შემოვიდა იაკობი და შუა ოთახში მოწიწებით გაჩერდა. ის დაბნეული იყო და ფერმეწკრთალი სახე ქალღმერთის ეკმუქნებოდა. ინჟინერ კლეისტმა ციებიანივით ამთებულ თვალებით გადახედა მას. წყნარად და სასტიკად შეეკითხა:

— ეს შენა ხარ, იაკობ? ხომ არ შეგიძლია შენ მითხრა, როგორ მოხდა ყოველივე ეს?

— მე არა ვარ ამაში დამნაშავე, გერმან გერმანოვიჩ... ნათ ვერაფერი დააკავებს... ვერსად და ვერაფერში... ნათი ძალა, გერმან გერმანოვიჩ, და მათი კანონი...

ინჟინერ კლეისტის გულს ახარებს იაკობის ახლო ყოფნა. მის ცივ ერთგულებაში არის რაღაც დამამშვიდებელი.

— ეს ის კომუჯრედია, იაკობ?

— ჩუმალოვია... ზეინკალი... ომიდან დაბრუნდა და ახლა ის არის მათი მოთვარი ხელმძღვანელი. ყველაფერი დაატრიალა, გერმან გერმანოვიჩ, და ყველაფერს ქამანდით იღებს. ვინ გაუძლებს ახლა იმათ? ფებს გამოგიშლიან, გერმან გერმანოვიჩ...

— ვერც შენ გაუძელი, არა, იაკობ?

— ვერა, გერმან გერმანოვიჩ... საწუხაროა, რომ თქვენი რეჟიმიც იმან დაარღვია...

ინჟინერი კლეისტი გაჩუმდა, თითქოს იაკობის უკანასკნელი სიტყვები არც გაეგონოს. დამშვიდებულად, საქმიანად პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა.

— მაგრამ შენ ხომ გახსოვს, იაკობ, ისინი მაშინ ოთახი იყვნენ... ეს საშინელება იყო და მხეცობა... შენ ხომ გახსოვს, იმავე ღამით იქნენ ისინი დახვრეტილი... მე კარგად ვიცი რომ ისინი დაიღუპნენ...

— მაშინ ისინი, გერმან გერმანოვიჩ, სცემეს... სიკვდილის პირამდე მიაყენეს...

— დიან,—ეს საშინელი ამბავი იყო, რაც არასოდეს არ დამავიწყდება... მაგრამ აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს, იაკობ: მე მაშინ სრულის შეგნებით ვიქცეოდი, ყოველგვარ ზეგავლენის გარეშე. შიში? შურისძიება? ეს არ იყო. არის მხოლოდ ერთადერთი ძალა, ეს ძალა—დროა, დრო კი ისტორიულ შემთხვევათა წყებაა... ასევე შეგნებულად სჩავდიოდი მე ყოველივეს და ყოველგვარ ღონისძიებას მივმართავდი, რომ ამ მუშის ცოლი სიკვდილისაგან დამეხსნა.

თავი უკანკალებდა და გაჩერება არ შეეძლო. საჩვენებელ და შუა თითს შორის პაპიროსი ხტოდა და ვერ აკავებდა.

— დარჩი ჩემთან ცოტა ხანს, იაკობ... თავს ცოტა უჭეიფოდ ვგრძნობ...



— სახლში წაბრძანდით, გერმან გერმანოვიჩ: თქვენ მოსვენება გქონიათ.

— სად სახლში, იაკობ? სახლვარ-გარეთ? არ ფიქრობ შენ, ბებურო, რომ დღეს იქნებ, ჩვენ უკანასკნელ დღეებს ვალამებთ?

— რას ბრძანებთ, გერმან გერმანოვიჩ?... მართალია, ჩვენი მუშები ყბედი ხალხია, მაგრამ,— ისინი მშვიდობიანობის მოყვარულნი არიან... დამშვიდებულად იყავით, გერმან გერმანოვიჩ...

და თვითონ იაკობსაც აუკანკალდა თავი და ვერ აჩერებდა.

როგორც კი ეს სიტყვა სთქვა იაკობმა, ინჟინერი კლვისტი სავარძლის ზურგზე გადაესვენა და მის სახეს ისევ მტვერის ტალი გადაეკრა.

— გახსოვს, იაკობ? ეს კაცი მე სასიკვდილოდ გავეც, მაგრამ სიკვდილი რიკოშეტით მგვე შემოგობრუნდა. გამაცილე, იაკობ...

წამოდგა და ბეჭებში მოხრილი, თვალეში შიშის ზარით, იაკობს გვერდი აუარა. იაკობმა მოხუცური ფუსფუსით ინჟინერ კლვისტის ქუდი და ჯოხი აალო და ბნელ დერეფანში გაჰყვა.

3

ანგარიშის გასწორება

ლორდით მოყვნილ ბილიკებით, შინდის ბუჩქებს შორის მიდიოდა ინჟინერი კლვისტი და ასე ნელი სიარულით ის მთაზე ავიდა. ძირს, ღრანტეში შედედებულ ჩრდილივით იღვრებოდა ხეობის წიალიდან წამოსული ღამე. ბაღის ხეები და მალალი კედლები გზას უღობავედენ ამ ღამეს და ის შავი ღრუბელივით სივდებოდა და ეშვებოდა სიწყნარეში. იისფერ ფუნჯებად ბრწყინავდა თვლებისა და რცხილების შტოები ღრუბლებივით, რომელნიც ჯერ კიდევ კარგად არ შეფოთლილიყვენ და ცად ამართული ალვის ხეები იდენ ჟინჯილილებივით.

პირდაპირ, მთის დაქანებულ კალთაზე— დგას ქარხნის უხარმაზარი მობდენილი შენობათა რიგი. შენობებს იქით, სახურავებზე და კოშკის თავებზე ზღვის კალთა მოსჩანს ამღვრეულად. კიდევ უფრო მაღლა ცა კაშკაშებდა ვაოსკვლავებით. ზღვის უბის იქით ქალაქი უკვე არ სჩანდა, იბუტებოდა მხოლოდ აჭა-იქ სინათლეები.

ყველაფერი ეს შორეული და უცხო იყო ახლა. მხოლოდ ეს რკინა-ტინობის მღვევები იყო ახლობელი და სულთან დაკავშირებული, რომელიც ააგო მან,— ინჟინერმა კლვისტმა. ამ წუთში ქვეყანაზე არსებობდენ მხოლოდ ისინი, ცად აქნეული ძალა და ენერგია ამ არქიტექტურულ მანქანებისა და ის, მისი შემქმნელი, ინჟინერი კლვისტი, გზადაბნულ ჩრდილივით დაძრწოდა რკინის-გზის რონებზე, კედლებისა და კოშკების გასწვრივ და ისიც ისევე ჩუმად იყო და უხმოდ, როგორც ეს ქარხნები.

ამ საღამოთი მან პირველად დაინახა მუცელ გამოღადრულ ქარხნებში განუზომელი სულის ღაფვა წარსულისა. მისი გრაფიკული ფორმულა სწორი აღმოჩნდა: ისტორიულ შემთხვევათა ბორბალი თავშეუკავებლად მიგორავდა ერთხელ აღნიშნული გზით.

იმ უცნაურმა შეტაკებამ იმ მუშასთან, გლებ ჩუმალალოვთან, ^{მშკარად დაა-}ნახვა ინჟინერ კლეისტს, რომ ეს გზა მოღუეულია და რომ მისმა სიცოცხლემ ^{გარკვეულ ხდვარს მიაღწია.}

...თავის დროზე უნდა აეფეთქებინა მას ეს ქარხანა და მასთან ერთად და-
ღუბულიყო. ეს იქნებოდა საუკეთესო პასუხი—წინააღმდეგობის კანონის მიხე-
დვით.

თუ მას ახლა ვინმე შეხვდება, ის მზად არის ამისთვის. არსებითად, ახ-
ლა საჭიროა სულ უბრალო რამის გაკეთება—ტყვია უნდა დაახლო გულში: წი-
ნა ეტაპი უკვე განვლილია. საჭიროა მხოლოდ, რომ ცოტა ხანს კიდევ დარჩეს
ამ ნაშენობათა შორის, სადაც მისი სიცოცხლე კრისტალებად გამოიყოფოდა
მისი არსებიდან და ასე, ამრიგად იქმნებოდა ის უძლიერესი არქიტექტურული
დიდება, ახლა მას რომ ირგვლივ ახვევია...

რონელი ქვეყნის კულტურა მოაქვს გლებ ჩუმალალოვს? საკუთარ სისხლში
ამოვლებული და ისე აღმდგარი, ახლა ის შეუვალია და უშიშარი, მის თვა-
ლებში გამოსჭვივის უამრავი ხიფათი და საშიშროება. დღეს, როცა ის შეხვდა
გლებს, გლები იღიმოდა და ამ ღიმილში იყო რაღაც მისთვის გამოუცნობი
სიღრმეები—ცოდნა იმისი, რაც არ იცოდა მან, ინჟინერ კლეისტმა. ამ ცოდ-
ნით იყო გაქვინთილი მისი წოწოლა ჩაჩქანის ქუდიც. და სახე, და ეს ჩაჩქანიც
იყო ერთი მთლიანი.

ჯიუტი და დამაფიქრებელი სახე — ჯიუტი და დამაფიქრებელი ჩაჩქანის
ქუდი.

ეს ჩაჩქანი კიდევ ერთხელ ასაბუთებდა მრისხანე სინამდვილის არსებობას.
და გარდა ამ ჩაჩქანისა და გლებ ჩუმალალოვის სახისა, არაფერი არ იყო მის წა-
რმოდგენაში.

გამოსავალი არ არის. ის, ინჟინერი კლეისტი, მზად არის ყველაფრისათ-
ვის. უკეთესი იქნება, თუ მას მოჰკლავენ აქვე, ამ ნაშენობათა შორის, — სახლ-
ში სიკვდილს, აქ რომ მოკვდეს ის ურჩევნია. ეს ჰიგანტები და ის განუყოფე-
ლნი არიან ერთურთისაგან: მისი მოკვლა ნიშნავს იმას რომ მასთან ერთად ეს
მისი სიცოცხლის ტაძრებიც დაანგრიონ და ნაცარტუტად აქციონ.

შორეულ მთებს იქით, ქალაქს გადაღმა, ცა გაგარეარებულ რკინასავით
ცივდება და მთების თხემები უზარმაზარ შენობათა სახურავებივით მოსჩანდა.
მკაფიოჭსიჩუმე იდგა ყველგან. სტვენდა და ოხრავდა სადღაც, სულ ახლოს რკი-
ნის ბლოკი მოქანცული. ჰკიოდა სადგურზე ვიწრო ლიანდაგის ორთქლმავალი
შიშით შემკრთალი და საიდანღაც მიწაზე დავარდნილ რკინის გუგუნე მოისმოდა.

გლები კოშკის ბაქანზე იდგა და ბაქანიდან მიდიოდა ძირს ობობას ქსე-
ლივით ფოლადის მავთულხლართებში. ოდესღაც აქედან აწოდებდენ ქვანახშირს
პატარა რონოდებით სამანქანო განყოფილებას: რონოდები ეწვებოდენ ძირს
ლიფტებით მის შავ უბსკრულში და გვირაბებში ბაგირის წვევით და მისცურავ-
დენ სამანქანო კორპუსებისაკენ. ახლა კოშკი ცარიელი იყო და თარჯებს იქით,
ცენტრში, უძირო უკუნეთით იყო ჩაბნელებული უბსკრულის სახა.

ლონივრად უჭერდა ხელს მოაჯირის მავთულხლართებს, გასცქეროდა კო-

რკუსების რკინა-ტინობის უზარმაზარ ბირთვებს, რომოცდაათ საუენიან ბუხრებს, ცაწი რომ იყვენ აქნეულნი ვარსკვლავებთან, მოწკარუნე ბაგირებს, ზედ რომ რომოდები იყვენ ცად გაშეშებულნი და ბრაზით კბილებს ახსნიანა.

...ქარხანა ცეცხლმოდებულ ჯოჯოხეთივით გუგუნობდა. ტექნიკის თრთრდა გაცოფებულ მანქანებით, ჰაერი ჰყრიდა ბურბუშელებივით ცეცხლის ჩინჩხლებს ღია სარკმლებიდან, ზანზარებდა ყველაფერი მბრუნავ ლუმელების თვალის მომკრელ გაელვებით, აუარებელ ლილისფერ მთვარეებითა და კდლის მასივების ლალუმებით აფეთქებისაგან. იქ, ბოლაზში, პირსებთან, იდგა საოკეანო გემები და უძირო მუცლებით ნთქავდენ მილიონ ტონებს ახალ ცემენტისას. და ქარხანიდან პირსებზე, პირსებიდან ქარხანებში დაჰქროდენ სტვენითა და სირენათა ღმუილით უამრავი ვაგონები. მუწათა ათასეულები ისე, როგორც უშტის-უშტი ჭინკებისა, იწვოდენ ცეცხლში, ირუჯებოდენ, ამსხვრევდენ კლდეებს ნაცარტუტად, დღეებს გოგირდის ცეცხლს უჩენდენ და იდგა ყველგან დამწვარი ქვის სუნი, ლამეები კი ხანძარმოდებულნი ფანჯრებითა და აფრიალებულ ალით იყო განათებული.

ეს იყო წარსულში. ახლა — დუმილი და სასაფლაო ყველგან. ბალახი მოეჩია ბრემსბერგებს, ხავსი მოედო ფოლადის გზებს ქარხანაში. დაეანგდა რკინა და რკინა-ტინობის კედლები იცქირებიან მუცელ გამოფატრულნი.

ინჟინერი კლეისტი მიდიოდა ნელა, ხშირად შეჩერდებოდა და უცქეროდა მრავალსართულიან შენობათა კუბებს ისე, როგორც წარსული ეპოქის საუკუნო სავანეს. უცქეროდა და ფიქრობდა. მიდიოდა, მერე შეჩერდებოდა და ფიქრობდა.

გლები მოაჯირზე გადიხნიქა და ინჟინერ კლეისტის ლანდს დააკვირდა.

აი აღამიანი, რომელსაც ის სიამოვნებით დააღრჩობდა საკუთარ ხელებით, რა დროსაც არ უნდა მოხვედროდა ხელში, და ეს დრო იქნებოდა მისი ყველაზე სასიხარულო დრო. ეს ის იყო, გლები რომ მისცა ხელში ერთ დღეს გამხეცებულ ოფიცრებს ცოცხლად შესაწმელად და ეს დღე არასოდეს არ დაავიწყდება გლებს მთელ მის სიცოცხლეში...

...ქარხნის მუშები გაამწკრივეს კანტორის წინ გზაზე (ცოტა დარჩა: ბევრმა მოასწორო დამალვა, ბევრი წითელ არმიას გაჰყვა). ისა და კიდევ სამი ამხანაგი ჩაუვარდა მათ ხელში, ვერ მოასწრეს გაქცევა — ჩარჩენ ქუჩაში გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში. ერთი ოფიცერთაგანი ხელში მათრახით — გვარებს კითხულობდა. სცემდა მათრახით სათითაოდ და მერე ოფიცრებს აძლევდა ხელში. ისინიც სცემდენ — სცემდენ მათრახებით და რევოლვერის ტარებით. ბუნდოვანად, ოდნავ შეამჩნია გლებმა მუშათა გამწარებული ყვირილი, — იმ მუშების, მწკრივში რომ იდგენ. იქნებ, ეს საპროტესტო ყვირილი იყო, იქნებ, სცემდენ იმათაც — გლებს ეს არ ესმოდა და მხოლოდ სისხლის ცრემლებში შეამჩნია მან ერთი წუთით, როგორ გარბოდენ ისინი აქეთ-იქით თავგზააბნეულნი და როგორ მისდევდენ მათ რევოლვერებითა და მათრახებით ოფიცრები. და როცა ისინი მოათრიეს, სულ ოთხი, შედედებულ სისხლით სახეზე, ინჟინერ კლეისტის სამუშაო ოთახში, ის დიდხანს უცქეროდა მათ, ფერდაკარგული, აცახცახებული

ყბით. რალაცას სამხედრო წესით ეუბნებოდენ მას ოფიცრები. ის კი, შეშფოთებული, თითქოს გულცივად იდგა ჩუმად. ხმას არ იღებდა. უცქეროდა გლებს და ჩუმად იყო და მის თვალეში გლებმა ამოიკითხა მინდაში გულახიზი თანაგრძნობა.

წყნარად სთქვა, ხრინწიანი ხმით:

— დიახ ეს ის არის... ესენიც... დიახ, დიახ... ისინი არიან...

— მეტს არაფერს იტყვიო, ბატონო კლვისტ?

— დანარჩენი ჩემი საქმე არ არის, დანარჩენი ღვთის ნებაა: ეს უკვე თქვენი საქმეა.

ისინი ჩაყარეს ცარიელ საილაფოში და შუალამებდის სცემდენ მათ განუწყვეტლივ. ხანდახან, როცა ის ოდნავ გონს მოვიდოდა, გლები გრძნობდა როგორ სცემდენ მას—ცემა აღწევდა მის გონებამდე ხან ღუნედ, ხან შორეულად და ტკივილის გრძნობას არ იწვევდა, მაგრამ ეს ცერა იყო მეტად დიდი, განუზომელი, მის სხეულს რომ ნაწილ-ნაწილად ჰფლეთდა.

როცა გამოერკვა, ირგვლივ შავი ღუმილი იყო დასადგურებული. ის გაფორთხდა ცარიელ საილაფოში გამწარებული, მაგრამ მაინც ცოცხალი. წააწყდა ამხანაგების სისალიანსა და ლიპ სხეულებს. მათი სხეული ცივი იყო, ანდიოდით მათ ნაწლავებისა და სისხლის მიძიმე სუნი. ასე კედლების გასწვრივ ფორთხვით მივიდა იგი ჰაერის საწმენდ ფართო ღრეჩოსთან და გარეთ გამოფორთხდა. ღამესა და ჩირგვებს აფარებული მიფორთხდა იგი სახლში და მას შერე იგი არავის უნახავს...

ეს არასოდეს არ დააუწყებდა მას მთელ თავის სიცოცხლეში...

ეს მოაგონდა გლებს მაშინაც, როცა ის ინჟინერ კლვისტის ოთახში იყო, მოაგონდა ახლაც, როცა ის გადასცქერის მის, ღამეში აწანწალეულ აჩრდილს.

ინჟინერი კლვისტი გაშეშდა ერთ ადგილას, მაგრამ ისევ მალე მოიკრიფა გონება და მიაჩერდა გლებს კი არა, სამანქანო კორპუსის შავ ღრეჩოს, გამოწგრეული რომ იყო.

ეს ადამიანი ყველგან არის. ის კი არ სდევნის მას, არამედ უდგას მას ყოველ გზებზე და აბრუნებს მთელ მის არსებას კოშმარივით. მისი სანყაროს საიმედო ქსელი დაწეწილია სამუდამოდ, მეტს ის ვერ მოჰქსოვს: ყოველად შეუძლებელია რომ გაექცე ამ ჩაჩქანის ქუდსა და ადამიანის ძალას. რომელ წუთიდან მოიპოვა ამ კაცმა მასზე ასეთი დიდი უფლებები? ერთ დროს ეს მუშა გათქეფილი იყო ზეთით დასვრილ ლურჯ ხალათების მასსაში უსაბოდა უხმო, და შეუძნეველად ისე, როგორც ყველა, ასრულებდა მასზე დაკისრებულ სამუშაოს—უმცირესი ელემენტი ამ ძლევაძმოსილ და რთულ წარმოების პროცესში. რატომ არის, რომ მას, ინჟინერ კლვისტს, ოდესღაც უფლებამოსილსა და ძლიერს არ შეუძლია ახლა, წინ აღუდგეს ამ ადამიანის მოუხეშავსა და ველურ ძალას? სად არის ის პირველი დაწყებითი ბიძგი, რომელმაც ეს დაძვრა მოაბდინა: იქნებ ეს, ის ნომენტი იყო, როდესაც მან ის იმათ გადასცა გასანადგურებლად და მიწის პირისაგან აღსაგველად? თუ დღევანდელი დღე, როდესაც მან პირველად დაინახა ის თავის სამუშაო კაბინეტში?



უბრალოდ, როგორც მეხი, ისე დაეცა თავზე: და ასე ის მოხალისეობით, რომლითაც ის ამ დღეს სცოცხლობდა, მოვიდა ხახა დაბჩენილ უბსკრულივით.

— აქ ამობრძანდით, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო: შენ მოდებოდა თუ გადახედავ, ეს საფლავი კიდევ უფრო ღრმად გათხრილი მოსჩანს... დადინაროთ თქვენ, მეც დავდივარ... ყოველ დღე... მერე რა უნდა გამოვიდეს აქედან?... ეროი აქ ამობრძანდით, თუ შეიძლებოდეს, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო.

ისტორიულ ამბავთა და მოვლენათა ლოლიკამ იცის მხოლოდ ერთი რამ: დაუნდობელი აღსასრული და შეუდრეკელი დასაწყისი. შემთხვევითი ამბები იმ თავითვე გამორიცხულია: შემთხვევები—ილიუზიაა და მეტი არაფერი. საშინელ ტკივილებით გულში, შიშის ხარდაცემული, ინჟინერი კლეისტი (დრო ირეოდა სულის შემხუთავ სიძნელესავით) დიდხანს აღიოდა წკრიალა კიბეზე და თავის განწირულებაში ის მაინც ისევ ისე დიდკაცური გამომეტყველების იყო და დამშვიდებულად ჩუმი.

— ფრთხილად, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო: აქ საშინელი უბსკრულია, ეს საჯანდაბე, ესა... კვახივით გასკდები... აგიშენებიათ თქვენც ეს საეშმაკო სოროები რაღა!.. ეს სულ თქვენი ნაშენობაა.

ინჟინერმა ცივად და მოკვეთილად უპასუხა:
— ჩვენ სამუდამოდ ვაშენებდით—მტკიცედ და გონივრულად. თვექნ კი მოდით და ყველაფერი დააქციეთ.

— მერე რას იზამ ახლა, შეცდით და ეს არის, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო: აშენებდით და აშენებდით,—ყველაფერს თქვენი თავისთვის... შეუდრეკელ ციხე-სიმაგრეს... და აი მან ველარ გასძლო და დაიქცა. ყურგახვრეტილი ფარა არ ღირს თქვენი გონება... სად არის ნეტავ ეს თქვენი საუკუნოები, რომელნიც არასოდეს არ დაინგრევიან?

გლები ყალიონს აბოლებდა და ასე სიბნელეში იგი სჩანდა, როგორც უზარმაზარი თუჯიდან ჩამოსხმული მონუმენტი. და იმის გამო, რომ ის იყო ასე დამშვიდებული და უბრალო და ამასთანავე ასე პრიმიტიულობამდე მნიშვნელოვანი თავის გამოთქმებში, ინჟინერ კლეისტმა იგრძნო რომ ის ვერ წავა ამ კაცისაგან და მთელი მისი მომავალი დაკავშირებულია ამ კაცის ხელის ღონიერ მოქნევასთან. ინჟინერი იდგა მის წინ საძრაობის უნარ დაკარგული, ზურგით კოშკის მოაჯირზე მიყრდნობილი, და თავს კისერზე ვერ აჩერებდა—უცახცახებდა და ქუდი ხტოდა მის თავზე.

— აი, სხვათა შორის, შეხედეთ ქარხანას, ამხანაგო ტეხნიკურო ხელმძღვანელო: რა მღვე-გმირია და ლამაზი!.. უნდა აღდგეს ეს საფლავი... დაინთოს ცეცხლი დი აცეკვდეს მუსიკით ეს ბაგირები და მავთულები. უდიდესი სასწაული,— აღმშენებლობაა!..

მკერდის, სამხედრო წესის ნიხედვით, ჩვეულებრივად წინ გამოწვდით, იგი ხელით მოაჯირის რკინას მოეჭიდა და დიდხანს უცქეროდა ამ უზარმაზარ ბელტებივით დადგმულ ქარხნის კორპუსებს. ძვალი გატკაცუნდა თუ კბილები გაახრჭიალა გლებმა, ეს არ იცოდა ინჟინერ კლეისტმა, მან მხოლოდ გულის სიღრმიდან ამოვარდნილი მკვნესარე ხმა გაიგონა:

— სასაფლაოა... ნამდვილი ძიათა სასაფლაო, წყველიმც... შენ!..

რათ დგას ეს საცოდავი ინჟინერი აქ? რათ არის ის ასე, განწირულივით ჩუმად? მასში არის რაღაც საერთო ამ ქარხანებთან... მინე და დამაფიქრებელი. წარსული — ეს მისი ტანჯვაა, ტანჯვა და ამხანაგების სიკვდილი. ამის დავიწყება არ შეიძლება არასოდეს. უნდა აიღო და გადაუშვა იგი აქედან კისრით ამ თვალუწვდენ უფსკრულში... ორი მაგრა გაქიმული ბაგირი მიემართება სახურავზე ელექტრომოტორებთან. ეს — გველის ქეჯნაა, ორად გაპობილი და ფართოდ დაღებული ხახა მოითხოვს ზვარაკს.

გლებმა მხოლოდ თვალი გადაავლო ინჟინერ კლეისტს და არავითარი შურის ძიების სურვილი არ უგრძნია.

— ასე, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო!.. ძალიან კარგი ძეგლების დადგმა კი ვისწავლიათ, აი!.. როცა მოკვდებით, თქვენთვის გამზადებულია სამარე: ხედავთ იმ ხერხს?... ჩაგიშვებთ პატარა რონოდით და შეგიხახავთ ყველაზე მაღალ ბუბრის ძირას...

ინჟინერ კლეისტს თვალთ დაუბნელდა და ათრთოლებული მოაჯირს მოსცილდა. შიგნულადა ეწვოდა, პირუტყვეული კენესა ყელში გაეხიდა და ბოლმად მოაწვა: ყბები ისე მოუჭირა, თითქოს გაქვავდა და ტვინში მწვავე ტკივილი იგრძნო.

— თქვენ... თქვენ, ჩუმალოვ... თუ ღმერთი გწამთ... მალე გააკეთეთ, რაც საჭიროა...

გლები პირდაპირ დადგა ინჟინერის წინ და სისხლი სახეში მოაწვა.

— ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო... კმარა სისულელეები... თავებია საჭირო... ხელები... დავიწყეთ მუშაობა... ნახშირი და ნავთი... სითბო და პური მუშებს... რესპუბლიკის ეკონომიურად მოლონიერება... მთებს გადაღმა უამრავი შეშაა... ცხენის ძალით კი არა, ქარხნის მანქანებით... და ათასი — მილიონი კუბები... რონოდები — ქარხნის ტერიტორიაზე... კვირეულები... ათასი კუნთიანი ხელები და ზურგები...

ინჟინერ კლეისტს მხრებში ჩააფრინდა და სიხარულით აღტაცებულმა შეაჩხვლა და ინჟინერი კლეისტი მის ხელებში ისე ქანაობდა, როგორც ტკინი ქუდი გადაუვარდა და ღამის ფრინველივით წავიდა ძირს ფრიალით, — სიბნელეში.

— შაბაშ, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო!.. ჩვენ თქვენ სამუშაოში შეგაბამთ. ჩვენ ჩვენი ძალა და ღონე უკვე დავამტკიცეთ. თქვენი ტვინი და ხელები — ოქროა ხალასი. ისეთი აღმშენებელი, როგორიც თქვენა ხართ, — რესპუბლიკის უდიდესი სპეცი...

უკნასკნელ მომქანცველ გაბრძოლების დროს სიცოცხლისათვის, ინჟინერ კლეისტმა იგრძნო მთელის არსებით, რომ ამ საშინელმა ხელებმა, რომელთაგანაც სიკვდილი სუნთქავდა, ის ტლანქად და ღონივრად მიჯაჭვა სიცოცხლესთან. თავგზააბნეული, ის ვერ მიმხედარიყო თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ ახლა — იდგა, უცნაურად დაცლილი, ფუყე, შიშველი და მხოლოდ გული იყო მისი დარჩენილი შიშვლად და ეს გული ჰფეთქდა ახლა.

ვლებმა მოაჯირს მუშტი ღონიერად დაარტყა და რკინის ხლართები აგუ-
გუნდა შუალამეში.

აბა, გონება მოიკრიფეთ, ამხანაგო ტექნიკურო ხელმძღვანელო და მუ-
შაობას შეუდექით... ჩვენ განა ასეთ ნდევგმირებს ავაშენებთ, ჯერ სადა ჩაუფი-
ცოტა მოიცადეთ... ახალი ქვეყანა უნდა შეექმნათ, ამხანაგო ტექნიკურო ხელ-
მძღვანელო, ახალი სამყარო...

ინჟინერი კლეისტი ოთხად მოკეცილიყო და ხელებს ჰაერში უმწეოდ
ასაგსავებდა. მერე დასუსტდა და მოეშვა.

ვლებმა რაღაც შეიძახა და რკინის საფეხურები აგრუხუნდა მის ფეხებ
ქვეშ.

VI

თავმჯდომარეები

1

მცირე ნასკვი

აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტის კარებთან სკამზე იჯდა წვერიანი
შიკრიკი ბლუზითა და იმპერიალისტურ ომიანობის ხანის ნაცრისფერი ქუდით.
მგლური თვალებით შეხედა მან ვლებს. ბალნიან ჩვეულ ხელებით ეჭირა მას კა-
რების თითბერის ტარი. ასე იცავდა იგი აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში
შესასვლელ კარებს, ყოველ დღე დილის ათი საათიდან ხუთ საათამდე, აუდგომ-
ლად, მაშინაც კი, როცა აღმასკომის თავმჯდომარე მიდიოდა სადმე და კაბი-
ნეტში არ იყო. სულ ერთი იყო მისთვის, ვინ იქნებოდა იგი, პორტფელიანი,
საქმის კაცი, თუ ჩიტვივით კისერ წავრძელებული მზდალი მთხოვნელი, ყველას
ერთნაირი მგლური თვალებით უცქეროდა იგი მუნჯად, — კუშტი დარაჯი კარე-
ბისა, და ყოველი კაცი მორჩილებით იცავდა თავის წესრიგს, ან და რიგს გარე-
შე შედიოდა აღმასკომის მდივნის საშუალებით თავმჯდომარესთან.

რიგში იდგა ხალხი ფრენჩებში, პორთფელებით, უპორტფელოდ, ქალალ-
დებითა და უქალალდოთ, მორჩილნი და გაბოროტებულნი — იცოდენ: არ შეი-
ძლება გავლა კარებში, სანამ ეს ავი ბიძია დგას აქ თავისი მგლური ბორო-
ტი თვალებით.

რემინგტონები კაკანობდენ სადღაც იქვე კარებს უკან და ისმოდა ვილაცის
ჩახლანძული ხმა:

— სირცხვილია, ამხანაგებო, თავლაფის დასხმა!.. შეგვკამა ამ ბიურო-
კრატიზმმა... გასარეკი ხართ ყველა აქედან, ცოცხით გამოსახვეტი და გარეთ
გამოსაყრელი... დასახვერეტი ხართ ყველა...

ვლები კარებს მიუახლოვდა და მან და შიკრიკმა ხმის ამოუღებლად გადა-
ხედეს ერთი მეორეს — ერთმა ჩაჩქანის ქუდს ქვემოდან, მეორემ გაბურძგნულ
თმებიდან.

— აბა ერთი შენ, კოკინებიანო, ერთი ეგ ხელი აიღე!..

შეშფოთდა რიგში ჩამდგარი ხალხი, აყაყანდა: რითა ის სსუებზე უკეთესი? ისინი ხომ მორჩილად დგანან რიგში, რატომ მასაც არ უნდა რიგში დგომა?..

იქ, კაბინეტში, — სიჩუმეა. კარი მჭიდროდ, საიმედოდ არის დაკეტილი და ზედ პურის ცომით არის მიკრული ქალაქი: „გთხოვთ, მოუხსენებლად ნუ შემოხვალთ,“ ქვემოთ: „აღმასკომის თავმჯდომარე იღებს მთხოვნელებს მხოლოდ მეტად საქმიან! თხოვნებით“. კიდევ უფრო ქვემოთ: „სასწრაფო საქმეზე მიღება სწარმოებს რიგს გარეშე აღმასკომის მდიენის საშუალებით“.

ემმაკის მანქანა, რომ ამუშავდეს ამისათვის დამტვრევაა საჭირო!..

გლები სამდინოში შევიდა. იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი.

აბანოსავით მძიმე ჰაერი იდგა: ისევ ჯაჯგური რიგში ჩამდგარი ხალხისა. მემანქანე ქალები რალაცას ჰბეჭდავენ მანქანაზე და რეგისტრატორები ხმამაღლა ახველებენ. ვიღაც ქალიშვილი ქალაქდებით მოყრილ მაგიდას უზის, ზედ ულუფის პური უდევს და მადიანად ილუკმება. ყველა მიეჩვია ამ ვახარამატს — არაფერს ყურადღებას არ აქცევს. ეს ფაიფურის ქერა ქალი, როგორც ყოველთვის, ახლაც სარკეში იხედება და ხელით ამებს ისწორებს.

იქნებ იმიტომ გაქალარავედა ეს ახალგაზდა მდივანი პეპლო ასე ადრე, მუდამ რომ ამ ლეგა სახეებს უყურებს მოლიმარ სახით? ის თავშეუკავებლად იღიმება და ღიმილში უჩანს სწორად ჩამწკრივებული, შაქარით თეთრი კბილები.

ყველას კარგად იცნობს პეპლო და უსწენს ხალხის ხორხოტს. ყველაფერი იცის მდივანმა პეპლომ და თუთუნს ეწევა ნელა არ ეჩქარება: ყველა საქმეები ერთნაირია და უფხო.

და მხოლოდ ხანდახან ვისიმე ხმამაღალი ყვირილი გაისმოდა იქა-აქ ამ არეულობაში:

— გასარეკი ხართ, თქვე წყეულებო აქედან, ცოცხით გასახვეტი!.. შევიბამთ საწყალი მუშა კაცი უღელში და ერეკებით, რაც ძალი და ღონე გაქვთ, რა გენაღვლებათ!.. მაგარი თავია საჭირო, მაგარი რქები რომ ერთი დარტყმით შეანგრიო ეგ თქვენი ბიუროკრატიული კედელი... ყველა რომ ერთად შეგკრათ, ერთ ყურგახვრეტილ ფარად არ ღირხართ.

და ეს ყვირილი კვდებოდა პასუხის გაუცემლად, მხოლოდ პეპლო ისევ ისევ იღიმებოდა. ალბათ, მიეჩვივნენ ასეთ სკანდალებს: მანქანა ხომ მთელი თავისი ძალით მუშაობდა და მოქალაქეთა ეს ყაყანი და გახელება აუცილებელი საცხები ზეთი იყო ამ მანქანისათვის.

გაოფლიანებული ქუკი თვალცრემლიანი დარბოდა კანცელარიაში და გაბოროტებული ბუზლუნობდა.

გლებმა ხელი იდაყვში წაავლო და მეორე ხელით კები ჩამოუწია და კეფაზე ჩამოათხატა.

— მხიარულად გამოიხედე, ქუკ!.. ნუ იღრინები ყუბაქივით და ხელებს ნუ შლი!..

ქუკმა თვალი მთვრალივით შეაეშო გლებს, მერე იცნო, სიხარული ათამაშდა მის სახეზე, ხელი ჩაიქნია და ჩაჩუმდა.

— ეხ, ჩემო ძვირფასო გლებ, დაუფასებელი ამხანაგო!.. როგორ მტკივა გული, რომ იცოდე, როცა ვხედავ, თუ როგორ გააბრიყვეს მუშაობის... ერთი წუთით არ მივცემ მოსვენებას მე მაგათ, სანამ ცოცხალად დარჩები სული შემრჩენია... მე აქ არაფერი საქმე არა მაქვს, მაგრამ მაინც ვიქექები შიგ, რომ... ვიყავ სამეურნეო საბჭოში—არევდარევა... ვიყავი სასურსათო კომიტეტში—იქაც ისეა... ყველგან ასეა, სადაც არ უნდა წახვიდე... და აქაც, წყეული იყოს აქაურობა,—აქაც ასეა... აი დავდივარ და ვამხილებ ყველას, როგორც ერთი მამაძალი ვინმე...

— ჟუკ! სულელი ხარ შენ, ამხანაგო!.. დაარტყი საქმით და არა ვნით... რის მაქნისია ენა?..

— ნე?.. ნე?.. მე მაგათ დედას უტირებ ყველას, ცოტა დამაცადე... მე მაგათ უჩვენებ თვალის სეირს... ყველას კედელთან დავაყენებ...

— რამე სამუშაოს უნდა მოჰკიდო ხელი, ჟუკ, თორემ შენ სულ ასე იქნები... იცოდე, მხედველობაზე იქონიე: მოგინახავ მე შენ საშენო უნაგირს...

— არა, ძამიავ, შენ არ იცი, ძვირფასო ამხანაგო, მე ისინი კარგად არ მიცნობენ... მე იმათ კიდევ დაუმტკიცებ 18 წლის ამბავს...

მუშტი ქერში მოიღერა და გარეთ გავიდა.

გლებმა რიგს გვერდი აუარა და პირდაპირ მდივანთან მივიდა, ყველამ, ვინც რიგში იდგა, დაიწყო ღრენა და ყაყანი.

მდივანმა პებლომ ღიმილით გადახედა გლებს.

— ჯერ აქ დადექით რიგში და მერე იქ...

— ამხანაგო მდივანო, ჯანდაბას იქით იყოს ეგ თქვენი რიგი... მე საჩქარო საქმე მაქვს... კეთილ ინებეთ და ახლავე მოახსენეთ...

პებლომ გაკვირვებისაგან თვალეები დააქუციტა.

— საჩქარო?.. რა საქმეა ასეთი?.. რის გამო?..

ხალხი ყვიროდა:

— მეც საჩქარო საქმე მაქვს... საჩქარო!.. რა საზიზღრობაა?..

მდივანი უცქეროდა გლებს და უღიმოდა. და ის, უკვე მას კი არ უგდებდა ყურს, არამედ სხვებს. გლები გაიმართა, მკერდი წინ გამოსწია და თვალეები მასაც ისეთივე გაუბნდა, როგორც ჟუკს. მუშტი მოიქნია და განიერი ნაბიჯით კარებისაკენ გაემართა,—რიგი არია, დერეფანში გლები გაბურძგვნილ შიკრიკს წაადგა თავზე და აღმასკონის თავმჯდომარის კაბინეტში პირდაპირ შევიდა. შევიდა და თვალეებში მოხვდა მზის სხივები.

— რაშია საქმე, ამხანაგო? რათ შემოდინხართ, როცა ჯერ მიღება არ არის? მე არა მცალია.

გლებმა მზის სხივებით თვალ აქრილმა ერთი წუთით ვერ შეამჩნია, ვინ ელაპარაკებოდა, მაგრამ იგრძნო, რომ ეს არ იყო უბრალო პაიკი—რომ მას ხმა მკვახე და ძლიერი ჰქონდა. გლები გამოერკვა და დაინახა რომ ირგვლივ ყველაფერი ჩვეულებრივი იყო: საწერი მაგიდა და ის კაციც, რომელსაც შავი ტყავის ქურთუკი ეცვა და ახლა მაგიდას მკერდით რომ მისწოლოდა და ისე სწერდა. სახე მისი შავგვრემანი იყო და ბრინჯაოსფერი. და მეორე კაცი ჩოხაში, ხანჯ-



ლითა და რევოლუციით, დგას მაგიდასთან და ხელებით სკამს დაბჯენია. მან შეხედა ჩოხოსანს და მიხვდა, რომ ის „ეშმაკთა ასეულდნაჲსჲს“ კოფილიყო: ისინი სასწაულს ახდენდენ ომებში და მათ ხმლებზე არასოდეს სხმსლჲ არ შრებოდა.

გლები სამხედრო წესით მიესალმა და თავმჯდომარის პირდაპირ დაჯდა. ორივემ—თავმჯდომარემ და იმანაც—გადახედეს ერთი მეორეს ხმის ამოუღებლად. აღმასკომის თავმჯდომარეს შუბლი ბარივით ჰქონდა თვალებზე ჩამოფარებული. ის უკვე აღარ უცქეროდა ჩოხოსანს და მალე გლების აქ არსებობაც დაავიწყდა. ლაპარაკობდა ის მკაფიოდ და დაბალი ხმით.

— კარგად დაიმახსოვრე, ბორში: თუ შენ ერთი თვის განმავლობაში კარგათ ვერ ჩაატარებ სასურსათო გადასახადის აკრეფის საკითხს, შავი დღე მოგეღლის. მე ტყუილ-უბრმოდ ლაპარაკი მეზარება. ეს შენც კარგად იცი. როგორც მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე, შენ პასუხი უნდა აგო ჩემთან ყველას მაგიერ. გახსოვდეს.

ბორშის უნდოდა რალაც ეთქვა, თვალებს საცოდავად ჰქაჩავდა და მერე ძლივს მოახერხა:

— ამხანაგო ბადინ... მეც თქვენსავით კომუნისტი ვარ... მე პროტესტს ვაცხადებ...

ხმა ჩაუწყდა. აღმასკომის თავმჯდომარემ ისევ ისე მკვახედ უპასუხა:

— აი მე შენ სწორედ, როგორც კომუნისტს, ისე დაგხვრეტ, თუ ამოცანას ვერ შეასრულებ. თქვენ იქ კურკულის რაიონში კულაკურ სტიქიას აქეზებთ...

— ამხანაგო ბადინ... შენ უნდა მომისმინო... საკითხი გადასახადების აკრეფის შესახებ ერთი წლით... შენ ვალდებული ხარ რომ მდგომარეობას ანგარიშიში გაუწიო... სასურსათო გადასახადის აკრეფა ეს მეოთხედ ხდება ამ შემოდგომის აქეთ... ნიწის მუშები სიმშლით გაწყდებიან... და ასეთი ზომებით ჩვენ თვითონვე ვაძლიერებთ თეთრ და მწვანე არმიელთა ბანდებს... ჩვენ სულ სათითაოდ დაგვჭრიან ყელებს... აგვეკეპავენ ისე, როგორც ჩალაღაჯს...

— კარგი. აგჩეხონ მერე ისე, როგორც ჩალაღაჯი, ეს მე არ მეკითხება, — დაკისრებული ამოცანა მაინც ვადაზე უნდა შეასრულო.

— ამხანაგო ბადინ... მე მოვითხოვ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში იქმნას დასმული... მე დაუმტკიცებ აღმასკომის პლენუმს...

ბადინი წელში გაიმართა და მზეზე მისი ტყავის ქურთუკის ნაოჭებმა ბრწყინვა დაიწყეს.

— ბორში!...

ადგა და ნელა მოჰხედა ყაზახს.

— სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, ბორში!...

და გაიღიმა, და ღიმილისაგან, თითქოს ყბის ძვლები გატკაცუნდა.

ბორშიმ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და წელში გასწორდა. თვალებში გამოჩნდა, თითქოს ცრემლი და ნაპერწკალი. ჩახლანძული ხმით დაიწყო:

— ამხანაგო ბადინ!.. კამპანია ჩატარებულ იქნება... მე ყველა ხომებს მივიღებ... მაგრამ ეს ნამდვილ სასაკლავოს შექმნის...



— ნუ სტირი. საოლქო მილიციის უფროსი სალტანოვი დაგეხმარება. დაჯდა. მეტი სიტყვა არ უთქვამს—დაავიწყდა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ბორში. ის კი, ბორში „ეშმაკთა ასეულის“ მხედარი, ოთხად მოკეცილი, დამორჩილებული იდგა მის წინ და თვალეში უცქეროდა ბადინს, უნდოდა კიდევ უკანასკნელად გაეწია წინააღმდეგობა, მაგრამ მერე შებრუნდა და ტორტმანით ოთახიდან გავიდა. ბადინი ისევ ისე დააჩერდა თავის ბანჯგვლიან ხელებს.

— რაშია საქმე, ამხანაგო? მოკლედ მოსკერი.

— მუშისათვის შენთან მოსვლა ისე ძნელია, ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე, როგორც პერეკოპის აღება.

— რა გნებაეთ? ილაპარაკეთ კონკრეტულად.

ერთი ნეორეს თვალეში გაუსწორეს, იგრძნეს შეტაკება. ქვასავით ცივი და მძიმე მოუხეშავობა აღმასკომის თავმჯდომარისა ლოდვიით მძიმედ დააწვა გლებს: გლებმა ჯიუტად დაარღვია მყუდროება:

— იმ თქვენ ბანჯგვლიან ბიძიას, კარებში რომ გიყენია, მეორეთ ფეხით გადავისერი ფანჯარაში და ის იქნება... ასეთი ღენერლობა ჩვენ არ შეგვეფერის.

ცივად, შეუდრეკელ ძალა-უფლებითა და მუქარით თვალეში ბადინმა სთქვა, თითქოს არა გლების გასაგონად, არამედ თავისთვის:

— ამხანაგო, ხულიგნობისათვის მე თქვენ დაგაპატიმრებთ. ვინა ხართ თქვენ?

და წამოდგა. ხელებით მაგიდას დაეყრდნო და მაგიდა აკვნესდა მის სიმძიმის ქვეშ. და როგორც კი ეს სთქვა აღმასკომის თავმჯდომარემ, გლებს სახე დაელმიჯა, სკამი ხმაურით იქით გასწია და მთელი ტანით ბადინისკენ გაიძაბა. ორივე ხელები მხრებში მოუჭირა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიღრიალა:

— ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე, თქვენ გელაპარაკებათ ქარხნის მუშა. გთხოვთ დაბრძანდეთ! თქვენ არა გაქვთ ნება, რომ მუშებს კაბინეტიდან ერეკებოდეთ!

ბადინს ლოყა აუთრთოლდა და მსხვილ ხორციან მოლიმარ ბაკეებში გამოჩნდა მაგარი კბილები. დაჯდა. ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო. ცეცხლი მოუკიდა და გლებს ახლო მიუწია.

— მე ყურს გიგდებთ. სთქვით მოკლედ, გასაგებად, რა გინდათ. თქვენი გვარი?

გლებიც დაჯდა. ბადინის პაპიროსს არც დახედა, თავისი ყალიონი ამოიღო.

— უჯრედისა და ქარხნის მუშათა კრების მიერ გადაწყვეტილია, მიწოდებულ იქნას შეშა ტყეებიდან უღელტეხილს გადაღმა მექანიურ ძალების გამოყენებით, ბრემსბერგით. ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი მოგვეცემს ნახაზებსა და მუშაობის გეგმას. ორი-სამი კვირეული უნდა იქნას მოწყობილი ყველა პროფკავშირებში და მაშინ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა დავყაროთ რონოდებთან შეშის გორები. რამდენი შეშის ჩამოშვება შეგვიძლია—თქვენ თვითონ იანგარიშეთ. შეშის ბეგარა—სისულელეა: გლებები ყაჩაღად გავარდებიან. და ბარკეებით სანაპიროების აღებას კი ჩვენ ვეღარ შევძლებთ: ბარკეები დამპალია

და განადგურებული. აი. ჩემი გვარი—ჩუმალოვი, ქარხნის ხეივანი, პოლკის სამხედრო კომისარი.

ბადინმა ხელი გაუწოდა, ისევ აუთრთოლდა ცალკე ცალკე ღიმილში კბილებმა გაიღვია.

— აი ეს კარგი სექმეა, ეს უნდა გაკეთდეს. ერთი მითხარით, დაშა ჩუმალოვა თქვენი ცოლი ხომ არ არის?

გლებმა ბადინს გადახედა.

— მე—ამისთვის არ მოვსულვარ, ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე. მე სულ სხვა რამე მაქვს მხედველობაში. რას ფიქრობთ თქვენ ქარხნის ამუშავებაზე, საკითხი რომ დღის წესრიგში იქნას დასმული?

ბადინს თვალები ვერ დაუხამხამებია, ისე უცქეროდა გლებს და ამ თვალებში ელავდა ნაპერწკლები. სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

... გლებ ჩუმალოვი. უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმარი. დაშა, რომელიც არცერთ ქალს არა ჰგავს. დაშა, რომლისკენაც გაიწოდა მან თავისი ხელი ერთხელ. არ ყოფილა დედაკაცი, რომელიც არ მოტეხილიყო მის ვნებით ანთებულ თვალების შენათებით და ფოლადის მკლავებით,—ეს კი ნამდვილი ფოლადის ზამბარაკი იყო, ასე მტკივნეულად რომ დაამჩნია სულში თავისი ხელი. და იმის გამო, რომ ეს ქალი, ქალაქის პროლეტარულ ქალების ბელადი, რომელიც ყოველდღე ჯიუტად ადგენდა მებრძოლ ქალთა ახალ-ახალ რაზმებს და ყოველივე ამით თანდათან მაგრად იმტკიცებდა თავის საკუთარ ადგილს მამაკაცთა რიგებში,—აღმასკომის თავმჯდომარე ბადინს არ შეეძლო მასთან ისე მისვლა, როგორც სხვა დედაკაცებთან. და ბადინი ყოველდღე იმაზე ფიქრობდა, თუ რომელ მხრიდან მისდგომოდა იგი დაშას, რომ ერთი დაკვრით მოეტეხა მისი ჯიუტი ქალური ხასიათი.

და აი ახლა აქ, მის გვერდით, პირისპირ დგას ადამიანი, რომელიც ასე მოულოდნელად ჩამოდგა მისსა და ამ ქალს შორის.

— ქარხნის შესახებ ცოტა ხანს კიდევ უნდა გავჩუმდეთ, ამხანაგო ჩუმალოვი. ქარხნის ამუშავება ამ დროებით ჩვენს ძალას აღემატება. საკითხს კი ბრემსბერგის მოწყობის შესახებ მე თვითონ დავსვამ ეკონომიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

გლებს გაოცებისაგან ხელები მუხლებზე დაუცვივდა. მერე ყალიონი ისევ პირში ჩაიღო და აღმასკომის თავმჯდომარეს თვალებში პირდაპირ შეხედა. რა იყო ამ თვალთა სიღრმეში, გლებმა ვერ შესძლო ამოკითხვა: შავ ამღვრეულ ტალღასავით გადაუარა მათ თავზე რალაცამ.

— ეს როგორ?... როგორ თუ ჩვენს ძალას აღემატება ეს ხომ ჩვენი სირცხვილია: ქარხანას თავისი ეზოებიც ვერ გაუნათებია, მუშათა ბინებზე რომ არ ვილაპარაკოთ. ყველგან—რღვევაა: არც კარები, არც ფანჯრები, და თუ არის კიდევ სადმე კარი,—გასაღების მაგიერ, თოკით არის დაბმული. როგორ გინდათ თქვენ ასეთ პირობებში ქარხანა დაიცვათ ძარცვა-გლეჯისგან? ვინ უწყობს ხელს ყოველივე ამას: თქვენ, თუ მუშები? ქარხნისთვის გაცემულია და იხარჯება კიდევ აუარებელი თხიერი სათბობი მასალა. სად არის მერე იგი. მუშებს უნდათ

იცოდენ, სად მიდის ყოველივე ეს, ვინ ნთქავს მას? ხედავთ, რაშია საქმე? ეს იმ დროს, — როდესაც ჩვენ აუარებელი ნედლი მასალა გვაქვს... საალაფოები კი ცარიელია... მოაწყვეთ მოსამზადებელი საწარმოები... თქვენ გავსწავლით სინამდვილეში და უსაქმურობაზე, თვითონ კი ხელს უწყობთ ყოველივე ამას. ეგ თქვენი საბჭოთა უმაღლესი მეურნეობის განყოფილება ბაწარზეა ჩამოსაკიდებული — მათელი თავისი პასუხისმგებელი მუშაკებითა და სპეცებით — იმ უთავბოლოობისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ამ საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტერთა გულის გასახარად... აი როგორ უნდა იქნას საკითხი დასმული ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარეზე.

— ამხანაგო ჩუმალოვ, ჩვენ საკითხების დაყენება თქვენზე ნაკლებ არ ვიცით. საჭიროა კონკრეტულ მდგომარეობიდან გამოსვლა. სახელმწიფო საგეგმო კომისიის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომელთაც ზოგად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

— მე კარგად მესმის ეს ზოგად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე. მეც ხომ ამ ზოგად სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე ვლაპარაკობ. თუ თქვენ ეკონომიურ საბჭოში ფაფას ადუღებთ, მაშინ რატომ არ დააყენეთ თქვენ იქ ეს საკითხი ამგვარ გაშუქებით?

— დადგება დრო და მაშინ დავაყენებთ ამ საკითხს მაგვარ გაშუქებით, ამხანაგო ჩუმალოვ. ყველაფერი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პერსპექტივებისაგან არის დამოკიდებული. ეს დროც ახლოს არის.

— ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე, გამოელაპარაკეთ ტელეფონით საბჭოთა მეურნეობის განყოფილებას...

— რა საჭიროა ეს, როცა აქედან არაფერი არ გამოვა?

— მე გთხოვთ დაურეკოთ საბჭოთა მეურნეობის განყოფილებას, ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე, ჩვენ მას სერიოზულად მოველაპარაკოთ. მე მინდა ერთი თქვენის თანადასწრებით ამოვკრა იმათ ცხვირში.

— კარგი, მაშინ ველაპარაკოთ იმათ ბრემსბერგის შესახებ.

ბადინმა ტელეფონის ტარი დაატრიალა და მის ცივ დამცინავ თვალებში ისევ ისე გამოჰკრთა ის შავი ამღვრეული რაღაც.

გლები არ უცქეროდა მას და ყალიონს აბოლებდა.

...ორი ძალა — ის, აღმასკომის თავმჯდომარე და მუშა ჩუმალოვი — მოხვდა ერთი მეორეს და ნაპერწკალმა გაჰკვესა. რა ანთია ამ კაცის თვალთა სიღრმეში? ნადირი? გმირი? თუ იჭვიანი ხვადი?

— ყოველი მეურნე, ამხანაგო ჩუმალოვ, იმით არის ძვირფასი და დასაფასებელი, თუ როგორ მტკიცედ და საიმედოდ აკეთებს იმას, რაც იმ წუთში ყველაზე უფრო საჭიროა. აქედან წესი: მთლიანად კი არა, — ნაწილობრივ; არა-კი კი არა, — პურის ნატეხი. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ ბანდიტები გვემუქრებიან? ისინი მგლების ხროვასავით შემოგვეხვივნენ ირგვლივ. მათთან ბრძოლა მოითხოვს იმ ძალას, რომელიც ახლა ასე არის საჭირო ჩვენი მეურნეობის აღსადგენად. საჭიროა მათთან ბრძოლის ახალი მეთოდები და დისპოზიციები. თქვენი პროექტი ქარხნის ამუშავების შესახებ ფუჭი ოცნებაა: თქვენ ანგარიშს

ვერ უწევთ სამეურნეო კონიუნქტურას. და თუ თქვენ შესძლებთ ქალაქს მიაწოდოთ შეშა, თქვან ნამდვილ გმირულ საქმეს შეასრულებთ.

გლებმა პირში ყალიონი გამოიღო და ბადინს თვალზე თვალში გაუყარა. რატომ არ ესმის ამ გარუჯულ კაცს ასეთი უბრალო რამეები?

— თქვენ, ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე, რწყილები დაგხვევიათ და ახლა მისდგომიხართ და პირველ მათგანს ჩაქუჩით დასდევთ მოსაკლავად. საჭიროა რომ საქმე პირდაპირ იქმნას მთელი თავის მოცულობით დაქვენებული: წითელი არმია ათას ვერსებს ებრძოდა და იმორჩილებდა, სცემდა მთელ ანტანტებს, — თქვენი ნაწილ-ნაწილად დაყოფილი და დაქუცმაცებული საქმეები კი მხოლოდ მუქთახორებს ამრავლებს და მეტი არაფერი. რა გააკეთეთ თქვენ კონკრეტულად წარმოების აღდგენისათვის? არაფერი. ეს საკითხი პირდაპირ უნდა იქმნას მთელი თავის სიგრძე-სიგანით დასმული... ეხლავე... ერთბაშად... სულმოუთქმელად...

გლებმა ხელი ჰაერში ღონივრად მოიქნია და გაჩუმდა.

— ეს მე თქვენზე ნაკლებ არ ვიცი, ამხანაგო ჩუმალოვ. ჩვენ ამასვე ვლაპარაკობთ ყოველ პარტკონფერენციაზე, საბჭოთა და პროფკავშირთა ყრილობებზე: წარმოებითი ძალები, რესპუბლიკის ეკონომიურ დონის ამაღლება. ელექტროფიკაცია, მელიორაცია და სხვა და სხვა. სადა გაქვთ მერე თქვენ ამის რეალური შესაძლებლობანი?

— არის.

— მიგვათითეთ.

— არის. თქვენ იცით, რა უნდა ახლა მუშას? რა ჰსურს გლებს — იცით თქვენ ეს? ჩვენ მხოლოდ ფეხით ვთელავდით გლების ყანებს, ახლა ხუნათესვანა საჭირო. სანამ ქარხანა არ ამუშავდება, მანამ გლები ნუდამ ბანდიტი იქნება.

აღმასკომის თავმჯდომარემ გაიღიმა და მის თვალებში უკვე ჩაჰქრა ის ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი, რომელიც აქამდე კიდევ კიანთობდა.

— არც ეს არის ახალი, ამხანაგო ჩუმალოვ. ამის შესახებ ამ დღეებში ილაპარაკებენ პარტიის მე-X-ე ყრილობაზე.

— აჰა, არ არის ახალი, ხომ? მაგრამ ხომ აგწვათ მაინც ფეხები? ხომ?

ეს მუშა იმდენად ჯიუტი და თავის ამოჩენებული ვინმეა, რამდენადაც ბეცი და გულუბჟერილო. ეს ერთი იმ დემაგოგთაგანია, რომელნიც ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის მუშაობის დროს მის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლიან. ეს, — დიადი მომავლის იმედებით გატაცებული მეოცნებენი არიან და ამ მომავლის სახელით ამ ყოვლად უბედურ სინამდვილისაგან რაღაც უცნაურ რომანტიკას ჰქმნიან...

მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე შემოვიდა პორტფელით, ყვითელ ტყავის ქურთუკში, საჭურისის სახით, დედაკაცურ ცხვირზე ოქროს პენსნე ჰქონდა გაკეთებული. სალამი არავისთვის არ მიუცია, ისე დაჯდა მაგიდასთან გლების პირდაპირ და იჯდა ასე ხესავით გაშეშებული. არც ხელებს, არც თავს არ ამოძრავებდა, თვალებიც, თითქოს შუშის ჰქონდა — ისე. როგორც პანოპტიკუმის



სანთლის ტიკინებს: ყველაფერი ცოცხალ ადამიანის ჰქონდა და მაინც ჰიტების საფრთხობელას ჰგავდა რატომღაც.

— ყური მიგდე, შრამმ! რის გაკეთება შეუძლია სამეურნეო საქმეებისათვის, თუ ამ დღეებში დასმული იქნება საკითხი ცემენტის ქარხის ნაწილობრივ ამუშავების შესახებ?

შრამმს, თითქოს არც გაუგონია აღმასკომის თავჯდომარის სიტყვები. მის სახეზე ერთი კუნთიც არ შემკრთალა, და როცა ლაპარაკი დაიწყო, მისი ტუჩები არ მოძრაობდნენ, ბადინის შეკითხვას მან კი არ უპასუხა, არამედ ოფიციალურ პატაკის მკაფიოებით წარმოსთქვა ნელა, სულის ამოუთქმელად, ისე როგორც გარამოფონმა:

— საბჭოთა მეურნეობამ ამ ხნის განმავლობაში მეტად დიდი საქმეა შეასრულა: მან ანგარიშში მოიყვანა და შეინახა სახელმწიფო ქონება — დაწყებული ურთულეს მანქანებიდან ძველი, ყოველად უვარგისი ნაღით გათავებული ჩვენ არცერთი, ლურსმნის დახარჯვის ნებას არ ვაძლევთ არავის ამ საგანძურიდან და არც მანქანებს ვცვეთთ, მიუხედავად აუარებელი პროექტებისა და წინადადებებისა, რომელიც გამოდის სხვადასხვა წამოწყებათა და კერძო პირთაგან.

— ყველაფერი ეს — კარგია. მაგრამ ახლა საბჭოთა მეურნეობას დასჭირდება რომ ამ კრიტიკობას ბოლო მოუღოს და ქარხანა ამუშავოს. შენს აპპარატს დამკვრელი ხასიათით დასჭირდება ამუშავება.

საბჭოთა მეურნეობის თავჯდომარის სახე ისევ ისე უფერული იყო და უმოძრაო.

— საბჭოთა მეურნეობა ყოველგვარ დავალებებსა და გეგმებს მხოლოდ სამრეწველო ბიუროსაგან იღებს.

აღმასკომის თავჯდომარემ თვალი სასტიკად გადაავლო მას და მაგიდას მძიმედ დააწვა.

— შენ სამრეწველო ბიუროს ხურგს უკან იმალები, რომ ამით პასუხისმგებლობისაგან იხსნა სამეურნეო საბჭო. იცი კი შენ რა კეთდება მაგ შენს ორივე სართულზე? შენგან დაწერილ მოხსენებებში სჩანს რომ შენ შენი მუშაობა ანგარიშის წარმოების ხაზით გაგიტარებია. შენ უთვალავი განყოფილებები გაქვს და ორასი კაცისაგან შემდგარი შტატი, შემოქმედებითი მუშაობა კი — არავითარი. როგორი განხრახვები აქვს ახლო მომავლისათვის სამეურნეო საბჭოს, შესახებ ქარხნებისა, სახელოსნოებისა და წარმოებებისა.

— საბჭოთა მეურნეობა იმ თვალსაზრისზე დგას, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა სახალხო ქონების დაცვა და არავითარ საეჭვო წარმოების დაწყებას არ მოჰკიდოს ხელი.

— როგორ მუშაობს შენი, ან სატყეო განყოფილება?

— ეს მე არ შემიხება, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩემთან. იქ თავისი საკუთარი აპარატი არსებობს, რომელიც მხოლოდ ჩემს კონტროლ ქვეშ იმყოფება.

— მაშინ, რა იცი შენ სატყეო-განყოფილების მუშაობის შესახებ?

— ტყის საჭრელებში საგეგმო მუშაობას აწარმოებს.

— სათბობ მასალის მიწოდების საკითხი ადგილებზე?

— სამეურნეო საბჭო აქ არაფერ შუაშია: ეს სათბობ განყოფილების საქმეა.

— მაშ აი, რა გითხრა, შრამბ. ქალაქი, მისი მიდამოები და ტრანსპორტი ზამთრამდე სათბობ მასალით უნდა გააძლოთ. ამუშავებულ უნდა იქმნას ქარხნის ელსადგური დაუყოვნებლივ. უღელტეხილზე ბრემსბერგი უნდა მოეწყოს. სამეურნეო საბჭომ უნდა შეასრულოს ეს ამოცანა სასწრაფოდ, ქარხნის მექანიურ ძალების გამოყენებით.

— ეს ჩემი საქმე არ არის,—ეს სამრეწველო ბიუროს საქმეა. თუ სამრეწველო ბიურო გვიბრძანებს—შევასრულებთ.

— ეს ჩვენი საქმეა და არა სამრეწველო ბიუროსი და ჩვენ მას სამრეწველო ბიუროს სანქციის გარეშე შევასრულებთ.

შრამბის სახე მხოლოდ ახლა შეკრთა ოდნავ, მაგრამ თვალები ისევ ისე გაშტერებული ჰქონდა და შუშასავით მკვდარი.

— რამდენს შეადგენს სათბობი მასალის ულუფა, რომელიც ქარხანას ეძლევა.

— ულუფები არ მოდის სწორად. ანგარიშის მიხედვით გადენაში 30% იკარგება. საქარხნო მარაგიდან, რომელიც ნავთის რეზერვუარებში არის მოთავსებული, სამრეწველო ბიუროს ნებართვით, ნაწილს ორთქლის წისკვილებს უთმობთ, ნორმაზე მეტს. რაც შეეხება ქარხნის ელექტროფიკაციასა და ბრემსბერგის მოწყობას, ეს არ შედის ამ წლის გეგმაში, რომელიც სამრეწველო ბიუროს მიერ არის დამტკიცებული. ეს საკითხი, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო აღმშენებლობასა და სამრეწველო განყოფილებას უნდა გადაეცეს დასამუშაველად და შესაფერის ანგარიშების შესადგენად. ამასთანავე, პირდაპირ გეტყვით, რომ, მე ჩემდათავად ყოველმხრივ შევეცდები, რომ ეს პროექტი არ გავიდეს, რადგან ყოველივე ეს ჩვენ სახელმწიფოს ავლადიდების გაფლანგვამდე მიგვიყვანს.

აღმასკომის თავმჯდომარეს თვალებში ცეცხლი აენთო.

— შენ ვერ წახვალ წინააღმდეგ: ჩვენ შევძლებთ შენს გაჩუმებას—იცოდებ. ეკონომიურ საბჭოს მომავალ სხდომაზე —შენი მოხსენება იქნება. ახლა საკითხი: იცი თუ არა შენ, რომ შენზე დასაცველად მონდობილი სახალხო ავლადიდება თვალნათლივ იფლანგება?

შრამბს სახეში სისხლი მოაწვა და შუშის თვალებზე ბინდი გადაეკრა.

— ეს მე არ ვიცი, ანგარიშის თანახმად ყველაფერი დაცული არის.

ბადინმა სწორედ ისე გაიღიმა, როგორც ბორშჩის გაუღიმა ამ ნახევარი საათის წინ.

— დიახ, შენ მართალი ხარ: ეს მიტომ, რომ საბჭოთა მეურნეობა სახალხო ქონების ფორმალურ დაცვის თვალსაზრისზე დგას.

შრამბი შეშინებული უცქეროდა ბადინს და ვერაფრით ვერ გაეგო თუ რა სიტყვა აღმასკომის თავმჯდომარემ. გლებმა ფერფლი ყალიონიდან საფერფლეში ჩაბერტყა. პირველი ნასკვი, მცირე კვანძი უკვე გამოკრულია. შემდეგი მზად არის კიდევ გამოსაკვრელად. ადგა და ხელი ბადინს გაუწოდა. მისი სახე ბადინის მოღიმარ თვალებს შეხვდა.

— ამხანაგო აღმასკომის თავმჯდომარე, იცოდეთ, რომ ჩვენ ნაწილაგებზე ფებს დავიდგამთ, კისერს მოვიტეხთ და ჩვენ საქმეს მაინც გავაკეთებთ.

— იმოქმედეთ, ამხანაგო ჩუმალავ. ქარხნის ამუშაების ~~საჭიროებს უკვე ჩვენ~~ თავის დროზე გავარჩევთ. გ. ი. გ. ლ. ი. მ. მ. მ. მ.

გლები სამხედრო წესის მიხედვით შრამის პირდაპირ გაჩერდა.

— ჯანდაბას იქით ყოფილა ეგ თქვენი სამრეწველო ბიურო. ჩვენ მშვენივრად ვიცით ბუნბულის გამობერტყვა. მთელ სამეურნეო საბჭოს, თქვენიანად, ჩვენ ფუნისადგილების საწმენდად გავგზავნივთ. ბიუროკრატიზმი და ლეყებო ქაობში ჩნდება და ქაობების ამოშრობას კი ჩვენ შევძლებთ.

სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარემ გაოცებით შეხედა გლებს. სახეზე მიწის ფერი გადაჰკრა და ასე ის ხელახლა გააბდა ისევ ისე ცივი და უკარებელი.

— გთხოვთ, ამხანაგო, ნუ იმუქრებით. ჩვენ არავითარ პროექტებს არ ვიღებთ, რომელიც კერძო პირთაგან გამომდინარეობს. აგეთივე პროექტებს, რომელიც ჩვენთან ბლომად შემოდის, ჩვენ განუხილავად ვინახავთ ისტორიისათვის. ჩვენ ყოველგვარ საექვო წამოწყებათა და გეგმათა გატარების წინააღმდეგი ვართ. საჭირო არის, რომ ჩვენ ამხანაგებს დაეკარგოსთ ხალისი ყოველგვარ ახალ ავანტიურების მოწყობისა და ეს იქნება ყველაზე საიმედო გარანტია ყოველგვარ დეზორგანიზაციის შემომტან გატაცებათა საწინააღმდეგოდ.

გლებს გაეცინა. ყალიონი პირში ჩაიღო, ბადინს გადახედა და ისევ შეხედა მის მოლიმარ თვალებს.

— ჩვენ ფებსაცმელებს მტვერი ასდის, ამხანაგო სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე, და ლურსმებით არის ნაჭედი. ჩვენმა ხელებმა ვინტოვკისა და ჩაქუჩის ხმარების მეტი არაფერი იცის. თქვენ ამას უნდა გრძნობდეთ, როგორც კომუნისტი. თქვენ კომუნისტი ხართ და მუშური პოლიტიკა კი არ გაგაჩნიათ. თქვენ არ გიყნოსიათ არც თოფის წამლისა და არც ოფლის სუნი. ფებებზე მკილია მე თქვენი მანქანა... თქვენ იქ ვირთხების მეტი არაფერი გყავთ. კმარა, რაც მათ კბილები ილესეს საწყალ მუშის ლუკმა პურზე. თქვენ ყველაფერი წესრიგში გაქვთ მოყვანილი, საათობით, დანგით დანგამდე, ნახაზებით, გეგმარებით, ჩვენ კი ძალღის თავი შევქამეთ საქმეში, თუ როგორ უნდა დავამტვრიოთ კბილები ასეთ ყუბაქებს.

შრამის ისევ აემღვრა სახე და წელში მოიხარა:

— ამხანაგო ბადინ, მე მოვითხოვ...

მაგრამ გლებს ყური არ დაუგდია, — ქარებისაკენ გაემართა.

ჩიბისთან!

არავინ არ არის ახლა ისე საჭირო, როგორც ამხანაგი ჩიბისი.

თვალეზი, რომელიც ღამეში იხედება

ფანჯარა შეღებულ პატარა კაბინეტში (სინათლე არ ეტეოდა ოთახში) ჩიბისი და გლები დასხდნენ მძიმე ბიუროსთან. ჩიბისი, თითქოს ილიმოდა კიდეც და არც ილიმოდა — სახეზე ბინდი ჰქონდა გადაკრული. თითქოს აი ეს-ეს არის გახსნის შუბლს და სიცილს დაიწყებს.

— შეგიძლია, ამხანაგო ჩუმად ილაპარაკო ერთბაშად, თუ ეს საჩქარო საქმეა, შეგიძლია ცოტაც მოიცადო. მე სწორედ თავისუფალი დრო მაქვს ახლა. შეგიძლია მითხრა, რაც გინდა. უტევ არა, რაც შეგიძლია, ჩაეხედის?

— ჯერ კიდევ ვფიქრობთ, საქმის დაწყება ჯერ უნდა მოხდეს. ჩიბისი ყურს არ უგდებდა, იჯდა თავისთვის და წარბებს ხუშავდა.

— აი მე ზღვას უცქერი. აქედან ის საპნის ბუშტებივით მოსჩანს: კუზივით არის და რალაცნაირ ფერებს ათამაშებს. ხედავ? ეს არც სინამდვილეა და არც სიზმარი. გინდა იბანავო, ან-და ისე ნაპირზე ისეირნო. ეს, თითქოს ისე უბრალო რამეა: გადახტე სულ სხვა განზომილებაში და უწინ-მაჩინივით... ქვეები ისროლო. ტყეშიც კარგია. ზღვა... ხედავ, როგორ დასთამაშებს მას ქავლი და ჰყვავის? მე აქ ვარ, ის კი იქ. მე სულ ასე მეშარტება. გესმის შენ: სულ ასე მეშარტება, მუდამ?... ამას ცოტა ფსიქოლოგიის სუნი ასდის. რას ჰფიქრობ შენ ფსიქოლოგიის შესახებ?

— რა ვიცი მე!.. ყირაზე უნდა გადაეშვა... რაშია საქმე?...

ლიმილი კი არა, მტვერი გადაეფინა სახეზე ჩიბისს. აიხედა ზემოთ და მტვერი ჩამოიბერტყა მის სახეზე. და თითქოს სულ ახლო, თვალთ თვალში გაყრილი, უცქეროდა ის გლებს სულის სიღრმიდან ახალგაზღვრი სინათლიანი თვალებით. მოეჩვენა ეს გლებს, თუ თვითონ ჩიბისს დაავიწყდა თავისი თავი, — თვალეზე ცრემლი მოადგა ისე, როგორც ბავშს, და ამ ბავშურ თვალეში მოსჩანდა ძნელად დასანახავი შავი წერტილი. ეს წერტილი ციმციმებდა, თამაშობდა, იკარგებოდა და ისევ ჩნდებოდა. და გლებს ვერ გაეგო თუ რატომ ჰკაწრავდა მის სულს ასე მტკივნეულად ეს წერტილი. მან იგრძნო, რომ სწორედ ამ წერტილში ტრიალებდა ის განსაკუთრებული, საკუთრად ჩიბისის ჭინკა. იქნებ ამიტომ მალავს იგი მუდამ ამ თვალეებს ქეთუთოებში, რომ არც გლებმა და არც სხვა ვინმემ არ დაინახოს ეს ჭინკა?

გლებმა წამწამები შეაკრთო და ელოდა რას ეტყოდა ჩიბისი.

თვალეში ბავშვის გულუბრყვილო ცრემლი მოადგა და ამ ცრემლებს იქით აწრიალებული ენმა გამოჰკრთოდა. ასეთ თვალეებს არ სძინავთ ღამეებში, ისინი ქვას ხეთქენ და, უცნაურ ცეცხლით ანთებულნი, ხედავენ რა ხდება კედლის იქით. ჩიბისს თავისი საკუთარი სიტყვები აქვს, რომლებსაც ის ვერასოდეს ვერ იტყვის: ისინი ღამის ღანდებივით ირევიან მისი ტვინის კუნჭულებში. ის ლაპარაკობს რალაც უცხო, გაუგებარ სიტყვებს და ეს სიტყვები დნებიან, ლხვებიან მის ბავშურ ღიმილში.

— ამხანაგო ჩიბის, მე არ მესმის შენი სიტყვები, მაგრამ ამ მამაძალღოშვილ სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარეს უნდა, რომ მას მაინცადამაინც კისერი მოუგრიხოთ.

— აი. სატყუო განყოფილება. საგარეო ვაჭრობაც. და კიდევ, და კიდევ...

— განა არ შეიძლება მთელი აღმასკომი რომ ტყვიის ქვეშ დაეაყენოთ?

— აი. სამეურნეო საბჭო ისეთი ბუნაგია, რომლის იღებაც შიშველი ხელებით ძაან გაჭირდება. შენ სულელივით ჩავარდები ნავ საქმეში მთელი შენი ქარხნებითა და ბრემსბერგებით. აქ აუცილებლად მაგრა უნდა იყო და ნალდი საქმე უნდა გეჭიროს ხელში.

— რას ფიქრობ შენ, ამხანაგო ჩიბის, სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარის შესახებ? მე ახლა მას ვცემდი აღმასკომის თავმჯდომარის თანადასწრებით,

მაგრამ მე ვაცილებდი და მის მაგიერ მუდამ სამრეწველო ბიუროს ხედებოდა ჩემი ხელი.

ჩიბისი ისევ დიდხანს უცქეროდა ხლებს, მთებსა და ვეუტელებს, ახლა რომ ცაში ირეოდენ და მის სახეზე ისევ იბლანდებოდა და ვეუტელების ქვეშის ღიმილი.

— გინახავს შენ, ჩუმალოვ, დასახერხებელი ხალხი?

— კი, — ომში. პირველად მაძაგდაგებდა: ხანდახან გამახსენდება, როგორ უხტოდათ იმათ თვალები და სულში რაღაც აკნაუდება, ეგ ღდინ ძალი...
— აი, სწორედ: ხტიან და ტანი — მკვდარი და საშინელი ქუჩუიანი. ასეთები სიცოცხლეშივე ვუდებიან ხმის ამოუღებლად. ვინ გინდა შენ რომ თვალმადევნად მიუჩინოთ სამეურნეო საბჭოსა და სატყეო განყოფილებას? მხედველობაში მიიღე, რომ ყველაზე კარგი და საქმის ტკვიანურად შემსრულებელი, მუდამ სულელები არიან. მათ ეხერხებათ დანახვა და ხელის ჩაღება...

ხალათი შემოეჭირა გლებს მკერდზე და სუნთქვა გაუძნელდა. ის წამოდგა და ოდნავ ჩაიცინა. შერე ისევ დაჯდა და მუშტი მაგიდაზე დასდო, ჩიბისის წინ.

— დაუფასებელი ადამიანი ხარ შენ, ჩიბის...

ჩიბისი ისევ უცქეროდა მას წამწამთ რიდედან და ისევ გულჩახვეული და უცხო გახდა გლებისთვის.

— შრამში — მაგარი კომუნისტია და თავის აპარატს ის ბისაგან გათლილ ტიკინივით შეაკვდება. ეს ისეთი კომუნისტია, რომელიც ჯერ კარგად გამობერტყეს და მისი ტყავისაგან ისეთი საფრთხობელა გააკეთეს, რომლის ბელურებსაც კი არ ეშინიათ. ეს საფრთხობელა ჯიუტია და შეუცდომელი, საფრთხობელა იღვალა და მის ძონძებში აუარებელი სისაძაგლეა მოთავსებული. სულელები უმჯობესია, იმიტომ რომ მათ ეხერხებათ წყლის ამღვრევა... შენ იცი რა არის აუცილებლობა: ჩუმალოვ? იგრძნო — სულ სხვაა და იცოდე — სულ სხვა. ნუ მისცემ ნებას, რომ ის ფეტიშად გადაგექცეს, თორემ ქვეყანაზე ნარტო დარჩები და მაშინ ის მთელი თავისი სიმძიმით დაგენგრევა თავზე. დედაშიწა იმითი არის მოუხერხებელი საცხოვრებლად, რომ იქ ლამეები დაფორთხავენ მუდამ. მოახერხე რომ თვით შენი აზრები გადიქცეს აუცილებლობად და მაშინ ლამეები ვერ შეგაშინებენ შენ თავისი ლანდებითა და მოჩვენებებით.

გლები ოდნავი მოკრძალებით უცქეროდა ჩიბისს და მას მოეჩვენა, რომ ჩიბისის თავი იზრდება, თავის ქალა იშლება, სკდება და ტკაცუნობს მოწოლილ ტვინისაგან და ხელები არ ეტევა მაგიდაზე, გველივით იკლავებიან.

— ამხანაგო ჩიბის, რა გაქვს შენ ჟუკის საწინააღმდეგო? როგორ ფიქრობ შენ, იქნებ, ის გლახა სულელია?

— აი, ჩვენ უკვე მოვრიგდით. გამომიგზავნე მე ის ხვალ. ჩვენ იმას სამეურნეო საბჭოში და სატყეო განყოფილებაში გავგზავნი. ახლა კმარა, წადი... არ დაგავიწყდეს, მუდმივი შემოსაშვები ქალაქი აიღე.

და ხელის ჩამოურთმევლად შებრუნდა. ელექტროს ღილს ხელი დააჭირა, დარეკა. როცა გლები კარებს მიუახლოვდა, — შემობრუნდა და ისევ ის უცხო სახე დაინახა. უნდოდა რაღაც დიდი ეთქვა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიგონა.

— ამხანაგო ჩიბის, გინახავს შენ ლენინი?

— ეს სულ ერთია... მინახავს... არ მინახავს...

გლებმა გაიღიმა და თავზე ჩაჩქანის ქუდი უნდობლად შეათამაშა.

— სტყუი, ამხანაგო ჩიბის, შენ გინახავს ლენინი...

თარგმ. დემნა შენგელაიახი.

(გაგრძელება იქნება)

თათრი ღვინო ლა-ვილლასისა*)

(Le vin blanc de la villete)

ოცლა ორი იანვარი

რალაც ამდაგვარი მე გამოეცადა 1905 წელს,—სოჭვა ბრუდიემ. შეიძლება თქვენც გამოსცადეთ 1905 წლის ზამთარი.

მაგონდება ჩემი თავი სენტ-ონორეს წინა უბანში, ნაშუადღევისას. მე მივდიოდი მდინარის გასწვრივ, მარცხენა ქვაფენილით. იანვრის საკმაოდ კარგი დღე იდგა. ცა თუმცა ღრუბლიანი იყო, მაგრამ არც იმდენად ციოდა. მე მივდიოდი ტერნში საქმეზე, რომელიც თუმცა არ იყო საჩქარო, მაგრამ მისი გადადება მაინც არ მინდოდა.

საღლაც შორიდან მესმის მეგაზეთეების ძახილი; თითქოს მათი ბრბო ქუჩაში დამედევნა. ეს იყო რუსეთ-იაპონიის ომის და პირველ არეულობის ხანა რუსეთში. სალამოს გაზეთები სავსე იყო სენსაციებით; ხალხს ნაკლებად სჯეროდა ეს ცნობები და მაინც თვალს ადევნებდა მათ. ამ ცნობათა შორის იყო მნიშვნელოვან სააგენტოების დებეშები: ანგარიში ბრძოლის შესახებ, მოკლულების და დაჭრილების ოფიციალური რიცხვი, გადმონაბეჭდი ინგლისურ გაზეთებიდან. მე არ შემეძლო გულგრილად გამეგონა მეგაზეთეების ძახილი. მე არ ვზოგავდი ფულს.

შევანელე ნაბიჯი მეგაზეთეების ლოდინში. გაზეთი კიდევ არ იყო ჩემს ხელში, როცა მე წავიკითხე სათაური: „აჯანყების ჩაქრობა პეტერბურგში. ჯარები ესვრიან ხალხს“. მე დავეძებდი ხარბად უკანასკნელ ცნობებს. ცალკე შრიფტით დაბეჭდილი იყო ხუთმეტრი სტრიქონი: „გუშინ, 22 იანვარს (ახალი სტილით) დიდძალი ხალხი, სრულიად უიარაღო, ცოლებით და ბავშვებით მიდიოდა საზამთრო სასახლისაკენ, რომ რუსეთის სახელით თხოვნა მიეცათ მეფისათვის. მეფემ პასუხად ქვეითა ჯარი და ყაზახები გაგზავნა. ყაზახებმა იფრიში მიიტანეს ხალხზე, ჯარმა დაიწყო სროლა. ხალხმა წინააღმდეგობის მაგივრად დაიჩოქა თოვლში და იმღერა საგალობელი ლოცვები. მოკლულია სამი ათასი“.

ჩემთვის არ იყო საჭირო დებეშის გადაკითხვა. მე იგი დავიძახსოვრე პირ-

*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 3.



ველ წაკითხვიდანვე. მე აღარ ვგრძნობდი, სად ვიყავი. მე ვიხედებოდი ირგვლივ, თითქოს ყველაფერი უცნობი იყო ჩემთვის, მე მაოცებდა თვითმული საგანი, რომელსაც-კი შევანჩნევდი.

შემდეგ მე დამებადა სურვილი მეყვირა ქუჩაში, შემეგროვებინა ხალხი, დაუყოვნებლივ დამეწყო აჯანყება. უცბად გამახსენდი შენ, მეგობარო ბენენ, და მე ვთქვი: საჭიროა, რომ იმან ამ წუთშივე გაიგოს ეს ამბავი; მე იმას უნდა მოველაპარაკო ამის შესახებ. საჭიროა, რომ ჩვენ გავიზიაროთ ეს ამბავი. მე დავინტრობი აღშფოთებისაგან, თუ არ დავრწმუნდი, რომ ქვეყანაზე არას კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც იზიარებს ჩემს სულიკვეთებას.

შენ ცხოვრობდი ზევით, მონმარტზე; მე ერთი წუთიც არ დანიუვნებია; მივირბინე სენ-ფილიპ დიუ რულთან, ჩავჯექი ომნიბუსში, რომელიც მიდიოდა სენ-პიერის სკვერისაკენ. თქვენ გახსოვთ ის დრო, როდესაც ჩვენ დავეთრეოდით ამ ურნებით. მაშ ასე! როდესაც მე ჩამოვედი სკვერთან, ჩემი გულისწყრომა სრულიად არ შენელებულა. ის ლტოლვა, რომელმაც ვამაქროლა სენ-ფილიპისაკენ, კიდევ ინახავდა თავის ძალას და მე ავედი მონმარტზე.

ვუახლოვდები შენ სახლს. მეკარე ქალი მეუბნება:

— არა მგონი, რომ ის სახლში იყოს. მაგრამ ადით ზევით. შეიძლება ის დაბრუნდა და მე ვერ შევამჩნიე.

რა ძნელია კიბეზე ასვლა. მე ას გროშს გადავიხთიდი, თუ ჩემი ზარის დარეკა არ დარჩებოდა უშედეგო. თქვენ იცნობთ ამ საშინელ განცდას. ზარის ხმა ჩაესობა დაკეტილ ბინაში, როგორც ნესტარი; თქვენ ხელმეორედ რეკავთ, და, თითქოს, ხმა მეორედ ჩაესობა უფრო ღრმად. მაგრამ ბინა უძრავია, როგორც ადამიანის სხეული, რომელმაც განუტევა სული.

მე ჯავრი მომდიოდა, როცა ქვევით ჩამოვდიოდი. ჩემი აღელვება კიდევ არ დაცხრა. პირველად მე უმიზნოდ გავიარე ორი თუ სამი ქუჩა. შევედი ფოსტის განყოფილებაში, ვიყიდე ღია ბარათი. მე ის სწრაფად გავავსე; ამოვანთხიე ჩემი სულიკვეთება.

მაგრამ ამან არ დამაკმაყოფილა; ჩემთვის საჭირო იყო ცოცხალი ადამიანის თანაგრძნობა. შეიძლება გიუშონი სახლშია. ჩავჯექი მეორე ომნიბუსში. ჩემს მეზობელს ეჭირა იგივე გახეთი; ის კითხულობდა დებეშის. მე ვუკვირდებოდი მისი სახის გამონეტყველებას. იმას ჰქონდა კეთილ ადამიანის შეხედულება: ცოტათი წამოსიებული თვალები; რბილი ლოყები, რგვალი უღვაშები—არაფერი არ ამტკიცებდა მის ცუდ ხასიათს. მე მოველოდი, რომ ის შეთართალდებოდა, მოიღუშებოდა, ჩქარა დაიწყებდა სუნთქვას. მაგრამ ის არ განძრეულა; გადააბრუნა გვერდი და დაიწყო დოდის შესახებ კითხვა.

გიუშონი არ იყო სახლში. მთელი საათი მწუხარედ ვიყავი და ყველაფერი მეზიზღებოდა. არსად წასვლა არ მინდოდა. მე ვფიქრობდი უსამართლობის და საძაგლობის უფსკრულზე, რომელიც დაღაცს მთელ ქვეყანას. ჩემი აზრები ირეოდენ. რატომღაც გამახსენდა ანკირთან ბრძოლა, შემდეგ ტიბერიუს გრაქის სიკვდილი, ებრაელ ბანკირების ჯგუფი, რომელნიც ეუფლებიან ევროპას, მემალაროები, კარუზო და პირუტყვების უაზრო ბრძოლა ზღვის სიღრმეში.

ბოლოს და ბოლოს მე დავეჯექი ყავახანის ტერრასსზე და დავრჩებოდი იქ შუალამემდე, რომ არ შევეწუხებინე სიცივეს და სიბნელეს.

ამ საუბრის დროს ნაგიდასთან მოვიდა ოფიციალური ვიზიტი.

— მეც მახსოვს, — სთქვა ნან, — ოცდა ორი იანვარი. ამ დროს მე უადგილოდ ვიყავი და შემთხვევითი მუშაობით ვირჩენდი თავს. მე მყავდა მეგობარი — მეკარე მირომენილის ქუჩიდან. მის სახლში და მეზობელ სახლებში ხშირად იმართებოდა სადილები, და ასეთ შემთხვევებში იმას ევალებოდა ეშოვა მზარეულის თანაშემწე, ან ოფიციალტი. იმან შემატყობინა: სადილი აქვს მისი სახლის მდგმურებს: უსაქმურების ოჯახი. ბინა ღირს ხუთი ათასი, ვილლა, ავტომობილი. მამა იყო ბევრ წარმოებათა მონაწილე: ბანკები, შაქარი, ნავთი, ყველაფერი, რაც გნებავთ. მისი ნეულლე, რასაკვირველია, მდაბიოა, მაგრამ ბრილიანტებშია, და დის წირვაზე და ეტმასნება ნაღალ საზოგადოებას. მოწვეული იყო ათი კაცი. მზადების მიხედვით ამ წვეულობაზე უნდა ყოფილიყო რჩეული საზოგადოება. მოსამსახურე ქალი გზმარებოდა მზარეულ ქალს. მეკარე და მე გამოგვაწყვეს ლაქიებად და ჩვენ ვემსახურებოდით სუფრაზე. თავისუფალ დროს ჩვენ ტიკინებივით ვიდევით ჩვენს კუთხეებში და თვალი უნდა გვედევნებია, ხომ არ დაქირდება მოსადილეებს რამე.

ჩემ წინ იჯდა ერთი ახალგაზრდა, ღვდელივით გაპარსული, სოველი თვალებით და ბოროტი ტუჩებით, ოცდა ხუთი წლის გოგონა, სრულიად ვარდისფერი, ის მუდამ ხითხითებდა და იმანკებოდა; ნეორე პიროვნება ოცდა ხუთმეტე წლისა, გამომწვერილი დინგით, — ტირიფივით ჩამომწვებული ჟღერებით და დაღლილი ხნით; იმავე ასაკის ქალი, მსუქანი, ბრძანებითი კილოთი და უკმაყოფილო სახით; მოხუცი, რომელიც მე ნაკლებად მახსოვს; მოხუცებული დედაკაცი, შეფერილი და გაცრეცილი, ნაოკებით, რომელნიც ინძრეოდენ პუდრში, როგორც კიები ფქვილში; უკანასკნელად მასპინძელი — დიდი შავი წვერით, ღიმილით და საპატიო ლეგიონის ორდენით. თქვენ იცით, მხოლოდ გაჭირვება ნაიძულებს მე შევასრულო ეს მოვალეობა. მე არ მიმაჩნია დამცირებად, მივაწოდო ყავა, ან შემწვარი ხორცი იმ ადამიანებს, რომელნიც მუშაობენ ისე, როგორც მე. მე ამას უბრალოდ ვასრულებ და მანქვა არ მჭირდება. მაგრამ მე უნდა მივართვა სადილი რომელიმე არამზადას, რომელიც არც კი შემომხედავს, და უფრო ადრე ენას მოიჭრის, ვიდრე მადლობას მეტყვის; დიასახლისი მრისხანედ შემომხედავს, არ ვიცი რატომ; მე შეურაცხყოფილი ვარ და მაინც ბოდიში უნდა ვიხადო. ამ დამცირებას ყველაფერი სჯობია.

ნოიტანეს თევზი; მუსაიფი არ ჩაღდებოდა. ამ დროს გაპარსულმა სტუმარმა სთქვა ჩვეულებრივი ტონით:

— წაიკითხეთ საღამოს ამბები?

მამასახლისი ამბობს:

— ჩემს ბიუროში არის „Le Temps“ და „Les Dedats“, მაგრამ მე კიდევ არ გამიშლია ისინი.

— ახლა ყვიროდენ სასწრაფო დებეშებს. რალაც საძაგლობა მომხდარა პეტერბურგში.



ყველამ აცქვიტა ყური. მეც. მე დაინტერესებული ვიყავი რუსეთის /ამბე-
ზით და დილით არ ვტოვებდი ჩემ გაზეთში არც ერთ სტრიქონს /რუსული სა-
ქმეების შესახებ.

ბიზლიჩიშვილი

მამასახლისი ეკითხება:

— თქვენ გაქვთ ეს გაზეთი?

— კი მკონი.

და ის ამოიღებს ჯიბიდან გაზეთს.

— თუ შეიძლება, წაიკითხეთ ხმამაღლა.

სტუმარმა დაიწყო კითხვა დეპუტის, რომლის შესახებ თქვენ ახლა ლაპა-
რაკობდით. თითქმის იგივე, სიტყვა სიტყვით. ჩემზე ამან ისეთი შთაბეჭდილება
მოახდინა, რომ მე ვერ შევკვიფვ თავი და ვთქვი:

— ახ?

ჩემი ძახილი თითქმის არ იყო გასაგონი: ეს იყო სუსტი: „ახ“. მაგრამ ეს
ზედმეტი იყო. ლაქია არ არის ადამიანი, იგი — ავეჯია. ლაქიის გრძნობები? მხო-
ლოდ ეს გვაკლდა!

მამასახლისმა მწყრალოდ შემომხედა; დიასახლისი მოიღუწა. გაპარსულმა
შემომხედა დაცინვით: ჩემმა მეგობარმა მეკარემ კინალამ დაკარგა გრძნო-
ბა. მე ისევ ვავიჭიმე; ყველამ ისეთი სახე მიიღო, თითქო დაივიწყეს ჩემი არ-
სებობა.

— მეფემ გადასწყვიტა უფრო მკაცრი ზომები მიიღოს, — სთქვა მამასახლის-
მა; — ბოლოს და ბოლოს მან გამოიჩინა თავისი ძალა.

— მე დიხანს მეგონა, — სთქვა მსუქანმა მანდილოსანმა, — რომ ეს უბედური
იწვევს დაცინვას, რადგანაც გატაცებულია გუმანიური ფანტაზიებით. მე კიდევაც
ვუწინასწარმეტყველე მას ლიუდოვიკ მე-XVI ბედი.

— სრული სიმართლეა, ქალბატონო, სთქვა სტუმარმა ჩამოშვებული უღვა-
შებით, — გუშინწინ მე ვიყავი საზეიმო წესსაზე და ასეთივე ანალოგიები დამე-
ბადა. საწყალი ლიუდოვიკ მე-XVI! იმას აკლდა მხოლოდ ენერჯია.

— ის ნეტად კეთილი იყო. ის ებოდნიშებოდა სანკიულოტებს იმის მაგიე-
რად, რომ შესაფერისად გასწორებოდა მათ თავიდანვე.

— ნიკოლოზ მეორეც უტოპისტია. მოიგონა გააგის კონფერენცია, მაგრამ
მას უფრო კარგი მრჩევლები ჰყავს, ვიდრე ლიუდოვიკ XVI; ამის გარდა ის
დროზე მოვიდა გონს.

— დროზე? განა თქვენი ფიქრით, ქალბატონო, ნიკოლოზმა საკმაოდ არ
დაიგვიანა?

— შეიძლება. მაგრამ თუ რეპრესიამ დაიგვიანა, ის მაინც ახდენს შესაფერ
შთაბეჭდილებას.

— ახ! ამოიოხრა ბებერმა, — აი, ჩვენ რომ მოგვცა რამოდენიმე ყაზახი,
ვატბატონები შრომის საერთო კონფედერაციიდან სწრაფად მოქციანდებოდენ.

მე ბრაზი მომერია. ამ სიტყვების გაგონებაზე მე ვისროლე იატაკზე სალ-
ფეთქი და დავიძახე: „ჯანდაბას თქვენი თავი“, — შემდეგ კარებისაკენ მივაშურე.

მამასახლისი წამოვარდა:



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თქვენ გაგიყვლით!
— ის მთვრალია!
მაშინ მე პირი მოვიბრუნე:
— მე არც გიყი ვარ და არც მთვრალი. მაგრამ ნეხიზლებით თქვენ. შე-
გიძლიათ არ გადანიხადოთ მაღლობა. არ ღირს.

გაპარსული სტუმარი ამბობს:

— ამას ყურები უნდა აუწიოთ.

მე მივდივარ მასთან:

— რა? რა სიტყვი! ყურები ამიწიოთ? ფრთხილად იყავით, თორემ მე თვითონ
გითავაზებთ. მე თქვენი არ მეშინია, რამდენიც უნდა იყოთ. თქვენი ყაზახები
შორსაა; ადრეა ჰაეროვანი კოშკების შენება!

მე, ალბად, საშიშ სანახაობას წარმოვადგენდი, მათ ვერ გაბედეს კრინ-
ტის დაძრა. მხოლოდ მესმოდა, როგორ ჩურჩულებდა დიასახლისი:

— მე სასოწარკვეთილებაში ვარ!

წასვლისას მე დაუყვირე წვერიანს:

— ნახვამდის, გახსოვდეთ, რომ თქვენ არაფერი გმართებთ ჩემი. თქვენ-
თვის ეს პატარა ეკონომია იქნება.

მთელი დარბაზი სმენად იყო გადაქცეული. ვილაცან, კუთხეში ნჯდარმა,
რომელიც ტანისამოსით არ გავდა მუნას, აამალა ხმა:

1905 წლის ზამთარში მე ვიყავი ლონდონში: ვმსახურობდი ფრანგულ წიგ-
ნის მაღაზიაში. მეც ძალიან დაინტერესებული ვიყავი ამბებით, რომელნიც არ-
ყევდნ რუსეთის იმპერიას. ჩემი სამსახური საშუალებას მაძლევდა კარგად მკოდ-
ნოდა ყველა ამბები. ჩვენ ვიღებდით თითქმის ყველა ინგლისურ გაზეთებს. ამის
გარდა ჩემ განკარგულებაში იყო პერიოდული ჟურნალები: ყოველთვიური და
ორკვირეული დასურათებული გამოცემები. მე ვკითხულობდი, ან და ვათვლიე-
რებდი ჩვენი მაღაზიის წიგნებს და ბროშიურებს, რომელნიც ეხებოდნენ ევროპი-
ული პოლიტიკის საკითხებს.

მაგრამ 22 იანვრის ამბების შესახებ მე გავიგე არა ჩემი პატრონის სავაქ-
როში, არამედ, როგორც ყველამ, ქუჩაში.

რალაც დავალების გამო მე დავრბოდი ქალაქში. თუ ხსოვნა არ ნლალა-
ტობს, სამ საათზე მე განოვდიოდი „ტიუბიდან“ სადგურზე, რომელსაც ეწოდე-
ბა Oxford Circus. „ტიუბი“ არის მიწის ქვეშ მოწყობილი ელექტრონის რკი-
ნის გზა, როგორც ჩვენი მეტრო. Oxford Circus—სიცოცხლით სავსე დიდი მო-
ედანია, სადაც რამდენიმე ჭუჩის ჯვარედინია. მე საქმე მქონდა მეზობლად. საქ-
მის მოგვარების შემდეგ ვაპირებდი სახლში ფეხით დაბრუნებას, ვინაიდან ახლო
ვცხოვრობდი ამ ადგილიდან.

მე ვიყავი ლონდონში სულ ოთხი თვე; მე არ მაკლდა ზომიერება, ნაგრამ
უნდა გამოვტყდე, რომ ლონდონი სულ სხვანაირად მოქმედებდა ჩემზე. არას-
დროს არ ვყოფილვარ მე ასე გრძნობიერი, არასდროს ჩემი ძარღვები ისე მი-
ზეზიანი არ ყოფილან, როგორც ამ ქალაქში, რომელიც ცნობილია, როგორც
ცივი და ფლეგმატიური. არიან პირუტყვები და ადამიანებიც, რომელნიც ძა-

ლიან მწვავედ განიცდიან პაერის სრულიად უმნიშვნელო ელექტრონულ რყევას. ქარიშხლის მოახლოება სრულიად შლის ასეთ ადამიანებს. ლონდონის გზატკეცილებზე მე ვემსგავსებოდი მათ. ზოგიერთი ქუჩები სრულიად განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდენ ჩემზე; ასეთივე იყო გავლენა რომელიმე მრეცხანის, ან გზაჯვარედინის. კერძოდ, ყოველთვის, როდესაც მე გადავდიოდი Oxford Circus, ჩემთვის შეუძლებელი იყო სიმშვიდის შენახვა.

მე ამას ვამბობ არა იმდენად თქვენთვის, რამდენად ჩემთვის; მე მინდა გამოვარკვიო ის, რაც შემდეგ მოხდა.

მაშასადამე მე გადავდიოდი Oxford Circus. უცბად დავეტაკე მეგაზეთის. ის ყიდდა სასწრაფო გამოცემას. მე ვყიდულობ გაზეთს და ვკითხულობ ინგლისურ ვერსიას იმ დებეშისას, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობდით. პირველად მე ნაკლებად ვერკვეოდი იმ შთაბეჭდილებაში, რომელიც მოახდინა ჩემზე დებეშამ. მე ის რამოდენიმეჯერ წავიკითხე; შევაფლე თვალი გაზეთის დანარჩენ ნაწილს. რამოდენიმე წუთის შემდეგ მე შევამჩნიე, რომ მივდივარ არა იქით, სადაც საჭირო იყო; მე მივდიდოდი დიდი ქუჩით, მარბლ არჩისაკენ, თუ არ ვცდები, — ოქსფორდ სტრიტით.

ჩემს ირგვლივ იყო ქუჩის ხმაური და გრიალი და მე ვიგრძენი, რომ ჩემი აღელვება თანდათან მატულობს. მე განვაგრძობდი მარბლ არჩისაკენ სვლას, და ახლა ჩემი აღელვება კიდევ უფრო მეტი იყო.

იქ იყო ტრიუმფალური თაღი, ისეთი, როგორიც არის ჩვენთან, კარუსელის მოედანზე, და იწყება გაიდ-პარკი, ყველაზე უფრო დიდი ლონდონის ბალებიდან. ბალის შესავალთან არის გალშილი მოედანი.

ახლოვდებოდა საღამო. ყველა საგნები დაფარულია ოქროსფერ ნისლით, რომელიც თითქოს იტაცებს ამ საგნებს; მზის სხივები ფანჯრების შუშებზე, კედლების მარმარილოს ზედაპირზე ბრწყინავენ თვალების მსგავსად. სული ოცნებობდა რალაც სევდიანზე, დიდებულზე და მარადიულზე.

გაიდ-პარკის მოედანზე მოსჩანდა ორი, თუ სამი ჯგუფი. ყოველ ჯგუფში ვინმე ქადაგებდა რელიგიურ მცნებას, ან პოლიტიკურ დოქტრინას; გამვლელები გარს ეხვეოდნენ მქადაგებელს და ჩუმად უსმენდნენ მას.

რჩებოდა კიდევ დიდი, თავისუფალი ადგილი. მე დავდექი ამ ადგილზე და მოულოდნელად დავიწყე ლაპარაკი.

მე ძალიან ცუდათ ვიცოდი ინგლისური; მე ჩამოვედი ლონდონში მხოლოდ ექვსი კვირის წინად; საძაგელი გამოთქმა მქონდა, ლექსიკონი კი მეტად განსაზღვრული. მე სულ ხშირად მიხდებოდა ფრანგული სიტყვების მოშველება, რომ ამომეგსო ხვრელები ინგლისურ ფრაზებში.

მე დავიწყე ლაპარაკი. მე დავკარგე იმის შეგნება, თუ სადა ვარ, ვერავის ვხედავდი და არ ვიცოდი, რა მემართებოდა. მე თითქოს სიზმარში ვიყავი.

პირველად არავინ მაქცევდა ყურადღებას; მე ვლაპარაკობდი მარტო საღამოს ნისლში. შემდეგ მოვიდა ორი თუ სამი კაცი და ჩქარა შედგა პატარა ჯგუფი.

რას ვლაპარაკობდი მე? მე არ შემიძლია გადმოგცეთ ჩემი სიტყვები და

ახრები. მაგრამ მახსოვს, რომ სიტყვები თავისით მოდიოდნენ ჩემთან და იოლად ეწყობოდნენ ფრაზებად.

აღბად მე უთხარი იმათ, რომ რუსეთში მოხდა სამსკრესინის ამბავი, რომ ისინი უეჭველად წაიკითხავდნენ ამ ამბავს, მაგრამ წარკითხვებზე გულგრილად და აბნეულად: მე უთხარი, რომ მე ფრანგი ვარ, რომ მათთვის—ინგლისელები-სათვის, და ჩემთვის—ფრანგისათვის მთელი ეს ამბავი შორეულია და უცხო, მაგრამ ჩვენ ევროპელები და ადამიანები ვართ; რომ ჩვენ არ ვიქნებოდით ღირსი ადამიანის სახელისა, თუ ჩვენი სისტემა არ შეჩერდება ძარღვებში ასეთი ანბის გაგონებაზე; მე ვთქვი, რომ ჩვენი პროტესტი ამ სალამოს, ლონდონში, გაიდ-პარკის კუთხეში არ გააცოცხლებს მოკლელებს; მაგრამ უთუოდ არ იქნება მნიშვნელობას მოკლებული, რომ მთელი ქვეყნის კემმარტი ადამიანები დღეს გამოაცხადებენ კანონის გარეშე რუსეთის ხალხის მკვლელებს; რომ თუ არის ღმერთი, ნან უნდა იგრძნოს ჩვენი პროტესტი; და თუ ღმერთი არ არის, იმ შემთხვევაში ჩვენი საპატიო მოვალეობაა გავწიოთ მისი ნაგიერობა.

ჩემს აღელვებას და უხერხულ სიტყვას არ გამოუწვევია მსმენელების ღიმილი. ნათი გაპარსული სახეები პირდაპირ მიცქერდნენ. დროგამომშვებით რომელიმე მათგანი გააქნევდა თავს და ღირსეულად ამბობდა „Yes“. იმათ ერთხელაც არ შეუწყვეტიათ ჩემი სიტყვა, და არავითარ მოუთმენლობას არ იჩენდნენ. ჩემი სიტყვის გაგება არ იყო ნათთვის ადვილი.

როცა მე გავჩუმდი უკანასკნელად, იმათ დაარღვიეს თავისი წრე, რომ გზა დაეთმოთ ჩემთვის; ზოგიერთები ქუდს იხდიდნენ და მესალმებოდნენ.

დაღამდა. ციოდა. მე ისევ დავჯექი „ტიუბში“; ეს იყო და ეს.

ავტობუსების იეროზი

ერთხელ, როდესაც ბენენი და ბრუდიე აპირებდნენ კლინი-ლა ვილლეტის ძველ ომნიბუსში ჩაჯდონას, რომ მისულიყვნენ ბიჩის მოედანზე, იმათ შეამჩნიეს, რომ საზოგადოებამ შესცვალა „ცბენის ძალა ნექანიურით“, ასეთია ახლანდელ დროში ჩვეულებრივი წესი.

როდესაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს საელჩოში, იმათ მოულოცეს მოფერს, რომელიც იქვე სვამდა ღვინოს პატარა ჭიქიდან.

- თქვენ მოგცეს ავტობუსები?
- მხოლოდ ორშაბათს. არ არის დიდი ხანი.
- და თქვენ ეხლა მგზავრობთ სამებამდე?
- სამებამდე.
- მეტად სასიამოვნო არის ეს ეტლები.

— დიახ, ისინი კარგად მიდიან. საყვედურს ვერ ვიტყვი. სვლა იოლი აქვთ, არც დიდ ხალხში უჭირთ გზის გაკვლევა და აღმართებზედაც ადვილად აღიან. მგზავრებიც უფრო კარგად თავსდებიან. კონდუქტორისათვის გასაგალი ცოტათი ეიწროა, მაგრამ რა გავწყობა. ახალი ავტობუსები ჩქარა მიდიან. რასაკვირველია, — ეს პროგრესია.

ის ჩაუვიქრდა ერთი წუთით.

— ისინი მაინც ვერ ახდენენ ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც პირველი ავტობუსები იმპერიალებით.

— როგორ? ეს ვეებერთელა ფურგუნები?

— დიახ, ეს მონუმენტები. მე მახსოვს, ერთხელ მათ ვიღებდით მუხრანში მუხრანში. კარგი შედარებაა. ნართალია, ისინი ვერ იყვნენ მოხდენილნი, მაგრამ ამ მანქანების საშუალებით თქვენ ისეთ რამეს ჩაიდენდით, რასაც ვერ იხამთ ახლანდელ ავტობუსებით.

— თქვენ, ალბათ, მუშაობდით მათზე?

— მე მოფერი ვარ არა უკანასკნელ ორშაბათიდან! მე მოფერი ვიყავი თავიდანვე. მე ვმუშაობდი პირველ ხაზზე.

ის კიდევ გაჩუნდა, შემდეგ:

— დიახ, მე დიდი უსიამოვნება გამოვცადე: მე ხონ ხელასლა დამნიშნეს ჩვეულებრივ მეომნიბუსეთ.

ის დაფიქრდა: ბენენი და ბრუდიე ზრდილობიანად ელოდებოდნენ.

მოფერმა განაგრძო:

— აი რად ვლაპარაკობ მე მცოდნეს კილოთი წინანდელ ავტობუსებზე. ვამეორებ, ამ მანქანებით, ამ გიპოპოტამებით შეიძლებოდა ისეთი რამეების გაკეთება, ისეთი იერიშების მიტანა, რაც შეუძლებელია სხვა მანქანებით. მე სრულიად დარწმუნებული ვარ ამაში.

— იერიშები?

— დიახ. ვახსოვთ რა მოხდა შაპელის ქუჩაზე? ავტობუსების იერიში?

— გატყობთ, რომ თქვენ არაფერი არ იცით. თქვენ რომ ეს სიტყვა გაიგოთ, ამისათვის თქვენ უნდა დასწრებოდით იერიშს. გაზეთები სისულელეებს ბეჭდავენ. ალბათ საზოგადოებამ მოიჭრათაშა ისინი.

ამ დროს მე ვმსახურობდი მოფერად პოტოს ქუჩის სენ მიშელის მოედნის ხაზზე. ჩვენ ცუდათ არ ვცხოვრობდით. სამსახური მძიმეა, კეხები ვერ იყვნენ ისე კარგად დაკიდებული, როგორც ახლანდელ ავტობუსებში, განსაკუთრებით წინ მოტორები ცელქობდნენ. მოფერები სულ ცეკვავდნენ თავის ადგილებზე. ზოგიერთებმა ვერ აიტანეს, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ზურგის ტვინი ასკდება ხერხენლის სვეტის ძირს. ბორბალის საჭეც ეწმაკობდა სულ ხშირად. ხელებს ვიმტვრევდით ყოველთვის. მაგრამ კარგ ხელფასს გვაძლევდნენ და ცხოვრება არ იყო ისეთი ძვირი, როგორც ახლა. ერთი სიტყვით, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ არ მოვითხოვდით ბევრს: გვინდოდა მხოლოდ, რომ სრულიად არ დავიწყებოდით ჩვენი არსებობა. გაფიცვაზე ჩვენ არც კი ვფიქრობდით.

მაგრამ აი ამოდრავდნენ რკინისგზელები. ვახსოვთ?

ეს დავიდარაბა გრძელდებოდა რამოდენიმე კვირა. ერთ მშვენიერ დღეს მოხდა აფეთქება. ადგილი ჰქონდა შეტაკებებს, განსაკუთრებით შაპელის რაიონში. რკინისგზელების რიცხვი იყო რამოდენიმე ათასი, ისინი აქებდნენ ერთმანეთს და სურდათ, რომ მათზე ალაპარაკებულყვნენ. მათი მოთხოვნილებები სამართლიანი იყო, მაგრამ ისინი რომ პირველ დღესვე დაეკმაყოფილებინათ, ისინი მხოლოდ ნახევრად იქნებოდნენ კმაყოფილი: იმათ უნდოდათ განგაში აეტეხათ. ეს ცოტათი მაინც ასხვაფერებს ერთფეროვან ცხოვრებას.

ამის გარდა ბლომად მოიყრიან თავს ერთ ადგილზე, ბოლოს და ბოლოს იწყება ნალველის დენა, რომელიც უნდა გადმოინთხეს, თუ თქვენ აიძულებთ ათას მდიდარს მთელი წლის განმავლობაში ერთი და იგივე მანქანისუნთქონ, ისინი უკანასკნელად გაიფიცებიან, ან მოახდენენ რევოლუციას!

მე დაინტერესებული ვიყავი სინდიკალისტური მოძრაობით. ყოველ თავისუფალ წუთს მე ვატარებდი იქ, გრანჟ-ო-ბელის ქუჩაზე. შამპიონეს ქუჩის პარკში მე ვითვლებოდი დიდ ავტორიტეტად.

მე გაცნობილი ვიყავი საქმის ვითარებას. გამომცადეს მოძრაობის დასაწყისში, მე მკითხეს:

— შეუძლიათ თუ არა შემოინიბუსებეს, თუ საქირო იქნება, დაეხმარონ რკინისგზელებს?

მე უპასუხე:

— ძნელი სათქმელია. ვნახოთ. ეცადეთ თქვენ თვითონ გაათავოთ საქმე. ახლა ჩვენ არ გვინდა გაფიცვა. მაგრამ, თუ საქირო იქნება მცირე დახმარება, ჩვენ მზადა ვართ.

გაფიცვა გაჩაღდა. ნაშუადღევს თქვენ ყოველ ქუჩაზე დაინახავდით უსაქმო რკინისგზელებს.

სხვებთან ერთად მე მიპატივებული ვიყავი მიტინგზე, რომელიც გამართული იყო კარშელთან, შაპელის ქუჩაზე. ხომ იცით?

ეს არის ვებერსიელა კოლოფი. უნდა ავსულიყავით მეორე სართულში. ქვედა სართული სავსე იყო, როგორც ბალი კარნავალის დროს. ჩვენ ბევრი დრო დაეხარჯეთ, სანამ მივალწიეთ კიბებზე. ძნელი იყო ხალხში გასვლა. უკანასკნელად მეორე სართულში ვარ. იქ იყო სიჩუმე, იდგა თამბაქოს საშინელი კვამლი: მაგრამ საგრძნობელი იყო რაღაც სიმძიმე. თითქოს ამ ათას კაცს უნდა გაეჩერებინა ერთი მოედნის ტოლა ორთქლმავალი.

არჩევდენ საკითხს დიდი საქმის შესახებ, რომელიც უნდა მომხდარიყო კვირას, ნაშუადღევს. მახსოვს, რომ ხუთშაბათი იყო. ერთ და იმავე დროს უნდა გაემართათ მიტინგები ამ კვარტალის სხვა და სხვა შენობებში; შემდეგ ყველანი შეიკრიბებიან შაპელის ქუჩაზე და წავლენ საბარგო სადგურისაკენ, რომელიც, როგორც თქვენ იცით, გამოდის შაპელის მოედანზე. ბევრი იყო სიტყვები. ხალხი თანდათან უფრო მეტ აღშფოთებას განიცდის. ასე მგონია, თითქოს ჰაერში ავდივარ. მე არ ვგრძნობდი მიწას ფეხებ ქვეშ. ხალხიც იწეოდა ზევით, თითქოს ის მიჰყავდა ზევით უზარმაზარ საქანელას. თითქოს ის ეკიდა ეხლა თამბაქოს კვამლში. მთელი ჩემი სხეული იყენებოდა საშინელი ხმაურით რამდენადაც მახსოვს, ამ დროს იმუშავებდენ დღის წესრიგს.

უკანასკნელად კრება დანიშნეს კვირას, ნაშუადღევს.

გამოსვლისას გაფიცვის კომიტეტის წევრები და მუშები გრანჟ-ო-ბელის ქუჩიდან მეუბნებიან:

— ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ შემოგვიერთდებით. რაც უფრო მეტი ვიქნებით, მით უფრო კარგად წავა საქმე. ჩვენთვის საქიროა გამხნევება. თუ შეგიძლიათ გამართოთ თქვენი ამხანაგების კრება და მოგვაშველოთ თქვენი ჯგუფი?

მე ვუბასუხე ირიბულად:

— ამ დღეს მე სამუშაოზე ვიქნები, და აგრეთვე ბევრი ჩემი ამბანაგები. ეს არ არის ჩვენთვის შესაფერი დრო. მაგრამ, მე მოველაპარაკებ ჩემს მეგობრებს.

როდესაც მე მარტო დავრჩი, ფიქრები ათასნაირად დატრიალდნ ჩემს გონებაში. მე ვფიქრობდი: მათი მანიფესტაცია უშედეგო იქნება. მართალია, ხალხი იქნება ბლომად. მაგრამ, ნუ თუ იმათ ჰგონიათ, რომ შთაფრობა და პოლიცია არ მიიღებს შესაფერ ზომებს! მთელი მათი გეგმა ცნობილია მტრებისათვის. ისინი ტყუილად დამარცხდებიან, როდესაც მოხდება შეტაკება ჯარებთან. პირველად იმათ, განგებ არ მიაქცევენ ყურადღებას. შემდეგ, როცა პაპაშა ლეპინი იტყვის, რომ დროა შეწყდეს რკინისგზელების თარეში, დრაგუნები და პოლიცია შეუდგებიან ქუჩების გაწმენდას.

მე ვფიქრობდი ამის შესახებ მეორე დღესაც, როდესაც მიმყავდა ჩემი ავტობუსი. მე დამებადა ერთი აზრი, რომელიც პირველად სასაცილოდ მეჩვენა.

ხშირად, როცა მე ვეშვებოდი როწეშუარის ქუჩაზე, განსაკუთრებით მობეჟის ქუჩიდან, პლეიელიდან, მე ვფიქრობდი ჩემ დასაჯდომში: „მე თუ სიჩქარეს გავანფითარებ, ვის შეუძლია დანაკავოს? ასეთი ვებერთელა მანქანა ყველა დაბრკოლებებს გადალახავს. ასზე მეტიც რომ იყვნენ—მე გავარდევე მათ წრეს“.

სეირნობის დროს მე არა ერთხელ მთელი ხუთი წუთი გავჩერებულვარ ქვევით, მარტორის ქუჩაზე, რომ მეყურებინა, როგორ ეშვება პიგალის ხაზის და ლვინის ბაზრის ავტობუსი. იქ თავბრუდამსამელი დაღმართია, ქუჩა არ არის ფართე. მოძრაობა დიდია. მიდიან გზატკეცილით, რომ თავისუფლად იგრძნონ თავი, და ყურადღებას არ აქცევენ ეტლებს. გზაჯვარედინი ქვევით სავსეა ხალხით.

მაშასადამე მე უცქერდი დაღმართს. მის მწვერვალზე უცბად გამოჩნდებოდა რაღაც ყვითელი კოშკი. ის ტორტმანობდა, ქანაობდა და მიექანებოდა დაღმართისაკენ გაბრაზებული სახით. თქვენ ხედავდით, როგორ იზრდებოდა ის თანდათან, თქვენ გაიგონეთ მოტორის ხმაური და რკინის ჭრიალი. წინა ნაწილი მანქანის ქანაობდა, უკანა—ხტოდა; იმპერიული ფართხალებდა, როგორც გარდაქეშანის თავი. რომელი ეტლი იქნება გასრესილი, რომელი მალაზიის ფაშვი იქნება გათხრეშილი? გამვლელები ხტებოდნ გვერდზე, როგორც ვირთხები. და ეს მანქანა შეიჭრებოდა გზაჯვარედინში, რომელიც უცბად გამოჩნდებოდა მის გზაზე.

მაშინ მე გამიელვა თავში ერთმა აზრმა. მე წარმოვიდგინე კავალერიის და ქვევითა ჯარის რიგები, პოლიცია და ჯარი, რომელთაც უკავიათ მთელი ქუჩა. მე წარმოვიდგინე ავტობუსები, ათეულები და კიდევ ათეულები ავტობუსებისა, რომელთაც მიაქვთ იერიში ჯარზე.

თქვენ, რასაკვირველია გეცინებათ! ჩემთვისაც ეს სასაცილო იყო. ბავშური განზრახვა! მაგრამ მე ვერ მოვიშორე ეს აზრი, ვფიქრობდი ამაზე დილიდან საღამომდე ავტობუსზე მუშაობის დროს. მე ვხედავდი ჩემს თავს საიერიშო რაზმის მეთაურად. სრულიად მავიწყდებოდა, სად ვიყავი და სამჯერ, თუ ოთხჯერ კინალამ დავეტაკე სხვა ავტობუსებს.

ნაშუადღევს მე ვსაუხმობდი ამხანაგთან სენტ-ანდრე-დე-სან-ჟოანის ქუჩის სასადილოში. მე შეპყრობილი ვიყავი ჩემი იდეით, მაგრამ ვერ ვბედავდი მის გამომქლავნებას. მე უთუოდ მკონდა ჩემი ამხანაგის ნდობა. ჩემი შეხვედრები ერთი და იგივე იყო. მაგრამ ვშიშობდი, რომ ის სულელბუნამხანაგის ამის გარდა ის მიუჯდა მაგიდას უდარდელი სახით და ხუმრობის სურვილით. ჩვენს ირგვლივ ისხდნენ ახალგაზრდები, რომელნიც ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. მე ვგრძნობდი, რომ ვგაედი ციდან ჩანოვარდნილს ჩემი უცნაური იდეით. დარწმუნებული ვარ, რომ ვერ გავბედავდი სიტყვის ამოღებას, რომ ჩემ ამხანაგს არ წაეჭკია შემთხვევით თავისი ქიქა. საკვირველია, მაგრამ მე შეუძლებლად მიმაჩნია ამის ახსნა. როგორც კი იმან წააქცია ნიდაყვით თავისი ქიქა, როგორც კი დავინახე, რომ ღვინო დაიქცა მარძაპრილოზე და შემდეგ იატაკზე, მე უფრო გაბედული გავხდი. მე გავაცანი მას ჩემი გეგმა. პირველად ჩემ სიტყვებს ხუმრობის ხასიათი მიეცეცა. ის მიპასუხებს სრულიად მშვიდათ:

— ეს არ არის შეუძლებელი.

და ის მიამბობს წაკითხულ ამბავს, რომ ერთხელ ამერიკაში გაფიცულებმა შეავდეს ქარხანაში ნავთის მთელი ნატარებელი, ცეცხლით მოცული.

მე ახლა მეტ გაბედულებას ვგრძნობ და ვამბობ:

— მხოლოდ მშიშარები არიან, გაუბედავნი. გულადებისათვის კი შეუძლებელიც იოლია. ამის გარდა, ეს მშვენიერი შემთხვევაა იმისათვის, რომ გავაფრთხილოთ ბურჟუები და მაგალითი მივცეთ მშრომელ კლასს!

ჩემი ამხანაგი მაინცა და მაინც არ მიჭერდა მხარს, და არც მეწინააღმდეგებოდა. ჩვენ დაეტოვეთ მაგიდა და მივაშურეთ ჩვენს მანქანებს. მე ვამბობ:

— გამიგონე! მე მინდა ამის შესახებ უთხრა ამხანაგებს, უნდა გაეჩარხოთ ეს საკმე. შემდეგ კვირას გვექნება შემთხვევა მოკახდინოთ ცდა. სომ არ შევიკრიბოთ დღესვე, საღამოს, ჩვენს სამიკიტნოში პუასონიეს ქუჩაზე? მაგრამ საჭიროა, რომ მოვიდეს საიმედო ხალხი!

— დღეს, საღამოთი, ცხრა საათიდან თორმეტამდე მე სამუშაოზე ვარ.

— ახლა თავისუფალი ხარ?

— დიახ, მე ორმოცი წუთის შენდეგ თავისუფალი ვიქნები სადილობამდე.

— მე კი გავთავისუფლდები ოთხ საათზე, გამიგონე! აი რა უნდა გააკეთო შენ. თუ შეხვედები საიმედო ამხანაგებს კანტორაში ან პარკში, დაუნიშნე მათ პაემანი პუასონიეს ქუჩაზე. მაგრამ სთხოვე, რომ არ ილაყბონ. ახლა კი გასწი ორდენერის ქუჩით. შენ იცნობ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ მონმარტრის და სენტ-ეერმენ-დე-პრეს ხაზზე. დაავალე მათ გადასცენ დანარჩენებს. ნეოვითონ ვნახავ ჩვენებს ნეიის-პორტ-მაიოს და კლიში-ოდეონის ხაზზე... შენც შეხვედები ზოგიერთებს. უთხარი იმათ ერთი სიტყვა. უთხარი, რომ არის მნიშვნელოვანი ცნობა სინდიკალისტურ მოძრაობის შესახებ.

— უთხრა, თუ არა, იმათ, რომ კრებას აწყობ შენ?

— არ ღირს!

— რატომ არა? შენ ხომ მონაწილეობას იღებ კომიტეტებში, შენს მოწოდებას ისინი მეტ ანგარიშს გაუწევენ. ისინი გადასწყვეტენ, რომ ამისთვის ღირს თავის შეწყობება.



ამ დღით მე საფუძვლიანად ვიმუშავე, აგრეთვე ჩემმა ანხანაგმაც, მოვედი პუასონიეს ქუჩაზე. რესტორანის წინ შელოდებოდა შვიდი თურქი კაცი. შემატყობინეს, რომ შიგ თავე მოიყარა საკმაო კამპანიამ ქვეყნის შეედევარ საბილიარდოში. აქ არიან მოფერები—კონდუქტორები, რომლებიც მოგვიწვევია; იმათ ჩაიყოლიებენ საქმეში უფრო გვიან. მოფერები სხედან ბილიარდის ირგვლივ ორ თუ სამ რიგად, მაგიდებს შორის, რომ მათზე ქიქები დადგან.

მე არ ვიცოდი, სად დამეკავებინა ადგილი. ყველაზე უფრო მე მალეღებდა ამ ადგილის უჩვეულობა: შუაში ბილიარდის დიდი მოედანი და მის ირგვლივ ოთხკუთხედათ დამსხდარნი ანხანაგები. მე არ მიყვარს, როდესაც ოთახში ამდენი სიცარიელეა, და როდესაც უსულო საგანს ამდენი ადგილი უჭირავს. ამის გარდა, მე არ შემიძლია ლაპარაკი, როდესაც ვზივარ. მე არ მიყვარს, როდესაც მსმენელების თვალები ერთ სიმაღლეზეა ჩვენ თვალებთან. მე მგონია, რომ ასეთ შემთხვევებში ვსულელდები.

კარგი რომ იმათ ყველამ ერთად დაიწყეს ლაპარაკი და კამათი. მე ისეთი სახე მივიღე, თითქოს მოველოდი დაგვიანებულებს. როდესაც ხმაურობა გაძლიერდა, მე წანოვდექი. ბილიარდი აღარ მაწუხებდა; მე იმას ვერ ვხედავდი. აღარ ვგრძნობდი სიცარიელეს დარბაზის შუაგულში. ხმების გუგუნნი თარავდა ყველაფერს, ეიგრძენი, რომ შემიძლია მოვადინო მათზე გავლენა ამ გავსებულ და მაგარ სივრცეში.

მე გადაუშალე მათ ჩემი გეგმა.
— რკინისგზელების გაფიცვა დამარცხდება. კაპიტალის ძალები დაირაზმენ მათ წინააღმდეგ. ბრძოლა არ არის თანასწორი. მთაერობა კამპანიის გამაგრება. იმას გამოჰყავს თავისი ჯარისკაცები აჯანყებულ მუშების წინააღმდეგ. კვარას რკინისგზელები ეცდებიან მოახდინონ გამოსვლა. მაგრამ ისინი გასრესილი იქნებიან, და მათთან ერთად მთელი პროლეტარიატი. კაპიტალიზმი დაანარცხებს ჩვენს ძალებს. არის მხოლოდ ერთი საშუალება ნოვეხმაროთ რკინისგზელებს. ეს საშუალება ჩვენს განკარგულებაშია: მე სახეში მყავხართ თქვენ, ორმოცდა ათი კაცი, რომელნიც აქა ხართ, ამ საღამოზე. თქვენს ხელშია პროლეტარიატის სახელი და ბედი.

ესევე ჩამოვარდა სიჩუმე. მე კვლავ დავინახე ბილიარდი და მის ირგვლივ მუშების ოთხკუთხედი. მაგრამ ისინი არ მაშინებდენ, პირიქით. მე არ ამიწვევია ხმა, არ დამიცავს დაჟინებით ჩემი იდეა. ჩემმა სიტყვებმა ნახეს გამოძახილი მსმენელებში. თითქოს ჩემი მსმენელების ოთხ მხარეზე გადაჭიმული იყო ბარბანის ტყაეი, რომელსაც გაბედულად ეხებიან ჩემი თითები.

განსაკუთრებული სიჩუმის დროს მე პირდაპირ გავისროლე ჩემი წინადადება. ერთი წუთით მე განვიცდიდი შიშს, როგორც ბავში, რომელმაც გაისროლა ქვა და იქვე გაიფიქრა: „მე ხომ შუშა გავტეხე“.

მაგრამ მე ვხედავ, რომ ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც წის ბილიარდის კუთხეში, მარჯვნივ, ანზობს:

— ნე გიერთდებით, ვაშა!

და თვალის დახამხამებაში ბილიარდის ყველა კუთხეებიდან მოისმა აბლოდისმენტები. მოფერები ამაყობენ თავისი მანქანებით. რასაკვირველია, ისინი იმის მოლოდინში არიან, რომ შეუტიონ კამპანიას, და ამასთანავე იღებენ მოეწონათ მათ.

მოფერები ამაყობდნენ იმით, რომ თავისი მანქანების საშუალებით გააკეთებენ არაჩვეულებრივ საქმეს, რომლის გაკეთებას სხვები ვერ შესძლებდნენ. ერთი სიტყვით, მე არც-კი მოველოდი ასეთ შედეგს. ახლა უნდა შეგვეშუშავებია გეგმა. მე უხსნი მათ:

— ეს მეტად მარტივი გეგმაა: შენ, მაგალითად მიდიხარ ოდნოთან, სცლი შენ მანქანას, და იმის მაგიერად რომ მოედანზე იდგე, როგორც დავალებული გაქვს, მიექანები ისევ. კონტროლიორს შეუძლია მხოლოდ შეცისკენ აღაპყროს ხელები. შენ კი — შენ შეგიძლია იგივე ოინი გააკეთო რატუშასთან, მეორე მოუქერს ნუხრუქს შუა გზაში და ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს რალაცას ეძებს თავის მოტორში; ამ დავიდარაბაში მისი მუწტრები დაკარგავენ მოთმინებას და წავლენ. მაშინ ის ჩუმად დაკეტავს თავის ავტობუსს და შემოგვიერთდება ჩვენ. ისინი, ვიეც ამ დროს პარკში ბრუნდება, შესცვლიან თავის გეზს. მე მიგითითეთ ზოგიერთ ხერხზე. არის კიდევ სხვა. ყოველი თქვენგანი ამოარჩევს უფრო შესაფერს.

მაგრამ ერთი ხმა ანბობს:

— ამისათვის შეგვიძლია ადგილი დავკარგოთ.

მე ვეძებ პასუხს, სიჩუმე უფრო ძლიერდება. თითქოს თვალთა ცქერა ჩაქრა, დამძიმდა და დაშორდა ჩემს თვალებს. მე ვხედავ ბილიარდის მაუდს, რომელიც უხარმახარია, მე ვხედავ ჩემ მსმენელებს, რომელნიც დგანან მწვანე მაუდის ირგვლივ ისეთი სახით, თითქოს მოელიან რომ მე ვაკეთებ მათ წინაშე რალაც ფიზიკურ ექსპერიმენტს.

უკანასკნელად მე ვნახულობ სიტყვებს:

— თქვენ ცდებით, ამხანაგო! კამპანიას ეწინია ჩვენი გაფიცვის. ის მეტად ბედნიერი იქნება, თუ ჩვენ დავკმაყოფილდებით მცირე დემონსტრაციით, რომელიც იქნება მიმართული არა მის წინააღმდეგ.

ხიფათი მომელის მხოლოდ მე. გაიგებენ, რომ ხელმძღვანელობა იყო ჩემი. მაგრამ თქვენ დამიცავთ და ხელს ვერავინ მოშკიდებს, თუ ეცოდინებათ, რომ თქვენ იძიებთ შურს.

მოისმის ოთხკუთხედის ზუილი. მე ვერ ვარჩევდი, რას ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მათი თანაგრძნობა ჩემს მხარეზეა. მოფერს შეუძლია მიხვდეს თავისი მოტორის ხმაზე, კარგად მიდის მისი მანქანა, თუ მას აქვს რაიმე ზიანი. ვინც მიეჩვია კრებებზე ლაპარაკს, ყოველთვის მიხვდება, როგორი ხასიათისაა მისი აუდიტორიის ხმაურობა.

მაგრამ შეირხა რიგი, რომელიც ჩემს წინააღმდეგაა. მე წინდაწინვე ვგრძნობ ადგილს, საიდანაც მოდის წინააღმდეგობა, და ვემზადები საომრად.

— ჩვენ ყველა არ ვიქნებით სამუშაოზე კვირის ნაშუადღევს, მაგალითად მე. მე ვერაფერს გავაკეთებ.

— მე უპასუხებ:



— რას ამბობ? სთხოვე რომელიმე ამბანაკს იმუშავო მის მაგივრად და ის სინარულით დაგეთანხმება! ეს ხომ კვირა დღე იქნება.

მე ვგრძნობ, რომ წინააღმდეგობა სუსტდება იმ რიგში, რომელიც ჩემს კურს-დაპირაა. თითქოს იბერებიან ქალაქის ცუდათ დაწებილი ფურცლები. თქვენ გინდათ მოსპოთ ეს წინააღმდეგობა, მაგრამ ის გადადის მარცხნივ და იქცევა პატარა ჯგუფად, რომელსაც ბილიარდის კუთხე უკავია.

— განა ფარაონები არ მიაქცევენ ყურადღებას ცარიელ ავტობუსებს და მათ ქუჩაში ქრთლვას?

— ისინი გაიკვირებენ, თუ ჩვენ ერთად გავივლით მთელ ქალაქს. მაგრამ ჩვენ მოვალთ დაპირებულ ადგილზე სხვა და სხვა მხრიდან. ეს არ არის ძნელი. ცარიელი ავტობუსი არც ისეთი იშვიათი მოვლენაა: პარკში დაბრუნება, ახალი მანქანების გამოცდა, შოუერების გაწვრთნა...

— მაგრამ კანდუქტორები? ისინი უარს არ იტყვიან?

— თქვენ უნდა მოინდომოთ. ყველა იცნობს თავის კანდუქტორს. თუ ის საიმედოა, მიაღებინეთ მონაწილეობა. თუ საეჭვოა, ჩამოსვით.

— ჩამოვსვით? როგორ?

— თქვენ იმას საიღუმლოს ეტყვიან უკანასკნელ წუთში. თუ ის შეშინდა— უბრძანეთ მას ჩამოვიდეს, რომ თქვენ მარტო იმოქმედოთ.

საწინააღმდეგო არავის უთქვამს. ჩემი აუდიტორია მორჩილი იყო. მე თითქოს ასფალტზე მივექანებოდი.

დასარწმუნებლად, რომ საქმე კარგად არის, მე ვამბობ:

— არავინ გაიძულებს თქვენ იყოთ გაბედული და შეასრულოთ თქვენი მოვალეობა. ვისაც ეშინია, შეუძლია წავიდეს. მხოლოდ მე ვთხოვ ასეთ მშიშარებს ნუ გაგვცემენ—ეს არის ერთად-ერთი ჩემი სათხოვარი მათდამი.

მე ვჩუმდები, ჩემს აუდიტორიას ისეთი სახე აქვს, თითქოს ყველა მოელის, რომ მზღალები გამოცხადდებიან. არავინ განძრეულა. ეს არის გასროლა, რომელიც ყოველთვის ხვდება მიზანს.

— ძალიან კარგი! ახლა საჭიროა შეუდგეთ საქმეს.

ჩვენს რესტორანში იყო დიდი უკანა ოთახი საცეკვაო საღამოებისათვის, კრებებისათვის და ქორწილებისათვის. მე დამებადა გეგმა. ვეუბნები შეკრებილებს.

— მომყევით. გადავიდეთ დიდ დარბაზში. დატოვეთ აქ ქიქები. ასე აჯობებს. ისინი ძლივსლა სცილდებიან ბილიარდს. მივრეკავ იმათ დიდ დარბაზში. ვუყვირი:

— სიჩუმე და წესიერება! დაეწყვეთ ორ რიგად, ისე, რომ ნაცნობები ერთად იდგნენ.

ისინი არ კვირობენ ჩემ სიტყვებს და ჩქარა ეწყობიან ორ რიგად. უნდა გითხრათ, რომ თავის დროზე ჩვენ ყველა ჯარისკაცები ვიყავით.

— დაითვალებით!

სულ ორმოცდა შვიდი იყვნენ: ჩემიანად—ორმოცდა რვა.

— კარგი! ჩვენ ორმოცდა რვა კაცი ვართ. დასტოვეთ ჩემთვის თავისუ-

ფალი ადგილი პირველი რიგის ბოლოში, მრავლენივ. მხარი მხარზე, ახლა და-
ეწყვეთ. ოთხ-ოთხად. კარგი! გახსოვდეთ თქვენი ნომრები, მე ვაგყოფთ თქვენ
ექვს რაზმად, თვითვეულ რაზმში იქნება რვა კაცი.

ნათქვამია, შესრულებულია. ყოველ რაზმს მე ვაძლევ უფროსის ნომერს.
ვიღებ ჯიბიდან წინდაწინ მომზადებულ სასტვენებებს და ურიგებ რაზმების
უფროსებს:

— ახლა მე გასწავლით, როგორ მოიბმართ ისინი.

შემდეგ განვაგრძობ:

თვითვეულ თქვენგანს აქვს თავისი რაზმის ნომერი და პირადი ნომერი.
შენ, მაგალითად, ხარ მეორე რაზმის მესამე ნომერი, შენ—მეოთხე რაზმის მე-
წვიდე ნომერი. გაიგეთ? მოამზადეთ ბვალინდელ დღისათვის ორი პატარა ცხრი-
ლი: დასწერეთ მათზე მსხვილი ციფრით თქვენი რაზმის ნომერი, მარჯვნივ კი
უფრო წვრილად თქვენი პირადი ნომერი. აი უყურეთ როგორ! და მე ვაჩვენებ
მათ. კვირას თქვენ წამოიღებთ ამ ორ ცხრილს. სანამ მოხვდოდეთ შესაგრო-
ვებელ პუნქტზე, თქვენ მიაკრავთ ერთ ცხრილს რადიატორზე საცობის ახლოს,
თქვენი კანდუქტორი კი, თუ ის თანახმა იქნება მიიღოს მონაწილეობა საქმეში,
მიაკრავს მეორე ცხრილს უკან, თვალსაჩინო ადგილზე.

ამხანაგები ამტკიცებენ, რომ ჩინებულად გაიგეს ყველაფერი. მაშინ მე მოვ-
თხოვე რესტორატორს პარიზის გეგმა. მან მომიტანა საცოდავი ფურცელი. რა-
მოდენიმე ხნის განმავლობაში მე უცქერი ამ გეგმას და ვამბობ:

— თქვენ კარგად იცით, რომ არ უნდა შევჯგუფდეთ შაპელის ქუჩის შე-
სავალთან. ჩვენ შეუშლით ერთმანეთს და პოლიცია უფრო ადრე შემოგვარტყამს
აღყას სანამ ჩვენ მოვასწრებთ საქმის მოგვარებას. ყოველ რაზმს მე დაუნიშნავ
შესაკრებ ადგილს. უნდა შევიკრიბოთ სამი საათისთვის და დავიწყოთ მოძრაობა.
მე ამოვარჩიე პუნქტები, რომელნიც არ არიან დაშორებული ერთმანეთისაგან,
რომ რაზმების შეერთება სწრაფად მოხდეს.

— „პირველი რაზმი—ჩემი შეიკრიბება მეტრო შაპელის სადგურთან,
ბაღში, სადაც ქუჩა იწყება. დაიმახსოვრეთ ეს კარგად! მეორე რაზმი—ლუი
ბლანის ქუჩაზე, აღმოსავლურ ხიდთან. მეორე რაზმის უფროსო! გახსოვთ მობრ-
ძანდეთ ჩემთან და ნახოთ გეგმა; შენ აუხსნი ყველაფერს ამხანაგებს. მესამე
რაზმი—აკვედუკის ქუჩაზე, მეორე—აღმოსავლურ ხიდთან. მეოთხე—ლაფაიეტის
გზაჯვარედინზე—სენ ნარტენთან. მესამე—ლუი ბლანის ქუჩაზე—არხის ხიდთან.
ნეექვსე—ლუი ბლანის გზაჯვარედინზე, გრანჯ-ო-ბელ, კომბას სადგურის ახლოს.

ბატონებო, თუ თქვენ კარგად არ იცნობთ კვარტალს, თუ თქვენ შკაფიოდ
არა გაქვთ რგი წარმოდგენილი, თქვენ ვერ მიხვდებით და ვერ დააფასებთ რა
მოხდენილად იყო მოწყობილი ყოველივე ეს.

უპირველეს ყოვლისა მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ადგილი საკმაოდ
მყუდროა და არ წარმოადგენს დაბრკოლებებს ჩვენი გეგმის განხორციელებისა-
თვის. იქ არამც თუ არ იქნება გაძლიერებული პოლიცია, ვინაიდან შეტაკება
უნდა მომხდარიყო სხვაგან; მეათე უბნის ქუჩები გაწმენდილი იქნება ადგილო-
ბრივ ჯაშუშებისაგან. ამის გარდა, თავის შესაკრებ პუნქტიდან ყოველ რაზმს
ღეეძლო თვალი ედევნებინა მორბედისათვის და სცოდნოდა მისი ამბავი.



როდესაც აუხსენი იმათ ყველაფერი, მე ვთქვი:

— კმარა თეორიები. შეუდგეთ ვარჯიშობას. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მანქანებზე ხართ, საჭეს ბორბლით ხელში.

ისინი შეუდგენ მიმორონებას ყველანი ერთად და ცალკე რაზმებით. მე ვაწყობ მათ რაზმებად ორი და ოთხი კაცისაგან. მე შევიმუშავე სპეციალური ნიშნები ფსტვენებით, ეს ნიშნები უფროსებს და მათ ხელქვეითებს უნდა სცოდნოდათ. იყო სპეციალური ნიშნები ბრძანებისათვის: „წინ!“ „გაჩერდი!“ „მცირე სიჩქარე“, „დიდი სიჩქარე“. „მცირე მანძილი“, „დიდი მანძილი“ და სხვა. მე გათვალისწინებული ნქონდა ყველაფერი, კერძოთ ისიც, როგორი მანძილი უნდა ყოფილიყო გარემოების მიხედვით ავტობუსების რიგთა შორის.

მე განსაკუთრებული ყურადღებით შევჩერდი უკანასკნელ იერიშზე.

— ჯერ დაეწყეთ რაზმად, ორი ერთად. ყური უგდეთ ნიშანს: „ოთხ-ოთხის“ უფროსები, თანდათანობით, გაიმეორებენ ნიშანს. არავითარი შეცდომა! წყვილმა ნომრებმა უნდა დაიკაუონ ადგილი მარცხნივ არა წყვილებისაგან. წინა რაზმი უნდა მიდიოდეს ხელა, რომ კუდი ძალიან არ გაიშალოს. კარგად დაიცავით მანძილი ურთი-ერთ შორის.

როდესაც მე გიბრძანებთ: „იერიშზე“, — „სრული სვლა!“ მთელი თქვენი ყურადღება მიაქციეთ მიმართულებას და ნაძილს. თუ დააპირეს თქვენთვის გზის გადაჭრა, თუ თქვენს წრეში შემოიჭრებიან ცხენებით, ნუ გაჩერდებით! თუ რომელიმე თქვენგანი წაიქცევა, წადით სამ-სამი, ორ-ორი, როგორც შესაძლებელი იქნება, მაგრამ ნუ გაჩერდებით. მთავარი ის არის — ნუ მოუჭერთ მუხრუჭს მექანიკურად. სრულიად აიღეთ ფეხები პედალიდან.

გესმით, ჩვენ ისე მივეჩვიეთ ავტობუსის შეჩერებას დაბრკოლების წინაშე, რომ ამას ჩვენ უნებლიეთ ვაკეთებთ. მოხუცებული ქალი გადადის ქუჩას ოთხს ნაბიჯზე თქვენგან და თქვენ ანელებთ სვლას ისე, რომ თქვენ თვითონ ვერ ამჩნევთ ამას. ერთი სიტყვით, დარბაზში დაიწყო დიდი დავიდარაბა. პარკეტზე აკეთებს მანევრებს ორმოცდაათი ჩაფსკვნილი ბიჭი; სმენას აყრუებს ფსტვენა. რესტორატორი ჩუმად იყო. ის ფიქრობდა, რომ ჩვენ გიმნასტიურ საზოგადოების დაწესებას ვაპირებთ.

მეორე დღეს, შაბათს, მე მეწყებოდა მუშაობა ათი საათიდან. დავწევი დასაძინებლად გვიან. მაგრამ რვა საათზე უკვე გამოვდიოდი სახლიდან.

ვყიდულობ გაზეთს. იქ იყო დაწვრილებით ცნობები რკინისგზელების მზადების შესახებ ხვალინდელ კვირისათვის; უზარმაზარ მანიფესტაციის პროექტი, სადგურის იერიში. იყო ცნობები მათ შესაკრებ პუნქტების, მიტინგების და იმ გზის შესახებ, რომლითაც ისინი უნდა წასულიყვნენ. იყო ცნობები პოლიციის და სამინისტროს გეგმების შესახებ.

ამ ამბების გათვალისწინება შესაძლებელი იყო. ჯაშუშებმა აცნობეს მთავრობას ყველაფერი, რაც გადაწყდა ხუთშაბათის კრებაზე. მთავრობისაგან ნებადართული იყო მიტინგები, მაგრამ ის წინააღმდეგი იყო ქუჩაში გამოსვლისა. მან მოამზადა ცხენოსანი და ფეხოსანი ჯარი, მუნიციპალური გვარდია, დრაგუნები, კირასირები, გარდა პოლიციელთა რაზმებისა. შაპელის მოედანი და მასთან მისავალი ადგილები დაცული იქნება ბარიკადებით.

მიედრვარ გაფიცვის კომიტეტის ბინაზე. კომიტეტი უნდა შეკრებულყო ცხრის ნახევარზე, ველოდები. ცხრამდე არაფერ არი. ისინი, ალბად, სიამოვნებით გორაობდენ საწოლში. თუ გაფიცვაა, რა საჭიროა დღის განმავლობაში საათზე ადგომა.

უკანასკნელად მოლოდინ, ცალ-ცალკე, დაბინავდენ დიდ ოთახში. მომწოდეს სკანი.

ჩვენ ვიყავით თორმეტი კაცი, ჩვეულებრივზე უფრო კარგად გამოწყობილნი. ეს მოგაგონებდათ ოჯახურ ყრილობას დაკრძალვის დღეს.

მართლაც, ეს იყო რაღაც დამკრძალავი ყრილობა—ისე უცნაურად უცქრდა ყველა ერთმანეთს.

მე გაფიქრე:

„ალბად ისინი უიქრობენ, რომ მე მინდა მივეტმასნო გაფიცვას და მოვიოთხოვო უსაქმობის წილი“.

კომიტეტის თავმჯდომარე, უფრო ზრდილობიანი და გონიერი, მომმართავს მე:

— ამხანაგო, თქვენ გეძლევათ სიტყვა.

ზოგიერთ მოსახრების გამო მე გადაწყვიტე მხოლოდ ის შეთქვა, რისი თქმაც აუცილებლად საჭირო იყო.

— მე მინდა გითხრათ ხვალინდელ მანიფესტაციის შესახებ. თქვენ, რასაკვირველია, დიდ მნიშვნელობას აძლევთ გამოსვლას და გსურთ მისი წარმატება. მაგრამ საჭიროა, რომ არ დანარცხდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვა დაკარგავს თავის მომხიბლავ ძალას. მე არ მეფიქვება, რომ თქვენ ბლომად გამოხვალთ, და გაბედულიც იქნებით. მაგრამ თქვენ წაიკითხავდით გაზეთებს. მთავრობა, ალბად, არ დაიკრებს ხელებს გულზე; ბაბაშა ლეპინი კი გაგიჭირვებთ საქმეს.

ისინი ილიმებიან დამცინავად, ასწევენ მხრებს:

— ა, ა! გეტყობათ, რომ თქვენც არა გაქვთ დადებითი შედეგების იმედი. გამოტყდით, რომ თქვენ რამოდენიმედ გეშინიათ, რომ საქმე კარგად არ გათავდება. მე მაქვს საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს თქვენს გამარჯვებას. ნუ მკითხავთ წინდაწინ: არაფრის გამგლავნება არ შემიძლია. ჩემი განზრახვა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავიცავ სრულ საიდუმლოებას. ნება მოგვეცით თავისუფლად ვიმოქმედოთ. გვენდეთ ჩვენ. მე მაქვს თქვენთან მხოლოდ ერთი სათხოვარი. თქვენი მიტინგები ხომ პირველ საათზე იწყება? მანიფესტაცია დაიწყება სამის ნახევარზე? ძალიან კარგი! მაგრამ არ დასთმობთ თქვენი პოზიციები სამ საათამდე. სამ საათამდე არ გაუშვათ ხელიდან შაპელის ქუჩა ბალიდან ორდინერის ქუჩამდე. არც ისე ძნელია ამ ადგილის შენარჩუნება. პოლიციას ყველაზე უფრო ეშინია სადგურზე არ მიიტანონ იერიში. ის მხოლოდ თავდაცვას აწარმოებს და არ შეგეცილებათ ამ უბნის დაცვაში. მაშ იყავით მედგრად და ისე დაეწყეთ, რომ გზატკეცილის შუავული თითქმის ცარიელი იყოს. თქვენ გაქვთ საკმაო ავტორიტეტი ამხანაგებში, რომ ეს გაიყვანოთ. გამოაცხადეთ ამის შესახებ მიტინგებზე, მაგრამ მაინცადამაინც ხაზს ნუ

გაუსვამთ, ნუ მიიღებთ საიდუმლო სახეს, გამოაცხადეთ ეს, როგორც ბუნებრივი ზომა წესიერების დასაცავად. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გზატკეცილის შუაგული პოლიციას უნდა დაუთმოთ. რომ ეს არ მოხდეს, მანიჟენტების რაზმების ორივე მხრიდან დააყენეთ დამაბრკოლებელი წახები.

კომიტეტის თავმჯდომარე ქკვიანი ბიჭი იყო. ის იღიმებოდა.

— მე თითქმის გავიგე, როგორია ამხანაგის გეგმა. რადგანაც მას არ უნდა მოგვეცეს განმარტება, მე არ შევაწუხებ მას. მაგრამ მას შეუძლია არხეინად იყოს. ჩვენ ყველა ზომებს მივიღებთ, რომ ამხანაგების განზრახვა ომნიბუსების საზოგადოებიდან არ დარჩეს უშედეგო.

კომიტეტის დანარჩენი წევრები სდუმდნენ და გაკვირვებით უცქერდნენ თავმჯდომარეს.

ის განაგრძობს:

— მაშასადამე, თქვენ გვავალეებთ, ამხანაგო, ხვალინდელ მოსამზადებელ მიტინგებზე, რომ ჩვენ უნდა მოველოდეთ სამი საათისთვის საშინელ გრგვინვას, რომელიც გადასწყვეტს დღის ბედ-იღბალს? ეს ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა ბევრნაირად. ერთი ის, რომ უსიტყვოთ მიიღებენ და შეასრულებენ თქვენს დავალებას. შემდეგ ისინი დაეცემიან ტყვიების ქვეშ და მაინც არ დაიხვევენ უკან.

მე უბასუხებ:

— გამოაცხადეთ: მე ამაში არაავითარ უხერხულობას არ ვხედავ. თუ თქვენ დღეს ეტყვიან მათ, მათი აზრი ამუშავდება და ისინი, ღმერთმა იცის, რას გამოიგონებენ. ამას გარდა მე ვშიშობ, პოლიციამ არაფერს მოკრას ყური.

ჩვენ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. მეორე დღეს, კვირას, სამის ოც წუთზე მე ჩავიარე ჩემი მანქანით იუსტიციის სასახლის საათთან. ორი წუთის შემდეგ მე ვიქნები სენ-მიშელის მოედანზე, გადმოვსხამ ჩემს მგზავრებს, მოვბრუნდები უკან და გავიქროლებ გაცეხულ კონტროლიორის ცხვირის წინ.

მე ძალიან ვღელავდი. ეკანკალებდი არა ნაკლებ, ვიდრე ჩემი მანქანის ცილინდრები. პარიზი მაშინებდა. იმავე დროს, თქვენ იცით, როგორ მშვიდია ის კვირაობით, ნაშუადღევის ორ საათზე. შეიძლება მე ეკანკალებდი მოუთმინლობისაგან, და არა შიშისაგან. მე ვფიქრობდი:

— ეხლა მიტინგები თავდება. რკინისგზელები გამოდიან; ისინი ავსებენ ქუჩებს; ერთდებიან, მიემართებიან შაპელის ქუჩისაკენ. გაფიცვის ხელმძღვანელები ცდილობენ, რომ უწყსობა არ მოხდეს; უშლიან წითელ დროშების გაშლას და ინტერნაციონალის სიმღერას. პოლიცია ცდილობს გარეკოს დემონსტრანტები, მაგრამ არ იჩენს განსაკუთრებულ აქტივობას. ისინი აყენებენ დამაბრკოლებელ რაზმს ორდენერის ქუჩიდან რიკეს ქუჩამდე. მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი ამ რაზმის სამი რიგი. უკან, საყდარის სიმაღლეზე, ფერდობზე, ჩიხებში მარცხნივ და განსაკუთრებით იქ, სადაც ფართოვდება ქუჩა, არიან პოლიციელები, შემდეგ ფეხოსანი ჯარი, მის წინ თოფების პირამიდები; და უკანასკნელად ცხენოსანი პოლიცია და გამზადებულნი საომრად დრაგუნები, რომელნიც ეფერებიან თავის ცხენებს.

მოვედი სენ-მიშელის მოედანზე. ჩემ ავტობუსში დარჩა კიდევ სამი მგზავრული „მნათობი“ № 4.

ვრი. კონდუქტორი რეკავს. მე მიმყავს მანქანა. მაგრამ ამის მაგივრად, რომ მარჯვნივ გაუხვიო, ნე უხევე სენ-მიშელის წყალ-საცავთან მარცხნივ, მივდივარ რომელიღაც საწყობის კედლის გასწვრივ, გადავქრი ბაქსის მანქანის ტრამვაის ცხვირის წინ და მივექანები ცენტრისკენ. მე ვფიქრობ, რომ არაფერს მიუქცევია ყურადღება ამისათვის. ისევ ჩავიქროლე იუსტიციის სასახლის ახლოს. იყო სამის ნახევარი.

ჩემმა კონდუქტორმა, რომელიც გულადი და მეტად საიმედო ბიჭია, ავტობუსის შესავალი ჩაკეტა სკამით. ჩვენ დიდებულად ვგრძნობდით თავს. ქუჩებზე-დაც სიმშვიდეა ამ დროს—კვირაობით.

ვადგენ ჩემთვის მარშრუტს. გადავქერი შატლეს მოედანი, გაუხვიე მარჯვნივ ვიკტორიას ავენიუზე და გავექანე.

ეტლები ხელს არ მიშლიდენ. მე არც ისე კარგად ვგრძნობდი თავს. ჩემი ურემი ცარიელი იყო. ასე მეგონა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი წონა და ძალღონე, თითქოს არა მაქვს უფლება დავიკავო ქუჩის შუაგული. ამის გარდა ეს ფართე, უდაბნო ავენიუ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე.

მე არასოდეს არ მქონია ზღვის ავადმყოფობა, მაგრამ ვფიქრობ რომ ჩემი მაშინდელი მდგომარეობა ანდაგვარი იყო. სხვათა შორის, მე ხშირად გამომიციდია ეს ავადმყოფობა კვირა დღით, მას შემდეგ, რაც შემოღებულ იქნა ყოველ-კვირული დასვენება.

თითქოს გული გადამიბრუნდება. ეს ცარიელი ქუჩები იწვევენ ჩემში პირის ღებას.

საბედნიეროდ, რატუშის მოედანზე შევამჩნიე ორი ცარიელი ავტობუსი, რომელნიც თავდავიწყებით მიჰქროდენ: ორი მანქანა ლენის ბაზრის ხაზიდან, როგორც მომეჩვენა. მე დამებადა სურვილი მივმხრობოდი მათ, მაგრამ ეს სახითათო იქნებოდა. უბრალო დღეებში ეს ქუჩა ნამდვილი ტბაა. არის შემთხვევა რომ მთელი ხუთმეტრი წუთით ჩაეფლობი ურემებში. მაგრამ კვირაობით სხვა სურათია. აქ სიჩუმეა, როგორც საყდარში.

ერთი წუთის შემდეგ მე გავჩნდი ხელოვნებათა და ხელობათა მუზეუმთან. მე შემეძლო, მგონი, კმაყოფილი ვყოფილიყავ. მაგრამ არა. მე ვგრძნობდი ხიფათს. მე საეჭვოდ და არა ბუნებრივად მიმაჩნდა ის, რომ ჩვენ ასე იოლად შევასრულეთ ყველაფერი. პარიზი ახდენდა დაგებულ მახის შთაბეჭდილებას. ის გავდა უფსკრულს, რომელსაც ხედავ სიზმარში და რომელშიდაც უთუოდ ვარდები.

მაგრამ აი, გამოვდივარ ბულვარებზე. აქ კვირა დღესაც სიცოცხლეა: რომ გადაჭრა ეს ბალები, საჭიროა ძალების დაჭიმვა. მე არ ვზოგავ თავს. ეს უფრო მამხნეებს.

გავცილდი სენ-მარტენის ჭიშკარს და განვაგრძობ ჩემ გზას წინა უბანში. ჩემს წინაა ორასი მეტრის დაშორებით სამი ავტობუსი.

მე ისევ განვიციდი აღელვებას. წინა უბანი წარმოადგენს გრძელსა და ფართე ქუჩას. ის იწვევს თქვენში სურვილს რაღაც შორეულისა და უზარმაზა-



რისას. არ ვიცი, ახდენს თუ არა ეს ქუჩა იმავე შთაბეჭდილებას გამგებლებზე. ასე მეგონა, რომ იერიშზე მივდიოდი. თვით სიკვდილიც ვერ შემაშინებდა.

მაგრამ მე არ მინდოდა დავწეოდი სამ ამახანაგს და წავსულიყავი მათზე გზით. უხვევ მარცხნივ და გავდივარ სტრასბურგის ბულვარზე.

აი მეზობელ ქუჩიდან გამოჩნდა მეორე ავტობუსი. ის მიჭკრის იმავე მიმართულებით, როგორც მე. მიყვები კვალდაკვალ. ის მიდის მადეენტის ბალით და შემდეგ მობეჯის ქუჩით.

მობეჯის ქუჩა არ მახარებს და არ მამხნეებს. ის აღმიძრავს სველიან ფიჭრებს ცხოვრების შესახებ, როგორც ქადაგება სულის საცხოვრებელ თემებზე. მე არ მაჯავრებდა ის გარემოება რომ ამახანაგი წინ არის.

მანძილი ჩვენს შორის იზრდებოდა. მე მინდოდა დამეყვირა მისთვის: „ნუ ჩქარობ! ჩვენ ძალიან ადრე მივალთ“. მაგრამ ისიც ანელებს სვლას. კონტრუქტორი დაიღუნება პლატფორმაზე, ეძებს რალაცას და შემდეგ გამოჰკიდებს უკან—კიბის მოაჯირზე:

1—4

„პირველი რაზმის შეოთხე ნომერი“ მე მზად ვიყავი ჩამეკოცნა ის. მეც ნელა მიმყავს მანქანა. ამოვიღე ცხრილი და გამოვკიდე რადიატორის წინ:

1—1

და ვაბრუნებ ფანჯარაში რომ ჩემმა კონტრუქტორმა იგივე გააკეთოს:

მაშინ ავტობუსი 1—4 კიდევ უფრო ანელებს სვლას, მიდის მარჯვნივ, მეც მიყვები მას. მანევრი იწყებოდა. ეს იყო კარგი. თითქოს ამის გარდა არაფერი გაგვეკეთებინოს ჩვენს სიცოცხლეში.

ქვაფენილზე იდგა ჯაშუში. ის გაკვირვებით გვიცქერის ჩვენ, იფხანს ცხვირს, თითქოს განმარტებას სთხოვს მას და ჯერ კიდევ არაფერს აპირებს.

სამს აკლდა ექვსი წუთი. მე მიმყავს მანქანა ძალიან ნელა, რომ მივიღე თავის დროზე. ქუჩაში არც ერთი ეტლი არ არის, მაგრამ ხალხის დიდი მოძრაობაა. იყო, მართალია, ხუთმეტრი თუ ოცი კაცი, მაგრამ ყველა ისინი ენერგიულად მიდიოდნენ ერთი მიმართულებით. ძნელი იყო თავის შეკავება, რომ არ წასულიყავი იქით, საითკენაც ისინი მიდიოდნენ.

ჩვენ გამოვდიოდით შაპელის ბალის კუთხეზე.

სამს უკლია ოთხი წუთი. მიმყავს მანქანა უფრო ნელა. მოსახვევი. მე ვხედავ ქვევით ბრბოს, რალაც მთლიანსა და ამოძრავებულს, მაგრამ არც ერთი შუშა ავტობუსის არ სჩანს. მე ოფლში გავიწურე. ვეკითხები ჩემს თავს:

— სად არის ჩვენი რაზმის დანარჩენი ექვსი ავტობუსი? ნუ თუ მიგვატოვეს? იქნებ რაიმე დაბრკოლება შეხვდათ?

მე ისევ საათს უცქერი. სამს უკლია სამი წუთი. „მათ ალბათ უნდათ სრულ სამზე მოსვლა“. ნით უკეთესი. პოლიცია ხელს ვერ შეგვიშლის.

მესმის ჩემს უკან საყვირის ხმა. ვიხედები. ორი ავტობუსი დიდი სიჩქარით გვეწევა. სჩანან ცხრილები. მოვასწარი წაკითხვა:

1—2

1—3

მე ვიღებ ჯიბიდან საფსტვენს და ვიძლევი ბრძანებას:

— „ორ-ორი! ნაბიჯით!“

„1—2“ ჩემს მარცხნივ დგება. „1—3“ და „1—4“ ჩემს მარჯვნივ დგება. ჩვენს საფარს უკნიდან.

მესმის მეორე საყვირი. ორი მანქანა მოექანება სტივენსონის ქუჩიდან. ალბად ისინი პოლიციას შეხვდნენ და ცხრილები არ გამოუკიდიათ. მე მივეცი ნიშანი ფსტვენით.

ცხრილები გამოჩნდნენ:

1—5

1—7

დიდებულა! ვიმეორებ ბრძანებას: „ორ-ორი!“

ისინი გვიერთდებიან ჩვენ. ასი მეტრით ვაყავით დაშორებული მოედანს. მე გაყრუებული ვიყავი, თვალბზე ნისლი მაწვებოდა. არ ვიცი, რომელი ძალა იყო ჩემი ხელმძღვანელი.

მესმის, რომ იქ აუარებელი ხალხია; მაგრამ იქ შევლავა, და არა დაბრკოლება. მე ისევ ვპოულობ სულიერ სიმშვიდეს.

რაზმის სისრულისათვის მე მაკლდა კიდევ ორი მანქანა. ჩემ საათზე სამს აკლდა ერთი წუთი. სხვა რაზმები, ალბად, შეიკრიბნენ და ელოდებიან ნიშანს. მე ვგრძნობ, რომ ისინი მარჯვნივ არიან.

ჩვენ მივდივართ წინ. ასე მგონია, რომ ხალხი შეუერთდა მიწას, სივრცეს. მე ვეძებდი მტერს და ვერავის ვხედავდი. მე არ მაოცებდა ეს.

გამოიქროლა ავტობუსმა სენ-დენის წინაუბნიდან. ცხრილი „1—6“. ხელით ნიშანს ვაძლევი, როგორ გააჩეროს და ბოლოში დადგეს. ის უჭერს მუხრუჭს, ძლიერ-ძლივობით არღვევს ხალხის გროვას და უკანასკნელად ჩერდება „ბუფდიუ ნორის“ წინ. ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას. მაკლია მხოლოდ ერთი კაცი.

როდესაც მე მოედნის შუა ნაწილს მივალწიე, დაეინახე მეორე რაზმი, რომელიც ტორტმანობდა ლუი ბლანის ქუჩის დასაწყისთან. ეს რაზმი გავდა ამოძრავებულ სახლებს.

ისევ ვფსტვენ და ბრძანებას ვიძლევი:

„ორ-ორი! წინ!“

მესმის, როგორ იმეორებს ბრძანებას მეორე რაზმის უფროსი, მესმის სახლების თრთოლვა.

შაპელის ქუჩა ჩვენს წინაა. მე მჭონდა ტვირთამწვევის განცდა, რომელიც ეძებს ადგილს, სადაც უნდა დასცალოს ყუთი ნახშირით.

ქვაფენილები არ სჩანდა. ორივე მხრიდან—აუარებელი ხალხი.

გზატკეცილი ტალახიანია, მაგრამ ზედ არ არის არც ეტლები, არც ტრამვაები, და არც დამაბრკოლებელი რაზმები.

ჩვენ თითქმის ნაბიჯით მივდიოდით, რომ რაზმი დაწყობილიყო ჩვენს უკან. მაწუხებდა ის, რომ არ შემიძლია უკან მოვიხედო და დავრწმუნდე, რომ წესიერება დაცულია. მხნედ ვიყავი, რადგანაც მესმოდა მოტორების და ბორბლების



ძლიერი ხმაური. გზატკეცილი და სახლები ისე კანკალებდნენ, თითქოს ჩვენ ხალხის პირში ვიყავით.

მაშინ ხალხი დარწმუნდა, რომ ჩვენ მართლა აქა ვართ. ეს ჩვენს უფრო და უფრო ძლიერდება და ედება ხალხს. ხალხი ბლავის. ირგვლივ ყვირილია.

უყვირი ჩემს მეზობელს, როგორც კი შემიძლია:

— აბა შეხედე, თუ შემოგვიერთდნენ რაზმები.

— დიახ. ვფიქრობ, რომ შემოგვიერთდენ.

მთავარი ის იყო, რომ არ დავქსაქსულიყავით. მე ვიძლევი ბრძანებას ფსტვენით:

— „შეკუმშეთ რიგები! მცირე მანძილი!“

ბრძანება მკაფიოდ ნეორდება სამჯერ. თუმცა მე არა ვარ დარწმუნებული ამაში.

ჩვენ მიუეჭანებოდით კიდევ ერთი წუთი ხალხის ორ კედელს შორის. ხალხი მატულობს, მაგრამ გზატკეცილის შუა გული თავისუფალია.

უცბად სამი პოლიციელი გადმოდის ქვაფენილიდან, დგება შუა ქუჩაში და ზევით ასწევს ხელებს.

მე უყვირი მეზობელს:

— ნუ მიაქცევ ყურადღებას! წადი!

ვიხედები წინ. თავისუფალი სივრცე ვიწროვდებოდა; ორას მეტრის მანძილზე ის ებჯინება მახვილი კუთხით ბრბოს, რომელსაც თითქოს შავი ხის სიმაგრე აქვს, თუმცა მე ვგრძნობდი ჩვენს ძალას, ვერ გამეგო, როგორ უნდა გაესულიყავით ამ ბრბოში.

პოლიციელების რაზმი არ სჩანდა.

ეს იყო უკანასკნელი წუთი, როცა მე ვგრძნობდი შიშს.

ამოვიღე საფსტვენი: დავფსტვინე.

— „ოთხ-ოთხი! წინ!“

ბრძანება გადადის რაზმიდან რაზმზე.

„1—2“ არის ჩემს მარცხნივ. ნეორე რიგი გაგვისწორდა ჩვენ. მე აღარ ვფიქრობდი სამ ფარაონზე. სად არიან ისინი?

ხალხი მთვრალი იყო სიხარულისაგან. დიახ! ის მძიმედ სუნთქავდა, როგორც ნასვამი ადამიანი. ის იბერებოდა, თითქოს უნდოდა გვტაკებოდა ჩვენ. შემდეგ ისევ უკან იხევდა.

მე ვიძლევი ბრძანებას:

„სრული ნაბიჯით!“ „დიდი მანძილი!“ „იერიშზე!“

პირველი რიგი მოწყდება ადგილიდან. უცბად თავისუფალი სივრცე ჩვენს წინ ფართოვდება. თითქოს უცნობმა ძალამ გახვრიტა ქუჩა და გაწმინდა იგი ხალხისაგან.

მაგრამ ხალხი ჩვენს უკან აღშფოთებული იყო. ის მობოდა მანქანების გვერდით, ებლაუჭებოდა მოაჯირებს, შემოდიოდა შიგ, ეკიდა იმპერიულზე. ღმუროდა ცილინდრებთან ერთად. თვითვეული ავტობუსი ივსებოდა ხალხით, და ყოველი ავტობუსი მოათრევდა ადამიანების მთელ გირლიანდებს. წარმოიდგინეთ ამ

მასის სანახაობა, რომელიც ლელავს კიდიდან კიდემდე, რომელიც გაქედლია ყველაფერი.

ჩვენ მივექანებოდით წინ, როგორც ზვავი.

თავისუფალი სივრცე უკან იხვედა. მაგრამ წინ დაბოკოლებია. პოლიციელების რაზმი.

დაუყვირე მეზობლებს:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას! წინ გასწით! წინ! დახუჭვით თვალები! შეჩავკიდე ხელები საჭეს ბორბლებს; მესმის მანქანების გრიალი, ყვირილი. თვალები დახუჭული მაქვს მთელი ოცდა ათი წუთი, როგორც გვირაბში. თვალებს ვახელ. პოლიციელები აღარ სჩანან. გასაოცრად ფართე და ცარიელი დაღმართი; ქვაფენილებიც კი ცარიელია.

მხოლოდ ქვევით, სადაც იწყება მოედანი, სდგას კავეალერია. რალაცამ გაივლება: პოლიციელებმა ამოიღეს ხმლები. ისინი იშლებიან: მოდიან თოხარიკით, ქენებით. ქუჩის სიღრმე თითქოს მოიწვეს ჩვენსკენ.

ჩვენი სიჩქარე მატულობდა. მანქანების კეხები გამაყრუებლად გრგვინავდნ. საჭე ცახცახებდა, როგორც დაქერილი ქურდი.

მაშინ მე ხელს ვუჭერ საყვირს: კიდევ და კიდევ. ჩემი მეზობლებიც იმასვე აკეთებენ; შემდეგ მეორე რიგი, შემდეგ მესამე და ასე ყველა. ერთი წამით არ შეწყვეტილა ეს მუსიკა.

თქვენ იცით, რა არის ავტობუსის საყვირის ბლავილი. მაგრამ თქვენ ისე ადვილად ვერ წარმოიდგენთ ორმოცდა ათი ავტობუსის საყვირის ბლავილს.

აი დრაგუნების ცხენები იწყებენ ცეკვას. ისინი ტრიალებენ, ფრთხებიან, ყალყზე დგებიან. ზოგიერთი წიხლს ისვრის, შედის ქვაფენილზე, ეტაკება ხეებს. დრაგუნები ეცემიან, დგებიან და გარბიან ქუდმოგლეჯილი.

მაგრამ ოცდა ათმა კაცმა მაინც მოახერხა ცხენების შეჩერება; ძლივს-ძლივობით გაასწორეს ფრონტი. უჭერდნ სადავეს; იგინებოდნ.

მაგრამ როდესაც ჩვენსა და მათ შორის დარჩა ათი მეტრის მანძილი, ცხენები მთლად გადაირიენ და გაცოფდნ. მე კარგად ვერ ვხედავდი; მაგრამ მომეჩვენა, რომ ისინი გაექანენ სხვა და სხვა მხარეს.

როგორც მოგახსენეთ, მე ვიყავი მარჯვნივ.

უცბად, თითქოს მიწიდან ამოდგრა ცხენი, რომელზედაც არ იყო მხედარი და გაჩნდა ჩემს ბორბლების ქვეშ. მე გადავიარე მანქანით ცხენზე. პირუტყვის სხეული იკლაკნება და გახტის სამ ნაბიჯზე. მე არ შემინელებია ნაბიჯი. ჩემმა მარჯვენა ბორბალმა გაიარა ცხენის კისერზე, მარცხენამ—მუცელზე. მე გადავიღუნე მარჯვნივ და დავეტაკე გაზის ფარანს. მე ვგრძნობ, რომ ის ტყდება; მაგრამ მე არ დავცემულვარ ისე ძლიერად; და მანქანის კეხი რბილად დაეშვა დიდ ხეზე.

მე ნარვალში ვარ; თითქოს არ დავშავებულვარ. წამოვიწიე ნიდაყვზე. ვიცქირები. საიერიშო რაზმი მოძრაობს. თითქოს მოძრაობდა ერთად ერთი მანქანა, რომელიც შექდგარი იყო ავტობუსებისაგან და ბრბოსაგან. ის არ ეხებო-

და ჩემს გადაბრუნებულ მანქანას და ღრმად შედიოდა მოედანში, როგორც სა-
ცობი გრაფინში. მე დავდექი მუხლებზე.

ყველაზე უფრო სასაცილო იყო ჩემი მანქანის უკანა ნაწილი, როგორც სა-
მოედნის მოაჯირებზე, კიბეზე და იმპერიალზე ხალხი ეკიდა, როგორც აბ-
რეშუმის ქია. შებადებოდა სურვილი მომეხვეტა ისინი პეშვებით.

ცხენის თავი ჩემს გვერდით დავინახე. იგი არწყევდა სისხლს. ჩემი შარვა-
ლი სოველი იყო. ავდექი, დავაპირე წასვლა. თუმცა წელზე ვიკიდებდი ხელს,
მაგრამ ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

გვერდით იღვა მიკიტანი თავის დაწესებულების წინ. ის დამწუხრებული
უცქერდა დამტვრეულ ფარანს.

მე ვეუბნები:

— ტირილი არ ღირს! ახალს დადგამენ!

და შევდივარ კონიაკის დასალევად.

— როგორ გათავდა ყველაფერი ეს?

— უმეტესობა ავტობუსების მივიდა სიმაგრეებამდე. ისეთებიც იყვნენ, რომ
ისეირნეს მიდამოებში და შემდეგ დაბრუნდნენ სხვა გზით.

— ხალხი რა იქნა?

— ხალხი გავარდა იმ გზით, რომელიც ჩვენ გავკაფეთ. მგონი ხუთი წუ-
თის შემდეგ პოლიციელთა დამაბრკოლებელი რაზმი აღდგენილი იყო და სამჯერ
უფრო გაძლიერებული. მაგრამ გვიან იყო. შაპელის მოედანი სწრაფათ აივსო
ხალხით და სადგურის შესავალი კარები აზანზარდნენ იერიშისაგან. სადგური
დაარბიეს ნაწილობრივ, ზოგიერთი საწყობები კიდევაც დასწვეს.

— თქვენ?

— მე ჩინებულათ ვიჯექი სამიკიტნოში. გარედან მოისმოდა ჯოჯოხეთუ-
რი ხმაური. მე ეს სრულიად არ მაინტერესებდა. შევექცეოდი კალვადოსს, რო-
მელიც შეუკვეთე კონიაკის შემდეგ.

— თქვენ არაფერი უსიამოვნობა გქონდათ?

— არა. ჩრდილოეთის საზოგადოებას და პოლიციას უნდოდა, რომ მე გა-
ვეცი ამხანაგებს. მაგრამ ომნიბუსების საზოგადოებას ეშინოდა გაფიცვის. საქ-
მე ჩააქრეს. მხოლოდ მე გადამიყვანეს მეეტლეთ, მომკეს მუშამბიანი ქული და
სანაგვე მოტორი.

ლინჩი როდინს ძუჩაზე

შოთერის ნაამბობმა აალაპარაკა ყველა; პირველად ლაპარაკობდნენ გა-
ფიცების შესახებ, შემდეგ დაიწყეს ბაასი გულადობასა და ძალმომრეობის
შესახებ.

— არიან ადამიანები, — სთქვა ტვირთამწვემა, — რომელნიც ბლზსაც არ გა-
იმეტებენ მოსაკლავად, ერთ მშვენიერ დღეს კი ოთხ ჯაშუშს დაამტვრევნენ ცხვირ-
პირს. სანამ თქვენ არ მოხედებით განსაზღვრულ პირობებში, თქვენ თვითონ
არ იცით, ვინ ხართ და რა ხართ.

ყველა დათანხმდა, რომ ბრბო თავისებურად სცვლის ადამიანს: ადამიანი

ბრბოში თითქოს ხელშეორეთ იბადება, და მაშინდელი მისი არსება/ ყველასათვის უცნობია. და განა ეს არსებაა?

— შეგიძლიათ იქონიოთ ამის შესახებ მსჯელობა იმის მიხედვით, რაც დაგეგმართა მე, სთქვა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც მსახურობდა ნავთსადგურში, ნახშირის ასაწონ განყოფილებაში.

ეს მოხდა როდის ქუჩაზე. იყო მშვენიერი შუადღე. არ ვიცი, ყოფილხართ თუ არა როდის ქუჩაზე. თქვენ მიდიხართ ანვერის ბაღით; სტოვებთ მარჯვნივ კალღენის კოლეეს; გადადიხართ ტრიუდენის ავენიუსს — და თქვენ როდის ქუჩაზე ხართ; ის განზეა ცენტრისაგან და თავდება შატოდენის, თუ მობევის ქუჩასთან. ეს არის ვიწრო ქუჩა მაღალი ნაცრისფერი სახლებით. ის ნათელია მხოლოდ მაშინ, როცა მას დასჩერებია შზე, ესე იგი დაახლოვებით შუადღისას.

იქ ბევრია პატარა მაღაზიები და არსად სჩანს ეტლები; გამვლელები ცოტა და ისინი ცალ-ცალკე მიჰყვებიან ერთმანეთს. ისინი სამსახურში მიდიან, ან ბრუნდებიან სამსახურიდან. როდის ქუჩაზე არავინ სეირნობს.

მაშინ მე ვმსახურობდი ჭურჭლის მაღაზიაში შატოდენის ქუჩაზე.

მე ჩემი ადამიანი ვარ. ჩემი ხელობა ისეთია, რომ სულ მცირე ნერვიულობა ავნებს მას: თქვენ შეგიძლიათ გატეხოთ ბევრი საქონელი ხუთი თვის განმავლობაში; როცა მე იქ ვმსახურობდი, მე არ გამიტეხია არც ერთი ჭიქა შამპანიურისათვის. მაგრამ ამ გარემოებამ არაერთარი სარგებლობა არ მომიტანა. მე დანიტხოვეს იმ მიზეზით, თითქოს მე გავტეხე ტუალეტის მარმარილოს დაფა წონით 80 კილო.

მე ვცხოვრობდი მონმარტრზე, საკრე-კერის საყდრის წინ. სახლში დავდიოდი, რომ შესაუზმა და ვბრუნდებოდი მაღაზიაში ანვერის ბაღით და როდის ქუჩით. როგორც მოგახსენეთ, იმ დღეს საუცხოვო ამინდი იყო. ბაღში თამაშობდნენ ბავშვები. მე გუშინდელი დღიდან აღარ ვატარებდი პალტოს; ვიყიდე სიგარა სამ გროშად; მე აღრე გამოვედი სახლიდან. მივდიოდი ნელი ნაბიჯით და ვტკბებოდი კარგი ამინდით.

როდესაც მე გადავდიოდი ტრიუდენის ავენიუსს, მარცხნიდან შუა ქუჩაში გამოვიდა ორი სუბიექტი. ორი ნამდვილი აბაში: კვპკა გრძელი კოხირიოკით, საფეთქელზე გადმოშვებული თმა, ტიტველი კისერი, ფართე შარვალი, პარუსინის ტუფლები ფეხზე და გამომწვევი სახე. წმინდა ჯიში. თვითნებური მათგანი ოცი წლის იქნებოდა. ისინი დადიოდნენ ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილი, თითქოს მოწყენილი იყვენ და გასართობს ეძებდნენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ავენიუ ტრიუდენი მდიდარი ქუჩაა. აქ თქვენ შეხვდებით ძიძებს, კარგად ჩაცმულ ბავშვებს, მანდილოსნებს, რომელნიც დადიან პატარა ნაბიჯით, და შამაკაცებს კოტელოკებში და ცილინდრებში. ერთი სიტყვით ქუჩას იქ სულ სხვა სანახაობა აქვს.

ტრიუდენის ავენიუზე, ორი მოსეირნე აბაში, თავისთავად იქცევს ყურადღებას.

ეს ორი ვაებატონი სუნთქავს ჰაერს, შეჩერდება და შემდეგ მიდის როდის ქუჩისკენ. რადგანაც მე არ შეჩერებოდა, შევანელე ნაბიჯი და თვალი

ავადვენე აპაშებს. ერთი მათგანი იყო განსაკუთრებით შესანიშნავი. ^{როგორც} ^{სახე,} ვარდისფერი კანი, უწვერ-ულვაშო, მსხვილი გაშეშებული კისერი, ^{ბრიალა თვა-} ^{ლები და დაღებული ტუჩი,} რომელიც მზადაა გინებისათვის. მეორე ^{უფრო} ^{სუსტი} ^{მხდარი} იყო, შევარდნილ უკანურობით და მუცლით, თითქოს ის მუდამ მოელოდა თავდასხმას.

ქუჩის დასაწყისში, მარჯვნივ, არის წიგნების სავაქრო, რომელიც ვაჭრობს შემთხვევითი და ახალი წიგნებით. აპაშები ჩერდებიან გამოფენის წინ, უყურებენ წიგნებს, სინჯავენ ყდას, სურათებს, ჰკრავენ ხელს ერთმანეთს, აქნევენ ხელებს, და უკანასკნელად დაადგდნენ მიწაზე ერთ ლექსიკონს. წიგნის გამყიდველი ფანჯრიდან უცქერის მათ, არაფერს ამბობს, შემდეგ გამოდის გარეთ და დააშტერდება მათ.

აპაშები მიიღებენ უდარდელ სახეს და გადადიან მეორე ქვაფენილზე.

იქ იყო სიძველეებით მოვაჭრე, ალბად, ახლაც იქ არის; ბებერი ებრაელი, მათუსაილის სახით, რომელიც მუდამ ჟაკეტში, ან სერთუკში იყო და მოხვეჭილი ჰქონდა საერთო პატივისცემა. ის ყიდდა ყველაფერს: ავეჯეულობას, დამტვრეულ რკინას, ველოსიპედებს; აი ამ დროს მთელი მისი ვიტრინა ეჭირა ლამაზ ველოსიპედს დიდი საყვირით.

აპაშები ჩერდებიან და ემასხრებიან ებრაელს იმის იმედით, რომ ებრაელი უპასუხებს მათ.

ებრაელი სდუმს; ის მხოლოდ იცქირება ქუჩისკენ, თითქოს სურს დარწმუნდეს, მოეხმარებიან თუ არა მას ვაჭირვების დროს.

გამვლელები მიდიან თავისი გზით, ისინი უმთავრესად მეორე ქვაფენილზე არიან და არ აქცევენ ყურადღებას იმას, რაც ხდება. მაგრამ ებრაელმა ბავშებმა, რომელნიც შორი-ახლო თამაშობდნენ, მიატოვეს თავისი ბურთები და იცქირებიან სერიოზული სახით.

აი მსხვილი აპაში ნიდის ველოსიპედთან და ხელს დააქერს საყვირს.

საყირის ხმაზე აპაშები ხარხარებენ; ებრაელი ბავშვები არ იცინოდნენ; მოხუცი კი:

— დაიკარგეთ აქედან! ჯიბგირებო!

— გაჩუმდი! თორემ წვერებს დაგათხრი, ბებერო თხა! ხა! ბებერი ურია! ხა! პაპუასი!

მოხუცს ტუჩები აუკანკალდა, მაგრამ ის ცდილობდა თავი შეეკავებინა. მე დავიწყე განგებ აფიშის კითხვა და ვაბოლებდი ჩემ სიგარას.

აპაშები ისევ დაიძრენ; მიაღწიეს როდიეს ქუჩის იმ ადგილს, სადაც მას გადასჭრის მეორე ქუჩა—არ მახსოვს მისი სახელი—იქ არის პურის საცხობი.

მე კარგად მახსოვს ნათელი მზე, რომელიც აფრქვევდა თავის სხივებს ღუქანსა და გზატკეცილზე.

თითქოს მე ვიყავი ჩუნ, პროვინციალურ ქალაქში. ქალი აწყობდა ფუნთუშებს და ნამცხვრებს.

აპაშები მივიდნენ გზაჯვარედინთან. იმათ ისეთი სახე აქვთ, თითქოს შეთქმულებას აწყობენ.

უცქერიან პურის საცხობს და უცბად შედიან; წინ მსუქანი, უკან გამხდარი. რასაკვირველია, მე არ გამიგონია, რას ლაპარაკობდნენ იქ, პურის საცხობში. მე არც დამინახავს კარგად ისინი, ვინაიდან ვიტყვინებ, უცბად გაბრწყინებული იყო.

უცბად ისინი გამოდიან, თვითუფლს მათგანს გემრიელი ფუნთუში უჭირავს ხელში, ისინი იკბიჩებიან და ხარხარებენ. ქალი უყვირის მათ:

— ქურდებო! თქვენ ქურდები ხართ! რად შემოდინხართ დუქანში, თუ ერთი გროში არ გაგაჩნიათ.

ქალი დაკმაყოფილდა ამ სიტყვებით და დუქანში დაბრუნდა. ქალმა წინამდღევანობა გაუწია, მაგარამ ის კმაყოფილი იყო, რომ ასე იოლად მოიცილა აპაშები.

ქუჩაში, თითქოს, ეს ამბავი არავის შეუმჩნევია. ისინი, ვინც სამსახურში მიდიოდა, განაგრძობდნენ თავის გზას, მიკიტანი რეცხავდა მარმარილოს მაგიდას, რომელიც მან ნარვალთან მიათრია, ნოქარი კი საწვრიმალოდან სწონიდა ცერცვს.

აპაშები უახლოვდებიან სამიკიტნოს. როდესაც ისინი შედიან, მიკიტანი უყვირის:

— საით მიდინხართ?

— საით მივდივართ? შენთან ბებერო!

— თქვენ აქ საქმე არა გაქვთ.

და ის განაგრძობს მაგიდის წმენდას; მისი მუშტი აღელვებულად ებლაუქებოდა ჩვარს, ჩვარი კი ერთ და იმავე ადგილს სწმენდა.

— როგორ თუ საქმე არა გვაქვს? განა შენ არ ჩამოგვისხამ თითო ჭიქას?

— მე არა მაქვს ჭიქა მათთვის, ვისაც ფული არა აქვს.

— ჩვენ გვაქვს ფული! შეიძლება უფრო მეტი, ვიდრე შენ! ჩვენ მოწყალებას არ ვითხოვთ. რას იბერები, რა ამბავია!

ისინი თითქოს გაბედულად ლაპარაკობდნენ და იმავე დროს სიფრთხილით უცქერდნენ მიკიტანს, ჰატარა ჩაფსკვნილ ოვერნელს, რომელიც მაგრად იდგა თავის ფეხებზე, რგვალთავიანი და გაპარსული, გამოყვლეფილი თვალებით. ის აღარ რეცხავდა მაგიდას და ეჭირა იგი თავისი თათებით; მე ვგრძნობდი: კიდევ ერთი წუთი, და მიკიტანი ამ მაგიდას ესვრის სახეში აპაშებს.

აპაშებს ეტყობოდათ, რომ ეშინოდათ. ისინი გამოვიდნენ ქუჩაში ბუზლუნით და მხრების ქნევით.

მე ვფიქრობ, რომ გამხდარი აპაში უფრო ფრთხილი იყო. იმას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უნდოდა ეთქვა მსუქან ამბანაგისათვის:

„კმარა! კმარა!“

მაგრამ მსუქანი აპაში, ვარდისფერი, როგორც უსუსური ბავში, არ მალავდა თავის გულისწყრომას. ის ბუზლუნებდა!

— აი, შე საძაგელო! არამზადა!

გამხდარი აპაში წინ მიდის და მიაბიჯებს როდიეს ქუჩაზე. მსუქანი აღის

ქვაფენილზე საწვრიმალღო ღუქანთან, ჩერდება გამოფენის ემტვრევა რძიან ქოთნებს.

შემდეგ ის შეამჩნევს ტომარს კარტოფილით.

— ა! კარტოფილი!

ის აიღებს ერთ კარტოფილს და ესვრის ამხანაგს, რომელიც დაიწყებს ხარხარს.

გამხდარი აპაში ეუბნება მსუქანს:

წავიდეთ! გეყოფა!

მსუქანი აიღებს მეორე კარტოფილს და ხელმეორედ ესვრის ამხანაგს. კიდევ მესამედ, მეოთხედ. გამხდარი აპაში იღებს დავარდნილ კარტოფილებს და თვითონაც უშენს საპასუხოდ. კარტოფილის სეტყვა იორივე მხრიდან.

გამვლელებსაც ხვდება კარტოფილი, მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ. ზოგიერთი კიდევაც იღიმება ძალდატანებით.

ნოქარი უცქერის ამ სურათს სასოწარკვეთით; პატრონი ბრაზობს. მისი ცოლი მსუქანი, კარვად გამოწყობილი ქალაა, მას ჰკიდია ძვირფასი ქვები, ის ემუდარება ქმარს ღუქანში შესვლას.

მე ვფიქრობდი:

„საკვირველია, რომ ეს ამბავი ხდება დღისით! სად არის პოლიცია?“

თუ შეეშინდათ აპაშებს, რომ საქმე, ბოლოს და ბოლოს, ცუდათ შებრუნდება? არ ვიცი. მხოლოდ ისინი სტოვებენ კარტოფილს და მიდიან შუა ქუჩაში, ხელი-ხელ ჩაკიდებული, გამომწვევი სახით.

მე ამოვიღე საათი. გვიან იყო. ამის გარდა, მე დიდხანს უცქირე მათ თავგასულობას. წარმოიდგინეთ, როგორი ამპარტავანი იყვნენ ისინი. მათ დააშინეს მთელი ქუჩა დღის პირველ საათზე. მათ ჰქონდათ კეთილი ხელმწიფის სახე. ისინი ჩვენ სიბრაღულით გვიცქერდნენ და თითქოს გვეუბნებოდნენ: „რადგანაც თქვენი ყოფაქცევა მოსაწონი იყო, გიწყალობებთ პატიებას.“

მე ავანქარე ნაბიჯი. გავასწარი მათ.

როდესაც მე გაუსწორდი ერთ მაღაზიას, შევკრთი, თითქოს ელექტრონის ძალისაგან. მე არავინ შემხებია, არავის დაუყვირია; მაგრამ მე ავკანკალდი, თითქოს ტრამვაის მავთული დამეცა.

მე ვიხედები უკან. ძნელი გადმოსაცემია ის, რაც მე დავინახე. მოულოდნელად ქუჩა დაეტაკა იმ ორ აპაშს ისე, როგორც მაგალითად მე ხელი წამეჭირებინოს ყულში წიწილასათვის. არ თქმულა არც ერთი სიტყვა. თვალის დახამხამებაში ქუჩამ ფეხ-ქვეშ მოიგდო ისინი.

ხალხი გაეშურა ორივე ქვაფენილიდან.

რად მოხდა ეს მაინცადამაინც ამ დროს? რად არ მოხდა უფრო ადრე, ან უფრო გვიან? გამვლელები, ვაჭრები, ადამიანები ფარტუკებში, პიდუაკებში. ხმაურობა და ყვირილი არ ყოფილა. თქვენ მხოლოდ ხედავდით, როგორ ტრიალებდნენ ელვის სისწრაფით ჰაერში მუშტები და ჯოხები.

აპაშები არ სჩანდნენ. ისინი მოიტაცა ადამიანთა მორგვმა. მორგვი იზრდებოდა და ნელა მიეჭანებოდა მობეჩის ქუჩისაკენ.



მე ვცდილობდი დამეკავებინა თავი, მაგრამ მაინც ჩამითრიო ამ მორგემა. უცბად მე მივეტმასნე მას. მე ვაკრაქუნებ კბილებს, ვმოქმედებ მუშტით და ჯოხით; მე ხშირად ვსუნთქავ; ვხროტინებ.

ჩვენ ვეშვებოდით უფრო და უფრო მეტი სიჩქარით. გამოვარდით მობეუის ქუჩაზე და დავიკავეთ ივი. ტრამვაები და ავტომობილები ჩერდებიან. ცხენები ფრთხებიან.

ჩვენ ერთ სიტყვას არ ვამბობთ, მაგრამ მუშტები, ჯოხები და ქოლგები მოქმედებენ ელვისებური სისწრაფით. აპაწები არ სჩანან, ისინი არიან მორგვის ქვეშ.

ქალა ალაშიანა

შემდეგ კვირაში ბენენი და ბრუდიე ეწვიენ ნავთსადგურს და საელჩოს ლესიურის თანხლებით. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ერთად ერთი მუშტარი იჯდა კუთხეში დაფიქრებულად. ის იყო სათვალევებში, რამოდენიმედ ნახმარ შავ ფაქეტში. მთელი მისი პოზა ამტკიცებდა მის შინაგან თავდაქურთლობას, და მისი გამოხედვა ახდენდა შთაბეჭდილებას.

— მგონი ის სადღაც მინახავს, — სთქვა ბრუდიემ.

— შენ, ალბად, ცდები, — უპასუხა ბენენმა.

მამასახლისმა სთქვა:

— სასიამოვნოა, რომ თქვენ მოდით, ბატონებო. აქ, მართალი ვითხრათ, მოწყენაა. ჩემს სტუმარს იმ მაგიდასთან არაფერი დარჩენოდა, გარდა თითების ტრიალისა. ჩვეულებრივად აქ არ არის ასეთი მოწყენა.

სტუმარმა პროტესტი განაცხადა. მისთვის საჭმალა მამასახლისის კამპანია, რომ თავი დააღწიოს ავ ფიქრებს. მაგრამ, რასაკვირველია, მისთვის სასიამოვნოა ახალი სტუმრების მოსვლა.

ასეთი ზრდილობიანი შესავალის შემდეგ ბაასმა მიიღო ინტიმური ხასიათი. დაიწყო ლაპარაკი ამინდზე, რომელიც ამ ბოლო ხანებში წვიმიანი იყო. შემდეგ, სტუმარმა შავ ფაქეტში სთქვა, რომ ძალიან უყვარს ნავთსადგური; თავისი მოთხოვნებით მოზელის აუზის შესახებ მან დაიმსახურა სიმპატია ბენენის და ბრუდიესი; ლესიური მან მოხიბლა თავისი მსჯელობით ლაპის ქუჩის და სენტ-ანტუანის წინა უბნის შესახებ.

— მე ხშირად ვარ ამ ნაწილში და ხანდახან შემოვდივარ საელჩოში. მაგრამ მხოლოდ ერთხელ, თუ ორჯერ მქონდა შენთხვევა ვყოფილიყავი აქ თქვენთან ერთად. მე ვთავისუფლდები სამსახურისაგან გვიან. ერთხელ მე დიდი სიამოვნებით მოვისმინე მოთხოვნა, პირადი მოგონებანი ერთი აღელვების შესახებ. თქვენ არ დაგინახავართ, რადგანაც გატაცებული იყავით მოთხოვით, მაგრამ მე მადლობელი ვარ ამ შემთხვევის.

ბაასმა მეტად ინტიმური ხასიათი მიიღო. ეს ცარიელი დარბაზი, მოახლოვებული საღამო ისეთ გუნებას ჰქმნიდენ, რომ ყველას უნდოდა აეხადა ფარდა თავის სულის საიდუმლოებისათვის. სტუმარმა ფაქეტში, დაიწყო ლაპარაკი თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე:

— გარეგნულად ჩემი ცხოვრება ღარიბია და მარტივია თავიდან ბოლომდე, და მე ვფიქრობ, რომ ეს შთაბეჭდილება არსებითად სწორია. ჩემი წარსული აღნიშნულია აქა იქ დიდი მოვლენებით, რომელთა გავლენას მე დღემდე განვიცდი; მე ვფიქრობ, რომ ეს ამბები იყო დიდი და მნიშვნელოვანი მხოლოდ ჩემთვის. მაგრამ ხანდახან მე ვეუბნები ჩემს თავს, რომ არაფერი არ ყოფილა. ეს ექვი, ეს დაუჯერებლობა საშინელია. მე მინდა ჭეშმარიტად ვიცოდე ყველაფერი. დიდ სამსახურს გამიწევს ის, ვინც მომეხმარება. რა კარგი იქნება ეს ჩემი კეთილდღეობისათვის. მაგრამ ვინ უნდა გამიწიოს ეს სამსახური? ვინ?

მე არასდროს არ ვთვლიდი ჩემ თავს არა ჩვეულებრივ ადამიანად. სანამ თქვენ ახალგაზრდა ხართ, თქვენ არა გაქვთ სწორი წარმოდგენა საკუთარ თავზე; მხოლოდ უფრო გვიან მოგონებები დაგაყენებენ შესაფერ ადგილზე. მე არ ვფიქრობ, რომ იყო განსხვავება ჩემსა და პირველ შემხვედრის შორის.

მე არც ის ვიყავი, ვისაც ეძახიან ნერვიულ ბავშვს. მართალია, მე ხანდახან ვიჩენდი ხედმეტ სიფიცხეს, სასოწარკვეთას, უბრალოდ ჯავრი მომდიოდა. მაგრამ ეს ყველას ემართება. ყველაზე უფრო დიდი ნერვიული აშლა, რომელიც მე გამოვცადე, ორ თვეზე მეტს არ გაგრძელებულა. მე განუწყვეტლივ მენძროდა მარცხენა თვალი. როგორც ხედავთ, ეს არაფერი არ არის შედარებით წმინდა ვიტტის ცეკვასთან, ისტერიასთან და თვითმკვლელობაზე ფიქრებთან.

სკოლაში მე საშუალო მოწაფე ვიყავი. მე არ მთვლიდენ უნიჭოთ, მაგრამ ჩემი ნაკლი იყო გაბნეულობა და მორცხვობა. მღვდლები, რომელნიც კატეხიზს მასწავლიდენ, იმავე საყვედურით მომმართავდენ. მე სერიოზულად ვეპყრობოდი აღსარებას; საუბედუროთ მე უმიზეზოდ ვიბნეოდი და ვჩერდებოდი ყველაზე უფრო საინტერესო მომენტში.

როგორ დაიწყო ის, რის შესახებ მე თქვენ გელაპარაკებით? ჩემთვის ძნელია პასუხის მოცემა ამ კითხვაზე. ალბად იყო რაიმე ნიშნები, რომლებსაც მე თავის დროზე არ მივაქციე ყურადღება. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ რალაც სასწაულის მსგავსი, მაგრამ ეს დაუჯერებელია.

რამოდენიმე ხნის განმავლობაში მე განვიცდიდი სევდას და ყოველ დღით, გაღვიძებისას, ვსვამდი საკითხს, რა მოგველის ჩვენ სიკვდილის შემდეგ. შემდეგ მე ავად გავხდი: ხანგრძლივი გრიპი, რომელიც გადაიქცა ბრონხიტად. მე არ დამიტოვებია ჩემი ოთახი ორი თუ სამი კვირის განმავლობაში. ერთხელ ნაშუადღევს მე ვსერიანობდი ბელვილის ბორცვებზე. მე არაფერი არ დამმართია. მაგრამ მე პირველად გამოვცადე ზოგიერთი გრძნობები, და მე მქონდა შეგნება, რომ მე ისეთი რამ გავიგე, რაც წინად იქნებოდა ჩემთვის უაზრო და შემდეგ არასდროს არ ყოფილა უმნიშვნელო.

დროგამოშვებით ვინმე უცნობი გზას გადამიჭრიდა, ან ჩემს ახლოს მოდიოდა. ერთი თავის სახლის კარებთან იდგა, მეორე — დაყრდნობილი, ფანჯარიდან იყურებოდა. ერთ ბავშვს ეგონა, რომ შეუძლია შედგას თავისი საბო ორ სიბჭვაზე. არასდროს ასეთ წვრიმალეებს არ მოუხდენია ჩემზე ასეთი უშუალო და ძლიერი შთაბეჭდილება. მე მეგონა, რომ დიდი მანძილით დაშორებული ვარ

ადამიანებისაგან, რომ მათგან, უახლოესი რაღაც ნაცრისფერი სიგოცით დაშორებულია ჩემგან; და უცბად ისინი უშუალოდ გამოჩნდებოდნენ. ჩემს წინაშე, ჩემსა და მათ შორის არაფერია არც არსებობდა: მანძილი — დაბნა, გაორთქლდა, როგორც სუნთქვა. მე ვგრძნობდი, რომ მე უფრო უცნო ვარ მათთვის, ვიდრე ქვეები და ღრუბლები და იმავე დროს ვგრძნობდი, რომ მე ისე ვარ დაკავშირებული მათ მოძრაობასთან, ხსოვნასთან, მომავალთან, თითქო არა ჩემი, არამედ მათი ნაბიჯი მიმაქროლებს წინ.

რამოდენიმე დღის შემდეგ მე გავემგზავრე პარიზიდან შალონში — მარნაზე ჩქარი მატარებლის მეორე კლასით. ჩვენ ვისხედით ძვირფას, დერეფნიან რონოდაში, მზე ჩადიოდა. მისი სხივები ავსებდნენ კუბეს და ჰქმნიდნენ რაღაც სიდიადეს. მგზავრები, თითქოს მუხლებს იკეცავდნენ, რომ მეტი ადგილი დაეთმოთ სინათლისათვის.

დერეფანში ფანჯრები ოფლით შეიმოსენ. ვიღაც უცნობს ზურგი შემოექცია ჩვენთვის და ეწეოდა სივარას. მან გაწმინდა შუშის შუა ადგილი ფარდის ბოლოთი და იყურებოდა ფანჯარაში. მე არ დამვიწყებია მისი ნაცრისფერი ტანისამოსი ინგლისური მაუდისაგან, მიტლეკილი თმა, მისი ბრწყინვალე მანეტები, მისი მედიდური სახე, რომელიც თრთოლვას იწვევდა ჩემში. ის ეწეოდა და უცქერდა მიდამოებს. თუმცა მას ზურგი მოქცეული ჰქონდა ჩემთვის, მისი მოყვანილობა, კისერი და ყელსახვევი შეადგენდნენ განსაკუთრებულ არსებას, რომელიც ზევიდან ქვევით გვიცქერდა ჩვენ. ბოსტნის საფრთხობელა, რომელმაც მოინდომა უცბად ფრანტის როლი შეესრულებინა.

ის მაჯავრებდა; მე ის რეგვენად მიმაჩნდა; მე ოპტიმისტი ვიყავი, ის კი არღვევდა ჩემ წარმოდგენას ცხოვრებაზე. მე ვცდილობდი არ მეცქირა მისთვის; მაგრამ უნებლიეთ ჩემი ცქერა უბრუნდებოდა მის ზურგს. ჩემი თვალები ჩერდებოდნენ მასზე თითქმის სიძულვილით. მე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ ჩემი ცქერა არის რაღაც ნივთიერი, რომელიც მშორდება მე, გადადის ჰაერში და მძლავრად ესობა ამ უცნობ სხეულში.

მე უცქერდი მას ასეთი დაჟინებით ორი წუთის განმავლობაში; უცბად მან დაიწყო კისერის და მხრების ქნევა, თითქოს მას ეს ნაწილი, ძალიან ეფხანებოდა. შემდეგ ის ენერგიულად შეიბრა, როგორც ძალი, რომელსაც უნდა რწყილებიდან განთავისუფლდეს, და ისევ მიიღო მშვიდი პოზა.

ამ მოძრაობის გარდა მასში არაფერი არ გამოცვლილა; ხანდახან ის სწევდა სივარას და უყურებდა არე-მარეს. ჩემთვის გაურკვეველი იყო ჩემი მდგომარეობა; კიდევ ცოტა, და მე ხარხარს დავიწყებდი, ან დაველაპარაკებოდი ჩემს მეზობელს.

მე ვცადე გამერთო თავი გზის მაჩვენებლის კითხვით, რომელიც იყო პატარა მაგიდაზე. მაგრამ მე ვერ დავინტერესდი მისი შინაარსით; მე არ მესმოდა, რას ვკითხულობდი. უკანასკნელად ჩემი თვალები უბრუნდებიან დერეფანში მდგარ ადამიანს და ჩერდებიან მასზე რაღაც დაჟინებით და გახელებით. მე ვიყავი ჩემი ნების გარეშე, თითქოს გატაცებული გარეშე ძალით. ჩემმა ცქერამ მონახა ის ადგილი მხრებს შუა, სადაც იწყება კისერი; ჩაებლაუკა მას და



არ მოსცილდა. მე გამოვცადე თითქოს ნეტარება, რომლისაც მრცხვენოდა და რომლის გამო უხერხულობას ვგრძნობდი.

უცხად ის შეინძრევა უფრო ენერგიულად, ვიდრე პირველად, მისი ნიშნობა უფრო თრთოლვასა ჰგავს, ის იხედება უკან. ის იხედება ჩრგვლივ, შედიღურად და იმავე დროს აღშფოთებულად. მას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რალაცას დაეძებდა კუბეში.

მე ისევ ვკითხულობ გზის მაჩვენებელს. მე აღელვებული ვიყავი: გული მიცემდა ჩქარა და მკაფიოდ, მე არ მქონია გარკვეული აზრი; ვმოქმედებდი და არ ვმსჯელობდი. მინდოდა ვყოფილიყავი სხვა ადგილას.

შემდეგ უცნობმა მიიღო ჩვეულებრივი პოზა, მე დავმშვიდდი. თანდათან მიბრუნდება სულიერი სიმშვიდე. ვათავებ იმით, რომ ვეუბნები ჩემს თავს: „რა სისულელეა! არაფერი არ მომხდარა. ყოველივე ჩემი მოგონილია“.

მთელი ხუთი წუთის განმავლობაში მე დაშვებული მქონდა თავი წიგნზე. მე თითქმის მეშინოდა თავის აწევა და ჩემი თვალებით სარგებლობა. ბოლოს და ბოლოს მე ისევ გავაგდე ალბომი ხელიდან და დერეფანში დავიწყე ცქერა.

ამ შემთხვევაში მე წინდაწინ ვიცოდი, რომ ეფექტს მოვახდენდი, ვიცოდი არა გონებით, არამედ იმ ცოდნით და დარწმუნებით, რომელიც მე ხშირად გამომიციდია სიზმარში. სიზმარში მე მინახავს ჩემი თავი მდინარესთან: საჭირო იყო მისი გადასვლა, ხიდი კი არ იყო. მაგრამ ნაკმაო იყო მომენდომებია მდინარეზე გადასვლა: ხიდი სწრაფად გაჩნდებოდა და მე მეორე ნაპირზე გავდიოდი. მოვლენა არ არის უცხო თქვენთვის. ის ისე უშუალოდ და ინტიმურად არის დამოკიდებული თქვენგან, რომ წარმოსახვა და რეალობა თითქმის ერთი და იგივეა.

როგორც კი შევხედე უცნობს ნაცრისფერში, მან მოიხედა. მაგრამ ახლა მისი თვალები არ დაეძებდენ, ეს თვალები პირდაპირ ჩემსკენ იყო მომართული; ისინი არ იყვენ არც გაჯავრებული, არც გამომწვევი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი იყვენ შეშინებული და გატანჯული. მათ სიღრმეში მე ვხედავდი იმ არსების სასოწარკვეთას, რომელიც დამარცხებულია უბრძოლველად და რომელიც შებრალებას ითხოვს. მისი თვალების გამომეტყველება ისეთ კონტრასტს წარმოადგენდა მისი სახის ჩვეულებრივ გამომეტყველებასთან და ხასიათთან! მან თვითონ არ იცოდა ეს. მე ვფიქრობ, რომ მან არ იცოდა, როგორი მორჩილი და საბრალო იყო მისი თვალები: მისი სიამაყე ამას ვერ შეურიგდებოდა.

ერთი სიტყვით, მან გადააგდო სიგარა, დასტოვა ფანჯარა და მიიმალა მეზობელ კუბეში.

მე სული მოვითქვი. უფრო აღელვებული მაინც მე ვიყავი, და არა ის.

რა იყო ეს მისთვის? გაუგებარი და უმნიშვნელო შემთხვევა. ახლა, ალბად, ის დაბრუნდა თავის ადგილზე, დამშვიდდა, გაშალა გაზეთი და უთხრა თავის თავს: „ამ ბაიუშმა ნერვები ამიშალა“, და უკვე აღარ ფიქრობს ჩემზე.

მე კი ვიყავი ხედმიწევნით აღშფოთებული. ფიქრები ამეშალა. მე ვერ ვნახულობდი საგნებს მათ ჩვეულებრივ ადგილზე. წარმოიდგინეთ მოტორი, რომელიც გაფუჭდა თავისი საკუთარი ნჯღრევის გამო. ყველა ნაწილები იშლებიან.

ის აზრები, რომელიც მიმაჩნდენ მე საფუძვლიან, პრაქტიკულ აზრებად, უცხად არა საიზედო გამოდგენ. მე ველარ ვარჩევდი, რა იყო მართალი, და რა იყო ყალბი; რა შეიძლება და რა არ შეიძლება; მე ვაფასებდი განსხვავების გრძნობა სინამდვილისა და ოცნების შორის; ჩემსა და დანარჩენი ქვეყნის შორის. რად მოძრაობდა მატარებელი? რად არ მიდიოდა ის უფრო ჩქარა, ან უფრო ნელა? რა მიმაქანებს წინ, როდესაც ერთ ადგილზე ვზივარ, როგორც საკუთარ ოთახში? ყველა ჩვეულებრივი ნივთები სასწაულად მეჩვენებოდენ; და პირიქით, მე მზად ვიყავი დამეჯერებინა ყოველი სასწაული. მე თითქოს ვხედავდი დასაყრდნობს, რომელიც არის მსოფლიოს ნაწილებს შუა. მე მხოლოდ უნდა დავწოლოდი ამ დასაყრდნობს.

როდესაც ამას ვიგონებ, ყოველთვის გამოცეხული ვარ. რამ ამაღელვებ ასე? რა სისულელეა! არაერთი სასწაული არ მომხდარა. გარეგნულად ჩემი ამაღვი სრულიად ჩვეულებრივი იყო. ალბად, მისი შინაგანი შინაარსი იმალებოდა სიღრმეში.

სალამოს, -არ მახსოვს, გავჩერდი თუ არა გზაში—მე ჩამოვედი ვერდენში. რონოდაში მომხდარ ამბის შემდეგ, მგონი, არაფერი ყოფილა ღირსშესანიშნავი. მე ვხედავ ჩემს თავს ვერდენში, მე გამოვდივარ სადგურიდან—პატარა ქუჩიან კოლოფიდან, რომელიც ყარდა, როგორც ყველის ყუთი. გამოვედი გაუნათებელ მოედანზე და დაჯინახე რაღაც ძველებური ეტლი, რომელიც არც ტრამვაის ჰგავდა, და არც ომნიბუსს. ამდაგვარი არსად არაფერი მინახავს, გარდა ტარენტისა იტალიაში.

მე დავიკავე ადგილი. თანდათან აივსო დანარჩენი სკამები. მე ძლივს ვარჩევდი მათ. მთელ განათებას წარმოადგენდა პატარა ზეთის ლამპა. როდესაც ომნიბუსი საკმაოდ გაივსო, მე ომნიბუსე ავიდა თავის მოედანზე, ხელი მოკიდა ალვირს, შეასრულა მრავალი რთული მანიპულიაცია, შეუტია ცხენებს და დაუკრა საყვირი. უკანასკნელად ეტლი აგრიალდა. მე ისე ვიჯექი, რომ შემეძლო დამენახა გზა. პირველად ის ნაკლებად მაინტერესებდა. მე ვიხედებოდი ჩემს მეზობლებისაკენ. მე უსმენდი მათ. ერთმა მოხუცებულმა სოჭვა ხმადაბლა:

— მე ვფიქრობ, რომ დღეს ერომი დაღეულია. მე მივეცი მას ჩემი საბარგო მოწმობა, მან-კი ვერ ნახა ჩემი ჩემოდანი.

ყველა მგზავრები, თითქოს, იზიარებდენ მოხუცის აზრს. მე მივხვდი, რომ ერომი მეომნიბუსეა და დაუწყე მას ცქერა. ვხედავდი მხოლოდ მის ზურგს. მისი დათრობა, თუ ის მართლა მთვრალი იყო, არ იყო მისაბვედრი უცხო ადამიანისათვის, როგორც მე ვიყავი. კარგად უნდა იცნობდე ერომს, ვფიქრობდი მე, რომ დააბრალო მას ლოთობა. ცხენებს ეტყობოდათ, რომ ზეპირად იცოდენ გზა. ეტლი მოძრაობდა ძალიან ნელა, დიდი ხმაურობით, მაგრამ ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მხოლოდ ერომი საყვირს უკრავდა ძალიან ხშირად, თუმცა ქუჩაში არავინ იყო.

ჩვენ გავიარეთ სიმაგრეები. გავჩერდით. ჩვენს წინ —კარგად განათებული ქუჩაა, ალბად ეს არის ვერდენის მთავარი ქუჩა. მარჯვნივ ბნელი ქუჩა, რომელიც, ალბად, მიდის სიმაგრეების შინაგან მხარის გასწვრივ.



უცბად მე დამებადა უცნაური ახრი. მე ვფიქრობ: „იმის მანგივლია რომ ჩვენ მივდივართ მთავარი ქუჩით, რომელიც ჰგავს სხვა ქუჩებს, და რომელიც ჩქარა მიგვიყვანს ჩემ სასტუმრომდე, უფრო საინტერესო იქნებოდა თუ იქნებოდა ან ბნელ ქუჩაში და წავსულიყავით წინ უგზო-უკვლოთ“.

მე ამას ვფიქრობდი დაეინებით, დიდი ნდომით, ჩვენ დავიძარიო. მე ვიხედებოდი მეეტლის ნოედნისაკენ.

უცბად მთავარი ქუჩის შესავალთან, ერომი მოსწევს აღვირს და იქნევს მათრახს. ცხენები ძლივს-ძლივობით იხევენ უკან, ომნიბუსი კინალამ გადაბრუნდა, და ჩვენ მივემართებით ბნელი ქუჩით.

მგზავრები გამოფხიზლდნენ თვლემისაგან.

— რაშია საქმე?

— სად ეშმაკებში მივყავართ?

— ხომ გითხარიო, რომ ის დალეულია.

— იქნებ გზა დაკავებულია შეკეთების განო?

— ან და ერომს უნდა აქ დატოვოს რამე ბარჯი?

— ეს არ არის საკმაო მიზეზი.

მე ვიხედებოდი წინ. მარცხნივ, ორმოცდა ათი მეტრის მანძილზე, წინ, სადაც ფარანია, მე ვარკვევ რაღაც ქუჩას. შინაგანი ხმა შეუბნება მე: „უნდა წავიდეთ ამ ქუჩით, ჩვენ წავალთ ამ ქუჩით“.

ომნიბუსმა გაიარა ორმოცდა ათი მეტრი და მარცხნივ შეუხვია.

მგზავრები ამბობენ:

— შეხედეთ, ერომმა შეუხვია ამ და ან ქუჩაზე (და ისინი ასახელებდნენ ქუჩას, რომელიც მე არ მახსოვს). რა დაეშართა!

მე ვიყურებოდი წინ. ჩემი ყურადღება მიიბყრო გხატკეცილის ქვების და კედლების მოძრაობამ. მე ხედნიწევნით განვიცდიდი ჩვენს მოგზაურობას და მარშრუტს. მე არ ვფიქრობდი არც ცხენებზე, არც ერომზე. მაგრამ ცხენების თვითეულ ნაბიჯის შემდეგ მე უფრო და უფრო მეტ დამშვიდებას ვგრძნობდი.

ასე მივდივართ ჩვენ რამოდენიმე ხანი. ქუჩა ნომწონდა მე. მარცხნივ მოსჩანს კიდევ სხვა ქუჩა, მაგრამ ის არ მაინტერესებს. ჩვენ მას გვერდი აუხვივთ. მაგრამ აი გამოჩნდა ქუჩა მარჯვნივ. არ ვიცი რატომ, ეს ქუჩა მხიბლავს და ჩემში რაღაც ხმა ლაპარაკობს: „მარჯვნივ!“

მე ისეთ უცნაურ მდგომარეობაში ვიყავი, რომ, როდესაც ცხენები გაუსწორდნენ ამ ქუჩას, და მიუხვიეს მისკენ, მე სრულიად არ განკვირვებია. მაგრამ მგზავრები აღელდნენ:

— ერომმა ჭკუა დაკარგა!

— ის გადაირია!

— უნდა უთხრათ!

ერთი მგზავრი აღვა და მიდის ერომისაკენ. მაშინ მე დაეინებით უცქერი მიგზავრს. როგორი გამომეტყველებით? არ ვიცი. მაგრამ ის ჩერდება, მისი ენერგია კარგავს თავის ძალას, თითქოს მთელი მისი ტანი რბილდება, და ის

დარცხენილი, როგორც ადამიანი, რომელიც დაიჭირეს ზოროტბაქმელების ჩადენის დროს, უღონოდ ეშვება სკამზე.

დანარჩენები, თითქოს სიტყვა მიუციათ ერთმანეთს, მაგრამ მე ვუძღვებ ამ იერიშს, თუმცა აუარებელი ენერჯია მეხარჯება; მაგრამ მე მათზე ძლიერი ვარ, მე ვგრძნობ, როგორ მარცხდებიან ისინი; და ყველა ეს ადამიანები, რომელნიც დგებოდნენ, საყვედურებს ამბობდნენ ჟერომის შესახებ, ღუმლებიან და ისევ ჯდებიან განადგურებულნი. ჩემს წინ საცოდავი, პროვინციული ომნიბუსია, ღარიბად განათებული.

ამ მომენტიდან მე აღარ მაინტერესებს ომნიბუსი. მე დავხუჭე თვალები, და დავიწყე ფიქრი გარეშე საგნებზე.

ჟერომი, ბოლოს და ბოლოს, მოვიდა გონზე და ნახა ნამდვილი ვხა, რადგანაც რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ გავიარეთ ხიდი და ქალაქის ცენტრში ამოვყავით თავი. მე ჩამოვედი და მივაშურე სასტუმროს, რომლის სახელწოდება იყო „სამი კაროლი“, თუ „სამი მავრი“. ამით გათავდა ყველაფერი.

შეიძლება თქვენ გაიკვიროთ ეს, მაგრამ მე არ მქონია მეორე დღეს სურვილი გამემეორებინა ჩემი ექსპერიმენტები, მე მოგონებაც კი არ მინდოდა წინანდელი დღის ამბებისა, შეუდექი ჩემი საქმეების მოგვარებას.

ორი კვირის შემდეგ მე უკან დავბრუნდი და გამოვდიოდი რონოდიდან პარიზში, აღმოსავლურ სადგურზე, იყო საღამო, ექვსის ნახევარი. პირველად მე მინდოდა წავსულიყავი სენ-მიშელის მოედანზე. მივდივარ მეტროსთან. დაკეტილი მოაჯირები, განცხადება, რომლის წინ გროვდება ხალხი. განცხადება იუწყებოდა, რომ ცენტრალურ სადგურზე რაღაც წახდა, ნაკადი შეწყვეტილია; მატარებლები არ დადიან.

მივდივარ ტრამვაისკენ: მონრუე—აღმოსავლური სადგური. ხალხი ათასობით აწყდებოდა კანტორას. სანამ მიაღწევდი ბილეთებიან ავტომატამდე გავიდოდა ოცი წუთი. შემდეგ?

მე უარს ვამბობ რიგში დგომაზე და მიინდა ფეხით წავიდე სტრასბურგის ბულვარით. დიდძალი ხალხია! მეტროს მატარებლები დაიცალენ, ხალხი მიაწვა ქუჩებს, სადაც ტევა არ იყო. ნორმალური მოძრაობა დარღვეული იყო. ყველა უხერხულად გრძნობდა თავს. თითქოს ყველაფერი აირია. ამის გარდა—ბინდი, მაცდური და მოღალატე. ელექტრონი არ სჩანდა არც მაღაზიებში, და არც ბაღის ფარნებში. ბეჭუტავდნენ მხოლოდ გაზის მოციმციმე ენები. სურათი თანდათან უფრო გასაოცარი იყო. სევასტოპოლის ბაღი სცურავდა რაღაც ამღვრეულ წვენიში.

დიდ, გასტრონომიულ მაღაზიის წინა ვარ. აქ, ალბად, იყო საკუთარი ელექტრონის სადგური. შიგ ყველაფერი განათებული იყო დამაბრმავებელი სინათლით. მარმარილოს მაგიდები იზნიქებოდნენ ყავისფერ, წითელ და ვარდისფერ ლორების სინძიმის ქვეშ. გამოფენაზე ყვავილებს შორის ეკიდა შაშხები, ხობები, ქათმები.

ისინი, თითქოს ქაჩავდნენ თოკებს, რომლებზედაც ეკიდნ და დამძიმებულ



ჩაყოფების მსგავსად ჩამოვარდნა უნდოდათ. მიუშვირეთ მხოლოდ ხელები, ან წინსაფარი.

ბულვარი სრულიად წავი იყო. მთელი ხალხის თვალები მისკვნილნი იყვნენ. მეც უყურებდი მას. ის თავხედი და მეტად ამპარტავანი იყო. მე მინდოდა ამ სავაჭროზე გამომეცადა ჩემი ძალა.

ვჩერდები; ვიხევი სკამისაკენ, ქვაფენილის ახლოს. მე დავეყრდნე ხელებით სკამს. მალაზიისა და ჩემს შორის ფუსფუსებდა ხალხი. მე უყურებდი განათებულ მალაზიას, ლორებს და ელექტროს ფარნებს. მე თვით არ ვიცოდი, როგორი სურვილით ვიყავი გატაცებული. მე არ ვმსჯელობდი, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ იფრქვევა ჩემი არსების სიღრმიდან ენერჯია. მე თვითონ ამის გამო ძლივს ვიდექი ფეხზე, ვკანკალებდი.

მე ვერ გეტყვით დანამდვილებით, ვხედავდი რამეს თუ არა. ჩემი თვალები არ მემსახურებოდენ ხედვისათვის. ისინი ისვროდენ საკვირველი სისწრაფით ენერჯიას, რომლის უხვი, პირდაპირ დაუნრეტელი წყარო ვიყავი მე.

თანდათანობით ხალხს დაეტყო ცვლილება. მან უფრო შეანელა თავისი მოძრაობა; ის უფრო ჯგუფდებოდა, თითქოს ტრიალებდა თავის ირგვლივ. ადამიანები არ იცვლებოდენ.

უცბად პირდაპირ ჩემს წინ, საითკენაც მიმართულია ჩემი ცეცხრა, გამოჩნდება ხელი. ის ორიოდე მოძრაობის შემდეგ იტაცებს დაკიდებულ ლორს. მთელი წყება ჩამოწყდება და ერთი ლორი გატეხავს ელექტრონის ბურთს.

მაშინ უფრო ჩქარი ტემპით განვითარდა ეს გპიზოდი. მე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ ბრბო იტაცებს ჩამოვარდნილ ლორებს, სტეხს ფარნებს, აქცევს მაგიდებს. მაგრამ სიამოვნების გრძნობა უფრო ძლიერი იყო, თითქოს ბრბომ დააჩუმა სურვილი, რომელიც მახრჩობდა მე. ენერჯია, რომლითაც მე ავსილი ვიყავი, გამოდიოდა ჩემი არსებიდან და ეს მეტად სასურველი იყო ჩემთვის. ჩემი განცდა ისეთი ძლიერი იყო, რომ მე ვერაფერს ვხედავდი და არაფერი მესმოდა. მე უკვე არ მქონდა კავშირი იმ მოვლენის ფორმასთან, გარეგნობასთან, ზედაპირთან, რომელსაც ეჭირა განსაზღვრული ადგილი. მე ვიყავი ამ მოვლენის შუაგულში. იცით, მე სრულიად გამტანჯა ამ მოთხრობამ, ისე ძნელია ჩემთვის მკაფიოდ ასახვა იმის, რაც მოხდა. მე ვგრძნობ ძარღვების დაჭინვას, როდესაც ვცვები ამ ამბავს; ეს მტკივნეული მოგონება... ამის გარდა მე ვფიქრობ, რომ მე არ უნდა გამემხილა თქვენთვის ეს ამბავი, თითქოს მე ამით შეურაცხავყოფ ჩემი სულის წმიდათა წმინდას. კიდევ ცოტა და მე შეგიძლებათ თქვენ.

ლ რ მ ი

ერთ საღამოს, ცხრის ნახევარზე მე ვიყავი შემთხვევით კლიშის მოედანზე, იპოდრომთან. შორიდან მოსჩანდა გუმბათი, რომელიც შემოსილი იყო ანთებულ არშიებით. იქ გაემართა თავისი წარმოდგენა ლომების დამაცხრობელს.

შესავალთან იდგა ბრბო. რამდენად მახსოვს, იყო შაბათი. თვითნებური კარი ნელი-ნელ ყლაპავდა ხალხს, პატარა პორციებით.

მე ჩავდექი რიგში, რომ ამელო იატუფასიანი ბილეთი. მე არ მქონდა ბილეთის ადების იმედი. მაგრამ ეს არ მაწუხებდა. მე ნომწონდა უკანასკნელ ხანში ის, რაც წინად მიუღებელი იყო ჩემთვის. მახსოვს მსწინჯინ ტყეში შლიაპა, რომელიც ეხურა თავზე ჩემს წინ მდგომ მსუჭან ქალს, რომელიც მობად, ალობელ ხილის დუქნის პატრონი იყო. მე დიდხანს უყურებდი ამ შლიაპას და ულაღავი ინტერესით. მე მინდოდა შემესწავლა ის დაწვრილებით, განეგო მისი კონსტრუქციის პრინციპი. მე ვფიქრობდი, რომ ეს შლიაპა ფარავს შესანიშნავ საიდუმლოს და ადამიანის ჭკუის დამამტკიცებელია.

მე ვიყავი უკანასკნელი, ვინც სალაროსთან მიუშვეს. პატარა რყევის შემდეგ პოლიციელის ხელი დაეშვა ჩემს უკან, და არა ჩემს წინ, როგორც მე ამის მეშინოდა. მე ვიშოვე ადგილი ამფითეატრის უკანასკნელ რიგში, სცენის პირდაპირ. მე კარგად ვხედავდი ყველაფერს. მოელი დარბაზი იშლებოდა ჩემს წინ და მე პირდაპირ უცქეროდი სცენას.

არ მახსოვს, რითი დაიწყო წარმოდგენა. მე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი არც სცენას, და არც მეზობლებს. მაგრამ მე ბედნიერი ვიყავი, საუცხოვოდ ვგრძნობდი თავს. მე ვტკბებოდი სანახაობით, უსაზღვროდ მახარებდა ეს დარბაზი, ხალხით გატენილი და გაბრწყინებული. თქვენთვის ძნელია იმ ნეტარების წარმოდგენა, რომელსაც მე განვიცდიდი ამ სურათისაგან. ამ გრძნობის შედარება შეიძლება შორეულად იმ სიამოვნებასთან, რომელსაც მე განვიცდიდი ველოსიპედით სეირნობის დროს, ან და ნავზე. როდესაც თქვენ ველოსიპედი მიგყავთ, თქვენ განიცდით სიამოვნებას, რომელიც ამოდის პირდაპირ მიწიდან და დამოკიდებულია მიწისა და თქვენი ენერჯის ურთიერთობისაგან. ამ სიამოვნების წყაროა არა გარეგან საგნების სახე, და არა თქვენი კუნთების თარეში; არა. თქვენ კმაყოფილი ხართ, რომ მიწის ზედაპირის ერთი ნაწილი დაკავშირებულია თქვენთან. მიწის სიმაგრე, მისი ფერდობები, ნაოჭები იწვევენ თქვენში სურვილს უკბინოთ მას, რაც მეტად სასიამოვნოა.

მაგრამ ჩემმა თვალებმა დაიწყეს ცალკე საგნების ათვისება.

მე გავხედე სცენას. ის ძალიან ფართე იყო. მისი სიღრმე დაკავებული მქონდა გალიებს, წინიდან კი, ავანსცენაზე იდგა ორივე მხრიდან ორი გალია.

მარცხნივ გალიაში იყო თავისი მხეცებით დამაცხრობელი, წითლად გამოწყობილი. ის ახტუნებდა მხეცებს. მე შევამჩნიე, რომ მხეცები ღონიერი იყვნენ. მათ არ მქონდათ საცოდავი, ქლექიანი სანახაობა, როგორც არიან ისინი საბაზრო ბალაგანებში.

მარჯვენა გალიაში მეფობდა ვეებერთელა ლომი, ბრწყინვალე ბალნით, მოკაშკაშე თვალებით: ქეშპარიტად დიდებული მხეცი. გალიის აბლოს, ნახევრად დაფარული ფარდით, იჯდა ტაბურეტზე ცირკის მსახური.

არ ვიცი რატომ, ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო სცენის ამ კუთხისაკენ. მისი წვრიმალეები დამებატენ უფრო მკაფიოდ, როგორც ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, რომელიც განიცდის აღმომჩენის გავლენას. ეს წვრიმალეები თანდათან მეტ ინდივიდუალობას და სიმარტივეს იჩენდენ. მიუხედავად მანძილისა, გალიის კონსტრუქცია სჩანდა ძალიან კარგად. მე ვამჩნევდი ბერელებს დაფებს

შორის და სისხლის კვალს. კარი იყო წინიდან. ის იკეტებოდა გარედან დიდი რკინის ჯოხით.

რას შერებოდენ ამ დროს დამაცხრობელი და მისი მხეცეები? მისი მხეცეები ტერუსებდა ეს. ხალხი, მგონი, ტაშს უკრავდა. მე კი არ ვაშორებდი თვალს კაღისას, იქ მჯდომ ადამიანს და ლომს. ლომი იჯდა გალიის შუაგულში, იქნევდა კუდს; მისი სხეული სრულიად უძრავი იყო, თითქოს ვგრძნობდი მის სუნს.

მე წარმოვიდგინე ის მოძრაობა, რომელიც საჭიროა, რომ გაალო გალია. ყველაფერი წარმოვიდგინე მკაფიოდ; მე ვსუდავდი, ან განვიცდიდი თანდათანობით ყოველ მოძრაობას: გალიას უახლოვდებიან, აიღებენ ხელში რკინის ჯოხს, განზე გასწევენ მას... ამის შემდეგ მე არაფერს არ წარმოვიდგენდი, ეს საკმარისი იყო ჩემთვის. რამოდენიმეჯერ გამიელვა ამ პროცედურამ; და ყოველთვის მოძრაობათა წარმოდგენა უფრო ცხადი იყო; ჩემი არსება აივსო ამ წარმოდგენით და გაიქცა თითქმის.

ამის გამო მე განვიცდიდი დიდ დაღლილობას. მაშინ მე ცოტათი გადავიყვანე განზე ჩემი ცქერა. იმის მაგივრად, რომ უცქირო გალიას, მე უცქერი ადამიანს ტაბურეტზე. მე თითქოს სული მოვითქვი, თითქოს გავთავისუფლდი სიმძინისაგან, თითქოს გასკდა ჩემ ტანზე მუწუკი.

მაგრამ აქ თქვენ არ დამიჯერებთ. ადამიანი ადგა ნელა, უხერხულად. მისი მოძრაობა რამოდენიმედ აჩქარებული იყო. ის მიუახლოვდა გალიას. გააშვირა მარჯვენა ხელი. გაალო კარი.

ლომი ერთწამს იცქირება. სუნთქავს ჰაერს; შემდეგ დადგება თათებზე, გამოდის გალიიდან და გადმოხტება ავანსცენაზე.

მხოლოდ ამ დროს შეამჩნია დარბაზში მომხდარი ამბავი. ხუთმა ათასმა კაცმა უცბად დაიყვირა: „უი!“ ლომი გაჩერდა სცენის ნაპირთან, წინა თათებით რამბას მიებჯინა, ორი ნეტრის ნაწილზე დივნების რიგიდან და თითქოს ფიქრობდა—რა ექნა.

მახსოვს, მე ავხტი ჩემ სკამზე და დავიყვირე, მაგრამ მე ალბად ვფიქრობდი, და არ ვყვიროდი; ვანა გაიგონებდენ ჩემ სუსტ ხმას ამ დარბაზის გრიგალში?—„ჩუმიად! არ დაიძრათ ადგილიდან!“

როდესაც მე ახლა ვფიქრობ ამაზე, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ შესაძლებელი და ბუნებრივი იყო მხოლოდ ერთი: მთელი ეს ბრბო ავარდება თავის ადგილიდან, გაეშურება გასავალისკენ, მოხდება ჩოჩქოლი, ბრძოლა. ერთი სიტყვით პანიკა და მრავალი მსხვერპლი.

მაგრამ მოხდა შემდეგი: ბრბო გაჩუმდა. დარბაზში უცბად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც საყდარში. არავინ განძრეულა. ლომი კიდევ რყევაში იყო, ვერაფერი გადაეწყვიტა. მარცხნივ გალიაში ლამაზი დამაცხრობელი გაქვავდა, როგორც ქანდაკება, თავის მხეცებს შუა, რომელნიც აღარ დაბტოდენ.

მაშინ მე ვიგრძენი, რომ ვივსები ძალით, რომელიც აღემატება ადამიანის ძალას. იმისი თქმა, რომ „მე ვიგრძენი ჩემი თავი ათჯერ და ოცჯერ უფრო ძლიერად“, არაფერს არ ნიშნავს.

ახლა თქვენ გაიგონებთ უდიდეს უაზრობას: რასაკვირველია, მე არასდროს არ მქონია ფოლადიან გემის ცხვირის სიმაგრე, ან ორთქლმავალის მკერდი. მაგრამ ეს შედარება თუ ბრიყუულად არ მოგეჩვენებათ, წარმოიდგინეთ, რას უნდა გრძნობდეს ორთქლმავალის წინა ნაწილი, ან სამხედრო გემის ცხვირი, როცა ის ძალიან ჩქარა მიდის. თქვენ ეს გესმით? ადამიანი პატარა ნივთია, ის იწონის რამოდენიმე კილოს. მაგრამ თქვენ გრძნობთ თქვენს უკან, ზურგში, უზარმაზარ სიმძლავრეს, რომელიც სულ მატულობს, იზრდება და გროვდება თქვენს არსებაში; თქვენი ხელაპიროს ყოველი მილიმეტრი ითვისებს ზარბაზნის ყუმბარის ძალას.

მე უცქეროდი ლომს; მე დავჩხვლიტე მისი სხეული ჩემი თვალებით; მეგონა, რომ ის სრულიად ახლოა ჩემგან; მე მქონდა გრძნობა, რომ ვეხები საგანს, რომელიც თქვენს გვერდითაა.

პირველად ლომი შეტოკდა; მისი კუნთები კისრიდან კულამდე დაიჭიმნენ; თითქოს მისი ტანი იწვოდა იმ ადვილზე, სადაც ესობოდა ჩემი ცქერა.

შემდეგ ის მოიკრუნჩხა, გამოსწია კისერი და ორჯერ თუ სამჯერ მარჯვნივ და მარცხნივ წაიღო კისერი.

მისი ტანი დაიჭიმა, გაიღუნა, როგორც მშვილდის ლარი, თითქოს მას აწვებოდა უცნობი ძალა.

მე არ შემინელებია იერიში; უცქერდი უფრო და უფრო დაყინებით.

მხეცის ტანი რამოდენიმეჯერ შეტორტმანდა. მან დაიწყო კუდის ქნევა; მალლა ასწია თავი; თვალები თითქმის გადმოცვენაზე მქონდა; მან დააღო პირი ნახევრად; გაისმა მძლავრი, მაგრამ ნელი და თითქმის უხმო ხვნემა.

შემდეგ თათებით დაებლაუჭა იატაკს.

და უცბად გაიშხლართა მიწაზე.



ქართული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხატვრობა
და
კუბლიცისტიკა



იოსებ დავითაშვილის შაბოკადავა

ამა წლის მარტის 26 შესრულდა 40 წელი დავითაშვილის გარდაცვალების შემდეგ. დავითაშვილი დიდათ საინტერესო მოვლენაა, როგორც ჩვენს ლიტერატურაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის მიერ ნაფიქრი და ნაგრძნობი მკაფიოდ ახასიათებს ქართული ცხოვრების ერთ ფრიად მნიშვნელოვან საუფხურს.

ის პოეტური მარგალიტები, რომელიც წრფელის გრძნობით და ნათელის აზრით დააპნია მშრომელი ხალხის გულის სიღრმიდან ამონაგლეჯმა პრიმიტივმა, ერთი ათად საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს იმ გარემოების განო, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს უბრალო მუშის — ყოფილი ყმის თვალსაზრისთან, რომელიც მთელ მაშინდელ ცხოვრებას თავისებურად, მუშისათვის დამახასიათებლად უდგება.

დავითაშვილის აზრები და გრძნობები იმავე დროს ჩვენი მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟს გვიხასიათებენ. მისი ნააზრვეი აშკარად ატარებს ახლად ჩასახულ მოვლენის ნიშანდობლივ თვისებებს.

ყმა-მგოსნის შემოქმედებამ ამისთანავე მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მთელ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელმაც იროდიონ ევდოშვილის მეთაურობით მე 19 საუკუნეში უმეტ-ნაკლოდ ასაბა ქართველი მუშისა და გლეხის ყოფაცხოვრება და იდეალები.

ბოლოს, დავითაშვილი უაღრესად საინტერესო მოვლენაა, როგორც ხალხური უბრალოების მაგალითი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთაბორცვებიდან ნიჭიერად ეხმაურებოდა დასავლეთის კლასიკურ უბრალოებას, გრძნობისა და აზრის სიმარტივის მფლობელს — აკაკის.

დავითაშვილის პოეტური შემოქმედება ჯერ სათანადოთ არ ყოფილა დაფასებული, ჩვენი მიზანია ამ ხარვეზის შევსების საქმეში მცირედი წვლილის შეტანა. მაგრამ ჯერ დავახასიათოთ ის გარემო, რომელშიც ჩვენი პოეტის ნიჭმა გაშალა ფრთები.

1.

იოსებ დავითაშვილის პირველი ლექსი 1877 წლით არის დათარიღებული: საშინელ მატერიალურ პირობებში მცხოვრებ პოეტს მალე მოესწრაფა სიცოცხლის დღენი — მისმა ქნარმა უკანასკნელად 1887 წლის გაზაფხულზე ამოიტირა. სულ ათიოდე წელიწადი გაგრძელდა მგოსნის ლიტერატურული მოღვაწეობა, რომ-

მელშიც ისე აისახა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ერთ წვეთ წყალში. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში—37 წლის გარდაცვალებულ მგოსანს ერთი წუთიც კი არ ქონებია ისეთი, რომ ქვეყნის მართლმართლზე არ ეფიქრა და რომ კიდევ დასცლოდა, ეჭვი არ არის, რომ უდიდეს კვალს დასტოვებდა ქართული საზოგადოებრიობის ასპარეზზე, კვალს ორიგინალურს და, რაც მთავარია, მუშის ხელით გავლებულს. მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიც მან საკმაო თავისებურობა გამოიჩინა და მის მოწამებრივი სახეც მიმზიდველად გამოიყურება წარსულის ხვეულებიდან.

გასული საუკუნის 80 წლები დიდად მნიშვნელოვანი ხანაა ქართველი ერის სოციალურ ცხოვრებაში. ამ წერტილში ჩვენი სინამდვილის მრავალი ხაზი შეუერთდა ერთი მეორეს, რის ნიადაგზე აზროვნებაც საკმაოდ გამძაფრდა და ჩამოყალიბდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ საფეხურს ერთი მთავარი მოვლენა ახასიათებს. ეს მოვლენა მთელი ეპოქის ღერძია, დანარჩენი საკითხები კი ამ ღერძის ტრიალში აღიძვრიან.

ოთხმოციან წლებისათვის ქართული ცხოვრების მამოძრავებელ საკითხად ბატონყმური მეურნეობის ფაქტიური დარღვევა და მშრომელი მაჯის—გლეხობის ფეოდალურ უღლიდან თავის დაღწევის პროცესი უნდა ჩაითვალოს. მართალია, ბატონყმობა 1864 წელს გადავარდა, მაგრამ ეს აქტი კარგა ხნის განმავლობაში ქალაქებში მომხდარი ამბავი იყო და სინამდვილეში გარდასვლა ნელ-ნელა ხდებოდა. ის არ ყოფილა რევოლუციონურის ბრძოლითა და ყივინით მონაპოვარი, არა იგი ზევიდან იყო ნაწყალობევი და, როგორც ასეთი, აუჩქარებლივ მიჰყვანავდა ქვეყნს.

ყოველივე ეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ჩამორჩენით აიხსნება. მართალია, რუსეთიდან თუ ევროპიდან ჩვენში შემოჭრილი სავაჭრო კაპიტალი უკვე სამოც წელიწადზე მეტს მოქმედებდა, მაგრამ მისი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე ძლიერ ნაკლები იყო და ფეოდალური ყოფა-ცხოვრება 70 წლებშიც კი თითქმის ხელუხლებელი იყო. ამიტომ ქალაქური ცხოვრებაც ნაკლებად იყო განვითარებული, ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობდა და ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა მემამულის მიწა-წყალზე. გლეხმა არ იცოდა რა იყო ქარხანა და ფაბრიკა, თვალითაც კი არ ენახა რკინის გზა და ძალიან ნაკლებად იცნობდა საქონლის მეურნეობას: რაც სჭირდებოდა, თითქმის ყველაფერს შინ აკეთებდა და ბაზარზე გასვლა მისთვის საჭირო არ იყო.

1864 წლის აკტმა მას, მართალია, უსაზღვრო აღტაცება მოჰგვარა, მთელის არსებით იგრძნო მისი განმანადგურებელი მონობის ჯაჭვების დაგლეჯა, მაგრამ მეორეს მხრივ უდიდესი გაურკვეველობის გრძნობაც შექნა: სად უნდა წასულიყო განთავისუფლებული გლეხი—ისევ სოფლად განეგრძო მუშაობა, თუ ქალაქისათვის მიეშურებია?

ეს განთავისუფლებაც რაღაც საეჭვო და გაურკვეველი იყო: მან მიიღო პირადი თავისუფლება, ხოლო ეკონომიურად ჯერ ისევ მემამულისაგან იყო დამოკიდებული, როგორც დროებით ვალდებული.



ეს გარემოებაც საკმაოდ აძლიერებდა მერყეობასა და გაუგებრობას. მაგრამ ვადის დრო და ჩვენი გლახობაც თანდათან ერკვევა; ნელნელა გრძნობს თუბ-ქვეშ დასაყრდნობ ნიადაგს, ჰქმნის საკუთარ მეურნეობას და ფანჯრის მიღწევა-ლად ებმება ახალი, ქალაქური ცხოვრების პროცესში. ირლვევა ფეოდალური კარ-მიდამო და მის ადგილს ახალი კულტურის ცენტრი — ქალაქი იჭერს.

და ჩვენმა გლახობამაც თანდათან იბურნა პირი ახალი ლამპრისაკენ. ქალაქისაკენ მოხედვას მისკენ სვლაც მოჰყვა და სოფლებიდანაც ბაწარალებით მოა-შურა გლახობამ ქალაქს.

ამ ნაკადულს ჩამოყვა იოსებ დავითაშვილიც — ნაყმევი ბიჭი, უკიდურეს სი-ღარიბეში გაზრდილი, მშრომელი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორ-ცთაგანი.

რა დაინახა ქალაქში მან, განთავისუფლებულმა ყვამ და რა გავლენა მოა-ხდინა მისს სულსა და გულზე ნანახმა?

ჩვენ ვიცით რას ამბობდენ და როგორ მოქმედებდენ ბატონყმობის ნძვინ-ვარების დროს არსენა ოძელაშვილები და ბლაქიაშვილები; ვიკითხოთ რა სთქვა მათმა ღვიძლმა ძმამ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ახალი ცხოვრების მიჯნაზე?

2.

მაგრამ სანამ პირდაპირ დავითაშვილის ნათქვამს გავარჩევდით, ჩვენ ჯერ კიდევ სხვა საკითხებზე უნდა შევჩერდეთ; რა მდგომარეობაში იყო ამ დროს მეორე საზოგადოებრივი კლასი — წარსული ცხოვრების მესაქე — თავად-აზ-ნაურობა?

თავად-აზნაურობის ნაწილი სრული გადაგვარების გზაზე შედგა. ტყვილა კი არ სთქვა 1863 წელს თავადმა ციციანოვმა: „არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანხე დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტანის ბარვა და თოხნა, არც საქონლისა და ცხვრის დევნა... ხოლო გლეხი შობილია ამგვარის მდაბიო ცხოვ-რებისათვისაო“. ეს სიტყვები უკლებლივ ასრულდა თავად-აზნაურობის ერთ ნა-წილზე, რომელმაც მოგვცა მკლავაძეები, უქმაძეები და ძმანი მათნი. მეორე ნა-წილი კი შეუმჩნევლად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში, დაადგა შრომის გზას და შეურიგდა შექმნილ პირობებს.

ეს პროცესი აშკარად გამოსჭვივის დ. კლდიაშვილის ნოთხრობებში, თუმც ოთხმოციან წლებში ამ მოვლენის დანახვა არც ისე იოლი იყო. იმ ხანებში სა-ერთოდ ამ წოდებაში დიდი არევ-დარევა და გაურკვეველობა იყო, საშინელ გა-ურკვეველობას შეეპყრო იგი და მოძავალსაც უიმედოთ შეჰყურებდა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და გაღრმავდა ბრწყინვალე წოდების ფუქსავატი ცხოვრება, ქონე-ბის ფლანგვა და ბანკებში დაგირავება და სხვ.

მოკლეთ, ძველი მიდიოდა და ახალი მეთაური ეუფლებოდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. ვინ უნდა ყოფილიყო ეს ახალი? ბურჟუაზია და მის ურთიერთობა-ში აღმოცენებული პროლეტარიატი.

ეს მომენტი იყო ამ ორი კლასის განთიადი და ამიტომ მათი ამოქმე-

დებოდა ჯერ კიდევ არ ყოფილა შესამჩნევი. განსაკუთრებით ^{წესამჩნევი} იყო ჩვენი ბურჟუაზიის სისუსტე და არარაობა, ბატონყმობის ^{გადავარდნა} მისი სახელით მოხდა, ფეოდალიზმის შემდეგ მისი ბატონობა უნდა დაეყარებოდა იყო და ის კი არსად სჩანდა. ერთის სიტყვით, ახალ ცხოვრებას მეთაური არ აღმოაჩნდა და ბელადობა ისევ ძველს დარჩა, გულგანგმირულ ძველს, რომელსაც საზოგადო საქმეებისთვის არც უნარი ჰქონდა და არც მოცალეობა.

ამ ქაოსში სხვა და სხვა მიზეზთა გამო ეროვნული ბურჟუაზიის განვითარება კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ, სამაგიეროთ მუშათა კლასმა იწყო ჩქარი მოქმედება და ორიოდე ათეული წლის განმავლობაში ეროვნული ცხოვრების ნეთაურობა ბურჟუაზიის მაგიერ მის ხელში გადავიდა.

აი, ამ უკანასკნელი მოვლენის სათავეში დგას ჩვენი სახალხო მგოსანი— დავითაშვილი, რომელმაც ჩვენს ლიტერატურაში თან შემოიტანა ახალი კლასის რწმენა, იმედი და თვალსაზრისი.

80 წლები სოციალური ფენების აჩქარებული გადაჯგუფების ხანაა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს დიდი მოვლენა ერთ უდიდეს ფონზე—ეროვნულ დევნაზე—სწარმოებს. ის საკითხი, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ლოდით აწვა მთელ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას, ოთხმოციან წლებში განსაკუთრებულის სიმწვავეით ვითარდებოდა. რუსეთის ბიუროკრატის მძვინვარება და 60 წლების შემდეგ აღებული რეაქციონური პოლიტიკის ხაზი განსაკუთრებით საგრძნობი იყო განაპირა ქვეყნებში. დაუნდობლად იდევნებოდა ყოველივე ქართული და ეროვნული: სპობდენ ენას, ისტორიულ ნაშთებს, ეროვნულ კულტურას. დევნიდენ ქართველ ადამიანს და სხვ.

რუსიფიკაციის მწვავე წნევას ყველა წოდებაები გრძნობდენ და ამნაირათ სოციალური საკითხების გართულებასთან ერთად ეროვნული დევნაც უდიდეს ტკივილებს იწვევდა.

აი, ჩვენი სინამდვილის გრანდიოზული სურათი, რომელსაც თვალი გაუსწორა ჩაგრულთა ფენებიდან გამოსულმა მგოსანმა.

გარდა ობიექტიური სურათისა, მას ერთგვარი იდეოლოგიური ატმოსფერაც დახვდა. მგოსანს ამ გარემოებისათვისაც უნდა გაეწია ანგარიში და ყოველივე თავისი თვალსაზრისით უნდა შეეფარებია.

ამ დროს გამოდის მუშა მგოსანი, რომელსაც ხან ჩუქურთმის საკრელი იარაღი ეჭირა ხელში და ხანაც ბასრი კალამი. ეჭვი არ არის, რომ დავითაშვილი საკმაოდ განიცდიდა თავისი დროის მწერალთა გავლენას, როგორც ტეხნიკურად, ისე იდეურად ის ბევრში ენათესავებოდა მათ, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ მან სავსებით გამოიჩინა თავისი ინდივიდუალობა და ჩვენს ლიტერატურაში ისეთი ნაკვალევი დასტოვა, რომელსაც ვერაფერ შემთხვევაში სხვისაში ვერ აურევთ.

რა საკითხებს დასტრიალებდენ იმ დროინდელი ჩვენი მწერლები? და მგოსნები?

მთავარი მათი საზრუნავი საქართველოს ეროვნული მღგომარეობა იყო, მთელი ყურადღება აქეთკენ იყო მიქცეული.



„დიდის ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმე ვიყო
ქმუნვასა და სისარულში:
ერის წყლული ნაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედავოს მტკიცე გული“,

ასე ლაღადებდა ილია ჭავჭავაძე და ბანს აძლევდენ სხვებიც.

მეორე საკითხი სოციალური საკითხი იყო: ბატონყმობის მოსპობის შემდეგ შექმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. დიდი ზრუნვაა გლეხობის შესახებ, მაგრამ მთავარი ყურადღება მაინც თავად-აზნაურობის ბედისკენაა მიქცეული. გლეხობა ისედაც ჯანსაღი წოდებაა, მისი მომავალი ნათელი და გარკვეულია, მის წიაღში უხვად არიან ოთარაანთ ქვრივები და გაბროები, იქ ყველაფერი წესრიგზეა, ამიტომ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა ერთობ იოლი საქმეა. საბრალოა თავადობა, რომელიც არც ახალი ცხოვრებისათვის ვარგა და ეროვნულის თვალსაზრისითაც მისი ჩამოქვეითება დამლუპველი იქნება. ასე მსჯელობდენ „მამები“, რომელნიც რეცეპტს რეცეპტზე აცხობდენ თავად-აზნაურობის გადასარჩენად. ისინი სხვა ქვეყნების მაგალითებიდან ასვენდენ, რომ ჩვენშიც შესაძლებელი იყო კლასთა ბრძოლის იდეის გაღვივება, ეს გარემოება შიშის ზარს სცემდა მათ: ისედაც პატარა ქართველები ერთნაშენას თუ დავეროიეთ, ამით გარეშე მტერი—თვითმპყრობელობა—გაიმარჯვებსო და... ილია ჭავჭავაძემაც წოდებათა შორის „ჩატეხილი ხედის“ გამართლებაზე დაიწყო ზრუნვა.

თუ რა გავლენას ახდენდა დავითაშვილის შემოქმედებაზე ყოველივე ეს, ამას ქვევით დავინახავთ, ახლა კი ვალაპარაკოთ თითონ მკოსანი, რომლის ლექსები ჩვენ დავაჯგუფეთ ოთხი ძირითადი თემის გარშემო. პირველ თემას დავარქვით: „მუშისა და გლეხის ყოფა-ცხოვრება და მათი მისწრაფებანი“. ეს თემა ჩვენი აზრით ძირითადია, ვინაიდან ჩვენი პოეტი სწორეთ ამ თვალსაზრისით უდგება სინამდვილეს და მუდამ მუშისა და გლეხის ბედი აინტერესებს. მეორე თემაც, რომელსაც ჩვენ „საერთო საგანმანათლებლო და ეროვნული მოტივები დავარქვით“ მდაბიო ხალხისა და დემოკრატიის თვალსაზრისითაა გაშუქებული. მესამე თემად „სატრფიალო ლექსები“ დავსახეთ, ხოლო მეოთხეთ—საბავშვო.

3.

მუშისა და გლეხის ყოფა-ცხოვრება და მისწრაფებანი

ყოფილი ყმა და სასტიკ დარჯაკში გატარებული დავითაშვილი იმდენად გონებაფხიზელი გამოდგა, რომ ქალაქში ჩამოსვლისთანავე გაერკვა ცხოვრების სირთულეში. იგი სრულიად უსწავლელი იყო, სკოლის კარებიც კი არ ენახა, წერა-კითხვა ძლივს იცოდა: „ქვების მურის მონალესით“ მოუძმზადეს უმწეო

ყმას მელანი და დაფაც „ხარის ბეჭის ჰქონდა“. დიახ, არიფერი ცოდნა მას არ მიუღია; მაგრამ საზაგიეროთ მისთვის სკოლა და გამწროთენელი თჯით სინამდვილე შეიქნა. მისმა დაკვირვებულმა ნიქმა მალე გაუწაღდა, მას გეგმა ქვე მსოფლიების ამოცანაც უმეტნაკლოდ შეაგნებინა.

„მუშა ვარ და კიდევ ვიცი

მუშის ბედი თუ რა არი“-ო დაამღერა მგოსანმა რომელიც ამ სიტყვებით სრულ ჭეშმარიტებას ღალადებდა. იგი თითონ იყო მუშის ქერქში, თითონ ატარებდა მშრომელის სასტიკ უღელს და იმასაც საკუთარის თვალით ხედავდა, რომ მისი მოძმენიც მასთან ერთად იტანჯებოდნენ.

„ის უღელში გაბმულია

ქედმოდრეკით, როგორც ხარი,

მის გარუჯულ მაგარ კანსა

მუდამ რეცხავს ოფლის ღვარი“-ო

გვეუბნება პოეტი; მან იცის, რომ—

„მუშის ოფლითა ირწყვება

მინდორი, მთა და ქედია“.

ქალაქის მუშას გვერდს უმშვენებს მისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი სოფლელი გლეხი:

„მთელი ერის მარჩენალი

გლებკაცია, მიწის მუშა“-ო

კენესის დავითაშვილის ქნარი, რომელსაც არც ერთი ყალბი ბგერა არ აღმოხდენია.

„წლითი წლამდე გლეხი შრომობს,

წაუხრია მისთვის ქედი“.

მან არ იცის რა არის მოსვენება და კეთილდღეობა:

„სახლი აქვთ მიწასთან სწორი,

შიგა ჩხის მკვარი, შეშაო,

წვებიან ბევრჯერ ჭილობხედ,

სხვა არ უგიათ ქვეშაო.

საბნის მაგიერად ზედ ჰხურავთ

მხედრის ნაქონი ფარაჯა,

ასე სცხოვრობენ, მერწმუნეთ,

თუ ვინმემ დაუდარაჯა“.

როგორც ქალაქის მუშა, ისე სოფლელი მშრომელი დღე და ღამ ოფლს ღვრიან, წელეებზე ფეხს იდგამენ, მაგრამ მათი ცხოვრება მაინც ვერ გაუმჯობესებულა და ეს იმატომ, რომ—

„ის შრომობს, სხვები ძლებიან

დაკარგული აქვს ბეღია,

ჩასცქერებია მიწასა,

მალლა ვერ აუხეღია“.



ქვეყნის ნასახროდებელს განუჯრელად თანა სდევს განუზომელი სისაწყლევ და დაბეჩავება.

„წყეული იყავ სისაწყლევ,
სულ ამოვარდი ძირითა,
ჩვენთვის გაძვირდა ნუგეზი,
სიმღერის ნაცვლად ვსტირითა“,

კვენის მუშათა პირით დავითაშვილი.

ჩვენი პრიმიტიული პოეტის ყოველი სიტყვა გულწრფელი ტანჯვაა, რადგან მან საკუთარის წვალეებით განიცადა თანამედროვე უკულმართობა. ბატონყმობის დროს სხვისი ყმა იყო და მის ბედს ბატონი ათამაშებდა, მაგრამ არც „გლეხობის განთავისუფლებამ“ მოუტანა მას რაიმე დიდა სიკეთე. ძირითადი უსამართლობა—მშრომელის ტანჯვა და მისი არად მიჩნევა, მაინც ხელუხლებელი დარჩა, უსამართლობა მაინც არ აღმოუხვრილა:

„მე გულსა მწვავს ეს სოფელი
თრად არის გაყოფილი:
ბედით ჩაგრულს უღვთოდ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი.
ხოგი ხარობს და ზოგი კი
ბნელს მარხია, როგორც ქური“,

აი, რა სწამლავს პოეტის სულსა და გულს, აი, რა არ ასვენებს მას. მშრომელი და მისი მარჯვენა დავითაშვილისათვის უწმიდესი რამ არის. იგი დამღერს:

იკურთხოს თქვენი მარჯვენა,
ვინც კვერსა სცემდეთ ზინდანსა,
ვინც შრომით არჩენს ცოლშვილსა,
პურსა სჭამს შრომით წმინდასა.
სახელი, პატივდიდება,
მათ ოფლსა, სხვისთვის დაღვრილსა!
სიმართლე, გამარჯვებანი
მაგ თქვენსა ნაწალმართეცა“.

მაგრამ ყველანი აგრე როდი აფასებენ მშრომელს, მუშას ყავს „წუნები“ და გლეხსაც—

„დასცინიან უგრძნობარნი,
დაზრდილები მის შრომითა“;

ამით გულდასერილი პოეტი ამბობს:

„სამღერალიც მეტირება,
დახე ჩემ შავ ბედისწერას:
უშრომლათა უქმი ძლება,
მუშა ვნატრობ ცეცხლა-კვერას“-ო.

მაგრამ მართო ამით როდი კმაყოფილდება უქმი და უშრომელი, მას მრავლად ჩაუბლუჯავს სუსტი მოძმე და სულთამხუთავად დასდგომია:

„შეგიპყრივარ სუსტი მძლავრსა,



„ვით შეიპყრობს კატას ლომი“,
ეუბნება თავის მტარვალს მუშა.

დავითაშვილის დროს ჩვენმა სინამდვილემ არ იცოდა მტარვალის შეკავშირება და საერთო ძალით ბრძოლა. ქალაქის თითო-ოროილა მუშა წვრილ-წვრილ სახელოსნოებში იყო გაბნეული და მისი ბრძოლაც დაქსაქსულად მიმდინარეობდა, რის გამო სუსტი და შეუქმნეველი იყო. დიდი ქარხანა, ან რაიმე ფართო წარმოება მაშინ არ იყო და პროლეტარულ ძალასაც არ შეეძლო ერთად შეჯგუფება და ახალის შეგნებით გამოსვლა. არ იყო არც ობიექტიური და არც სუბიექტიური მომენტი. ამიტომაც არის, რომ მარტო მყოფი ყველას წინაშე ქედს იხრის და წელშია გაწყვეტილი, ბრძოლაზე გადასვლა მას არ შეუძლია და იძულებულია ბოღმა გულშივე ჩაიკლას:

„ვით გავბედო, გაგიცხადო
მე უძღურმა მძლავრსა ომი“-ო

კბილების ღრჭენით ეუბნება იგი ძლიერს და ხელგაწვდილი შებრალებას ემუდარება:

მეც კაცი ვარ, შემიბრალე,
აღარ მიდგა მკლავში ღონე“.

ჩვენი პოეტი ხედავს ამ სურათს, მას გულს უკლავს აგრე დამცირებული მუშა, რომელსაც ვერ შეუგვნია თავისი მდგომარეობა და ღირსება, და ერთის მხრივ რომ მტარვალის მიმართ ზიხლით ამბობს:

„მუშა ვარ და მუშის მკლავი
ვიცი და მრწანს ნაკურთხია
და ვინც მუშას კაცად არ სცნობს,
საფურთხია, საფურთხია“-ო,—

მეორეს მხრივ მუშებს ჩასჩიჩინებს:

„უწყალოდ შრომობთ დღე მუდამ,
ოფლი ჩამოგდით პირსაო,
მაგრამ რა არი,—ეგ შრომა
ნაყოფი ხდება სხვისა“-ო.

თუ გსურთ თავი დააბწიოთ უსაზღვრო ექსპლოატაციას და თქვენი ნაშრომის პატრონი თქვენვე იქნეთ, შექმენით საკუთარი ამხანაგობანი, რისი საშვალეებით თქვენს ნაშრომს თქვენვე გაასაღებთ და თქვენი ხსნაც მხოლოდ ამაშიაო.

„თუ რომ ეცდებიო, გამართამთ,
მხოლოდ დაგიხსნის ისაო,
თუ არ გამართავთ, იცოდეთ
უფრო ჩასცვივით ჭირსაო“.

პოეტმა იცის, რომ ასეთი საქმეების მოსაწყობად საჭიროა მუშის შეგნება, სწავლა და განვითარება. ვერც ქალაქის მუშა და ვერც გლეხი ისე თავს ვერ დააბწევს თავის უმწეო მდგომარეობას, თუ საკუთარი მდგომარეობის შეგნებით არ შეიარაღებულა. ამიტომ არის, რომ დავითაშვილი თითქმის ყოველ ლექსში

სწავლა-განათლებაზე ლაპარაკობს და წიგნისაკენ უთითებს; გულუბრყვილოთ უჩვენებს ამერიკისა და იაპონიის მაგალითებზე და ასე ცდილობს დააინტერესოს ჩვენი მუშები.



„მე კარგსა რასმე აგირჩევ,
მიღება შენზე ჰკიდია.
სწავლაა ბნელის ფარანი,
სწავლა ცხოვრების ხიღია.
ეცადე სწავლა მიიღო,
იგი ცხოვრების ხიღია,
მაშინ გეშველოს, ძირს დასდო
ეხლა რომ ტვირთი გკიდია“,

ასე არწმუნებს მუშებს იოსებ დავითაშვილი.

„მებრალვი, მუშავ, საწყალო,
ტვირთი რომ გაწევს დიღია;
ეცადე, უქმი დატვირთო,
იკმარე, რაც რომ ზიღია“,

ურჩევს მგოსანი თავისიანებს.

დავითაშვილი ჩვენი მუშათა მოძრაობის პირველი მერცხალია. მართალია, იგი ცხოვრების უმდაბლეს საფეხურზე იდგა, მაგრამ მისი შეგნება მოწინავე მოაზროვნეთა გვერდით იკაფავდა გზას; იგი გაცნობილი იყო სოციალიზმის იდეას და აქედან გამოელოდა მუშების და გლეხების დახსნას. მუშათა ამხანაგობების შექმნის აზრით და შულცე-დელიჩის იდეებით რომ იყო გაერთიანებული, ეს, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, უტყუარი ფაქტია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელი ლექსის ბოლო სიტყვები: „ეცადე უქმი დატვირთო“ შრომის სუფევას—სოციალიზმს უნდა გულისხმობდეს, როდესაც ყოველი ადამიანი შრომაში იქნება ჩაბმული.

იმ წერილიდან, რომელიც ჩვენს მგოსანს მიუწერია—სოფრომ მგალობლი-შვილისათვის და, რომელიც ჩვენს გამოცემაშია მოთავსებული, აშკარად სჩანს, რომ დავითაშვილი ახლო მეგობარი იყო ამ ხალხოსან მწერლის. ცნობილია, რომ მგალობლიშვილი ერთი იმათთაგანი იყო, ვინც 80 წლებში საქართველოში ერთგულად ავრცელებდა რუსეთიდან გადმონერგულ ხალხოსნურ (ნაროდნიკულ) სოციალიზმის მოძღვრებას¹⁾. ეჭვი არ არის, რომ მუშა-მგოსანს მგალობლიშვილის მოღვაწეობის ეს მხარეც ეცოდინებოდა.

გარდა ამისა ჩვენ გვაქვს ამის შესახებ ერთი საყურადღებო მოწმობაც. გასული წლის ზაფხულში ჩვენ სპეციალურად მივმართეთ ძველ მუშას—**მიხა ჩოდრიშვილს**, გაეზიარებინა ჩვენთვის თავისი მოგონებანი დავითაშვილის შესახებ; მანაც რაჟდენ კალაძის თანდასწრებით სხვათა შორის მიამბო, რომ 75—77 წლებში ტფილისში არსებობდა მუშათა ფარული წრე, რომელშიაც შედიოდნენ გოლა ჩიტაძე, ისიდორე რამიშვილი, მოსეშვილი და სხვ. მათ შორის იყო იოსებ

¹⁾ იხილე მისი საინტერესო მოგონებანი: „რევოლიუციის ნატიანე“ № 4—5 (9—10).

დავითაშვილიც, რომელიც გატაცებული იყო სოციალიზმის იდეით, ეს მოწმობა ნათელ ჰყოფს ფილიპე მახარაძის მოგონებების შემდეგ აღვიღს: ჩვენ არ ვიცით იღებდა თუ არა დავითაშვილი ამ წრეში მონაწილეობასო. თქვენ სწორის, რომ ამ წრეში დავითაშვილიც ყოფილა, (მით უმეტეს საფიქრალია, რომ იგი დიდი მეგობარი იყო ზ. ჭიჭინაძის, რომელიც ამ მაშინდელ სოციალისტებს მუშებთან აასლოვებდა.

დავითაშვილი, მართალია, იცნობდა სოციალიზმის მოძღვრებას, მაგრამ ეს სოციალიზმი უტოპიური ხასიათის იყო და მუშათა კლასის ხსნას მეთაურებისა და კეთილი გულის ადამიანებისაგან გამოელოდა. მართალია, ჩვენი პოეტი ხშირად მოუწოდებს მუშებს თვით მოქმედებისა და საკუთარი ორგანიზაციების შექმნისაკენ, მაგრამ იგი მაინც დიდ იმედებს ამყარებდა კეთილ ადამიანების გულმტკიცეულობაზე:

„მაგრამ ვინ გვიხსნის ტანჯულებს
და ვინ გაგვიხსნას გონება,
რომ არვინ ცდილობს დაამხოს
საწყალი მუშის მონება“-ო,

ასე მიმართავს მგოსანი ერთ ლექსში პოეტებს და განაგრძობს:


„რასაც თქვენ გვირჩევთ, იმას ვიქნეთ,
ასრულდეს თქვენი ნებაო,
ჩვენც თან ნივყვებით ჩანჩალით,
ვინც კი წინ წაგვიძღვებაო“.

დავითაშვილის პოეზიას კიდევ ორი მომენტი ახასიათებს: ერთი არის რელიგიური გრძნობა და მეორე კლასთა ბრძოლის შეგნების მხრივ მერყეობა და სოციალური ჰარმონიისკენ მისწრაფება.

მუშა მგოსანი ძალიან ხშირად იგონებს ღმერთს და მისი დახმარებით ცდილობს თავისი წყლულების დაამებას. მის მიერ დახატული მუშა ნათლად გრძნობს თავის საშინელ მდგომარეობას, მაგრამ—

„შრომობს მუშა, თანც ღიღინებს,
აგონდება ნაცხოვარი...
აგონდება და მხნევედება,
პირჯვრის წერით შრომას აგრძობს,
და ვინც უშრომლადა ჰყლაპავს,
იმათ მტრობას მაინც არ გრძნობს.
მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი
მუშის გულის პასუხები;
ღმერთმა მუშებს გაუმარჯოს,
უქმ მყლაპელებს არ ვეხები“.

ამ ლექსში ორივე მოტივია, როგორც რელიგიური, ისე შემარიგებელი. ასეთი ლექსები კი ბლომათ მოეპოვება ჩვენს პრიმიტივს. ღვთის ხსენება და მახზე რაიმე იმედების დამყარება დღევანდელ მუშას სასაცილოთაც არ ეყოფა, მაგრამ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე ეს ასე არ იყო.



რაც შეეხება კლასთა შორის შემარჩეველ ტონს, ესეც ერთობ დამახასიათებელი მოვლენაა ახლად ჩასახულ მუშათა მოძრაობისათვის, რომელიც მუშა ერთის მხრივ გრძნობს თავის უმწეო მდგომარეობას, მაგრამ მეორე მხრივ კიდევ ან უტოპიური სოციალიზმის გავლენის ქვეშაა და კეთილი ადამიანების გულჩვილობა სჯერა, ან და ანარქიზმის ბრჭყალებში ვარდება და კბილების ღრჭენით გაჰკივის:

„გვამრავლოს ყველა მუშები:
გიორგი, თუნდა ილია,
რომ დავუნაყოთ ჩვენს მტრებსა
ძვალი გვხვდეს, თუნდა რბილია“-ო.

ასეთი არის იოსებ დავითაშვილის მიერ დასურათებული მუშა და გლეხი და მათი სულისკვეთება. მართალია, არც ერთ მათგანს მომავალი თავისი ბედი ნათლად არა აქვს გათვალისწინებული, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ორივე ეს ძალა აშკარად გრძნობს ახალი ცხოვრების განთიადს და სწამს, რომ მომავალ ვითარებაში მას უსათუოდ მოუხდება აქტიური როლის თამაში; ალტაცებულია მონობის ერთი ჯაჭვის, ბატონყმობის დამხობით და ახალი ენერჯით იწყებს მშრომელი ხალხის მეთაურობის საქმეს. იძენს სწავლა-აღზრდას, ამხანაგობებისა და კავშირების შექმნით საკუთარ ფეხზე აპირებს დადგომას და გაშლილის გულით გაიძახის:

„გასწი, წადი, შენ, წყვილიადო,
მზევ ამოდი, გამობრწყინდი,
გაანათე ყოველ მხარეს,
სიბნელეს ნუ შეუშინდი!...
შეგვახვედრე კვლავცა მარჯვეთ,
გვითხარ: „გმირო, თუ შეშინდი!“
მომავალო გაზაფხულო,
მოდი მალე, ნუ შეშინდი!

ამ სიტყვებში ჩამარხულია ახალი სოციალური კლასის რწმენა და იმედოვნობა. მას ღრმად სწამს უკეთესი მერმისი და ოპტიმისტურად მღერის:

„დრო მოვა, წავა, გაივლის
ეს დრო, ვით ცივი ზამთარი, —ო“

ასეთნაირად დაახასიათა მუშათა წრეებიდანვე გამოსულმა მგოსანმა ამ ორმოცდაათი წლის უკან ჩვენი მუშათა მოძრაობის ფეხის ადგმის ხანა. მის შემოქმედებაში მოცემულია ყველა ის გამოსავალი წერტილები, რომელიც ჩასახულ პროლეტარულ მოძრაობას ახასიათებს და რომელთა ლოდიკური განვითარება გვაძლევს თანამედროვე მუშური მოძრაობის უტყუარ სურათს.

ჩვენი პოეტის გრძნობიერი არსება გულის სიღრმემდე გრძნობს არსებული უკუღმართობის ლოდისებურ დაწოლას და სულ იმაზე ოცნებობს თუ როდის ეღიროება შვეებით ამოსუნთქვა:

„და ოცი წლიდამ ათი გამხდარა,
დროსა ბედნიერს გულით მოველი,



რომ ყველამ ძმურად, ხელმამაცურად
სწავლა მივიღოთ გულის ნათელი“,
ასე კენესის მისი ქნარი და დაასკვნის:
„და ჩემმა გულმა, აწ დაჩაგრულმა,
მაშინ სთქვას: დადგა ახალი წელი,
როცა რო ბნელსა, ამ საძაგელსა
ნათელმა სძლიოს, განათლდეს ველი“.

ნახეთ, როგორის გულწრფელობით გოდებს დავითაშვილი მუშა ხალხის
ბედზე:

„ვიტანჯები, მუდამ მიწფოთავს გული,
მოძნეს ვბედავ—რათ არის დაჩაგრული?
ვწუხვარ, ვწფოთავ, იქნების შიანთ პური“.
ვის მიმართოს, ან სადა აქვს სადგური?
ამას ვფიქრობ, თავზე მეხვევა ბური,
გონება მაქვს ამისთვის დაკარგული;
ვერვინა გრძნობს რომ გაიცნოს ეს გული,
ჩემ გულძგერას ვინმემ დაუგდოს ყური...“

ასე მომხიბლავის ხმით მხოლოდ ქვეშარიტად დატანჯულს შეეძლო ექვლია.

„უჰ, გავწმდუ, ასტირდა გული,
მშრომლისათვის დამწვარი დადაგული“—ო

ამოიგმინებს ბოლოს გულის ამაჩუყი აკორდი.

დავითაშვილში მძლავრად სცემს მუშათა კლასის რევოლიუციონური პო-
ტენცია, მას სწამს, რომ—

„ერთი მერცხლის შემოფრენას,
თან მოჰყვება მეორეცა...
გავვათბობს და გაგვინათებს
გაზაფხულის მზისა სხივი,
მოგვშორდება ბნელ უკუნი
ეს დრო ცუდი, ეს დრო ცივი“.

აი რისთვის არის ჩვენთვის ძვირფასი დავითაშვილი და მისი პოეტური
შემოქმედება.

საერთო საგანმანათლებლო და ეროვნული მოტივები

იოსებ დავითაშვილი ფართო თვალსაზრისით იყო შეიარაღებული და მი-
სი საზოგადოებრივი პორიზონტი მთელს ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას უტევდა.
უბრალო მეჩუქურთმის სახელოსნოდან იგი მთელ ქართულ ცხოვრებას ათვალ-
ერებდა და თავისებურად უდგებოდა.

როგორც უკვე ვნახეთ, დავითაშვილი არ ყოფილა მუშისა და გლეხის ყო-
ფა-ცხოვრების მარტო ფოტოგრაფიულად ამსახველი; არა, ამ ასახვაში მას თავისებური აზროვნებაც შეჰქონდა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მომავლის პერსპექ-
ტივები ეხატებოდა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა; მისი დაკვირვებული კეჟა მუში-



სა და გლეხის ბედს საერთო ეროვნული ცხოვრების პროცესში იზილავდი, მას ყოველწამს თვალწინ ედგა ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ელვის მშრომელ ნაწილსა და დანარჩენ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის.

დავითაშვილის გარშემო დიდი გონებრივი მოძრაობა იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული აზროვნების ბუმბერაზები ამ დროს დევგმირულად იდგნენ ბრძოლის ველზე და თითოეული მათგანი საკუთარ სიტყვას ამბობდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ეროვნულ ჩაგვრაზე აღმოცენებული ქართული აზროვნება ისეთი იყო, რომ არსებითად რეაქციონურს არაფერს შეიცავდა. სოციალურ საკითხებში რაც უნდა კონსერვატორობა ყოფილიყო—ეს მართლაც ასე იყო, ხალხოსნებიც კი შთაინთქო ამ ატმოსფეროში, ეროვნული განთავისუფლებისათვის ნაწარმოები, თუნდაც სიტყვიერი ქადაგება, უსათუოდ ერთგვარ რევოლუციონურ ატმოსფეროს ჰქმნიდა.

დიახ, ასეთი იყო საერთო აზროვნების ელფერი. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ქართველი ერის დამხსნელად ჯერ კიდევ ძველი ძალა—თავად-აზნაურობა—იყო აღიარებული. მართალია, არც ერის ქვედა ფენები ყოფილა უარყოფილი, მაგრამ სამეთაუროთ მას მაინც არავინ სახავდა. უკეთეს შემთხვევაში იქითკენ მოუწოდებდნენ, რომ მაღალ წოდებასთან ერთად შრომა და „ჩატებილი ხიდი“ გაემართელებია.

ეროვნული ცხოვრების მეთაური და გზის მაჩვენებელი უსათუოდ თავად-აზნაურობა უნდა ყოფილიყო, მის ყოფაქცევაზე მთელი ერის ბედი იყო დამოკიდებული. ამ წოდების აწმყო არც ისე მიმზიდველი იყო, ეს კი არა დალუბვისკენაც კი მიექანებოდა თათქარიძეების წინანძღოლობით, მაგრამ ისტორიული უფლების ფეტიშიზმი იმდენად ძლიერი იყო, რომ „ჩატებილი ხიდის“ ტივები უსათუოდ მის თვალთაგან ჩამონადენ ცრემლს უნდა მოეტანა, ნამუსი და კაცური კაცობა მას უნდა დაენახებინა გლეხობისთვის და... საქართველოც გადარჩენილი იქნებოდა.

სულ სხვა თვალსაზრისზე იდგა იოსებ დავითაშვილი, რომელსაც, მართალია, ბრწყინვალე წოდება რევოლუციონურად არ უარუყვია, მაგრამ გლეხობისა და მუშების წინ წამოყენებით, მან მთელი მაშინდელი აზროვნება თავდაყირა დააყენა და ქართველი ერის მხსნელად მუშა და გლეხი დასახა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გლეხურ-დემოკრატიული იდეები იმ ხანაში მართო დავითაშვილის თემას არ შეადგენდა, მას უსათუოდ ყავდნენ წინამორბედნიც და თანამედროვენიც—ჯერ კონქაძის და მერე ხალხოსნური ჯგუფის არსებობას ვერავინ უარყოფს; რ. ერისთავი, მგალობლიშვილი, ლომოური, ფურცულაძე და ეკ. გაბაშვილი უსათუოდ დიდ გავლენას ახდენდნენ მუშა მგოსანზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველა ესენი იოსებთან შედარებით, რაც უნდა ვსთქვათ, მაინც ზედაფენებიდან იყვნენ გამოსულნი და ხალხის ჭირვარამსაც იოსებივით უმეშვეოდ ვერ იცნობდნენ. მეორეს მხრივ ისიც ფაქტია, რომ ცოტას გამოკლებით, ამ მოღვაწეებმა მალე შეარბილეს თავიანთი დემოკრატიზმი და ქედი მოიხარეს „ივერიის“ კონსერვატიზმის წინაშე. დავითაშვილი კი ბოლომდის უცვლელ-

ლად იდგა თავის პოზიციაზე და საკუთარ სისხლში ამონაწებ კალმით უტყუარად გვამცნევდა თავის მოძმეთა ტანჯვა-ვაებას.

როგორ უდგებოდა იგი ქართულ ეროვნულ ცხოვრებას? საფუძვლად დასაყრდენად ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან დაამღერა:

„სამშობლოს სიყვარულმა
ამიმღელვარა გული,
განმამხნევ-განმიმტკიცა
სული დაობლებული.

კაცი არსად მოვკალი;
არსად რა მოვიპარე;
რაც რომ შრომით მოვიგე,
მით მოძმეც გავახარე.
მათი გადანარჩენი
სწავლაზე მოვიხმარე;
გარყენილი კაცის ქცევა
ახლოს არ მივიკარე.

სადაც ცუდ საქმეს შევხვდი,
ივდექ და გავიპარე;
დავჯექ, წიგნი ვიკითხე,
მით გული გავიხარე.

გაზეთი და წიგნები
მუდამ ჯიბით ვატარე
და იმათ შენაყვარეს
ჩემი სამშობლო მხარე...

აწ კი დავალ ნაღვლითა:
აღარ მინათებს მთვარე,
წყვედიადით მოცულია
ეს ჩემი არე მარე.

მაგრამ ვით შენ, არ ვშიშობ,
ვიცი — გამოვა მთვარე,
და კვალად განათლდება
ეს ჩემი ბნელი მხარე.

ამ ნატვრამ თუ მიმტყუნა,
სიცოცხლე დამრჩეს ნწარე,
არ დაგნანდე, მშობელო,
გასკდი, მიწავ, დამფარე!

ამ უბრალოებით აღსავსე ლექსში, რომელიც ჩვენ განგებ ერთიანად მოვიყვანეთ, დავითაშვილის აზროვნების ყოველი მხარეა მოცემული, ან შაბლონურად რომ ვსთქვათ, მთელი პროგრამაა დახატული.

პოეტს უყვარს თავისი ქვეყანა სრულიად ბუნებრივი სიყვარულით, ის ერთის წუთითაც კი არ ფიქრობს იმაზე, რომ სხვა ერები დაჩაგროს, ან შეიძუ-

ლოს, მის პატრიოტიზმში შოვინიზმის ნატამალიც კი არ არის. აიღეთ გულუბ-
ყვრილო ბავში, რომელსაც მთელი თავის არსებით უყვარს თავისი დედა, მაგ-
რამ ამავე დროს მან ისიც იცის, რომ სხვა ბავშსაც „თავისუფლად უყვარს“,
რომლისადმი სიყვარული სრულიად ბუნებრივად მიაჩნია მას. მას არა თუ არ
სძულს სხვა ბავშვის დედა, არამედ უმანკო არსებას წმინდის გულით შეებრაღე-
ბოდა ის ბავში, რომელსაც მასავით დედა არ ყავს და ობოლია.

ასეთი არის დავითაშვილის სიყვარული სამშობლოსადმი. მას მთელის არ-
სებით უყვარს თავისი სამშობლო; დეე, სხვა ერის შვილსაც ეს გრძნობა უნა-
თებდეს გზას, იოსებისათვის ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. „მეც ვიცოც-
ხლო და იმანაც, ორივენი დავეტევით ამ ქვეყნად“—აი მისი უხადო პატრიო-
ტიზმის დედა აზრი.

ეს წმინდა მუშური შეხედულობაა, რომელშიც აშკარად გამოსკვივის უდი-
დესი ინტერნაციონალიზმი.

მუშებისათვის სამშობლო არსებობს უპირველეს ყოვლისა, როგორც ისე-
თი ადგილი, სადაც მას ადამიანურ პირობებში შეუძლია არსებობა და განვი-
თარება. მეორეს მხრივ სამშობლო მისთვის კულტურული მოვლენაა, სადაც იგი
მისთვის გასაგებ პირობებში და ენაზე იძენს მეცნიერულ ცოდნას, ითვისებს
კულტურას და თავისუფლად შლის თავის შემოქმედებას ცხოვრების მოსაწეს-
რიგებლად. ამისათვისაა, რომ იგი მუდამ წიგნის კითხვისა და სწავლის საჭი-
როებაზე ლაღადებს. ესაა მისი განუშორებელი იდეა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე
იძახის:

„ვეცადოთ მარჯვეთ ვიხმაროთ
ქალაღდი, მელან-კალამი,
მჩაგვრელთა მხარი ვუქციოთ,
ჩაგრულთა მივცეთ სალამი.
სწავლისა, განათლებისა,
ავმართოთ დროშა-ალამი;
მამულის მორთვას შეუდგეთ,
განვაგდოთ გულის ვარამი“.

ახსნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ დავითაშვილი თავის ლექსებში აგრე
ხშირად ახსენებს სამშობლოს და ღირიზმით აღსავსე პანგებით სწუხს მისი
მდგომარეობის გამო. რამ დაისრა მუშის გული აგრე განუკურნებლად?

თვითმპყრობელი მთავრობის მიერ წარმოებული ეროვნული დევნა იმდე-
ნად ძლიერი იყო, რომ ერის ყველა ნაწილი გრძნობდა მის სიტლანქეს და შეუ-
ბრაღებელ შევიწროვებას. ამ გრძნობის გარეშე არც დავითაშვილს შეეძლო
დამდგარიყო: იგი უაღრესად სოციალური არსება იყო და ქვეყნის ჭირვარამი
მასაც უნდა ეგრძნო.

„სამშობლო, ჩემო ლამაზო,
ზურმუხტო ანუ აღმასო,
ვიდრე შენს ზურგზე დავდივარ,
გთხოვ მწარე რამ არ მასო.“

მშვენიერი გაქვს ბუნება
სხვებიც ამბობენ ამასო,
მაგ შენმა დალონებამა

გული დარდებით აღავსო.“



დავითაშვილი დაავითაშვილი სამშობლოზე. დავითაშვილი საფლავის კარამდე ცხოვრების გერად დარჩა, მის სახელის მოხვეჭის დროსაც ისეთნაირად ენატრებოდა ლუკმა-პური, როგორც ბატონის ხელში ყოფნის დროს. მართალია, იგი შეამჩნია ჩვენმა პრესამ და საზოგადოებამ, მაგრამ მაინც არ ექცეოდა მას სათანადო ყურადღება. მისი ქნარის ქლერა მხოლოდ საინტერესოდ მიაჩნდათ და მეტი არაფერი. მარტო აკაკი წერეთელი ეკიდებოდა მას ინტერესით და შეძლებისდაგვარად გზას უკაფავდა. მაგრამ პოეტმა მაინც თავი ვერ დაახწია უკიდურეს სიღარიბეს და ცხოვრების ორომტრიალს ნაპირიდან უცქეროდა.

ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ პოეტი, რომელშიც აგრე ძალუმად სცემდა საზოგადოებრივი გრძნობა, შედარებით ნაკლებად ჩაითრია ნაციონალიზმის აგრესიულმა ელფერმა და მთელი თავისი ყურადღება კულტურულ-განმანათლებელ საკითხებს მიაქცია. მას აინტერესებს ჩვენი ისტორიული ნაშთები, სახალხო ლექსები, არაკ-ზღაპრები. ყველას ურჩევს იკითხოს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები და სხვ. იგი არ კმაყოფილდება მარტო ლექსების წერით და ცდილობს თავისი ბეჭვდითი ორგანოც კი გაიჩინოს. მაგ. გამოსცა ხელნაწერი გაზეთი „ყვირილა“, მის არქივში ჩვენ აღმოვაჩინეთ მეორე მისი გაზეთი „შიკრიკი“, რომლის ფასი, როგორც პოეტის ხელით არის აღნიშნული, „ძმობა და სიყვარულია“ და რედაქცია კიდევ „ჯანდაბის ორლობეში იმყოფება“.

ეს გარემოებაც დიდათ ახასიათებს ჩვენს მგოსანს, რომელმაც სამშობლოს სიყვარულში უდიდესი ინტერნაციონალური გრძნობა ჩადო და თანაც კულტურული შინაარსით აავსო იგი. ამავე დროს დავითაშვილი მუშური პრესის საძირკვლის ჩამყრულად უნდა ჩაითვალოს.

მუშათა თვითორგანიზაციები ამხანაგობებისა და დეპო-კასების სახით, სამშობლოს სიყვარული ინტერნაციონალურის ელფერით, განუწყვეტელი ზრუნვა მშრომელი მასის კულტურულად ასამაღლებლად და მათი ინტერესების გამომხატველი პრესის აუცილებლობის გრძნობა, — აი რა ახასიათებს ჩვენს პრიმიტიულობით აღბეჭდილ მგოსანს.

სატრფიალო და საბავშო ლექსები

დავითაშვილს, როგორც შედარებით ფართო მსოფლმხედველობის მგოსანს, არ შეიძლებოდა სიყვარულის გრძნობისათვისაც არ მიექცია ყურადღება. თუმც, მართალი რომ ვთქვათ, მის პირობებში მყოფ ადამიანისათვის, ეს გრძნობა ფუფუნება იყო. აბა სად სასიყვარულო ჰანგები და სად ლუკმა პურისათვის დაუსრულებელი წანწალი!

მაგრამ ბუნება თავის სისრულეს ითხოვდა და დავითაშვილმაც რამდენიმე სატრფიალო ლექსი დაგვიტოვა. ამ ლექსებში თავიდან ბოლომდე ხორციელი სიყვარულის გალობაა.



„ლამაზო, შენი ტკბილი ხმა
მდაგავს, როს მესმის ყურითა,
და მუდამ მათრობს ეშხითა,
ვით ღვინით ატენურისა“

გალობს მგოსანი, როდესაც ასე ენატრება „ნინას თეთრ მკერდში ჩაკონება“ და შიშს გვრიან „გიშრის თვალები“...

უნდა ითქვას, რომ ამ თენაზე დაწერილ ლექსებში, ჩვენს პოეტს არაფერი ორიგინალობა არ გამოუჩენია. სამაგიეროდ მან დიდი კვალი დასტოვა საბავშვო ლიტერატურაში. ვინ არ იცის მისი პოეზიის მარგალიტი:

„იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანაო!
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთეს, მოგიყვანაო“!..

საბავშვო ქმნილებას უნდა ახასიათებდეს თემის სიმარტივე, ენის დახვეწილობა და მხატვრული სისადავე. სამივე ამ თვისებით დავითაშვილის ლექსები უხვად არის დაჯილდოვებული. მისი პრიმიტიულ-ხალხური თვალსაზრისი და ასეთივე გამოთქმის საშუალებანი მის ლექსთა მთელ რიგს საბავშვო პოეზიის მარგალიტებად აქცევენ. ბუნების აღწერანი, იდილიური სურათები გლახთა ცხოვრებიდან და სხვა შესანიშნავის ხელოვნებით აქვს დავითაშვილს გადმოცემული. მას მთელის არსებით უყვარდა ბავშვები და ერთხელ განზრახულიც კი ჰქონდა პატარა წიგნაკი „ლალა“ (ძიძა) გამოეცა მათთვის.

თავისი სანუკვარი იდეის—სწავლის საქიროების—ქადაგების ასპარეზად მას ბუნებრივად ბავშვებიც უნდა მიეჩინა და ამიტომაც ურჩევს მათ:

„ეცადე, წიგნი ისწავლო,
გირჩევ გულითა ლალაო,
რომ წიგნის ცოდნით გაიცნო
ქვეყნის ხარჯი და ლალაო“.

მეორე ადგილას:

„შრომისა შვილო, გლახო პატარა,
ისწავლე წიგნი, ეცადე ჩქარა!
შემდეგ წიგნისა—თოხნა და ბარვა,
არა სხვასავით ხვეჭა და პარვა!“

დავითაშვილს თავისი მომხიბლავი უბრალოება და ხალხური სადა კილო ბუნებრივ პედაგოგად ქმნის. მისი ლექსების ფორმა ისე მსუბუქია და შინაარსიც ისე გასაგებია, რომ ბევრი მისი ლექსი საყმაწვილოთ გამოდგება, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო მარტივები და სპეციალურად ბავშვებისთვის დაწერილი გამოვყავით ცალკე ჯგუფში. ქართულ საბავშვო ლიტერატურას რამდენიმე საყვარელი ავტორი ყავს, იოსებ დავითაშვილსაც მათ შორის უსათუოდ საპატიო ადგილი უჭერია.

ასეთი არის დავითაშვილის შემოქმედების საერთო სახე.

რა გავლენა ჰქონდა მის შემოქმედებაზე თანადროულ მოღვაწეებსა და გაბატონებულ აზროვნებას?

აკაკი წერეთელს დავითაშვილი პირდაპირ უწოდებს თავის ოსტატსა და აღმზრდელს. მართლაც, აკაკის ლექსის სიმსუბუქემ უდიდესი გამოცდილი ჰპოვა მის შემოქმედებაში და დიდი მგოსნის ჩანგის ჟღერამ ქართულულ კლასიკის არსებაში მომხიბლავი მუსიკის ჰანგები ააქლერა. ამბობენ: აკაკი იმერული კილოკავის სიმარტივის მატარებელია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ენის ბუნება ილიამ გადმოგვცაო. დავითაშვილის მაგალითი ამ აზრს ერთიანად აბათილებს: თუ ადამიანში პოეტური ცეცხლი ანთია, ის თურმე, ერთნაირის მუსიკალობით და სიმარტივით გამოსთქვამს თავის აზრსა და გრძობას, სულ ერთია ქართულია ის თუ იმერელი. ილიას ენის სიმძიმე უპირველეს ყოვლისა, მის ინდივიდუალურ თვისებებს მიეწერება.

აზრების მხრივაც დიდ გავლენას ახდენდა აკაკი ჩვენს მუშა პოეტზე, და უსათუოდ ასე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თავის დროის მოღვაწეებთან შედარებით, აკაკი ყველაზე უფრო დემოკრატიული იყო და მისი გლახური ლექსები ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში. სამშობლოს სიყვარულის გრძნობაც დიდ გამოხმაურებას ჰპოებდა დავითაშვილში, რომელიც სრულებით არ იყო აკაკის ბრმა მიმდევარი და თავის საკუთარ ფიზიონომიას ატარებს, როგორც ეს ზევით ვნახეთ.

აკაკის გარდა, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, განიცდიდა ხალხონური ჯგუფის გავლენას—მგალობლიშვილი—ლოპოური—რ. ერისთავი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტის ნაწერები ჩვენს გლახდა მუშას უფრო რეალურად უდგება, ვიდრე დასახელებული ჯგუფი, რომლის ნაწერებში საკმაო იდეალიზაციასთან გვაქვს საქმე და გლახის ნამდვილი სახის მაგიერ შაქარმოყრილ ტიპებს ვხედავთ. დავითაშვილი კი ერთის მხრივ რომ სინამდვილის ობიექტიური ამსახავია, მეორეს მხრივ ბოლომდის დემოკრატად რჩება.

დასასრულ, დავითაშვილი უნდა დავახასიათოდ წმინდა ლიტერატურულის მხრივ. რას წარმოადგენს მისი პოეზია—უბრალო ხალხური წაირებია, თუ რაიმე ბელოვნურ ღირებულებას შეიცავს? ღირს თუ არა იმად, რომ სერიოზულმა კრიტიკამ ყურადღება მიაქციოს მას და თავის ყურადღების ღირსად გახადოს?

ყოველი შემომქმედი საინტერესოა იმდენად, თუ რა სთქვა მან, როგორ სთქვა და როდის?

ჩვენ უკვე გავეცანით დავითაშვილის ნათქვამს და საკუთარის გაგებით დავრწმუნდით, რომ მის მიერ წარმოთქმული აზრები მისი დროის მოწინავე იდეებია და თანაც ცხოვრების ახალ, სხვისგან ხელუხლებელ მხარეს გიშლიან თვალწინ. ლევ ტოლსტოი ამბობდა: მე მწერალს მხოლოდ მაშინ ვიცნობ მწერლად თუ იგი ცხოვრების ახალ კუნჭულს მაჩვენებს და თანაც გულწრფელიაო. ვერავინ ვერ იტყვის, რომ დავითაშვილი ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებსო, პირიქით ის უაღრესად გულწრფელი შემომქმედი და მისი თვალსაზრისიც ორიგინალურია.

მაგრამ მართო ეგ როდია საკმარისი. საქმე ისაა, თუ როგორის ხელოვნებით გადმოგვცემს იგი თავის აზრებს. შეიძლება ადამიანს მრავლად მოეპოვე-

ბოდეს ცხოვრებისათვი სასარგებლო აზრები, მაგრამ მათი გამოთქმა არ შეეძლოს ხელოვნურად და არ ჰქონდეს მხატვრულად თქმის ნიჭი.

დავითაშვილი რომ ნიჭიერი მგოსანია, ამას ყოველი მისი ლექსის წაკითხვიდან იგრძნობთ. ცოცხალი და მკაფიო სურათი, სიტყვის უაღრესი ეკონომია და აზრის სიღრმევე, მომჯადოვებელი სიმარტივე და ვერცხლის წყალივით ცქრილი და თრთოლვა,—აი მისი ლექსების მთავარი ღირსება. არსად რიტორიკა, არსად სიყალბე და ძალდატანება. მას მშვენივრად ეხერხება როგორც ობიექტიური სურათის ერთი კალმის მოსმით გადმოცემა, ისე გულწრფელი ლირიკა. უკანასკნელის ნიმუშად მოვიყვანთ ერთ პატარა, ჯერ დაუბეჭდავ ლექსს, რომელშიც ქეშმარიტი ლირიზმის ზღვაა მოცემული:

„მიბნელებდა ვარსკვლავები და მთვარე,
ძარღვი სუსტდნეს, სიკვდილი მელის მწარე.
თქვენ იცოცხლეთ, ძმებო, თქვენ გაიხარეთ,
მე დამმარხეთ, გულს მიწა დამაყარეთ.
თქვენი მოძმე მოვკვდე უბედურია,
მიწათ ვიქცე მიწათ მოღებულია...
სული მხდება, ველარ დამიჭერია,
ისიც უშნო ჰკრთება პირისფერია!

რამდენი წრფელი გრძნობა და სიმარტივეა ამ ლექსში ჩაქსოვილი! თანაც რა ბრძნული და ხალხური მიდგომაა სიკვდილის საშინელ საიდუმლოებასთან. სიცოცხლე და სიკვდილი ორივე ერთნაირის სიბრძნით არის აქ მიღებული და საფლავის პირად ახალ ცხოვრების გაფურჩქვნაც სრულიად კანონიერ მოვლენათ მიაჩნია პოეტს.

„И пусть у гробового входа
Молодая будет жизнь играть“...

გაგიელვებს თაქში პუშკინის სიტყვები...

ბუნების ხატვაში დავითაშვილს ხომ ბევრი ჩვენი მგოსანი ვერ შეეცილება: მარტო მისი „ჯეჯილი“ ამჟღავნებს მასში დიდი ნიჭით დაჯილდოვებულ ხელოვანს.

დავითაშვილი ინსტიქტიურად გრძნობდა, რომ ქეშმარიტი ხელოვანი ხალხის სულს და გულსა უნდა ეხებოდეს, მისი გრძნობა და ფიქრი ხალხისაზე უნდა იყოს გადაჯაჭული; ამ გრძნობით გაჟღენთილი იგი შემოქმედების ფორმითაც ხალხს უახლოვდება და თავის თავს ყველგან მესტვირეს—ამ ხალხის ჭირვარამზე სევდით მომღერალს ადარებს. მისი ლექსების ფორმა ისე უბრალო და ყველასათვის გასაგებია, რომ სწორეთ სტვირზე დასამღერი მარგალიტებია, რომელთა ჰანგი ყველას მოხიბლავს.

ამიტომ არის, რომ ქართულ პოეზიის უბრალოების ქურუმი დავით გურამიშვილი და თვით აკაკიც ასეთის სიღრმით უყვარს მას.

დავითაშვილის პოეზიის ისტორიული მნიშვნელობაც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა: იგი ჩვენი პირველი პროლეტარული პოეტია, რომელმაც მუშათა მოძრაობის განთიადზე ააქლერა თავისი ქნარი და ჩვენი მუშების გულშიც პირ-

ველად აათამაშა საერთო სოლიდარობაც და კოლექტიურად გამოსვლის გრძნობა: მისი სიკვდილის გამო ტფილისის ასმა მუშამ „ივერიის“ საშუალებით თავის წუხილი გამოსთქვა; ასე მოიმოქმედეს თელავისა და ქარსის მუშებმაც.

ეს ფაქტი უაღრესი ისტორიული მნიშვნელობისაა. საქართველოს მუშათა კლასს და მის მეისტორიეს ამ მოვლენის დავიწყება არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ჯერ კიდევ შეუკავშირებელმა და პატარ-პატარა სახელოსნოებში გამომწყვდეულმა ქართველმა მუშამ ინსტიქტიურად მოიხარა ქელი იმ ხელოვნის წინაშე, რომელმაც მომავალი ბრძოლების სიმღერები ჩააწვეთა ყურში და მოწინავე მებრძოლებს რაზმავდა. რა ლამაზი და წარმტაცი ფაქტია: პოეტის ქნარის ქლერა რაზმავს ქვეყნიურებას გარდამტეხლთა მოწინავე რაზმებს? ჭეშმარიტად დიადია ხელოვნება და მისი გავლენა!

დასასრულ, ერთი გარემოება კიდევ უნდა აღინიშნოს. დავითაშვილისებური მოტივები უკვე პირველი რევოლიუციის გარიჟრაჟზე დაეუფლა ჩვენს ლიტერატურას და დღესაც გვესმის პროლეტარული პოეტების ქნარით.

„ჩვენ ყველანი გოგოლის შინელიდან გამოვძვერითო“, ამბობდა ერთ დროს რუსეთის მწერალთა ერთი ჯგუფი. ესევე სიტყვები შეუძლიათ სთქვან ჩვენში იმ პოეტებმა, რომელნიც მუშათა ბედს და იდეალებს გამოჰხატავენ. დავითაშვილის უგულვებელყოფა არც ერთ მათგანს არ შეუძლია.

ხოლო იმ ძეგლს კი, რომელსაც ქართველი მუშათა კლასი უსათუოდ დაუდგამს თავის საყვარელ პოეტს, გარდაცვალებიდან ორმოცი წლის თავზე, უსათუოდ უნდა წაეწეროს: „საქართველოს პირველი პროლეტარული მგოსანი“.



ქართული გამოკვლევა ქსენოფანე კოლოფონელზე

მეცნიერულ განვითარების უტყუარ მაჩვენებლად ითვლება მისი სპეციალიზაცია. როდესაც მეცნიერული მუშაობა ჯერ კიდევ მომწიფების ხანაში არ შესულა, მისი მუშაობა ზოგადი ხასიათისაა, მისი თემა განიერია, მისი მოცულობა დიდია; მაგრამ ეს გარეგნული სიდიდე ხშირად შინაარსეულ სიღარიბის, უფერულობის და, შეიძლება, ზერელობის მაჩვენებელიც იყოს. ქართული აზროვნება ნელა, მაგრამ გარკვეულად შედგა მეცნიერულ მუშაობის და აზროვნების გზაზე. საბოლოოდ გადალახულად უნდა ჩაითვალოს საზღვარი, რომელიც გვაშორებს ჩვენ ქართულ აზროვნების იმ პერიოდიდან, როდესაც ჯერ კიდევ მართივ საზოგადოებრივ ვითარებაში ყოვლისმცოდნეობა და ყველაფერზე მსჯელობა გარკვეულ აზრის და შინაარსიანი მსჯელობის ადგილს იჭერდა. მართალია, ჯერ კიდევ მოიპოვება ჩვენს მწერლობაში და აზროვნებაში „კუსტარობი“-ს ნიმუშები, მაგრამ ეს არ შეადგენს დამახასიათებელ გარემოებას და განვლილი ფაზისის გადანაშთის სახით ბოგინობს და იბოგინებს მანამდე, ვიდრე სალი საზოგადოებრივობა და ჩამოქნილი მეცნიერული აზროვნება საბოლოოდ არ მომაგრდება და ამ გადანაშთის არსებობას საბაზს და გასაველს მოუხპობს.

ასეთ პერსპექტივაში ს. დანელიას ქართული გამოკვლევა ქსენოფანე კოლოფონელზე, ევროპიელ აზროვნების პირველ საფეხურების ერთ-ერთ წარმომადგენელზე, მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა. ამ მოაზროვნისადმი დასავლეთ ევროპაში დიდი ინტერესია დღეს შექმნილი და ს. დანელიამ, გამოკვლევის ავტორმა, ალლო აულო ამ მეცნიერულ ინტერესს და შედარებით უფრო მეტის სისტემატიურობით და სივრცით დააყენა იგივე საკითხი ქართულს მეცნიერულ ლიტერატურაში.

აღნიშნული გამოკვლევა სპეციალ გამოკვლევათა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთა არე ვიწროდაა მოხაზული და მცირე ზომის, მაგრამ მნიშვნელოვან ამოცანას ისახავს. მეცნიერულ კვლევა-ძიების უნარის და აღებულ მასალის დაძლევის და დამუშავების თვალსაზრისით ასეთი შრომა საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს და თუ ამას დაერთვის ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ამოცანა, მიუხედავად თავისი მოცულობისა არსებითადაც დიდი ღირებულების შემცველია, მაშინ ხელთა გვაქვს მონაცემთა მთელი კომპლექსი, რომელიც მეცნიერ-

რულ შრომის მიღწევებისათვის მსჯელობას მტკიცე დასაყრდენს აწვდის: ასეთ პირობებში მეტად გაადვილებულია როგორც ღირსების, ისე ნაკლის ნათელყოფა და შეფასება.

თუმცა ავტორი მე 10 გვ. თხზულებისა თავის მიზანს ჩათვლიდა ჰყოფს, მაგრამ, როგორც კვლევა-ძიების განვითარებიდან ირკვევა, ეს სავსებით არ შეეფერება შრომის მიზანს და აგებულობას. ავტორი აცენებს დებულებას, რომ „სწორედ ქსენოფანემ შემოიტანა ფილოსოფიურ აზროვნების ვითარებაში ის ელემენტები, რომლებისაგან წარმოსდგა მეტაფიზიკა. ქსენოფანემ დააყენა ახალი პრობლემა და შექმნა ახალი მეთოდი ამ პრობლემის გადასაწყვეტად. არც ამ პრობლემას, არც მისი გადაწყვეტის მეთოდს მიღებული არ იცნობდენ“ (გვ. 9). საკითხის ასეთი დაყენების მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გათვალისწინებულია, რომ მას კავშირი აქვს ბერძნული აზროვნების ე. ი. ფილოსოფიის ისტორიის სწორი გაგებისათვის, შეადგენს ქსენოფანეს ნააზრევი ერთ-ერთ რგოლს იმ მთლიანი განვითარებისა, რომელშიაც არიან მოყოლილი ყველა მოაზროვნე ელლინურ იერის მატარებელი, თუ იგი ამ განვითარებაში თავისებურ პრობლემების და გზის განმომხატველია—აი საკითხი, რომელიც სდგას იმის წინაშე, ვინც ავტორის დაგვარად, მიუდგება ქსენოფანეს ფილოსოფიის შესწავლას. ეს არი მთავარი ავტორის გამოკვლევაში და ყოველი დანაწილება მთავარი პრობლემისა უნდა გაგებულ იქნას, როგორც დამხმარე გარემოება. ამასვე გამოსთქვამს ავტორი თავისი წიგნის იმავე შეათე გვერდზე: „სწორი სქემა ბერძნული აზროვნების განვითარებისა შეიძლება დამყარებულ იქნეს მხოლოდ ქსენოფანეს ფილოსოფიის საფუძვლიანი შესწავლის საშუალებით“-ო. (გვ. 10).

ავტორი ფიქრობს, რომ ქსენოფანე არ არის „ფიზიკოსი“ ამ სიტყვის იონიური მნიშვნელობით (გ. 9), მაგრამ შემდეგ უფრო გარკვეული ფილოსოფიური საფუძველი სურს მოუნახოს ამ დებულების გაგებას და ამბობს, რომ „ქსენოფანე ებრძოდა არა ფიზიკას, არამედ იმ მეტაფიზიკურ წინამძღვარს (მ. ნ.), რომელიც ამ ფიზიკას შეუგნებლად დაშვებული ჰქონდა“. გვ. 77. აქ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ „მეტაფიზიკური ელემენტები“, რომლებიც, ავტორის აზრით, პირველად ქსენოფანეს უნდა შეეტანა ფილოსოფიურ აზროვნების ვითარებაში, ყოფილა ამ აზროვნებაში, თუმცა შეუგნებლად.

ამ თვალსაზრისით ფილოსოფიურ განვითარების სქემა შეიძლება ცოტა სხვანაირადაც იქნას წარმოდგენილი, ვიდრე ამას ავტორი გვიმტკიცებს. მაშინ გამოვა რომ ფიზიკა და მეტაფიზიკა კი არ უპირისპირდებიან ერთი მეორეს, რომელთაგან ერთი იონიელებს უნდა მიეკუთნოს და მეორე იმ ახალ წამოწყებას, რომელიც ქსენოფანეთი იწყება, არამედ შეუგნებელი მეტაფიზიკა შეგნებულ მეტაფიზიკას. ავტორი ამბობს „იონიელი ფიზიკოსები ვერ ამჩნევდნენ საზღვარს ნამდვილად არსებულსა და მოვლენას შორის. ქსენოფანემ ეს საზღვარი შეამჩნია. ამიტომ ის სარგებლობს იონიური ფიზიკის კერძო მიღწევებით, როდესაც საკითხი მოჩვენებითი სამყაროს ეხება, მაგრამ მის შეუგნებელს მეტაფიზიკას ის არ იზიარებს“-ო (77). გამოდის რომ ფიზიკოსებმა მოვლენა და თვითარსი ბუ-

ნება ვერ გაარჩიეს და, როგორც ავტორი ამბობს, „ბუნება გააბსალიუტეს“. ქსენოფანე არ იზიარებს ამ შეხედულებასო. მაშასადამე, ცხადია, რომ იონიელებს, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც ერთგვარი მეტაფიზიკა ჰქონდათ მათნი მოვლენებს არ ასხვავებდნენ იმისაგან, რაც მათში ივლინებოდა, აქ რომ საზღვარი იყო, ის მათ არ შეუმჩნევიათ. ეს საზღვარი ქსენოფანემ შეამჩნია და მის ნიდაგზე ახალი სოფლგაგება შექმნა. ქსენოფანესაც მიუღია მონაწილეობა ფიზიკის წინსვლაში. ავტორი ამბობს „იმ გონებრივს ვითარებაში, რომელმაც მითოლოგიიდან ფიზიკა წარმოშვა, ქსენოფანე წარმოადგენს ახალს ნაბიჯს წინ“-ო (77).

- აქ სამი რამ არის ნათელი: ა) იონიელებს ჰქონდათ მეტაფიზიკის ელემენტები; ბ) ქსენოფანე ფიზიკის განვითარებაშიაც იღებს მონაწილეობას: არის ნაბიჯი წინ, გ) ქსენოფანე არ ეთანხმება იონიელების მეტაფიზიკას.

დასკვნები, რომლებიც ჩვენ გამოვიყვანეთ, არაა ავტორის დასკვნები. პირიქით, როგორც ზევით აღინიშნა, ავტორი იმის ცდაშია, რომ საწინააღმდეგო დაამტკიცოს: ქსენოფანე სრულიად ახალი ნაკადია ბერძნულ აზროვნების განვითარებაში, რომელსაც ამოსავალი წერტილიც და მეთოდიც სრულიად ახალი და წინამორბედთაგან განსხვავებული ხასიათის ჰქონდა, ანუ, როგორც ავტორი ამბობს: „მას (ე. ი. ქსენოფანეს) სრულიად ახალი საფუძვლები შემოაქვს ფილოსოფოსობისათვის“-ო (78).

ორივე დებულება ავტორისა: ა) რომ ქსენოფანემ პირველმა შეამჩნია მოვლენებს და მათ მიღმა მდებარე რეალობის შუა საზღვარი და, რაც მთავარია, ამ რეალობის მთლიანობა, და ბ) რომ ქსენოფანემ ფილოსოფოსობის ახალი საფუძველი შემოიღო—სწორია და მათი შეუმჩნეველობა ძნელი საქმეც იქნებოდა, იმდენად თავისთავად მნიშვნელოვანი და თვალნათლივია ორივე მომენტი და ეს წინსვლა აზროვნებაში, ქსენოფანეს მიერ შემოტანილი აზროვნების ისტორიაში, თითქმის არავის არ დარჩენია შეუმჩნეველი, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული Reinhardt-ისებური ტენდენციური და ისტორიულ პერსპექტივას მოკლებული შეფასება ქსენოფანეს ნააზრევისა. მაგრამ ამ ორ მოვლენაში გაცილებით მეტია მოთავსებული აზროვნების ისტორიის გენეზისის მიხედვით, ვიდრე ეს ავტორს ჰგონია: იონიელთა მიერ „დასაბამის“ ძებნა ფიზიკაც იყო და მეტაფიზიკაც, მხოლოდ არსებითად განსხვავდება ამისაგან ქსენოფანეს გზა, რომელსაც ნამდვილად არსებულის და ცვალებადობის საფუძვლის ცნება გაუჩნდა თავში. ცნებათა ფილოსოფიას, რომელზედაც აღმოცენდება შემდეგ პლატონის იდეათა თეორია, აქ ჩაეყარა საფუძველი. აქ იყრის თავს ორივე, ავტორის მიერ აღნიშნული, მომენტი: მოვლენებს იქით რაღაც მთლიანობის შემჩნევა და ახალი მეთოდიც ფილოსოფოსობის.

ავტორს არ მიუღია მხედველობაში ამ მომენტის მნიშვნელობა ფილოსოფიის ისტორიისათვის და აქაა მოთავსებული ძირი მთავარი შეცდომის, რომელსაც ქსენოფანეს აზროვნების თავისებურობა სხვა მიმართულებით სურს

გაიგოს და გაშალოს. ავტორის აზრით ქსენოფანეს მოძღვრების სწორი გაგება არღვევს იმ ჩვეულებრივს წარმოდგენას, რომლის მიხედვით „ანტიური ფილოსოფია სწორბაზობრივად ვითარდებოდა, რომ ერთი ფილოსოფოსი მეორემდე იმ ხაზს მიჰყვებოდა, რომლის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს მეორე ფილოსოფოსისაგან შესამემდის ვითარება“ (203); ნაცვლად ჩვეულებრივ შეხედულებებისა, ავტორი აყენებს თავის დებულებას: „ანტიური ფილოსოფია ორი ნაკადისაგან შეიქმნა: პირველი ნაკადის სათავე თალესის ფიზიკაში იმყოფება, ხოლო მეორე ნაკადს ქსენოფანე იწყებს. ეს ორი ნაკადი განირჩევა ურთიერთ შორის, როგორც მიზნით ისე საშუალებებით.“ (იქვე); ეს განსხვავება ავტორს წარმოუდგენია, როგორც განსხვავება „ბუნების წმინდა თეორიულ შესწავლასა“ და „ზნეობრივ თვითშეგნებისაგან აღმოცენებულ ამოცანების გადაწყვეტას“ შორის. თითოეულ ამ ნაკადს თავისი განსაკუთრებული საკითხები ჰქონებია: პირველს — „რა არის სამყარო, რომელიც ჩვენი გარეგნული გრძნობების წინაშე მრავალფეროვან მოვლენებად იშლება“? — მეორეს — „რა არის ღირსეული ან კარგი“? მიზნების მიხედვით, როგორც ზევით დავინახეთ, იცვლება გზა და მეთოდი მსჯელობის და დასაბუთების.

განვიხილოთ ავტორის საბუთები.

ქსენოფანეს გაგების საფუძვლად ავტორს მიაჩნია დებულება, რომ „ქსენოფანეს ფილოსოფიის მოტივები ბუნების სწორს ახსნაში როდი იყო, რომ მისი მსოფლმხედველობა ამ ახსნის ინტერესით კი არ იყო გამოწვეული. მას სხვა წყარო ასაზრდოებდა და ეს იყო ზნეობრივი შეგნება“ (86.) ამ ზნეობრივ შეგნებას, რომელიც ავტორის აზრით უნდა ჰქონებოდა ქსენოფანეს, უდებს ის საფუძვლად, როგორც აღნიშნა, მთელი იმ თავისებურების გაგებას, რომელიც ქსენოფანეს უნდა წარმოედგინა. სხვა ადგილს ავტორი ამავე აზრს შემდეგ დებულებებში გამოსთქვამს: „გარებუნების შეცნობა არის მისთვის (ე. ი. ქსენოფანესათვის) არა უმაღლესი მიზანი, არამედ შინაგანი ზნეობრივი შეგნების წიაღიდან აღმოცენებულ პრობლემების გადასაწყვეტი საშუალება. მთელი მისი ფილოსოფია ამიტომ ხასიათდება პრაქტიკული ინტერესის პრიმატით თეორიული ინტერესის წინაშე“ (107). „ქსენოფანეს მიზანი არ არის ბუნების გაჩენის კანონების გამოძიება“ (108).

ავტორის აზრით ქსენოფანე გარკვეულად დაადგა ღირებულებათა თეორიის თვალსაზრისს და მას შემეცნებითი ინტერესი კი არ ხელმძღვანელობს, არამედ შეფასებითი. აქედან გასაგებია ავტორის განცხადება: „საგნების იმმანენტური კანონის ცნება კი არა, მათთვის ტრანსცენდენტური მნიშვნელობის იდეა მიმართავს ქსენოფანეს ფიზიკალურ კვლევას“ — აო (109). ასეთ პირობებში გასაგებია ის ამბავიც, რომ მიწა, როგორც ნივთიერება, რომლისაგან წარმოიშობა საგნები „მხოლოდ ნივთიერება კი არ არის, არამედ იმავე დროს ის არის ცნება, ე. ი. ნივთიერებაზე მეტი“ და ეს მეტი ავტორს ესმის აუცილებლად ეთიკური მნიშვნელობით (109).

მიწა უსრულობის სიმბოლოა, მისგან შექმნილი ქვეყანა „მოკლებულია შინაგანს კავშირს“. მიწით იწყება ყოველი და მიწად იქცევა. ამ ნიადაგზე მუ-

შავდება პესნიისტური წარმოდგენა ქვეყნის ბედის შესახებ. და აი ამ უიმედობის და უსრულობის ნიადაგზე მუშავდება, ავტორის აზრით გზა უღვთაობაზე მისი (ე. ი. ქსენოფანეს) შეხედულებების შესასწავლად. თუ დავხარებთ ქვეყანას, ცხადია, ფიქრობს ავტორი — რომ პირველის პრედიკატები უნდა უკანასკნელის პრედიკატების უარყოფის საშუალებით მივიღოთ — „ო (124). ამ გზით და მეუბნებით, ავტორის აზრით შემუშავდა თანდათანობით ქსენოფანეს წარმოდგენაში მონოთეიზმი, რომელიც, როგორც ავტორი ამბობს „სამართლიანობის საყოველთაო მნიშვნელობის გაგების ნიადაგზე გაჩნდა და არა ბუნებრივ მოვლენებზე წარმოდგენათა განხორციელების გზით... ქსენოფანეს მონოთეიზმი გაუღენთილია ხნობრივი ვალდებულების ან მორალური ნორმის იდეით“ (144). ქსენოფანე შეებრძოლა პელითეიზმს, უარყო ღმერთები, „რომლებიც ბუნებრივ ძალთა განსახიერებას წარმოადგენენ“ და მაშასადამე, ფიქრობს ავტორი, მონოთეიზმის ერთი ღმერთის იდეა არ შეიძლებოდა იგივე ყოფილიყო, რაც ბუნებაო. დასკვნა — ქსენოფანე არ შეიძლებოდა პანთეისტი ყოფილიყო. ავტორს კარგად ესმის, რომ ქსენოფანეს პანთეისტური ინტერპრეტაცია ძირეულად ეწინააღმდეგება მის კონცეპციას — რომ მთავარია ბუნების პრედიკატების უარყოფით მიღებული ეთიკურ ნიადაგზე დაყრდნობილი ცნება მონოთეიზმისაო. გრძნობისებურ სამყაროსთან კავშირის განწყვეტა და უარყოფითი გზის არჩევა მონოთეისტურ იდეის მისაღებად — ასეთია ავტორის აზრით მისი თხზულების ძირითადი აზრი (167). ეს ცნება კი, როგორც ვიცით, ქსენოფანეს დასჭირდა არა ბუნების ასახსნელად, ის მისთვის „იყო მხოლოდ ხნობრივი წესწყობილების საფუძველი და გრძნობების სამყაროსთან მას არავითარი რეალური კავშირი არ ჰქონდა —“ო ამბობს ავტორი. (170). ავტორს ბუნებრივად მიაჩნია ის გზა, რომელიც ქსენოფანემ პირველმა გაჩარხა — აბსოლიუტის იდეის ემპირიულ სინამდვილის პრედიკატებისაგან განთავისუფლების გზით მიღება, რის შედეგად ქსენოფანეს მოძღვრება ღმერთზე უმთავრესად უარყოფითი მსჯელობებისგან შედგა.

იმ ძირითად ლოგიკურს დამოკიდებულებაში, რომელშიაც არიან ღმერთი და ბუნება, ან რომელსაც ავტორი წინააღმდეგობის ნიშნით გამოთქვამს, საბოლოოდ და რადიკალურად ისმის ბუნების საკითხი. ავტორი ფიქრობს, რომ ლოგიკურ დასკვნამდე მიყვანილი ქსენოფანეს მოძღვრება არ სცნობს და ვერ სცნობს კავშირს ღმერთსა და ბუნებას შორის, რადგან ერთი მათგანი რეალობაა და მეორე კი ირრეალობა. „ის არ არსებობს, ის არის მოჩვენება —“ო განმარტავს ავტორი ქსენოფანეს შეხედულებას (175). ასეთი განმანადგურებელი შედეგი, ავტორის აზრით, საჭირო შეიქნა ქსენოფანესათვის „რათა ხნობრივი საფუძველის ანუ ღმერთის განუყოფელი ბატონობისათვის ნიადაგი განეწმინდა“ (177), ამიტომაც ქსენოფანეს ფილოსოფიის ბოლომდე განაზრება რომ მოხერხდეს აუცილებელია ავტორის აზრით ქვეყნიერების ირრეალობა „რაც ლოგიკური მოთხოვნისგან ქსენოფანეს აზრთა წყობის საერთო გეგმისა —“ო (178). — უკანასკნელი გამართლება ასეთი დებულების ქსენოფანეს ფილოსოფიის მიმართ უნდა იყოს შემდეგი ინტერპრეტაცია ავტორისა: „არსებობა არის ღირსება, ქვეყნიერება კი ყოველივე ღირსების გარეშეა“ო (181).

ამით თავდება ავტორის ცდა ღირებულების თეორიის თვალსაზრისით ქსნოფანეს ფილოსოფიის გაგებისა. კანტიანიზმიდან წარმოებული დაპირისპირება გარე და შინა ბუნებისა, ქვეყნისა და მორალისა, რომელიც (ე. ი. კანტიანიზმი) დასახელებულიც კი არის თხუზლებაში, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, და ავტორს გაუხდია თავისთვისაც სავალდებულოდ და ამ თვალსაზრისით უცდია ანტიურ ფილოსოფიის იმ რთულ და საპასუხისმგებლო მომენტში შექრა, სადაც აზროვნების ერთი ურთულესი ნიშნუში — ქსნოფანე კოლოფონელის ნააზრევია მოთავსებული. დამატებითი თავი ქსნოფანეს შემეცნების თეორიის შესახებ მთელი გამოკვლევის მთლიანობისათვის და თვით ძირითად პრობლემების ნათელსაყოფად არაფერს მნიშვნელოვანს არ შეიცავს. გამოკვლევის არქიტექტონიკა დამთავრებულია ამ თავის გარეშეც და ესლა მისი საფუძვლიანობის და მეცნიერულ აგებულების შეფასებას უნდა შეუდგეთ.

რაც შეეხება პირველს — თავისი თეზის დასამტკიცებლად ავტორს ესაჭიროებოდა დაემტკიცებია: 1) რომ ქსნოფანე ნაცვლად ქვეყნის საწყისის შესახებ წარმოდგენისა თვით ცნების წარმოდგენამდე მივიდა, 2) რომ ამ ცნებამდე მისვლით მან დაარღვია წინანდელ ფილოსოფიის ტრადიცია და ხაზი, 3) რომ ეს ცნება მორალურ კატეგორიისაა და 4) რომ მისი ნიშნები და ღვთაების ნიშნები ერთი და იგივეა. ასეთია ოთხი დებულება, რომლის ირგვლივ ტრიალებს გამოკვლევის მთავარი აზრი.

ჩვენის აზრით ვერც ერთი აღნიშნული დებულება ავტორმა საბოლოოდ ვერ დაამტკიცა და პირიქით წინასწარ, კანტის სქემის გავლენით მიღებული კონსტრუქციით დაძალადებული ის მრავალ შეუსაბამობაში და წინააღმდეგობებში ვარდება.

მართალია, ქსნოფანეს ცნება „ერთის“ შესახებ არაა მილეტური ფიზიკის საწყისი. იქ აზრი მიმართულია იქეთ, თუ სადაა წარმოშობითი ძირი ქვეყნისა, რომლითაც ყველაფერი აიხსნება და გაიგება. ეს წარმოდგენა არაა ისე მარტივი, როგორც ავტორს ჰგონია და მის დასახასიათებლად უკეთესია ტერმინი „ფიზიოლოგია“ ვიდრე „ფიზიკა“. საზოგადოდ, როგორც ქვეყნით დავინახავთ — სააზროვნო დაპირისპირება: „ფიზიკისა“ ღ „მეტაფიზიკის“ — პირველის მილეტელებისათვის მიწერა ღ მეორესი, ქსნოფანესათვის არსებითად შემცდარია ღ ისტორიულად ანაქრონისტული. „საწყისის“ ცნება არ ებრძოდა „არსების“ ცნებას: საგნების არსებასაც ის შეადგენდა, რაიც მათი წარმოშობის ძირი იყო ღ ამდენად მილეტელებს ცნების ჩასახვის ელემენტიც გააჩნდათ. მათ აკლდათ სიმრავლეში „არსების“ გაშლის წარმოდგენა, მრავალსახიანობის დაძლევა მათ მხოლოდ ერთს და ისიც ამოსავალ მომენტში ნოახერხეს, ხოლო სიმრავლეთ გაშლილი საწყისი დაუძლეველი შეიქნა მათი აზროვნებისათვის და „ერთისა და ყოვლადის“ ცნება მათთვის მიულწეველი დარჩა. საჭირო იყო ამ „ერთის“ დასაწყისიდან ამ სიმრავლეში გადმოწევა და ძნელი, მაგრამ საჭირო ამოცანის წამოყენება: სიმრავლეს იგივე ერთობლივობაა და მოვლენებმა ისევ არ უნდა დაუარონ ეს ჩვენგან, როგორც, ფიქრობდა ქსნოფანე — მრავალმა ღმერთებმა ერთი ღმერთის იდეაო.

ბუნების გააბსოლიუტება, რომელსაც ავტორი იონიელ ფიზიკოსებს მიაწერს, იმაში კი არ იყო, რომ მილეტელებმა მოვლენების საზღვარი ვერ გაიგეს

და თვითარსი ბუნება ვერ განასხვავებს. საქმე რომ ასე ყოფილიყო, რაღა გააკეთა მაშინ ქსენოფანემ ამ ნაკლის თუ შესავსებლად არა—რადგან ეს შეიძლებოდა ავტორის კონსტრუქციით არც შესულიყო მის ამოცანაში—შესასწორებელი იქნებოდა? რაღა აზრი ექნებოდა ქსენოფანეს მიერ შემჩნეულ საზღვარს მოვლენებსა და თვითარსს ბუნებას შორის, თუ ქსენოფანეს ფილოსოფიის პერსპექტივები ქვეყნის იორეალობით, ე. ი. არარაობით, არ არსებობით, უნდა გათავებულიყო? ცნების შემუშავება განა იმას ნიშნავდა, რომ უნდა მოსპობილიყო ის, რის გამოც და რის შესახებაც ცნება მუშავდებოდა? აშკარაა, თვით ავტორის მიერ ხაზგასმული გარემოებებიც რომ შეიღოთ, ისტორიული პერსპექტივა შებღალულია და ავტორის დასკვნა შეუსაბამო.

ცნებათა ფილოსოფია ძველ დროს სოკრატემდე არა აქვს. ამაშია სოკრატეს ფილოსოფიური საქმე, მაგრამ ზეციდან არც სოკრატე ჩამოვარდნილა და ისტორიული პრაგმატიზმი, რომელსაც თავის დროზე რიტერი და შემდეგ სრულიად ნათლად და გარკვეულად ცელლერი იცავდენ, მართლა ჰეგელის მიერ მოგონილი ამბავი კი არაა, არამედ განუუქმებელი ისტორიული ფაქტი. პრიმიტიულად, მაგრამ მაინც შესძლეს იონიელებმა ცნების ერთი მომენტის—**არსების**—შემუშავება. ქსენოფანემ მისი მეორე სახე შეიმუშავა—**მრავალსახიანობის ერთობლივობაში** დაძლევა. მან ახალი ნაბიჯი წარსდგა აზროვნებაში—კერძოდ ცნების შემუშავების საქმეში, მაგრამ ახალი უკვე დაწყებული საქმის წინ წაწეწევის თვალსაზრისით და არა ჯერ უცნობ და უხილავის მხილების მხრივ.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ქსენოფანეს აბსოლიუტურად ახალი რამ არც ცნების შემუშავების სახით და არც ახალი გზის გამონახვის თვალსაზრისით არ უთქვამს. ის, რაც მან სთქვა, მხოლოდ ელემენტი იყო შესაძლებელ ცნების და ცნებათა თეორია რომ, როგორც ასეთი, გამომუშავებულიყო საჭირო იყო სრულიად ახალი გარემოების შეტანა აზროვნებაში ფილოსოფიურ რეფლექსიის, რაც მხოლოდ სოკრატემ მოახერხა. ავტორის ცდა—ქსენოფანეს გნოსეოლოგიის შესახებ რაიმე აზრის დამკვიდრებისა, ვერაფერს ვერ ამტკიცებს, რადგან მას სწორედ ეს ელემენტი აკლია.

რაც შეეხება მესამე დებულებას—თითქოს მორალური კატეგორია ქსენოფანეს ახალ გზის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა, უნდა ითქვას, რომ ეს დებულება ყველაზე სახიფათოა; საერთოდ ცნობილია, რომ ქსენოფანეს არავითარი ზნეობრივი ფილოსოფია არ შეუშუშავებია. ეს ავტორმაც კარგად იცის. ის სრულიად გარკვეულად ამბობს: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქსენოფანეს ზნეობის ფილოსოფია ჰქონდა“-ო (გვ. 86). ამის მიუხედავად მას შესაძლებლად მიაჩნია განაცხადოს, რომ თუმცა ქსენოფანეს ზნეობრივი შეხედულებანი ფილოსოფიის საზღვარს ვერ აღწევენ, მათ მაინც „გადამწყვეტი როლი ითამაშეს ქსენოფანეს მსოფლმხედველობის შექმნის პროცესში“-ო (იქვე). ეს ორი განცხადება სრულიად არ უდგება ერთი მეორეს და თუ შემდეგ რამოდენიმე გვერდზე ავტორი ცდილობს აღადგინოს ქსენოფანეს ზნეობრივი შეხედულებანი, შედეგი, რომელსაც ის აღწევს პირდაპირ ამტკიცებენ, რომ ჩვეულებრივ, საყოველღეო, მაშინდელ საზოგადოებაში გავრცელებულ მორალ სენტენციების იქეთ

ქსენოფანე არც წასულა და ვერც წავიდოდა, რადგან არსაიდან არა ხჩანს, რომ ზნეობრივ პრინციპს მის ფილოსოფიასთან რაიმე კავშირი შექონებოდა.

ავტორის აზრით შესახებ მეოთხე დებულებისა მდგომარეობა ცოცხალი უფრო რთულია. წარმოდგენა ცნებაზე, რომელიც, როგორც ავტორი უმართებულოდ ჰფიქრობს, თითქოს პირველად ქსენოფანემ შეიმუშავა, თავისი ნიშნებში ძნელი შესადარებელია რასმესთან, რადგან იგი მხოლოდ ნეგატიურს ნიშნებში ანუ პრედიკატებში იაზრება. ეს ნეგაცია კი დაკავშირებულია იმ გზასთან, რომლითაც ქსენოფანეს უნდა გამოეყვანა თავისი ძირითადი ცნება: ქვეყანა ნაკლოვანია, ღმერთი არაა ქვეყანა—მაშასადამე მას აქვს საწინააღმდეგო ნიშნები, იმათ მიმართ რომლებიც ქვეყანას გააჩნია. ასეთია კონსტრუქცია 124 და სხვ. გვერდებზე მოცემული. ავტორი ამბობს: „თუ ღმერთი არ გავს ქვეყანას, ცხადია, რომ პირველის პრედიკატები უნდა უკანასკნელის პრედიკატების უარყოფის საშუალებით მივიღოთო“. იმავე აზრს ავტორი კიდევ უფრო ხაზგასმით გამოსთქვამს 174 გვერდზე: „ქსენოფანემ ღრმა საზღვარი გაავლო ბუნებასა და ღმერთის შუა. ღმერთი და ბუნება ურთიერთ შორის სასტიკს ლოლიკურს წინააღმდეგობაში იმყოფებიან. თითოეული შეინაარსი ამოიწურება მეორის შეინაარსის უარყოფით“ (იხილეთ აგრეთვე გვ. 153).

ძნელია იმის თქმა, რომ ცნება, რომელიც უნდა მიღებული ყოფილიყო ყველა ზემოდ აღნიშნულ საშუალებით, ნიშნების მხრივ იგივეა რაც ღვთაების ცნება, რადგან უკანასკნელს დადებითი ნიშნები არა გააჩნიათ. არსის და ღმერთის ცნების გათანაბრება ავტორს იმავე 174 გვერდზე „ლოლიკურ ნახტომად“ აქვს გამოცხადებული. უარყოფითი პრედიკატების შედარება არ ქმნის ცნების შესადარებელ საფუძველს და ამიტომაცაა ლოლიკა უარყოფითი განმარტებას შემცდარად თუ არა ყოველ შემთხვევაში ნაკლოვან განმარტებად სთვლის. ამდენად ავტორის შემცდარმა ლოლიკამ ნაკლოვან ქვეყანას, რაც მორალურ სამოსელში გახვეულს ქსენოფანეს უნდა დაეძლია, ნაკლოვანი ცნებაში მოცემული ღვთაების იდეა დაურთო. **აშკარაა, რომ აქ რაღაც ბოლომდე მოფიქრებული და მოაზრებული არა არის.**

რაშია აქ ძირითადი შეცდომა. ძირითადი შეცდომა იმაშია, რომ **არ მსგავსება წინააღმდეგობას არ ნიშნავს.** თეთრი და წითელი ერთი მეორეს არ ჰგავს, მაგრამ განა ისინი ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ცნებები არიან? ისინი ერთი მეორეს მიმართ მოპირდაპირე ცნებებიც კი არ არიან, როგორიცაა მაგ. თეთრი და შავი.) ავტორს დაავიწყდა, რომ წინააღმდეგობაში ყოფნა მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებულ ცნებებს შეუძლია და ღვთაების იდეაც უკვე ასეთი ცნება უნდა ყოფილიყო იმ თავით, ე. ი. ის მხოლოდ ეხლახან კი არ უნდა ყოფილიყო უარყოფის საშუალებით მისაღები. მაგრამ მაშინ ავტორის მთელი კონსტრუქცია ირღვევა: ქსენოფანემ ღვთაების იდეა ქვეყნისთვის უარყოფითს დაპირისპირებაში მიიღო.

ავტორს ლოლიკური შეცდომა შეცდომაზე მოსდის. მაგ. სრულიად არაა სავალდებულო, რომ გზა და შედეგი ლოლიკურად ერთი და იგივე იყოს. არაა სავალდებულო რომ უარყოფის გზით აუცილებლად უარყოფითი პრედიკატი მიი-

ლო. დაუშვათ, რომ უარყოფა მე მიუყენე უარყოფით პრედიკატს, როგორ ვეც-
კრობს ავტორი—შედეგი მაშინაც უსათუოდ უარყოფითი უნდა გამოვიდეს? რა
თქმა უნდა არა და ეს ავტორის მეორე დიდი შეცდომაა. უარყოფითი უარყოფ-
ყოფა ხომ დადებითია და ეს იცის არა მხოლოდ დიალექტიკურმა ლოლიკამ, არა-
მედ უბრალო სასკოლო ფორმალ ლოლიკანაც, ამის შემდეგ გასაკვირვია—რას უსა-
ყვედურებს ავტორი ქსენოფანეს და რად მიაწერს მას „ლოლიკურ ნახტომს“. მარ-
თლაც და თვით ავტორის წინამძღვრები რომ მივიღოთ და ვსთქვათ: ქვეყანა
უარყოფითი და ნაკლოვანია ღვთაება იმის საწინააღმდეგოა, რაც ქვეყანა—განა
აქედან ორეული ნეგაციის შედეგად წმინდა წყლის დადებითი პრედიკატებში
ჩამოსხმული ცნება არ უნდა მივიღოთ? ცხადია, რომ ეს ასე უნდა იყოს და თუ
ავტორს მაინც ჰგონია, რომ ღვთაების იდეა უარყოფითი პრედიკატებში უნდა
მოიაზროს, ეს იმიტომ, რომ მას ყოველი ნეგაცია აუცილებლად წინააღმდეგობის
თანმხლებ მოვლენად მიაჩნია. ეს მეორე მხარეა ზემოდ აღნიშნულ ძირითად
შეცდომის: უარყოფა არის იქაც, სადაც არაა უბრალო მსგავსება და იქაც, სა-
დაც წინააღმდეგობაა.

ყველა ზემოდ მიღებული დასკვნები გარკვეულად ამტკიცებენ, რომ ავტო-
რის მიერ მიღებული დასკვნები უფრო იმ თავითვე მიღებულ აპრიორულ კონ-
სტრუქციების შედეგია: რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ისე გამოვიდეს, რომ ბუ-
ნებასა და ხნეობრივ წესრიგს შორის წინააღმდეგობაა და ეს წინააღმდეგობა
ესმოდა ქსენოფანეს და მისი გამოყვანა და დასაბუთება იკისრა. ქსენო-
ფანეს შედარება ავტორის მიერ „რიგორისტ კანტთან“ სწორედ ამ დაპირის-
პირების საკითხში საეჭვო მთაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენის აზრით ავტორი ვერ ახერხებს ძირითადი დებულების დამტკიცებას.
ლოლიკურ სქემატიზმის გზაზე შემდგარს თან და თან, გარდა აღნიშნულ სიძნე-
ლეთა, მრავალი ახალი ელობება წინ. პანთეიზმი მან უნდა დასძლიოს, რადგან
იგი მის მიერ მოწოდებულ „ქსენოფანეს ფილოსოფიის კონცეფციას“ ეწინააღმ-
დეგება. როდესაც ის, თავისი აზრით, პანთეისტურ გავებას ქსენოფანეს შეხე-
დულებათა მოხსნის, ქვეყანა კიდევ უფრო გავერანებულ ხასიათს იღებს და იბა-
დება კითხვა, რაღა კავშირი აქვს ასეთ ქვეყანასთან ღვთაებას—აქ ერთბაშად
წებრუნდება ლოლიკური დამოკიდებულება: რადგან არის რეალობა მხოლოდ
ღმერთი და ქვეყანა კი არაა ის, რაც არის ღმერთი, მაშასადამე იგი—ირრეალუ-
რია ანუ არ არსებობს. ასეთია ყოველი ლოლიკური სქემატიზმის შედეგი—ში-
ნაგან აუცილებლობის ქსელში დახლართული, ის ნებით თუ უნებლიეთ ასეთი
მარცხით ათავებს—მოიხედავს და თურმე მთელი ქვეყანა სადღაც გაპარულა!

ქსენოფანეს, რომელსაც მრავალსახიანობაში ერთობლივობის დაქერა
ჰქონდა მიზნად დასახული, ასეთი შედეგი მისი მოძღვრებისა უეჭველად გააკვირ-
ვებდა: აქ მართალია და ძალაში რჩება ძველი შეხედულება არისტოტელესი და
მის ნიადაგზე მდგომ ცელღერისა—„გახედა რა ქსენოფანემ ცა და ქვეყანას—
სთქვა—ერთია ღმერთიო. (არისტოტელეს ზაჯაჲ ანჰაჯჲ—ჩვენებური „ცადაქვე-
ყნით“, როგორც ერთი ცნებით, ვთარგმნით). ჯერ-ჯერობით თეოლოგიურ სამო-
სელში გახვეულს მოაზროვნეს, რომელიც პირველი ეკვლითა პოლითეიზმს, არ შეე-

ძლო სხვა ცნებებში გამოეხატა აზრი, თუ არა თანადროულში. ეს, რა თქმა უნდა, ისევე ვერ დაამცირებს მის მნიშვნელობას ცნებათა ფილოსოფიის შემუშავებისათვის, როგორც ვერ დაამცირა თეოლოგიურმა სამრწამსო საუკუნოების ნამემკვიდრე იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლის—**დეკარტის** მნიშვნელობა ახალი დროის იდეოლოგიის გამომუშავებისათვის.

მეცნიერული არქიტექტონიკისა და დაღაგების მხრივ გამოკვლევას ზოგიერთი დეფექტი აქვს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დეფექტები ნაინცა და მაინც დიდ დანაკლისს წარმოადგენდეს. ზოგ მათგანზე წიგნში დაცულ საერთო თანმიმდევრობის ნიადაგზე შეიძლება შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება.

ცელლერის შეხედულების დახასიათება შესახებ ქსენოფანეს შეხედულებათა ღვთაების იდეის გამო არ აქვს ავტორს სწორედ გადმოცემული. ერთი დაპირისპირება, რომელსაც ცელლერი აწარმოებს (Phil. d. Griech. L. 66) ეხება ერთის მხრივ სინკრეტიზმის, მრავალ ღმერთიანობის გაერთიანების დაპირისპირებას—მეორე გზისათვის—პოლითეიზმთან მებრძოლების გზისთვის. ბერძნული რელიგიური განვითარება მეორე გზას ირჩევდაო. ამდენად აქ საერთო დახასიათებაა მოცემული, ხოლო რაც შეეხება თვით ქსენოფანეს—ნათქვამია „dagegen g. o. პირველი ჯგუფის საწინააღმდეგოთ tritt der ältere Pantheismus eines Xenophanes der Vielheit der Götter in scharfer Polemik entgegen“ (იქვე) აქ არაფერია ნათქვამი ისეთი, რაც ქსენოფანეზე ზედგამოჭრილი არ იყოს: მისი პანთეიზმი პოლითეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაისახაო. შეიძლება ავტორის და გვარად არ სცნა ქსენოფანეს პანთეისტობა, მაგრამ თვით გზა-პოლითეიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა—სწორადაა აღნიშნული.

ეწინააღმდეგება ამ ადგილს ცელლერის მეორე ადგილი, როგორც ამას ჰფიქრობს ავტორი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. მეორე ადგილს ცელლერი—უპირისპირებს ერთი მეორეს ორ განხილვას ქვეყნისას: ერთხელ ის ზერელეა და მოცემულია გრძნობითი ინტუიციასი in ihrer scheinbaren Umgrenzung durch das Himmelsgewölbe“. (Zeller, I, 658) მეორეჯელ კი „უფრო გაღრმავებულ განხილვისათვის მოვლენათა შორის არსებულ კავშირში“. ორივე შემთხვევა მოითხოვს „die Einheit der weltbildenden Kraft“ გ. o. ქვეყნის შემქნელ ძალის ერთობლივობას. სადაა აქ წინააღმდეგობა? აქ ხომ პოლითეიზმის წინააღმდეგ საბრძოლველ ძალად „ღმერთების გაერთიანება“ კი არა, არამედ ბუნებაში შემჩნეული მთლიანობაა აღიარებული. საიდან გამოიყვანა ავტორმა, რომ აქ წინააღმდეგობაა?

მთელი მე 105 გვერდზე მოთავსებული დებულება ნაძალადევი კონსტრუქციის ნიმუშია. თეოლოგიისა და მორალის კავშირი ავტორს არსად არ დაუმტკიცებია. როგორც ეთიკა ისე ფიზიკა ქსენოფანესი მის მთავარ ფილოსოფიურ საქმესთან მხოლოდ შორეულ კავშირში იყო. ამის მიუხედავად ავტორი ცდილობს „ანტითეტიურ“ კავშირის დამყარებას ფიზიკასა და მეტაფიზიკას შორის. ავტორი ამბობს: „თუ ღმერთი უზენაესი სიკეთეა, ხოლო ბუნება კი მისი წინააღმდეგობა, ცხადია, რომ პირველის პრედიკატები უნდა იყოს მეორის პრედიკატების უარყოფა და პირუკუ“. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ „წინააღმდეგობის“

უადგილობა აღნიშნულ შემთხვევაში. ასევე უადგილოა ანტითეტიური მიმართებაც. ამის წინააღმდეგ ორი საბუთია: ა) ანტითეზისი მოითხოვს თეზისს, რომლის ცნების ამოწურვას მივყევართ მეორე ცნებამდე, ე. ი. ქვეყნისა და ქვეყნისა უნდა მიუთითებდეს ღვთაებაზე, ბ) ორივე გაერთიანებული უნდა იყოს რაღაც უფრო მაღალ ცნებაში—უსინთეზოდ არ არსებობს ანტითეტიურობა. ეს კი რაღაც უფრო მაღალი ცნება უნდა იყოს, ორივე წინანდელ ცნებაზე მაღლა მდგომი. ეს კი შეუძლებელია, რადგან მონოთეისტურ იდეის მაღლა, თანახმად პირობისა, ცნება შეუძლებელია.

109 გვერდზე სწერია, „ქსენოფანეს მიწა მხოლოდ ნივთიერება კი არ არის, არამედ იმავე დროს ის ცნებაა ე. ი. ნივთიერებაზე მეტი. ამიტომ (?) ეს მიწა უნდა გაგებულ იქნეს ფიზიკალური მნიშვნელობით მარტო კი არა, არამედ და უწინარეს ყოვლისა ეთიკური მნიშვნელობით“; აქ ერთი მეორეზე გაუგებარია ლოღიკური გარდასვლები: „ე. ი. ნივთიერებაზე მეტი“ და „ამიტომ“. ორჯელ ხაზგასმული კავშირი არ კავშირობს თუ იგი უაზრობაა და სწორედ ამიტომ Schulz ის და რეინჰარტი აზრი მიწის, როგორც ძირითად ელემენტის თვალსაჩინოებაზე უფრო ნათელი და გასაგებია. რა მსჯელობაა მართლაც: „მიწა ცნებაა, ამიტომ იგი ეთიკურია“. როგორ ვერ ხედავს ავტორი, რომ მისი დასკვნა ენთიმემაა, რომელსაც ნათელი წინანმძღვარი გულისხმობაშია ც კი აკლია?

ნაძალადევა ქსენოფანეს დებულების $\xi\alpha\ \chi\alpha\iota\ \nu\epsilon\ \pi\acute{\alpha}\nu\tau\alpha$ -ს განმარტება—ინტერპრეტაცია (გვ. 111). საიდან სჩანს, რომ აქ უეჭველად მორალური მომენტია და რომ $\pi\alpha\nu\tau\alpha$ აუცილებელივ გრძნობისებურ სამყაროს ნიშნავს? ზარატუსტრას დამოწმება საეჭვოა, რომ გამოდგეს.

ასეთივე ნიმუშია ნაძალადევი კონსტრუქციის 113 გვერდი. ავტორს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, სურს დაამტკიცოს, რომ ქვეყნის, როგორც მთლიანობის ცნება ქსენოფანეს არ აქვს და $\pi\acute{\alpha}\nu\tau\alpha$, რომელზედაც ის ლაპარაკობს „არის მრავლობა, მოკლებული შინაგან კავშირს“. ამის დასამტკიცებლად მას სამი ფრაგმენტი მოჰყავს: 27, 33, 34. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს რომ არც ერთი ფრაგმენტი არ ამტკიცებს ავტორის აზრს, ასე რომ ფრაგმენტების შემდეგ მიყოლებული:—„აქედან ცხადია“ და სხვ. სრულს გაუგებრობათ უნდა ჩაითვალოს. 34 ფრაგმენტი არა თუ არაფერს ამტკიცებს, არამედ ნახმარია როგორც გრამატიკულ ელემენტი და არც მეტი არც ნაკლები—„რომელსაც სცოდნებოდა ღმერთებზე და ყველა იმ საგნებზე, რომლის შესახებ მე რაიმე მითქვამსო. მთელი ფრაგმენტის წაკითხვა ნათელჰყოფს იმ აზრს, რომელიც ციტატაში დამახინჯებულია, და ისე ისმის, როგორც ეს ავტორს უნდა. სხვა შემთხვევებში $\pi\acute{\alpha}\nu\tau\epsilon\varsigma$ უნდა ითარგმნებოდეს „ყოველი“ და არ „ყველანი“. ავტორი ამჯობინებს უკანასკნელს, რადგან ჰგონია, რომ ეს აძლიერებს მის თეზას—უკავშირობა კრებადობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა—რატომ არ მოიყვანა ავტორმა 29 ფრაგმენტი, რომელიც დაცული ჰქონდა იმავე სიმპლიკიოსს, რომელსაც ის ძალიან ხშირად იმოწმებს სხვა შემთხვევებში: $\gamma\eta\ \chi\alpha\iota\ \nu\beta\epsilon\pi\ \pi\acute{\alpha}\nu\tau\epsilon\varsigma\ \theta\epsilon\sigma\theta\epsilon\sigma\alpha\ \gamma\iota\nu\alpha\iota\ \tau\alpha\iota\ (\alpha\iota)$ ἦδὲ φάνηται „მიწა და წყალია ყოველი, რაც არსებობს

და იზრდება (ხარობს)“, ცხადია, ეს ფრაგმენტი ავტორს არ გამოუდგებოდა, რადგან ის მისი კონსტრუქციების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

124 გვერდზე მოცემულია ძირითადი შეცდომა: არც მხარეა და არც წინააღმდეგობასო. მთელი თხზულების დაუმტკიცებლობის ბედი აქ წყდება. ნაწილობრივ ეს საკითხი უკვე ზემოდ იყო განხილული.

137 გვ. არ შეიძლება მოჭარბებულად კატეგორიულად არ ჩაითვალოს განცხადება, რომ „ქსენოფანეს მთელი ფილოსოფია ღმერთზე სწორი წარმოდგენის დამყარებაში შედგებოდაო“. ეს ისტორიულად განმსაზღვრელი, მაგრამ წარმავალი გარემოება იყო.

ავტორი იქამდე მიდის ქსენოფანეს ფილოსოფიის გამორალურებაში, რომ არა მარტო ტალახი და მიწა მიაჩნია, და ისიც ნიცშეს დახმარებით, დაცემის სიმბლოდ, არამედ ცა გაიგო როგორც სიმბოლო მიწიერი ნაკლულევანებათაგან დაშორებული ადგილისა“. ჩვენ ზევით მკაფიოდ გადმოვთარგმნეთ სიტყვით „ცადაქვეყანა. ქართულში დაცული გაიგვივება ცისა და ქვეყნის და ერთ ცნებად შედუღება სჩანს ბერძნებისთვისაც უცხო არ იყო. მთელ ქვეყანად — „das Weltall“ სთარგმნის ამ სიტყვას ფრეიდენტალიც. ყოველ შემთხვევაში ცოდვილი ქვეყნიდან დაშორების ამბავი არსად არაა ამ ცნებასთან დაკავშირებული არც ქსენოფანეს ფრაგმენტებში, არც არისტოტელეს და სხვ. გადმოცემაში. ცელლერი თარგმნის მას როგორც „das Weltganze“

უადგილობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია აქ განვიხილოთ ზედმიწევნით, რომ ავტორის ცდა 145—151-მდე ძველი მწერალთა მოწმობით ქსენოფანეს პანთეისტობა უარეყო, სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ავტორს კარგად ესმის, რომ პანთეიზმის თეზა „აშკარად ეწინააღმდეგება“ მის კონცეფციას და გრძნობს, რომ ამ თეზის დაძლევის გარეთ მის საკუთარ დასკვნებს ერთი დიდი საფრთხეთაგანი მოეწვინება. მაგრამ ვერც ისტორიული განხილვის მხრივ—იყო თუ არა ძველთა მოწმობით ქსენოფანე პანთეისტი და ვერც ლოლიკური დედუქციით შეეძლო თუ არა ქსენოფანეს პანთეისტი ყოფილიყო, ჩვენის აზრით, ავტორი მიზანს ვერ აღწევს და ძალაში რჩება ის იშვიათი თანხმობა მკველევართა შორის“ (გვ. 145), რომელიც ამ საკითხის გამო თვით ავტორს აქვს აღნიშნული.

გვ. 153 ავტორი სწერს „მისი (ქსენოფანეს) მიზანი იყო დაემტკიცებია მხოლოდ, რომ ღმერთსა და ქვეყნიერებას შორის არაერთი მხგავსება არ არსებობს“. თუ ქვეყანა ირრეალური იყო, როგორც განმარტავს ავტორი ქსენოფანეს შეხედულებას, როგორღა ხერხდებოდა თუნდაც განსხვავების გამოყვანა? განსხვავებული შეიძლება იყოს „რაობა“ და „რაობა“ და „არარაობა“ და „არარაობა“. თვითონ „რაობა“ ანუ რეალობა არაა პრედიკატი, არამედ პრედიკაციის ანუ ნიშნების მიკუთვნება არ მიკუთვნების არე.

გვ. 167. მართალია ავტორი, რომ საზღვარი და რკალი სისრულის ნიშნები იყო ბერძენთა აზროვნებაში და არა წმინდა ვრცეული ცნებები, მაგრამ აქედან არ სჩანს, რომ იგი ქვეყნის მიმართ აუცილებელი წინააღმდეგობის მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. რა საბუთითაა მაგალითად ცელლერის მიერ დაშვებული კონსტრუქცია არსებისა და მოვლენის მიმართების შესახებ? არ უნდა იყოს

აგრეთვე მართებული ავტორის ცდა ვრცელ პრედიკაციის წინააღმდეგობა ე. ი. რომ ერთხელ ღვთაებას განუსაზღვრელობა და მეორეჯელ განსაზღვრელობა მიეწერებოდა, იმით იქნას დაძლეული, რომ იგი საესებით ამუშავებული უქნას ვრცელ განმარტების სფეროდან. რა საბუთითაა უარყოფილი შესაძლებლობა თუ ზემოდ ნათქვამს განვაგრძობთ, რომ ორივე პრედიკატი დარჩეს, ხოლო სხვა და სხვა მიმართებით.

ასეთია ეს გამოკვლევა. ჩვენს მიერ აღნიშნული იყო, რომ იგი მრავალ ძნელ ამოცანას შეიცავს, რომ ზოგი მათგანი არაა საესებით დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი, ბევრი კი შეცდომითაც არის გაგებული და დაყენებული. მაგრამ აღნიშნული გარემოებანი არ უკარგავენ წიგნს მეცნიერულ ღირსებას. ქართული გამოკვლევა ქსენოფანე კოლოფონელის შესახებ მეცნიერულ გამოკვლევის სიმალლეზე დგას და არ ჩამოუვარდება არც ერთს უცხო ენაზე აქამდე ამავე თემაზე გამოქვეყნებულ შრომას.

ძნელია ავტორის მიერ დასახული მიზანი და ეს სიძნელე არა მარტო ბევრს ავალებს ავტორს, არამედ, იმავე დროს, პასუხისმგებლობასაც უმსუბუქებს. იქ, სადაც მთელ რიგ გამოჩენილმა მკვლევარმა გადაჭრილი სიტყვა ვერა სთქვა, ჩვენც შეგვიძლია საბოლოო სიტყვიდან თავი შევიკავოთ და დამსახურებათ ისიც გვეყოფა, თუ ევროპის მეცნიერულ მუშაობის ცენტრში მოთავსებულ საკითხის შესახებ თავისებურს მისადგომ გზას შევამჩნევთ და მას ორიგინალურ კითხვის სახით გადმოვცემთ. ამ უკანასკნელი ამოცანის შესრულება ავტორმა შესძლო და თუმცა მისი შრომა, როგორც არსებითად ისე მეცნიერული აგებულების მხრივ მრავალს, ზემოდ უკვე აღნიშნულს, დეფექტს შეიცავს, მაგრამ ჩვენს მეცნიერულ აზროვნებაში და მუშაობაში აღნიშნულს გამოკვლევას თავისი გარკვეული ადგილი უჭირავს. ყოველს შემთხვევაში იგი ამ მეცნიერულ მუშაობის განვითარების მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

რუსთველიანაზე

პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამოც

6. ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხი *

როდის არის დაწერილი შოთას ვეფხის-ტყაოსანი?

მკითხველმა შესაძლოა იფიქროს, და ასეთი მოსაზრება კიდევ გამოთქმულა, რომ არა აქვს მაინცა-და-მაინც ისეთი კარდინალური მნიშვნელობა, თუ რა დროს ეკუთვნის შოთას პოემა, დაწერილია იგი მე-12 ან მე-13 საუკუნეში, თუ უფრო გვიან დროსაც, მე-14-15 საუკუნეებში.

მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ როდესაც ჩვენ ვიკვლევთ შოთას პოემის დაწერის დროს, ჩვენ აქ გვაინტერესებს არა მხოლოდ ეს კერძო საკითხი. ვეფხის-ტყაოსნის თარიღის კითხვა იმით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ამ საკითხთან ორგანიულად არის დაკავშირებული ქართული კულტურის ისტორიის ძირეული პრობლემები; ვეფხის-ტყაოსნის თარიღის კითხვა—ეს არის მთელი ეპოქის თარიღის საკითხი. ვიდრე გამოჩვეული არაა ვეფხის-ტყაოსნის დაწერის დრო, საძიებელი ხდება—თუ რა ეპოქაში ჰქონდა ადგილი იმ ჰუმანიტარული ხასიათის კულტურულ მოძრაობას, რომლის გამომხატველია ვეფხის-ტყაოსანი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვეფხის-ტყაოსანი დათარიღებულია, საქართველოს ჰუმანიზმის ისტორია მკვიდრ ნიადაგზე დგება; ჩვენ გვეძლევა საშუალება აღვადგინოთ ქართული კულტურის განვითარების მაგისტრალური ხაზი, და კერძოდ შევისწავლოთ ქართული ჰუმანიზმი—მისი ისტორიული ანსამბლით.

აი ამით არის გამოწვეული განსაკუთრებული ინტერესი ვეფხის-ტყაოსნის თარიღის პრობლემისადმი.

ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხმა რუსთველოლოგიაში რამდენიმე სტადია გაიარა. ძველი ტრადიცია, როგორც ცნობილია, ვეფხის-ტყაოსანს მიაწერდა თამარის ეპოქას (მე-12 საუკუნის ბოლო—მე-13 საუკუნის დასაწყისი). მაგრამ ეს იყო მხოლოდ ტრადიცია, ერთგვარი დოგმა, რომელიც არ ემყარებოდა კრიტიკულ საფუძვლებს. შემდეგ ეს ტრადიციული შეხედულება ექვს ქვეშ იქმნა დაყენებული. ასე, აკადემიკოსმა ნ. მარტმა 1917 წელს გამოსთქვა მოსაზრება, რომ ვეფხის-ტყაოსანი შესაძლოა მე-13-14 საუკუნეს ეკუთვნოდესო; კიდევ უფრო ადრე ს. კაკაბაძემ—1913 წელს—ვეფხის-ტყაოსანი სრულიად ხელალებით და გადაქრით მე-15 საუკუნის დასაწყისს მიაწერა.

*) წერილის პირველი ნაწილი დაიბეჭდა „მნათობში“ № 3, გვ. 193—220.

ჩვენი ოპონენტი კ. კეკელიძე ხშირად ლაპარაკობს პრიორიტეტის შესახებ. ამიტომაც საჭირო ხდება აღვნიშნოთ, რომ 1913 წელს, როდესაც ტრადიციული შეხედულება ვეფხის-ტყაოსნის თარიღის შესახებ სადარბაზო-არქეოლოგიური, ჩვენს მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო ქართული კულტურის საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1913 წლის 5 აპრილს, ჩვენ პირველი გამოვედით იმ აზრის დამცველად, რომ შეუძლებელია ვეფხის-ტყაოსნისა და თამარის ეპოქის ერთი-მეორისაგან დაცილება, რომ ვეფხის-ტყაოსანი ყველა თავის რეალიებით ორგანიულად არის დაკავშირებული მე-12—13 საუკუნის საქართველოს კულტურულ მსოფლიოსთან ¹.

ამის შემდეგ კამათი ვეფხის-ტყაოსნის თარიღის შესახებ გრძელდებოდა. პოემა მიეწერებოდა სხვა-და-სხვა ეპოქებს.

რით არის გამოწვეული ასეთი მერყეობა და გაურკვეველობა ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხში? იქნებ მართლაც არ მოიპოვება მტკიცე საფუძვლები ამ საკითხის გადასაჭრელად? ვფიქრობ, ასეთი მტკიცე საფუძვლები მოიპოვება. მაგრამ იმ გზით, რომლითაც ჩვეულებრივ უდგებოდენ ამ პრობლემას, ეს საკითხი რასაკვირველია ვერ გამოირკვეოდა. ავტორები, რომლებიც შეჰხებიან ვეფხის-ტყაოსნის თარიღის კითხვას, მის გადაჭრას ლამობდენ უფრო ისტორიული ანალოგიებით და ზოგადი ხასიათის მოსაზრებებით. მაგრამ ამ გვარი საერთო ხასიათის ლოგიზაცია ცხადია ვერ მოგვცემდა ისეთს პასუხს, რომელშიაც არ შეიძლებოდეს ეჭვის შეტანა. ერთად-ერთი უცდომელი საზომი ამ პრობლემის გადასაჭრელად—ეს არის ის ჩვენებანი, რომელთაც იძლევა ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორია და პოემის პირდაპირი რეალიები.

იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ვეფხის-ტყაოსნის თარიღის პრობლემას, ჩვენს გამოკვლევაში—„რუსთველიანა“ ამ საკითხს მთელის სისავსით ვეხებით. ჩვენი გამოკვლევა უმთავრესად დამყარებულია ტექსტის ისტორიაზე; მაგრამ ამას გარდა აქ მიღებულია მხედველობაში ყველა დანარჩენი ისტორიულ-ლიტერატურული ჩვენებანი, რომელთაც კავშირი აქვთ პოემის თარიღის კითხვასთან.

კორნ. კეკელიძე—ჩვენს დასაბუთებას არ ეთანხმება. იგი ჩვენი გამოკვლევის ამ ნაწილს „ამაო შრომას“ ეძახის. მაგრამ ვინ გასწია ამაო შრომა—ამას შემდეგი გვიჩვენებს.

ვეფხის-ტყაოსნის თარიღის შესახებ ჩვენს გამოკვლევაში წარმოდგენილია შვიდი თეზისი. კ. კეკელიძეს ჩვენი არგუმენტაციის მთლიანი სისტემიდან ამოუგლეჯია რამდენიმე დეტალი, რომელთაც იგი ეკამათება, და რომლითაც იგი ჰფიქრობს გააბათილოს ჩვენი გამოკვლევის მთელი ეს ნაწილი.

მოვავრებთ მკითხველს, რაში მდგომარეობს ჩვენი თეზისები, ამათგან რას აძლევს იგი პასუხს, და რას სტოვებს იგი უპასუხოდ.

ჩვენს გამოკვლევაში ვეფხის-ტყაოსნის დათარიღება—იგებულება შექმდეს დებულებებზე:

¹) იხ. მოკლე ანგარიში მოხსენებისა: „სახალხო გაზეთი“ 1913, № 367, „კლდე“, 1913, № 16, „თემი“, 1913, № 181.

* *

1. ტექსტის ისტორიის ჩვენება. ამ პირველი თეზისის შესახებ ჩვენ არ მოგვიხდება სიტყვის გაგრძელება, რადგან ტექსტის ისტორიის შესახებ სადაო საკითხები ჩვენ უკვე დაწვრილებით განვიხილეთ ამ წერილის პირველ ნაწილში. ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორიიდან—როგორც გამორკვეულია—გამომდინარეობს შემდეგი ორი დასკვნა:

ა. ვახტანგისეული დედანი—არსებულის სახით—უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა მე-14 საუკუნის ნახევარზე უწინარეს;

ბ. ვახტანგისეულ დედანს, ვიდრე არსებულს სახეს მიიღებდა, უფრო ადრე განუცდია ინტერპოლაციები; ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს ინტერპოლაციები ისეთის ხასიათისაა (—აქ არის რამდენიმე ფენი სხვა-და-სხვა დროისა გარკვეულის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით—), რომ ცხადი ხდება *terminus post quem non*: ვეფხის-ტყაოსანი შეუძლებელია დაწერილიყო მე-13 საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან დროს. (იხ. რუსთველიანა, I, განსაკუთრებით გვ. 100-104, და მასთან დააკვირებით გვ. 41-98).

აი ეს დებულება,—გამომდინარე თითონ ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორიიდან, არის მთავარი საფუძველი შოთას პოემის თარიღის დასადგენად.

როგორც მკითხველი უკვე გაეცნო ამ წერილის პირველ ნაწილში წარმოდგენილი ანალიზიდან, კ. კეკელიძემ ვერ დაარღვია ვერც ერთი ჩვენი დებულება ვეფხის-ტყაოსნის პლასტებისა და ტექსტების გენეალოგიის შესახებ. კ. კეკელიძის მოსაზრებანი ვახტანგისეულ დედანზე, და აგრეთვე მისი ექსკურსები კათოლიკოზისა და მაწყვერელის შესახებ, როგორც გამოირკვა, უბრალო გაუგებრობაზე ყოფილა დაყარებული. (იხ. მნათობი, № 3). მაშასადამე ეს პირველი თეზისი ვეფხის-ტყაოსნის დასათარიღებლად სავსებით ძალაში რჩება.

* *

2. ვეფხის-ტყაოსნის პროლოგის და ეპილოგის ჩვენება. არსი ამ მეორე თეზისისა შემდეგში მდგომარეობს:

ვეფხის-ტყაოსნის შესავალი და დასასრული, როგორც ცნობილია, შეიცავს ხოტბას, რომლითაც პოეტი მიმართავს მეფეებს თამარსა და დავითს, როგორც თანამედროვეებს.

რას წარმოადგენს ეს ტექსტები: ეკუთვნის თუ არა ისინი თვით პოემის ავტორს რუსთველს?

პოემის შესავალისა და დასასრულის ზოგი ადგილები სამართლიანად იწვევს კრიტიკის დაექვევას; მაგრამ თითონ ძირეული ტექსტები, მეფეთა ხოტბა და აგრეთვე სწავლა პოეზიისა (*ars poetica*),—ატარებენ სინამდვილის ყველა ნიშნებს.

რომ მეფეთა ხოტბა წარმოადგენს თითონ რუსთველის ნაწარმოებს, ამ კითხვას ჩვენ ქვევით ვეხებით. ჯერ კი გაუწიოთ ანგარიში უკიდურეს სკეპსისს და დაუშვათ ერთის წუთით ასეთი საწინააღმდეგო დებულება: მეფეთა ხოტბა არ ეკუთვნის თითონ პოემის ავტორს, არამედ შემდეგ არის შეტანილი პოემაში.

რა დასკვნა უნდა მივიღოთ ამ მეორე შემთხვევაში? ცხადია რომ თუნდაც მეფეთა ხოტბა შემდეგი დროის დამატებას წარმოადგენდეს, იგი მაინც არის მისაღები პოემის თარიღის გამოსარკვევად.

მართლაც, მკითხველმა მოიგონოს პოემის ტექსტის ისტორია:

ეს მეფეთა ხოტბა დაცულია ვახტანგისეულ დედანში (ე. ი. პოემის პირველ პლასტში). ვახტანგისეული დედანი ჩამოყალიბდა არა უგვიანეს მე-14 საუკუნის ნახევრისა; ვახტანგისეული დედნის დამატებულ ადგილები ეკუთვნის მე-13 საუკუნესა და მე-14 საუკუნის პირველ წლებს. ამნაირად, თუკი ეს მეფეთა ხოტბა არ ეკუთვნის თვით პოემის ავტორს, იგი ყოველ შემთხვევაში შეტანილია პოემაში მე-13 საუკუნეში და მე-14 საუკუნის პირველ წლებში. ცხადია მაშასადამე, რომ ამ დროს, მე-13 საუკუნეში და მე-14 საუკუნის პირველ წლებში, ვეფხისტყაოსანი მიიჩნედათ მეფეების თამარის და დავითის დროს დაწერილად.

მკითხველი ხედავს, რომ პოემის თარიღის კითხვა ამით უკვე გამორკვეულია. თამარი როგორც ცნობილია გარდაიცვალა იმავე მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში (1213 წელს); ხოლო შოთა, როგორც ქვევით დავინახავთ, მე-13 საუკუნის ნახევარში (1245 წლის ახლო). ამნაირად პოემის პროლოგი შეიძლება დაშორებული იყვეს შოთას და თამარის დროიდან სულ ერთი ან ორი თაობით. (აქ არის უფრო ნაკლები მანძილი, ვიდრე მაგალითად პოეტი ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ჩვენ დრომდე). რასაკვირველია ასეთი მოკლე დროის განმავლობაში ჯერ კიდევ უნდა არსებულიყო ცხოველი ხსოვნა პოეტისა და მისი ნაწარმოების შესახებ, კარგად უნდა სცოდნოდათ თუ როდის იყო დაწერილი ვეფხისტყაოსანი.

ამ-რიგად მეფეთა ხოტბის სახით ჩვენ გვაქვს ისტორიული ცნობა პირველ-ხარისხოვანი ნნიშვნელობისა. თუნდაც იგი არ ეკუთვნოდეს თითონ რუსთველს, იგი ყოველ შემთხვევაში არის თანამედროვე ცნობა იმავე საუკუნისა, და ადასტურებს, რომ პოემა დაწერილია მეფეების თამარის და დავითის დროს.

* *

კორნ. კეკელიძე ეკამათება ამ ჩვენს მეორე თეზისს. იგი ამბობს, რომ „მეფეთა ხოტბა“ არ ეკუთვნისო ვეფხისტყაოსნის პირველ პლასტს. რა საბუთით? იმიტომო—აცხადებს კ. კეკელიძე—რომ „მეფეთა ხოტბა“ ყველა ხელნაწერებში არ არის; არ არის ის მაგალითად წერა-კითხვის ხელნაწერში № 2829, და მართალია დღეს დეფექტურში, მაგრამ ყველა ნიშნებით ამის მსგავს (პროლოგში მაინც) მანუსკრიპტში № 4988. (იხ. კორნ. კეკელიძის წერილი, გვ. 191).

კორნ. კეკელიძე ისე კარგად იცნობს ხელნაწერ მასალებს, რომ როდესაც იგი ხელნაწერებს მიმართავს, ყოველთვის შემცდარ დასკვნებს აკეთებს.

ჯერ ხელნაწერზე № 4988.—ეს ხელნაწერი დაზიანებულად არის დაცული; დასაწყისში ამოხეულია ერთი ფურცელი, სადაც რიგის მიხედვით სწორედ

„მეფეთა ხოტბა“ უნდა ყოფილიყო მოთავსებული¹⁾. რაკი პროლოგიდან ეს ფურცელი დაკარგულია, საიდან და რა მისტიური საშუალებით გაიგო კ. კეკელიძემ, რომ „მეფეთა ხოტბა“ არ იყო ამ დაკარგულ ფურცელზე? „ყველი ნიშნებით (sic!) არ იყო“! მაგრამ ასეთი განცხადებები უფრო მკითხაობაა, ვიდრე შეცნობა.

ჩვენ კი ვიტყვით, რომ არა თუ ყველა ნიშნებით, არამედ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „მეფეთა ხოტბა“ ხელნაწერში № 4988 იყო. რა საბუთით? აი რა საბუთით: პროლოგის პირველი ნაწილი თუმცა დაკარგულია ფურცლის ამოხვევის გამო, მაგრამ გადარჩენილი ნაწილი—ხომ გარკვეულ რიგს მისდევს. და აი პროლოგის ეს გადარჩენილი ნაწილი შეიცავს იმავე ტიპის რედაქციას, რაც ვახტანგისეულ დედანშია²⁾. ხოლო რაკი ვახტანგისეულ დედანში „მეფეთა ხოტბა“ არის,—ცხადია იგი უნდა ყოფილიყო აგრეთვე 4988-ხელნაწერშიაც.

ეს რაც შეეხება № 4988 ხელნაწერს.

გადავიდეთ მეორე ხელნაწერზე, № 2829. აქ საქაროა შევნიშნოთ შემდეგი:

1. ხელნაწერი № 2829—გადმოწერილია დეფექტი დედნიდან. ამ ხელნაწერის დეფექტობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ამ წერილის პირველ ნაწილში (იხ. მნათობი, № 3, გვ. 219). მართლაც, ეს ხელნაწერი, როგორც ამას გვიჩვენებს ტექსტის ახლო გაშინჯვა,—ზოგ ადგილას ნაკლულევანია; აკლია მას არა მარტო წინასიტყვაობის სტროფები, არამედ ადგილ-ადგილ აკლია ხანები თითონ პოემის ძირეულ მოთხრობაშიაც. ამის მიხედვით ცხადი ხდება ამ ხელნაწერის დეფექტი დედნიდან მომდინარეობა.

2. რომ ხელნაწერში № 2829—პროლოგის ნაწილი აკლია მხოლოდ და მხოლოდ დეფექტობის მიზეზით, ეს სრულებით ცხადია აგრეთვე პროლოგის შენახული ნაწილის თითონ შინაარსიდან. პროლოგის შენახული ნაწილის პირველი ორი სტროფი იკითხვის ამ რიგად:

1. „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულთა ყენა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,—
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.“

2. მე, რუსთველი, ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარი.
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვნელობ, მისთვის მკვდარი.
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი,
ანუ მოგვცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.“

როგორც მკითხველი ხედავს, პირველსა და მეორე სტროფს შუა აკლია რალაც ტექსტი. დასაწყისი მეორე სტროფისა: „მე რუსთველი ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარი“ სრულებით არ უდგება ამის წინ მოთავსებულ პირველ

1) ან და იქნებ კ. კეკელიძე იგულისხმებს საისტ. საზ. მანუსკრიპტს № 599? მაგრამ ისიც ხომ დაზიანებულია და პირველი ფურცელი სავა ხელით არის აღდგენილი.

2) რომ ხელნაწერში № 4988—ვეფხისტყაოსნის პროლოგი იმავე რიგს მისდევდა, როგორც ვახტანგისეულ დედანშია, ეს უკვე აღნიშნული ჰქონდა ს. კაკაბაძესაც. (იხ. მისი ვეფხისტყაოსნის გამოცემა, 1914 წელი, გვ. 17).—თუ კორნ. კეკელიძე ამ ხელნაწერის რედაქციის ხასიათში ვერ გაერკვა, მას შეეძლო მიემართა ამ გამოცემისათვის.

სტროფს; პირველ სტროფში საუბარია ღვთაების შესახებ; მაშ ვისი დარია რუსთველი? ღვთაებისა? ამ ორი სტროფის ასეთი უცნაური გადაბმის გამო ასეთი შინაარსი გამოდის: „მე რუსთველი ღმერთის დარს საქმესა ვიქმ; მსქ ნაქ მსჯ-ნური იმისი, ვისაც სპათა ჯარი შორჩილობსო“. — ეს უცნაურობა ჩვენთვის გასაგები ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ დეფექტ ხელნაწერს შევადარებთ ვეფხის-ტყაოსნის დანარჩენ სრულ ხელნაწერებთან. ყველა ხელნაწერებში, რომლებიც სრულად დაცულია, პირველსა და მეორე სტროფს შუა მოთავსებულია სწორედ ის მეფეთა ხოტბა, სადაც საუბარია თამარის შესახებ. სტროფი — „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“ — არის უშუალო გამოძახილი ამ ხოტბისა, თამარის შესახები სტროფებისა. — ამ-რიგად როგორც ხელნაწერთა შედარებითი შესწავლა, ისე თითონ შინაარსის ანალიზი ადასტურებს, რომ ხელნაწერში № 2829 პროლოგის ნაწილი არ არის მხოლოდ იმიტომ, რომ აქ დედანი დაზიანებულია ¹⁾.

3. დასასრულ ჩვენ ერთხელ კიდევ გვიხდება გავიმეოროთ ის უდავო დებულება, რომ შეუძლებელია ვეფხის-ტყაოსნის ამა თუ იმ ადგილის შესახებ მსჯელობა ისეთის გამარტივებულის მეთოდით, როგორც ამას კორნ. კუკელიძე სჩადის. აქ სავალდებულოა გათვალისწინება ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის საერთო ისტორიისა, თუ როგორის თანამიმდევრობით წარმოიშვა სხვა-და-სხვა ხელნაწერები. ის გარემოება, რომ ესა თუ ის ადგილი, რომელიც არის უძველეს ვახტანგისეულ დედანში, შემთხვევით არის გამორჩენილი შემდეგი დროის ხელნაწერებში, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ ეკუთვნის პირველ პლასტს. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ გადამწერს დეფექტი დედანი ჰკონდა ხელთ. თუ რა ეკუთვნის პოემის პირველ პლასტს, ეს ირკვევა არა იმის მიხედვით, რომ ესა თუ ის ხანები გამორჩენილია შემდეგი დროის ხელნაწერებში, დედნების დაზიანების გამო, არამედ იმით, რომ იგი არის უძველეს ვახტანგისეულ დედანში.

და რომ კერძოდ მეფეთა ხოტბა ვეფხის-ტყაოსნის პირველ პლასტს ეკუთ-

1) აღვნიშნავთ აგრეთვე მეორე ადგილსაც 2829-ხელნაწერიდან, საიდანაც მტკიცდება, რომ ამ ხელნაწერის პროტოტიპში, ვიდრე იგი დაზიანდებოდა, იყო მეფეთა ხოტბა. პროლოგის შენახული ნაწილის მეთაზე სტროფი იწყება ასეთი სტრიქონით:

„თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა“.

ვისგან გახდა პოეტის თვალეები უნათლო? ეს შენახული ტექსტიდან არა სჩანს. ეს სტროფი თავისთავად იგულისხმებს და გამომდინარეობს მეფეთა ხოტბიდან, რადგან მხოლოდ იქ არის ნათქვამი, თუ ვისგან შეიქმნა პოეტი „უნათლო“, ე. ი. მეფის თამარისაგან.

დამატებით აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება გამოვარკვიოთ, თუ როგორ იყო დალაგებული პროლოგის ტექსტი 2829-ის ხელნაწერის პირველ დედანში, ვიდრე იგი დაზიანდებოდა. საქმე ის არის, რომ პროლოგის გადარჩენილი ნაწილი აქ იმავე რიგით არის მოცემული, როგორც ხელნაწერებში D (№ 757), E (№ 15/1259), F (№ 54) და G (№ 78). ხოლო ყველა ამ დედნებში მეფეთა ხოტბა არის.

ამავე რიგს მისდევს აგრეთვე L—დედანის ტექსტი (№ 599), რომელიც დეფექტი პროტოტიპიდან მომდინარეობს. რომ L—დედანის პროტოტიპში იყო მეფეთა ხოტბა, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ აქაც შერჩენილია სტროფი — „თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა“, რაც მეფეთა ხოტბის გაგრძელებას წარმოადგენს.

ვნის, ამას ადასტურებს არა მარტო ის გარემოება, რომ იგი მოიპოვება უძველეს ვახტანგისეულ დედანში, არამედ კიდევ ორი ზედმეტი საბუთიც: 1) „მეფეთა ხოტბა“ დაცულია ამას გარდა ყველა იმ ხელნაწერებში, რომლებშიც პირველი პლასტის გავლენით წარმოიშვა (—ე. ი. A', B და C) და 2) ეს „მეფეთა ხოტბა“ არის ვეფხის-ტყაოსნის ყველა დანარჩენ ხელნაწერებშიაც, რომლებიც დაუზიანებლად მოღწეულან.

ამ-რიგად, ეს ერთად-ერთი მოსაზრება, რომელიც წარმოადგინა კ. კეკელიძემ ამ ჩვენი მეორე თეზისის საწინააღმდეგოდ, უბრალო გაუგებრობას შეიცავს და იოტის ოდენად ვერ არყვეს ჩვენს დებულებას.

* *

3. ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგის და ეპილოგის სინამდვილე. მეორე თეზისში ჩვენ განვიხილეთ ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხი უკიდურესი სკეპსისის თვალსაზრისით. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ იმ შემთხვევაშიაც, თუნდაც დავუშვათ, რომ პოემის წინასიტყვაობა შემდეგ არის შეტანილი, პოემაში, იგი ეკუთვნის პოემის პირველ უძველეს პლასტს.—იგი იმდენად ახლოა პოემის დაწერის დროსთან—რომ მისი მიხედვით შესაძლოა პოემის ნიშანდობლივი დათარიღება თამარის ეპოქით.

ამის შემდეგ მესამე თეზისში, ჩვენ ვიძლევეთ დეტალურ ანალიზს პოემის პირველი პროლოგისას და ეპილოგისას, სადაც წარმოდგენილია ზემოთ-მოხსენებული მეფეთა ხოტბა, და ვამტკიცებთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს რუსთველის ნამდვილი დედანი.

კორნ. კეკელიძე ეკამათება ამ მესამე თეზისსაც და აცხადებს, რომ აღნიშნული ტექსტები ყალბია, არ ეკუთვნისო რუსთველს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ჩვენ ვმსჯელობით უძველესი ვახტანგისეული დედნის ამა თუ იმ სტროფის სიყალბეზე, აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და ზედმიწევნით პრეციზული ანალიზი ტექსტისა. საქმე ის არის, რომ ვახტანგისეული დედნის ცალკე სტროფების სიყალბის დამტკიცება შეუძლებელია ხელნაწერთა შედარებით, და ტექსტების გენეალოგიით; ჩვენ აქ ხელში გვაქვს ერთად-ერთი უძველესი ვახტანგისეული დედანი, და მასზე უფრო ძველი ტექსტი ჩვენამდე არ მოღწეულა. ამიტომაც აქ უაღრესად სავალდებულოა ფრთხილი და დაკვირვებული ფილოლოგიური კვლევა, და კერძოდ რუსთველის პოეტიკის ზედმიწევნითი ცოდნა.

რა საბუთებს დაემყარა კორნ. კეკელიძე, როდესაც მან პოემის პროლოგი მთლიანად ყალბად გამოაცხადა?

თავის წერილში ჩენი ნაშრომის შესახებ კ. კეკელიძე საბუთებზე არას ამბობს. მან აქ მხოლოდ გამოსცა დეკრეტი ვეფხის-ტყაოსნის პროლოგის გაუქმების შესახებ.—კ. კეკელიძე სჩანს იგულისხმებს, რომ ვეფხის-ტყაოსნის წინასიტყვაობის სიყალბე მას გარკვეული აქვს თავის ლიტერატურის ისტორიაში (წიგნი II). ჩვენც ამის გამო დაგვრჩენია ამ წყაროს მიემართოთ.

* *



თავდაპირველად საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს ლიტერატურის ისტორიის ეს მეორე წიგნი, სადაც განხილულია მწერლის ქართული საერო მწერლობა, და კერძოდ რუსთველი. ამ წიგნის შესახებ უფრო დაწვრილებითი საუბარი სხვა ალგას ვკექნება; აქ კი კორ. კეკელიძის მეთოდის დასახასიათებლად საკმაოა აღვნიშნოთ ერთი რამ: კორნ. კეკელიძე, როგორც ირკვევა, დიდის ავტორიტეტითაა ტონით სწერს ძველი ქართული საერო მწერლობის ისეთ ნაწარმოებთა შესახებ, რომელიც მას არც კი წაუკითხავს ჯეროვნად. რომ მიდგომილობა არავინ დაგვწამოს, ჩვენ აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ისეთს მაგალითს, რომელიც უკვე ცნობილი გახდა სამეცნიერო მწერლობაში¹). დანარჩენებზე სხვა დროს.

როგორც ცნობილია, ალორძინების ეპოქის ქართულს პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს პოეტს თეიმურაზ პირველს. იგი უმთავრესად ცნობილია როგორც მთარგმნელი სპარსული პოეზიის ძეგლთა ქართულს ენაზე. თეიმურაზის შესახებ აზრი იმით არის ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო, რომ აქ ვპოულობთ ზოგიერთი სადაო საკითხის გასაღებს. კ. კეკელიძე უმთავრესად ემყარება თეიმურაზსა და ალორძინების ხანის პოეტებს, როცა ვეფხის-ტყაოსნის პოეტიკაზე უცნაური დასკვნები გამოჰყავს²).

თეიმურაზის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში—როგორც ცნობილია—განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოემას „ლეილ-მიჯნურიანი“, რომელიც გადმოღებულია სპარსულიდან. ეს ნაწარმოები მართლაც მნიშვნელოვანი ძეგლია და მოითხოვს ლიტერატურის ისტორიკოსის დიდ ყურადღებას. ჯერ ამ ნაწარმოების ძველმა ვერსიამ, და შემდეგ თეიმურაზის თარგმანმა, გაელენა იქონია ქართულს პოეზიაზე. და მართლაც კ. კეკელიძე ვრცლად ლაპარაკობს ამ ნაწარმოებზე, და ამასთან ავტორიტეტულის ტონით. მაგრამ, როგორც ირკვევა,—მას ეს ნაწარმოები რიგიანად არც-კი წაუკითხავს; იგი იცნობს ა. ხახანაშვილის ლიტერატურის ისტორიის სათანადო ფურცლებს და აქედან მომდინარეობს მისი ცოდნა.

რომ ეს ასეა,—ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანს ერთი ადგილის მიხედვით, სადაც ა. ხახანაშვილს საუალო შეცდომა მოსულია, და რასაც კ. კეკელიძე გულ-დამწვიდებით იმეორებს, დაჯერებული, რომ იგი მოგვითხრობს თეიმურაზის ლეილ-მიჯნურიანს, და არა ხახანაშვილის შეცდომას.

აი ეს ადგილი.—ლეილ-მიჯნურიანში აწერილია ეპიზოდი, რომელმაც გამოიწვია ლეილას და მეჯნუნის (ყაისის) განშორება. გამართულია ლეილას და ყაისის ქორწილი; მოლა კითხულობს ქებინს; ამ დროს, როცა მოლა ლოცვის წესებს ასრულებს, ყაისს შეიპყრობს მიჯნურობის სევდა და იგი გო-

¹) ამ მოვლენას პირველად ყურადღება მიაქცია ქართული საერო მწერლობის ახალგაზრდა მკვლევარმა გიორგი ჯაკობიამ (—იხ. „არილი“. პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1925 წ., გვ. 160).

²) იხ. კ. კეკელიძის ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 92, 397.

ნება-დაკარგული თვალს გარშემო მიმოავლებს. ყაისი დაინახავს ლეილას ძაღლს—
გოშიას, ხელში აიყვანს ძაღლს, და მას გაშმაგებით კოცნას დაუწყებს. ნახვე-
ლებში, და მით უფრო ლეილას ნშობლებში, ეს აღშფოთებას განაჩინებს: ქორ-
წილის დროს ძაღლის კოცნა—ეს ხომ ცხადი სიგიჟის ნიშანიაო, და ყაისს გა-
აგდებენ სახლიდან. ამის შემდეგ ყაისი უდაბნოში გაიჭრება.

აი თითონ ლეილ-მიჯნურიანის ტექსტი:

...ქებინის წიგნა იკითხავს, მოლამ ახსენა ალიო,

ყმას აღარა აქვს ჭკუა და რეტად მიმოაქვს თვალიო.

მეჯლისში სხედან, ლხინი აქვთ, სამოთხეს მიუდარობდა,

ყმამ იცხა ქალის გონია, ჭკოვანია, პირს პირზე არობდა.

გაჭკვირდეს, თქვეს: აქვს ქორწილი, ძაღლს ჭკოვანის, რასა ჩქარობდა?

შვილი ვით მივსცეთ შემცდარსა? კარში გააგდეს, გარობდა.

ა. ხახანაშვილს ამ ეპიზოდის გადმოცემის დროს თავის ლიტერატურის ის-
ტორიაში შეცდომა მოსვლია; იგი სწერს:

„Когда мулла начал читать Кебин, у Меджиуна забегала глаза, как у сумасше-
дного. Началось торжественное празднование свадьбы. Меджиуна и Лейлу посадили
рядом, причём повобратный, узнав до покрывалу свою возлюбленную, стал целовать
ее. Это обстоятельство признано было несомненным признаком помешательства, и по
настоянию родителей, опасавшихся за судьбу дочери, брак тотчас же был расторгнут,
Меджун выгнан из дому. Тут уж он безиоворотно решил бежать в пустыню, что и
сделал.“ *).

ყაისი გიჟად ჩასთვალეს—არა იმიტომ, რომ მან აკოცა ლეილას, არამედ
იმიტომ, რომ მან ქორწილის დროს ძაღლს დაუწყო კოცნა.

კ. კეკელიძე—აგრეთვე ა. ხახანაშვილის მიდევნებით მოგვითხრობს თეიმურა-
ზის ლეილ-მიჯნურიანის შინაარსს,—და უცვლელად იმეორებს ა. ხახანაშვილის
შეცდომასაც; კ. კეკელიძე სწერს:

„როდესაც ქებინის წიგნს აკითხულობდნენ, ყაისს შემლილობის ნიშნები აღმოაჩნდა:
მან ვერ მოითმინა და კოცნა დაუწყო ლეილას. ლეილას მშობლებმა ამისათვის ის სახლიდან გა-
აგდეს. ამის შემდეგ ყაისი უდაბნოდ გაიჭრა.“ (იხ. გვ. 229).

ვფიქრობ, ლიტერატურული უმართებულობა ამაზე შორს ძნელად თუ წავა.
მაგრამ ეს ცოტაა. კ. კეკელიძე თუმცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე სარგებლობს
ა. ხახანაშვილის წიგნით,—მაგრამ ხახანაშვილის ამ შრომას დაკნინებით მოიხსენ-
ებს; აი რას სწერს კ. კეკელიძე:

„ხახანაშვილი ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიას აშენებდა უმოავრესად დაბეჭდილ ძეგ-
ლებზე და, ვინაიდან დაბეჭდილი და გამოცემული მეტად ცოტაა, მისი ისტორია სრული და მა-
სალის ამომწურველი არაა. თან ამ ძეგლთა შესახებ ის უმეტეს შემთხვევაში ტრადიციულ შეხე-
დულებას იმეორებს, უკრიტიკოდ და შეუმოწმებლად. რაც შეეხება გამოუცემელ ძეგლებს, ხელნა-
წერებს, ის იშვიათად მიმართავს მათ და, თუ ზოგიერთ შემთხვევაში იმოწმება მაინც მათ, აქაც
ეტყობა, რომ ეს ძეგლები მას ყოველთვის არც წაუჯიკობავს და არც
უნახავს, უფრო სხვისი სიტყვებით გველაპარაკება მათ შესახებ.“ (გვ.
27—28).

* იხ. ა. ხახანაშვილი, Счерки по истории груз. словесности, III, 1901, გვ. 75.—(ამნა-
ირადგვა გადმოცემული ლეილ-მიჯნურიანის შინაარსი ა. ხახანაშვილის ქართულ შრომაშიც: „ქარ-
თული სიტყვიერების ისტორია“ 1919 წ., გვ. 139).



ეს უკვე მეტის-მეტია!... როგორც ვხედავთ თავის ცოდვებს კ. კეკელიძე —
ა. ხახანაშვილს მიაწერს.

ხახანაშვილის წიგნს რასაკვირველია უამრავი ნაკლი აქვს. მაგრა კეკელიძის წიგნის დასახურება ის მაინც არის, რომ მან, ავიდ თუ კარგად, პირველმა შეადგინა ქართული ლიტერატურის მთლიანი კურსი. და ყოველ შემთხვევაში ამ შრომის დაკნინების უფლება არა აქვს კ. კეკელიძეს, რომელიც ხშირად ა. ხახანაშვილის შეცდომათა განმეორებაზე შორს ვერ წასულა.

* *

გადავიდეთ ამის შემდეგ ვეფხის-ტყაოსანზე. კ. კეკელიძეს, უნდა ვიფიქროთ, თუ ლეილ-მიჯნურიანი არა, ვეფხის-ტყაოსანი მაინც გადაკითხული აქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არა გვგონია, რომ ის მოსაზრებანი, რომელიც მან გამოსთქვა შოთას პოემის შესახებ, დიდ მნიშვნელობას წარმოადგენდეს მეცნიერებისათვის.

მეტად საგულისხმოა თეზისები კ. კეკელიძისა, რომელიც წარმოდგენილია პოემის გარჩევის ბოლოს:

კორნ. კეკელიძე, თუმცა ვერ უარყოფს, რომ ვეფხის-ტყაოსანი დიდი ნაწარმოებია, მაგრამ თან დასძენს, რომ ეს პოემა — „**არა იმდენად გენიალურია, როგორც ზოგიერთებს გაზვიადებულად წარმოუდგენიათ**“. (გვ. 141).

კ. კეკელიძე აქ ნართლაც დიდს ორიგინალობას იჩენს. ყველა, ვინც კი შემხებია ვეფხის-ტყაოსანს, არავის მოსულა აზრად ეთქვა, რომ იგი „არა იმდენად გენიალურიაო“. ვეფხის-ტყაოსნის ამ „გაზვიადებაში“ დამნაშავენი ყოფილან — როგორც მეცნიერნი, ისე პოეტები. კორნ. კეკელიძის ამ ავტორიტეტული განცხადების შემდეგ დამნაშავის სკამზე სხდებიან „გაზვიადებისათვის“ — მთელი ქართული პოეზია და მეცნიერება, და ბოლოს ჩვენც.

ორიგინალობა რასაკვირველია კარგი საქონელია, მაგრამ როდესაც კ. კეკელიძე ვეფხის-ტყაოსნის „გაზვიადებას“ გვაბრალებს, საჭირო, იყო არ დაკმაყოფილებულიყო მართლ ამ პითიასებური განცხადებით, საჭირო იყო, უფრო კონკრეტულად ეჩვენებინა, თუ რაში მდგომარეობს ეს „გაზვიადება“. მაგრამ მის ლიტერატურის ისტორიაში ამის შესახებ ჩვენ ვერავითარს კონკრეტულ ჩვენებას ვერ ვპოულობთ. და ვფიქრობთ, რომ ასეთი ჩვენება ძნელი საპოვნელია საერთოდ.

მაგრამ დავეთვოთ გვერდზე კორნ. კეკელიძის ეს ბრალდება ვეფხის-ტყაოსნის „გაზვიადების“ შესახებ. გადავიდეთ ამის შემდეგ უფრო რეალურ საგანზე, — ვეფხის-ტყაოსნის პოეტიკაზე, ვეფხის-ტყაოსნის ლექსზე, სადაც უნდა ვეძიოთ სადაო საკითხების უფრო ნიშანდობლივი განმარტება. — რუსთაველის ლექსის შესახებ კ. კეკელიძე იმავე თეზისებში ამბობს:

„ნართალია, პოემა დაწერილია მომაჯადოებელი ვირტუოზული ლექსით, მაგრამ არა სწორ-უბოვარით. ჩახრუხაძის „თამარიანი“ ლექსის მხრივ არა ნაკლებს ესთეტიურს სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს“. (გვ. 142).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩახრუხაძის თუმცა საინტერესო პოეტია თავისთავად, მაგრამ ვინც ახლო იცნობს თამარიანსა და ვეფხის-ტყაოსანს, შეუძ-

ლებელია უცნაურად არ მოეჩვენოს ჩახრუხაისძის და რუსთველის ლექსის ეს დაპირისპირება.

მაინც ვიკითხოთ, რაში ხედავს კ. კეკელიძე ჩახრუხაისძის ლექსის ესთეტიურ მიღწევებს. ჩახრუხაისძის ოდების გარჩევის დროს კორნ. კეკელიძე სწერს: „ოდები დაწერილია ოცნარცვლოვანი ლექსით, რომელმაც ჩვენს ვერსიფიკაციაში დაიმკვიდრა ჩახრუხაისძის სახელი. ლექსები მეტად ლამაზი, დახვეწილი ჰარმონიული, ჩამოყალიბებული და მოხდენილია; მათ შვენებას უფრო აძლიერებს შინაგანი რითმა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მაჯამაში გადადის“. (მაჯამა ხაზგასმულია ავტორის მიერ. გვ. 143).

თავი დავანებოთ აქ ისეთ უშინაარსო ეპითეტების დაგროვებას, როგორიცაა: „მეტად ლამაზი, დახვეწილი, ჰარმონიული, ჩამოყალიბებული და მოხდენილი“. ამ ტირადაში საგულისხმო ის არის, რომ ქართული ლექსის უდიდეს მიღწევას კ. კეკელიძე, როგორც ირკვევა, მაჯამაში ხედავს!

მოვისმინოთ აგრეთვე მეორე ადგილი კ. კეკელიძის ლიტერატურის ისტორიიდან, როდესაც იგი არჩევს თეიმურაზ I-ლის მაჯამას. კეკელიძე აქ სიტყვას ვერ პოულობს ამ მაჯამათა შესხმისათვის. იგი სწერს: „ის საუცხოო პოეტური შედარებანი, მოხდენილი ეპითეტები, და თვალწარმტაცი სურათები, რომელიც ჩვენ მაჯამაში გვაქვს, ის ანკარა წყაროსავით მოჩუხჩუხე ლექსი, რომელიც უნაზესი ჰარმონიით ატკბობს ჩვენს ხმენას, ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშად ხდის ამ ნაწარმოებს და თამამად უყენებს გვერდში ჩვენს კლიხიკებს“. (იხ. ისტორია, გვ. 397, ხაზი ჩვენია).

რაკი კორნ. კეკელიძე თეიმურაზის მაჯამების შესახებ ასეთი წარმოდგენისა ყოფილა, ამის შემდეგ გასაკვირველად აღარ უნდა მოგვეჩვენოს, როდესაც იგი, თავის ლიტერატურის ისტორიაში, ვეფხის-ტყაოსნის ლექსის შესახებ დაკერძოდ პროლოგის ლექსის ტექნიკაზე შემდეგ დასკვნას აკეთებს; იგი სწერს: „კატეგორიულად უნდა ვთქვათ(.), რომ აღორძინების ხანაში (ე. ი. თეიმურაზის ეპოქაში) არა ერთი და ორი მარგალიტი შეიძლება მოიძებნოს ვეფხის-ტყაოსნის ყოველ შემთხვევაში პროლოგის შესატყვისი“. (იხ. ისტორია, II, გვ. 93).

ვფიქრობთ, რომ ეს ამონაწერებიც კ. კეკელიძის ლიტერატურის ისტორიიდან საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, თუ როგორი პრიმიტიული წარმოდგენა აქვს მას პოეტიკაზე. ჭეშმარიტად, საბრალოა რუსთველი, რომ მის პოემას მსჯავრს სდებენ ისეთი ავტორები, რომელთაც მაჯამა ქართული ლექსის უდიდეს მიღწევად მიუჩნევიან...

ვისაც ოდნავ მაინც ათვისებული აქვს ქართული პოეტიკა, მისთვის, რასაკვირველია ნათელია, რომ იშვიათია ისეთი ესთეტიური სიმახინჯე ქართულს ლექსში, როგორიცაა **მაჯამა**¹⁾. რუსთველის პოეტიკის სიღიადე კერძოდ იმა-

¹⁾ მკითხველს რასაკვირველია მოეხსენება, რომ მაჯამა ეწოდება ისეთს ლექსს, როცა რითმაში იხმარება ერთი და იმავე ფონეტური მოცულობის სიტყვები, მხოლოდ სხვა-და სხვა მნიშვნელობით, მაგალითად:

„მე იგი ვარ, ოდეს ამარეს არა,
არ იღრიდი მთენთა ამარეს არა,
აწ არლა მომხედე ამარეს არა“...



ში მდგომარეობს, რომ მან ეს მაჯამა, რომელიც გამეფებული იყო მისი ეპოქის პოეზიაში, უარპყო, გაანთავისუფლა ქართული სიტყვა ამ კოტორნებისაგან, და შემოიღო ის თავისუფლად ნდინარე ლექსი, რომლის ანალოგიას ვერც კი ვხედავთ ამაოდ ეძებს განახლების ხანაში. მაჯამა—ეს იყო სქოლასტიკა, რუსთველის ლექსი—ეს არის პოეზია. ნათ შორის მზღვარი დიდია.

აი ასეთის უსუსურის მეთოდებით, პოეტიკის ასეთის პრიმიტიულის ცოდნით კორნ. კეკელიძე სცდილობს ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგის ყალბად გამოცხადებას. და კორნ. კეკელიძე მართლაც რომ პერკულესის ბჭეებამდე მიდის, როდესაც იგი ყალბად აცხადებს მაგალითად—იმ ბრწყინვალე სტროფს, რომლითაც ბუნებრივად იხსნება ეს პირველი პროლოგი, და სადაც წმინდა რუსთველური სოფლ-ხედვია მოცემული:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მისა ძლიერითა“...

ან კიდევ ასეთს წმინდა რუსთველურს ლექსის ინსტრუმენტაციას, ბგერათა დამთხვევაზე აგებულ სტრიქონებს:

„შას არა ვიცა შემყარითო შესხმა ხატბისა შე რისა“...

ან კიდევ ასეთს რუსთველურს მეტაფორებს:

„მეღნათ ვისმარე გიბრის ტბა, კაღმად—მე, ნაი რხეულა“...

დეტალებზე შეჩერება აქ შორს წაგვიყვანდა.—საკითხი ვეფხის-ტყაოსნის ამ ტექსტების ავტენტიურობის შესახებ მთელის სისავსით განხილული გვაქვს რუსთველიანაში, სადაც სწორედ პოეტიკისა და შინაარსის დეტალური ანალიზის ნიადაგზე დამტკიცებული გვაქვს პირველი პროლოგისა და ეპილოგის რუსთველისადმი კუთვნილება (იხ. გვ. 108-129). კ. კეკელიძემ ჩვენი გამოკვლევის ამ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს სრულებით გვერდი აუარა.—მკითხველი, რომელიც გაეცნობა ჩვენს გამოკვლევაში ზემოთ-აღნიშნულ გვერდებს (108-129), დარწმუნდება, რომ ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგი ნამდვილია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პოეტურის მხრით შედევრს წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ ეს პროლოგი ორგანიულის ზაზებით არის გადაბმული მთელს პოემასთან; რუსთველურია ამ სტროფების მსოფლიო-მხედველობა, შინაარსი; რუსთველურია აგრეთვე პროლოგის ლექსიკონი, სტილი, სინტაქსი, ლიცენციები; რუსთველურია თითონ ლექსიც, რომელიც დამახასიათებელ ზაზებში იმეორებს რუსთველის პოეტიკის ნიუანსებს, როგორც სახეების სიმვოლიკით, ისე ფონეტური წყობით.—პირველი პროლოგის ყალბად გამოცხადება—ეს არსებითად იგივეა, რაც მთელი ვეფხის-ტყაოსნის ყალბად აღიარება.

ჩვენ ამაზე შეგვიძლია დავასრულოთ საუბარი მესამე თეზისის შესახებ.

* *

4-7. გარდა ზემოთ-განხილული სამი თეზისისა, ჩვენს გამოკვლევაში „რუსთველიანა“ ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხის გასარკვევად წარმოდგენილია კიდევ ოთხი თეზისი, დამყარებული შემდეგს ოეალებზე:

4. ვეფხის-ტყაოსნის ლექსიკონი;

5. პარალელები ვეფხის-ტყაოსნისა მე-12 საუკუნის საერო მწერლობის სხვა ძეგლებთან;



6. კულტურული გარემო, ასახული ვეფხის-ტყაოსანში;

7. ვეფხის-ტყაოსნის პერსონაჟის დასახელება „თამარჯანის“ ბოლო-სიტყვა-ობაში.

ოთხივე ეს უკანასკნელი თეზისი აგრეთვე იძლევა უმეტესწილად „შოთას პოემის ეპოქის შესახებ“¹⁾.

კ. კეკელიძე ამ თეზისებს უბასუხოდ სტოვებს, რადგან, სჩანს, მათი დარღვევა არც ისე ადვილია.

**

ჩვენ ამით ვასრულებთ საუბარს ვეფხის-ტყაოსნის თარიღის პრობლემაზე. როგორც მკითხველმა დაინახა, კ. კეკელიძეს ჩვენი არგუმენტაციის მთლიანი სისტემიდან განოუთიშავს რამდენიმე კერძო კითხვა და მათ გარშემო გაუმართავს კამათი. მაგრამ თუნდაც კ. კეკელიძე ნართალი ყოფილიყო ამ ცალკე დეტალებში, ამით ჩვენი თეორია, მთლიანად აღებული, ვერ დაირღვეოდა. ხოლო შესძლო კი კორნ. კეკელიძემ—თუნდაც ერთი დებულების შერყევა—ჩვენს გამოკვლევაში? მკითხველი ვფიქრობ დარწმუნდა, რომ ყველა მოსაზრებანი, რომელნიც წარმოადგინა კორნ. კეკელიძემ, უბრალო გაუგებრობას შეიცავს და ოდნავადაც ვერ სცვლის ვერც ერთს დეტალს ჩვენი არგუმენტაციის სისტემიდან.

რეზიუმე ჩვენი გამოკვლევისა მაშასადამე შემდეგია:

პირველი თეზისის თანახმად ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია არა უფვიანეს მე-13 საუკუნის დასაწყისისა;

მეორე და მესამე თეზისის თანახმად, ვეფხის თამარჯანის და დაეითის დროს, ე. ი. მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე;

მეოთხე, მეხუთე, და მეექვსე თეზისის თანახმად—იმავ ეპოქაში, ე. ი. მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე;

მეშვიდე თეზისის თანახმად—არა უფვიანეს მე-13 საუკუნის დასაწყისისა.

ამრიგად სრულებით სხვა-და-სხვა გზებიდან წარმოებულნი გამოკვლევა ერთსა და იმავე შედეგებს იძლევა, ყველა თეზისებიდან ერთი და იგივე დასკვნა გამომდინარეობს.

რაკი ეპოქა ვეფხის-ტყაოსნისა გამოჩვენებულია, ამის შემდეგ ვიკვლევთ უფრო ნიშანდობლივ პოემის დაწერის წლებსაც. აქ ჩვენ გვაქვს ორი სრულიად ცხადი terminus-ი:

1. პოემის დაწერის დროს მეფე დაეით (+1207) ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა; ამის მიხედვით პოემა დაწერილია არა უფვიანეს 1206-ისა, ანუ 1207-ისა.

2. თამარჯანის ეპოქის ერთი საისტორიო ნაწარმოების—„შარავანდუდთა ისტორია-აზნანთა“—რეალებიდან ირკვევა, რომ ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია ამ ნაწარმოების შემდეგ, ხოლო „ისტორია-აზნანთა“ ეკუთვნის 1195—1196-წელს (მე-11—12 წელს თამარჯანის მეფობისა). ამის მიხედვით ვეფხის-ტყაოსანი 1196-ის შემდეგ არის დაწერილი.

ამრიგად ირკვევა, რომ შოთას პოემა დაწერილია მე-12—13 საუკუნე-

1) იხ. რუსთველიანი, გვ. 130—134. —დამატებით აქვე საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ პოემის ამ თარიღს სავსებით ეთანხმება აგრეთვე ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფიის რეალები. მაგრამ რადგან ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფიის პრობლემა დაკავშირებულია პოემის „ამბის“ საკითხთან, ამიტომ იგი დამწყვეტი მნიშვნელობის არგუმენტად ვერ გამოდგება. ამითაა გამოწვეული, რომ პოემის გეოგრაფიის კითხვას ჩვენ გამოვეყოფთ, და მას განვიხილავთ ცალკე პოემის ორიგინალობის პრობლემასთან დაკავშირებით.

თა საზღვარზე, არა უადრეს 1196-სა, და არა უგვიანეს 1206-1207 წლებისა ¹⁾. —

ასეთია ის დასკვნები, რომლებიც მათემატიკურის თანამისწავლელმა კ. კეკელიძემ მომდინარეობს ჩვენი თეზისებიდან.

* *

დასასრულ, დაგვრჩენია პასუხი გავსცეთ უკანასკნელ კითხვაზე, რომელიც აღძრა კ. კეკელიძემ.

კ. კეკელიძე გამოსთქვამს პრეტენზიას, რომ ჩვენ არ განვიხილეთ მისი შეხედულება, რომელიც წარმოდგენილია მის ლიტერატურის ისტორიაში, და რომელიც, მისი განცხადებით, შეურყეველი რჩება.

ვასრულებთ ეხლა მის სურვილს.

მაგრამ ამასთან საჭიროდ მიმაჩნია აქვე აღვნიშნო ისიც, რომ კორნ. კეკელიძის საყვედური, თუ რისთვის აქანდე არ შეეხებ მის შეხედულებას, ცოტა უცნაურია. კ. კეკელიძემ თავისი მოსაზრებანი დაამუშავა ჩვენი თეორიის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ. „რუსთველიანა“ უკვე მთლიანი კურსის სახით წაკითხული იყო მწერალთა კავშირის პოეზიის აკადემიაში 1922 წელს ²⁾. ამ მოხსენებებს დაესწრო კ. კეკელიძეც, როგორც ამას თითონვე აღნიშნავს თავის ლიტერატურის ისტორიაში (იხ. წიგნი II, გვ. 96, შენიშვნა 2). ამას გარდა: რუსთველიანას I წიგნი, სადაც განხილულია ვეფხის-ტყაოსნის თარიღი, აწყობილი იყო უკვე 1923 წელს—ვიდრე 1924 წ. იანვრამდე ³⁾. ხოლო კორნ. კეკელიძემ თავისი ლიტერატურის ისტორია—საერო მწერლობა—გამოაქვეყნა 1924 წლის ბოლოს. ამრიგად ჩვენ მოკლებული ვიყავით საშუალებას შევხებოდით მას.

ეხლა ვნახოთ, რას შეიცავს კორნ. კეკელიძის ეს ვითომდა ახალი მოსაზრებანი ვეფხის-ტყაოსნის თარიღზე. ლიტერატურის ისტორიაში (ტ. II, გვ. 109—110) კ. კეკელიძეს წარმოდგენილი აქვს ორი დებულება, რომლის მიხედვითაც, კ. კეკელიძის დასკვნით, ირკვევა *terminus ante* (—დრო, რომლის უადრეს არ დაწერილა პოემა) და *terminus post* (—დრო რომლის უგვიანეს არ დაწერილა პოემა).

1. პირველ თარიღს, *terminus ante*-ს კ. კეკელიძე ამყარებს შემდეგზე: ვეფხის-ტყაოსანზე გავლენა მოუხდენია არა მარტო ისეთ ადრინდელ ნიმუშებს საერო მწერლობისა, როგორიცაა ვისრამიანი და ამირან-დარეჯანიანი, არამედ

¹⁾ შემდეგი ანალიზიდან ცხადი გახდება აგრეთვე, რომ შოთას 1196—1206 წლების განმავლობაში დაუწერია არა მარტო ვეფხის-ტყაოსანი, არამედ ამაზე ადრე გამოუქვეყნებია სხვა პოეტური ნაწარმოებნიც, მათ შორის პოემა „ქებანი“. ამის მიხედვით შესაძლოა ხდებოდეს ვეფხის-ტყაოსნის თარიღის უფრო ზედმიწევნითი განსაზღვრა 1200—1206 წლებით.

²⁾ ანგარიშები ამ მოხსენებათა შესახებ იბეჭდებოდა მწერალთა კავშირის ორგანოებში („ბაატრიონი“ და „ლომისი“, 1922 წ.).

³⁾ იხ. რუსთველიანა, გვ. 380.

„თამარიანსა“ და „დავით აღმაშენებელისა და თამარის ქებას“, რომელიც დაწერილია მე-13 საუკუნის პირველ წლებში, 1206—1212 წ.წ. მაშასადამე ვეფხისტყაოსანი 1212 წელზე ადრე დაწერილი ვერ იქნებოდაო. *ქართული*

2. მეორე თარიღს, terminus post-ს, კ. კეკელიძე შემდეგ შემოიტანა: პოემაში ხვარაზმშია ჯერ კიდევ ძლიერი და საპატრიო დინასტიაა. ხვარაზმელთა დინასტიას ბოლო მოუდეს მონღოლებმა 1219 წელს; ამის შემდეგ ხვარაზმელები უკვე აღარ არსებობენ ისტორიის ასპარეზზედ, სპარსეთი მონღოლებმა დაიკავეს. მაშასადამე პოემა 1219 წელზე გვიან ვერ დაიწერებოდაო (sic!).—ამას ეთანხმებაო ისიც, რომ შემდეგ მონღოლთა მულობელობა საქართველოში დამყარდა—და ამის შემდეგ შეუძლებელია ვეფხისტყაოსნისებური დიდი ნაწარმოები წარმოშობალიყო.

აი ამ ორი დებულების მიხედვით კ. კეკელიძე დაასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი დაწერილია 1212—1219 წლებში.

ყველა ეს მოსაზრებანი კ. კეკელიძისა მოკლებულია რაიმე მტკიცე საფუძველს.

ჯერ პირველი თარიღის, terminus ante-ს შესახებ. „თამარიანი“ დაწერილია არა 1206—1212 წლებში, არამედ გაცილებით ადრე. თამარიანი წარმოადგენს ოდების კრებულს, რომლებიც ავტორს გამოუქვეყნებია სხვა-და-სხვა დროს, დაწყებული თამარის გამეფებიდან (ე. ი. 1184 წლიდან)—ვიდრე რუსუდანის დაბადებამდე (1192—1195 წლ.). თამარიანის შესახებ არსებობს ორი სპეციალური გამოკვლევა, ერთი აკადემიკოს ნ. მარრისა (Древне-грузинские описания, Тексты и разыскания по арм.-груз. фил. IV, 1902) და მეორე ჩვენი (—„ჩახრუხაისძე. პოეტი. მოგზაური“. იხ. ჟურნალი „კავკასიონი“, 1924, № 1—2 და 3—4). მარრისა და ჩვენი გამოკვლევა—სხვა-და-სხვა საგანს ეხება. მაგრამ თარიღის კითხვაში ჩვენ ერთსა და იმავე მთავარ დასკვნამდე მივდივართ: სახელდობრ ის, რომ ყველაზე ნაკვიანვეი ოღა ჩახრუხაისძისა—რუსუდანის დაბადების წელს არ შორდება, ე. ი. ეს კრებული შედგენილია არა უგვიანეს 1192—1195 წლებისა (იხ. მარრის შრომა, გვ. 45—48, 75—76. ჩვენი გამოკვლევა, „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 288—290).

მაგრამ აქ შესაძლოა მეტი კონკრეტობა. ვეფხისტყაოსანზე გავლენა მოუხდენია არა „თამარიანს“ მთლიანად, არამედ მე-II, მე-III და მე-V ოღას. ხოლო როგორც ამ ოდების ტექსტიდანა სჩანს—თამარ ჯერ კიდევ არ ყოფილა გათხოვილი დავით სოსლანზე, ე. ი. ეს ოდები დაწერილია 1189 წლის უფრო ადრე.

ეს თამარიანის შესახებ, რაც შეეხება მეორე ნაწარმოებს, — „იბდულმესიანს“, რომელსაც კ. კეკელიძე შეცდომით „დავით აღმაშენებელის და თამარის ქებას“ ეძახის, აქ უკვე სრული გაუგებრობაა. ამ ნაწარმოებს აკ. ნიკო მარრმა უძღვნა კლასიკური მონოგრაფია (Тексты и Раз. по арм.-груз. фил. т. IV. Певец Давида Строителя, გვ. 1—27), სადაც მან ეჭვ-მიუტანელად დაამტკიცა, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია თამარის ეპოქაზე ერთი საუკუნით ადრე, დავით აღმაშენებელის დროს.—დღეს კი კორნ. კეკელიძე—ისევ იმეორებს პლატონ იოსელიანისა და დავით ჩუბინაშვილის მოძველებულ აზრებს და



აბდულმესიანს თამარის ეპოქას მიაწერს.—ქართული ფილოლოგიის მიღწევებს კ. კეკელიძისთვის სჩანს უქმად ჩაუვლია.

ასეთია ის საფუძვლები, რომლის მიხედვით კ. კეკელიძე მხოლოდ ქართულ გამოარკვევას დრო, რომლის უადრეს არ დაწერილა ვეფხის-ტყაოსანი.

მაგრამ ეს პირველი ნაწილი კ. კეკელიძის გამოკვლევისა—არაა იმდენად საინტერესო. რომ ვეფხის-ტყაოსანი არ დაწერილა თამარის მეფობის უფრო ადრე,—ეს ისედაც აშკარაა, და ამის შესახებ არავინ დავობს. აქ საინტერესოა მეორე თარიღი—*Terminus post quem non*, დრო რომლის უგვიანეს არ დაწერილა ვეფხის-ტყაოსანი.

ამ მეორე თარიღის დასადგენად, კ. კეკელიძემ, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგინა შემდეგი ორი მოსაზრება:

ა) მე-13 საუკუნეში საქართველოში მონგოლთა მფლობელობა დამყარდა და ამის შემდეგ ვეფხის-ტყაოსანი ვერ დაიწერებოდაო. მაგრამ რასაკვირველია ეს საბუთი არაა. მონგოლთა მფლობელობა დამყარდა არა მარტო საქართველოში, არანედ სპარსეთშიაც, მაგრამ ამით პოეზიის განვითარება იქ არ შეწყვეტილა. თუ სპარსეთში—მაგ. მე-14 საუკუნეში იყო შაფიზი, რისთვის არ შეიძლებაოდა საქართველოში მე-14 საუკუნეში ყოფილიყო რუსთველი?

მონგოლთა მფლობელობის დამყარებამ, რასაკვირველია, იქონია გავლენა საქართველოს კულტურაზე ისევე, როგორც სპარსეთისაზე,—მაგრამ აქედან გამომდინარე ფაქტებს ცოტა სხვარაგად უნდა გამოყენება. ვიდრე ამას კ. კეკელიძე სჩადის; სახელდობ აქ მისაღებია მხედველობაში—ვეფხის-ტყაოსანის ლექსიკონი, საერთო მსოფლიო-მხედველობა, კულტურული გარემოს გავლენა. ამ ეს რეალიები, რომლებიც მართლაც მეტად საგულისხმო დასკვნებს იძლევა, და რაც უკვე გამოყენებული იყო ჩვენს გამოკვლევაში კ. კეკელიძემ ადრე,—ჩვენი თბონები სრულიად უგურადღებოდ სტოვებს.

ბ) კიდევ უფრო უცნაურია—კ. კეკელიძის მეორე დებულება: „ვეფხის-ტყაოსანში ხვარაზმშია—ჯერ კიდევ ძლიერი და საპატოო დინასტიის წარმომადგენელია... ხვარაზმელთა დინასტიას ბოლო მოუღეს მონგოლებმა 1219 წელს, ამის შემდეგ ხვარაზმელები უკვე აღარ არსებობენ ისტორიის ასპარეზზედ, სპარსეთი მონღოლებმა დაიკავეს. ცხადია, მაშასადამე, პოემა 1219 წელზე გვიან ვერ დაიწერებოდა“ (იხ. ლიტერატურის ისტორია, II ტ. გვ. 109).

კ. კეკელიძის ამ ცენტრალურმა დებულებამ არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს. ხვარაზმელთა სამეფო მართალია 1219 წელს განადგურდა. მაგრამ აქედან სრულებით არ არის „ცხადი“ და „მაშასადამე“—რომ ვეფხის-ტყაოსანი 1219 წელზე გვიან ვერ დაიწერებოდა. ასურეთი და ბაბილონი მოისპო მე-6 საუკუნეზე ადრე ქრისტეს წინ; მაგრამ მის შესახებ შეიძლება წერა მე-20 საუკუნეშიაც ქრისტეს შემდეგ.

რასაკვირველია ხვარაზმთა შესახებ ქართველ პოეტს შეეძლო წერა 1219 წლის შემდეგაც, როცა დაეცა ხვარაზმი. მართლაც, ხვარაზმელთა სამეფო არ იყო უმნიშვნელო მოვლენა საშუალ-საუკუნეებში. პირიქით, ხვარაზმელთა სახელი კარგად ახსოვდათ ქართველებს მთელი საუკუნეების შემდეგაც. ეს მით უფრო, რომ სწორედ ხვარაზმელთა შემოსევა მე-13 საუკუნის ოციან წლებში, ჯელალედინის წინამძღოლობით, გახდა მიზეზი საქართველოს სახელმწიფოებრივობის გა-

ნადგურებისა. ხვარაზმელების და ჯელალ-ედინის შვიდ-წლოვანი მატონობა საქართველოში ასწერა მე-14 საუკუნეში ქართველმა ისტორიკოსმა „უამთა-აღმწერელმა“; უამთა-აღმწერელის ეს თხზულება შეტანილი იქნა ქვემოთხსენებულ ცხოვრებაში, რომელსაც რასაკვირველია ყველა ქართველი შეეცადა დაეცნობა და კითხულობდა ¹⁾. უამთა-აღმწერელზე უფრო ადრე მე-13 საუკუნეში ხვარაზმელთა ბრძოლები და ტფილისის განადგურება ასწერია სხვა მემკვიდრე — „ნღვიმელ ბერს“ ²⁾. ხვარაზმელთა შესახებ თემას პოეტებიც ეტანებოდნენ; ასე, პროზაული ვერსია „ხვარაზმთა ამბავი“ ესკიზების სახით დაუწერია სარგის თმოგველს მე-14 საუკუნის ნახევარში, რაც შენდევ გაულექსავეს მეორე პოეტს მე-14—15 საუკუნის საზღვარზე ³⁾.

ყოველივე ამის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, თქმა იმისი, რომ რაკი ხვარაზმი დაეცა 1219 წელს, — „ცხადია“, „მაშასადამე“ — ვეფხის-ტყაოსანი ამაზე გვიან ვერ დაიწერებოდაო, — ეს მართლაც რომ „ცხადი“ ულოლიკობაა ⁴⁾.

ასეთია ის დებულებანი, რომლის მიხედვითაც კ. კეკელიძემ სცადა ვეფხის-ტყაოსნის დათარიღება.

კ. კეკელიძის ამ გამოკვლევის სახით ჩვენ გვაქვს ტიპიური მაგალითი იმისი, — რის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობდით ამ ექსკურსის დასაწყისში: სახელდობს ის, რომ ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხის გამორკვევა შეუძლებელია შორეული ისტორიული ანალოგიებით და ზოგადი ხასიათის მოსაზრებით; ერთადერთი გზა ამ პრობლემის გადასაჭრელად — ეს არის ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორია. ე. ი. ის გზა, რომელიც ავიღეთ ჩვენს გამოკვლევაში, და რომლის ნიადაგზე, ვფიქრობთ, — ჩვენ შევსძელით საბოლოოდ გამოგვერკვია, თუ როდის არის დაწერილი შოთას პოემა.

¹⁾ იხ. ქართლის ცხოვრება (მარიაშ დედოფლის ეპიკონტი, გვ. 558—559; 565—591).

²⁾ იხ. იქვე, 578.

³⁾ იხ. ამ წერილის პირველ ნაწილში, № 3, გვ. 211—216.

⁴⁾ ჩვენ აქ კ. კეკელიძის მკვლელობა ხვარაზმელთა შესახებ გადმოვეცით უმეტესაქლებოდა — იმ მიდგომით, როგორც ეს კორნ. კეკელიძის შრომაშია მოცემული (იხ. ტ. II, გვ. 109).

სალო დამოუკიდებლად კ. კეკელიძის ამ შრომისაგან საჭიროა აქ აღინიშნოს შემდეგი: ვეფხის-ტყაოსნის რეალიები პოლიტიკური გეოგრაფიიდან შესაძლოა გამოყვანებულ იქმნეს ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხის განხილვის დროს, მხოლოდ იმის პირობით:

1. იგი შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ როგორც ერთგვარი დამხმარე არგუმენტი, იგი ვერ გამოდგება ისეთ ძირეულ საბუთად, რომელშიაც არ შეიძლებოდა დაეჭვება, მით უფრო, რომ ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფია დაკავშირებულია ვეფხის-ტყაოსნის „ამბის“ პრობლემასთან, ეს ერთი.

2. ამას გარდა, როდესაც ჩვენ ვიყენებთ გეოგრაფიულ რეალიებს პოემის თარიღის საკითხის განხილვის დროს, წყუძლებელია აქ გამოვიყოს რომელიმე კერძო დეტალი, მაგალითად ხვარაზმელები, არამედ საჭიროა გათვალისწინებულ იქმნეს მთლიანი გეოგრაფიული კონცეპცია. საჭიროა ჯერ გამოირკვეს, რამდენად იცავს საერთოდ ავტორი თავის პოემაში ელემენტებს რეალური გეოგრაფიიდან, და თუ იცავს, რა კავშირში იმყოფება ეს ცალკე დეტალები მთლიანთან. ამის გარეშე ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფიაზე მკვლელობა ამათ შრომათა და ვერაფილარ მნიშვნელოვანსა და დამაჯერებელ რეზულტატს ვერ მივიღებთ. —

დასასრულ, ჩვენ აქ არ ვესებით კითხვას, თუ რამდენად ორიგინალურია კ. კეკელიძის წყუძულება ხვარაზმელთა შესახებ.

7. ვეფხის-ტყაოსნის ავტორის სახელი და ზედ-წოდება „შოთა რუსთველი“.



ვეფხის-ტყაოსნის თარიღის პრობლემის განხილვის შემდეგ გადმოდგინათ იმ წინაშე, რომელიც ჩვენმა ოპონენტმა წარმოადგინა შოთას ვინაობის საკითხის შესახებ.

კორნ. კეკელიძე იწვევს თავის კრიტიკას ასე ვთქვათ დასაბამიდგან, ან იყოს. როგორც თავის წერილში რუსთველიანაზე, ისე ლიტერატურის ისტორიაშიაც კ. კეკელიძე გვეუბნება, რომ არავითარი დამაჯერებელი საბუთი არ არსებობს, რომ შოთა რუსთველი იყო ვეფხის-ტყაოსნის ავტორი.

თუ შოთა რუსთველი არ ყოფილა ვეფხის-ტყაოსნის ავტორი, მაშ ეინ იყო ბოლოს-და ბოლოს იგი? ხომ არ იყო ეს ავტორი თვით კ. კეკელიძე ან პ. ინგოროყვა?! თუ ჩვენ ისეთი გამარტივებული მსჯელობის გზას დავადექით, როგორც ამას ჩვენი ოპონენტი სჩადის, არ არის გამორიცხული ასეთი დასკვნებიც.

რასაკვირველია ვეფხის-ტყაოსნის ავტორი იყო შოთა რუსთველი და არა სხვა ვინმე. თუ ამის შესახებ შესაძლო იყო დღემდე რაიმე დაექვება, ჩვენი გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ ეს ექვი გაქარწყლებულად უნდა ჩაითვალოს. რა საბუთებით? აი რა საბუთებით:

1. ჩვენ გავარკვეეთ ვეფხის-ტყაოსნის პირველი პლასტის თარიღი, რომ მან არსებულ სახე მიიღო მე-13—14 საუკუნეებში, არა უგვიანეს მე-14 საუკუნის ნახევრისა. ბოლო ამ უძველეს ტექსტებში ვეფხის-ტყაოსნის ავტორად მოიხსენება „რუსთველი“.

2. ცნობა რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორს „შოთა“ ერქვა, აგრეთვე ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებიდან მოდის. იგი შეტანილი ყოფილა პოემის ზედწერილებში;

3. ვარდა იმისა, რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორის ვინაობა ირყვედა თითონ ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებიდან,—ამის შესახებ არსებობდა აგრეთვე უწყალო ლიტერატურული გადმოცემაც, რომელსაც იმეორებენ აღორძინების ეპოქის ყველა მწერლები.

და თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველსავე ამას:—ა) რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორის ვინაობის შესახებ არსებობს სრული თანხმობა ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებს შორის ერთის მხრივ, და აღორძინების ეპოქის ლიტერატურულ ტრადიციას შორის მეორეს მხრივ;—ბ) რომ ეს გადმოცემა ვეფხის-ტყაოსნის ავტორის შესახებ ძველია და იგი მე-13—14 საუკუნეებში აღწევს;—გ) რომ ეს ტრადიცია მუდმივია და ერთად-ერთი, სხვა ამის საწინააღმდეგო გადმოცემა ძველმა ქართულმა მწერლობამ არ იცის;—აი თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველსავე აქ აღნიშნულს, ჩვენ რასაკვირველია მკვიდრი საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორი არის „რუსთველი“, რომლის სახელი იყო „შოთა“.

ამ-რიგად შოთა რუსთველის ავტორობა იმდენად ნათელი დებულებაა, რომ ამის შესახებ აქ სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია 1).

8. შოთას ვინაობის პრობლემათან დაკავშირებული საკითხები.

რუსთველიანას მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია ისტორიული ექსკურსი შოთა რუსთველზე (იხ. I, გვ. 145—198).—აქ ჩვენ ჯერ ვითვალისწინებთ იმ

1) უფრო დაწვრილებისას ცნობებს ამ საკითხზე მკითხველი იპოვის რუსთველიანაში, I, 137—142.

კულტურულ წრეს, რომელსაც ეკუთვნოდა პოეტი, ხოლო შემდეგ გვარჯიშით თითონ პოეტის ვინაობას. შედეგად ისტორიული წყაროების ანალიზისა ცხადი ხდება შემდეგი დებულება:

შოთა, ჰერეთის ბაგრატიონი (—ჰერეთის ერისთავთა გვარჯიშის შთამონავალი)—ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-12 საუკუნის დამლევისა და მე-13 საუკუნის პირველი ნახევრისა, —არის იგივე **შოთა რუსთველი**, ვეფხის-ტყაოსნის ავტორი. —თამარის დროს, დაახლოებით 1196—1206 წლებს შორის ე. ი. სწორედ იმ წლებში, როცა დაწერილია ვეფხის-ტყაოსანი, შოთა ყოველია ჰერეთის ქალაქის რუსთავის მფლობელად, რის გამოც მას მიუღია ეს სახელწოდება „რუსთველი“. ხოლო მერმე, მე-13 საუკუნის ათეული წლების შემდეგ, შოთაზე გადასულა მემკვიდრეობით ერისთავთა მთელი ჰერეთის ქვეყნისა, და ამ დროიდან დაწყებული იგი ოფიციალურ წყაროებში „ჰერეთის ერისთავის“ სახელით მოიხსენება.

კ. კეკელიძე ჩვენი გამოკვლევის ამ ნაწილის კრიტიკის დროსაც მიმართავს იმავე ჩვეულებრივს მეთოდს; —იგი არ იღებს მხედველობაში გამოკვლევის მთლიან მაგისტრალს, გამოსთიშავს ზოგიერთ კერძო საკითხს მთლიანთან დაუკავშირებლად, და ამრიგად ჰფიქრობს მთელი თეორიის დარღვევას.

რასაკვირველია აქ საჭირო არაა შევეხოთ შოთას ვინაობის პრობლემას მთლიანად. საკმაო იქნება პასუხი გავსცეთ იმ ცალკეულ კითხვებზე, რომელიც ჩვენმა ოპონენტმა წარმოადგინა.

* *

1. რუსთავის მფლობელნი მე-12-13 საუკუნეებში. ჩვენს გამოკვლევაში გამოკვლეულია, რომ თამარის დროს—რუსთავის პროვინცია თანდათანობით სამფლობელოდ ჰქონდათ მიცემული შემდეგ გვარეულობათ:

1. თამარის მეფობის დასაწყისში, 1184 წლიდან—1190 წლამდე რუსთავის მფლობელად იყო მთავარი აბუღასანი.

2. შემდეგ, 1190—1191 წლებში რუსთავის პროვინცია ჩამოართვეს აბუღასანს დალათის გამო, და დროებით ორად გაჰყვეს: ერთი ნაწილი—საკუთრივ რუსთავის თემი—გადასცეს სივანძგეოდ ზაქარია მხარგრძელს, ხოლო მეორე ნაწილი—ქიშვიანის თემი—ქიაზერს.

3. ამის შემდეგ ჰერეთის ერისთავთა გვარეულობის უზუცესმა წარმომადგენელმა ასათ გრიგოლის ძემ (—შთამომავლობით ჰერეთის ბაგრატიონმა)—„იაჯა“ ითხოვა თამარ მეფისაგან რუსთავის პროვინცია „არისიანთა ადგილი“, — რომელიც ძველად ჰერეთის ქვეყნის ნაწილსა და ბუნებრივ სანაპიროს წარმოადგენდა. რუსთავის პროვინციის გადაცემა ჰერეთის ერისთავთა გვარეულობისათვის მომხდარა არა უგვიანეს 1196 წლისა, 1191—1196 წლებს შორის. ამის შემდეგ რუსთავის პროვინცია ჰერეთის საერისთავოს ნაწილს შეადგენდა 1191—1196 წლებიდან ეიდრე მე-13 საუკუნის ნახევრამდე.

4. ამ ჰერეთის ერისთავთა ოჯახის წევრი იყო შოთა, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სახელდობრ თამარის მეფობის შუა წლებში (—1196 წლის ახლო ხანებიდან) შოთას გადაცემული ჰქონია სივანძგეოდ რუსთავის პროვინცია, და ამის გამო მას მიუღია „რუსთველის“ სახელი.

კ. კეკელიძე არ ეთანხმება ჩვენს ქრონოლოგიას და იძლევა შემდეგს „რიგს რუსთავის მფლობელთა“:

1. ჰერეთის ერისთავთა გვარეულობამ მიიღო რუსთავის პროვინცია თამარის მეფობის პირველ წლებში, 1184—1185 წ.

2. შემდეგ, 1191-1212 წლებში, რუსთავის თემი მიცემული ჰქონდა ნაქალიძის მთავრობის — უფრო ადრე, არა უგვიანეს 1188 წლისა (1184-1188 წლებს შორის) ერთი ნაწილი რუსთავის პროვინციისა (ჯინჯანის თემი) ქობულაძის მთავრობისადმი.

3. თამარის გარდაცვალების შემდეგ (+1213), არა უადრეს მე-13 საუკუნის მიწოდების დროს რუსთავის პროვინცია გადაუციათ აბულასანისათვის.

აი აქ არის კ. კველიძის პასუხის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი. თუ კ. კველიძის პრონოლოგია მართალი გამოდგარიყო, მაშინ ჩვენს არგუმენტაციას აკლდება ერთი მნიშვნელოვანი რგოლი. კ. კველიძის დებულებიდან ის გამოდინარეობს, რომ შოთა ჰერეთის ბაგრატიონი არ შეიძლებოდა ყოფილიყო რუსთავის მფლობელად თამარის მეფობის შუა წლებში, ვინაიდან რუსთავი ჰერეთის ბაგრატიონებს ეჭირათ ამაზე ადრე, ხოლო თამარის მეფობის შუა წლებში რუსთავის მფლობელად სხვა გვარეულობანი იყვნენ.

ამის-გამო ჩვენ მოგვიხდება უფრო დეტალურად შევჩერდეთ ამ კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ რუსთავის მფლობელნი თამარის ეპოქაში და როგორის თანდათანობით.

ვინც ახლოა გაცნობილი ძველი ფეოდალური საქართველოს შინაგან წყობილებას, მისთვის რასაკვირველია ცხადია, რომ მფლობელი მთავრისთვის ჩამოართმევა საგვარეულო სამფლობელოსი არ წარმოადგენდა უმნიშვნელო მოვლენას, არამედ ამას იწვევდა რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური მიზნები. ამიტომ, რომ გასაგები გახდეს კ. კველიძის პრონოლოგიის უნიადაგობა, ჩვენ თავდაპირველად მოგვიხდება აღვადგინოთ საერთო ისტორიული კანვა.

თამარის მეფობის პირველ ნახევარში როგორც ცნობილია არსებობდა მეტოქეობა ფეოდალების სხვა-და-სხვა ჯგუფებს შორის, თუ ვის უნდა რგებოდა მთავარი გავლენა სახელმწიფო საქმეებზე. კერძოდ თამარის მეფობის დასაწყისში მთავარ როლს თამაშობს ფეოდალთა ერთი დასი.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აქ საერთოდ აღინიშნოს, რომ ფეოდალების ერთგვარი გაძლიერება, რასაც ჩვენ ვხედავთ თამარის მეფობის პირველ ნახევარში, ადვილი გასაგებია; თამარის გამეფების ექვსიოდე წლის წინა დროს დადგინდა აჯანყება, რამაც სამეფო ტახტის მდგომარეობა შეარყია. ხოლო ამის შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა ქალი, რაც პირველი შემთხვევა იყო საქართველოს ისტორიაში. ამასთან თამარი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, როცა გამეფდა. ბუნებრივია რომ ასეთ პირობებში სამეფო ტახტის გავლენა შესუსტებული იყო, და ფეოდალურმა წრეებმა თავი აინაღეს.

ვინ იყო და როდის მოღვაწეობდა აბულასან მთავარი, რომელიც რუსთავის მფლობელად მოიხსენება, და ამასთან ფეოდალების რომელ დასს ეკუთვნოდა იგი.

აბულასანის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ სრულებით გარკვეული ცნობები მოგვეპოვება, ჯერ ერთი თამარის პირველ მათიანეში („ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“), რომელიც დაწერილია თამარის სიცოცხლეშივე, 1195—1196 წელს, და ამას გარდა თამარის დროინდელ არქეოლოგიურ ძეგლებში (—ლურჯი-მონასტრის კარი-ბჭის წარწერა და იმავე მონასტრის ხატის წარწერა).

თამარის პირველი მატიანე შეტანილია კრებულში „ქართლის ცხოვრება“. (მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა. ქვემოთ ციტატები თამარის პირველი მატიანიდან ნაჩვენები გვაქვს ამ გამოცემით).

„ლურჯი მონასტრის“ წარწერები გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ *Археологические экскурсии, размышления и заметки*, წიგნი II, გვ. 70 და წიგნი IV, 149–150. ქვემოთ ეს გამოცემა აღნიშნული გვაქვს შემოკლებით „A9“.)

ეს აბულასანი დიდ როლს თამაშობდა თამარის მეფობის დასაწყისში. იგი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფეოდალების იმ დასისა, რომელმაც მოიწვია გიორგი რუსი. საქართველოს დედოფლის საქმროს მოწვევა ცხადია განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა, იგი ფაქტიურად საქართველოს თანამეფის არჩევას უდრიდა; ცხადია ფეოდალების ის ჯგუფი, რომელმაც ამ არჩევანში გადამწყვეტი როლი ითამაშა, მთავარი პოლიტიკური ძალა ყოფილა ამ დროს, თამარის გამეფების პირველ წელშივე, როცა მზადდებოდა ამ საკითხების გადაწყვეტა. ხოლო ამ ჯგუფის ერთ-ერთი გავლენიანი წევრი და თითქმის მეთაური აბულასანი ყოფილა; თამარის პირველ მატიანეში მოთხრობილია, რომ სამეფო დარბაზის თათბირზე გიორგი რუსის მოწვევა აბულასანის ინიციატივით გადაწყდაო (იხ. თამარის პირველი მატიანე, გვ. 415).

შემდეგი დასკვნებისათვის აქ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა თანამდებობანი ეჭირა აბულასანს თამარის კარზე. 1184-5 წ., ე. ი. თამარის მეფობის დასაწყისში, იგი ყოფილა „ამირათა-ამირა ქართლისა და ტფილისისა“ (იხ. თამარის პირველი მატიანე, გვ. 415 და ლურჯი-მონასტრის წარწერა, A9, წ. IV, გვ. 149-150). „ამირათა-ამირა“-ობა დიდ თანამდებობად ითვლებოდა. როგორც „სახელმწიფო კარის გარიგების“ და თამარის პირველ მატიანის რეალიზების შეფარდებიდან ირკვევა, „ამირათა-ამირა“ ეს იყო იგივე „ნაცვალი მეჭურჭლეთ უხუცესისა“, ე. ი. ფინანსთა მინისტრის მოადგილე¹⁾. ხოლო შემდეგ, როცა „მეჭურჭლეთ-უხუცესის“ (ფინანსთა მინისტრის) პოსტი განთავისუფლდა, აბულასანი დაუდგენილათ „მეჭურჭლეთ-უხუცესის“ თანამდებობაზე (იხ. ლურჯი მონასტრის ხატის წარწერა, A9, II, გვ. 70).

„ამირათ-ამირაობა“ (— „მეჭურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი“) და „მეჭურჭლეთ-უხუცესობა“ ეს იყო აბულასანის ადმინისტრაციული თანამდებობანი. მაგრამ გარდა იმისა რომ იგი დიდი სახელმწიფო მოხელე იყო, აბულასან ამასთანავე დიდი ფეოდალი ყოფილა, მფლობელი მთავარი. ამით აიხსნება რასაკვირველია აბულასანის განსაკუთრებული გავლენა. როცა თამარის საქმროს მოწვევის შესახებ სამეფო თათბირი იყო გამართული, აბულასან თუნცა არ იყო სავაზიროს წევრი (— იგი ამ დროს მეჭურჭლეთ-უხუცესის მოადგილედ, „ამირათა-ამირად“ ითვლებოდა, ხოლო ამ უკანასკნელს არ ჰქონდა სავაზიროში ხმა), მაინც

¹⁾ იხ. კარის-გარიგება, გვ. 8 (შუუდ. თამარის პირველი მატ., გვ. 434). „კარის გარიგების“ თანახმად მეჭურჭლეთ-უხუცესის საგანმცხო ყოფილა—„მ უ ე ლ ნ ი ქ ა ლ ა ქ ს ი... და ქ ა ლ ა ქ ი ს ა მ ი რ ა ნ ი“. — ბუნებრივია, რომ სატაბტო ქალაქის ტფილისისა და ცენტრალური პროვინციის—ქართლის „ამირათა-ამირას“ პირველი ადგილი უნდა სჭეროდა „მეჭურჭლეთ-უხუცესის“ შემდგომ, მისი მოადგილე უნდა ყოფილიყო. და მართლაც „ამირათა-ამირას“ თანამდებობის შემდეგ სახელმწიფო მოხელენი „მეჭურჭლეთ-უხუცესის“ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ. — თანამდებობათა ასეთი გზა გაიარა აბულასანმა.

აბულასანი ამ თათბირზე გადამწყვეტ როლს თამაშობდა და საკითხიც მისი წინადადებით გადაწყდა.

თუ რა სამფლობელო იყო აბულასანის სამთავრო, ესეც ცნობილია ცენტორიული წყაროებიდან. ლურჯი-მონასტრის კარი-ბჭის წარწერაში აბულასანის თანამდებობასთან „ამირათ-ამირაობასთან“ ერთად მოიხსენება მისი სამფლობელო ნაიორატი.—„რ უ ა ს თ ა ვ ი და შ ვ ი დ ნ ი მ თ ე უ ლ ე თ ნ ი“ (—რუსთავე-თინვანის თემები.—იხ. Aშ, წიგნი IV, გვ. 150).

განეგრძოთ ამის შემდეგ ძიება. გამოვარკვიოთ, თუ რა დრომდე გასტანა აბულასანის ძლიერებამ, და რამ გამოიწვია მისი დაცემა და სამფლობელოს ჩამორთმევა.

გიორგი რუსი, რომლის მოწვევაში აბულასანმა ასეთი დიდი როლი ითამაშა საქართველოს მეფის თანა-მოსაყდრედ ითვლებოდა სამი წელი (1184—5-დან ვიდრე 1187-მდე). ეს დრო ცხადია იყო აბულასანისა და მისი დასის ძლიერების ხანა.

შემდეგ ამისა გიორგი რუსი, როგორც ცნობილია, საქართველოდან განდევნეს მისი პატოლოგიური ზნედაცემულობის გამო. ეს მოხდა 1187 წ.—თამარის პირველი მატთანადან სჩანს, რომ გიორგი რუსის განდევნას არ მოჰყოლია რეპრესიები და სახელმწიფო მართვა-გამგეობის აპარატი იგივე დარჩა.

ამის შემდეგ განვლო კიდევ სამმა წელმა და ქართველმა ფეოდალებმა მოაწყვეს აჯანყება გიორგი რუსის გასამეფებლად, 1190—1191 წლ. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ამ აჯანყების მომწყობნი და სულის ჩამდგმელნი? თავის-თავად საფიქრებელია, რომ იგივე წრეები, რომელთა ინიციატივით მოწვეულ იქმნა პირველად გიორგი რუსი, პირველ რიგში აბულასან რუსთავეის მფლობელი. აჯანყება ცხადია იმით იყო გამოწვეული, რომ 1189 წელს თამარის საქმროდ მოწვეულ იქმნა დავით სოსლანი, და ამ დასის გავლენა თან-და-თან სუსტდებოდა. და მართლაც ამ აჯანყების მოწყობაში აბულასანს სჩანს მთავარი როლი უთამაშნია. გიორგი რუსი, 1187 წელს საქართველოდან განდევნილი, ჯერ კონსტანტინეპოლს გაემგზავრა, და აქედან კი გადმოვიდა საქართველოს მოსახლურე კარნუ-ქალაქის და ეზინკის სამფლობელოებში. აბულასანს, ვიდრე აჯანყება მოეწყობოდა, საიდუმლო კავშირი დაუჭერია გიორგი რუსთან. თამარის პირველი მემატთანე მოგვითხრობს, რომ „მეტურჭლეთა უხუცესისა ნაცვალი“ ელჩად ყოფილა წარგზავნილი კარნუ-ქალაქს. აქ იგი შეხვედრია გიორგი რუსს, და აი ამ შეხვედრის დროს გადაუწყვეტიათ აჯანყების მოწყობა¹⁾.

¹⁾ იხ. თამარის პირველი მატთანე, გვ. 434.— მემატთანე ამ აღგილას აღნიშნავს აჯანყების ინიციატორის მხოლოდ თანამდებობის (— „მეტურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი“—), ხოლო საკუთარი სახელი აღარ მოუხსენებია. ეს იმიტო არის გამოწვეული, რომ მემატთანეები როგორც სჩანს ურიდებოდენ მოლაღატეთა სახელის ხშირად ხსენებას. (—შეად. სტეფანის ორბელიანის ცნობა, რომ ორბელთა აჯანყების შემდეგ გიორგი მეფემ ბრძანაო მათი სახელის ამოშლა მატთანეებიდან).

ამ რიგად, თუმცა აბულასანის სახელი მემატთანეს აქ პირდაპირ არ მოუხსენებია, მაგრამ რომ აჯანყების ინიციატორი სწორედ აბულასანი იყო, ეს სჩანა მისი თანამდებობის აღნიშვნადან („მეტურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი“), და ამის გარდა ამასვე ადასტურებს აგრეთვე

ამის შემდეგ აჯანყება სჩანს ხანგრძლივ და დიდის მოხერხებით მზადდებოდა საიდუმლოდ, რადგან მან მეტად ფართე ხასიათი მიიღო. აჯანყება მოხდა 1190—1191 წლ.

აჯანყება როგორც ცნობილია სასტიკად იქმნა დამარცხებული. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თუმცა თამარმა ლმობიერება გამოიჩინა და სიკვდილით არავინ დაუსჯია, მაგრამ აჯანყების ნთავარ ხელმძღვანელებს სამფლობელოები ჩამოართვა და გადასცა ერთგულ მოხელეებს.

აბულასანისათვისაც, როგორც აჯანყების მომწყობისათვის და გიორგი რუსის დასის მეთაურისათვის ცხადია უნდა ჩამოერთმიათ რუსთავის სამფლობელო. და ეს ასეც მომხდარა. თანარის პირველი მემატიანე 1190—1191 წელს მოგვითხრობს, რომ ერთი ნაწილი რუსთავის სამფლობელოსი, სახელდობ რუსთავის თემი—გადაეცაო ზაქარია მხარგრძელს, ხოლო მეორე ნაწილი ეინვანის თემი ჭიაბერს. (იხ. მათიანე, გვ. 444).

ასეთია ისტორიული ამბების თანამიმდევრობა, რომელიც ირკვევა თანარის პირველი მათიანიდან და არქეოლოგიური რეალიებიდან.

ებლა საკითხავია, რაზე დაემყარა კორნ. კეკელიძე, როცა მან ეს ისტორიული ფაქტები უკუღმა შეაბრუნა და აბულასანის პოლიტიკური მოღვაწეობა გააგრძელა მე-13 საუკუნის მეორე ათეულამდე. ყოველივე ეს დამყარებულია ერთს შემცდარ მსჯელობიზე. კორნ. კეკელიძე ჰფიქრობს, რომ აბულასანის შესახები წარწერა ლურჯი-მონასტრის კარი-ბქეზე ვითომც ეკუთვნის მე-13 საუკუნის მეორე ათეულის არა უადრეს ხანას. აი რა მოსახრებას გამოსთქვამს კ. კეკელიძე ამ წარწერის შესახებ:

„ის (-ლურჯი მონასტრის წარწერა) შესრულებული უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში არა უადრეს მე-13 საუკუნის მეორე ათეულისა. საქმე ისაა, რომ წარწერაში მოხსენებული ბასილი კათოლიკოზად ჩანს (თუ ის მართლა კათოლიკოზია, და არა „ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თევდორეს შემდეგ. ჩვენ არ ვიცით როდის დასრულდა თევდორეს კათოლიკოზობა, ცნობილია მხოლოდ რომ 1206 წელს, რუქნადინთან ბრძოლისას ის კიდევ კათოლიკოზი იყო (ქართ. ცხ. I, 323).—მის შემდეგ გაკათოლიკოზდა ბასილი, რომლის განმგებლობა, მეტი თუ არა 1210 წლამდე მაინც გასტანდა. წარწერაში ბასილი მოხსენებულია როგორც „ქართლისა მთავარ-ეპისკოპოს ყოფილი“, მაშასადამე წარწერა შესრულებულია ბასილის მწყემს-მთავრობიდან კარგანის შემდეგ. აქედან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ის აბულასანი, რომელიც გიორგი რუსის მოწვევისას ყოფილა „ამირა ქართლისა ტფილისისა“,—მეჭურჭლეთ-უზუცესად და „რუსთავისა და შვიდთა მთეულეთთა პატრონად“ (—*მ. Такайшвили, АЗ, IV, 150*)—გამხდარა თანარის გარდაცვალების შემდეგ. (იხ. კორნ. კეკელიძის წერილი, გვ. 193).

რომ ცხადი გახდეს სრული უნიადაგობა კორნ. კეკელიძის ამ მსჯელობისა, მათიანის მოთხრობის საერთო მსვლელობა. რომ აბულასანი აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი იყო, ეს კერძოდ იმის მიხედვითაც ირკვევა, რომ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ აბულასანისათვის ჩამოერთმევიათ საგვარეულო სამფლობელო რუსთავის პროვინცია, რომელიც თამარმა ერთგულ მოხელეებს გადასცა.

დამატებით კიდევ ერთი შენიშვნა. მემატიანე აღნიშნავს რა აჯანყების ინიციატორის თანამდებობას—„მეჭურჭლეთა-უზუცესის ნაცვალი“, იქვე უმატებს, რომ იგი იყოთ „ბარბაროზი“. აქაც არის გულისხმობა იმავე აბულასან რუსთავის მფლობელისა, ერთ ძველ აგიოგრაფიულ ძეგლთან (—დავ. გარესჯელის ცხოვრებასთან) შეფარდებით; აქაც რუსთავის მფლობელს მიემართება იგივე ეპითეთი—ბარბაროზი: „ბარბაროზი ნათესავი ადგილთაგან რუსთავისათა“. (იხ. ტფ. უნივერსიტეტის, ყოფ. საეკლ. მუზეუმის ხელნაწერი, № 199, გვ. 159).

მოგვყავს აქ უცვლელად თითონ ტექსტი ამ წარწერისა: (იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემა, *AM*, IV, გვ. 150):

„სანდლითა ოდენ ქრისტიანე, ხოლო საქმითა გოვლად უშიში ღმერთისაჲსა და მისი ბასილი, ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსს ყოფილი, ძე კეთილმეტყველისაჲსა, უნდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ გულსმოდგინებით მსასთებელი შენი, ცეებრსა ამას გიმკობ საყდარ-სართულსა---ათორმეტ თავად აღრიცხულსა დასსა მოციქულთასა თანა-მოსადრწო და სწორთა ანდრია ხმევით. ხოლო ვაშენე ნაცვალსაგებლად ჩემთვისა და საყუარელისა ძმისა ჩემისა, ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა-ამირისა, რუსთავეისა და შვიდთა მთეულეთა პატრიარქისა აბულასანისათვის...“

საიდანა სჩანს ამ წარწერიდან, რომ „ბასილი ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსს ყოფილი“—კათოლიკოზი იყო?! რასაკვირველია არსაიდან. ჩვენ გვიკვირს, რომ ასეთ დასკვნას აკეთებს კორნ. კეკელიძე, რომელიც საეკლესიო საკითხების დიდ სპეციალისტად ითვლება. მაგრამ, როგორც ერთი გერმანული ანდაზა ამბობს—„სურვილი არის მამა აზრისა“. ჩვენი თეორიის გაბათილების „სურვილმა“ კ. კეკელიძეს არა ერთი და ორი შემცდარი „აზრი“ წარმოათქმევინა.

ყველა ვინც ახლო იცნობს ისტორიულ პირველ-წყაროებს, მისთვის რასაკვირველია ცხადია, რომ „ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი“, მოხსენებული ამ წარწერაში, არ შეიძლება იყოს „ქართლისა კათოლიკოზი“; საქართველოს ეკლესიის მეთაური, როგორც ამას ადასტურებს ყველა ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები, მე-12-13 საუკუნეებში იწოდებოდა არა მარტივად „მთავარ-ეპისკოპოსი“, არამედ მას ყოველთვის ერთვის ტიტული „კათოლიკოზი“, ან „კათალიკოზ-პატრიარქი“, ან „კათალიკოზი და მამათმთავარი“¹⁾.

რაც შეეხება „ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსს“, იგი იყო არა კათოლიკოზი, არამედ ასე იწოდებოდა სამთავროს არქიელს. რომ მე-12—13 საუკუნეებში „ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი“ სხვა იყო, და კათოლიკოზი სხვა, ეს ცხადია ჯერ თუნდ იმ უბრალო ფაქტიდან, რომ ჩვენამდე მოღწეულ საბუთებს ხელს აწერს ჯერ კათოლიკოზი, ხოლო შემდეგ „ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი“.

იხ. შავ. თაქარის დროის სიგელი (1190—1207 წლებსა), რომელსაც ხელს აწერენ: კათოლიკოზი თეოდორე და ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი გიორგი²⁾; სიგელი 1218—1227 წლ. რომელსაც ხელს აწერენ: კათალიკოზი არსენ და ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი საბა³⁾; რკონის სიგელი 1259 წლისა, მღვდლოწერილი კათოლიკოზის ნიკოლოზისა და ქართლის მთავარ-ეპისკოპოსის გიორგისა⁴⁾.—იხ. აგრეთვე სიგელი 1227—1230 და 1236—1257 წლებსა⁵⁾.

ყოველივე ეს კარგად იცის თვით კ. კეკელიძემ, და ჩვენ გვიკვირს, რა საჭირო იყო ფაქტების ასეთი ტენდენციური გაშუქება, და „ბასილი ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსის“ გამოცხადება კათალიკოზად (—ისიც დამატებით: „თუ ის მართლა კათოლიკოზი იყო“. sic!)

¹⁾ ტიტულატურა: „კათოლიკოზი და პატრიარქი“—მულქისედეკის და რკინის სიგელებში (იხ. ქრონიკები, II, გვ. 31, 142); „კათოლიკოზი და მამათმთავარი“—რუს-ურბნისის ძეგლის-წერაში (ქრონიკები, II, 62, 70); „კათოლიკოზი“—დანარჩენ დოკუმენტებში (—ქრონიკები, I, გვ. 205, ისტორ. სობ. შიო-მღვიმისა, გვ. 12, 16, 23, 24 და სხვ.)

²⁾ იატ. საბ. შიო-მღვიმისა, გვ. 24.

³⁾ ქრონიკები, II, გვ. 96.—⁴⁾ იქვე, გვ. 128.—⁵⁾ იქვე გვ. 101, 143.

ამრიგად კ. კეკელიძის ეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მან სცადა ჩვენი ქრონოლოგიის შეცვლა, უბრალო გაუგებრობაზე უფრო დამყარებული. მაგრამ განვაგრძოთ ძიება ქვევით. ჩვენ გვაქვს საშუალება, სწავრობოლოვებით გამოვარკვიოთ, თუ როდის არის აგებული ეს ეკლესია, რომელზედაც დაცულია „ბასილი ქართლისა მთავარ-ეპისკოპოს ყოფილის“ წარწერა. აქ ჩვენ გვაქვს ორი გარკვეული ჩვენება:

1. ჯერ ერთი; წარწერის ამოჭრის დროს აბულასან ჯერ კიდევ არ ყოფილა მექურქლეთ-უხუცესი, არამედ ამირათა-ამირა, ე. ი. მექურქლეთ-უხუცესის მოადგილე. ხოლო ამ თანამდებობაზე აბულასანი მოიხსენება თამარის მატიანეში ორ-გზის: 1) 1184—5 წლებში—როცა სწყდებოდა გიორგი რუსის მოწვევა; 2) 1187 წლის უახლოეს ხანებში, როცა გიორგი რუსის განდევნის შემდეგ აბულასანი პირველად საიდუმლოდ შეხვედრია გიორგი რუსს (იხ. თამარის I მატიანე, გვ. 415, 434; და შეუდ. ზევით, გვ. 206—208). აბულასანს მექურქლეთ-უხუცესობა ამის შემდეგ მიუღია, სახელდობ, როგორც გვიჩვენა ისტორიულ მოვლენათა თანამიმდევრობამ, 1189—1190 წლების საზღვარზე, ვიდრე აჯანყება ფაქტიურად მოეწყობოდა. ამის მიხედვით ეს წარწერა ამოჭრილია თამარის მეფობის დასაწყისში, 1184—1190 წლებს შორის, არა უგვიანეს 1189—1190 წლებისა, რა ხნის განმავლობაში აბულასანს ეჭირა ეს თანამდებობა ამირათა-ამირასი;

2. მაგრამ შესაძლოა თარიღის უფრო ნიშანდობლივ განსაზღვრა. რაკი ეს ეკლესია აუგია აბულასანის ოჯახს, რომელიც იყო ინიციატორი გიორგი რუსის მოწვევისა, უნებლიეთ იბადება მოსაზრება, რომ არ არის თვით ამ ეკლესიის აგებაც გიორგი რუსის მოწვევასთან დაკავშირებული. და როგორც ირკვევა, ეს მართლაც ასე ყოფილა. არქეოლოგს ექვთ. თაყაიშვილს ამ ეკლესიის აღწერის დროს აღნიშნული აქვს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი: სახელდობ, ამ ეკლესიის ორ საკურთხეველსაგან ერთი ყოფილა აგებული გიორგის სახელზე, ხოლო მეორე ანდრიას სახელზე¹⁾. როგორც ვხედავთ, აქ არის სახელების საგულისხმო იგივეობა. რუს ბატონიშვილს, თამარის საქმროს, გიორგი ერქვა, ხოლო ანდრია ეს იყო მისი მამის სახელი. (—გიორგი რუსი, როგორც ცნობილია, იყო შვილი ანდრია ბოგოლიუბსკისა).

ეს მეორე ნიშანდობლივი ჩვენება მაშასადამე შეიცავს გარკვეულს დასათარიღებელ ცნობას, რომ ეს ეკლესია აბულასანსა და მის ძმას ბასილის აუგიათ გიორგი რუსის მოწვევის დროს, 1185 წლის ახლო, გიორგი რუსის გამეფების აღსანიშნავად, როცა აბულასანი ბრწყინვალე მომავალის მოლოდინში იყო, „წყალობასა და განუებას“ მოელოდა საქართველოს ახალი მფლობელისაგან. აქ ჩვენ გვაქვს პოლიტიკური მლიქვნელობის ჩვეულებრივი ნიმუში, როცა თვით ეკლესიის საკურთხეველები მათ შეუწირავთ ახალი მფლობელის ოჯახის წევრთა სახელზე, თითონ გიორგისა, და მისი მამის ანდრიას თვის.

ჩვენ ამით შეგვიძლია დავასრულოთ განხილვა კ. კეკელიძის მოსაზრებისა აბულასანის მოღვაწეობის ქრონოლოგიის შესახებ. როგორც გამოირკვა, ეს მოსაზრება უბრალო გაუგებრობაზე უფრო დამყარებული და სრულებით ეწინააღმ-

1) იხ. ექვთ. თაყაიშვილი, *AM*, IV, გვ. 145.

დევება თამარის ეპოქის ისტორიულ მოვლენათა თანამიმდევრობას. კ. კეკელიძის ინტერპრეტაცია თავდაყირა აყენებს არა მარტო ჩვენს რუსთველიანას, არამედ საერთოდ მთელს ქართულს ისტორიას თამარის ეპოქისა. კ. კეკელიძის ინტერპრეტაციით გამოდიოდა, რომ გიორგი რუსის მონწივე და მისი დასის მეთაური აბულასანი — ვიდრე აჯანყებას მოაწყობდა, ამირთა-ამირა იყო, ხოლო აჯანყების შემდეგ ვითომც იწყება მისი დაწინაურება, მას ამის შემდეგ მიუბოძებენ ვაზირის („მეჭურჭლეთ-უხუცესის“) თანამდებობას და სხვა... როგორც ვხედავთ აქ სრული ნონსენსია. რასაკვირველია არაფერს ამის მსგავსს არ შეიძლებაოდა ჰქონოდა ადგილი და არცა ჰქონია. აბულასანის მოღვაწეობა ეკუთვნის თამარის მეფობის დასაწყის ხანას (1184—1190 წ.), და პოლიტიკური კარიერა ამ ერთ დროს უძლიერესი ფეოდალისა დასრულდა გიორგი რუსის აჯანყებით; ამას ადასტურებს გარკვეული ჩვენებანი თამარის პირველი მატეანისა, რომელიც თვით თამარის სიცოცხლეშია დაწერილი. ამ აჯანყების შემდეგ (1190—1191 წ.), აბულასანი პოლიტიკურად მოკვდა და მისი საგვარეულო სამფლობელო („საპატრონო“) რუსთავის პროვინცია გადაუციათ სხვა პირთათვის. აბულასანი ამის შემდეგ სრულიად ჰქრება პოლიტიკური ასპარეზიდან და 1190—1191 წლებიდან მოკიდებული საისტორიო წყაროები მის შესახებ აღარავითარ ცნობას აღარ გადმოგვცემენ. (იხ. თამარის I, II, და III მატეანენი და ჟამთა-აღმწერელი).

განვაგრძოთ ამის შემდეგ ძიება ქვევით.

როგორც ვნახეთ აბულასანის დაცემის შემდეგ, 1190—1191 წლებში, მისი საგვარეულო სამფლობელო — რუსთავის პროვინცია ორად გაჰყვეს; საკუთრივ რუსთავის თემის — გამგეობა მიანდევს ზაქარია მხარგრძელს, ხოლო ეინვანის თემის გამგეობა — ჭიაბერს.

რომ აქ ადგილი ჰქონდა მხოლოდ საგანგებოდ გადაცემას, და არა სამფლობელო მამულად ბოძებას, ამას გვიჩვენებს ჭიაბერის სიგელი 1190—1191 წლებისა, რომელზედაც ჭეშმოდ გვექნება საუბარი. ჭიაბერს ეინვანის თემში შეუწირავს ერთი კომლი ყმა შიო-მღვიმის მონასტრისათვის. ამისთვის მას დასპირდება საგანგებო ნებართვა ანუ მეფის თამარისაგან. „ეკვადრე და მოვანსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა-მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა“ — მოვანდინე ეს შეწირულებაო, სწერს ჭიაბერი. თუ კი ეს ნაწილი რუსთავის პროვინციისა სამფლობელო სამამულოდ ჰქონოდა გადაცემული ჭიაბერს, მაშინ ასეთი საგანგებო ნებართვის აღება მეფისაგან საჭირო არ იყო. ამას ადასტურებს საისტორიო საბუთების შედარებითი ანალიზი.

ამის შემდეგ რუსთავის პროვინცია დიდ-ხანს არ დარჩენილა მხარგრძელისა და ჭიაბერის გამგეობაში. საქართველოს ერთ-ერთ გავლენიან ფეოდალს — ჰერეთის ერისთავთა გვარეულობის უხუცესს წარმომადგენელს (— შთამომავლობით ჰერეთის ბაგრატიონს) — ასათ გრიგოლის ძეს გამოუთხოვია თამარისაგან, რომ მისთვის გადაეცათ „არიშიანისა ადგილი“ — რუსთავის პროვინცია, რომელიც ძველად ჰერეთის ქვეყნის ნაწილს შეადგენდა და მისი ბუნებრივი სანაპირო იყო. თამარს ეს თხოვნა — „აჯა“ — დაუკმაყოფილებია, მიუბოძებია იგი სამფლობელოდ, და ამის შემდეგ ჰერეთის ერისთავთა გვარეულობა დამკვიდრებულია „არიშიანისა ადგილსა, სასთაულითა“.

როდის მოხდა ეს ამბავი?

კ. კეკელიძე ჰტიქრობს რომ ჰერეთის ერისთავთა გვარეულობისათვის რუსთავის სამფლობელოს ეს გადაცემა მოხდა არა 1190—1191 წლებში შემდეგ, არამედ ადრე, თამარის მეფობის პირველ წლებში, 1184—1185 წლებში კეკელიძე აქ იმორწმებს მათიანის 411 გვერდს.

კ. კეკელიძე სჩანს შეცდომაში შეუყვანია იმ გარემოებას, რომ ისტორიკოსს ეს ამბავი მოთხრობილი აქვს მათიანის პირველ განყოფილებაში. მაგრამ საკმაო ახლო გავიცნოთ მათიანის მთელი ტექსტი, რათა დავრწმუნდეთ, რომ მათიანის სწორედ იმ ნაწილში, რომელსაც უჩვენებს კორნ. კეკელიძე, ისტორიკოსს გადმოცემული აქვს თამარის მეფობის მთლიანი მიმოხილვა, და ამასთან ისეთის დეტალებით, რომ შესაძლოა თარიღის ზედმიწევნით გამორკვევა.

მივმართოთ მათიანის აღნიშნულ ნაწილს და ავილოთ კონტექსტი მთლიანად. მათიანის 410—411 გვერდზე მოყვანილია ერისთავთა სრული სია, სადაც ჩვენ გვხვდება ცნობა ასათ გრიგოლის-ძის შესახებ.

ეს ერისთავთა სია მათიანეში იწყება ასეთის შესავალი ფრაზით: „ხოლო ერისთავნი მის უამისანი (ე. ი. თამარის დროისა) შემდეგნი იყვნეს“. შემდეგ ჩამოთვლილია ერისთავნი, და როდესაც რიგი მივა ჰერეთის ერისთავზე, აქ სწერია: „და ჰერეთის ერისთავად გრიგოლის ძე ასათ, რომელმან მისტაცა მძლავრებით საღირ კოლონკელის-ძესა; და მცირედ-უამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანისა ადგილსა დაჯდომა სახთაულითა, და ხელთ-უდვა შვილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთავთა“. (ე. ი. ჰერეთის ერისთავად იყო ასათ გრიგოლის ძე, რომელმაც მძლავრობით წაართვა ეს თანამდებობა საღირ კოლონკელისძესო¹; მცირედ-უამ ასათი ჰერეთის ერისთავად იყო, ხოლო შემდეგ ასათმა „იაჯა“—გამოითხოვა მეფისაგან „არიშიანისა ადგილი“—რუსთავის სამფლობელო, ხოლო ჰერეთის ერისთავის თანამდებობა თავის შვილს გრიგოლს გადასცა).—თამარის დროინდელ ერისთავების ეს სია და თამარის წყალობათა აღრიცხვა დასრულებულია მათიანეში ასეთის დასკვნით: „გადიდებულდეს აზნაურნი და გაბელმწიფდეს დიდებულნი, მეფობასა შინა ამისსა, რომელი აწ ჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევთა უამთა თამარ სამგზის ხანატრელისათა“. (იხ. თამარის მათიანე 410—411).

ამ რიგად მემათიანეს ეს ადგილი—როგორც ეს უკვე კარგად ცნობილია საისტორიო მეცნიერებაში—დაუწერია „ათერთმეტთა მოქცევთა უამთა თამარის მეფობისა“, როცა დასრულდა თამარის მეფობის მეთერთმეტე ინდიქტიონი („მოქცევი“)—მეთერთმეტე წელი, ე. ი. 1195—1196 წელს. ამ სიაში მოთხრობილია თუ ვინ იყვნენ ერისთავნი „მის უამისანი“—ე. ი. თამარის დროისანი, და აქ არაა ნაჩვენები თუ ვინ როდის მიიღო ერისთავობა. ამ სიის მიხედვით გამოდინარეობს მხოლოდ ერთად-ერთი დასკვნა—რომ ამ ერისთავებს სკერიათ აღნიშნული თანამდებობანი მე-11 წელს თამარის მეფობისა, ე. ი. 1195—1196 წლ.

რაკი ამ რიგად ჰერეთის ერისთავთა გვარეულობას 1195—1196 წლებში

¹) კოლონკელისძეთა და ჰერეთის ბაგრატიონთა მეტოქეობის შესახებ იხ. რუსთველიანი, I, გვ. 248—256.



სჭერიათ როგორც ჰერეთის საერისთაო, ისე „არიშიანისა ადგილი“ — რუსთავის სამფლობელო, ამის შემდეგ გამოსარკვევია, თუ როდის გადაეცა მათ ეს რუსთავის პროვინცია. ეს თავისთავად ცხადია რუსთავის მფლობელთა შემოქმედებით ნილი რიგის მიხედვით. მართლაც, როგორც გამორკვეული გვქონდა, რუსთავის ქვეყანა ეს იყო „საპატრონო“ — საგვარეულო სამფლობელო აბულასან მთავრისა, რომელიც ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა თამარის მეფობის დასაწყისში, (1184—1190), ვიდრე იგი სახელმწიფო ღალატში არ გაერია. ხოლო აბულასანის დაცემის შემდეგ, აჯანყების დამარცხებისათვის, 1190—1191 წლებში, აბულასანის ეს საგვარეულო სამფლობელო — რუსთავის პროვინცია გადაუციპთ საგანმგებოდ ზაქარია მხარცელისა და ჭიაბერისათვის.

მაშასადამე ჰერეთის ერისთავთა გვარეულობას შეუძლებელია მიეღო რუსთავის პროვინცია 1191 წელზე უადრეს. ხოლო რაკი მეორეს მხრით ზემოთგანხილული ერისთავთა სია გვიჩვენებს, რომ 1195—1196 წლებში რუსთავის პროვინცია უკვე ჰერეთის ერისთავთა გვარეულობის ხელში ყოფილა, აქედან ცხადია, — რუსთავის სამფლობელოს გამოთხოვა თამარისაგან ჰერეთის ბაგრატიონთა მიერ ნომხდარა 1191—1196 წლებს შორის.

ასეთია ის დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობს ისტორიული წყაროების ანალიზიდან.

საკითხავაა ამის შემდეგ, რა დრომდე დარჩა რუსთავის სამფლობელო ჰერეთის ბაგრატიონთა ხელში. რაკი 1191—1196 წლებიდან დაწყებული ვიდრე მე-13 საუკუნის ნამეგრამდე არ ჰქონია ადგილი ისეთ შემთხვევებს, აჯანყებას ან ღალატს, რასაც შესაძლოა გამოეწვია სამფლობელოების ჩამორთმევა, ამის გამო თავისთავად საფიქრებელი იყო, რომ რუსთავის სამფლობელო ამ ხნის განმავლობაში ჰერეთის ერისთავთა ხელში იმყოფებოდა. ეს ნით უფრო, — რომ ჰერეთის ერისთავთა გვარეულობა ამ დროს, როგორც ირკვევა მატთანებიდან, დაახლოვებული იყო სამეფო კართან და ახლო მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში. და რომ ეს მართლაც ასე ყოფილა, ამას ადასტურებს მეორე ქართველი ისტორიკოსი — „ეპითა-ალმწერელი“, რომლის ცნობის თანახმად, ჰერეთ-კახეთის სადროშოს ფარგლებში მე-13 საუკუნის ნახევარში მოთავსებული ყოფილა ტერიტორია, რომელიც იწყებოდა „ტფილისითგან აღმართ“, ე. ი. რუსთავის სამფლობელოს ჩართვით. (იხ. ეპითა-ალმწერელი გვ. 623, შეუდარე „რუსთველიანა“, გვ. 177—178).¹⁾

1) კითხვა გამორკვეულად ჩაითვლება, და ამიტომ ჩვენ აქ აღარ შევჩერდით დანარჩენ ისტორიულ რეალიებზე, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ აქ წარმოდგენილ ისტორიულ მიმოხილვას.

დაგვრჩენია მხოლოდ აღუნიშნათ, რომ კ. კეკელიძის ქრონოლოგია მთლიანად აღებული წარმოდგენს წინააღმდეგობათა ნამდვილ კვანძს; თუ კ. კეკელიძის ქრონოლოგია გამართლებულიყო, მაშინ გაუგებარი ხდებოდა, თუ რით იყო გამოწვეული რუსთავის სამფლობელოს ხელიდან ხელში გადასვლა. მართლაც საგვარეულო სამფლობელოების ჩამორთმევა მფლობელი მთავრებისათვის ეს ხომ განსაკუთრებული პოლიტიკური აქტი იყო, და მას იწვევდა რაიმე ექსტრაორდინარული მიზეზები, ღალატი თუ სხვა; ხოლო კ. კეკელიძის ქრონოლოგიით გამოდიოდა სრულიად უმიზეზო მოგზაურობა რუსთავისა ხელიდან ხელში, ჯერ ვითომც იგი ჰერეთის



ჩვენ ამაზე დავასრულებთ ამ ისტორიულ ექსკურსს. პირველ წყაროების ანალიზით მაშასადამე ირკვევა, რომ რუსთავის პროვინცია 1191-1196 წლებს შორის ჰერეთის ერისთავთა გვარეულობის ხელში გადასულა და იმ დარჩენილა მათს მფლობელობაში ვიდრე მე-13 საუკუნის ნახევრამდე.

ამ-რივად იხსნება ის ერთად-ერთი მთავარი მოსაზრება, რომელიც კ. კეკელიძემ წარმოადგინა ჩვენი გამოკვლევის ამ ნაწილის წინააღმდეგ. ეს მოსაზრება, როგორც გამოიჩვენა, უბრალო გაუგებრობაზე უფილა დანყარებული.

* *

სხვა მოსაზრებანი კ. კეკელიძისა ჩვენი გამოკვლევის მეოთხე თავის შესახებ არსებითად უმნიშვნელონია და აქ საკმაოა დაეკმაყოფილდეთ რამდენიმე განმარტებით.

1. რისთვის ეწოდებოდა შოთას „რუსთველი“, და არა „გიშელი“, როდესაც ჰერეთის სატახტო ციხე-ქალაქის სახელი იყო გიში, ხოლო რუსთავი შედარებით პატარა და შემთხვევითი პროვინცია იყო ჰერეთის სამთავროისა. ამაზე საჭიროა შევნიშნოთ:

მართალია გიში ჰერეთის საერისთავოს ცენტრად ითვლებოდა, მაგრამ რუსთავიც შეტად მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი და სამფლობელო რეზიდენცია იყო; ვიდრე რუსთავი ჰერეთის ბაგრატიონთა ხელში გადავიდოდა, აქ როგორც ვნახეთ რეზიდენცია ჰქონდა ისეთს ძლიერს მთავარს (— აბულასანს), რომელიც საქართველოს სახელმწიფო საქმეებში გადამწყვეტს როლს თამაშობდა. კლასიკურ ეპოქაში საქართველოში სულ თოთხმეტი მთავარი პუნქტი ნიიხსენება, რომლებიც ქალაქის სახელს იტარებენ, და მათ შორის იყო რუსთავიც ¹⁾;

ეს რაც შეეხება კ. კეკელიძის შენიშვნას რუსთავის მნიშვნელობის შესახებ.

ხოლო მთავარი გარემოება აქ შემდეგია: შოთას, ვეფხისტყაოსნის დაწერის დროს არ ეწოდებოდა „გიშელი“ ან „ჰერეთის ერისთავი“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შოთას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ჰერეთის ერისთავის ხარისხი. „რუსთველიანაში“ გამორკვეულია, რომ შოთა, ვიდრე იგი გახდებოდა მთელი ჰერეთის საერისთავოს განმგებელად (— შოთას მამის გრიგოლ

ბაგრატიონებს ეკუთვნოდა, ხოლო სწორედ იმ დროს, როცა ჰერეთის ბაგრატიონები განსაკუთრებითა დაწინაურდენ სამეფო კარზე 1187—1195 წლებში (— იხ. თამარის I მატეიანე, გვ. 421—422, 460), ვითომც სწორედ ამ დროს ჩამთართვეს მათ რუსთავის... მაგრამ ეს ცოტა; იმავე წლებში, როცა რუსთავის პროვინცია ჰერეთის ბაგრატიონებს ეკუთვნოდა, მაწილი ამ პროვინციისა - ვინჯახის თემი— არა სჩანს რა მიზეზით— ეითომც ჭიბჭიის ხელში იყო; უფრო გვიან მეორე ნაწილი— რუსთავის თემი— აგრეთვე არა სჩანს რა პირობებში ვითომც საქარია მხარგრძელს გადაეცა და ბოლოს კი, რაც გამსაკუთრებით კუთრიაზულია, რუსთავის პროვინცია ვითომც მიეზიძეს აბულასანს, და ეს იმის შემდეგ, რაც მან სახელმწიფო დღაღტში მონაწილეობა მიიღო... როცა ვხედავთ, აქ რამდენიმე დებულებაა, იმდენი შინაგანი წინააღმდეგობაა და კითხვათი ნიშანი.

რუსთავის მფლობელთა თანდათანო წეცვლა გასაგები ვადა მხოლოდ ჩვენის ერომლოგიით, მას შემდეგ, რაც აღვაფყანეთ ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობა, საისტორიო პირველ-წყაროთა თანაზმად.

¹⁾ იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, II გვ. 282—336; გამსაკუთრებითა გვ. 307.

ჰერეთის ერისთავის გარდაცვალების შემდეგ), უფრო აღრე, თამარის დროს, შოთა ყოფილა ჰერეთის სამთავროს ერთი ნაწილის — რუსთავის მფლობელი. ეს მტკიცდება რუსთავის პროვინციის შემადგენელი თემის — ეინეანის სიგელის ანალიზიდან, რომელიც ხელმოწერილია თვით შოთას მიერ, დეკანოზის წყალობით (იხ. რუსთველიანა, I, გვ. 183--188). შოთაზე შემკვიდრუბით გადავიდა ჰერეთის ერისთავობა თამარის გარდაცვალების კარგა ხნის შემდეგ, როცა შოთა უკვე ხანში შესული იყო, ყოველ შემთხვევაში თათმეტო-ოცი წლით გვიან ვეფხისტყაოსნის დაწერისა (იხ. ქართლის ცხოვრება, რუსუდანის ნეფობის აღწერილობა „ჟამთა-აღმწერელ-ში“, გვ. 600, 634, 641; შეუდ. რუსთველიანა, I, 323).

აი აქ არის სწორედ ყველაზე საგულისხმო ნაწილი ჩვენი ისტორიული ანალიზისა, სადაც სხვა-და-სხვა წყაროებიდან წარმოებული გამოკვლევა ერთსა და იმავე დასკვნას იძლევა, და რასაც კ. კეკელიძემ უყურადღებოდ ჩაუარა. **შოთას მიუღია სახელწოდება „რუსთველი“ მისი პირველი სამფლობელო რეზიდენციიდან — რუსთავის თემიდან.** სტეფანოს ორბელიანის ჩვენება ერთის მხრით, და ქართული საისტორიო წყაროების განხილვა მეორეს მხრით ადასტურებს, რომ ქართველ დიდებულთა გვარის წარმომადგენლები ღებულობდნენ სახელწოდებას ნათი სამფლობელო რეზიდენციებიდან, სადაც ისინი აყვანილ იქნნენ მფლობელი მთავრის ხარისხში.

2. კ. კეკელიძე აკეთებს აგრეთვე შემდეგ შენიშვნას: შოთა, მას შემდეგ რაც მან მისი სამფლობელოდან — რუსთველის სახელწოდება მიიღო, ხომ საქართველოდან განდევნეს, იგი უცხოეთში იყო ყარიბად, უცხოეთში მოგზაურობდა, და როგორ მოხდა, რომ იგი ამის შემდეგაც „რუსთველის“ სახელს ატარებდაო. ყველა სპეციალისტისთვის რასაკვირველია ცხადია, ან შენიშვნის სრული უსაფუძვლობა.

მოვიგონოთ მავალითად თუნდ შემდეგი შემთხვევა. — ბაღვაშთა გვარეულობა, რომელნიც ორბეთის სამფლობელოს მიხედვით — ორბელეზად იწოდებოდნენ, თამარის მამამ გიორგი მე-III-ემ საგანგებოდ დასაჯა ლალატასათვის, და სამფლობელო ორბეთიც ჩამოართვა; ნაწილი ბაღვაშთა უცხოეთში გარდაიხვეწა, მაგრამ, როგორც ეს კარგად ცნობილია, — ბაღვაშნი, მიუხედავად ამისა, ისევ ორბელეზად იწოდებოდნენ, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში. — ან კიდევ უფრო მეტიც: თმოგველებმა (თმოგვის მფლობელებმა) მე-14 საუკუნის ნახევარში დასტოვეს თმოგვი; შემდეგ მათ სამფლობელოდ ჰქონდათ უჯარმა, და ფაენა; მაგრამ მიუხედავად ამისა, ორი საუკუნის განმავლობაში მათ მაინც არ მოუხსნიათ სახელწოდება „თმოგველი“, თუმცა თმოგვის სამფლობელოსთან მათ უკვე აღარავითარი კავშირი აღარა ჰქონდათ.

შოთას შესახებ კი, არაფერს ამის მაგვარს ადგილი არა ჰქონია;

მართალია, შოთა, რუსთავის განმგებლობის შემდეგ, უცხოეთში წავიდა, მაგრამ რუსთავის სამფლობელო არ ჩამოურთნევიათ მისი გვარეულობისათვის. — ამას ადასტურებს ჟამთა-აღმწერელის ცნობა, რომლის მიხედვითაც რუსთავის

პროფინცია მე-13 საუკუნის ნახევრამდე ჰერეთის საერისთავოს ნაწილს შეადგენდა¹⁾.—შოთას ამის გამო ჰქონდა სრული უფლება ეტარებინა სხვაგვარეულო სამფლობელოდან მიღებული საბელი „რუსთველი“, რაკ^{რუსთველი} მფლობელობა ისევ მისი ოჯახის ხელში დარჩენილა.

უფრო მეტიც. შოთას არც შეეძლო ეტარებინა სხვა სახელი გარდა „რუსთველისა“, რამდენადაც ეს სახელწოდება მისი დიდგვარიანობის აღმნიშვნელი იყო; ეს სახელწოდება მან მიიღო მისი პირველი სამფლობელო რეზიდენციიდან მთავრის ხარისხში აყვანის დროს. შოთას შეეძლო აღენიშნა თავისი სახელწოდება ან უბრალოდ—„შოთა“, ე. ი. როგორც მდაბიოს, უგვაროს, სამფლობელო აღგილის მოუხსენებლად, ან „შოთა რუსთველი“, რაც მისი მთავრის ღირსების მაჩვენებელი იყო.

შოთას ეს სახელწოდება „რუსთველი“ შეეძლო შეეცვალა „ჰერეთის ერისთავოს“ სახელწოდებაზე მხოლოდ მას შემდეგ, როცა გარდაიცვალა შოთას მამა გრივოლ ერისთავი, და ამ რიგად შოთაზე გადავიდა მემკვიდრეობით მთელი ჰერეთის ერისთავობა; მაგრამ, როგორც გამორკვეული იყო, ეს მოხდა თამარის ეპოქის კარგა ხნის შემდეგ; აქ კი ჩვენ ვხვდებით თამარის ეპოქას, როცა დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“.

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა. ცხადია, შოთა აფასებდა სახელწოდებას „რუსთველი“, არა მარტო იმიტომ, რომ იგი მთავრის ღირსებას აღმნიშვნელი იყო, არამედ სხვა მხრივაც: საქმე ის არის, რომ შოთას,—ეს სახელწოდება „რუსთველი“ დამკვიდრებული ჰქონდა არა მარტო როგორც დიდგვარიან მთავარს, არამედ როგორც პოეტს, და ეს უფრო ადრე, ვიდრე შოთა უცხოეთში წავიდოდა, და ვიდრე ვეფხისტყაოსანი დაიწერებოდა;

მართლაც, ვეფხისტყაოსნის პროლოგიდან ირკვევა, (—ამის შესახებ იხ. რუსთველიანა, I, 283—295), რომ შოთას, უცხოეთში გარდახვეწის ადრე, ე. ი. როცა რუსთაველი იმყოფებოდა, გამოქვეყნებული ჰქონია პოეტური ნაწარმოები „ქებანი“.—მაგრამ ირკვევა ანაზე მეტიც; როგორც ამას გვიჩვენებს შოთას იკონოგრაფიის შესწავლა ერთის მხრით, ხოლო შოთას ars poetica-ს ანალიზი მეორე მხრით, შოთა საქართველოდან წასვლის წინ არა მარტო სახელ-მოხვეჭილი პოეტი ყოფილა, არამედ იგი პოეტთა „სეფეს“ (პოეტთა მეფის) პატივით უნდა ყოფილიყო მოსილი. (იხ. რუსთველიანა, I, გვ. 367—373).

საკითხი ამოწურულად მიგვაჩნია. შოთას, როგორც ვხედავთ, არ შეეძლო ეტარებინა სხვა სახელწოდება გარდა რუსთველისა, და სხვა რიგად მოეწერა ვეფხისტყაოსნისათვის ხელი, რადგან ჯერ ერთი—„რუსთველი“ ეს იყო სახელწოდება, მიღებული მის მიერ—საგვარეულო სამფლობელოდან, და ამას გარდა „რუსთველი“ ეს იყო ის სახელი, რომელიც მას უფრო ადრე დამკვიდრებული ჰქონდა პოეზიაში.

* * *

3. დარჩა კიდევ ერთი საკითხი ჩვენი გამოკვლევის მეოთხე თავის შესახებ. ეს არის ჭიაბერის სიგელის თარიღი.

ბ. კეკელიძე აკეთებს შემდეგს განცხადებას: „პროფ. ივ. ჯავახიშვილმა

¹⁾ იხ. ზევით გვ. 213—214.

დაამტკიცა, რომ ჭიაბერის სიგელი, თუ ნატყუარი არაა, ყოველ შემთხვევაში 1184—1185 წლებზე უგვიანესა არ უნდა იყოსო“ (იხ. გვ. 194¹).

ჯერ ერთი ამ სიგელის „ნატყუარობის“ შესახებ საუბარი ხელმოწერისა და დადგან თვით პროფ. ივ. ჯავახიშვილს ეს სიგელი ნამდვილ ავტენტიკურად მიიჩნია (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ახლად გამოსული სპეციალური ნაშრომი: „ქართული დიპლომატიკა, ანუ სიგელთა-მცოდნეობა“, სადაც მას მთელი რიგი დასკვნებისა სწორედ ამ სიგელზე აქვს დამყარებული: გვ. 29, 98, 102, 117).

პროფ. ივ. ჯავახიშვილის თვით იმ აღრიწდელ ნაშრომშიაც (ქართული პალეოგრაფია, გვ. 175-176), რომელსაც იმოწმებს კ. კეკელიძე, სრულებით არაა საუბარი ამ სიგელის სინამდვილეზე იმ სახით, როგორც ეს შესაძლოა მკითხველმა წარმოიდგინოს კ. კეკელიძის ატყუების მიხედვით. პროფ. ივ. ჯავახიშვილს საკამათოდ აქვს აღიარებული მხოლოდ დათარიღება ამ სიგელისა, ისიც ხუთი წლის ფარგლებში; სხვა მხრივ კი სიგელის სინამდვილის წინააღმდეგ „არავითარი ნიშნები არ მოიპოვებო“ ამბობა პატივცემული მეცნიერი. (იხ. იქვე, გვ. 176).

შემდეგ, პროფ. ივ. ჯავახიშვილი სრულებით არ ამტკიცებს, რომ ეს სიგელი 1184-1185 წლებშია დაწერილი. პირიქით პატივცემული მეცნიერი—ძალიან ფრთხილად გამოსთქვამს თავის მოსაზრებას ამ სახით: „თუ ჩვენ იპოვებთ იმ დარის, მაშინ ჭიაბერის მანდატური-უბუცესობის და ამირსპასალარობის დრო ხანმოკლე უნდა ყოფილიყო, და გარდამავალ ხანაში იქნებოდა მხოლოდ, ე. ი. 1184-5 წ. და ამავე დროს უნდა იყოს მისი შიო-მღვიმის მონასტრისადმი შეწირულების წიგნიც დაწერილი“-ო. (იხ. ქართ. პალეოგრაფია, გვ. 176).

როგორც ვხედავთ, ასე ფრთხილად გამოთქმულს მოსაზრებასა და დამტკიცებას შორის არის განსხვავება.

როგორც ცნობილია, ჭიაბერის სიგელს თარიღი არა აქვს (—ტექსტიდან სჩანს მხოლოდ, რომ იგი თამარ მეფის სიკოცხლეშია დაწერილი—), და ამით აიხსნება აზრთა სხვაობა ამ სიგელის დაწერის წლის შესახებ. გარდა პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, ამ სიგელის თარიღს შეეხო აგრეთვე განსვენებული ისტორიკოსი თ. ფორდანიას, რომელმაც პირველად დაბეჭდა ეს სიგელი და იგი ზოგიერთი ნიშნების მიხედვით 1190 წლის ახლო ხანებს მიაკუთვნა (იხ. შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 21—23).

პრ. ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც „რუსთველიანას“ სათანადო ნაწილი უკვე დაბეჭდილი იყო, და ამიტომ ჩვენ ვხედავთ პირველად გვეძლევა საშუალება შევეხოთ მის მოსაზრებებს ამ საკითხის გამო. საკითხზე შეჩერება მით უფრო საჭიროა, რომ ჭიაბერის სიგელის თარიღს ახლო კავშირი აქვს ჩვენს გამოკვლევასთან.

რა მოსაზრებას დაემყარა პრ. ივ. ჯავახიშვილი, როცა მან ჭიაბერის სიგელის თარიღი 1190—1191 წლებიდან თამარის მეფობის დასაწყისში გადაიტანა. ერთად-ერთი მოსაზრება, რომელიც წარმოადგინა პატივცემულმა მეცნიერმა, არის შემდეგი: ამ საბუთის თითონ ტექსტში შეწირულების ნების-მრთვე-

1) კ. კეკელიძის წერილში დაბეჭდილია 1184—1188 წ., მაგრამ აქ კორექტურული შეცდომებია. ივ. ჯავახიშვილის წიგნში, რომელსაც იმოწმებს კ. კეკელიძე, აღნიშნულია 1184—1185.

ლად მოხსენებული არის მარტო თამარ მეფე; მაშასადამე თამარ ამ დროს არ ყოფილაო გათხოვილი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თამარის ქმარი მოხსენებული იქნებოდაო თითონ სიგელის ტექსტში. (იხ. იმერეთის ქრონიკები, გარეთული პალეოგრაფია გვ. 175).

მაგრამ პატივცემულ მეცნიერს არ მიუღია მხედველობაში ერთი გარემოება. ამავე ეპოქიდან, 1189—1190 წლებიდან, ჩვენამდე მოღწეულა სხვა საბუთიც, სახელდობ გელათური შეწირულობის წიგნი. (ეს საბუთი დაბეჭდილი აქვს თ. ჯორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 72-75). ამ საბუთის თითონ ტექსტში ჭიაბერის სიგელის მსგავსად მოხსენებულია მხოლოდ თამარ.

ხოლო რა დროს ეკუთვნის ეს სიგელი? სიგელს დართული აქვს სამი ხელმოწერა, რომლებიც თანამედროვეა თითონ სიგელის გაცემისა. (მესამე ხელმოწერა შესრულებულია კათალიკოზის მიერ, ხოლო კათალიკოზის ხელმოწერა ხდებოდა სიგელის გაცემის დროს). და აი ამ ხელმოწერათა მიხედვით ირკვევა, რომ თამარ ამ დროს უკვე გათხოვილი ყოფილა დავით სოსლანზე. მეორე ხელრთვა, რომელიც წინ უძღვის კათალიკოზისას, ეკუთვნის დავით სოსლანს.

მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ გელათურ სიგელში დავითი არაა მოხსენებული თითონ სიგელის ტექსტში, სიგელის სწორედ იმ ნაწილში, რომელსაც „სახელდება“ ეწოდება, და სადაც, თანახმად არსებული წესისა, უნდა ყოფილიყო აღნიშნული მეფის სახელი? ერთად-ერთი ახსნა აქ ის არის, რომ დავით 1189—1190 წლებში ახლად იყო მოწვეული თამარის საქმროდ და იგი სჩანს არც თამაშობდა დიდ როლს პირველ ხანებში. საქართველოს ლეგიტიმური მეფე თამარი იყო და არა დავით. ამას გარდა გელათური სიგელიდან ირკვევა ერთი მეტად საგულისხმო ფაქტიც. გელათური სიგელის ხელრთვიდან სჩანს, რომ დავით პირველ ხანებში არც კი ატარებდა მეფის ტიტულს, არამედ ერისთავად იწოდებოდა. (როდის მიანიჭეს დავით სოსლანს მეფის ტიტული, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ისტორიულ მოვლენათა თანამიმდევრობის მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო გიორგი რუსის აჯანყების შემდეგ, ე. ი. 1190—1191-ს, ან მომდევნო წლებში, რადგან ამ აჯანყებამ შეარყია სამეფო ტახტი და დინასტიის მდგომარეობა).

მაგრამ ირკვევა ამაზე მეტიც. გაცილებით უფრო გვიან, სახელდობ 1202 წ. (ე. ი. მე-13 წელს თამარის და დავითის დაქორწინებისა), როცა დავით უკვე მეფის ტიტულს ატარებდა და თამარის თანამფლობელად ითვლებოდა, დაწერილია ცნობილი სიგელი, გაცემული საქართველოს კანცლერის ანტონი ჭყონდიდელის სახელზე¹⁾. აქაც თითონ სიგელის ტექსტში, სამეფო „სახელდებაში“ მოხსენებულია მხოლოდ თამარ²⁾. რაც შეეხება დავითს, იგი „სამეფო სახელდებაში“ არ არის დასახელებული და მხოლოდ ხელრთვაში და მინაწერებში მოიხსენება.

ეს რაც შეეხება სამეფო სიგელებს. ხოლო ჭიაბერის სიგელის საკითხი

1) იხ. ქრონიკები, II, გვ. 79-81.

2) იხ. იქვე, გვ. 81.

უფრო მარტივია. ჭიაბერის სიგელი არ არის სამეფო აქტი, არამედ უბრალო კერძო შეწირულობის წიგნი. ჭიაბერს შიო-მღვიმისათვის შეუწირავს ერთი კომლი გლეხი ქ. თინვანში და ჭიაბერი გადმოგვცემს, რომელიც ამის შესახებ ნებართვა ვახოვეთ თამარს: „მოვახსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა-მეფეთა თამარს და მათითა ბრძანებითა და კითხვითა“ — მოვახდინე ეს შეწირულობაო, — სწერია სიგელში¹. რასაკვირველია აქ სრულებით არ იყო სავალდებულო, რომ ჭიაბერს ამ სიგელში მოეხსენებინა გარდა თამარისა მთელი მისი სახლობაც, და კერძოდ დავით სოსლანი. ეს მით უფრო, რომ არა მარტო ასეთ კერძო აქტში, როგორც არის ჭიაბერის შეწირულობის წიგნი, არამედ თვით სამეფო სიგელებში, რომელიც სამეფო დარბაზიდან გაიცემოდა ხოლნე, აი ასეთ სამეფო სიგელების „სახელდებაში“ — როგორც გამოიჩვენა — აღინიშნებოდა მხოლოდ თამარის სახელი, რადგან ლეგიტიმურის თვალსაზრისით მხოლოდ თამარი ითვლებოდა საქართველოს მემკვიდრე მეფედ.

მაგრამ განვაგრძოთ ძიება ქვევით. ჭიაბერის სიგელიდან შესაძლოა უფრო გარკვეული დასკვნის გამოტანა მისი დაწერის დროის შესახებ. საქმე შემდეგშია. თუმცა სიგელის ტექსტში დავით სოსლანი დასახელებული არაა, მაგრამ სიგელის ერთი ადგილი გარკვევით გვიჩვენებს, რომ თამარს ამ დროს თანამოსაყდრე ჰყოლია, საქართველოს ტახტზე ორი გვირგვინოსანი მჯდარა. სიგელის ბოლოში ჭიაბერი შემდეგი სიტყვებით მიმართავს შიო-მღვიმის კრებულს თავისი შეწირულობის შესახებ: „არა შეგეცვალოს ჩემგან, არცა შემდგომად ჩემსა თინოვნისა მქონებელთაგან, რადგან მე პატრონთა ღმრთისა სწორთა ბრძანებითა და კითხვითა მიქნია; და ვინც რამანც გვარმან კაცმან ხელუოს ამისად წლად და გატეხად, კრულმცა არს“: (—ე. ი. ჩემი შეწირულება მტკიცეა, ნურავინ იკადრებს მის შეცვლას და გატეხას, რადგან ეს შეწირულება მოვახდინეო მეფეთა დასტურის თანახმად, — „პატრონთა ღმრთისა სწორთა ბრძანებითა და კითხვითა“ — ო²). — ტექსტის მნიშვნელობა აქ სრულებით ნათელია. „პატრონი ღმრთისა სწორნი“ (— ასეთი სახელწოდება მხოლოდ მეფეებს მიემართებოდა) — აქ მოხსენებული არიან მრავლობით რიცხვში; ნაშასადამე საქართველოს ტახტზე ამ დროს ორი გვირგვინოსანი ყოფილა; ცხადი ხდება ამის მიხედვით, რომ ჭიაბერის სიგელი დაწერილია თამარის დაქორწინების შემდეგ.

ამ-რიგად ის მოსაზრება, რომელსაც ემყარება ჰიპოთეზი პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, რომ ჭიაბერის სიგელი უნდა ეკუთვნოდესო თამარის გათხოვების ადრინდელ დროს, როგორც ვხედავთ არ მართლდება სიგელის ტექსტის ანალიზიდან.

წავიდეთ ამის შემდეგ ქვევით. დაგვრჩენია გამოეარკვიოთ უფრო ნიშანდობლივ თითონ წელიწადი სიგელის დაწერისა. ჭიაბერის სიგელის შესწავლიდან ჩვენ ვღებულობთ ორს გარკვეულს სინქრონიზმს, რომელთა მიხედვით ეს სიგელი უნდა მიეკუთვნოს 1190—1191 წლებს. აი ეს სინქრონიზმები:

1) იხ. შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 21-23, — რუსთველიანა, I, 183-188,

2) იხ. შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 22.

1. ჩვენ საესებით ვეთანხმებით პროფ. ივ. ჯავახიშვილს, რომ ჭიაბერის დროებით ჰქონია მინდობილი ამირ-სპასალარის თანამდებობა. ეს ცხადია ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი ტექსტის ანალიზიდან გამომდინარეობს. ჭიაბერისათვის დროებით ამ თანამდებობის გადაცემა უნდა მომხდარიყო ამირ-სპასალარის გარდაცვალების, ან გადაყენების გამო, ვიდრე ახალს დაადგენდნენ¹⁾.

მაშასადამე ეს სიგელი შესაძლოა მიეკუთვნოს შემდეგ წლებს: ა. ან 1184—1185 წ. (ამ დროს გადააყენეს ჯერ ყუბასარ, შემდეგ ყუთლუ-არსლან, ხოლო 1185-ს აირჩიეს სარგის მხარგრძელი); ს. ან 1187 წ. (გარდაიცვალა სარგის; მის შემდეგ აირჩიეს გამრეკელ-თორელი); ე. ან 1190—1191 (—გარდაიცვალა გამრეკელ-თორელი, მის შემდეგ აირჩიეს ზაქარია მხარგრძელი).

2. სიგელის ტექსტიდან ცხადია აგრეთვე, რომ ჭიაბერს ეს სიგელი მიუცია მაშინ, როცა მისთვის მეფე თამარს საგანმგებოდ მიუბოძებდა ქ. ღინვანი. ეს კი მოხდა, თამარის პირველი ისტორიკოსის გარკვეული ცნობის თანახმად, 1190—1191 წლებში (იხ. გვ. 444).

მაშასადამე ამ ორი სინქრონიზმის შეხვედრა გვიჩვენებს, რომ სიგელი დაწერილია 1190—1191 წლებს შუა, როცა ჭიაბერს გადაეცა ღინვანი, და როცა იგი, გამრეკელ-თორელის გარდაცვალების გამო, დროებით ასრულებდა ამირ-სპასალარის თანამდებობას.

ამ განმარტებათა შემდეგ ჭიაბერის სიგელის თარიღის საკითხი ამოწურულად უნდა ჩაითვალოს.

* *

ჩვენ დავასრულეთ განხილვა ყველა იმ მისაზრებათა, რომელიც კ. კეკელიძემ წარმოადგინა ჩვენი გამოკვლევის მეოთხე ნაწილის წინააღმდეგ, სადაც გამოკვეთილი გვაქვს, რომ შოთა რუსთველი, ვეფხის-ტყაოსნის ავტორი, — არის იგივე შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, რომელიც თამარის მეფობის შუა წლებში რუსთავის მფლობელად იყო.

ჩვენი გამოკვლევის ეს ნაწილი დამყარებულია არა მარტო იმ დებულებებზე, რომელთაც შეეხო კ. კეკელიძე. დებულებანი, რომელნიც კ. კეკელიძემ საკამათოდ გამოაცხადა, ეს არის ცალკე დეტალები, ხელოვნურად გამოთიშული ჩვენი ანალიზის საერთო მაგისტრალიდან. და როგორც ვნახეთ, ყველა ეს მოსაზრებანი, რომელიც წარმოადგინა კ. კეკელიძემ ჩვენი გამოკვლევის ამ მეოთხე ნაწილის ზოგიერთ კერძო დებულებათა წინააღმდეგ, მოკლებული ყოფილა საფუძველს, და ვერც ერთ ხაზში ვერა სცვლის ჩვენი არგუმენტაციის რკალს.

გადავიდეთ ამის შემდეგ ჩვენი გამოკვლევის მეხუთე და მეექვსე თავზე,

1) ჭიაბერი იყო სამეფო კარის ვაზირი და მას მანდატურთ-უხუცესის თანამდებობა ეჭირა. ხოლო მანდატურთ-უხუცესისა სავაზიროსთან უახლოესად იყო დაკავშირებული სამხედრო (ამირ-სპასალარის) სავაზირო (ის კარის გარიგება, გვ. 19); ამიტომ ბუნებრივია, რომ როცა ეს პოსტი ამირ-სპასალარისა თავისუფლდებოდა, ვიდრე ახალს აირჩევდნენ, ამ თანამდებობას ანდობდნენ მანდატურთ-უხუცესს.

სადაც წარმოდგენილია შოთას ბიოგრაფიის აღდგენის ცდა — მთლიანის სახით. კ. კეკელიძემ ჩვენი გამოკვლევის ამ უკანასკნელი ნაწილიდან სადაოდ გამოაცხადა შოთას მანიქეველობა და მასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხებიც (—სახელდობ: 1. შოთას განდევნა საქართველოდან; 2. შოთას პირველი პოეტური ნაწარმოები „ქებანი“).

აქ ცენტრალური საკითხია შოთას მანიქეველობა. შოთა, როგორც ამას ადასტურებს ერთი საისტორიო ძეგლის — ეამთა-აღმწერლის ანალიზი, და ამასთან დაკავშირებით თითონ ვეფხის-ტყაოსანის შესწავლა, — ყოფილა „მანის ფერი“ (—მანის რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრების აღებტი).

ჩვენი ეს აღმოჩენა, — რომ შოთა მანიქეიზმის მოძღვრებას იზიარებდა, — იძლევა ნამდვილს გასაღებს ვეფხის-ტყაოსნის პრობლემისა. ვიდრე შოთას მანიქეველობა გამოჩვენებული არ იყო, ჩვენთვის აუხსნელი რჩებოდა მთელი რიგი კითხვებისა როგორც ვეფხის-ტყაოსნის, ისე მისი ავტორის შესახებ. შოთას პოემა, როგორც ცნობილია, საუკუნეთა განძავლობაში განიცდიდა დევნას. ამას გარდა თითონ შოთას შესახებ ილორძინების ეპოქის ლიტერატურაში დაცული იყო ტრადიცია, რომ შოთა ქრისტიანობიდან განდვომილი იყო; თვით მე-14 საუკუნემდე არ შეწყვეტილა ბრალდებანი მის წინააღმდეგ, რომ შოთამ „ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა“-ო. უფრო ადრე, მე-14 საუკუნეში, პოემის კომენტატორი ხაზს უსვამს, რომ შოთა „არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად“, ქრისტიანობის დოგმატებს არ იზიარებდაო.

როგორც ამ გადმოცემას, ისე თვით ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის აუხსნელ კითხვებს შუქი მოეფინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოიჩვენა, რომ შოთა მანიქეიზმის ნიმდევარი ყოფილა.

მაგრამ ეს ცოტაა. შოთას მანიქეველობამ მოგვცა გასაღები არა მარტო ვეფხის-ტყაოსნის პრობლემისა, არამედ ამასთან დაკავშირებით აიხსნა ახალი ფურცელი ქართული ჰუმანიზმის ისტორიიდან; ჩვენ საშუალება მოგვცა ახლო გავეცნოთ მე-12-13 საუკუნის საქართველოს კულტურულ გარემოს, რომელშიაც წარმოიშვა ვეფხის-ტყაოსანი. მანიქეიზმი, როგორც ირკვევა საისტორიო წყაროების პრეციზული შესწავლით, არ ყოფილა საქართველოში სპორადული მოვლენა, არამედ გავლენიანი მიმდინარეობა, რომელმაც დაარღვია ამ ეპოქის ქართული აზროვნების ვიწრო სარწმუნოებრივ-კონფესიური განკერძოება. მანიქეიზმის იდეებს იზიარებდა მთელი ორდენი, „რინდები“, თავისუფალ-მოაზროვნეთა წრე, რომლის წინააღმდეგაც კლერიკალური დასი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მე-12—13 საუკუნეებში.

კ. კეკელიძემ ჩვენი გამოკვლევის ეს უკანასკნელი დებულება, როგორც აღვნიშნეთ, სადაოდ გამოაცხადა.

როდესაც საპასუხო წერილის წერა დავიწყეთ, ჩვენ ვფიქრობდით განსაკუთრებით ამომომწურავი ხასიათის განმარტებანი მიგვეცა კერძოდ ამ უკანასკნელი სადაო პუნქტის შესახებ, შოთას მანიქეველობის საკითხზე; თუმცა თავის-



თავად ყველა სპეციალისტისათვის აშკარაა სრული უნიადაგობა იმ მოსაზრება-
თა, რომელიც კორნ. კეკელიძემ წარმოადგინა ამ საკითხის გამო 1).

მაგრამ წერილის პირველი ნაწილი უკვე დაიბეჭდა **ქრისტიანული ნო-
ბიზლიცის**

1) რომ უყურადღებოდ დავტოვოთ მთელი რიგი იმ მიუტყვევებელ შეცდომათა, რომელთაც
წვიტავს კ. კეკელიძის წერილის ეს ნაწილი, საკმაოა მიუთითათ აქ ერთ უბრალო გარემოებაზე-
სახელდობრ, კ. კეკელიძის მსჯელობის მიხედვით ის გამომდინარეობს, რომ მანიქეიზმი ეს იყო
ერთივე ერთ წერტილზე გაყინული მოძღვრება და რომ მას საუკუნეთა განმავლობაში არაფი-
თარი ევოლიუციის გზა არ გაუყვლია. მაგრამ, რასაკვირველია ეს ნონსენსია. ისევე როგორც
ქრისტიანობა პირველი საუკუნეებისა, რომელიც მოუემულა ახხარებაში, განასვადებოდა წმ-
დგო ეპოქის ქრისტიანობიდან, მაგალითად თუნდ იმავე მე-12—13 საუკუნეთა კატოლიციზმისა
თუ ბიზანტიანიზმისაგან, ბუნებრივია რომ მანიქეიზმიც განიცადა განვითარება. მე-12 13 საუკუ-
ნეთა მანიქეველობა რასაკვირველია შეუძლებელია ყოფილიყო და ნამდვილად არც იყო იგივე,
რაც მე-3—4 საუკუნეთა მანიქეიზმი. შოთას მსოფლიო-მადგველობა, როგორც აღნიშნული გვაქვს
„რუსთველიანაში“, დაკავშირებულია არა იმდენად პირვანდელ მანიქეიზმთან, რომდენადც გა-
ნახლ უბუნ მანიქეველობასთან, იმ ფილოსოფიურ-რელიგიურ მიმდინარეობათაში,
რომელმაც ასეთი ფართე ხასიათი მიიღო მე-8 საუკუნიდან მოკიდებული—კერძოდ არაბულ მსოფ-
ლითში, და რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ამ ეპოქის ლიტერატურაზე. მოყვანათ თუნდ
ჰამდად აჯრადის მანიქეური ლიტერატურული თრდენი, რომელიც აერთიანებდა არაბული
მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს. საერთოდ მანიქეველობა ამ ეპოქაში ეს იყო ნამდვი-
ლი სინონიმი თავისუფალი მოაზრებისა, და ჰუმანისტური ხასიათის კულტურული მოძრაობა
ამ დროს განახლებული მანიქეიზმის ნიშნის ქვეშ მიდიოდა. (კერძოდ ჰამდად აჯრადის მანიქე-
ურა ლიტერატურული თრდენის შესახებ, იმ წყაროებთან, რომელიც ხელმასაწვდომია ჩვენს
მკითხველისათვის, დაეხსენებთ: Проф. А. Крымский, Абан Ляхыкий, Манихейство-
щий поэт. (Труды по Востоковедению, ХХП.—Мск., 1913).

განსაკუთრებით კურობიულია აგრეთვე, როდესაც კორნ. კეკელიძე, მანიქეველობასთან
დაკავშირებით ეჭვს ქვეშ აყენებს ჩვენი გამოცვლენის იმ ნაწილსაც, სადაც გამოარკვეული გვაქვს,
რომ შოთა, როდესაც იგი თავის პოემას სწერდა, საქართველოდან იყო განდევნილი, რომ შო-
თას ვუფხის-ტყაოსანი უცხოეთში დაუწერა. კორნ. კეკელიძე, რომ როგორც შეარყია ჩვენი
ეს დებულება, იხულებულია ყალბად გამოაცხადოს ვუფხის-ტყაოსნის სტროფები მთელი რიგი,
და მათ შორის შემდეგი სტროფაც:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას მამრუნებ, რა ზნე გტირსა!
ყოფლიმც შემი მოხდობილი ნიდაგმვა ჩემებრ სტირსა;
სად წაიღვან სადაურსა, სად აღუფნგრო სადით ძირსა!
მაგრამ დმერთი არ გასწირავს კაცსა წენგან განაწირსა“.

ჩვენ აქ გვერდზე დავტოვებთ მთელს რიგს ნიშანებისას, რომელთა მიხედვითაც უცილო-
ბელად სტიციდება ამ სტროფის სინამდვილე, და აქ მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ ერთს
სტილისტიურ დეტალს, სახელდობ—ერთი და იმავე ფონეტური კომბლექსის, სიტყვების გან-
მეორებას სტრიქონებში; (1 სტრიქონი: „რაშიგან, რას, რა“; მე-2 სტრიქონი: „სად, სადაურსა,
სად, სადით“; მე-4 სტრიქონი: „გასწირავს, განაწირსა“); ეს არის ერთ-ერთი დამახასიათებელი
ნიშნულობა შოთას პოეტური სტილისა;

და რომ აქ ჩვენა წინაზე შოთას ტექსტია, ეს თითქმის უნდა შეემჩნია კორნ. კეკელიძეს, რო-
მელმაც თავისი წერილის ეპიგრაფად აირჩია ვუფხის-ტყაოსნის შემდეგი ტენი, სადაც სწორედ
ლექსის ანალოგიური სტილისტიური ფაქტურა არის მოცემული, სიტყვათა განმეორება სტრი-
ქონებში:

„რა უთქვამს, რა მოუწმხავს, რა წიგნი მოუწერია“...

მაგრამ კორნ. კეკელიძეს, რომელსაც, როგორც გამოარკვეა, ისეთი ესთეტიური სინახინჯე,
როგორიც არის მადამა, ჰართული ლექსის უდიდეს მადწვად მიუჩნევია, რასაკვირველია
ვერ მოვთხოვა გაერყვა რუსთველის ტექსტში, და კერძოდ პოეტის საკითხებში.

მერში, როცა გამოიჩინა ორი ახალი გარემოება, რამაც ნაწილობრივ შესწავლა ჩვენი გეგმა.

ჯერ ერთი, შოთას მანიქეველობის შესახებ, და კერძოდ ქართული წერილის იმ ადგილზე, სადაც საუბარია „კუპარის“ და „მანის“ შესახებ, აკადემიკოსი ნიკო მარრი უახლოეს მომავალში აპირებს გამოსთქვას თავისი აზრი. და რასაკვირველია საგულისხმოა მოვისმინოთ ჯერ ამ დიდი მეცნიერის სიტყვაც ამ საკითხზე.

ამას გარდა ამ წერილის ბეჭდვის დროსვე აღმოჩნდა ახალი მასალები მანიქეზმის ისტორიიდან საქართველოში. ქართული ხელოვნების სპეციალისტი შალვა ამირანიანი, რომელიც სწავლობდა ვეფხის-ტყაოსნის ძველი ხელნაწერების ნბატურობას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთი ჯგუფი ვეფხის-ტყაოსნის სურათებისა კლასიკური ეპოქის ორიგინალებიდან მომდინარეობს (—დაახლოებით მე-13 საუკუნის დედნებიდან); და ამას გარდა, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი საკითხისათვის, ეს სურათები **მანიქეურ სამხატვრო სკოლაში არის შესრულებული**. ირკვევა შემდეგი ფაქტი: მანიქეზმს გავლენა მოუხდენია არა მარტო ქართულ პოეზიაზე, არამედ ხელოვნების სხვა დარგებზედაც, კერძოდ მხატვრობაზე. მანიქეველი შოთა რუსთველის პოემა თავდაპირველად მანიქეველთა წრეში ყოფილა გავრცელებული და აქ შესრულებიან პირველად ვეფხის-ტყაოსნის მხატვრული გამოცემა.

რაკი აკად. ნიკო მარრის წერილი და შ. ანირანაშვილის გამოკვლევა უახლოეს ხანში გამოქვეყნდება, ამიტომაც მიზანშეწონილად ვსცანით ჯერ მათი მოსაზრებანი მოვისმინოთ, და შემდეგ, თუ საჭირო აღმოჩნდება, ამ საგანს ცალკე წერილი ეუძღვნათ.

ამ-რიგად ჩვენ ჯერჯერობით ამაზე დავასრულებთ საუბარს კ. კეკელიძის წერილის გამო.

დასასრულ, დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ მართალია კამათი ძალზე გაგვიგრძელდა, და ზოგჯერ ელემენტარულ საკითხებზედაც მოგვიხდა შეჩერება, მაგრამ ეს გამოწვეული იყო კორნ. კეკელიძის წერილის განსაკუთრებული ხასიათით. კ. კეკელიძეს არ დაუტოვებია თითქმის არც ერთი საკითხი ვეფხის-ტყაოსნისა, რომელზედაც მას რაიმე ერეტიკული აზრი არ გამოეთქვა. ამიტომაც აუცილებელი შეიქმნა მის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებათა საფუძვლიანი განხილვა, რომ საბოლოოდ გაგვეუფანტა ის ბურუსი, რომელიც მან ვეფხის-ტყაოსნის პრობლემას ნოჰფინა.



წარსულიდან

(„კრასნაია ნოვი“-ს საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამა).

ამხანაგებო, ნება მომეცით „კრასნაია ნოვი“-ს რედაქციის სახელით მადლობა გამოვიცხადოთ იმ მისაღმებისათვის, რომელიც აქ იყო წარმოთქმული კრიტიკული მითითებანი კი მიღებული იქნება მხედველობაში მომავალი მუშაობის სახელმძღვანელოდ.

მე უნდა გაცნობოთ, რომ „კრასნაია ნოვი“-ს მუშაობა არის კოლექტიური და არა ინდივიდუალური საქმიანობა. ამ მუშაობაში ბევრმა ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა, რაც დღეს აქ გამოსულმა ამხანაგებმა არც კი იცოდენ. მაგრამ მე ჩემს მოვალეობათ ვსთელი, გაგახსენოთ ისინი. „კრასნაია ნოვი“-ს რედაქციის პირველი საორგანიზაციო კრება მოწუგობილი იქნა კრემლში ვლადიმირ ილიჩის ლენინის ბინაზე. ლენინის გარდა ამ კრებას დაესწრო: ნადეჟდა კრუპსკაია, მაქსიმ გორკი და მე.

მე გავაკეთე მოკლე მოხსენება მხატვრულ-ლიტერატურულ და მეცნიერულ-პუბლიცისტურ დიდ ტანიან ჟურნალის გამოცემის აუცილებლობის შესახებ. ვლადიმირ ილიჩი დაეთანხმა ჩემს მოსაზრებას. აქვე იყო აღნიშნული, რომ ჟურნალის გამომცემელი იქნებოდა პოლიტგანათლება, რომ ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი ვიქნებოდი მე და რომ ჟურნალის ლიტერატურულ-მხატვრულ განყოფილებას რედაქტორობას გაუწევდა ალექსეი (მაქსიმ) გორკი.

ჟურნალის საკითხების განხილვის დროს ლენინსა და გორკის შორის გაიმართა საუბარი, რომელიც მე კარგად დამამახსოვრდა. გორკიმ თან მოიტანა წიგნები, რომლებიც მან გამოსცა გვებინთან ერთად ბერლინში საბჭოთა მთავრობის დახმარებით. ვლადიმირ ილიჩმა სწრაფად გადაათვალიერა გორკის მიერ მოტანილი წიგნები, მოიწონა წიგნი ორთქმავალის შესახებ, შემდეგ აიღო ხელში ინდოეთის ზღაპრების კრებული, გადაფურცლა წიგნი და ჰკითხა გორკის. (გორკი იდგა ვლადიმირ ილიჩის ახლო:)

— ჩემი აზრით, — სთქვა მან, — ეს ნაადრევია.

გორკიმ უპასუხა:

— ეს ძალიან კარგი ზღაპრებია.

ვლადიმირ ილიჩმა შენიშნა:

— ანაზე ფული იხარჯება.

— ეს ხომ ძალიან იაფი ჯდება.

— კი, მაგრამ ამაში ჩვენ ვიხდით ოქროს ვალიუტით. წელს კი ჩვენში შიმშილი იქნება.

მე მომეჩვენა მაშინ, რომ ერთმანეთს დაეჯახა ორი ჭეშმარიტება: ერთი ვითომც ამბობდა: „არა მარტო პური ცხოვრობს ადამიანი“, მეორე კი უქასუხებდა: „და თუ პური არ არის“... და შემდეგ, მხატვრული სიტყვის დარღვევით და კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა ორგანოებში პრაქტიკულ მუშაობის სურვილს, მე ხშირად მახსენდებოდა ეს ორი ჭეშმარიტება, და ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მეორე ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება ვლადიმირ ილიჩისა, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პირველი.

ვლადიმირ ილიჩის „კრასნაია ნოვ“-ში მონაწილეობა არ განსაზღვრულა პირველ საორგანიზაციო კრებაზე მონაწილეობით. ასე, მაგალითად „კრასნაია ნოვ“-ის პირველი ნომრისათვის მან მოგვცა წერილი სასურსათო გადასახადის შესახებ, რომელშიც ის არკვევდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებს. ის შეხმარებოდა მე რჩევა დარიგებებითაც. ნახსოვს, რომ ერთხელ მან მე გამომიგზავნა ჰობსონის წიგნი იმპერიალიზმის შესახებ, რომელშიდაც აღნიშნული იყო ერთ-ერთი თავი, რომლის გადათარგმნა და დაბეჭდვა ერთ-ერთ მორიგ ნომერში საჭირო იყო, მისი აზრით, რაც კიდევ დაიბეჭდა. არ დავუარავ, რომ მე ერთხელ შემთხვევა მქონდა, როდესაც ლენინმა დამატუქსა მე სუხანოვის თებერვლის რევოლუციის მოხსენებებისა და ბაზაროვის შპენგლერის შესახებ წერილის დაბეჭდვისათვის. მე უთხარი ლენინს რომ სუხანოვი არ არის „კრასნაია ნოვ“-ის მუდმივი თანამშრომელი, ბაზაროვის წერილი კი დაბეჭდილია სადისკუსიო წესით, რომ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ანა. პიატაკოვის საპასუხო წერილი. ის დამშვიდდა, მაგრამ შემნიშნა, რომ მისი აზრით შპენგლერი არ არის საინტერესო, და რომ იმაზე დაფიქრებას საბჭოთა რუსეთში მნიშვნელობა არა აქვს. ვლადიმირ ილიჩის სახელი, რამდენადაც შემეძლო, მე გამოვიყენე პრაქტიკულ მუშაობაშიაც. მე მივდიოდი ჩვენ საბჭოთა დაწესებულებებში, როდესაც მე გაჭირებულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, რაც მეტად ხშირი მოვლენა იყო და საკმაოდ ნათლად ვახვედრებდი, რომ „კრასნაია ნოვ“-ი მეტად აინტერესებს ვლადიმირ ილიჩს, და ეს მე მშველოდა. მე აო შემეძლია მისალმებით მივმართო ანა. ლენინს, — გარდაცვალებულს არ ესალმებიან — ამიტომ წინადადებას გაძლევთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას. (ყველანი ფეხზე დგება).

როგორც მე უკვე ვსთქვი „კრასნაია ნოვ“-ის ლიტერატურულ-მხატვრულ განყოფილების რედაქტორობა დაევალა მაქსიმ გორკის. მაქსიმ გორკი რედაქტორობდა პირველ ნომრებს შემოდგომამდე, სანამდე გაემგზავრებოდა საზღვარ გარეთ.

მან გამაცნო მე საერაპიონოვის ძმობას და მაშინვე აღნიშნა, რომ მისი ფიქრით მათ წრეში არიან ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები. მანვე გადმომცა მე ჟურნალის პირველ ნომრისათვის ვსევოლოდ ივანოვის მოთხრობა „პარტიზანი“, რომელმაც ჩემის აზრით, უკვე იმ თავითვე განსაზღვრა ჟურნალის მხატვრული სახე.

უნდა გამოვტყდე, რომ როდესაც მე შეუდექი „კრასნაია ნოვ“-ის რედაქტორობას და მის გამოცემებს, საქმის ტექნიკური მხარე მეტად ბუნდოვანად მქონდა წარმოდგენილი. ადრე, ივანოვო-ვოზნესენსკში მე ვრედაქტორობდი „რაბო-

ჩიი კრაი“-ს, მაგრამ ჟურნალში აქამდე არ მიმუშავებია. ერთხელ საოუდაქციო საქმეებისათვის მე მივედი მ. გორკთან, და უთხარი მას, რომ ჟურნალის პირველი ნომერი უკვე იწყობა და რომ საერთოდ ჩვენი ჟურნალის საქმე კარგად მიდის. გორკიმ მკითხა:

— რამდენი ფურცელი იქნება ნომერში?

მე ვიფიქრე რომ ფურცლის ჯგეფ ჩვეულებრივად იგულისხმება ჟურნალის ორი გვერდი. ჟურნალში კი, ჩემი დაახლოებითი გამოანგარიშებით უნდა ყოფილიყო 320 გვერდი. გორკის კითხვაზე მე უპასუხე:

— 160 ფურცელი.

გორკიმ, ასეთი პასუხის შემდეგ, იმნაირად შემომხედა, რომ მე დავაჩქარე საუბარის დაბთავრება, და სწრაფად წამოვედი მისი ბინიდან. სახელმწიფო გამომცემლობაში მე ამიხსენს, თუ რა იგულისხმება ჟურნალის ფურცლის ჯგეფ. ამის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში მე მეშინოდა მ. გორკის დანახვა.

1921 წ. შემოდგონაზე გორკი წავიდა საზღვარგარეთ, მიუხედავად ამისა მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ჟურნალის რედაქციასთან, არა მარტო იმით, რომ გვაწვდიდა საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებებს არამედ საკუთარი რჩევა-დარჩევებებითაც. ეს კავშირი დღემდე არსებობს, ამასთან მე უნდა გითხრათ, რომ მ. გორკი დღემდე ფორმალურად ითვლება ჟურნალის ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწილის რედაქტორად. წინადადება შემომიქვს, კრების სახელით მას გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა (წინადადება მიღებულია).

ჟურნალის პირველი ნომრები შიმშილის თვეებში იბეჭდებოდა. საგრძნობი დახმარება გამიწიეს მაშინ ნადეჟდა კრუპსკაიამ, ნიკოლოზ მეშჩერიაკოვმა, ივანე სკვორცოვმა, და ოტტო შნიდტმა. მიუხედავად ამისა ჟურნალი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. საავტორო გონივრადი ერთ ფურცელ ორიგინალისათვის მაშინ უღრიდა 60 ათას მანეთს (რაც დღეს ჩერვონეცის მანეთებში უდრის—2 მ. 60 კ.). თავისთავად ცხადია ასეთი თანხით ჟურნალის გამოცემა მე არ შემეძლო, ამიტომ მე იძულებული ვიყავი ჩემი თანამშრომლებისათვის მეშოვა ულუფა. მე მახსენდება ასეთი შენთხვევა: მე მივედი ცაკში. ამხ. ენუჭიძე სადღაც წასულიყო, მის მოვალეობას ასრულებდა ამხ. ზალუცკი, მე ვსთხოვე მას ამხ. გორკის სახელზე ჟურნალის თანამშრომლებისათვის გამოეწერა პროდუქტები ცაკისა და საკომსაბჭოს სასადილოდ. მე შევადგინე სია, ამხ. ზალუცკიმ ხელი მოაწერა, შემდეგ ჩავედი კანტორაში, სადაც დამხვდა ლატიში. მან გადაათვალიერა სია, უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, და სთქვა:

— ამდენი რა თ ეძლევა ერთ ადამიანს? ჩვენ არ შეგვიძლია,—დაუმატა შემდეგ—გაცემა ერთი ფუთი შაჭრის, ერთი ფუთი კარაქის და სხ.

მე უთხარი, რომ ბარათზე ხელი აქვს მოწერილი ამხ. ზალუცკის. ამხანაგმა მიპასუხა:

— ეს სულ ერთია. რათ უნდა გორკის ამდენი პროდუქტი?

მე ვუპასუხე:

— გორკი ავად არის.

— თუ ის ავად არის, ჩვენ მას მივსცემთ პროდუქტებს საავადმყოფო ბარათით. ავადმყოფთათვის ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული ნორმა.



მე იძულებული ვაყავი ელსმულით დავლაპარაკებოდი ამხ. ექსპლუატაციის კომიტეტთან მიუხედავად ამისა სასაბუღალტრო განგემ ულუფა მაინც შემხატა პროდუქტებით ორი ტომარა და წამოვიღე საბჭოების I სახლში. ღამით გაყინული ხორცი გადნა, და დილას ოთახში იატაკზე ტბორი დადგა, მე შეშინებული უყურებდი ტბორს და ვფიქრობდი თუ რა უკნაყოფილოებას გამოიწვევდა ის საბჭოების I სახლის კანტორაში, პარკეტის გაფუჭების გამო. ამ საქმეში მე დამეხმარა პოლიტგანათლების ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც თავის ბინაზე გადაიტანა პროდუქტები და გაანაწილა ის ამხ. გორკის მითითების მიხედვით.

„კრასნაია ნოვ“-ის მეორე ნომერი (ეს 1921 წ. ზაფხულში) სავსებით ჩარჩა ტიპოგრაფიაში. მე მივიღე ცნობა, რომ ასოთამწყობები უარს ამბობენ დედნების აწყობაზე. მაშინ მე წავიკითხე ცენტრალურ კომიტეტის სეკრეტარიატში, სადაც მიმიღო ამხ. იაროსლავსკიმ, და ვსთხოვე მას რამოდენიმე მილიონი მანეთი; მის შეკითხვაზე თუ რად მჭირდება ეს ფული, მე უპასუხე:

— ქრთამის გასაცემად იმისათვის, რომ დავაპურო ასოთ-ამწყობნი.

ამხ. იაროსლავსკიმ ამაზე მიპასუხა:

— ასეთი ლაპარაკი ცენტრალურ კომიტეტის სეკრეტარიატში მიუღებელია.

მაშინ მე გავესწორე ჩემი ნათქვამი, და უთხარი, რომ მე ფული მჭირდება არა ქრთამისათვის, არამედ მუშებისათვის. პრემიის დასარიგებლად. ამხ. იაროსლავსკიმ დანაღვლიანებული სახით ხელი მოაწერა ქალაქს. მე მივიღე ფული. ეს ის დრო იყო, როდესაც იწყებოდა შინშილი. ასეთ პირობებში უმეცრედობით ჩვენ „კრასნაია ნოვ“-ის პირველ ნომრებს.

ალსანიშნავია „კრასნაია ნოვ“-ის თანამშრომელთა და ტექნიკური პერსონალის კეთილ-სინდისიერი მუშაობა. აგრეთვე ასოთამწყობებისა, მეტრანპატი-სა, განომშვეებისა და სხ. მუშებისაც.

ეხლა ვისაუბროთ „კრასნაია ნოვ“-ის თანამშრომლებზე. ხუთი წლის მუშაობის პროცესში მე მუდმივად ვხვდებოდი მათ, მე შევიწყნარე გარკვეული შეხედულება მათ შესახებ, რაც მინდა ვაცნობო დღევანდელ კრებას. მე დავრწმუნდი პირველად ყოვლისა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ სამყაროსთან, რომ ხელოვანის ბუნებაში არის ისეთი თავისებურებანი, რომლებიც ჩვენ პუბლიცისტებმა, პოლიტიკოსებმა მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ გვინდა რომ შეცდომა არ ჩავიდინოთ. მე დავრწმუნდი, რომ ხელოვანის სამყარო, არის არა განყენებულ ცნებათა სამყარო, არამედ კონკრეტ წარმოდგენათა, სახეების სამყარო, რომ ყოველნაირი დეკლარაცია, პოლიტიკური წერილი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება მისთვის მისაწვდომი, როდესაც წერილში, თუ დეკლარაციაში განოთქმული აზრი, ცნება სხეულდება მის ცნობიერებაში კონკრეტ წარმოდგენების სახით. მე ეს წინადაც ვიცოდი, მაგრამ პრაქტიკულად ამაში დავრწმუნდი მხოლოდ „კრასნაია ნოვ“-ში მუშაობის დროს. შემდეგ მე დავრწმუნდი

აგრეთვე, რომ თანამედროვე ხელოვანისთვის მეტად ძნელია მუშაობა; პირველად ყოველისა იმიტომ, რომ მას საქმე აქვს ახალ ყოფასთან, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, რომელიც ჯერ კიდევ ძველებს პროცესში იმყოფება.

ბიზლიჩიქა

ამ მხრით თანამედროვე ხელოვანის მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდია, ვიდრე ძველი მწერლისა, რომელიც მუშაობდა მტკიცე ყოფის პირობებში. დავრწმუნდი აგრეთვე იმაშიაც, რომ ახალმა მასსიურ მკითხველმა, რომელიც ეხლა გამოდის მუშათა კლასისა და გლეხობის წიალიდან დღემდე ვერ შესძლო საკუთარი ესტეტიური ემოციების ჩამოყალიბება, და თუ მწერალი ვერ იცნობს მკითხველს ეს იმიტომ, რომ თვითონ მკითხველი ჯერ-ჯერობით ვერ იცნობს საკუთარ თავს. თანამედროვე მწერლის მდგომარეობა მძიმეა აგრეთვე იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია მისი მატერიალური მდგომარეობა, რომ სოციალური შეკვეთა და მარქსიზმი ხელოვნების საკითხებში მეტად ვულგარულად არის გაგებული.

არ იქნებოდა სწორი, რომ ამავე კრებაზე არ ვაღიაროთ, რომ „კრასნაია ნოვ“-ს მეგობრების გარდა მოწინააღმდეგენიც საკმაოდ ჰყავს. ამ მოწინააღმდეგეებს თქვენ იცნობთ. მე ვფიქრობ, რომ მომავალშიდაც „კრასნაია ნოვ“-მა უადა აწარმოვოს ბრძოლა მხატვრული სიტყვის კულტურისთვის, ლიტერატურულ თანამიმდევრობისათვის, უნდა ვიბრძოლოთ კომუნიზმისა, შტამპისა, ეულგარიზატორობისა და სხ. წინააღმდეგ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „კრასნაია ნოვ“-ს არ ექნება საერთო პლატფორმა ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებთან გაერთიანებულ მუშაობისათვის. ამ უამად საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და პარტიის დახმარების საშუალებით ეწყობა საბჭოთა მწერლების ფედერაცია, რომელშიდაც უკვე შევიდენ თვალსაჩინო მწერალთა ჯგუფების წარმომადგენელი. მეტად კეთილი აზრია და „კრასნაია ნოვ“-ი ფიქრობს, რომ პრაქტიკულ მუშაობაში გარკვეული შრომის შედეგად, ცხადია, შეიძლება საერთო ენის გამოხახვა.

ამხანაგებო, ხელოვნების სფეროში, ისე როგორც არსად, დასაშვებია იქვი, შეცდომა, ძიება. ყოველივე ეს კანონიერი და დასაშვებია, მაგრამ დღევანდელ საბჭოთა ხელოვნებაში დაუშვებელია ერთი: ჩვენს გვეყანაში სწარმოებს ბრძოლა მეურნეობის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის, ჩვენში იზრდება სოციალისტური სახელმწიფო მრეწველობა, მაგრამ იზრდება აგრეთვე ახალი „მუტრუკი“. როგორც ქალაქში აგრეთვე სოფლად. ჩვენ კომუნისტები დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური ელემენტები გაიმარჯვებს ჩვენში, მაგრამ არ შეიძლება თვალები დახუჭო არსებულ საფრთხის წინაშე. ეს საფრთხე იზრდება იმის გამო, რომ ჩვენ ვიმყოფებით მტრულ სამეურნეო და პოლიტიკურ გარემოცვის პირობებში. იქვი, ძიება და შეცდომა, ვინეორებ, დასაშვებია და აუცილებელი, მაგრამ ერთ შემთხვევაში საბჭოთა მწერლებს გარკვეულად და ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი: ვისთან არიან ისინი — მათთან, ვინც აშენებს ცხოვრებას ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე თუ ახალ „მუტრუკებთან“. ამ საკითხში არ უნდა იყოს არაერთარი მერყეობა და მედარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა თავის განვითარების პროცესში გახდება დაუზოგველი პროექტორი, რომელიც გააშუქებს ჩვენს სინამდვილეს, ძრისხანე მებრძოლი იარაღი ჩვენი მტრების წინააღმდეგ და მშვენიერი სილამაზე და დიდი სიამაყე საბჭოთა რესპუბლიკისა. ჩვენ ამას მივალწევთ.



ქართველთა
წიგნების კავშირი

გიგლიოგრაფია

ალიო მაშაშვილი. ლექსები. 1927 წ. სახელგამი ფასი 1 მან. 20 კ.

83. 218.

პროლეტარული მწერლობა საქართველოში დღითიდღე იზრდება.

პროლეტარული მწერლობის განვითარება საქართველოში ჯერჯერობით ორი პერიოდით განისაზღვრება: პროლეტარულ მწერლობის პირველი თაობა, რომლის მთავარი შემოქმედებითი მიწათება გამომვლავნდა რევოლიუციის განყენებულ რომანტიკაში, ერთგვარ კოსმიზმში და შრომის და ბრძოლის თემატიკის მხატვრულ მიმღობაში. მეორეს მხრივ ახალი თაობის შემოქმედებითი ხასიათი ყალიბდება რევოლიუციის მწვედობიან პერიოდის, სოციალისტურ აღმშენებლობის ნიშნის ქვეშ. პროლეტარული მწერლობის ახალი თაობა თვის შემოქმედების უმთავრეს მომენტებში მიმდინარე ცხოვრების კონკრეტ მასალებს ამუშავებს.

ალიო მაშაშვილი პროლეტარულ მწერლობის ახალი თაობის ერთერთი მთავარი ლიტერატურული ფიგურაა.

ალ. მაშაშვილის შემოქმედებაში ჯერჯერობით ერთი დასრულებული გზა არ არის მოცემული.

ალ. მაშაშვილის შემოქმედება სტიქიურ განწყობილებებში იმდება. პირველადვე რევოლიუციის განყენებული ათვისება (სისხლიანი დღეები)

„ო! ცეცხლი! ცეცხლი! მისი დიდება ჩვენს რკინის ვნებას აღინიანებს...
სული წარსულის ხავსს ეკიდება და ქვეყანაზე ახდენს ზიანებს!...
დახუჭავს თვალებს ბებერი ბედი, გახდება ხვედრი დაქანგულ ისრის; მოკვდება ზიზღით და ქარის ღვედი მის ხსოვნის დღეებს შორს გადაისვრის!“

ანარქიულ ტენდენციასთან ერთათ, მაშაშვილი ამჟღავნებს „თავხედობის“ და პროტესტის განწყობილებას:

„ისევ მომინდა მხურვალეობა და მზეს დავეძებ,
ტფილისო, სული მუხარადათ ტანს გახვევია,
დავიწყებ ყვირილს უსირცხვილოთ ამ რუსთაველზე
და გადავყვები ზღვა ცხოვრებას რუს ტალღებიანს...“

ანარქიულ განწყობილებათა სახელგარზე, მაშაშვილმა განიცადა იდეოლოგიურ გადახრების მთელი რიგი და ზოგიერთ ლექსებით („ლოდინი“, „გადახრა მთვარისკენ“) ჰუმანიურ განურჩევლობის და პატრიოტულ-ობივატელურ აუდიტორიის მიწართ დათნობით, შესამჩნევათ გაამრუდა კლასიური - იდეოლოგიური ხაზი.

მაშაშვილის ისეთი ლექსები, როგორც არის „დარიალი“ და „ტალღა“, ზოგს მიაჩნია ფორმალურ გადახრათ (ან ძიების შედეგათ), ჩვენის აზრით, ეს ლექსები გარდა იმისა, რომ მეშინურ ფენის მელოდიურ ლირიკის მოთხონილებას უპასუხებს, კიდევ ფორმის განვითარების თვალსაზრისითაც, ეს არის მობრუნება სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელ ერთ საფეხურიან ალიტერაციისკენ.

თუმცა წარმოდგენილ სარეცენზიო წიგნში ლექსები არ არის დალაგებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მაინც ბეჭდვის თვალყურის დევნების მიხედვით შეიძლება აღინიშნოს ერთი გარეწობება: მაშაშვილის ყოველი ახლათ დაწერილი ლექსი პოეტური ძლიერი ენერგიით და მისთვის წინსვლით ხასიათდება.

მიუხედავით ზოგიერთ არა გასამართლებელ ლექსებისა, წიგნში დაცულია პროლეტარულ პოეზიის მთავარი ტონი: კლასობრივი ბრძოლისა და ენტუზიაზ-



მის მოტივები, ინტენსიური მხატვრული ასრულებით.

ელსანიშნავია ლექსი „პასუხი მოგონებას“, სადაც ლექსის მთლიან მიზდინარეობაში სიყვარულის გრძნობისა და კლასობრივი ბრძოლის თემატური მომენტები მხატვრულად არის დაძლეული.

„ელოდე მზეებს გვირგვინებათ ძმაო ალიო, შენს მოღალატეს დედის ძუძუ შეერგოს შხამად: აილე გული და წვეთებათ სისალი დაველით დაწყებულ ბრძოლის გამარჯვების აღსანიშნავათ“.

თუ პოეტის „ავტობიოგრაფი“ ერთგვარი რომანტიული განწყობილებით ხასიათდება, მისი ერთერთი უკანასკნელი ლექსი „მე და ბარათაშვილი“ გვემიანათ, მოფიქრებულათ და სრული მიღწევით არის დაწერილი. ლექსში სადაც არის გადაჭრილი მეძვედროებისა და თანამედროვე არა პროლეტარულ პოეტებთან ურთიერთობის საკითხი. პოეტი აქ თანამედროვეა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით: ინდუსტრიული და რევოლუციონარ-მეზობლ განწყობილებათა მოცემით და სასაუბრო ენის სტილით:

„დღეს ინდუსტრია ქვებით ისვენებს,

სადაც მერანმა გადაიბინა, ტფილის დაძველებულ ფანჯარისფერი ცეცხლით ნაქაფი ღვეპით კვირგვინად,

მორბის მოღელავს მტკვარი ხარხარით,

მოაქვს ტალღები გათლილ სვეტებათ და საქართველო უფრო მაღალი ამბოკარების ზურგზე შენდება. შენდება გული და იმედები, თვალები რკინის ხმაურს მისდევენ: ჩვენ ეხლა უფრო შორს ვიხედებით, უფრო შორია ვხა და მიზნები“.

ალიო ნაშაშვილს დიდი შესაძლებლობა აქვს მონაწილე მუშაობისთვის. ამისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პოეტური უნარიანობა, რომელიც ნაშაშვილს შესწევს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება, თუ ამასთან ერთათ სათანადო კულტურული დონე არ იქნა მიღწეული.

წიგნს წამძვარებული აქვს პ. ჭიქოძის წერილი „ნაშაშვილის შემოქმედება“. ამ წერილში წინააღმდეგობებს აქვს ადვილი. განსაკუთრებით სუსტია პოეტის ლიტერატურულ ტექნიკის განხილვა.

წიგნი კარგად არის გამოცემული და დათვლილი აქვს ავტორის სურათი.

დ. რ.

დავ. კლდიაშვილი. „ბაკულას ღორები“. სურათი. ბიბლიოთეკა „ქართული მწერლობის“ გამოცემა.

„ბაკულას ღორები“ გუშინდელი (და რამდენიმედ დღევანდელისაც) ჩვენი სოფლის მშვენიერი სურათია. ჩვენს მწერლობაში ეს უმემკვიდრო მწერალი უბრალოდ და სადაც გვინატავს სოფლის მეზობლურ ურთიერთობას, ამ ურთიერთობის ფონზე გადაშლილი სურათები ზოგჯერ გულიანად გაციინებს და ზოგჯერაც მწარედ დაგაფიქრებს.

ბაკულას ღორები გალაქტიონის ბოსტანს ანადგურებს. ბაკულას და გა-

ლაქტიონს ამაზე დავა აქვთ. გალაქტიონის ცოლი წყველა-ქაქანიო მიერეკება ბაკულას ღორებს თავის ბოსტნიდან. მოთმინებიდან გამოსული გალაქტიონი ხერხს მიმართავს. დაბიდან საბსახურის ხალხს იწვევს სტუმრად. ხარჯში ვარდება, დიდებულ ქეიფს უმართავს — დაინახონ ჩემმა მეზობლებმა თუ რა განათლებულ ხალხთან მაქვს საქმე და დაშინდნო გაღეშვა, დათრობა უგრძნობლად. გალაქტიონი ორი კვირის



შემდეგ მაინც ძველ მდგომარეობაში რჩება. ხარჯი და პატივისცემა ამაოდ ეკარგება. მოსამსახურე ხალხზე გაჯავრებული მაზრის უფროსთან ასძენს მათ. გალაქტიონი გულს იწით იჯერებს, რომ მათ მაზრას უფროსი სასტიკ საყვედურს უცხადებს. გალაქტიონი ისეა დახატული, რომ მისი სატყეველი მუდამ გაცინებს. თუმცა მდგომარეობა არც მთლად სასაცილო აქვს და დიდათ დამაყიჭებელია. უბრალო მაგალითზე სოფელელის ტრაგიკული იშლება. სურათი ისეთი ვირტუოზობითა და დიდი ოსტატობით არის დაწერილი, რომ

წიგნის წაკითხვის შემდეგ კიდევ დიდხანს თვალწინ გიდგის მდგომარეობის ეკლესიის მინდორზე სტუმარების მომწონე და ან მაზრის სამმართველოში თავის დასმენის შემდეგ ღმერთო ნუ მოწყალის ძახილით. დღეს რასაკვირველია ასეთ ურთიერთობას სოფელად აღვილი არა აქვს, ასეთ საქმეებს თემშიაც არჩევენ და მაზრაშიც არ გადადის, ნაგრამ მოთხრობა როგორც გუშინდელი ჩვენი ცხოვრების სურათი მაინც დიდი ხალისით იკითხება.

ფარი.

ბ. შანშიაშვილი. „მოჯამაგირე გაბო“. გამომცემლობა—„შრომა“.

თანამგზავრული ლიტერატურა ჩვენშიაც თანდათანობით იზრდება. „მოჯამაგირე გაბო“ ერთი ასეთ ნაწარმოებთაგანია. ნასში ნოცემულია, თუმცა მკრთალად. კახეთის თავად-აზნაურთა გონებრივი არარაობა, სიმკაცრე, არა ადამიანობა. ანჯიქო, ეს ძველი სულისა და ტრადიციის ადამიანი, საბჭოთა ხელისუფლების დროსაც განაგრძობს თავისას. საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლება ცენტრალურ ორგანოების მოწყობას უნდება. პროვინციას და სოფლებს ნაკლები ყურადღება ექცევათ. ანჯიქოს ექსპლოატაცია მოჯამაგირის მიმართ ამ გარემოების წყალობით შეუჩინეველი რჩება. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პროცესში ხელისუფლების ყურადღება ცენტრიდან პროვინციებზედაც გადადის. ან-

ჯიქოს არა ადამიანური დამოკიდებულება მოჯამაგირე გაბოსადმი ხდება შრომის დაცვის ორგანოების ყურადღების საგნად. ცემას, შრომის ხელფასის სხვადასხვა ხრიკებით დაკავებას, ჩედნეტად მუშაობას და სხვა სახის ბოროტმოქმედებას ბოლო ედება.

კარგად არის ასახული ოვით გაბოც, მისი თანდათანობითი გამოუხიზლება, თავის ინტერესების დასაცავ ვხის გაკვლევა, საჩივლელად სიღნაღში ჩასვლა და სხვა...

მემამულე მოცემულია მხოლოდ მოჯამაგირესთან დამოკიდებულების ფონზე, რისთვისაც მემამულის კლასიური სახე სისრულით არ სჩანს მოთხრობაში.

წიგნი ტენიკურად ლამაზად გამოცემულია, თუმცა ყდის დასურათება, შინაარს არ უდგება სავსებით.

განი.

დიო.მიღა თოფურაძე. „საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები“ - გამომცემლობა „შრომა“. გვ. 273. ფახი # მან.

საქართველოს ეკონომიკის შესახებ, ქართულ ენაზე, თითქმის არავითარი გამოკვლევა არ არსებობს. რუსულ ენაზე უფრო მეტს ვიპოვით მონოგრაფიებს თუ ცოტათ თუ ბევრად სერიოზულ

ნაკვლევეებს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სხვა და სხვა დარგების, განსაკუთრებით ბუნებრივ სიმდიდრეთა და შინამრეწველობის შესახებ.

საბჭოთა საქართველოს დღევანდელი



ეკონომიკა მით უმეტეს თითქმის ხელ-უხლებელია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, საჭურნალო და საგაზეთო ხასიათის მნიშვნელებს. საქართველოს ეკონომიკის ბევრი მკვლევარი ჩვეულებრივ კომპილიაციას ვერ გასცილდა და საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის შესწავლის ზედაპირზე სდგას. დ. თოფურიძის ცდა აღსანიშნავი მოვლენაა და ის დღემდე გამოცემულ გამოკვლევებზე მაღლა დგას, მაგრამ მაინც ზერელე ხასიათს ატარებს, გვერდ შევლილია ძრავალი საყურადღებო პრობლემა, და აქრელებულია საჭირო სინტიკის მოკლებულ დებულებებით.

თავდაპირველად ხაზი გვინდა გაუშვათ იმ გარემოებას, რომ ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია უადგილო პატრიოტიზმი: „...საქართველო თავის კულტურით და დიდი მრეწველობით მსოფლიოში ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე იქნება და შავი ზღვის ძველ ერებთან ერთად დაწინაურებულ ქვეყნების დიდ ოჯახში საქართველოც საუკეთესო წევრად გახდება“. აქ დავიწყებულია საესეებით, რომ საქართველოს შავი ზღვის ძველ ერებთან დღეს თითქმის არაფერი არ აკავშირებს, რომ ის საბჭოთა ოჯახის წევრია და მისი კულტურისათუ მრეწველობის ხასიათი, მიმართულება და მომავალი საესებით გამოორკვეულია. არაფერს არ გვეუბნება ასევე პათეტიური სტრიქონები ბერძენთა ისტორიკოსებისა თუ ვახუშტის ძველი მეჯოგეობის შესახებ. ეკონომისტი სათავის ყოველ ფაქტს განსაზღვრული ინტერესი და დანიშნულება აქვს იმდენათ, რამდენადაც შესაძლებელია მათი დაკავშირება მისი დღევანდელი კვლევის ობიექტთან და რამდენადაც ეხმარება ის ამა თუ იმ მოვლენის შეფასებაში. ეს მხარე ყოველ შემთხვევაში ასუსტებს თოფურიძის შრომის მეცნიერულ მნიშვნელობას და სათანადო ობიექტივობას.

ავტორს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ვითომ და ამ ახლო ხანში სახლების აღმშენებლობა საყურადღებო ადგილს დაიკავებს საქართველოს ეკონომი-

მიურ ცხოვრებაში. შეზღუდულია დ. თოფურიძის მოსაზრება უცხო კაპიტალის საგრძნობი მონაწილეობისა ჩვენი ქვეყნის სახლების აღმშენებლობაში, რადგან უცხო კაპიტალი გაექცევა სახლების აღმშენებლობაში საგრძნობი თანხების მოთავსებას, რადგან სახლების აღმშენებლობა ყველაზე ნაკლებ რენტაბელურია.

ავტორი თავის შრომაში განცალკევებულად განიხილავს მესაქონლეობას და არ უკავშირებს მას საძოვრების საკითხს, რომელიც საქართველოშია სწორედ ყველაზე აქტუალური. მესაქონლეობის, როგორც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგის განხილვა საძოვრების საკითხთან პირდაპირ დაუკავშირებლად მიხანშეუწონელია. ასევე არ შეიძლება მესაქონლეობის და ტყავის როგორც ნედლეულის ცალ-ცალკე განხილვა. თოფურიძის წიგნში საერთოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პრობლემა ძლიერ მკრთლად არის გაშუქებული და შეიძლება ითქვას გვერდ შევლილიცაა ზოგან. ეკონომისტ თოფურიძეს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ისე როგორც მატყლის, არც ტყავის წარმოება არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დამოუკიდებელ დარგს, არამედ დამოკიდებულია საქონლის მოწოდებაზე და მთლიანად მესაქონლეობაზე. გასაკვირია, როდესაც მელორეობაში ავტორი მხოლოდ ჯაგარს ხედავს და არ იხსენიებს მელორეობის ისეთ საყურადღებო ნაწარმოებს, როგორც არის ბეკონი.

ავტორი ასევე ცალმხრივად იხილავს მდინარეებს. მდინარეები არ აქვს განხილული ავტორს მთელი მისი მეურნეული მნიშვნელობით. რათა მკითხველს დარჩეს მთლიანი წარმოდგენა მდინარეებზე, რომელთაც ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სინამდვილეში, ამისთვის უნდა იყოს სათანადოთ გარკვეული ჩვენი ქვეყნის მდინარეთა არა მარტო ჰიდროავლიური და სამელიორაციო, არამედ სხვაგვარი მნიშვნელობაც. სახელდობრ საქართველოს მდინარეების მნიშვნელობა,

როგორც მიმოსვლის საშუალებათა, სათევზაო ადგილებისა, კერძოთ მდ. მტკვარის, ლიახვის, ენგურის, რიონის, ცხენის-წყლის და სხვათა დახასიათება, როგორც ხე-ტყის გადაზიდვის საშუალებებისა და სხვ.

ავტორი თუმცა ახასიათებს ჰავას, ნიადაგსა და ლანდშაფტებს, მაგრამ არ უკავშირებს მათ საქართველოში სამეურნეო საქმიანობის ფორმათა გავრცელების საკითხს, ისე, როგორც მთელი შრომის გასწვრივ ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები საქართველოს ეკონომიურ რაიონებათ დაყოფის საჭიროება, მაშინ როდესაც ეს საკითხი ჩვენი გეგმიანობის ცენტრალური საკითხია.

ეკონომისტი-მკვლევარი, რომელიც აცხადებს, რომ „ჩვენში არ არსებობს წიგნი, რომელი შეიცავდეს საქართველოს მეურნეობის ყველა დარგის შესახებ კრიტიკულად შესწავლილ მასალას“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა კმაყოფილდებოდეს ცალკე სამეურნეო დარგთა და ბუნებრივ სიმდიდრეთა უბრალო აღწერით, არამედ უნდა ახსოვდეს, რომ განსაკუთრებით ჩვენს პირობებში ძირითადია გეგმიანი საწყისის შეტანა სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

შრომის უდიდეს ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ავტორი არ გვისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტივას იმ მხრივ, რომ უყურადღებოთ და დაუმუშავებლად სტრუქტურებს საკითხს იმის შესახებ, თუ სოფლის მეურნეობის რომელ დარგს მიექცეს მეტი ყურადღება და რომელს ექნება ჩვენში წარმატება. სოფლის მეურნეობის ესა თუ ის დარგი უნდა განვიხილოთ, არა მარტო მისი საჭიროების, არამედ არა ნაკლებ მისი სამეურნეო მიზანშეწონილების თვალსაზრისით. საქართველოში დღეს ხორბლეულის მეურნეობაა გაბატონებული, რომელსაც არ შეუძლია ჩვენი გლეხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგან მას მომავალშიც სამომხმარებლო მნიშვნელობა შერჩება.

არის თუ არა მიზანშეწონილი საქართველოში ხორბლეული მეურნეობის განვითარება, მასზე დასჯილად, როდესაც ვიმყოფებით ბუნებრივ სიბუნძელთან მდიდარ მხარეების მეზობლად, როგორცაა ჩრდილოეთ კავკასია და ყუბანი და იქნება თუ არა მეურნეობის ამ დარგის განვითარება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული, ამ ინდუსტრიალიზაციის საიმედო დასაყრდენი? რასაკვირველია არა. ხორბლეულის კულტურა (პური და სიმინდი), თუ გაუწევთ ანგარიშს საბაზრო პირობებს, რომელიც იქნება ყუბანის და ჩრდილო კავკასიის პურის მიერ — მეურნეობის მიზანშეწონილი და სამეურნეო ეფექტის მიხედვით ნაწილობრივ სახარალო დარგაცაა. ხორბლეულის კულტურა არ იძლევა გარდა ამისა მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულ მასალას და ამიტომ მისი ადგილი თანდათანობით უნდა დაიკავოს ტექნიკურმა კულტურებმა, რომელთა განვითარებას ჩვენში ისეთი პერსპექტივები ესახება საქართველოს სანიაღვრო და კლიმატიურ პირობების გამო, რომელსაც მოკლებულია საბჭოთა კავშირის სხვა მხარე.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ საწარმოო ხასიათი უნდა მიიღოს — თამბაქოს, ჩაის, ბანბის, აბრეშუმის, კანაფის და სხვა ინტენსიურ კულტურებზე გადასვლით. ავტორს მოჰყავს (იხ. გვ. 273) ცხრილი სოფლის მეურნეობის მთავარ საშემოსავლო წყაროების შესახებ და ლაპარაკობს: „...აი ამ დარგებს ეყრდნობა საქართველოს სოფლის მეურნეობა და ამავე დროს ეს დარგებია საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარი საფუძველი. ეს ცხრილი ნათლათ გვიჩვენებს, თუ რა და რა დარგს სოფლის მეურნეობისა უნდა მიექცეს მთავარი ყუადღება“. ავტორის ცხრილის მიხედვით სოფლის მეურნეობის მთავარი საშემოსავლო წყაროებია ხორბლეულის კულტურა და მერძეობა. ასე რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგებს უნდა მიექცეს მისი, თქმით, მომავალში

მთავარი ყურადღება, რაც, რასაკვირვე-
ლია, შეეცდარი ახრია.

წიგნში არ არის განხილული აგრა-
რული ურთიერთობა საქართველო-
ში მენშევიკების დროს, საბჭოთა აგრა-
რული რეფორმა და თვით ისეთი საჭირ-
ბოროტო საკითხიც ჩვენი სოფლის მე-
ურნეობის განვითარებისათვის, როგო-
რიცაა მიწადმოწყობა.

გაუგებარია, თუ რისთვის არ სცნო სა-
ჭიროთ ავტორმა ჩვენი ქვეყნის შინა-
განი და საგარეო ვაჭრობის განხილვა

და განა შესაძლებელია საქართველოს
ეკონომიკის საფუძვლებზე წერა მეურ-
ნეობის ამ თრიად მწიგნობროვნ და რ-
გის ნხედველობიდან გასკეპილი?

საერთოდ უნდა ითქვას, რომ წრომა
ნაკლებათ ამართლებს თავის სახელწო-
დებას, რადგან ნაკვლევი ზერელე ხა-
სიათს ატარებს, საქართველოს ეკონო-
მიკა მასში მოცემულია როგორც ნედ-
ლი მასალა და არ არის ამ მასალის საჭი-
რო დამუშავება.

დ. გვაზავა.

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამართველო

გვერ

1. კარლო კალაძე—საპირველმაისოთ	5
2. ტიტან ტაბიძე—ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყურს . . .	6
3. კ. ლორთქიფანიძე—თუ შეგიძლია	7
4. გრიგოლ ცეცხლაძე—პოემიდან „ნასაკირალი“	8
5. ვარლამ ყურული—მწუხრი ტფილისამდე	10
6. მიხ. ჯავახიშვილი—გივი შადური	12
7. აღ. ქუთათელი—ევროპა (პოემა)	30
8. ლეო ქიაჩელი—სისხლი (გაგრძელება)	53
9. ანასტ. ერისთავ-ხოშტარია—სალი (გაგრძელება)	62

რუსეთი

10. თედორე გლადკოვი—ცემენტი (ვაგრძ.) თარ. დ. შენგელაიასი	86
--	----

დასავლეთი

11. უიულ რომენ—თეთრი ღვინო ლა-ვილლეტისა (დასასრული) თარგ. ვ. გაფრინდაშვილისა	112
---	-----

კრიტიკა მხატვრობა კუბლიცისტიკა

12. ვარლამ ხუროძე—იოსებ დავითაშვილის შემოქმედება	153
13. პროფ. შალვა ნუცუბიძე—ქართული გამოკვლევა ქსენოფანე კოლოფონელზე	173
14. პავლე ინგოროყვა—რუსთველიანაზე. (პრ. კორნ. კეკელიძის წე- რილის გამო)	186
15. ვორონსკი—წარსულიდან	224

ბიბლიოგრაფია

16. დ. რ.—ალიო ნაშაშვილი. ლექსები	229
17. ფარი—დავ. კლდიაშვილი. „ბაკულას ლორები“	230
18. განი—ა. შანშიაშვილი. „მოჯამაგირე გაბო“	231
19. დ. გვაზავა—დიომ. თოფურიძე. „საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები“	231

სახელმწიფო გამომცემლობა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მალაზიებში შემდეგი
ახალი წიგნები.

მხატვრული ლიტერატურა:

1. აკაკი წერეთელი—ტომი მესამე—პიესები—405 გვ. ფასი 3 მან.
2. დიმიტრი ფურმანოვი—„წითელი დესანტი“ (მოთხრობა) თარგმანი
შ. დადიანის. 49 გვ. ფასი 30 კაპ.
3. პაოლო იაშვილი—„ფერადი ბუშტები“ (ფანტასტიური ამბავი) 25 გვ.
ფასი 30 კაპ.
4. რაუდენ კალაძე—„ი. ნინოშვილის ბიბლიოგრაფია“ 187 გვ. ფასი 1 მან.
5. ალიო მაშაშვილი—ლექსები პ. ქიქოძის წინასიტყვაობით. 168 გვ.
ფასი 1 მან. 20 კ.
6. ელიზბარ პოლუმორდვინოვი—„მოთხრობები“ ფ. 1 მ.
7. პეტრე სამსონიძე—ლექსები ვ. ლუარსაბიძის წინასიტყვაობით. 179 გვ-
ფ. 1 მ. 50. კ.
8. იაკინთე ლისაშვილი—ლექსები ს. თოდრიას წინასიტყვაობით. 169 გვ.
ფ. 1 მ. 40 კ.
9. ს. ტარასოვ-როდიონოვი—„შეკოლადი“ ფ. ლოლობერიძის თარგმანი.
120 გვ. ფ. 70 კ.
10. ნიკო ახლამაზაშვილი—„ნაძალადევის არწიენი“ მოთხრობები პ. ქი-
ქოძის წინასიტყვაობით. 118 გვ. ფ. 1 მ.
11. ი. ლიბედინსკი—„შვიდი დღე“ (მოთხრობა) ნ. ბუხარინის წინასიტ-
ყვაობით, ვ. გორგაძის თარგმ. 172 გვ. ფ. 70 კ.
12. ტ. რამიშვილი—პიესები 227 გვ. ფ. 1 მ. 50 კ.
13. კონსტანტინე ლორთქიფანიძე—„ხავსი“ (რომანი) ფ. 1 მ.
14. გალაქტიონ ტაბიძე—ლექსები. 542 გვ. ფასი 5 მან.
15. შაქრო ნავთლულელი—ლექსები 126 გვ. ფ. 1 მ.
16. სანდრო შანშიაშვილი—დრამები. 421 გვ. ფ. 3 მ.

პოლიტიკური და მეცნიერული ლიტერატურა:

1. ნ. ბუხარინი—„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგო-
მარეობა“. 214 გვ. ფ. 1 მ. 20 კ.
2. ვ. მოლოტოვი—„მე XV პარტკომფერენციის შედეგები“. 89 გვ. ფ. 50 კ.

3. ი. ფანცხავა — „სანეცნიერო წერილები“. 89 გვ. ფ. 70 კ.
4. გ. გიგინეიშვილი — „ამინდი საქართველოში“. 37 გვ. ფ. 70 კ.
5. კ. ორაგველიძე — «საქართველოს მენშევიკების აგრარული რეფორმა»» 94 გვ. ფ. 50 კ.
6. შ. ლეჟავა — „მოგონებანი“ 32 გვ. ფ. 12 კ.
7. კ. ორაგველიძე — „ნამდვილი და ყალბი მარქსიზმი“. 202 გვ. ფ. 1 მ. 50 კ.
8. ედ. მეიერი — „ძველი ქვეყნების ეკონომიური განვითარება“
9. მ. ჩოდრიშვილი — „ჩემი თავგადასავალი“ (მოგონებანი). მ. ცხაკაიას და ფ. მახარაძის წინასიტყვაობით. 182 გვ. ფ. 1 მ. 20 კ.
10. პ. საყვარელიძე — „კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში“. (რემუნდასის შესახებ). 59 გვ. ფ. 1 მ. 25 კ.
11. ნ. ბუნარინი — „კაპიტალისტური სტაბილიზაცია და პროლეტარული რევოლუცია“. 117 გვ. ფ. 50 კ.
12. ვ. მილჩაკოვი — „კომკავშირის ბრძოლა კულტურულ ყოფა-ცხოვრებისათვის“. გ. ძიგრაშვილის თარგმანი. 84 გვ. ფ. 50 კ.

საბავშო ლიტერატურა:

- 1) შიო მღვიმელი — „ნერცხლები“ (ლექსები) 94 გვ. ფასი 50 კ.
- 2) იოსებ მკედელიშვილი — „საბავშო ლექსები და მოთხრობები“ 183 გვ. ფასი 1 მ.
- 3) დ. შარვული — „განახლებული დედა-მიწა“. 295 გვ. ფასი 1 მ. 20 კაპ.
- 4) სვენ გედინი — „დალუპვის პირად“. 65 გვ. ფ. 25 კ.
- 5) მოწაფის ბიბლიოთეკის სერიიდან — „აპენინიდან ანდამდე“. 50 გვერდი. ფასი 20 კ.
- 6) იგივე ბიბლიოთეკა — „როგორ ანობრავდა პირველად მატარებელი“. 21 გვ. ფასი 12 კაპ.
- 7) ლუნკევიჩი — „პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება“. 55 გვ. ფასი 30 კაპ.
- 8) მიხაილოვი — „სპარტაკი“. შ. შეწირულის თარგმანი.
- 9) ლ. გუმილევსკი — „ხარიტა“ (ფანტასტიური რომანი) 300 გვ. ფ. 1 მან.

სახელმძღვანელოები:

- 1) ერთლი — „სახალხო შრომის სკოლა და შრომის დასაბამი“. ი. გომელაურის თარგმანი. 155 გვ. ფასი 50 კაპ.
- 2) ზ. ყანჩაველი — „პოტანიკა“ პირველი ნაწილი. უმაღლეს სასწავლებლის სახელმძღვანელო. 367 გვ. ფასი 8 მან.

- 3) ა. ჯავახიშვილი — „გეოგრაფიის სავარჯიშო რვეული“. 32 გვ. ფ. 75 კ.
 4) „ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა“. ზრ. ასათიანის მიერ გადმო-
 კეთებული იზმაილოვ-ცვენსკიდან. 257 გვ. ფასი 1 მ. 80 კაპ.

სამხედრო ბიბლიოთეკა — „საბჭოთა კავშირის საღარაჯო“.

- 1) ნ. გედევანიშვილი — „თანამედროვე მდგომარეობა ჩეხეთში“ 52 გვ.
 ფასი 40 კაპ.

- 2) ალექსანდრე გორგაძე — „საქართველოს მე XVIII საუკუნის სამხედრო
 ისტორიის მასალები“. 64 გვ. ფ. 50 კ.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

გხატვრული ლიტერატურა

1. ნიკოლოზ ლომაური — მოთხრობები.
2. დავით კლდიაშვილი — ტომი მეორე — მოთხრობები.
3. გიორგი — „ფაუსტი“. დ. თნიაშვილის თარგმანი.
4. გიორგი წერეთელი — თხზულებანი.
5. სევასტი თალაკვაძე — „ბრძოლის დიდ გზაზე“ — (რომანი).
6. იროდიონ ევდოშვილი — საბავშვო მოთხრობები და ლექსები.
7. კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „ლიმილი“ (ლექსები).
8. კარლო კალაძე — „რჩეული ლექსები“.
9. იოსებ დავითაშვილი — ლექსები.
10. ჯელილ-მამედ-ყული-ზადე — „მიცვალებულნი“. თარგმანი ოსძალური
 დან მამედ აბაშიძის.
11. შ. არაგვისპირელი — რჩეული ნაწერები.

პოლიტიკური ლიტერატურა:

1. პოპოვი — „საკავშირო კომპარტიის ისტორიის ნარკვევი“.
2. ლენინი და ახალგაზრდობა — (კრებული).
3. ა. მალვერი — „ნეკნიერება და რელიგია“.
4. დ. თოფურიძე — „ფული და ფულის პრობლემა“.
5. ლენინი — „ტროცკისა და ტროცკიზმის შესახებ“.
6. მოსე გოგიბერიძე — „მატერიალიზმის ისტორია“ (კრესტომატია).
7. სიმონ ხუნდაძე — „სოციალიზმის ისტორია საქართველოში“.

სახელმძღვანელოები:

1. პობედინსკი — „მეანობის სახელმძღვანელო“. პროფ. თიკანაძის თარ-
 გმანი.
2. მ. ფარცვანიძე — „ვეტერინარიის საფუძვლები“.

3. ი. ქავთარაძე — „ახალგაზრდა ბუნებისმეტყველის თანამგზავრი“
4. Канделаки и Мгеладзе — „Труд и знание“.
5. ი. ბერიტაშვილი — „ზოგადი ფიზიოლოგია“.
6. ნიკოლაიშვილი — „გრამატიკა“.
7. ხარაბაძე, დევიძე და ლორთქიფანიძე — „მათემატიკური ამოცანები“.
8. პროფ. დიდებულისძე — „ელექტრო-ტექნიკის მათემატიკური საფუძვ-



ლები“.

9. პროფ. გოგიტიძე — „ბავშვის კვება“.
10. ექ. ლოლობერიძე — „ოპერატიული შენობა“.
11. პროფ. პაილი — „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლების დროს“.
12. ი. რუბინი — „ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია“
13. გომელაური და ხუროძე — „სხივი“ (ლიტერატურული ქრესტომატია სკოლებისათვის).
14. ე. გაბლიანი — „თავისუფალი სვანეთი“ — მეორე გამოცემა.
15. თაბუკაშვილი — „სასვენი ნიშნების ხმარება“.